საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2023 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

შესავალი 7
1. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 18
1.1. უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა 18
1.2.გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები 20
1.3.განათლების უფლება 22
1.4.ჯანმრთელობის დაცვის უფლება 25
1.5.საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 26
1.6.ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობა 27
2.სიცოცხლის უფლება 30
2.1.შესავალი 30
2.2.სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა ოკუპაციის კონტექსტში 30
2.3.შოვის ტრაგედიის საქმეზე მიმდინარე გამოძიება 32
2.4.ფემიციდი - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების შემთხვევები 33
2.5. სიცოცხლის უფლების (სავარაუდო) ხელყოფის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიებები 34
2.6. სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 40
3.წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება 43
3.1. შესავალი 43
3.2.პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას 45
3.3.არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები 58
3.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება 75
4.თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება 95
4.1. შესავალი 95
4.2. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა 96

4.3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა 97

4.4. ადმინისტრაციული დაკავებები 98

4.5. პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა 100

4.6. საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები....106

5. სამართლიანი სასამართლოს უფლება **110**

5.1.შესავალი 110

5.2.სასამართლო სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები 111

5.3.საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება....115

5.4.მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასება 123

5.5.დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა....128

6.პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა **133**

6.1.შესავალი 133

6.2.გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში....134

6.3.გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში 140

6.4.გარე სამყაროსთან კონტაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში 141

6.5.პოლიციის მიერ უკანონო ფოტოგადაღებისა და ვიდეომონიტორინგის ფაქტები....141

6.6.ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გაცნობის წესი....142

7. გამოხატვის თავისუფლება **147**

7.1.შესავალი 147

7.2.ჟურნალისტების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები 148

7.3.მედიის წარმომადგენელთა დაცულობა საანგარიშო წელს....150

7.4.პარლამენტში აკრედიტაციის წესი....152

7.5.გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის ხელშეწყობა 153

8.ინფორმაციის თავისუფლება **156**

9.შეკრების თავისუფლება....**159**

9.1.შესავალი 159

9.2.2023 წლის 7-9 მარტის აქციები 160

9.3.ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა მშვიდობიანი შეკრების მიმდინარეობისას....162

9.4.დროებითი კონსტრუქციების გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები 163
9.5.რადიკალური ჯგუფების მიერ ორგანიზებული კონტრშეკრებები და აქციები 164
10.უფლებადამცველები 166
11.საკუთრების უფლება 168
11.1.კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული მოსახლეობის საკუთრების უფლება 168
11.2.საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში 171
12.რწმენისა და რელიგიის თავისუფლება 174
12.1.შესავალი.....174
12.2.თავდაცვის კოდექსი.....175
12.3.სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები 179
12.4.სამშენებლო ნებართვების მოპოვების პრობლემა 179
13.თანასწორობის უფლება.....182
13.1.შესავალი.....182
13.2.ქალთა თანასწორუფლებიანობა.....182
13.3.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები 183
13.4.არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა წინაშე არსებული სისტემური გამოწვევები.....183
13.5.ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა.....184
13.6.დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში 185
13.7.დისკრიმინაციული მოპყრობა სერვისისა და მომსახურებების სფეროში 186
13.8.დისკრიმინაციის წახალისება 186
13.9. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება.....187
14.გენდერული თანასწორობა 192
14.1.შესავალი.....192
14.2.ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ეკონომიკური გაძლიერება.....192
14.3.ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 195
14.4.სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები 197
14.5.ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა.....199
14.6.ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება.....203
15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება.....209
16.გარემოს დაცვის უფლება 212
16.1.შოვის ტრაგედია.....212

16.2.მყინვარული ხეობების შესწავლა, ადრეული გაფრთხილების/განგაშის სისტემები 220
16.3.ტყის საფარი და არსებული გამოწვევები 221
16.4.ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგავლენა 224
16.5.ცხოველებთან დაკავშირებული გამოწვევები 226
16.6.აკუსტიკური ხმაურის კონტროლი 228
16.7.უფლება სუფთა ჰაერზე 230
16.8.გარემოზე ზემოქმედების სისტემა 232
17.ჯანმრთელობის უფლება 234
17.1.პაციენტის უფლებები 234
17.2.პირველადი ჯანდაცვა 235
17.3.სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის პრევენცია და კონტროლი 236
17.4.თამბაქოს კონტროლი 238
17.5.აღკვეთის სინდრომის მართვა 238
18.შრომის უფლება 241
18.1.საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი შრომის უფლების დარღვევის ფაქტები 242
19.სოციალური უზრუნველყოფის უფლება 245
19.1.მიზნობრივი სოციალური დახმარება 245
19.2.საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმება 246
19.3.სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა 247
20.სათანადო საცხოვრებლის უფლება 249
20.1.შესავალი 249
20.2.მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა 250
21.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები 254
21.2.ინკლუზიური განათლება 256
21.3.ზოგადი განათლება 257
21.4.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება 260
21.5.ჯანმრთელობის უფლება 261
21.6.ფსიქიკური ჯანმრთელობა 263
21.7.დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა 266
21.8.შშმ პირთა მიმართ ძალადობა 269
21.9.შშმ პირთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 270

22.ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 277
22.1.შესავალი 277
22.2.განათლების უფლება 278
22.2.2.ზოგადი განათლება 279
22.3.ბავშვთა დაცვა ძალადობისგან 283
22.4.ბავშვთა სიღარიბე 286
22.5.სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა 287
22.6.ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები 289
22.7.კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 291
23.ხანდაზმულთა უფლებები 296
23.1.შესავალი 296
23.2.ხანდაზმულთა სადღეღამისო მოვლის დაწესებულებების მონიტორინგის ძირითადი მიგნებები 298
23.3.ხანდაზმულთა მიმართ ოჯახში ძალადობა 299
23.4.ხანდაზმულთა კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ 301
24.ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია 304
24.1.შესავალი 304
24.2.ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა 305
24.3.წვდომა საჯარო სერვისებზე 309
24.4.განათლების უფლება 309
24.5.მედიის ხელმისაწვდომობა 317
25.იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა 322
25.1.დევნილთა განსახლება 323
25.2.სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება 324
26.ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა 326
26.1. შესავალი 326
26.2. ეკომიგრანტთა განსახლება 326
26.3. ეკომიგრაციის პრევენცია 328
27.თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 330
27.1.შესავალი 330

27.2.სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი 331
27.3.ინტეგრაცია....332
28.ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში **335**
28.1.შესავალი 335
28.2.საქართველოს თავდაცვის ძალები 335
29.ადამიანის უფლებათა სწავლება....**343**
29.1.შესავალი 343
29.2. ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა....344
29.3. სკოლამდელი განათლება 344
29.4. ზოგადი განათლება 346
29.5. უმაღლესი განათლება....349
30.2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობა **353**
დანართი - სახალხო დამცველის და აპარატის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული ვიზიტები **381**

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად.

ანგარიშში წარმოდგენილია 2023 წელს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2023 წელს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მასში გაანალიზებულია ის პრობლემებიც, რომლებიც მანამდე წარმოიშვა და საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ 4849 განცხადება შემოვიდა. მათ შორის, მხოლოდ 3017 განცხადება ექცეოდა სახალხო დამცველის საქმიანობის მანდატის ფარგლებში, ხოლო 1832 განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი. სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ 24 საათის განმავლობაში მიიღონ ინფორმაცია, ან განაცხადონ უფლებადარღვევის შესახებ. 2023 წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე 17567 ზარი შემოვიდა.

წინამდებარე ანგარიშში გამოვლენილი უფლებადარღვევების აღმოსაფხვრელად სახალხო დამცველის აპარატმა სახელმწიფო უწყებებს 79 რეკომენდაცია/წინადადებით მიმართა. 2023 წლის განმავლობაში მომზადდა 10 სპეციალური ანგარიში და 3 ალტერნატიული ანგარიში საერთაშორისო ორგანოებში წარსადგენად, 3 კონსტიტუციური სარჩელი, 23 სასამართლო მეგობრის მოსაზრება, და 3 კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის. უფლებადარღვევებისა და გამოწვევების გამოსავლენად და მათ შესასწავლად, სახალხო დამცველის აპარატმა სხვადასხვა დაწესებულებაში არაერთი ვიზიტი განახორციელა, რაც დეტალურად არის ანგარიშში მიმოხილული.

სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესავალში მოკლედ წარმოგიდგენთ ანგარიშის ძირითად მიგნებებს იმის თაობაზე, თუ რა საყურადღებო ტენდენციები გამოიკვეთა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, და რაც, საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან სათანადო და დროულ რეაგირებას.

2023 წელს, არაერთი მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, ჯერ კიდევ საჭიროებს ძალისხმევას გასაუმჯობესებლად.

2023 წელს განსაკუთრებით საგანგაშო იყო საოკუპაციო რეჟიმის მიერ თამაზ გინტურის მკვლელობა, რაც გამოძახილია იმისა, რომ ამ დრომდე დაუსჯელები არიან საქართველოს ოთხი მოქალაქის - დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილისა და ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობაში უშუალოდ მონაწილე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება. ასევე საგულისხმოა საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქის, თემურ კარბაიას სიცოცხლის ხელყოფის სავარაუდო ფაქტი. სიცოცხლის უფლების დარღვევასთან ერთად, სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქალაქეთა უკანონო

დაკავებებისა და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა. ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ ეძლევა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. კვლავ გრძელდება საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. საკუთრების უფლების დარღვევა ყოველდღიურ გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ოკუპაციის შედეგად საკუთარ ქვეყანაში დევნილად ქცეული მოსახლეობის უფლებების დაცვა კი უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან. 2023 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რადიკალურად შეიცვალა მანამდე არსებული სურათი, რადგან 2023 წლამდე დაბადებული დევნილების მიმართ სახელმწიფომ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება მოიხსნა. თუმცა მნიშვნელოვანია არა მარტო დადგინდეს იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც ჯერ კიდევ ელიან განსახლებას, არამედ დაიგეგმოს მათი გრძელვადიანი განსახლების პროცესიც, შემოიფარგლოს გარკვეული ვადით და ამ ვადაში მოხერხდეს მათი განსახლება. ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა ე.წ. ნგრევადი ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით სამწუხარო იყო შოვში მომხდარი ტრაგედია, რომელსაც 32 ადამიანი ემსხვერპლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე და სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. სახალხო დამცველის პოზიციით, მოცემულ საქმეზე აუცილებელია ეფექტიანი გამოძიების განხორციელება ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვით, ზედმიწევნით, კომპეტენტურად, გონივრულ ვადაში და გარდაცვლილთა ოჯახის წევრების ჩართულობით. გამოძიებამ უნდა შეისწავლოს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულების/შეუსრულებლობის, რისკის/საფრთხის შემცველი სიტუაციების რეგულაციის, პრევენციული და რეაქციული ღონისძიებების გატარების საკითხები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს სხვა ქვეყნის საექსპერტო დახმარება.

შოვში მომხდარმა ტრაგედიამ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გააჩინა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ ყოველწლიურ ბიულეტენებთან დაკავშირებით, რომლებშიც ასახულია სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და მომდევნო წლის პროგნოზები. თუმცა ამ ეტაპისთვის, გარემოს დაცვის სააგენტოს ეს ბიულეტენები საჯაროდ არ ქვეყნდება. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ღიაობისა და ხელმისაწვდომობის სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტები სტიქიური გეოლოგიური პროცესების თაობაზე, ყოველწლიურად საჯაროდ ქვეყნდებოდეს ელექტრონულად და დაინტერესებულ პირებს ადვილად მიუწვდებოდეთ მათზე ხელი.

შოვსა და შემდეგ გურიაში განვითარებული გეოლოგიური პროცესების ჭრილში, საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება სტიქიების შედეგად დაზარალებული და პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროების

წინაშე მყოფი ოჯახების რაოდენობაც. ქვეყნის მასშტაბით განვითარებული გეოლოგიური პროცესები მოითხოვს სისტემურ ანალიზს, შეფასებასა და შემდგომ რეაგირებას, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გატარებას არათანმიმდევრული ხასიათი აქვს, რაც არსებული გამოწვევების საპასუხოდ არასაკმარისია. გამოწვევად რჩება ეკომიგრანტთა განსახლებისთვის გამოყოფილი თანხების სიმცირეც. ასევე, ჯერ კიდევ არ დასრულებულა 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

სიღარიბე კვლავ ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ყველა უფლების რეალიზაციაზე ახდენს უარყოფით გავლენას და კიდევ უფრო ამძიმებს მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობას. 2023 წლის მარტის მონაცემებით, სოციალური შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 676 641-ს შეადგენდა, რაც დღემდე, პროგრამის მოქმედების პერიოდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

სახალხო დამცველი, წლებია, ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პრობლემაზე - ბავშვთა სიღარიბეზე. აღსანიშნავია, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 5,2%-ით გაიზარდა.

სიღარიბე უარყოფით გავლენას ახდენს ხანდაზმულთა უფლებების რეალიზაციაზეც. სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში ხანდაზმულთა პროცენტული წილი ყოველწლიურად იზრდება. ამასთანავე, მაღალია ხანდაზმულთა შორის სოციალურად დაუცველთა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა მაჩვენებელი. ამის გამო, ქვეყანაში ხანდაზმულები მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან.

ხანდაზმულთა უფლებების ჭრილში დადებითად უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა. მნიშვნელოვანია, რომ გარდა ხანდაზმულთა სოციალური კეთილდღეობისა, მათ შორის, აისახა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხანდაზმულთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, ხანდაზმულებზე ორიენტირებული დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების დანერგვის, ხანდაზმული პირების უფლებებზე ორიენტირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის გზით. გათვალისწინებულია ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი გამოვლენის, რეაგირებისა და პრევენციის საკითხებიც. მნიშვნელოვანია, რომ ამ დოკუმენტის თანახმად, 2017 წლის შემდეგ პირველად, ხანდაზმული პირების უფლებების ეფექტიანი დაცვისათვის დაბერების საკითხზე 2024-2025 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა შემუშავდება. ამის საჭიროებაზე სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, კვლავ არ არსებობს უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა. სახელმწიფოს ასევე არ აქვს უსახლკარო პირთა სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ქვეყანაში შეუსწავლელია უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები და მისი მასშტაბები, არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა. შესაბამისად, არ არსებობს უსახლკარობის პრევენციის მიზნით შემუშავებული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც

კვლევის კონკრეტულ შედეგებზე იქნებოდა დაფუძნებული. გამოწვევად რჩება სოციალური საცხოვრისების მდგომარეობა და იქ არსებული არასათანადო გარემო. ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური საცხოვრებლის მოწყობის მინიმალური სტანდარტები. ასევე, მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის უსახლკარო პირის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო და არაერთგვაროვანი განმარტება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისათვის კვლავ დიდი სამუშაოა გასაწევი. განსაკუთრებით საგულისხმოა შშმ პირთა ინკლუზიური განათლების ხარისხი და უწყვეტობა. გარდა ამისა, დღემდე არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და ასევე, სტანდარტები შშმ პირთა წვდომის უზრუნველსაყოფად ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებგვერდებზე, მობილურ აპლიკაციებზე. გარდა ამისა, პრობლემურია სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა და მათი ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა. შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს შორის რჩება ამ პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მათზე ეფექტიანი რეაგირება.

სამწუხაროდ, ენობრივი და ინფორმაციული ბარიერები ის უმთავრესი საკითხებია, რომლებიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, წლებია, აბრკოლებთ არაერთი მიმართულებით. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სრული სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ენის სწავლება გაძლიერდეს როგორც სკოლამდელი განათლების, ისე ზოგადი განათლების ეტაპზე. აუცილებელია გაიზარდოს ბილინგვური განათლების დანერგვის გეოგრაფიული არეალი, შემუშავდეს საჭირო ორენოვანი სახელმძღვანელოები და სხვ. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მეტი პოპულარიზაცია გაეწიოს სახელმწიფო ენის სწავლების იმ პროგრამას, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი და რომელსაც სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა უზრუნველყოფს. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირება ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებთან და სხვა საჯარო სერვისებთან, ისე ხელმისაწვდომ მედიაპროდუქტებთან დაკავშირებით. ეროვნული უმცირესობების სრულყოფილი სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვანია მათი კულტურის დაცვა და პოპულარიზაცია. თუმცა, სამწუხაროდ, სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რიცხვი კვლავ დაბალია.

2023 წელს არანაკლებ აქტუალური იყო კანონის უზენაესობის და სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

2023 წელი სხვადასხვა მასშტაბის, შინაარსისა და ფორმის მრავალი შეკრებით გამოირჩეოდა. რადიკალური ჯგუფების შეკრებების ფონზე, აქტუალური იყო მშვიდობიანი შეკრების სარგებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები, შეკრების ფორმისა და შინაარსის შეზღუდვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები, შეკრების დაშლის მიზნით განხორციელებული არაპროპორციული და, ზოგიერთ შემთხვევაში, არალეგიტიმური ღონისძიებები. კვლავ გამოიყენებოდა შეკრების

მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა. საერთო ჯამში საანგარიშო პერიოდში შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული რიგი გამოწვევები უცვლელი რჩებოდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, შეკრების თავისუფლებით სარგებლობა - კიდევ უფრო გართულებული.

შეკრებებისა და აქციების დროს მონაწილეთა დაკავება, დღევანდელ კონსტიტუციურ წესრიგთან შეუთავსებელ, 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ეფუძნება. სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს ახალი კოდექსის შემუშავების აუცილებლობაზე, რადგანაც საბჭოთა პერიოდის მოქმედი კოდექსი ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს. ამის ნათელი მაგალითია 2023 წლის 2-3 ივნისს პოლიციის მხრიდან ამ მოძველებული კანონმდებლობის საფუძველზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა დაკავების ფაქტები, რომლებთან მიმართებითაც სახალხო დამცველის აპარატმა ხუთ საქმეზე სასამართლოში მეგობრის მოსაზრება წარადგინა. სამწუხაროდ ეს საქმეებიც ადასტურებს, რომ ხშირად გამოხატვის თავისუფლებასა თუ შეკრების უფლების რეალიზაციაში ჩარევა მხოლოდ პროტესტის გამოხატვის შინაარსს ან/და ფორმას უკავშირდება, რაც სრულიად ეწინააღმდეგება შესაბამის ადამიანის უფლების დაცვის სტანდარტებს.

2023 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო პარლამენტის მხრიდან კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მკვეთრად ზღუდავდა შეკრება/მანიფესტაციების მონაწილეთა მხრიდან დროებითი კონსტრუქციების (მათ შორის, კარვის) აღმართვის შესაძლებლობას. ეს ინიციატივა, სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, ასევე უარყოფითად შეაფასა ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა. მათი შეფასებით, შეთავაზებული ცვლილებები შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო განსხვავებული პოლიტიკური აზრის დისკრიმინაციულად ჩასახშობად. დასკვნაში უარყოფითად შეფასდა კანონპროექტის დაჩქარებულად მიღების წესიც. კანონპროექტს, რომელიც პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო, ვეტო დაადო საქართველოს პრეზიდენტმა და ამ ეტაპზე კანონის მიღების პროცესი შეჩერებულია. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უარი თქვას კანონის მიღებაზე.

კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების საქმიანობისთვის შესაბამისი უსაფრთხო გარემოს არსებობა. ამავე დროს, ჟურნალისტების საქმიანობას აფერხებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი მოძველებული კანონმდებლობა, რომელიც არ უზრუნველყოფს უფლების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონტექსტში საგულისხმოა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული წესების ხარვეზიანობა. კერძოდ, კანონმდებლობით ცალსახად არ დგინდება, რა იგულისხმება წერილობით გაცნობის უფლებაში - აუცილებელია თუ არა მოქალაქეს წერილობითი შეტყობინება გაეგზავნოს, თუ საკმარისია, რომ წერილობით დოკუმენტს უშუალოდ პროკურატურაში გაეცნოს. გარდა ამისა, ბუნდოვანია ის საკითხიც, უნდა გაეცნოს თუ არა მოქალაქეს ფარული საგამოძიებო

მოქმედების შედეგად მოპოვებული ის ინფორმაცია, რომელიც არ არის კონკრეტული გამოძიებისთვის საინტერესო და სავალდებულოა მისი განადგურება და სხვ.

2024 წელს პირველად, ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება. ამასთანავე, კენჭისყრის პროცესში მასშტაბურად დაინერგება ელექტრონული ტექნოლოგიები. მომავალი საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და მშვიდობიან გარემოში ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციისთვის. ამდენად, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ წარსული სამწუხარო გამოცდილებისგან განსხვავებით, როგორც წინაასაარჩევნო პერიოდი, ასევე, კენჭისყრის დღე ადამიანის უფლებების ხელყოფის გარეშე წარიმართება და საარჩევნო პროცესებს მაღალი საზოგადოებრივი ნდობა ექნება. საქართველოს სახალხო დამცველი, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2024 წელს განაგრძობს საარჩევნო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზედამხედველობას.

სამწუხაროდ, ანგარიშის მზადების პერიოდისთვის პარლამენტს არ მიუღია ახალი სათანადო საკანონმდებლო რეგულაციები, რომლითაც მოწესრიგდებოდა ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის წესები, პასუხისმგებლობის საკითხები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

წლების განმავლობაში, უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. გასული წლების მსგავსად, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება დაწესებულებების გადატვირთულობა და არაფორმალური მეთოდებით მმართველობის ცალკეული შემთხვევები. ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის მაისში წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ad hoc ვიზიტით საქართველოს სპეციალურად ეწვია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესამოწმებლად. შემოწმების შედეგად, 2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა მიუთითა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მენეჯმენტსა და იერარქიის წარმომადგენელ პატიმრებს შორის ნებისმიერი კონფლიქტი თავდაპირველად არაფორმალურად, ადმინისტრაციის ფორმალურად გაფრთხილების გარეშე უნდა მოგვარებულიყო.

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში ასევე კვლავ პრობლემური იყო დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება, რაც, სახალხო დამცველის შეფასებით, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას უტოლდება. ასევე პრობლემური იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა და პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემო.

სამწუხაროდ, კვლავ გადაუჭრელია პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის მნიშვნელობაზეც სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს. კერძოდ, მოქმედი პრაქტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო ვერ ადგენენ ერთიან, განჭვრეტად და მკაფიო საფუძვლებს იმისა, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა. აუცილებელია დაიხვეწოს

ნორმატიული ბაზა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებს, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება.

ასევე საგულისხმოა, რომ სასჯელის გადასინჯვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის. სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის წინადადება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადის რამდენიმე წლით შემცირებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დაკავებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, 2023 წელს დაკავებული პირების ნაწილი კვლავ საუბრობდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. ცალკეულ შემთხვევებში კვლავ პრობლემურია დაკავებულებისთვის უფლებების განმარტება, ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა, ოჯახის ინფორმირება. გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. სამწუხაროდ, პოლიციის სივრცეები, სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეომეთვალურეობის სისტემებით სრულად კვლავ არ არის დაფარული. მეტიც, განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ წლიდან წლამდე მცირდება პოლიციის სამმართველოებსა და დეპარტამენტებში შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერების რაოდენობა.

არ შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები და უგულებელყოფილია მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები. მიუხედავად კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული უფლებისა, ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე პაციენტები საკუთარი ნებით სტაციონარს ვერ ტოვებენ. ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნებს არ შეესაბამება.

წლებია გადაუჭრელ პრობლემად რჩება დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. ეს აქტუალური საკითხია როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებების, ისე შშმ პირთა დაწესებულებების შემთხვევაში. კერძოდ, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტების ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ. აუცილებელია გაიზარდოს სათემო სერვისების რიცხვი და გეოგრაფიული დაფარვის არეალი. თუმცა, ამ ნაწილში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს თემში, ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში, რამდენიმე საოჯახო ტიპის სახლში დიდი ზომის დაწესებულებებიდან შშმ პირთა გადაყვანის პროცესი, თუმცა, ხარვეზებით წარიმართა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 18 წლის და მეტი ასაკის ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ნაწილი. კერძოდ, სენაკის ალტერნატიული საცხოვრისები, განსხვავებით დუშეთის საოჯახო ტიპის სახლებისაგან, არ არის თავსებადი დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკასთან და არ ემსახურება ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.

რაც შეეხება ქვეყანაში თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, საგულისხმოა, რომ მთლიანობაში 2023 წელს სახელმწიფოს, თანასწორობის პოლიტიკის და დაუცველი ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს, არ გაუმჯობესებულა არც პოლიტიკის დოკუმენტები, არც საკანონმდებლო რეგულირება და პოლიტიკოსებს თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არც ამ საანგარიშო პერიოდში გაუწევიათ ძალისხმევა თანასწორუფლებიანობის დასამკვიდრებლად.

2023 წლის 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის" ფესტივალის ირგვლივ განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლგბტ+ თემის დაცვა, ამ მასშტაბის ძალადობის და დისკრიმინაციის მხოლოდ საპოლიციო ძალების გამოყენებით შეჩერება შეუძლებელია და ხშირად - არასაკმარისიც. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა კომპლექსური, დროში გაწერილი და სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების გატარება, სხვადასხვა უწყების და ფართო საზოგადოების ჩართულობით.

რაც შეეხება ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას, ამ მხრივ, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ ქვეყანაში მოქმედი პროგრამები, წინა წლების მსგავსად, ვერც 2023 წელს უზრუნველყოფდა სათანადოდ ბავშვებისა და მათი ოჯახების გრძელვადიან მხარდაჭერასა და გაძლიერებას, შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრების მისაღწევად. აქვე, კვლავ მაღალი იყო მოსწავლეთა სწავლის მიტოვების, სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი. არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის სისტემის გამოწვევებს შორის, კვლავ საყურადღებოა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა, მათ შორის, თავად ბავშვებისა თუ ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება ბავშვთა უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთანავე, პრობლემურია ბავშვების მიმართ ძალადობის დროული გამოვლენა, ეფექტიანი, კოორდინირებული და ბავშვზე მორგებული რეაგირება. ამგვარი კომპლექსური რეაგირების არარსებობამ, შესაძლოა, ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანოს, რაც დასტურდება 2023 წელს, აითაჯის მკვლელობით.

სამწუხაროდ, 14 წლის აითაჯ შახმიროვას გენდერული ნიშნით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტი არ არის განყენებული შემთხვევა და ძალადობის პრევენციის, აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვის და დახმარების მიმართულებით არსებული ხარვეზების შედეგია. მომხდარი კიდევ ერთხელ ადასტურებს მუშაობის გაძლიერების საჭიროებას

პრევენციის მიმართულებით - დამოკიდებულებების გარდასაქმნელად, გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული ტრადიციებისა და მავნე პრაქტიკების აღმოსაფხვრელად. წლების განმავლობაში ნარჩუნდება გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) კუთხით არსებული გამოწვევები. 2023 წელს 24 ქალის მკვლელობისა და 27 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი გამოვლინდა.

პრობლემად რჩება ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა და გოგოების სათანადოდ დაცვა. გამოწვევაა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლების ეფექტიანი განხორციელება და სერვისებზე წვდომა. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ შესულა შესაბამისი ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესში. ასევე, კომპენსაციის მიმღები პირების რაოდენობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია საზოგადოების მეტად ინფორმირება ამგვარი შესაძლებლობის შესახებ.

რაც შეეხება რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი მიესალმება „პაციენტის უფლებების შესახებ" კანონში შესულ ცვლილებებს, რომლებიც, ადამიანის სისხლის ან მისი კომპონენტის ტრანსფუზიის პროცედურის გაწევისას, წერილობითი ინფორმირებული თანხმობის აუცილებლობას ადგენს. თუმცა, ამ დადებითი ცვლილების მიუხედავად, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში არსებული არაერთი გამოწვევა კვლავ სახეზეა. კვლავ უცვლელი ფორმით მოქმედებენ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები. გამოწვევად რჩება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების საკითხიც. სამწუხაროდ, დღემდე არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რომლის შედეგადაც სახელმწიფო საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა აღიწერებოდა და შეფასდებოდა.

როგორც წესი, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა დიდწილად დამოკიდებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველი/პასუხისმგებელი ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებაზე. სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მნიშვნელობაზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში მოქმედი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი გარანტიები. მათ შორის, მნიშვნელოვანია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. გარდა ამისა, აუცილებელია გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დარჩეს მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან დაკავშირებით, მისასალმებელია 2023 წელს განხორციელებული ცვლილება, რომლის თაობაზეც საქართველოს სახალხო დამცველმა

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში გასცა წინადადება საქართველოს პარლამენტის მიმართ. კერძოდ, მისასალმებელია, რომ ამ ცვლილების საფუძველზე, იზოლატორში მოთავსებულ პირთან, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დაიშვებიან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები.

რაც შეეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში სასამართლოს სისტემაში, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ დონეზე, კვლავ შენარჩუნებულია ხარვეზები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

ევროპის კავშირში ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, 2022 წლის 17 ივნისს სწორედ სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით მიიღო საქართველომ ყველაზე მეტი წინაპირობა ორგანიზაციის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, ხოლო 2023 წლის 8 ნოემბერს, საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შესახებ 9 პირობით გაცემულ რეკომენდაციათა შორის ერთ-ერთი კვლავ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებას ეხებოდა. ამ დოკუმენტში ევროკომისია სრულად ეყრდნობა ვენეციის კომისიის შეფასებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩატარებულა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი რეფორმა და მოუწოდებს ხელისუფლებას განახორციელოს შემდგომი უფრო ფართო, სასამართლო და საპროკურორო დაწესებულებების სრულ დამოუკიდებლობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობაზე მიმართული რეფორმები.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში მსჯელობა, მათ შორის, განვითარებულია ჯანმრთელობის უფლების ჭრილში არსებული გამოწვევების შესახებ. ამ მხრივ, 2023 წელი აღსანიშნავია იმით, რომ პირველად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების გავრცელების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების მონიტორინგი ჩაატარა და მოამზადა შესაბამისი ანგარიში, რაც მანდატის ფარგლებში ჯანმრთელობის უფლების დაცვაზე საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესების კიდევ ერთი მაგალითია.

საპარლამენტო ანგარიშში ასევე განვითარებულია მსჯელობა შრომის უფლებასთან დაკავშირებით. შრომის უფლების რეალიზაციის კუთხით, ქვეყანაში ერთ-ერთ პრობლემად რჩება კონსტრუქციული დიალოგის კულტურის დეფიციტი შრომითი ურთიერთობის მხარეებს შორის, რასაც, გასულ წელს, დასაქმებულთა გაფიცვის ბევრი შემთხვევა მოჰყვა. შრომის პირობების გასაუმჯობესებლად მუშაკებმა პროტესტის უკიდურეს ფორმებსაც კი მიმართეს.

შრომის უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით მისასალმებელია სამედიცინო სფეროში დასაქმებული პირების საათობრივი ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დაწესება, თუმცა, ქვეყანაში შრომის ღირსეული ანაზღაურების უფლების სათანადოდ უზრუნველსაყოფად კონკრეტულ სექტორში მინიმალური ანაზღაურების შემოღება საკმარისად ვერ ჩაითვლება. პრობლემად რჩება ციფრულ პლატფორმაზე დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებებით სარგებლობის საკითხი. ასევე, მოქმედი შრომის

კანონმდებლობით კერძო დამსაქმებელს დღემდე არ აქვს მშობლისთვის ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლისთვის შვებულების ანაზღაურების ვალდებულება.

სახალხო დამცველი ასევე მიესალმება ახალი თავდაცვის კოდექსის შემუშავებას, რომლის თანახმად, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა 2025 წლის 1 იანვრიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში და იმედოვნებს, რომ თითოეული ვადიანი სამხედრო მოსამსახურისთვის, რომელიც წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს 2025 წლის 1 იანვრამდე გაივლის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობები.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით არსებულ მდგომარეობას, ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ 2023 წელს განათლების მიმართულებით მთავარ გამოწვევად პოლიტიკის დოკუმენტებში ადამიანის უფლებათა საკითხების ფრაგმენტული ინტეგრირება რჩება. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ადამიანის უფლებათა სწავლების გაფართოებისკენ მიმართული აქტივობები მხოლოდ ზოგადი განათლების სისტემას მიემართება.

ასევე საგულისხმოა თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობაც. ამ ჭრილში აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს შეიცვალა თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში განთავსების წესები და პრიორიტეტი მეტად მოწყვლად თავშესაფრის მაძიებლებს ენიჭებათ. 2023 წელს შემუშავდა იმიგრანტთა ინტეგრაციის „ერთიანი მიდგომების დოკუმენტის“ სამუშაო ვერსიაც, თუმცა საბოლოოდ დამტკიცებული არ არის. არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა ინტეგრაციის პროგრამების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირების თვალსაზრისით. კერძოდ, სოციალურ ქსელში არ ახლდება ინფორმაცია საინტეგრაციო პროგრამებსა და აქტივობებზე, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებგვერდზე ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი, რაც, შესაძლოა, დაბრკოლება იყოს დაინტერესებული პირებისათვის.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი აფასებს წინა წელს მის მიერ სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. საქართველოს სახალხო დამცველმა 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ჯამში 281 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს 63 წინადადებით მიმართა. 281 რეკომენდაციიდან 263 რეკომენდაცია სახელმწიფო ორგანოებს მიემართებოდა. მათგან სრულად შესრულდა 11%, ნაწილობრივ შესრულდა 19.8%, არ შესრულდა 52.5%, უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძლით ვერ შეფასდა 6.5%, ხოლო ობიექტური მიზეზით ვერ შეფასდა 10.3%. რაც შეეხება 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიმართ გაცემული წინადადებების შესრულების მდგომარეობას, პრეზიდენტის მიმართ გაცემული 1 წინადადება სრულად შესრულდა, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს მიმართ გაცემული 63 წინადადებიდან 47 არ შესრულდა, 4 ნაწილობრივ, ხოლო 12 - სრულად შესრულდა.

1. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

2023 წელი კვლავ სირთულეებით აღსავსე იყო კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში აქტიური შეიარაღებული მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები, როგორც ქართველი, ისე ოსი და აფხაზი მოსახლეობა დღემდე მწვავედ განიცდის ომის დამანგრეველ შედეგებს.

განსაკუთრებით საგანგაშო იყო 2023 წელს საოკუპაციო რეჟიმის მიერ თამაზ გინტურის მკვლელობა.[1] ასევე საგულისხმოა, რომ დღემდე დაუსჯელები არიან 2014 წელს დავით ბაშარულის, 2016 წელს გიგა ოთხოზორიას და 2018 წელს არჩილ ტატუნაშვილის და 2019 წელს ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობაში უშუალოდ მონაწილე საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება.[2]

გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობის ფაქტები. მაგალითად, საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქის, თემურ კარბაიას სიცოცხლის ხელყოფის სავარაუდო ფაქტი.[3] პრობლემური საკითხია გახშირებული უკანონო პატიმრობის შემთხვევებიც.

ოკუპირებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება კვლავ ირღვევა, რის გამოც ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, მშობლებს უწევთ, მუდმივი საცხოვრებელი დატოვონ და შვილები ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში გადმოიყვანონ.

კვლავ გრძელდება საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. საკუთრების უფლების დარღვევა ყოველდღიურ გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

1.1. უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა

ოფიციალური მონაცემებით, 2023 წელს საოკუპაციო ხაზზე, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 37 პირი (აქედან, 35 კაცი და 2 ქალი), ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 26 პირი დააკავეს (აქედან, 15 კაცი, 5 ქალი და 6 არასრულწლოვანი).[4]

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 6 ნოემბრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/u1ivza > [20/02/2024].

[2] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2021 წლის 21 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც ცალსახად დაადასტურა რუსეთის ფედერაციის ეფექტიანი კონტროლი საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე და ადგილზე ადამიანის უფლებების დარღვევების გამო პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/tCVZ6> [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[3] „ძვლები, ნეკნები დამტვრეული აქვს", - ამბობს ოკუპირებულ გალში სასიკვდილოდ ნაცემი თემურ კარბაიას რძალი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/gCMN1 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[4] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2024 წლის 31 იანვრის №SSG72400021560 წერილი.

საოკუპაციო რეჟიმმა კიდევ უფრო დაამძიმა ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის პირთა დაკავებების უკანონო პრაქტიკა. წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც უკანონოდ დაკავებულების გათავისუფლება ადმინისტრაციული ჯარიმით შემოიფარგლებოდა, ბოლო წლებში გახშირდა გრძელვადიანი უკანონო პატიმრობის შემთხვევები. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო პატიმრობაში რჩება 8 მოქალაქე: ოკუპირებულ აფხაზეთში - ირაკლი ბებუა, ქრისტინე თაკალანძე, ასმათ თავაძე, ხოლო ოკუპირებულ ცხინვალში - ლაშა ხეთერელი, პეტრე კალაშნიკოვი, გიორგი მოსიაშვილი, დიტო კორინთელი და გიორგი მელაძე.[5] საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად არის ჩართული და იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლო ბერკეტს, რათა შეძლებისდაგვარად დაცული იყოს უკანონოდ დაპატიმრებულების უფლებები და უმოკლეს ვადაში მოხერხდეს მათი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაბრუნება.[6]

მოქალაქეთა უკანონო დაკავებებთან ერთად, სახალხო დამცველი, წლებია, თავის ყოველწლიურ ანგარიშებში საუბრობს ოკუპირებული ტერიტორიების დროებით იზოლატორებსა თუ საპყრობილეებში პატიმართა ცემის, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის და წამების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია 43 წლის თემურ კარბაიას შესახებ, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის პოლიციის თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს და მიყენებული ტრავმებით ის კლინიკაში გარდაიცვალა.[7] ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საჯარო განცხადება გაავრცელა.[8]

ასევე, 2023 წლის 10 ნოემბერს[9] გავრცელდა ინფორმაცია ლევან დოთიაშვილის ცემის შესახებ, რომელიც საოკუპაციო ძალების მიერ მოკლულ თამაზ გინტურთან ერთად იმყოფებოდა სოფელ კირბალის მიმდებარედ ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიასთან. სახალხო დამცველი პირადად ჩავიდა სოფელ კირბალში, სადაც თამაზ გინტურისა და ლევან დოთიაშვილის ოჯახის წევრებს შეხვდა.[10]

უკანონო დაკავებებთან და პატიმრობასთან დაკავშირებით, უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ, 2008 წლის ომამდე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი

---

[5] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2024 წლის 31 იანვრის №SSG72400021560 წერილი.

[6] სახალხო დამცველი ოკუპირებულ აფხაზეთში უკანონოდ დაპატიმრებული ირაკლი ბებუას ოჯახის წევრებს შეხვდა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/pLW36 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[7] „ძვლები, ნეკნები დამტვრეული აქვს", - ამბობს ოკუპირებულ გალში სასიკვდილოდ ნაცემი თემურ კარბაიას რძალი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/gCMN1 [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[8] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 10 დეკემბრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/dLOW7 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[9] ლევან დოთიაშვილი მოჰყვა, რა მოხდა კირბალის ეკლესიასთან. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/emAKU > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[10] სახალხო დამცველის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში - კირბალსა და ნიქოზში ჩავიდა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/fivT7 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

ადამიანის უფლებების დარღვევების გამო, პირველად დაადგინა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა.[11]

საქართველოს სახალხო დამცველი ყველა საერთაშორისო ფორმატს იყენებს, რათა საერთაშორისო საზოგადოებას მაქსიმალურად მიეწოდოს ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, თუმცა სახალხო დამცველის შეფასებით, უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაშვება და ვითარების ადგილზე შეფასება.

1.2.გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველი რამდენჯერმე იმყოფებოდა ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე[12] და პირადად გაეცნო ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსული მოსახლეობის საჭიროებებს.[13] სახალხო დამცველთან საუბრისას, მოსახლეობა მთავარ გამოწვევად, გადაადგილებისა და უსაფრთხოების საკითხებს ასახელებდა. კერძოდ, დე ფაქტო ორგანოების მიერ ხელოვნური მიზეზებით ე.წ. გამშვები პუნქტების არაპროგნოზირებად ჩაკეტვას, რითაც იზღუდება ადგილობრივ მკვიდრთა თავისუფალი გადაადგილება.

საყურადღებოა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გადაადგილებაზე დაწესებული ხელოვნური შეზღუდვები უმეტესად დღესასწაულებს ემთხვევა. 2023 წლის 7 აპრილს (ხარებას) ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, დაკეტილი იყო, როგორც ენგურის ხიდზე არსებული, ისე საბერიო-ფახულანის ე.წ. გამშვები პუნქტები, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველმა საჯარო განცხადება გაავრცელა.[14]

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეებს, რომელთაც რუსული პასპორტი არ აქვთ და მხოლოდ დე ფაქტო დოკუმენტაციებით გადაადგილდებიან,[15] 2024 წლის 1 მარტიდან რუსეთში შესვლაზე უარს ეუბნებიან.[16] ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რუსულ

---

[11] სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ტერიტორია რუსეთის მიერ ოკუპირებული 2008 წლის აგვისტოს ომამდეც იყო და რუსეთი სრულად არის პასუხისმგებელი ადამიანის უფლებების დარღვევებზე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/dhz57 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[12] სახალხო დამცველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/itzZ9 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[13] 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/einA4 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[14] სახალხო დამცველის განცხადება ენგურის ხიდის და საბერიო-ფახულანის ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვასთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/wKQW4 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[15] ამ დრომდე, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეები თავისუფლად შედიოდნენ და ტოვებდნენ რუსეთის ფედერაციას დე ფაქტო პასპორტებით, რუსეთის სასაზღვრო სამსახურები სამიგრაციო ბარათს გასცემდნენ და არ მოითხოვდნენ რუსეთის პასპორტს.

[16]რუსი მესაზღვრეები რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზურ მონაკვეთზე კონტროლს ამკაცრებენ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/eBO24 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

გვარდიას ეძლევა სრული უფლებამოსილება, გააკონტროლოს ოკუპირებული აფხაზეთი და დაიცვას სამოქალაქო წესრიგი.[17] ასევე, საანგარიშო წელს, სოხუმის აეროპორტი[18] და ბიჭვინთის აგარაკები რუსეთს ფაქტობრივ საკუთრებაში გადაეცა.[19]

სახალხო დამცველის შეფასებით, ეს ფაქტები კიდევ ერთხელ მიუთითებს რუსეთის ფედერაციის განგრძობად პრაქტიკაზე, რომელიც სხვადასხვა ბერკეტის გამოყენებით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებზე კონტროლის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

რაც, შეეხება ოკუპირებულ ახალგორს, დადებითად უნდა შეფასდეს 2022 წელს ე.წ. გამშვები პუნქტის გახსნა, რომლითაც 2019 წლის 4 სექტემბრამდე[20] ყოველდღიურად 400-მდე ადამიანი სარგებლობდა.[21] თუმცა, წინა წლის მსგავსად, დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ყოველი თვის 20-დან 30 რიცხვამდე (თვეში მხოლოდ 10 დღით) იხსნება ე.წ. გამშვები პუნქტი. ამ საკითხს სახალხო დამცველი 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც განიხილავს.[22]

გადაადგილების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებით. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი[23] ადგენს, რომ თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როცა აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.[24] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად, ოკუპანტმა ძალამ, მოსახლეობის მიმართ კონტროლის და უსაფრთხოების მხოლოდ ისეთი ზომები უნდა გაატაროს, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის გამო გახდა საჭირო.[25]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ, გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული თვითნებური შეზღუდვები, ხელს უშლის ადგილობრივ მოსახლეობას, ისარგებლოს სხვადასხვა უფლებით, მათ შორის, თავისუფლების, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებითა და რელიგიის თავისუფლებით. დაწესებული შეზღუდვების

---

[17] ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი: <https://shorturl.at/mtwY7>[ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[18] სოხუმის აეროპორტის ტერიტორიაზე ძველი შენობების დემონტაჟი დაიწყეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/jlms1 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[19] სოხუმს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბიჭვინთის აგარაკის გამო ნოტა გაუგზავნა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/ajlS7 > [ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[20] ვითარება 2019 წლის აგვისტოს ბოლოდან დაიძაბა, მას შემდეგ, რაც საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს ხელისუფლებისგან ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან გახსნილი პოლიციის საგუშაგოს აღება მოითხოვა.

[21] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის წერილი №SSG 6 20 00131318.

[22] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/lyMP1>[ბოლოს ნანახია 20/02/2024].

[23] რომლის მონაწილე მხარეები რუსეთი და საქართველოც არიან.

[24] მე-12.3 მუხლი, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.

[25] 27-ე მუხლი, ჟენევის კონვენცია IV.

შედეგად, ოკუპირებული გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, შესაძლოა, ეტაპობრივად დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი სახლები, რაც ეთნიკურ წმენდას გამოიწვევს.

რაც შეეხება დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ ეტაპზე, ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე გადაადგილება შესაძლებელია შემდეგი დოკუმენტაციით: 1) დე ფაქტო (ახალი) პასპორტი;[26] 2) ე.წ. ბინადრობის მოწმობა; 3) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობა; 4) ქართული პასპორტით იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე.წ. ვიზა).[27]

2023 წლის მდგომარეობით, ოკუპირებულ გალში 3084 ე.წ. ბინადრობის მოწმობა გაიცა.[28] გალში მცხოვრებთა დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს. ბინადრობის მოწმობას მკაცრი კრიტერიუმები და 5-წლიანი ვადა აქვს, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ, შესაძლოა, დამატებითი ზეწოლის მექანიზმადაც გამოიყენონ. გარდა ამისა, ის არ ანიჭებს ამ დოკუმენტის მქონე პირს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ოკუპირებული ახალგორის შემთხვევაში, გადაადგილებისათვის აუცილებელია ე.წ. „საშვი", რომელსაც დე ფაქტო უშიშროების სამსახური გასცემს და რომელიც ფორმალურად ერთწლიანია. ახალი საშვის აღება კი გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული.[29] სახალხო დამცველის წარმომადგენელი აქტიურად განაგრძობს გადაადგილების თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლას და მონიტორინგს ახორციელებს ე.წ. გამშვებ პუნქტებზე, ორივე ოკუპირებული რეგიონის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული საბუთები არ არის საქართველოს ან საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სამართლებრივი დოკუმენტი, მათი ფლობა ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ძირითადი უფლებებით სარგებლობასთან არის დაკავშირებული.

1.3.განათლების უფლება

მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიებზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს გამოწვევად რჩება. ოკუპირებული გალისა და ახალგორის ყველა სკოლაში, დაწყებით კლასებში სრულად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება და მშობლიური ენა, უცხო ენისა და ლიტერატურის საგნად გადაკეთდა.

წლიდან წლამდე იკლებს მოსწავლეების რაოდენობა ოკუპირებულ გალში. 2023-2024 სასწავლო წლის მონაცემებით, ოკუპირებული გალის რაიონში 30 სრული

[26] ძველი დე ფაქტო პასპორტები 2014 წელს ჩამოერთვათ.

[27] 2016 წელს მიღებული ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო კანონი, რომელიც არეგულირებს „აფხაზეთის რესპუბლიკაში შესვლისა და გასვლის შესახებ" წესებს.

[28] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2024 წლის 19 თებერვლის წერილი NGOV076.

[29] სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრისას, ოკუპირებული ახალგორიდან გადმოსული ადამიანები ამბობენ, რომ ე.წ. საშვის აღება 500 ლარამდე ღირს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა ფუნქციონირებს. სკოლებში, 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით, 3443 მოსწავლე ირიცხება.[30] მათი რიცხვი 2021-2022 სასწავლო წლის მონაცემებით 3770 იყო.[31] 30-ვე სკოლაში დასაქმებულია 957 მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი. საბავშვო ბაღებში ირიცხება 500-მდე აღსაზრდელი.[32] 2022-2023 წლებში ეს რიცხვი 533-ს შეადგენდა.[33]





[30] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2024 წლის 31 იანვრის №MES 2 24 0000091227 წერილი.
[31] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/lyMP1 [20/02/2024].
[32] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2024 წლის 31 იანვრის №MES 2 24 0000091227 წერილი.
[33] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/41tHtQC

შეიარაღებულ კონფლიქტებამდე, ოკუპირებული გალის რაიონში ფუნქციონირებდა 58 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელთაგან რუსული იყო ორი სკოლა,[34] რუსულ-ქართული - სამი, ხოლო ქართულ-აფხაზური - ერთი. დანარჩენ 52 სკოლაში სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლებში ირიცხებოდა 13 180 მოსწავლე.[35]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოკუპირებული გალის რაიონში პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხიც. იქიდან გამომდინარე, რომ მათ ეკრძალებათ ქართულად გაკვეთილის ჩატარება, სამსახურში აჰყავთ არა პედაგოგიური კვალიფიკაციისა და გამოცდილების, არამედ რუსული ენის ცოდნის მიხედვით. მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული განათლების მქონე კადრების ჩანაცვლება სოხუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდებით. კვლავაც კატეგორიულად იკრძალება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება. ნაცვლად ამისა, ასწავლიან რუსულ ენაზე დაბეჭდილ აფხაზეთის ისტორიას, რუსი ავტორების მიერ შექმნილ რუსეთის ისტორიას. სასკოლო ბიბლიოთეკებში აკრძალულია ქართული ენციკლოპედიებისა თუ კლასგარეშე საკითხავი სხვადასხვა ლიტერატურის შენახვა-გამოყენებაც.[36]

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე მასწავლებლების პროფესიული გადამზადებისა და განვითარების მნიშვნელობაზე. ამ კუთხით, 2023 წელი დადებითად უნდა შეფასდეს. საანგარიშო პერიოდში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან 445 მასწავლებელი გადაამზადა.[37]

რაც შეეხება ოკუპირებულ ახალგორს, ამ ეტაპზე, ფუნქციონირებს მხოლოდ 6 ქართული სკოლა. აქედან, 5 სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლა მიმდინარეობს მხოლოდ მე-11 კლასში. დანარჩენ შემთხვევაში ქართული ენა ისწავლება, როგორც უცხო ენის საგანი. 2023 სასწავლო წლის მონაცემებით, ახალგორის ქართულ სკოლებში, ჯამურად 36 მოსწავლე ირიცხება და 91 პედაგოგია დასაქმებული.[38] 2022 წელს 53 მოსწავლე და 108 პედაგოგი იყო. ყოველივე ეს მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებაზე მიუთითებს.

[34] გალის №1 და გინძე ეწერის საშუალო სკოლები.

[35] აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს გალის რესურსცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. 2024 წლის იანვარი.

[36] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2024 წლის 31 იანვრის №MES 2 24 0000091227 წერილი.

[37] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის №MES924 0000081216 წერილი.

[38] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი 2024 წელი.

სახალხო დამცველის შეფასებით, მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც მოსწავლეთა ქართული ენის ცოდნაზე, ისე განათლების ხარისხზე. არსებული რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლების პროაქტიული ქმედებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსწავლეებისა და აბიტურიენტების უფლებების დასაცავად, მათ შორის, განათლების უფლების კონტექსტში, ვინაიდან დღეს არსებული მდგომარეობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების შესაძლებლობებს.

1.4.ჯანმრთელობის დაცვის უფლება

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუმართავი სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, მედპერსონალის კვალიფიკაცია, ასევე პაციენტთა გართულებული გადაადგილება ე.წ. გამშვებ პუნქტებზე, კვლავ გამოწვევად რჩება.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა სამედიცინო დახმარების მიღებას ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა ცდილობს. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სახელმწიფო პროგრამები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

2023 წლის განმავლობაში, „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან 1552 პაციენტი დაფინანსდა, მათგან, 1257 პირი ოკუპირებული აფხაზეთიდან და 295 - ოკუპირებული ცხინვალიდან.[39]

[39] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 8 თებერვლის №100040372200699805 წერილი.

რაც შეეხება, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას (დიაგნოსტიკა, მკურნალობა), 2023 წლის მონაცემებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა ნეიტრალური დოკუმენტის მქონე 13-მა პირმა ისარგებლა.[40]

ჯანმრთელობის დაცვის უფლება არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით არის აღიარებული. ყველა ადამიანს აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.[41] ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ასევე მოიცავს ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობას და იგი ადამიანის აბსოლუტური უფლება და შესაბამისად სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს.

1.5.საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა მოინახულა როგორც შიდა ქართლის, ისე სამეგრელოს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლები და პირადად გაეცნო ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს.[42]

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის მიერ განხორციელებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა ისევ მძიმედ განიცდის ომისგან მიყენებულ ზიანს. ეს განსაკუთრებით ეხება შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებს, რომელთაც პირდაპირ შეეხოთ 2008 წლის შეირაღებული მოქმედებები.

უკანონო, ე.წ. ბორდერიზაციით გამოწვეული საკუთრების უფლების დარღვევა ყოველდღიურ გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის. საოკუპაციო რეჟიმი ცდილობს, ეს უკანონო პროცესი ე.წ. სახელმწიფო საზღვრის მოწყობად წარმოაჩინოს და ოკუპირებული რეგიონები ე.წ. დამოუკიდებელ სუბიექტებად დაამკვიდროს. 2008 წლიდან დღემდე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ 56 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები, ღობეები და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერია გავლებული, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ხელოვნური ბარიერების სიგრძე 49 კმ-ს აღემატება.[43]

სახალხო დამცველთან შეხვედრისას, ადგილობრივმა მოსახლეობამ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, სასმელ წყალზე,[44] ბაზრებზე,[45] აფთიაქებსა და სამედიცინო

---

[40] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 8 თებერვლის №100040372200699805 წერილი.

[41] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-12 მუხლი.

[42] 2023 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველი იმყოფებოდა საოკუპაციო ხაზთან მდებარე 14 სოფელში: ზემო ნიქოზი, გუგუტიაანთკარი, ზარდიანთკარი, ერგნეთი, კირბალი, ჭვრინისი, ჩორჩანა, ოძისი, მიქელიანი, პერევი, ქარძმანი, რუხი, ხურჩა და ფახულანი.

[43] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2023 წლის 1 აგვისტოს №SSG52300174326 წერილი.

[44] სახალხო დამცველთან შეხვედრისას, სოფელ ჩორჩანასა და ოძისის მოსახლეობამ ერთ-ერთ პრობლემად სასმელი წყლის საკითხი დაასახელა.

[45] სახალხო დამცველთან საუბრისას მოსახლეობამ ერგნეთის ბაზრის დახურვაზე გაამახვილა ყურადღება. მათი განმარტებით, ეს ბაზარი მხოლოდ ვაჭრობას არ ემსახურებოდა და დიდ როლს ასრულებდა ხალხთაშორის ურთიერთობების გაღრმავებაში/შენარჩუნებაში. იმ დროისთვის ისინი იმ

სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა დაასახელა. მოსახლეობამ ასევე გაამახვილა ყურადღება მესაქონლეობისა და საძოვრების, საირიგაციო წყლის, მიწის რეგისტრაციის, გზების ხარისხის, მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის,[46] სპორტული მოედნების,[47] საგანმანათლებლო დაწესებულებების და საზოგადოებრივი ცენტრების აშენება-რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის უდიდესი პრობლემაა ფიზიკური უსაფრთხოება. მცოცავი ოკუპაციის პირობებში, მოსახლეობის ნაწილმა არ იცის სად გადის ე.წ. სასაზღვრო ხაზი და ხშირია შემთხვევები, როცა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის" დარღვევის ბრალდებით აკავებენ ადამიანებს.

კვლავ პრობლემაა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია/კომპენსაციის პროცესის დასრულება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის წყაროს მოძიება.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, ამ სოფლებში მაღალია შიდა მიგრაციის მაჩვენებელი. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო მეტ ყურადღებას უთმობდეს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ ადამიანებს და ხელს უწყობდეს მათ.

1.6.ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად აკვირდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები პირების, განსაკუთრებით, ქალებისა და გოგოების უფლებრივ მდგომარეობას. ამ მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში 35 შეხვედრა გამართა,[48] რომელშიც მონაწილეობა მიიღო 196-მა ქალმა.

შეხვედრებზე ქალებმა არაერთი გამოწვევა დაასახელეს. მათი თქმით, პრობლემად რჩება მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე თუ მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში; ასევე, ინფორმაციის ნაკლებობა აგრო და მცირე ბიზნესში ჩართვის შესახებ.

მოსახლეობასთან აწარმოებდნენ სავაჭრო ურთიერთობებს, ვინც ამ ეტაპზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მიღმაა დარჩენილი.

[46] სოფელ ერგნეთში მოსახლეობამ ერთ-ერთ გამოწვევად მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა დაასახელა.

[47] შეხვედრა სოფელ ერგნეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2023 წლის 8 ნოემბერის № MES 8230001515961 წერილით გვეცნობა, რომ ეს საკითხი სამომავლო სამოქმედო გეგმაში განიხილება.

[48] გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: კოშკა, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი, კარბი, ციცაგიანთკარი, ახალუბანი. კასპის მუნიციპალიტეტის სოფლები: ბოჟამი, ხვითი, საკორინთლო, ვაკე, პანტიანი, კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები: ღოღეთი, თამარაშენი, საციხური, აბანო, კოდა; საჩხერის მუნიციპალიტეტი: სოფელი პერევი, ქარძმანი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფელი რიყე, კოკი, განმუხური, მუჟავა, ოლორი, ნაშამგუ, ორსანტია, შამგონა, ტყაია; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭალე, ფოცხო ეწერი, ეწერფერდი.

უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების კუთხით არსებული მდგომარეობა, რაც გამოიხატება კონტრაცეპტივებზე, სამშობიარო სახლებზე გართულებულ წვდომაში, მათ შორის, ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონში აბორტის სერვისის მიღების სრულ აკრძალვაში. რის გამოც ქალები არაერთ არასამედიცინო ხერხს მიმართავენ არასასურველი ორსულობის შესაწყვეტად, რაც შემთხვევის ფატალურად დასრულების მაღალი რისკის მატარებელია.

პრობლემური საკითხია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის სამშობიარო სახლებზე და გინეკოლოგთან ხელმისაწვდომობა.[49] საკმაოდ დიდი მანძილის გავლა უწევთ მათ ამ სერვისის მისაღებად, რაც, თავისთავად დაკავშირებულია დროის, გადაადგილებისა და ფინანსურ პრობლემებთან.

განსაკუთრებით საგანგაშოა მდგომარეობა ანტენატალური უფასო სერვისების რაოდენობისა და სარგებლობის თვალსაზრისით.[50] სოფლებში უმეტესობაში არ აქვთ ინფორმაცია უფასო სკრინინგ ცენტრებზე. იმ სოფლებში, სადაც ტარდება გამოკვლევები, ქალების ჩართულობა ძალიან დაბალია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ადგილობრივ ქალებთან უფრო მეტი შეხვედრის გამართვაა საჭირო ამ საკითხების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და გოგოები, გენდერული ნიშნით ძალადობის რისკის წინაშე დგანან. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, გენდერული ნიშნით, მათ შორის, სექსუალური ძალადობის საკითხებზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ცნობიერების ამაღლების შეხვედრები გამართოს.[51]

რიგ სოფლებში,[52] ქალების თქმით, საკმაოდ ხშირია ოჯახში ძალადობა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, თუმცა მოსახლეობა არ მიმართავს სამართალდამცავ უწყებას, თავად ცდილობენ კონფლიქტის მოგვარებას. ქვეყანაში არსებული ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების მიუხედავად, ადგილობრივი ქალების თქმით, სერვისები არ არის გრძელვადიანი და ქალების გაძლიერებაზე მორგებული, რომ შეძლონ მომავალში შვილებთან ერთად დამოუკიდებლად ცხოვრება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო ფორმატის გამოყენებით, რათა საოკუპაციო რეჟიმებმა, საოკუპაციო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო

[49] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალედან ქალებს ზუგდიდში უწევთ სერვისის მიღება. შამგონა, ფოცხო ეწერი, ტყაია, რიყე, ორსანტია, ოლორი, მუჟავა, ეწერფერდი, განმუხური, კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა, კარბი, ცვითი, ბოჟამი.

[50] ჭალე, ფოცხო ეწერი, რიყე, ოროლი, მოწოდებული ინფორმაციით, მათ მიიღეს მხოლოდ 3-4 უფასო სერვისი, დანარჩენი ფასიანია. კოკი, ეწერფერდი, განმუხური, კოშკა, სოფელ მუჯშავიდან ქალების ინფორმაციით, ყველა კონსულტაცია/ვიზიტი იყო ფასიანი.

[51] საქმიანობა 2.1.1; 2.1.2.

[52] შამგონა, ორსანტია, ოლორი, ტყაია.

შეზღუდვების მოხსნის გზით და ე.წ. გადასასვლელების შეუფერხებელი მუშაობით, დაიცვან მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება;

- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას საერთაშორისო მონიტორების სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს:

- პარტნიორულ უწყებებთან თანამშრომლობით რეგულარულად მართოს შეხვედრები საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გამართოს შეხვედრები სოფლად მცხოვრებ ქალებთან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფასო პროგრამების შესახებ.

2.სიცოცხლის უფლება

2.1.შესავალი

სიცოცხლის უფლებისა და მისგან მომდინარე ვალდებულებების დაცვის მხრივ, ერთ-ერთ პრობლემად რჩება, აპარატის მიერ შესწავლილ, სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეებზე გამოძიების არაეფექტიანად წარმართვა. შესაბამისად, კვლავ აქტუალურია სახალხო დამცველის აპარატის მანდატის გაფართოების საჭიროება, რათა აპარატს მიენიჭოს არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების დასრულებამდე გამოძიების მასალების გაცნობის უფლებამოსილება.

წინამდებარე თავში განხილულია: სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა ოკუპაციის კონტექსტში, გამოძიება შოვის ტრაგედიის საქმეზე, რეაგირება ფემიციდის შემთხვევებზე, სიცოცხლის უფლების ხელყოფის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიებები, სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

2.2.სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა ოკუპაციის კონტექსტში

სამწუხაროდ, რუსულმა ოკუპაციამ 2023 წელსაც იმსხვერპლა საქართველოს მოქალაქეები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, 2023 წლის 6 ნოემბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან რუსმა სამხედროებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური.[53] 2023 წლის 10 დეკემბერს, კიდევ ერთხელ გავრცელდა ინფორმაცია საოკუპაციო ძალების მხრიდან საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის ხელყოფის სავარაუდო ფაქტის შესახებ. კერძოდ, ოკუპირებული გალის რაიონში საქართველოს მოქალაქეს, თემურ კარბაიას, საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. მილიციის თანამშრომლებმა, სავარაუდოდ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს, რის შედეგადაც საქართველოს მოქალაქე საავადმყოფოში გადაყვანისთანავე გარდაიცვალა.[54]

სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო თამაზ გინტურის მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის შესწავლა,[55] რომლის ფარგლებშიც საგამოძიებო უწყებებიდან ინფორმაცია გამოითხოვა.[56] მოპოვებული ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების (შესაძლო) ფაქტებზე.[57] საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება და

---

[53] კირბალთან მოკლული თამაზ გინტური გორის საკრებულოს წევრის ძმაა, იხ.: < https://shorturl.at/hlow8 >[ბოლოს ნანახია - 14.02.2024].

[54] სახალხო დამცველის განცხადება ოკუპირებული ძალების მხრიდან საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის ხელყოფის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, იხ.: < https://shorturl.at/pBJU1 > [ბოლოს ნანახია 10.03.2024].

[55] ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[56] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 ნოემბრის №15-10/11428 და 8 დეკემბრის №15-10/11939 წერილები.

[57] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

გამოძიება ამ დრომდე გრძელდება.[58] დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია თამაზ გინტურის შვილი, თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტთან დაკავშირებით კი დაზარალებულად ცნობილია ლ. დ.[59]

თამაზ გინტურის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, რომელიც ეფექტიან კონტროლს ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ადამიანის უფლების მორიგი უმძიმესი დარღვევის ფაქტი გამოძახილია იმისა, რომ ამ დრომდე დაუსჯელები არიან საქართველოს ოთხი მოქალაქის: დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილისა და ირაკლი კვარაცხელიას მკვლელები, რაზეც პასუხისმგებლობა ასევე რუსეთის ფედერაციას ეკისრება.[60] ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2023 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება გიგა ოთხოზორიას საქმეზე[61] და რუსეთის ფედერაცია ცნო მის მკვლელობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოდ. ევროპულმა სასამართლომ საქმეში დაადგინა რუსეთის მიერ სიცოცხლის უფლების არსებითი და პროცედურული დარღვევა.[62] გარდა ამისა, სასამართლომ სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების კონტექსტში სახელმწიფოთა შორის დახმარების მოთხოვნისა და გაწევის ვალდებულებაზე, ხოლო ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობისას - თანამშრომლობის არაფორმალური ან არაპირდაპირი არხების გამოყენებაზეც იმსჯელა.[63]

შესაბამისად, **საქართველომ შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები უნდა გამოიყენოს, რათა პასუხი გასცეს თავისი მოქალაქეების მკვლელობის ფაქტებს.** ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ თამაზ გინტურის მკვლელობის საქმე, 2024 წლის 13 თებერვალს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგნეთში გამართულ შეხვედრაზე (ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 117-ე შეხვედრა) განიხილეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით,[64] შეხვედრაზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააყენეს მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ სამართლის დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი, თუმცა რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთის საოკუპაციო ძალა არ აპირებს მკვლელობის ჩამდენი პირის/პირების დასჯას და სამართლის აღსრულებას. ამასთანავე, მითითებულია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობს სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში თამაზ გინტურის მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ სამართლის აღსრულების მოთხოვნას, რაც მისასალმებელია.

---

[58] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 4 დეკემბრის MIA 8 23 03563326 წერილი.

[59] გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის №13/84736 წერილი.

[60] სახალხო დამცველის განცხადება სოფელ კირბალის მიმდებარედ, საქართველოს მოქალაქის მკვლელობისა და ერთი მოქალაქის უკანონოდ დაკავების შესახებ, იხ.: < https://shorturl.at/axIM0 > [ბოლოს ნანახია 10.03.2024].

[61] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ", საჩივარი № 3963/18, იხ.: < https://shorturl.at/mpvV1 > [ბოლოს ნანახია 14.02.2024].

[62] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ", საჩივარი № 3963/18, იხ.: < https://shorturl.at/mpvV1 > [ბოლოს ნანახია - 14.02.2024].

[63] იქვე, §115-117.

[64] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის 21 თებერვლის SSG 8 24 00040100 წერილი.

2.3.შოვის ტრაგედიის საქმეზე მიმდინარე გამოძიება

სამწუხაროდ, 2023 წელს შოვში მეწყერმა 32 ადამიანი იმსხვერპლა.[65] შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,[66] გამოძიება დაიწყო ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე და სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.[67] სამინისტროს თანახმად, ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, გამოკითხვები და ა.შ.). გენერალური პროკურატურის განმარტებით,[68] საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია 32 გარდაცვლილი პირის 22 ახლო ნათესავი. დაზარალებულის უფლებამონაცვლეების ადვოკატები, მოთხოვნის შესაბამისად, ეცნობიან სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. ექსპერტიზის ბიუროს, სტიქიასთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად, გამოძიების წინაშე ექსპერტიზის პროცესში უცხო ქვეყნის წარმომადგენელების ჩართვის საკითხი არ დაუსვამს. შესაბამისად, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შუამდგომლობით უცხო ქვეყნისთვის არ მიუმართავთ.

სახალხო დამცველის პოზიციით, მოცემულ საქმეზე აუცილებელია ეფექტიანი გამოძიება ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვით, ზედმიწევნით, კომპეტენტურად, გონივრულ ვადაში და გარდაცვლილთა ოჯახის წევრების ჩართულობით. გამოძიებამ უნდა შეისწავლოს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულების/შეუსრულებლობის, რისკის/საფრთხის შემცველი სიტუაციების რეგულაციის, პრევენციული და რეაქციული ღონისძიებების გატარების საკითხები, ხოლო საჭიროებისას გამოიყენოს სხვა ქვეყნის საექსპერტო დახმარება.

მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ, **შესაძლოა, იკვეთებოდეს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა.** კერძოდ, **გამოძიებამ უნდა შეისწავლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შოვში სამაშველო ოპერაციის დროულად და ადეკვატურად დაგეგმვის, მართვის და განხორციელების საკითხი, ხოლო გამოძიების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს სამინისტროს მიერ საკუთარი საქვეუწყებო დაწესებულების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის გამოძიება.**

საქმის სრულყოფილად შესასწავლად, სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამონაკლისო წესით საქმის მასალების გაცნობის თხოვნით მიმართა.[69] აპარატს სამინისტროს 2024 წლის 22 მარტის წერილით ეცნობა, რომ სამინისტრო

---

[65] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 თებერვლის №13/10446 წერილი.

[66] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 28 სექტემბრის NMIA52302833838 და 2023 წლის 17 ნოემბრის NMIA42303387742 წერილები.

[67] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 და 240-ე მუხლის მე-2 ნაწილები.

[68] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 თებერვლის №13/10446 წერილი.

[69] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 4 დეკემბრის №15-5/11743 წერილი.

მზადყოფნას გამოთქვამს მისცეს დაშვება აპარატის წარმომადგენლებს საქმის მასალების ელექტრონული ვერსიის გასაცნობად.[70] შესაბამისად, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატი შეძლებს გამოძიების ეფექტიანობის შეფასებას.[71]

2.4.ფემიციდი - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების შემთხვევები

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით[72], 2023 წელს[73] გამოვლენილი 24 ქალის მკვლელობის ფაქტიდან, 16 - ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 8 კი - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით არის ჩადენილი.[74] ქალის მკვლელობის მცდელობის გამოვლენილი 27 შემთხვევიდან[75] 20 - ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, ხოლო 7 - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით. საერთო სტატისტიკური მონაცემიდან, პროკურატურამ ფემიციდი გამოკვეთა 9 შემთხვევაში, ხოლო ფემიციდის მცდელობა - 14 შემთხვევაში.[76]

მიმდინარე საანგარიშო წელს, განსაკუთრებით მძიმე იყო 14 წლის აითაჯ შახმიროვას გენდერული ნიშნით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტი.[77] ეს შემზარავი მკვლელობა არ არის განყენებული შემთხვევა და ძალადობის პრევენციის, აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვის და დახმარების მიმართულებით არსებული ხარვეზების შედეგია. მომხდარი კიდევ ერთხელ ადასტურებს მუშაობის გაძლიერების საჭიროებას პრევენციის მიმართულებით - დამოკიდებულებების გარდასაქმნელად, გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული ტრადიციებისა და მავნე პრაქტიკების აღმოსაფხვრელად.[78]

სახალხო დამცველის მიერ ფემიციდის მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან,[79] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა ფემიციდისა და ფემიციდის

---

[70] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 22 მარტის MIA 0 24 00873678 წერილი.

[71] ამ საქმეზე მეტი ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

[72] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 24 იანვრის წერილი №13/4150.

[73] შედარებისთვის, 2022 წელს გამოვლენილი 25 ქალის მკვლელობის ფაქტიდან, 15 ჩადენილია ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 11 კი - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით. ქალის მკვლელობის მცდელობის გამოვლენილი 37 შემთხვევიდან 28 - ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, ხოლო 9 - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით (სტატისტიკაში ჩათვლილია თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტები და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტი, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია).

[74] მათ შორის, არაოჯახური დანაშაულის ნიშნით 1 ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი.

[75] მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 9 ფაქტი და ოჯახური დანაშაულის ნიშნით 1 ქალის მკვლელობის მომზადების ფაქტი.

[76] გამომდინარე იქიდან, რომ გამოწვევად დგას საქმეებში გენდერული მოტივის იდენტიფიცირება, სახალხო დამცველი, სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის დახვეწამდე, მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალთა მკვლელობების და მკვლელობის მცდელობების ზოგადი მონაცემის გამოყენებას.

[77] ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში მიმდინარეობს არსებითი განხილვა, საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/15020, 05/03/2024.

[78] აღსანიშნავია საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, 2022 წლიდან, წარმოებული კამპანია „არა ფემიციდს", რომლის მიზანი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენციაა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ფემიციდთან ბრძოლა კოორდინირებული, სტრატეგიული მუშაობის და საკვანძო უწყებების, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობის გარეშე, გრძელვადიან პერსპექტივაში, შედეგის მომტანი ვერ იქნება.

[79] სახალხო დამცველმა გააანალიზა 2022 წელს მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის დანაშაულები.

მცდელობის საქმეებზე გენდერის ნიშნის გამოკვეთის მაჩვენებელი, თუმცა რიგ საქმეებში, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო ეტაპზე კვლავ პრობლემურია გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის გამოკვეთა.[80]

მონიტორინგმა ასევე გამოავლინა პროკურატურის არაერთგვაროვანი პრაქტიკა იმ ბავშვების დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, რომლებიც შეესწრნენ ფემიციდის/ფემიციდის მცდელობას ან გაიგონეს მსხვერპლის ხმა.[81]

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებული ქალები მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის უკიდურესი ფორმის შემთხვევაშიც კი, ოჯახის წევრების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარს ამბობენ,[82] რაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს ფემიციდის მცდელობის საქმეებში მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართულობის და დაზარალებული ქალების სათანადო ფსიქოემოციური მხარდაჭერის აუცილებლობას.

სამწუხაროდ, 2023 წელსაც იკვეთება შემთხვევები, როდესაც, შესაძლო ძალადობის შესახებ სახელმწიფოს ინფორმირებულობის მიუხედავად, ქალის მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა.[83]

2.5. სიცოცხლის უფლების (სავარაუდო) ხელყოფის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიებები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სიცოცხლის უფლების (სავარაუდო) ხელყოფის სხვადასხვა საქმეზე გამოძიების მიმდინარეობა.[84] შედეგად, კვლავ გამოიკვეთა არაეფექტიანი გამოძიების შემთხვევები. გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზების საილუსტრაციოდ წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ საანგარიშო წელს დაწყებული, სიცოცხლის უფლების (სავარაუდო) ხელყოფის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების ხარვეზებს.

2.5.1. არასრულწლოვან ა. ი.-ს შესაძლო მკვლელობის საქმის გამოძიება

2023 წლის 17 მარტს, თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსების უკან, ხე-ბუჩქნარში, არასრულწლოვან ა. ი.-ს გვამი აღმოაჩინეს. გამოძიება იმავე დღეს

---

[80] თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე N1/ბ-757-22; თელავის რაიონული სასამართლოს საქმე N1/77-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე N1/7099-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე N1/6278-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7163-22; ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-67/23; ასევე, ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/368-22; რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/914/22; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7108-22.

[81] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №4216-22; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1258-22; ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/217-22; ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-67/23.

[82] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/6588-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4681-22.

[83] შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 0 24 00241813, 26/01/2024.

[84] ამ საქმეებზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

დაიწყო არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის მხარემ სახალხო დამცველის აპარატს წარუდგინა საქმის მასალები. მათი შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ მიუხედავად საქმეზე ჩატარებული ასეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებისა, **გამოძიება თავდაპირველად მიმდინარეობდა არაეფექტიანად და დროულად არ ჩატარდა სწორედ ის სათანადო საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც, შესაძლოა, გამოძიებას მოეპოვებინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და რომელთა ჩაუტარებლობამ ან დაგვიანებით ჩატარებამ, შესაძლოა, გამოიწვია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება და, შესაბამისად, ხელი შეუშალა საქმის გარემოებების დადგენას.**

გამოძიების მნიშვნელოვანი ხარვეზები მოიცავს, მათ შორის, შემთხვევის ადგილის ახლომახლო და შედარებით დამალული ადგილების დაუთვალიერებლობას და ასეთ ადგილას გარდაცვლილის ყოფნის დასადასტურებლად საჭირო ბიოლოგიური მასალის ან სუნის ნიმუშის მოუპოვებლობას; გარდაცვლილის მობილური ტელეფონის გამორთვის მიზეზის დაუდგენლობის ფონზე, მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების არგამოკითხვას მისი ჩვევების შესახებ (მაგალითად, აქცევდა თუ არა ყურადღებას ტელეფონის ელემენტის დამუხტვას); ფოტორობოტის დაგვიანებით შედგენას; გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საექსპერტო დაწესებულებაში დაზიანებას; ა. ი.-ს გვამზე არსებული დაზიანებების მიყენების მექანიზმის დასადგენად 2023 წლის 3 მაისს დანიშნული სამედიცინო (კომისიური) ექსპერტიზის (დასკვნის გაცემის) გაჭიანურებას. გარდა ამისა, ამავე საქმეში, გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერებისას გადაღებულ ფოტოსურათებზე, გარდაცვლილ ა. ი.-ს მარცხენა ხელის მტევნის მე-4 (უსახელო) თითის ფრჩხილში აღინიშნება ადამიანის თმის მაგვარი ღერი, რაც საქმის მასალებსა და შემდგომ კვლევებში აღარ იძებნება.[85]

არაეფექტიანი გამოძიების შესახებ და კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს და შინაგან საქმეთა მინისტრს დასაბუთებული წინადადებით მიმართა.[86] 2024 წლის 18 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატს შორის გაიმართა სამუშაო ფორმატის შეხვედრა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებმა დეტალურად იმსჯელეს წინადადებაში მოყვანილ გარემოებებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, წინადადებაში მითითებული არაერთი საგამოძიებო მოქმედება უწყებამ უკვე შეასრულა, გამოძიება გრძელდება და მხედველობაში იქნება მიღებული წინადადებაში მითითებული სხვა გარემოებებიც. გარდა ამისა, 2024 წლის 19 მარტს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აპარატს აცნობა,[87] რომ სახალხო დამცველის წინადადება პროკურატურამ სრულად გაიზიარა იმ

[85] ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[86] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მარტის №15-2/2222 წინადადება.
[87] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 19 მარტის №13/18469 წერილი.

ნაწილში, რომელიც მიემართებოდა პროკურატურას და წარდგინებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, კანონმდებლობის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად.[88]

1.5.2. ზ. ვ.-ს სუიციდის საქმე

სახალხო დამცველის აპარატი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში საგამონაკლისო წესით გაეცნო პატიმარ ზ. ვ.-ს სუიციდის საქმის მასალებს.[89] საქმის გარემოებების თანახმად, 2022 წლის 10 ივლისს, ზ.ვ.-ს სუიციდის რისკი შეფასდა, როგორც დაბალი (6 ქულა), თუმცა, რადგან საშუალო რისკთან (7 ქულა) მიახლოებული ქულა დაუდგინდა, გაიცა რეკომენდაცია ბრალდებულის ფსიქიატრთან კონსულტაციისა და სამეთვალყურეო ვიდეოკამერით აღჭურვილ საკანში განთავსების თაობაზე. 2022 წლის 11 ივლისს, ზ. ვ.-მ ელასტიკური ბინტის მაგვარი ნივთი აიღო და 02:58:33 საათზე საკნის საპირფარეშოში შევიდა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს თანამშრომელმა, რომელმაც, სავარაუდოდ ზ. ვ.-ს საკანში შესვლა დააფიქსირა, 03:04:18, 03:05:40 და 03:10:50 საათზე სატელეფონო ზარები განახორციელა. 03:09:37 საათზე პენიტენციური დაწესებულების სხვა თანამშრომელი მივიდა ზ. ვ.-ს საკანთან და იქ მყოფ ერთ-ერთ პატიმარს საკნის საპირფარეშოს შემოწმება სთხოვა. 03:13:52 საათზე ეს პატიმარი, მიდის საპირფარეშოს კარებთან, მაგრამ არ აღებს მას და ისევ ტრიალდება საკნის კარებისკენ. 03:14:03 საათზე ამ პატიმარმა გააღო საპირფარეშოს კარები და დაინახა ზ.ვ.-ს მიერ სუიციდის განხორციელების ფაქტი. მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა თანამშრომელს, რომელსაც სწრაფად მოაქვს საკნის გასაღები, თუმცა ამის შემდეგ მიღებული ზომები უშედეგო აღმოჩნდა.

საქმის მასალების შესწავლის მიხედვით, **გამოძიების პროცესში არ ჩატარებულა ცალკეული შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების შემთხვევაში მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნებოდა გამოძიების ეფექტიანობისა და შესაძლო ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობის გამოსაკვეთად.** აპარატს მიაჩნია, რომ ამ საქმეში აუცილებელია, მაგალითად, სამსახურებრივი ტელეფონების სატელეფონო საუბრების ისტორიის ან/და აუდიოჩანაწერების არსებობის დადგენა და არსებობის შემთხვევაში - მათი მოპოვება; აუცილებელია დადგინდეს ზუსტი დრო, თუ როდის მიიღო ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა ზ. ვ.-ს შესაძლო საყურადღებო ქცევის შესახებ; უნდა დადგინდეს, ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირები იყენებდნენ თუ არა რაციებს და ინახება თუ არა რელევანტური დროის რაციების აუდიოჩანაწერები და სხვ.

სახალხო დამცველმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წინადადებით მიმართა.[90] უწყების პოზიციით, გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და

---

[88] „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

[89] ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[90] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 23 თებერვლის №15-3/1952 წინადადება.

საპროცესო მოქმედება, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება წინადადებაში მითითებული საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები.[91] აპარატი განაგრძობს საქმეზე მიმდინარე გამოძიების მონიტორინგს.

1.5.3. ლ. ხ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულ ლ. ხ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების საქმის[92] მასალები.[93] ლ. ხ.[94] 2023 წლის 20 ივნისს დააკავეს. ლ. ხ.-ს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე მიუთითეს თავად ლ.ხ.-მ, მისმა დედამ და ადვოკატმა. ამას ადასტურებს სამკურნალო რეკომენდაციები კონკრეტული დიაგნოზის[95] მიუთითებლად. 2023 წლის 21 ივნისს ბრალდებულს დაენიშნა სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. 22 ივნისს, მას შემდეგ, რაც სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა, ლ. ხ. №8 პენიტენციურ დაწესებულებაში განათავსეს. 3 ივლისს, ლ. ხ. გადაიყვანეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საიდანაც 5 ივლისს დააბრუნეს დაწესებულებაში. ამასთანავე, ექსპერტიზის ბიურომ დაწესებულებას აცნობა, რომ პატიმარი საჭიროებდა ფსიქიატრიულ მეთვალყურეობას. 7 ივლისს პატიმარი საკანში გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის გარდაცვალების შემდეგ, 24 ივლისს, გაცემული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, დადგინდა შეურაცხადობა, რადგან ლ. ხ. დაავადებული იყო შიზოტიპური აშლილობით. შესაბამისად, სახეზე იყო ბრალის გამომრიცხველი გარემოება[96] და შეუძლებელი იყო მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრება. ეს გარემოება ცნობილი იყო ექსპერტიზისთვის კვლევის დროს, თუმცა დასკვნა მომზადდა და გაიცა არა დაუყოვნებლივ, მის მომზადებას დასჭირდა 19 დღე, როცა პატიმარი უკვე გარდაცვლილი იყო. საყურადღებოა ფსიქიატრიული ექსპერტიზის კვლევით ნაწილში მითითებული გარემოებები: პატიმრის გადმოცემით, ბოლო წლებში სახლიდან არ გადიოდა, დახრჩობის შიშით ვერ ჭამდა, იღებდა მხოლოდ რბილ საკვებს მცირე რაოდენობით, ოჯახის წევრთან ერთად. პატიმრობაში მისი მდგომარეობა გაუარესდა, ციხეში ეშინოდა უცხო გარემოში, უცხო ხალხთან, მოითხოვა მარტო ყოფნა და დეესკალაციაში მოათავსეს, მერე გადაიყვანეს საერთო საკანში, ყლაპვა არ შეეძლო, ვერ ჭამდა, დასუსტდა, აღელვებული იყო, ნერვიულობდა, გულის აჩქარებები ჰქონდა, პირი უშრებოდა, სახე და საფეთქლები დაბუჟებული ჰქონდა, ციხეში ყოფნა

---

[91] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 12 მარტის SIS 5 24 00004466 წერილი.

[92] სს №199070723002 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

[93] ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[94] ადვოკატმა აპარატში წარადგინა სს №002200623001 საქმის მასალების ასლები და ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერები.

[95] ადვოკატმა აპარატში წარადგინა (ასევე საგამოძიებო ორგანოშიც) ფსიქიატრის მიერ 26.06.2023 წ. და 07.07.2023 წ. გაცემული ცნობები კონკრეტული დიაგნოზით (შიზოტიპური აშლილობა).

[96] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 34.

ძნელი იყო, ვერ ძლებდა, ეგონა დაიღუპებოდა. დასკვნაში მითითებულია, რომ სტაციონარში საკვები მიიღო მცირე რაოდენობით, იყო უხალისო, განმარტოებული, უჩიოდა მოხრჩობის გრძნობას, რის გამოც ვერ ახერხებდა ყლაპვას, ჭამას, მიიღო მცირე რაოდენობით მხოლოდ ადვილად დასაღეჭი საკვები.

ამდენად, ბრალდებული **ლ. ხ. განსაკუთრებულ მეთვალყურეობას, ზრუნვას საჭიროებდა როგორც ფსიქიკური, ისე ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. მეტიც, შეურაცხადობის გამო, დაუშვებელი იყო მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრება, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე, პატიმრობაში ყოფნისას გარდაიცვალა. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ №8 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო დოკუმენტაცია შევსებული იყო ხარვეზებით. ლ. ხ.-ს საქმე კიდევ ერთხელ დღის წესრიგში აყენებს ფსიქიკური მდგომარეობის გამო განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიის პატიმრების უფლებების დაცვის საკითხს. ფსიქიკური პრობლემების შემთხვევაში, აუცილებელია პატიმრის შესაბამის გარემოში განთავსება ადეკვატური ზრუნვის სერვისებით, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაუყოვნებლივ ჩატარება და დასკვნის გაცემა შეურაცხადობის საკითხზე.**

რაც შეეხება ლ. ხ.-ს საქმის გამოძიებას, ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება. თუმცა გამოძიების ეფექტიანობას აფერხებს ის, რომ 2024 წლის იანვრის მდგომარეობით (თითქმის 7 თვე), გამოძიებას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული 2023 წლის 7 ივლისს დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც უნდა დაადგინოს პატიმრის გარდაცვალების უშუალო მიზეზი. ამასთანავე, გარდა ამისა, საქმეზე საწყის ეტაპზევე მოპოვებულია ვიდეოჩანაწერები, თუმცა არ არის შედგენილი დათვალიერების ოქმი.

1.5.4. თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

სახალხო დამცველის წინა საპარლამენტო ანგარიშში მოკლედ არის აღწერილი თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს სიცოცხლის უფლების დარღვევას სახელმწიფოს მიერ, არაეფექტიანად ჩატარებული გამოძიების გამო.[97] სახალხო დამცველმა გამოთქვა იმედი, რომ გადაწყვეტილების აღსასრულებლად განახლებული გამოძიება გაითვალისწინებდა სახალხო დამცველის წინადადებებს და ადამიანის უფლებათა შესაბამისი სტანდარტების დაცვით წარიმართებოდა.

2023 წლის ივნისში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციით, სამსახური ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან კონსულტაციებს გამართავდა, რათა 6 თვის ვადაში უზრუნველეყო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ნაბიჯების დაგეგმვა.[98] იდენტური პოზიცია დააფიქსირა უწყებამ 2023 წლის ბოლოს.[99] თუმცა, საყურადღებოა, რომ გამოძიება კვლავ არ

[97] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 21-22, იხ.: < https://shorturl.at/izBC6 > [ბოლოს ნანახია 22.02.2024].

[98] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 2 ივნისის NSIS32300009541 წერილი.

[99] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 8 დეკემბრის SIS 9 23 00022533 წერილი.

განახლებულა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2024 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილებით, მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სწრაფად ხელახლა განიხილოს საქმის მასალები, მაჩალიკაშვილის საქმეში ევროსასამართლოს მიგნებების შუქზე და კომიტეტსა და მომჩივნებს შეატყობინოს გამოძიების განახლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.[100] აპარატი განაგრძობს საქმის აქტიურ მონიტორინგს.[101]

1.5.5. ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემები

2023 წელს კვლავ პრობლემური იყო სისხლის სამართლის საქმეებზე დანიშნული ექსპერტიზის ჩატარება და გამოძიებისთვის ექსპერტის დასკვნის დაგვიანებით გადაცემა, რაც აფერხებს გამოძიების პროცესს.[102] ეს საკითხი მიემართება: 1) როგორც სასამართლო-სამედიცინო და სამედიცინო კომისიური/კომპლექსური ექსპერტიზების ჩატარებას, სადაც შესაბამისი ექიმ სპეციალისტის/ების ჩართვაა საჭირო, ასევე იმ სახის ექსპერტიზებსაც, 2) როდესაც ექსპერტიზას ატარებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი და სხვა ექსპერტის მოძიება არ არის საჭირო. პირველ შემთხვევაში განსაკუთრებული პრობლემაა ის გარემოება, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში მითითებულ სპეციალური ცოდნის მქონე პირებს არ ეკისრებათ ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ გამოძიების მიერ დანიშნულ სასამართლო სამედიცინო, კომისიურ ან/და კომპლექსურ ექსპერტიზაში. შედეგად, გამოძიება ვერ ახერხებს მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებას ან მოიპოვებს დაგვიანებით.

რაც შეეხება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას, როდესაც სხვა ექსპერტის მოძიება არ არის საჭირო და, შესაბამისად, ეს გარემოება არ წარმოადგენს ექსპერტიზის გაჭიანურების მიზეზს, ამ შემთხვევაშიც, ხშირად, ექპერტის დასკვნა დაგვიანებით, ექსპერტიზის დანიშვნიდან რამდენიმე თვის (ზოგჯერ წლის) გასვლის შემდეგ გაიცემა,. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა, მაგალითად, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ე. გ.-ს გარდაცვალების ფაქტზე საქმე,[103] რომელზეც 2021 წლის 24 ნოემბერს დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზა 2024 წლის 4 იანვარს, დაახლოებით 2 წლის და 1 თვის შემდეგ დასრულდა.[104] ასევე, აპარატმა შეისწავლა №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა

---

[100] იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2024 წლის 12-14 მარტს გამართულ 1492-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 4, ხელმისაწვდომია: <1492 DH decisions in Tsintsabadze group> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[101] ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[102] ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[103] სისხლის სამართლის №199241121001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[104] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 15 იანვრის №5000216724 წერილი.

სამკურნალო დაწესებულებაში თ. კ.-ს გარდაცვალების ფაქტზე საქმე,[105] რომელზეც 2023 წლის 25 აპრილს დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზა დანიშვნიდან დაახლოებით 10 თვის გასვლის შემდეგაც არ იყო დასრულებული.[106] აღსანიშნავია, ასევე, თ. ბ-ს გარდაცვალების ფაქტზე საქმე,[107] რომელზეც 2022 წლის 17 აპრილს დანიშნული შრომის უსაფრთხოების ექსპერტიზის დასკვნა 2023 წლის 18 აგვისტოს, წელიწადნახევრის შემდეგ მომზადდა.[108]

2.6. სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობის კუთხით, სამწუხაროდ, შენარჩუნებულია არაერთი პრობლემა. კერძოდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ გამოწვევაა ანტიფსიქოზური მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა. მართალია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში 2023 წელს დაემატა წამლის გვერდითი ეფექტის კონტროლის უზრუნველყოფა და სტაციონარში მოთავსებისას პაციენტებს უტარდებათ სისხლის და შარდის საერთო, „C“ ჰეპატიტის, სიფილისის და გლუკოზის ანალიზები, საჭიროებისას კი ეს ანალიზები ტარდება განმეორებით, მაგრამ მხოლოდ ამ ანალიზების ჩატარება ვერ უზრუნველყოფს გვერდითი ეფექტების მართვას. სამწუხაროდ, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, არ შეუსწავლია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც გასულ წლებში,[109] ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პრობლემური იყო გარდაცვლილი პაციენტების შესახებ ერთიანი სტატისტიკის წარმოებაც. ფსიქიატრიული დაწესებულებები არ აღრიცხავენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სხვა საავადმყოფოში გადაყვანილი პაციენტების გარდაცვალებას. ამასთანავე, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პაციენტების შემთხვევაში არ დგინდება გარდაცვალების ზუსტი მიზეზები, რადგან არ ტარდება ექსპერტიზა. დაწესებულებებში არსებული ჩანაწერები არაინფორმაციულია და მითითებულია სიკვდილის სხვა, დაუზუსტებელი და ბუნდოვნად განსაზღვრული მიზეზები.

---

[105] სისხლის სამართლის №199250423001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[106] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 23 თებერვლის №5001075324 წერილი.

[107] სისხლის სამართლის №176030520001 საქმე.

[108] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 23 აგვისტოს №5005457423 წერილი.

[109] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 26; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ. 30; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, გვ. 34, იხ.: < https://shorturl.at/fwyCI > [ბოლოს ნანახია 07.03.2024].

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში შეიტანოს ცვლილებები და სახალხო დამცველს მიენიჭოს არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გამოძიების დასრულებამდე გაცნობის უფლებამოსილება.

რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურორს და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს:

- თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე დაიწყოს და ჩაატაროს ხელახალი ეფექტიანი გამოძიება.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს:

- გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და გამოძიებისთვის ექსპერტის დასკვნის გადაცემა სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული საქმეების ფარგლებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- დაავალოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა;
- შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანილი ყველა გარდაცვლილი პაციენტის შემთხვევა, დაადგინოს, რა გახდა გარდაცვალების მიზეზი და რამდენად დროულად გადაიყვანეს პაციენტი შესაბამის დაწესებულებაში, ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე, გაატაროს ღონისძიებები პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად;
- სამინისტროს შესაბამისმა ერთეულმა შექმნას რეესტრი და აწარმოოს სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პირების შესახებ, გარდაცვალების მიზეზისა და ადგილის მითითებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- გამომძიებლები და პროკურორები სისტემატურად გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირების საკითხზე;
- ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის თვითმხილველი არასრულწლოვნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მათ

შორის მაშინ, როცა ბავშვი უშუალოდ არ იყო დანაშაულის თვითმხილველი, თუმცა ესმოდა ძალადობის ხმები;

- ქალის მკვლელობის მცდელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის საქმეებში უზრუნველყოფილ იქნეს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართულობა.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

- სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეები გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირების საკითხზე.

3.წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება

3.1. შესავალი

გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველი ასევე განიხილავს საჩივრებს დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირებისგან.

2023 წელს, როგორც მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე, ისე - პროაქტიულად - საჯარო სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, 581 ვიზიტის ფარგლებში 1703 დაკავებული/დაპატიმრებული პირი მოინახულეს. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის ფარგლებში კი, 94 დაწესებულებაში[110] 128 რეგულარული და არაგეგმიური ვიზიტი განხორციელდა.

წინამდებარე თავში მიმოხილულია პენიტენციურ დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში გამოვლენილი არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, შესაბამისი რისკფაქტორები და საკანონმდებლო ხარვეზები.

მოცემული თავი სამი ქვეთავისგან შედგება: 1) პრაქტიკა, რომელიც უტოლდება ან შესაძლოა გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას, 2) არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი რისკფაქტორები, და 3) სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს ჰქონდეს საქმიანობის თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ვიზიტების განხორციელებისას სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაბრკოლებები არ შექმნიათ.

პენიტენციური სისტემის კონტექსტში, პირველ რიგში, საგულისხმოა დადებითი სიახლე - ახალი პენიტენციური კოდექსის მიღება. მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაცია გაზიარებულია და პენიტენციური კოდექსის შესაბამის დებულებებში აისახა. მაგალითის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა, რითაც ის გაუთანაბრდა მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ფართობს (არანაკლებ 4 კვ.მ). ასევე, განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ პენიტენციური

[110] პენიტენციური დაწესებულებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები (დეპარტამენტები, სამმართველოები და დროებითი მოთავსების იზოლატორები), ფსიქიატრიული დაწესებულებები, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრები/საცხოვრისები, სამხედრო ნაწილები, შსს განსაკუთრებულ დავალებთა დეპარტამენტი, შსს ობიექტების დაცვის დეპარტაენტი, შსს დროებითი განთავსების ცენტრი, დაბრუნების ოპერაციის ფრენის მონიტორინგი.

კოდექსით დადგენილი ახალი რეგულირების პირობებში, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რაც ეჭვს აღუძრავს მის შესაძლო წამებასა ან მის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე, ამ შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდება მისი თანხმობის გარეშეც. შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციური კოდექსის ამ ახალი ნორმის აღსრულების მიზნით, ცვლილებები შევიდეს შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რისთვისაც კოდექსით ერთწლიანი მაქსიმალური ვადაა დადგენილი.

ამ დადებითი სიახლეების მიუხედავად, პენიტენციური სისტემის ჭრილში კვლავ რჩება არაერთი გამოწვევა. კვლავ დღის წესრიგში დგას ის საკითხები, რომლებიც, სახალხო დამცველის რეკომენდაციების საფუძველზე პენიტენციურ კოდექსში უნდა ასახულიყო. მათ შორის, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს განსაკუთრებული რისკისა და დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე. ამ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები, მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე, 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათით გადიან სასეირნო ეზოებში, რომელთა მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის წინადადება პატიმრის სუფთა ჰაერზე გასეირნების მინიმალური დროის გაზრდასთან დაკავშირებით, არც ახალი პენიტენციური კოდექსით არის გათვალისწინებული.

გასული წლების მსგავსად, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება დაწესებულებების გადატვირთულობა და არაფორმალური მეთოდებით მმართველობის ცალკეული შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება, რაც, სახალხო დამცველის შეფასებით, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას უტოლდება. ასევე პრობლემური იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა და პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემო.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დაკავებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, 2023 წელს დაკავებული პირების ნაწილი კვლავ საუბრობდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. პრობლემურია დაკავებულებისთვის უფლებების განმარტება, ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა, ოჯახის ინფორმირება. გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. სამწუხაროდ, პოლიციის სივრცეები,

სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეომეთვალურეობის სისტემებით სრულად კვლავ არ არის დაფარული. მეტიც, განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ წლიდან წლამდე მცირდება პოლიციის სამმართველოებსა და დეპარტამენტებში შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერების რაოდენობა.

არ შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები და უგულებელყოფილია მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები. მიუხედავად კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული უფლებისა, ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე პაციენტები საკუთარი ნებით სტაციონარს ვერ ტოვებენ. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნებს არ შეესაბამება.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში ასევე საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, არ მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუნება ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი, რომ იქ პირი წამებას დაექვემდებარება.[111] სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ამ პრინციპთან შეუსაბამო შემთხვევები კვლავ გამოვლინდა. [112]

ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით საგულისხმოა, რომ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი კომპონენტია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება, თუმცა ამ კუთხით საანგარიშო პერიოდშიც არაერთი ხარვეზი გამოვლინდა.

3.2.პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას

წინამდებარე ქვეთავში მიმოვიხილავთ დახურულ დაწესებულებებში გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს. ასევე მიმოვიხილავთ ამ სისტემებში არსებულ გარემო პირობებს და პრაქტიკებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

დაწესებულებების თანამშრომლების/სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილი ძალადობა

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატში პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მიერ გამოგზავნილი არაერთი განცხადება/საჩივარი შემოვიდა, რომლებიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების მიერ, მათ მიმართ ჩადენილ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის სავარაუდო ფაქტებს შეეხებოდა. დამატებით, პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის არაერთი სავარაუდო შემთხვევის შესახებ ასევე მიიღო

[112] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

ინფორმაცია[113] პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა, 2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს.

საგულისხმოა მსჯავრდებულ რ.ი.-ის შემთხვევა, რომლის განმარტებითაც, იგი 2023 წლის 8 ოქტომბერს უსაფუძვლოდ შეასახლეს დეესკალაციის ოთახში, მანამდე კი დაწესებულების თანამშრომლებმა მასზე ფიზიკურად იძალადეს - ხელები გადაუგრიხეს. მსჯავრდებულის მითითებით, ამასთან ერთად, მას ხელებს უჭერდნენ ყელში და თავზე, რაც ძლიერ ფიზიკურ ტკივილს იწვევდა. სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა. შედეგად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან, რ.ი.-ს მიმართ, განხორციელებული სავარაუდო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, გამოძიება დაიწყო.[114]

რაც შეეხება პენიტენციურ სისტემაში ფსიქოლოგიური ძალადობის შესაძლო შემთხვევებს, ამ მხრივ, საგულისხმოა ლაზარე გრიგორიადისი[115], რომელიც მიუთითებდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების შემდეგ თმა მისი ნების საწინააღმდეგოდ გადაპარსეს. ამ საკითხზე რეაგირების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა[116], რომელმაც დაიწყო გამოძიება[117] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ფსიქოლოგიური ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე.[118] გამოძიება კვლავ მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, თმის იძულებით გადაპარსვა გარეგნობის იძულებით შეცვლის ზომაა, რომელიც პირში, შესაძლოა, აღძრავდეს არასრულფასოვნებისა და მისი ღირსების შელახვის განცდას.[119]

სამწუხაროდ, პატიმრების მსგავსად, არც ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტები არიან სრულად დაცულნი ძალადობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან. პაციენტები საუბრობდნენ პერსონალის მხრიდან როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს, ვიზიტების დროს, პაციენტებმა აცნობეს ძალადობის ისეთი ფორმების შესახებ, როგორიცაა ხელის დარტყმა, სხეულის სხვადასხვა ნაწილებში ფეხის ჩარტყმა და სხვა. გარდა ამისა, პრევენციული ვიზიტებისას მიღებული ინფორმაციით, დაწესებულებებში კვლავ ადგილი აქვს პაციენტებისადმი უხეშ მიმართვას, ყვირილს, ინექციით მუქარას, ჯოხით დაშინებას. საგულისხმოა, რომ

---

[113] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშის, „თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ძალადობის", ქვეთავი.

[114] დეტალები ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[115] დეტალები ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[116] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 4 აპრილის №15-4/3375 წერილი.

[117] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 13 აპრილის SIS 6 23 00006420 წერილი.

[118] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[119] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, *იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, 2003, საჩივარი №(s). 39084/97, § 112.

პერსონალის მხრიდან პაციენტებისადმი უხეშ დამოკიდებულებას ფსიქიატრიული დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები არ უარყოფენ.[120]

ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" სახალხო დამცველის ვიზიტის[121] დროს, გენერალური დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაცვის თანამშრომლები,[122] არიან კერძო პირები, რომლებიც არ შეირჩევიან რაიმე ოფიციალური პროტოკოლით ან სტანდარტების შესაბამისად, მათ არ აქვთ გავლილი სპეციალური სწავლება სათანადო სტანდარტებით, ასევე, არ არის შემუშავებული შესაბამისი გადამზადების სახელმძღვანელო პრინციპები, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნას, როგორც უსაფრთხოების, ისე არასათანადო მოპყრობის კუთხითაც.[123]

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი ინფორმაცია მიიღო პოლიციელების მიერ <u>დაკავებისას</u> არაპროპორციული, აშკარად გადამეტებული ძალის გამოყენების და <u>დაკავების შემდეგ</u> არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ.

2023 წელს პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის მეთოდებიდან, ძირითადად იკვეთება ხელბორკილების მჭიდროდ დადება, ხელ-ფეხით ცემა. დაკავებულები უთითებდნენ პოლიციის ავტომანქანაში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზეც.

საანგარიშო პერიოდში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული დაკავებულების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 431 საეჭვო შემთხვევა გამოავლინა.[124] ეს შემთხვევები მოიცავს როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა, ისე სისხლის სამართლის საქმეებს. მონაცემების თანახმად, ამ 431 შემთხვევიდან 137 (31.8%) შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს. რაც შეეხება დინამიკას წლების მიხედვით, 2016 წელს ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა სხეულის დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საეჭვო შემთხვევების 12,8%-ში,

---

[120] მაგალითისათვის, ბათუმის სამედიცინო ცენტრში, 2023 წელს, ამ მიზეზით სამსახურიდან გაათავისუფლეს მომვლელი.

[121] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 2 თებერვლის ვიზიტი.

[122] 2024 წლის 2 თებერვალს, სახალხო დამცველის ვიზიტის დროს, გენერალური დირექტორის განმარტებით, სტაციონარში დასაქმებულია დაცვის 120 თანამშრომელი.

[123] საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

[124] პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ამოწმებენ ვიზიტის დღემდე შესახლებული ყველა დაკავებულის პირად საქმეს. მითითებული დაკავების გარემოებებმა, დაზიანების ლოკალიზაციამ, რაოდენობამ და ხასიათმა, მონიტორინგის ჯგუფს ეჭვი გაუჩინა პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე. შემოწმება ჩატარდა სამეგრელოს, კახეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

2017 წელს იგივე მაჩვენებელი - 26,4%, 2018 წელს - 26.8%, 2019 წელს - 31.8%, 2020 წელს - 34.4%, 2021 წელს - 26%, ხოლო 2022 წელს 27% იყო, რაც შეეხება 2023 წელს, ეს მაჩვენებელი (31.8%) 2022 წელთან შედარებით მცირედ არის გაზრდილი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციის მხრიდან დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის კუთხით, წინა წლებთან შედარებით, 2023 წელს, მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

პატიმრებს/პაციენტებს შორის ძალადობა

2023 წელს კვლავ პრობლემური იყო პატიმართა და პაციენტთა შორის ძალადობის შემთხვევებიც. ვითარების ერთიანი ანალიზიდან იკვეთება, რომ პენიტენციური დაწესებულებები, ისევე როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებები, სათანადოდ ვერ უმკლავდებიან ამ კუთხით გამოვლენილ პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა შორის ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად კვლავ რჩება ცალკეული პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა, ასევე, იქ არსებული არაფორმალური მმართველობა. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ვერ ხერხდება ბრალდებულების და მსჯავრდებულების ერთმანეთისგან განცალკევებით მოთავსება, რაც, ხშირად, მათ შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება. რაც შეეხება არაფორმალურ მმართველობას, ეს უკანასკნელი პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება. ძალადობის მსხვერპლი პატიმრები, ხშირად, მოსალოდნელი ანგარიშსწორების თავიდან არიდების მიზნით, გაურბიან დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან დაზიანების წარმოშობის რეალურ მიზეზებზე საუბარს.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, პაციენტებს შორის კონფლიქტები, ძირითადად, ერთი პაციენტის მიერ მეორესთვის პირადი ნივთების მოპარვას უკავშირდება. ადგილი აქვს კონკრეტული პაციენტების მხრიდან ლიდერობის მცდელობებსა და სხვა პაციენტების კონტროლსა და ჩაგვრას. სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ ხდება დაპირისპირებების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და პრევენცია, არც უკვე განხორციელებულ კონფლიქტებს მოჰყვება სათანადო რეაგირება. პაციენტთა შორის ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევაში, პერსონალი ვერ ახერხებს დროულ რეაგირებას და პაციენტების გაშველებას, რის გამოც პაციენტები ზოგჯერ დაზიანებებებს იღებენ. პაციენტთა შორის კონფლიქტზე რეაგირების სახით, ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალი ხშირად იყენებს ინექციებს, როგორც ნებაყოფლობით, ისე არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების შემთხვევაში. დამატებით, საგულისხმოა, რომ როგორც პენიტენციურ, ისე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ არის შესაბამისი რაოდენობის პერსონალი, რომელიც საკმარისი იქნებოდა დაწესებულებებში წესრიგის შესანარჩუნებლად და პატიმართა/პაციენტთა შორის ძალადობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად.

პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში არსებული შეზღუდვები

პენიტენციურ დაწესებულებებში, ისევე როგორც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს, რიგი შეზღუდვები უწესდებათ. მათგან, გარკვეული შეზღუდვების გამოყენება, ამ უკანასკნელთა შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობას გაუტოლდეს.

კერძოდ, განსაკუთრებული რისკის (№3 პენიტენციური დაწესებულება) და დახურული ტიპის დაწესებულებებში (№2 პენიტენციური დაწესებულება) არსებული შემზღუდველი რეჟიმი და საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობა, უარყოფით გავლენას ახდენს პატიმრების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის პატიმრების მიმართ ძალადობის რისკებს, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს[125] და შეიძლება გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[126]

ამ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე, 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათით გადიან სასეირნო ეზოებში, რომელთა მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას. ამ ნაწილში აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის წინადადება პატიმრის სუფთა ჰაერზე გასეირნების მინიმალური დროის გაზრდასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არც ახალი პენიტენციური კოდექსით არის გათვალისწინებული.

მისასალმებელია, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეტანილი 2023 წლის 27 აპრილის ცვლილებები, რომლის შედეგად დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება, ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების შესახებ, მსჯავრდებულს შეუძლია გაასაჩივროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორთან. ასევე მისასალმებელია, რომ პენიტენციური დაწესებულების დებულებები დაწესებულებების დირექტორებს აღარ აძლევს შესაძლებლობას, დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე ხანგრძლივი დროით მოათავსონ პატიმარი ერთადგილიან საკანში და შეუზღუდონ სხვა პატიმართან კონტაქტის შესაძლებლობა.

პენიტენციურ დაწესებულებებში დამკვიდრებულ შეზღუდვებთან მიმართებით, ასევე აღსანიშნავია დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. საგულისხმოა, რომ №2 და №3 პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრები დეესკალაციის

---

[125] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის(CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 52, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3icl98K> [ბოლოს ნანახია: 06.02.2024].

[126] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/info(2019) 16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2019, პუნქტი 72, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 06.02.2024].

ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში უმეტეს შემთხვევებში კვლავ მაქსიმალური ვადით გადაჰყავთ, სადაც ფაქტობრივად უწყვეტ რეჟიმში, რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში არიან მოთავსებულები, წუთებისა და საათების ინტერვალებით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ №2 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად ასევე გაირკვა, რომ გასული წლების მსგავსად, განცალკევების მიზნით, დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის შემდეგ პატიმარს ათავსებენ სამარტოო (უსაფრთხო) საკანში და შემდეგ ისევ აბრუნებენ დეესკალაციის ოთახში.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა №2 და №8 დაწესებულებებში არასრულწლოვნების დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო საკანში მოთავსების ფაქტებსაც. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, დაუშვებელია სამარტოო (უსაფრთხო) საკანსა და დეესკალაციის ოთახში არსებულ არასათანადო პირობებში, და მით უმეტეს, ხანგრძლივი დროით, არასრულწლოვნის მოთავსება. ამგვარი პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნებს, ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთებას და მათ მიმართ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად მიიჩნევა.[127]

დამატებით, აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსება კვლავაც ხშირად და ხანგრძლივი ვადით გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიმართ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახები და სამარტოო (უსაფრთხო) საკნები არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. სამწუხაროა, რომ საანგარიშო პერიოდში №2 და №3 პენიტენციურ დაწესებულებაში, დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევები გამოვლინდა, ამ დროს მათ მიმართ დამატებით ხელბორკილები გამოიყენეს.[128]

სახალხო დამცველი, წლებია, მოითხოვს დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადის 24 საათამდე შემცირებას. მართალია, საანგარიშო პერიოდში პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში გარკვეული ცვლილებები შევიდა,[129] მაგრამ, სახალხო დამცველის შეფასებით, ეს სრულად ვერ უზრუნველყოფს დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკის აღმოფხვრას. პენიტენციური დაწესებულებების

[127] არასრულწლოვნის განცალკევება, მისი ხანგრძლივობისა და მიზნის (უსაფრთხოება ან დისციპლინური დასჯა) მიუხედავად, წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. იხ. წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2015 წლის ანგარიში, პარა. 44. ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.org/record/793910?ln=en&v=pdf> [ბოლოს ნანახია: 19.03.2024].

[128] ინფორმაცია მიღებულია №2 და №3 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს, დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად.

[129] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის სპეციალურ ანგარიშში.

დებულებებით, დეესკალაციის ოთახში პატიმრის ერთჯერადად მოთავსების მაქსიმალური ვადა კვლავ 72 საათით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში დეესკალაციის ოთახების 72-საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა დე ფაქტო დასჯად შეაფასა.[130]

სამწუხაროდ, კვლავაც არ არის ნორმატიულად დადგენილი დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის დასაბუთების და ამ ზომის გამოყენებამდე სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებების გამოყენების ვალდებულება. ასევე საგულისხმოა, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეტანილი ცვლილებები შეეხება მხოლოდ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების საკითხს და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში გადაყვანასთან დაკავშირებული ნორმატიული მოწესრიგება და პრაქტიკა კვლავ უცვლელია.

დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებთან დაკავშირებით დამატებით აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია უსაფრთხო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით, რაც, მათ შორის, გამოიხატება რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთებაში.[131] რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, გასული წლების მსგავსად, აგზნებული ან აგრესიული პაციენტის ქცევის სამართავად კვლავ აქტიურად გამოიყენება პაციენტის მექანიკური შეზღუდვა და სწრაფი ტრანკვილიზაცია, რომელიც თავისი არსით ქიმიური შეზღუდვაა.[132] საგულისხმოა, რომ ქიმიური შეზღუდვა გამოიყენება კომბინირებულად, მექანიკურ ან/და მანუალურ შეზღუდვასთან ერთად. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დიდი ზომის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. სამწუხაროდ, დაწესებულებების მართვის პოლიტიკა სიტუაციის ესკალაციის რისკების მინიმუმამდე დაყვანისკენ არ არის მიმართული. პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ინტენსივობა არსებითად არ შეცვლილა და არ შეინიშნება ძალისხმევა შეზღუდვის მეთოდების გამოყენების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. კვლავ არ არის განახლებული შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ინსტრუქცია და წესები,[133] რაც მნიშვნელოვნად დაიცავდა პაციენტებს პერსონალის თვითნებობისგან.

---

[131] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშებში, დეესკალაციის ოთახებში მოთავსებულ პირებთან მიმართებით, სხვა ფაქტორებთან ერთად, აფასებს დეესკალაციის ოთახების უსაფრთხო მოწყობას. მაგალითად, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში თურქეთის მთავრობის მიმართ, 2017 წელი. ხელმისაწვდომია: < https://hudoc.cpt.coe.int/?i=p-tur-20170510-en-25 > [ბოლოს ნანახია 19.03.2024].

[132] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ზრდასრულთა შეზღუდვის მეთოდების თაობაზე", ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3texFLj> [ბოლოს ნანახია: 19.02.2023].

[133] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №92/ნ ბრძანება „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე."

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საანგარიშო წელს მონახულებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში" გამოიყენებოდა ისეთი სტატიკური უსაფრთხოების ზომა, როგორიც არის პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევება. პაციენტის ხანგრძლივად განცალკევებით მოთავსება იმაზე მიუთითებს, რომ დაწესებულებების განყოფილებაში არ არის უზრუნველყოფილი დინამიკური უსაფრთხოება და არ ხდება პაციენტთა საჭიროებებზე შესაბამისი რეაგირება.

ამ ნაწილში ასევე საყურადღებოა ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში, სავარაუდოდ, ადგილი აქვს ბენეფიციარების ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის შემთხვევებს, ასევე, შეზღუდვის პროცესში არასამედიცინო პერსონალის, ე.წ. დაცვის მონაწილეობას. მნიშვნელოვანია დაწესებულებებმა დაუყოვნებლივ აღმოფხვრან შეზღუდვის მეთოდების გამოყენების პრაქტიკა, ასევე, დაუყოვნებლივ აღმოფხვრან მედიკამენტების იძულებით მიცემის პრაქტიკა.

პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში, №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ამ დაწესებულებებში პატიმრების პირველადი შესახლების, ასევე, დაწესებულებიდან გაყვანის და დაწესებულებაში დაბრუნების დროს, გასული წლების მსგავსად, 2023 წელსაც შენარჩუნებული იყო მათი სრული გაშიშვლების და ბუქნების გაკეთების პრაქტიკა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების დროს, პირს არ უნდა მოეთხოვებოდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლება.[134] ამ სტანდარტის საპირისპიროდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მთლიანად გაშიშვლების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ბუქნების გაკეთების მოთხოვნის პრაქტიკას, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მას არ ითვალისწინებს. ამგვარი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობაა.

სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში

სამწუხაროდ, 2023 წელს პრობლემური იყო არასათანადო მკურნალობა, გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურება, ექიმისა და პაციენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დარღვევა, არასათანადო მკურნალობის მონიტორინგის მექანიზმის გაუმართაობა, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის არსებითი გაჭიანურება, ფსიქიკური

[134]ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ (2014 წლის 1-10 აპრილი, პარა. 85), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35cCmvq> [ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

ჯანმრთელობისა და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა, სადაც კონკრეტული პატიმრებისთვის არადროული ან არასათანადო სამედიცინო მომსახურების მიწოდების ფაქტი დასტურდება, რამაც მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.[135]

სამედიცინო რეფერალის არადროული განხორციელების შემთხვევები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგების დროსაც გამოვლინდა. სამედიცინო რეფერალის ვადების დარღვევა განსაკუთრებით პრობლემური იყო აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრებისთვის. დარღვეული იყო როგორც გეგმური ამბულატორიული, ასევე, სტაციონარული მომსახურების ვადები. საყურადღებოა სასწრაფო დაყოვნებული წესით გადაყვანის შემთხვევები, რასაც, რიგ შემთხვევებში, 1 თვე ან მეტი სჭირდებოდა.[136]

პენიტენციური ჯანდაცვის კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრაცია, რაზეც მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც.[137] დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად ასევე მნიშვნელოვანია ექიმ-სპეციალისტებთან კონსულტაციების დაუყოვნებელი ჩატარება. ექიმ-სპეციალისტთა აღრიცხვის ჟურნალების შემოწმებით დადგინდა, რომ ადგილი აქვს დაგვიანებულ კონსულტაციებს. ამ ჟურნალებში, რიგ შემთხვევებში, არ ჩანს პაციენტის კონსულტაციაზე ჩაწერისა და კონსულტაციის ჩატარების თარიღები, რაც ართულებს დადგინდეს პაციენტის მოცდის ზუსტი დრო. პრევენციის ეროვნული მექანიზმი არაერთ ანგარიშში აღნიშნავს ელექტრონული საინფორმაციო სისტემის დანერგვის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას.

პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ გამოწვევად რჩება პატიმართა ფსიქიატრთან დროული რეფერირებაც. კვლავ არ მიმდინარეობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგი. ხშირ შემთხვევაში კვლავ ჭიანურდება პატიმართა ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურებასთან. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან მის ჩატარებამდე პერიოდი 2-3 თვეს მოიცავს. ამასთანავე, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, დასკვნის მიღებას დაახლოებით 1 თვე სჭირდება.

---

[135] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[136] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში.

[137] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში 2014 და 2018 წელს განხორციელებული ვიზიტების ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ შეესაბამება თანამედროვე ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას და მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციითა და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა.

პენიტენციური სისტემის კონტექსტში ასევე საგულისხმოა მიხეილ სააკაშვილის საქმე.[138] ბრალდებული/მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი ამ დრომდე სამოქალაქო პროფილის კლინიკა „ვივამედში" განაგრძობს მკურნალობას, სადაც იგი 2022 წლის 12 მაისს გადაიყვანეს. საგულისხმოა, ასევე რომ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) ანგარიში, კლინიკა „ვივამედში" 2023 წლის მარტში განხორციელებული ვიზიტის შედეგების შესახებ.[139]

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა განაგრძო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, ბრალდებული/მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მართვის მონიტორინგი. მონიტორინგი კვლავ სახალხო დამცველის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექიმების ჯგუფის მიერ ხორციელდებოდა. სამედიცინო ექსპერტთა/სპეციალისტთა ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში ოთხი დასკვნა მოამზადა.[140] სახალხო დამცველმა ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა 2024 წელსაც გააგრძელა.[141]

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ექსპერტთა ჯგუფი სახალხო დამცველის 2021 წლის 16 ნოემბრის N157 ბრძანებით შეიქმნა. ჯგუფის მიზანი იყო და არის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის მონიტორინგი. ჯგუფი არ ერთვება პაციენტის ჯანმრთელობის მართვის უშუალო პროცესში.

ჯგუფის **ბოლო დასკვნის თანახმად, „სახეზეა დადებითი დინამიკა, რაც გამოიხატება წონის მატებაში და ნეგატიურ ორთოსტატიურ ტესტში. თუმცა, კვლავ რჩება კოგნიტიური გაუარესება, კუნთთა ჰიპოტროფია, ნეიროპათია, შფოთვა, დეპრესია. პაციენტი საჭიროებს მჭიდრო სამედიცინო მეთვალყურეობას, ფსიქოლოგიურ ინტერვენციას."** კონსილიუმის პოზიციით, **„არსებული დადებითი დინამიკა განპირობებულია იმით, რომ პაციენტი წელიწადნახევარზე მეტია იმყოფება პოლიპროფილურ კლინიკაში მაღალპროფესიონალი ექიმების მეთვალყურეობის და მკურნალობის ქვეშ. თუმცა ყველა ფსიქონევროლოგიური პათოლოგია კვლავ იგივე ხარისხისაა."** შესაბამისად, ექიმების ჯგუფი მიიჩნევს, რომ **„პაციენტის მდგომარეობა ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას მყარი დადებითი პროგნოზები იქნას გაკეთებული".**[142]

---

[138] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[139] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/43eI1Lt > [ბოლოს ნანახია 07.03.2024].

[140] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3VwLof0 > ; < https://bit.ly/3PIQCAt > ; < https://bit.ly/4atkJDY > ; <https://bit.ly/4aR9i9B> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[141] სახალხო დამცველის 2024 წლის 15 იანვრის N4 ბრძანების საფუძველზე.

[142] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/4ad4hYV > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის 19 მარტს სახალხო დამცველმა კლინიკა „ვივა მედში" განთავსებული საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ის 13 პატიმარი მოინახულა, რომლებიც ასევე კლინიკა „ვივა მედში" გადიან მკურნალობას.[143]

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების კომპონენტს დაემატა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის ქვეკომპონენტი. თუმცა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა. კომპონენტს 2023 წელს ასევე დაემატა წამლის გვერდითი ეფექტის კონტროლის უზრუნველყოფა, თუმცა, სამწუხაროდ, არც ამ მიმართულებით არის რაიმე ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგ პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამები არ ფარავს თავშესაფრების და ალტერნატიული საცხოვრისების ბენეფიციარების სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობას, მათ შორის, ფსიქოტროპული მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვის მიზნით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკველევებისა და ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების ღირებულებას. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სენაკის ალტერნატიულ თავშესაფარში ბენეფიციარებს კონსულტაციას უწევს ექიმი თერაპევტი, თუმცა დანიშნული მედიკამენტები თავად ბენეფიციარებმა უნდა შეიძინონ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოფილია გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტები. რაც შეეხება სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებს, შემთხვევის მართვის მენეჯერები თავად ყიდულობენ ბენეფიციარების პენსიიდან გადაუდებელ მედიკამენტებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სხვა ბენეფიციარებისთვისაც იყენებენ ამ მედიკამენტებს, როდესაც მათ არ აქვთ არანაირი შემოსავალი.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პაციენტთა არანებაყოფლობითი მკურნალობა

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში დანერგოს ნულოვანი იძულების პოლიტიკა.[144] სტაციონირების და მკურნალობის პროცესში პაციენტის ნების

[143] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3TKQ5iW> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[144] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს შესახებ. 2023 წლის 18 აპრილი. პარა. 30. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3P7EAAo > [ბოლოს ნანახია: 23.01.2024]; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის სახელმძღვანელო Mental health, human rights and legislation: guidance and practice, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3vbjWIK> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

უგულებელყოფა, სამართლებრივი გარანტიების გარეშე პაციენტის სტაციონირება და მედიკამენტების იძულებით მიცემა, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობას გაუტოლდეს.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და საპატრულო ეკიპაჟების ჩართულობით პირის სტაციონარში ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანა, პირის თავისუფლების შეზღუდვა და არანებაყოფლობითი სტაციონირების საწყისი ეტაპია და მას ამ ეტაპიდანვე, მისთვის გასაგები ფორმით უნდა განემარტოს თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და უფლებები.

სამწუხაროდ, ფსიქიატრიული დაწესებულებები არანებაყოფლობითი სტაციონარული დახმარებისთვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების ამოქმედებას თავს არიდებენ. მათგან თავის არიდების მიზნით, დაწესებულებები პაციენტებს ფორმალურად, ნამდვილი ნების გამოვლენის გარეშე აწერინებენ ხელს ინფორმირებულ თანხმობაზე. ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები სისტემატურად ითხოვენ სტაციონარიდან გაწერას, თუმცა მათ დაწესებულებების დატოვების საშუალებას იქამდე არ აძლევენ, სანამ ოჯახის წევრი არ მოაკითხავს. ხოლო იმ ერთეულ შემთხვევებში, როდესაც სტაციონარიდან გაქცევას ახერხებენ, დაწესებულებები ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომლის თანამშრომლებსაც პაციენტი ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხელახლა გადაჰყავთ სტაციონარში.

ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, პაციენტები არანაირ მონაწილეობას არ იღებენ საკუთარი მკურნალობის დაგეგმვასა და შეფასებაში. მათი უმეტესი ნაწილისთვის უცნობია მკურნალობის სქემა, მედიკამენტების სახელწოდებები და მათი გვერდითი ეფექტები. სტაციონში მოთავსებაზე პაციენტის თანხმობა კვლავ გაიგივებულია მკურნალობაზე თანხმობასთან, რაც სამართლებრივად გაუმართლებელია[145] და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პაციენტმა თანხმობა განაცხადოს სტაციონირებაზე, მაგრამ არ ეთანხმებოდეს შეთავაზებულ მკურნალობას ან კონკრეტული მკურნალობის მეთოდებს. მნიშვნელოვანია, სტაციონარში მოთავსების თაობაზე ინფორმირებული თანხმობა და მკურნალობის თაობაზე ინფორმირებული თანხმობა მკაფიოდ გაიმიჯნოს.

ზემოაღნიშნული გამოწვევების ფონზე, პრაქტიკაში ვლინდება ისეთი შემთხვევები, როცა, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიერ კონკრეტული მედიკამენტების მიღებაზე უარის შემთხვევაში, მედიკამენტი მას იძულებით, დაფხვნილი სახით ან არანებაყოფლობითი მკურნალობის მუქარით მიეწოდება. იმავე მეთოდით უკეთდება ინექციაც, მათ შორის, სხვა პაციენტების თვალთახედვის არეში. მნიშვნელოვანია, ყველა პაციენტს, მუხედავად მათი ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი სტატუსისა, მიეცეს შესაძლებლობა უარი თქვას მკურნალობაზე ან სხვა სამედიცინო ჩარევაზე. ამ პრინციპიდან ნებისმიერი გამონაკლისი კანონით განსაზღვრული და ნათელი უნდა

[145] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წელს განხორციელებული ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას. პარა. 142. ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია: 24.01.2024].

იყოს.[146] ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის[147] ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ექიმის უფლებას, უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით პაციენტს შეუზღუდოს უფლება - უარი თქვას მკურნალობაზე. ეს სრულიად ეწინააღმდეგება ნებაყოფლობითი მკურნალობის არსს.[148]

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ, გასული წლების მსგავსად, კვლავ გადაუჭრელი პრობლემაა პაციენტთა ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ.

ფსიქიატრიული მკურნალობის კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა.[149] სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ იძულებითი სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის წესი და პირობები, რომელიც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის სადავო ნორმებით, და ამ ნორმების გამოყენების პრაქტიკა, ცხადყოფს, რომ სასამართლო, იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის საჭიროების განსაზღვრისას, არსებითად არ მსჯელობს, შესაბამისმა პირმა მართლაც ჩაიდინა თუ არა ქმედება, რომლის გამოც მას იძულებითი მკურნალობა ენიშნება. ასევე საგულისხმოა, რომ არანებაყოფლობით მკურნალობას დაქვემდებარებული პირისთვის (და შესაბამისად, კანონმდებლის მოსაზრებითვე, ანალოგიური ფსიქიატრიული მდგომარეობისა და საჭიროების მქონე იძულებით მკურნალობას დაქვემდებარებული პირისთვის) ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენისას კანონით დასახული მიზნების მიღწევის პირველად, საკმარის ვადად მოაზრებულია არა უმეტეს 6 თვე. შესაბამისად, იძულებითი მკურნალობის ფარგლებში პირის თავისუფლების 4 წლამდე ვადით შეზღუდვა აშკარად არაპროპორციულია კანონით დასახული მიზნების მისაღწევად. სახალხო დამცველის შეფასებით, კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი იძულებითი სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის წესი და პირობები არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს (თანასწორი მოპყრობის უფლება), მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს (ღირსების შემლახველი სასჯელის გამოყენება) და 31-ე მუხლის მე-5 პუნქტს (უდანაშაულობის პრეზუმფციას).

---

[146] ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-8 ზოგადი ანგარიშიდან - „არანებაყოფლობით მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში" პარა. 41. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806cd43e > [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

[147] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.

[148] სახალხო დამცველმა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 ზემოაღნიშნული ნორმატიული შინაარსი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა: სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3TNQdxw > [ბოლოს ნანახია: 15.01.2024].

[149] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 22 აგვისტოს კონსტიტუციური სარჩელი №1794 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

3.3.არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებააღკვეთილი/შეზღუდული პირები, კანონმდებლობის დონეზეც და პრაქტიკაშიც, უზრუნველყოფილნი იყვნენ სამართლებრივი დაცვის მინიმალური გარანტიებით. ამ გარანტიების ნორმატიულ დონეზე არსებობა და მათი ეფექტიანი აღსრულება ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკებს, რადგან შესაძლებელი ხდება უკანონო ქმედების გამოვლენა და მასზე რეაგირება. დამატებით, წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ არსებულ გარემო პირობებს, რომლებიც ქმნიან არასათანადო მოპყრობის საფრთხეს ან, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდეს როგორც ამგვარი მოპყრობის გამოვლენის, ისე დოკუმენტირების პროცესი. სამწუხაროდ, 2023 წელს, გასული წლების მსგავსად, ეს საკითხი პრობლემური იყო როგორც პენიტენციური და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემების, ისე ფსიქიატრიული დაწესებულებების, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებისა და ალტერნატიული საცხოვრისების შემთხვევაშიც.

პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტში, გასული წლების მსგავსად, პრობლემად რჩება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმარი უარს აცხადებს სამედიცინო შემოწმებაზე. სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენის და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას ასევე განაპირობებდა ექიმების პატიმართან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის პრინციპის დარღვევა. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი პრაქტიკის თანახმად, დაწესებულების თანამშრომელი, როგორც წესი, ესწრება ექიმისა და პაციენტის შეხვედრას, მიუხედავად იმისა, მომდინარეობს თუ არა, ან შესაძლოა თუ არა, რომ მომდინარეობდეს საფრთხე კონკრეტული პატიმრისგან.[150] სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზიანი პრაქტიკის განმაპირობებელ მიზეზებს შორის ასევე საგულისხმოა ექიმების მიერ ძალადობის შემთხვევების არასათანადო დოკუმენტირება, სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის (იგულისხმება ინსტიტუციური დამოუკიდებლობის არარსებობა, რადგან სამედიცინო პერსონალი დასაქმებულია და ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს და არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს) და მათ მიმართ პატიმრების ნდობის დაბალი ხარისხი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2023 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, თუ ექიმი ვერ მოიპოვებდა პატიმრის ინფორმირებულ თანხმობას, მას არ ჰქონდა უფლება შეევსო დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმა. ასეთ

[150] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

შემთხვევაში, ექიმი არ იყო ვალდებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გაეგზავნა შეტყობინება. შესაბამისად, შესაძლოა, გამოვლენის, დოკუმენტირებისა და შეტყობინების მიღმა დარჩენილიყო ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებაში პატიმრების მიღებისას ან დაწესებულებიდან მათი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ის თანხმობას არ აცხადებდა სამედიცინო შემოწმებაზე, თუმცა, შესაძლოა, მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას.

საგულისხმოა, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში 2021 წელს განხორციელებული ad hoc ვიზიტის შესახებ ანგარიშში საკანონმდებლო რეგულაციის ცვლილებაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ექიმი ვალდებული უნდა იყოს აღნუსხოს დაზიანებები და გადაუგზავნოს საგამოძიებო ორგანოს, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა სავარაუდო მსხვერპლი დოკუმენტირებასა და შეტყობინებაზე.[151]

მისასალმებელია, რომ ახალი პენიტენციური კოდექსით გათვალისწინებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ზემოაღნიშნული პრობლემის ადვოკატირების მიზნით გაცემული რეკომენდაცია. ახალი რეგულაციის პირობებში, თუ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს მას რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს ამ პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ეჭვს აღუძრავდა, ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო შემოწმება უტარდება მისი თანხმობის გარეშეც. შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას მის სხეულზე დაზიანების გამოვლენის შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. თუმცა, მნიშვნელოვანია, პენტიენციური კოდექსის ახალი ნორმის აღსრულების მიზნით, შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შევიდეს ცვლილებები, რისთვისაც კოდექსით ერთწლიანი მაქსიმალური ვადაა დადგენილი.[152]

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტში კვლავ პრობლემური იყო დაზიანების დოკუმენტირების დროს შესაბამისი ფორმის შევსების ხარვეზები. კერძოდ, ფორმაში არ იყო მითითებული დაზიანების ლოკალიზაცია დიაგრამაზე, არ იყო მითითებული დაზიანების ფერი და ფორმა, არც დაზიანების მიღების მეთოდი. გარდა ამისა, არ იყო დადგენილი შესაბამისობა დაზიანებასა და ამ დაზიანების მიღების მეთოდს შორის.

ამასთან ერთად, ასევე საგულისხმოა, რომ 2023 წელს, წინა წლების მსგავსად, პენიტენციური დაწესებულებების ექიმებს „სტამბოლის პროტოკოლის" შესაბამისად არ

[151] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2022 წლის 17-24 მაისის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2022) 11), პარა. 26, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < https://rm.coe.int/1680a6eabd > [ბოლოს ნანახია: 02.02.2023].
[152] პენიტენციური კოდექსის 146-ე მუხლი.

მოუხდენიათ ისეთი შემთხვევების დოკუმენტირება, სადაც სავარაუდო მოძალადე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი იქნებოდა.[153] თუმცა, საგულისხმოა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ, პატიმრების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის 119 ფაქტზე[154] მიიღო შეტყობინება და 26 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება.[155] ეს სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ პენიტენციური დაწესებულებების ექიმები დაზიანებების დოკუმენტირების მექანიზმს სრულყოფილად არ იყენებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია პოლიციის დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოება, თუმცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული 47 დაწესებულებიდან 8 დაწესებულებაში მაინც გამოვლინდა დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები.[156]

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ შესწავლილი და დამუშავებული 431 შემთხვევიდან 17.6%-ში (76 შემთხვევა) დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია იზოლატორებში არსებულ სამედიცინო ჩანაწერებში. ცხადია, ამ შემთხვევებში ჩნდება პრეზუმფცია, რომ დაკავებული პირი, შესაძლოა, პოლიციის კონტროლის ქვეშ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ასევე საგულისხმოა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმების მიერ დაზიანებების მიღების გარემოებების სრულყოფილად აღწერის კუთხით მცირედი გაუმჯობესების ტენდენცია კვლავ გრძელდება. თუმცა, სამწუხაროდ, 2023 წელსაც კვლავ მაღალია იმ შემთხვევების ხვედრითი წილი, სადაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ აღიწერება. 2023 წელს შესწავლილი 431 საქმიდან, რომელიც პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საეჭვოდ მიიჩნია, დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმების მიერ დაზიანებები სრულყოფილად იყო აღწერილი საქმეების 64.8%-ში, არასრულყოფილად - 15.3%-ში, ხოლო საერთოდ არ იყო აღწერილი 19.9%-ში.

ზემოთქმულის გარდა, მნიშვნელოვანია დაზიანებების ფოტოგრაფირებასთან დაკავშირებული სტატისტიკაც. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული, „სტამბოლის პროტოკოლის" მიხედვით დოკუმენტირებული 302 შემთხვევიდან, ფოტო გადაღებული იყო 9 (3%) შემთხვევაში. სახალხო დამცველი მიესალმება დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების და მასალის შენახვის ინსტრუქციის

---

[153] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 პასუხი.

[154] ეს 119 შეტყობინება შეეხებოდა 122 პირს. ამ შემთხვევებიდან 38 პირის მიმართ არსებული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას.

[155] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 წერილი.

[156] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში.

დამტკიცებას, რაც სახალხო დამცველის რეკომენდაცია იყო წლების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ნანახი არცერთი ფოტოს ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, კერძოდ, ფოტოები იყო ბუნდოვანი, არასაკმარისი ან ზედმეტად მკვეთრი განათების პირობებში გადაღებული. ფოტოები მიმობნეული იყო კომპიუტერში, სხვადასხვა საქაღალდეში. ხშირად ფოტოდოკუმენტებს არ ეწერა სახელი, გვარი და თარიღი. 2023 წელსაც იყო შემთხვევები, როდესაც ექიმებმა ვერ იპოვეს ფოტოები და ზოგჯერ ვერ იხსენებდნენ, საერთოდ იყო თუ არა გადაღებული.

ასევე საგულისხმოა, რომ წინა წლების მსგავსად, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანებები, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება არ გაგზავნილა. 2023 წელს დამუშავებული 431 შემთხვევიდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება გაგზავნილია 348 (80.7%) შემთხვევაში, 83 (19.3%) შემთხვევაში კი არ არის გაგზავნილი. მათ შორის არის შემთხვევები, როდესაც დაკავებულს დაზიანება აღენიშნება სახესა და თვალბუდის არეში და დაზიანებების ხარისხი და ფერი მიანიშნებს, რომ სავარაუდოდ, ძალადობის შედეგად, ახლად მიღებული დაზიანებებია. ასევე არ გაგზავნილა ისეთი შემთხვევები, როდესაც დაკავებული მიუთითებდა, რომ დაზიანება დაკავების დროს მიიღო.[157] აღსანიშნავია, რომ იმ საეჭვო შემთხვევების რაოდენობა, რომელიც არ გაგზავნილა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, 2022 წელს შესწავლილი საქმეების 26.2%-ს შეადგენდა. შესაბამისად, მისასალმებელია, რომ ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია.

დაკავებულ პირთა შესახებ დოკუმენტაციის წარმოების თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვანია შევიდეს ცვლილება შესაბამის ბრძანებაში და ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო, რა ვითარებაში მოხდა დაკავება, ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას, გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს გამოკითხულ დაკავებულთა უმეტესობა მიუთითებდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში ექიმს კონფიდენციალურ გარემოში შეხვდა. თუმცა კვლავ იკვეთება ცალკეული შემთხვევები, როდესაც იზოლატორის თანამშრომლები შეღებული კარის მიღმა იდგნენ და შეეძლოთ მათი და ექიმის საუბრის მოსმენა. ამასთანავე, სახალხო დამცველი გასულ წელსაც უთითებდა, რომ ექიმის კაბინეტში ვიდეომეთვალყურეობამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოვლენაზე და დოკუმენტირებაზე. სამწუხაროდ, 2023 წელს მონახულებულ ყველა სამედიცინო პუნქტში დამონტაჟებული იყო ვიდეომეთვალყურეობის კამერები, რომლებიც, ექიმების ინფორმაციით, უკვე ახორციელებდა ვიდეოჩაწერას. დადებითი კუთხით აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, იმ

[157] ასე, მაგალითად. დაკავების ოქმში მითითებულია, რომ დაკავებულმა დაკავებისას გასწია წინააღმდეგობა და მიიღო დაზიანებები, ექიმს აღწერილი აქვს შემდეგი დაზიანებები: მოწითალო სისხლნაჟღენთი ცხვირის არეში, წითელი ნაკაწრები ორივე მუხლზე, ორივე მხარზე და მარჯვენა მტევანზე. ერთ-ერთ დაკავებულს აღენიშნებოდა მოწითალო ჰიპერემია კისრის და თავის არეში და განმარტავდა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას, როცა მანქანაში სვამდნენ.

იზოლატორებში, სადაც ფუნქციონირებდა სამედიცინო პუნქტი, ყველა სამედიცინო დოკუმენტაცია, მათ შორის, სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ შედგენილი სამედიცინო ბარათები ინახებოდა სამედიცინო პუნქტში, სადაც არასამედიცინო პერსონალს წვდომა არ აქვს.

ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით საგულისხმოა, რომ კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, შემუშავებულიყო და დამტკიცებულიყო დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც, მათ შორის, მიგრანტთა დაბრუნების ოპერაციის ფარგლებში შეავსებს საქართველოს ესკორტის ექიმი. ასევე არ განსაზღვრულა ექიმის მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი. რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, არცერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არ არის მიღებული საკმარისი ზომები პაციენტთა არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად. ძალადობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია დაწესებულებებში პაციენტებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგიის არარსებობა. შესაბამისად, პაციენტებისგან მომდინარე რისკების შეფასებისა და შემცირების ეფექტიანი სისტემის არარსებობის გამო, ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალი პაციენტთაგან მომდინარე საფრთხეების გამოვლენას ვერ ახერხებს. ანალოგიური ვითარებაა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საანგარიშო წელს მონახულებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ქალთა და მამაკაცთა თავშესაფრებსა და სენაკში მდებარე საცხოვრისებში. არცერთ ამ დაწესებულებაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციის და მათზე რეაგირების სტრატეგია.

სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და თავშესაფრებსა და საცხოვრისებში კვლავ არ არის დანერგილი პაციენტის/ბენეფიციარის მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი. დაზიანებების შესახებ დოკუმენტაცია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ქაოტურად ან საერთოდ არ იწარმოება. ასევე საგულისხმოა, რომ, პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების აქტიურად გამოყენების მიუხედავად, ყველა ეს შემთხვევა არ დოკუმენტირდება. ყველა დაწესებულებაში პრობლემურია გამოყენებული შეზღუდვის მეთოდების დასაბუთებაც, რაც ზრდის თვითნებობის რისკს. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგებისას გამოვლინდა, რომ ე.წ. შეზღუდვის ჟურნალებში აღნუსხული შემთხვევები არ იყო მითითებული სამედიცინო ბარათებში და, პირიქით, სამედიცინო ბარათებში აღწერილი შეზღუდვის შემთხვევა არ მოიძებნებოდა ე.წ. შეზღუდვის ჟურნალებში.

სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა

2023 წელს, წინა წლების მსგავსად, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, გამოწვევას წარმოადგენდა პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა, რაც ამ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის რისკებს ქმნის.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემური იყო სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა.[158] სამედიცინო პერსონალი დიდი მოთხოვნის გამო ძლიერ დატვირთულია, განსაკუთრებული დატვირთვა კი მორიგე პერსონალზე მოდის. სამწუხაროდ, ექთნების რაოდენობის გაზრდისა და ვაკანტური ადგილების უმოკლეს ვადებში შევსების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა უარყოფითად აისახება გაწეული ფსიქიატრიული დახმარების ხარისხსა და პაციენტებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში რეაგირების ეფექტიანობაზეც. ასევე, გამოწვევაა პერსონალის კვალიფიკაცია, უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება, მოტივაციის ნაკლებობა, დაბალი ანაზღაურება და არახელსაყრელი სამუშაო პირობები. პერსონალის არაკვალიფიციურობა (ასევე, შესაბამისი სპეციალური გადამზადების არარსებობა), მათ შორის, პრობლემურია შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, როდესაც იზრდება პაციენტის დაზიანების რისკები. 2023 წელს პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალს კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში გადამზადება არ ჩატარებიათ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, სამედიცინო პუნქტი, 2023 წლის მდგომარეობით, ფუნქციონირებდა 22 იზოლატორში,[159] თუმცა სამედიცინო პერსონალი 24 საათის განმავლობაში მხოლოდ 11 იზოლატორში მორიგეობდა. 7 დროებითი მოთავსების იზოლატორში კვლავ არ არის სამედიცინო პუნქტი და დაზიანებების დოკუმენტირებას ახდენენ სასწრაფო დახმარების ექიმები. სამწუხაროდ, სამედიცინო პერსონალის მოზიდვისა და დასაქმების კუთხით წინსვლა კვლავ არ შეინიშნება.

მოთხოვნა/საჩივარი - გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა. სამწუხაროდ, 2023 წელს, წინა წლების მსგავსად, გამოწვევა იყო პენიტენციურ დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა.

2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგისას კვლავ გამოვლინდა, რომ პატიმრებისთვის გასაჩივრების უფლების რეალიზებას აბრკოლებს პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი პატიმართა არაფორმალური იერარქია. არაფორმალური მმართველობის გავლენის გამო, წინა წლების მსგავსად, პატიმრები კვლავ თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისგან. პატიმართა დაახლოებით ნახევარი სასჯელს

[158] №2 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც თვის განმავლობაში საშუალოდ 1055 პატიმარია და №15 პენიტენციურ დაწესებულებაში თვის განმავლობაში საშუალოდ 1816 მსჯავრდებულია მოთავსებული, თითოეულში არასამუშაო დროსა და ღამის საათებში მორიგეობს 1 მორიგე ექიმი და 2 მორიგე ექთანი.
[159] 2022 წელს სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებდა 21 იზოლატორში. 2023 წელს გაიხსნა თბილისის №3 იზოლატორი, სადაც ასევე ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

სწორედ ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში[160] იხდის, თუმცა, 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატში პატიმრებისგან შემოსული განცხადებებიდან მხოლოდ 2.36% ეკუთვნოდათ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება კვლავ დაწესებულების თანამშრომლებზეა დამოკიდებული.[161] ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ, მართალია, საჩივრის შინაარსი დაწესებულებებისთვის უცნობი რჩება, თუმცა თავად საჩივრის დაწერის ფაქტმაც კი, შეიძლება პრობლემა შეუქმნას პატიმარს და ამის გამო თავი შეიკავოს კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის მოთხოვნისა და გაგზავნისგან.

დამატებით, საგულისხმოა, რომ გასაჩივრების მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია პატიმრების სათანადო ინფორმირება. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ უცხოენოვანი პატიმრები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით, ასევე, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდებოდეთ ინფორმაცია, ზოგადად, დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია აღმოიფხვრას პრობლემა, რომლის წინაშეც პენიტენციურ დაწესებულებაში ახლად მოთავსებული ბრალდებულები დგანან. მათთვის საბანკო/სატელეფონო ბარათები დაწესებულებაში მოთავსებიდან 10-14 დღეში მზადდება და ამ პერიოდში ისინი მათთვის სასურველ უწყებას ცხელი ხაზის საშუალებით ვერ უკავშირდებიან (მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და სხვ.).

პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, ხარვეზიანი იყო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გასაჩივრების მექანიზმიც. სამწუხაროდ, ამ მხრივ, არსებული მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება. ფსიქიატრიული დაწესებულებები ფორმალურადაც აღარ იჩენენ ძალისხმევას დანერგონ გასაჩივრების ჰოსპიტალშიდა მექანიზმები. დაწესებულებებში საჩივრის ყუთები ან საერთოდ არ არის, ან სრულიად უფუნქციოდ არის დატოვებული. პაციენტებს ასევე არ აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებთან დაკავშირების შესაძლებლობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, პაციენტებს ხელი არ მიუწვდებათ იურიდიულ კონსულტაციაზე. ტელეფონთან დაკავშირებული პრობლემების, არაკონფიდენციალური გარემოს და ინფორმირებულობის ნაკლებობიდან გამომდინარე, ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან შემოსული ზარები და განცხადებები ძალზე მწირია როგორც სახალხო დამცველის აპარატში, ისე პაციენტის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში. რაც შეეხება თავშესაფრებსა და საცხოვრისებში არსებულ ვითარებას, საგულისხმოა, რომ სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში საერთოდ არ არის გასაჩივრების შიდა მექანიზმი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავშესაფარში კი, ფორმალურად განთავსებულ საჩივრის ყუთებს, წლებია, არავინ

[160] №14, №15 და №17 პენიტენციური დაწესებულებები.

[161] გამონაკლისია მხოლოდ №14 პენიტენციური დაწესებულება, სადაც კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები საჩივრის ყუთებთან იყო მოთავსებული.

იყენებს. ასევე სამწუხაროა, რომ გამოკრული არ არის სახალხო დამცველის, სხვა სახელმწიფო უწყებების ინსპექტირების ორგანოების ან შშმ პირების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ცხელი ხაზის ნომრები. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგიდან ირკვევა, რომ ამ დაწესებულებების ბენეფიციარებს არ აქვთ ინფორმაცია არც საკუთარი უფლებების და არც უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

პენიტენციური დაწესებულებების არაფორმალური მმართველობა

პატიმრების ძალადობისგან დაცვის თვალსაზრისით, კვლავ გამოწვევად რჩება ცალკეულ დაწესებულებებში პრივილეგირებული პატიმრების (ე.წ. მაყურებლების) მიერ პენიტენციური დაწესებულებების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა, რაც არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს და ხშირად, პატიმრებს შორის ძალადობასა და ჩაგვრასაც განაპირობებს. პრივილეგირებული პატიმრების მიერ პენიტენციური დაწესებულებების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა ხშირად პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დელეგაციის წევრებთან ერთად №15 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის პრევენციული ჯგუფისა და ქვეკომიტეტის დელეგაციის წევრებს მუდმივად თან დაჰყვებოდნენ კონკრეტული პატიმრები. ისინი ცდილობდნენ მოესმინათ ჯგუფის წევრების მიერ სხვა პატიმრებისთვის დასმული კითხვების შინაარსი და გაცემული პასუხები, რაც, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, პატიმრების მონაყოლის მოსმენას, ხოლო, მეორე მხრივ, პატიმრებზე გავლენის მოხდენას, რათა დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე საუბრისგან თავი შეეკავებინათ. ასევე საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებს შორის დამკვიდრებულ არაფორმალურ იერარქიაზე მსჯავრდებულები მიუთითებდნენ სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში შესწავლილ სამ საქმეში.[162]

ამ ნაწილში ასევე ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის მაისში, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი *ad hoc* ვიზიტით საქართველოს სპეციალურად ეწვია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესამოწმებლად. შემოწმების შედეგად 2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საგანგებოდ მიუთითა იერარქიის მაღალ და საბალ საფეხურზე მდგომი პატიმრებისათვის განსხვავებული საცხოვრებელი პირობების, ე.წ. „საერთოს" შეგროვებისა და პატიმართა გაჩუმების პრაქტიკაზე, ასევე, მოჩვენებით წესრიგზე.[163] ამავე ანგარიშში კომიტეტმა აღნიშნა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მენეჯმენტსა და იერარქიის

[162] საქმეებთან მიმართებით დეტალური მსჯელობა ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[163] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2021 წლის 17-21 მაისის საქართველოში ad hoc ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2022) 11), პარა. 12, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/1680a6eabd >[ბოლოს ნანახია: 01.02.2023].

წარმომადგენელ პატიმრებს შორის არსებობდა ერთგვარი შეთანხმება, რომ პატიმრებს შორის ნებისმიერი კონფლიქტი თავდაპირველად არაფორმალურად, ადმინისტრაციის ფორმალურად გაფრთხილების გარეშე უნდა მოგვარებულიყო.[164]

პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც საქართველოს პენიტენციური სისტემის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. ამაზე მეტყველებს ევროპის საბჭოს სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, საქართველო ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის, პატიმართა რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზეა.[165]

2023 წელს გადატვირთულობის პრობლემა კვლავ აქტუალური იყო როგორც ნახევრად ღია, ისე დახურული ტიპის ისეთი დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში, როგორებიცაა №15[166], №8[167] და №2[168] პენიტენციური დაწესებულებები. ამ დაწესებულებებში დარღვეული იყო კანონმდებლობით[169] დადგენილი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების რაოდენობრივი ლიმიტი. სამწუხაროდ, 2023 წელს, №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები კვლავ ერთად არიან განთავსებულები. დარღვეულია საერთაშორისო სტანდარტები[170] და პენიტენციური კოდექსის დადგენილი მოთხოვნა[171] ბრალდებულების მსჯავრდებულებისგან განცალკევებით განთავსების შესახებ. ამ დაწესებულებებში, გადატვირთულობის გამო, პატიმრების საკნებში განაწილების დროს, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა

---

[164] იქვე, პარა. 20.

[165] 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 9542 პატიმარი იმყოფებოდა, რაც გულისხმობს იმას, რომ 1000000 მოსახლეზე 261 პატიმარი მოდიოდა (ინფორმაცია საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ციხის პოპულაციის შესახებ ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3JZEKrw > [ბოლოს ნანახია: 23.03.2023].

[166] საგულისხმოა, რომ №15 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტი არის 1388, ხოლო 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს აღემატებოდა 30.8%-ით (+427), ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3wuAQ5q > [ბოლოს ნანახია 20.02.2024].

[167] საგულისხმოა, რომ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 2426, ხოლო 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს აღემატებოდა 6.8%-ით (+166), ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3wuAQ5q > [ბოლოს ნანახია 20.02.2024].

[168] საგულისხმოა, რომ №2 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 1068, ხოლო 2023 წლის ნოემბრის მდგომარეობით, პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს აღემატებოდა 2%-ით (+21), ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3wuAQ5q > [ბოლოს ნანახია 20.02.2024].

[169] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანება.

[170] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, 70/175 (ნელსონ მანდელას წესები), ბრალდებულები და მსჯავრდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ განთავსებულნი (წესი №11(ბ)).

[171] პენიტენციური კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის უთანხმოების მიზეზი.

სახალხო დამცველი, წლებია, გასცემს რეკომენდაციას იუსტიციის მინისტრის მიმართ, შეიმუშაოს პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმა და გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი. ევროპის საბჭოს მონაცემებით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის თანაფარდობა 2.9-დან 12.9-მდე მერყეობს და 1:15 თანაფარდობის უზრუნველყოფის რეკომენდაცია სწორედ ამ მონაცემებს ეფუძნება.[172]

ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა უფლებების თვითნებური შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,[173] ექიმი უფლებამოსილია უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით შეზღუდოს.[174] ბუნდოვანია, რას გულისხმობს უსაფრთხოების მიზნით უფლების შეზღუდვა, ასევე გაურკვეველია, რა სახის უსაფრთხოების საფუძვლით აქვს ექიმს პაციენტის უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა. თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს თითოეული უფლების შეზღუდვის მაქსიმალური დრო, კრიტერიუმი და გასაჩივრების პროცედურები.[175]

ფიზიკური გარემო

2023 წელს, ფიზიკური გარემო პრობლემური იყო როგორც დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ისე პენიტენციურ დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია დროებითი მოთავსების იზოლატორების ორ ან მეტ ადგილიან საკნებში ნახევრად იზოლირებული სანიტარიული კვანძები, სადაც ორი და მეტი დაკავებულის მოთავსების შემთხვევაში, დაკავებულებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვა დაკავებულის/დაკავებულების თვალწინ უწევთ. გარდა ამისა, რიგი იზოლატორების საკნების საპირფარეშოებში არ არის ჩამრეცხი მოწყობილობა და მის ნაცვლად, საკნების საპირფარეშოებში, საკანალიზაციო ღია ხვრელის ზემოთ, რამდენიმე სანტიმეტრში დამაგრებული წყლის მილი გამოიყენება. ამგვარ

---

[172] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.
[173] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.
[174] კერძოდ, ექიმს აქვს უფლება პაციენტს შეუზღუდოს ტელეფონით სარგებლობის უფლება; სტაციონარის ხანმოკლე დროით დატოვების უფლება; წერილების, ამანათების და მნახველების მიღების უფლება; პირადი ნივთის ქონის უფლება; აუდიო-ვიზუალური ინფორმაციის მიღების უფლება, ასევე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე გასაგები ინფორმაციისა და სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის უფლება.
[175] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, 166-170; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 53.

პირობებში დაკავებულის ხანგრძლივი დროით მოთავსება, შესაძლოა, დაკავებული პირების მიმართ დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს.[176]

საგულისხმოა, რომ 2022 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში დამონტაჟდა ვიდეოკამერები, რომლებითაც 2023 წლიდან ყველა იზოლატორის საკანში ხორციელდებოდა ვიდეომეთვალყურეობა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მაღალია თვითდაზიანების ან სუიციდის რისკი, ვიდემეთვალყურეობა, შესაძლოა, განხორციელდეს მხოლოდ რეალური და იმწუთიერი რისკის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია საკნის ინფრასტრუქტურაც. როგორც აღინიშნა, იზოლატორების უმრავლესობაში ნახევრად ღია საპირფარეშოებია, რომლებიც, შესაძლოა, ვიდეომეთვალყურეობის არეალში მოექცეს. ვიდეომეთვალყურეობის პირობებში ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება დაკავებული პირის პირადი სივრცის უხეში ხელყოფაა და, შესაძლოა, დაკვალიფიცირდეს დამამცირებელ მოპყრობად.[177]

სამწუხაროდ, ფიზიკური გარემო პრობლემურია ფსიქიატრიულ დაწესებულებებშიც. 2023 წელს, წინა წლების მსგავსად, პრობლემური იყო გადატვირთულობა და სიმჭიდროვე პალატებში. პაციენტები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილნი სტანდარტით დადგენილი 8 კვ. მ. ფართით.[178] ამასთანავე, მიღებული ინფორმაციით, პაციენტების რაოდენობა რეგულარულად აჭარბებს საწოლების რაოდენობას და ზოგიერთ პაციენტს საწოლზე კი არა, იატაკზე დაგებულ მატრასზე უწევს ძილი.[179] გარდა ამისა, ასევე საგულისხმოა გამოწვევები ინფრასტრუქტურული კუთხით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, რომლის შენობაც ამორტიზებულია და კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავშესაფრებსა და სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით და საბაზო ჰიგიენური დანიშნულების ნივთებით.

---

[176] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, „ვასილესკუ ბელგიის წინააღმდეგ" (Vasilescu c. Belgique), საჩივარი N64682/12, პარა. 105.

[177] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, CASE OF GORLOV AND OTHERS v. RUSSIA Applications nos. 27057/06 and 2 others. ასევე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მოუწოდებს იტალიის მთავრობას პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეომეთვალყურეობა განახორციელოს ისე, რომ გარანტირებული იყოს პრივატული გარემო პატიმრის მიერ საპირფარეშოთი სარგებლობის დროს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2016 წლის 8-12 აპრილის იტალიაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2017) 23, პარა. 62, ხელმისაწვდომია: <https://www.ecoi.net/en/file/local/1406598/1226_1505200729_16807412c2-rep.pdf>, [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].

[178] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებით დამტკიცებული „სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობების" მიხედვით, ფართობი პალატაში ერთ პაციენტზე უნდა იყოს არანაკლებ 8 კვ.მ, და საწოლებს შორის დაშორება – მინიმუმ 1.2 მ.

[179] ბათუმის სამედიცინო ცენტრში ვიზიტის დროს, დაწესებულებაში განთავსებული იყო 159 პაციენტი. ლიმიტით განსაზღვრული საწოლების რაოდენობა შეადგენს 150-ს. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ვიზიტის დროს, დაწესებულებაში განთავსებული იყო 215 პაციენტი. ლიმიტით განსზღვრული საწოლების რაოდენობა შეადგენს 210-ს.

დაწესებულებები ინფრასტრუქტურულადაც გამართულია, თუმცა თვალშისაცემია ბეტონის კონსტრუქციები და ბეტონის სასეირნო ეზოები, რაც კიდევ უფრო დამთრგუნველ და არათერაპიულ გარემოს ქმნის. ამასთანავე, გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისთვის არცერთ დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული გარემო და მისაწვდომობის შესაბამისი სტანდარტი. შემაშფოთებელია „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის", ბენეფიციართათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი პირობები. შენობაში არ ფუნქციონირებს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, მთელ შენობაში დაზიანებულია ჭერი და კედლები, იკვეთება სხვა არაერთი პრობლემაც. სამწუხაროდ, ამ დაწესებულებაში კრიტიკულია სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც - ინფრასტრუქტურა იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, რომ შეუძლებელია ჰიგიენის ნორმების სათანადოდ დაცვა.

პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკურ გარემოზე საუბრისას, პირველ რიგში, საგულისხმოა, №17 პენიტენციური დაწესებულება, სადაც დღემდე არ გაუქმებულა ე.წ. „ბარაკული" ტიპის საერთო საცხორებლები და შეუძლებელია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ხოლო მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ. მ. პირადი საცხოვრებელი ფართობით. პატიმრების 4 კვ. მ. საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა პრობლემაა №2, №8 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებშიც. ამ ნაწილში დადებითად უნდა აღინიშნოს ახალი პენიტენციური კოდექსით ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმის გაზრდა, რითაც ის გაუთანაბრდა მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ფართობს (არანაკლებ 4 კვ. მ.).

დროებითი განთავსების ცენტრში არასრულწლოვნების განთავსების პირობები

საგულისხმოა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, საიმიგრაციო ცენტრში ბავშვის, მათ შორის, ზრდასრულთან მყოფი ბავშვის, განთავსება მხოლოდ უკიდურესი ზომა უნდა იყოს და ისიც, რაც შეიძლება ხანმოკლე პერიოდით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას არასრულწლოვნის საიმიგრაციო დაკავების ადგილებში განთავსების შემთხვევებში და კუმულატიურად განიხილავს განთავსების პირობებს, ხანგრძლივობას, იმის მიუხედავადაც კი, რომ იგივე განთავსების პირობები და დაკავების ხანგრძლივობა სრულწლოვანთან მიმართებით, შესაძლოა, არ შეფასდეს მე-3 მუხლის დარღვევად.[180]

[180] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევის შეფასებისას მხედველობაში იღებს სამ კრიტერიუმს - ბავშვის ასაკი და მოწყვლადობა, მატერიალური პირობები განთავსების ცენტრში და ხანგრძლივობა. N.B. and Others v. France შემთხვევაში, მატერიალურ პირობებში შეფასდა ხმაურიანი გარემო და ის ფაქტი, რომ ოჯახების განთავსების ფლიგელი გამჭვირვალე მინით იყო გამოყოფილი სრულწლოვანების საერთო სივრცისგან. ასევე ის ფაქტი, რომ უსაფრთხოების ზომების ხასიათი დაკავების/საპატიმრო დაწესებულებების მსგავსი იყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, N.B. and Others v. France, 31 მარტი 2022, application no. 49775/20 და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, M.D. et A.D. c. France 22 July 2021, application no 57035/18, para: 41-50 ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-211122 [ბოლოს ნანახია: 12.03.2024].

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 სექტემბრამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული 72 პირიდან 21 არასრულწლოვანი იყო, მათგან 11 უმეთვალყურეოდ მყოფი არასრულწლოვანი.[181] სამწუხაროდ, მათთვის არ არის შეთავაზებული არანაირი აქტივობები და მხოლოდ ტელევიზორის ყურებაა შესაძლებელი. დროებითი განთავსების ცენტრში ადგილზე არ არის არც ფსიქოლოგი და არც სოციალური მუშაკი. ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მითითება, რომ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი, მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რომლებიც პირადად ეკონტაქტებიან არასრულწლოვანს.

დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები

დაკავებულის ინფორმირება - პოლიციის მიერ პირის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ, წლების მსგავსად, პრობლემური იყო 2023 წელსაც. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულ პირებს, უმეტეს შემთხვევებში, არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ, ან საერთოდ არ უმარტავენ უფლებებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწვდიან ინფორმაციას.

ადვოკატის ხელმისაწვდომობა[182] - სამწუხაროდ, ადვოკატთან დაკავშირების მოთხოვნა არ აღირიცხება არც პოლიციის დაწესებულებებში და არც დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ადვოკატებს ძირითადად დაკავებულების ოჯახის წევრები უკავშირდებიან. პრობლემურია პოლიციის დაწესებულებებში ადვოკატთან კონფიდენციალური გასაუბრების შესაძლებლობაც, ვინაიდან დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს გამოყოფილი ოთახი ადვოკატთან შესახვედრად. დაკავებულები ადვოკატს ძირითადად ღია, სამუშაო სივრცეში ხვდებიან, სადაც პოლიციის თანამშრომლები იმყოფებიან და ამდენად, კონფიდენციალური საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ოჯახის ინფორმირება - დაკავებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ერთეული შემთხვევების გარდა, სისხლის სამართლის წესით დაკავების შემთხვევაში, ოჯახი ინფორმირებულია მათი დაკავების თაობაზე. თუმცა, რაც შეეხება დაკავებულის ადგილსამყოფელის ოჯახის წევრისთვის შეტყობინებას, ადვოკატებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრებს დაკავებულის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდებათ და ცდილობენ ადვოკატის საშუალებით დაადგინონ, სად იმყოფება დაკავებული. ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე

[181] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 29 სექტემბრის MIA12302855902 წერილი.

[182] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

და რეგიონულ ოფისებში არაერთი შეტყობინება შედის დაკავებულის ადგილსამყოფელის დადგენაში დახმარების თხოვნით.

აუდიო-ვიდეო ჩანაწერების წარმოება - სახალხო დამცველი ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით, წლებია გასცემს რეკომენდაციებს ნორმატიული აქტით დასარეგულირებელ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამხრე კამერებით და პოლიციის ავტომანქანაში ვიდეოგადაღების ვალდებულება და გონივრული ვადით მასალის შენახვა. ასევე, გასცემს რეკომენდაციებს პოლიციის დაწესებულებების ვიდეოინფრასტრუქტურით სრული აღჭურვის და დაკავებული პირის გადაადგილების არეალის სრული დაფარვის შესახებ. სამწუხაროდ, 2023 წელს, ნორმატიულ დონეზე, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა. კერძოდ, პატრულ ინსპექტორებს/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს, მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების ვალდებულება არ აქვთ. პატრულ ინსპექტორების გარდა, არცერთ შემთხვევაში არ არის გაწერილი ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები.[183] პრაქტიკაში პატრულ ინსპექტორები/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღებას იშვიათად იყენებენ.

საგულისხმოა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში სამსახურის მიერ 161 საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა 80 საქმეზე.[184] მათგან, 43 საქმეზე ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ჩანაწერი ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ მოიძებნა. 28 შემთხვევაში ვერ მოხერხდა, რადგან ადგილზე არ იყო განთავსებული ვიდეოკამერები.[185]

სამწუხაროდ, პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობს დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდი-ვიდეო ჩაწერა. აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაწყებული ზემოაღნიშნული გამოძიებებიდან, 82 შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებდა, რომ სავარაუდო დანაშაულს ადგილი ჰქონდა პოლიციის შენობაში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მითითებით, მნიშვნელოვანია, პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი გამოკითხვა/გასაუბრება ვიდეო და აუდიო ტექნიკური საშუალებებით იწერებოდეს, იქვე უნდა მიეთითოს გამოკითხვის/გასაუბრების დაწყების და დასრულების დრო და

[183] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება, მუხლი 121.

[184] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 17 იანვრის წერილი SIS62400000650.

[185] 7 შემთხვევაში ვიდეოკამერის ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა, რადგან ჩამწერი მოწყობილობა მყარ დისკზე არ მოიძებნა/ადგილზე არ იყო განთავსებული ვიდეოკამერები; 2 შემთხვევაში არ იქნა ამოღებული, რადგან სავარაუდო მსხვერპლი შესაძლო ძალადობის ადგილად ქუჩას უთითებდა.

მიეთითოს ჩანაწერში მონაწილე ყველა პირის სახელი და გვარი.[186] განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ წლიდან წლამდე მცირდება პოლიციის სამმართველოებსა და დეპარტამენტებში შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერების რაოდენობა. 2023 წლის მონაცემებით, საგანგაშოა, რომ პოლიციის 5 დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე არცერთი კამერა აღარ არის განთავსებული, მათ შორის, ორ დაწესებულებაში კამერა არ არის არც გარე პერიმეტრზე, რაც მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯია.

ვიდეოსამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებული პრობლემა, კერძოდ კი, ვიდეოჩანაწერების დაარქივებასთან დაკავშირებული პრობლემა, ასევე იკვეთება პენიტენციური დაწესებულებების შემთხვევაშიც. სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებში[187] წლების განმავლობაში მიუთითებდა, რომ დახურულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, უნდა გაზრდილიყო ვიდეოჩანაწერების შენახვისა და დაარქივების ვადა, რომელიც თავდაპირველად 24 საათს შეადგენდა, შემდეგ 5 დღემდე, ხოლო მოგვიანებით 30 დღემდე გაიზარდა, რაც დადებითად შეაფასა როგორც სახალხო დამცველმა, ისე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა.[188] ამის ფონზე განსაკუთრებით უარყოფითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, პენიტენციურ უწყებაში ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადა 30 დღიდან 10 დღემდე შემცირდა. ეს ცვლილება მნიშვნელოვნად აუარესებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობას მათ მიმართ არასათანადო მოპყრობისა ან/და მათი უფლებების სხვაგვარი დარღვევის პრევენციის მიმართულებით.[189]

ასევე, სამწუხაროდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის №3, №11 და №8 დაწესებულების ნაწილში[190], ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, მათ

---

[186] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ, პარაგრაფი: 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://rm.coe.int/16809420e3 >, [ბოლოს ნანახია: 27.02.2024].

[187] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2015, გვ. 43-44; საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2016, გვ. 9; საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2017, გვ. 20; საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2018, გვ. 44; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, გვ. 43; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, გვ. 29.

[188] იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 4-6 ივნისს გამართულ 1348-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება, აბზაცი 5, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3TgsMgx > [ბოლოს ნანახია: 15.03.2024].

[189] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 20 ოქტომბრის №941 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

[190] №8 პენიტენციური დაწესებულების ნაწილი, რომელიც განთავსებულია თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11.

სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეომასალის შენახვის ვადად, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად,[191] კვლავ განსაზღვრულია არანაკლებ 120 საათი.[192]

ვიდეოჩანაწერების დაარქივებასთან დაკავშირებით, ასევე საგულისხმოა, რომ აუცილებელია „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა" უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერების დაარქივება და გონივრული ვადით შენახვა, რაც იქნება ნორმატიულად დარეგულირებელი.[193]

მოსამართლის როლი - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდება, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ჩადენილია წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის შესაბამის გამოძიების ორგანოს მიმართავს.[194] ამ სახის ვალდებულება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველ მოსამართლესაც აქვს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთან მიმართებით.[195] საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკით, 2023 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებმა შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის ეს შესაძლებლობა 90 შემთხვევაში გამოიყენეს.[196]

დაკავებულთა სამართლებრივი გარანტიების ჭრილში, სახალხო დამცველი, წლებია, უარყოფითად აფასებს მოწმის სტატუსით პოლიციაში მყოფი პირების დაკავების პრაქტიკას. 2023 წელსაც, დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნის შემოწმებით, დაკავებულებთან და ადვოკატებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ იკვეთება შემთხვევები, როდესაც პირი დაწესებულებაში შესვლის დროს არ იყო დაკავებული და მოგვიანებით დააკავეს, თუმცა წინასწარვე განსაზღვრული იყო, რომ პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის და გასაუბრების შემდეგ მას დააკავებდნენ. პოლიციის დაწესებულებაში მისვლისთანავე პირს ჩამორთმეული აქვს მობილური ტელეფონი, შეზღუდული აქვს გადაადგილების უფლება და არ შეუძლია სურვილისამებრ დატოვოს პოლიციის დაწესებულება. ამ პერიოდში, პოლიციის თანამშრომლები ცდილობენ მოიპოვონ მოწმედ დაბარებული პირისგან ის ინფორმაცია, რომელსაც მისსავე წინააღმდეგ გამოიყენებენ. ამ პერიოდს თან სდევს მუქარა და დაშინება. მსგავსი შემთხვევები არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით, სარისკო პრაქტიკაა, ვინაიდან ოფიციალურად

---

[191] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 102-105. <https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf>, [ბოლოს ნანახია: 17.01.2024].

[192] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 30 იანვრის №23854/01 წერილი.

[193] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშში.

[194] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.

[195] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 238[1] მუხლი.

[196] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 5 მარტის წერილი №3-19-24.

დაკავებამდე, დასაკავებელ პირს არ აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის გარანტიებით, მაშინ როდესაც დაკავებამდეც დე ფაქტო და უკანონოდ შეზღუდული ჰქონდა თავისუფლება და პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.[197]

დაკავებული პირის გარანტიების ჭრილში, ასევე საგულისხმოა სტანდარტიზებული და გამართული დოკუმენტაციის წარმოების მნიშვნელობა. ეს მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხოს დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება. ფაილური სახით დოკუმენტაციის წარმოება შექმნის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მეტ გარანტიას, ვინაიდან პოლიციის თანამშრომლები ვალდებულები იქნებიან დროში სინქრონულად, სისტემაში შეიყვანონ დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება და ვერ შეძლებენ მის თვითნებურად შეცვლას და გადაკეთებას. სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოების დანერგვასთან ერთად, მნიშვნელოვანია დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალების და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადასაყვან პირთა აღრიცხვის ჟურნალების გამართული წარმოება, ისევე როგორც პოლიციის შენობებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა მათი სტატუსის მითითებით.

არასათანადო მოპყრობისგან დაცვის სამართლებრივი გარანტიების კონტექსტში ასევე საგულისხმოა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაც. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული 431 საეჭვო შემთხვევიდან 350 შემთხვევაში გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი დროებითი მოთავსების იზოლატორში პირს ადგილზე მისვლით ან დისტანციურად შეხვდა 131 (37.4%) შემთხვევაში, რაც, წინა წლებთან შედარებით, შემცირებული მაჩვენებელია.[198] დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში პრევენციული ვიზიტებისას მიღებული ინფორმაციით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან შეხვედრა, 2023 წელსაც უმეტესად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. რადგანაც დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულს დისტანციური შეხვედრების ოთახში მარტო არ ტოვებენ, დისტანციური ჩართვის დროს არ არის უზრუნველყოფილი კონფიდენციალური გარემო, რაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელთან გულახდილ საუბარზე ახდენს გავლენას. გარდა ამისა, პირისპირ შეხვედრა მნიშვნელოვანია გამომძიებლის მიერ დაკავებული პირისთვის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ ინფორმაციის უკეთ მიწოდებისთვის, ნდობის მოპოვებისა და დაკავებულის ფიზიკური და ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასებისთვის.

[197] I.I. v. Bulgaria (Application №44082/98) ხელმისაწვდომია < https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-69313> [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].
[198] 2022 წელი - 47,4%, 2021 წელი - 70%.

3.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება

არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ამ დანაშაულის თავიდან ასარიდებლად. სამწუხაროდ, 2023 წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით არაერთი გამოწვევა გამოვლინდა.

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მნიშვნელობაზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში მოქმედი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი გარანტიები. მნიშვნელოვანია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. გარდა ამისა, აუცილებელია გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დარჩეს მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან დაკავშირებით, მისასალმებელია 2023 წელს განხორციელებული ცვლილება,[199] რომლის თაობაზეც საქართველოს სახალხო დამცველმა 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში გასცა წინადადება საქართველოს პარლამენტის მიმართ.[200] კერძოდ, მისასალმებელია, რომ ამ ცვლილების საფუძველზე, იზოლატორში მოთავსებულ პირთან, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დაიშვებიან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები. ასევე მისასალმებელია 2024 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის გავრცელებას პროკურორების ჩადენილ დანაშაულებზე.[201] სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ პარლამენტი ამ ცვლილებას მხარს დაუჭერს.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის ხარისხი არც 2023 წელს შეცვლილა. აპარატმა 2023 წელსაც მიიღო დეტალური ინფორმაცია ათეულობით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, გაეცნო ათეულობით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეს და საგამონაკლისოდ გაეცნო არაერთი გამოძიების მასალებს.

2023 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეტყობინება მიაწოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის 55

---

[199] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 6 ოქტომბრის №78 ბრძანება.

[200] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 72.

[201] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 27 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4cdZasJ > [ბოლოს ნანახია 15.03.2024].

ფაქტზე.[202]აქედან 30 შემთხვევაში აპარატმა საგამოძიებო სამსახურს აცნობა პოლიციის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, 19 შემთხვევაში - სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან, 3 - პენიტენციური სამსახურის ესკორტირების სამსახურის, 1 - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ, 1 - პოლიციისა და შსს სპეციალური დანიშნულების რაზმის შესახებ, 1 - როგორც გამომძიებლის, ისე დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების მიმართ. 55 შეტყობინებიდან გამოძიება დაიწყო 34 შემთხვევაში, ხოლო 21 შემთხვევაში გამოძიება არ დაწყებულა. 21-დან 12 შემთხვევაში, საქმე გადამისამართდა სხვადასხვა უწყებაში (მაგ., პროკურატურა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი, შსს გენერალური ინსპექცია). უწყების განმარტებით, ძირითადი მიზეზი მსხვერპლის შეცვლილი პოზიცია იყო.

2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო სულ 537 სისხლის სამართლის საქმეზე[203] , საიდანაც 257 საქმე შეეხებოდა სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.[204] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 93 პირის მიმართ. აქედან **მხოლოდ 5 პირი იყო, რომლის მიმართაც, მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ჩადენილი დანაშაულის გამო დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. 5 პირიდან სამს ბრალი წარედგინა სამსახურებრივი გულგრილობისთვის, რამაც ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია,[205] ხოლო ორი პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება შეეხებოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობას.[206]** ამავე პერიოდში 88 სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება.[207]შეწყვეტილი საქმეებიდან 74 შეეხებოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს.[208]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 46 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება დაიწყო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გამო და გამოძიება შეწყდა პროკურორის დადგენილებით, კონკრეტული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში

[202] არ ეხებოდა მხოლოდ 2023 წელს მომხდარ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

[203] იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ყველა იმ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლებზეც „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, მე-19 მუხლის შესაბამისად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება.

[204] ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2024 წლის 21 მარტის სამუშაო შეხვედრაზე.

[205] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[206] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი და 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

[207] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 8 დეკემბრის NSIS 2 23 00022626 და 2024 წლის 20 თებერვლის SIS 0 24 00002995 წერილები.

[208] ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2024 წლის 21 მარტის სამუშაო შეხვედრაზე.

მიცემის გარეშე.[209] ამ 46 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა, საგამონაკლისო წესით[210] შეისწავლა 9 მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე.

ზემოაღნიშნული 55 (46 შეწყვეტილი და 9 მიმდინარე, საგამონაკლისო წესით გაცნობილი) სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები ძირითადად აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს, თუმცა სახალხო დამცველის აპარატმა მაინც გამოკვეთა ერთეული პრობლემები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს. კერძოდ, რიგ შემთხვევებში გამოკითხვები ტარდება დაგვიანებით და ჩატარებულია გამოძიების დაწყებიდან 5 თვიდან 1 წელზე მეტი დროის ინტერვალში, არ ხდება ვიდეოჩანაწერების მიუღებლობის მიზეზების სათანადო კვლევა, არ ხდება მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების დროული დოკუმენტირება (ოქმის შედგენა), კვლავ იკვეთება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ექსპერტიზის დაუსრულებლობის პრობლემა, რიგ შემთხვევებში ქმედების სწორ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით რჩება კითხვები და სხვ.[211]

ამ ნაწილში საგულისხმოა სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი ერთ-ერთი საქმე, რომელშიც სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებდა, რომ დაკავებისას მანქანიდან ძალის გამოყენებით გადმოათრიეს, ხელბორკილი ძლიერად მოუჭირეს, ავტომანქანაში ორი პოლიციელი ურტყამდა და სხეულზე ანთებული სიგარეტი ჩააწვეს. სამწუხაროდ, ამ საქმეზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო არა სპეციალური მუხლით, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით. სახალხო დამცველის შეფასებით, სავარაუდო მსხვერპლის მიერ თავდაპირველად მიცემული ინფორმაციის საფუძველზე, ქმედებას კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით, როგორც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ სხვა საქმეში კი, მოქალაქე მიუთითებდა, რომ პოლიციის ავტომობილში ჩასმის შემდეგ, გვერდით მჯდომმა სამართალდამცავმა თავში, კეფის არეში ჩაარტყა ხელი. პოლიციის შენობაში მიყვანის შემდეგ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაზეც თავადაც უპასუხა, რის შემდეგაც სახეში, ცხვირის, ტუჩისა და თვალის მიდამოში დაარტყა მუშტი, პირველი დარტყმის შემდეგ დახარა თავი, რის შემდეგაც 1-2 წუთის განმავლობაში ურტყამდნენ თავში, ზურგსა და წელის არეში. ამ

[209] 2023 წლის 1 იანვრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ასეთი სულ 72 სისხლის სამართლის საქმე იყო. სახალხო დამცველის აპარატმა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შეისწავლა 46 სისხლის სამართლის საქმე.

[210] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს არ აქვს წვდომა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებზე.

[211] დეტალური ანალიზი ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

საქმეებში სავარაუდო მსხვერპლების მიერ თავდაპირველად მიცემული ინფორმაციის საფუძველზე, ქმედებებს უნდა მისცემოდა კვალიფიკაცია არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით, როგორც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.

დანაშაულების კვალიფიკაციის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი.[212] სახალხო დამცველის აპარატმა კვლევის ფარგლებში შეისწავლა სასამართლოების მიერ 2013-2019 წლებში 68 სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 131 გადაწყვეტილება. შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით კვალიფიკაციის შემთხვევები. ამგვარ პრაქტიკას საკანონმდებლო ხარვეზები განაპირობებს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით[213] გათვალისწინებული დანაშაულები - წამება, წამების მუქარა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სრულად და ამომწურავად მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს. სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმები კი ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, ხოლო მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები, კერძოდ, უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება იარაღით, ძალადობით, ღირსების შეურაცხყოფით, მოპყრობის ხარისხის, ინტენსივობის, ხანგრძლივობის და მიყენებული ტანჯვის შესაბამისად შესაძლებელია გვაძლევდეს როგორც წამების, ისე, მინიმუმ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შემადგენლობას. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა ნათლად, არაორაზროვნად, ამომწურავად ახდენდეს არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაციას მხოლოდ სპეციალური ნორმებით და პრაქტიკაში გამორიცხავდეს ამ დანაშაულების სხვა მუხლებით კვალიფიკაციის შესაძლებლობას.

არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის საკითხი მნიშვნელოვანია პროპორციული სასჯელის დაკისრების და აღსრულების თვალსაზრისითაც. სამოხელეო დანაშაულის ფაქტებისგან განსხვავებით, არასათანადო მოპყრობის სპეციალურ მუხლებზე არ გამოიყენება: ხანდაზმულობის ვადები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისათვის,[214] ასევე, განრიდება;[215] დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ[216] საპროცესო შეთანხმების დადებისას.

---

[212] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი“ <https://ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf> [ბოლოს ნანახია: 11.01.2024 წელს].

[213] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-144^3 მუხლები.

[214] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 5^1.

[215] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 168^1 , ნაწ. 2.

[216] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 218, ნაწ. 8; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 73^1 .

ამ ნაწილში დამატებით ცალკე გამოვყოფთ საქართველოს გენერალური პროკურატურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კონკრეტულ მაჩვენებლებს. 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილ სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 5 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 7 პირის მიმართ.[217] რაც შეეხება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, სამსახურმა 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 185 სისხლის სამართლის საქმეზე.[218] ამ საქმეებიდან 3-ზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, 4 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაზარალებულად ცნეს 6 პირი, ხოლო გამოძიება შეწყდა 15 სისხლის სამართლის საქმეზე.[219]

დამატებით, საგულისხმოა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს გენერალურ პროკურატურას პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ ჩადენილ სავარაუდო ფიზიკურ ან/და ფსიქოლოგიურ ძალადობის ფაქტზე გამოძიება არცერთ სისხლის სამართლის საქმეზე არ დაუწყია, არც რომელიმე პირის მიმართ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა.[220] რაც შეეხება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გამოძიება დაიწყო 26 სისხლის სამართლის საქმეზე.[221] მათგან, საქართველოს გენერალურ პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთ საქმეში არ დაუწყია, არცერთი პირი არ არის დაზარალებულად ცნობილი, ხოლო გამოძიება შეწყდა 5 სისხლის სამართლის საქმეზე.[222]

ტენდენციის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას, როგორც პროკურატურა, ისე სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც, ძირითადად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით - უფლებამოსილების გადამეტების საფუძვლით იწყებენ. აღსანიშნავია, რომ განსახილველი საქმეებიდან 144^1 მუხლის (წამება) საფუძველზე გამოძიება როგორც პროკურატურას, ისე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, არცერთ შემთხვევაში არ დაუწყია. რაც შეეხება 144^3 მუხლის (არასათანადო მოპყრობა) საფუძველზე დაწყებულ გამოძიებას, განსახილველი საქმეებიდან პროკურატურამ ამ მუხლის საფუძველზე გამოძიება მხოლოდ 1 შემთხვევაში დაიწყო, ხოლო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა - 24 შემთხვევაში.

---

[217] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 თებერვლის წერილი №13/8118.
[218] საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 18 იანვრის წერილი № SIS 2 24 00000773.
[219] იქვე.
[220] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 თებერვლის წერილი N13/8118.
[221] საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 18 იანვრის წერილი N SIS 2 24 00000773.
[222] იქვე.

გენერალური ინსპექციები/შიდა მონიტორინგის მექანიზმები

სამართალდამცავი სტრუქტურების ფარგლებში ისეთი სამსახურის არსებობა, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილებათა ჯეროვანი შესრულების მონიტორინგი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამავე უწყებებს პროაქტიული მონიტორინგის გარდა, ასევე ევალებათ საკუთარი თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება.

საგულისხმოა, რომ ყოველწლიურად, სახალხო დამცველის აპარატი არაერთ საქმეზე, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებებში, ავლენდა დაშვებულ შეცდომებს ან გარკვეულ შემთხვევებში - უმოქმედობის ნიშნებს. ამ ფონზე განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატს არ გამოუვლენია არცერთი შემთხვევა, როდესაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა არაჯეროვნად შეისწავლა პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მხრიდან პატიმრის მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტი. მონიტორინგის დეპარტამენტმა არსებითად გამოასწორა ის ხარვეზები, რომლებზეც სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებდა და გასცემდა კონკრეტულ რეკომენდაციებს.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობისგან განსხვავებით, სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა შსს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების 3 შემთხვევა, რომლებშიც გამოვლინდა, რომ შემოწმება ჩატარებული იყო არაჯეროვნად და არასრულყოფილად. კერძოდ, არ ყოფილან გამოკითხულები შესაძლო გადაცდომის შემსწრე პირები, არ ყოფილა მოპოვებული ნეიტრალური მტკიცებულებები, გენერალურ ინსპექციას არ გამოუკითხავს სავარაუდო მსხვერპლებიც კი.[223] სამწუხაროდ, დღემდე პრობლემურ საკითხია სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში ნეიტრალური და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა მტკიცებულებების არათუ მოპოვება, არამედ, მოპოვების მცდელობაც კი.

საანგარიშო პერიოდში ასევე საგულისხმო იყო მიშა მშვილდაძესა და ზურაბ გირჩი ჯაფარიძეზე თავდასხმის ფაქტები, რომლებზე მსჯელობაც ხელმისაწვდომია წინამდებარე ანგარიშის თანასწორობის უფლების თავში, ხოლო დეტალური ანალიზი ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ამ ფაქტებთან დაკავშირებული გამოძიება მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად წარმართულიყო.

[223] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე;
- გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა და მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულები დარჩეთ ქვემდებარეობაში (სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა ნუსხიდან ამოღებულ იქნას სსკ-ის 153-159, 162-163 და 164 [4]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები);
- 2024 წელს შევიდეს ცვლილება პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილის „ზ'' ქვეპუნქტში და განისაზღვროს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად არანაკლებ 2 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების გზით მკაფიოდ გაიმიჯნოს სტაციონარში მოთავსების თაობაზე ინფორმირებული თანხმობა და მკურნალობის თაობაზე ინფორმირებული თანხმობა;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებით უზრუნველყოს უსაფრთხოების მიზნით ექიმის მიერ პაციენტის უფლებების შეზღუდვის მკაფიო პროცედურა სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობის პირობებში (განისაზღვროს, თითოეული უფლების შეზღუდვა რა კრიტერიუმების შემთხვევაში დაიშვება, რა ვადით დაიშვება თითოეული უფლების შეზღუდვა და როგორ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება);
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ იძულებითი სწრაფი ტრანკვილიზებისას, უნდა გავრცელდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლში (პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენება) მოცემული მოთხოვნები და გარანტიები;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით მკაფიოდ განისაზღვროს, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დაწესებულებების მიერ სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და პაციენტის მკურნალობის სამართლებრივი საფუძვლის გადასინჯვის პროცედურები და მათი დაუცველობის შემთხვევაში შესაბამისი სანქცია;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განისაზღვროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების

ვალდებულება, რათა დაწესებულებებმა მინიმუმადე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად დაისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შეიძლება იყოს მხოლოდ უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, რატომ მიიჩნიეს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება იყო უალტერნატივო ღონისძიება. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა;
- სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტით პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეო ჩანაწერების დაარქივების ვადად განისაზღვროს სულ მცირე 30 დღე;
- დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად;
- 2024 წელს დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთებით;
- 2024 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით:
    - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და

თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით;
    - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად.
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით აიკრძალოს სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, გამოავლინოს და აღმოფხვრას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ „ბუქნების გაკეთების"მოთხოვნის პრაქტიკა და განახორციელოს თანმდევი რეაგირება;
- არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია და მომზადებული დოკუმენტი გაუზიაროს სახალხო დამცველის აპარატს;
- №17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის" ტიპის საცხოვრებლები;
- პენიტენციურ დაწესებულებებში, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს, სულ მცირე, 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს, №2 და №5 დაწესებულებების შიდა კლასიფიკაციის საკნებში მყოფი პატიმრების გასეირნების უფლებით სარგებლობის საკითხის შესასწავლად დაავალოს სისტემური შემოწმების ჩატარება და შემოწმების შედეგების და გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს;
- დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში უზრუნველყოს სასეირნო ეზოების მოწყობა მიწის დონის ზედაპირზე, სადაც შესაძლებელი იქნება განტვირთვა და რეკრეაცია;
- 2024 წელს არანაკლებ ორჯერ გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექთნების რაოდენობა კალენდარული წლის ბოლომდე გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ;
- უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების სიხშირე იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას;
- უზრუნველყოს გეგმური სამედიცინო რეფერალის განხორციელება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;
- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;

- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრება დასაშვები იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმწუთიერი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, რაც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წერილობით (მოსალოდნელი საფრთხეები დეტალურად უნდა აღიწეროს დოკუმენტაციაში); ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მიერ საუბრის მოსმენის გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით;

- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებისთვის:

    - პენიტენციურ სისტემაში დაინერგოს ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემა;

    - სამედიცინო პერსონალს, პენიტენციური სისტემის შესაბამისი დებულებებით, დაევალოს პაციენტების შესახებ ინფორმაციის ასახვა ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში;

- პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი;
- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს ფსიქიატრიული მუდტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება:
    - შეაფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სტაციონარული მკურნალობა;
    - შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება;
- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის არანაკლებ 50% გადამზადდეს ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში;
- უზრუნველყოს აგრანულოციტოზის,[224] ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით ჰიპერგლიკემიის[225] განვითარების რისკის კლინიკურლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე ლეიკოციტების[226]

[224] სისხლში ლეიკოციტების (სისხლის თეთრი უჯრედები) რიცხვის შემცირება.
[225] სისხლში შაქრის მაღალი დონე.
[226] სისხლის თეთრი უჯრედები.

კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების მართვის მიზნით, ასევე უზრუნველყონ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები, მუდმივად უტარდებოდეთ ფიზიკური ჯანმრთელობის შემოწმება;

- საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2020 წლის 20 ნოემბრის №663 ბრძანება („პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ") პრიორიტეტულად, უმოკლეს ვადაში, მიუსადაგოს პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლს;
- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სამედიცინო შემოწმებაზე პასუხისმგებელ ყველა ექიმს ჩაუტარდეს ტრენინგი პატიმრის დაზიანებათა სრულყოფილად აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგადაღების შესახებ, ამასთანავე, შესაბამისმა სამსახურმა ზედამხედველობა გაუწიოს ამ ტრენინგების საფუძველზე მიღებული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებას;
- 2024 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დამოკიდებული დაწესებულების თანამშრომელზე და შეუძლებელი იყოს კონვერტის მიმღები პატიმრის ვინაობის დადგენა. ამასთანავე, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი;

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ ახლად მოთავსებული ბრალდებულებისთვის სატელეფონო ბარათების გადაცემამდე, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ცხელ ხაზთან ბრალდებულის დაკავშირებას, კონფიდენციალურობის დაცვით უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია;
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო კომუნიკაციის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, ბრალდებულის მოთხოვნისას მის ადვოკატთან დაკავშირებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია;

- 2024 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ დისციპლინური სახდელების და უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმრებს უნდა მიეცეთ ტელეფონით ადვოკატთან და ცხელ ხაზზე დაკავშირების შესაძლებლობა;

- 2024 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და დეესკალაციის ოთახში ბრალდებული/მსჯავრდებულის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი;

- პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ 1 თანამშრომელი;
- 2024 წელს, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 20%;

- 2024 წელს, უზრუნველყოს №2 და №8 დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში;

- 2024 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში არასრულწლოვნის მოთავსება დაუშვებელია;

- 2024 წელს, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნები იმყოფებიან, მოეწყოს სპეციალური სივრცე, რომელშიც იქნება ბავშვზე მორგებული გარემო და უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი მულტიდისციპლინური მუშაობა კრიზისის დაძლევის მიზნით. ამ სივრცეში ყოფნის ხანგრძლივობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე საათს, და ამ სივრცის გამოყენების პროცედურა განისაზღვროს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებით;

- უზრუნველყოს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ორჯერ;

- 2024 წელს, ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების პროცესის ტექნიკური (აუდიო-ვიდეო) საშუალებებით ჩაწერა და გონივრული ვადით შენახვა;
- პოლიციის დაწესებულებებში განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით;
- უზრუნველყოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სივრცის მოწყობით;
- 2024 წელს, გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ;
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება;
- 2024 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის ვინაობის დადგენა; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება;
- პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით;
- ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეოგადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, სამხრე კამერით;

- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გაიზარდოს ვიდეოკამერების რაოდენობა და დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა;
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება და გონივრული ვადით შენახვა;
- შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №625-ე ბრძანებაში და №9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოიყენეს თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით;
- პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოება, სადაც დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხება დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, მათ შორის, დაკავება, დაწესებულებაში შემოყვანა და გაყვანა, სხეულის დათვალიერება, დაკავებულის მიერ ადვოკატთან/ექიმთან/ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნა და მისი უზრუნველყოფა, დაკავებულის გათავისუფლების ან სხვაგან გადაყვანის ზუსტი დრო და მიზეზები, ზუსტი ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა პირი იმ პერიოდში, როდესაც დაკავებული იყო;
- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნების და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადასაყვან პირთა აღრიცხვის ჟურნალების გამართული წარმოების საკითხი;
- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით;
- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს მოწმედ დაბარებული პირებისთვის დე ფაქტო თავისუფლების შეზღუდვის და შემდგომ დაკავების პრაქტიკა და მიიღოს შესაბამისი ზომები ამ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად;
- უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური მდგომარეობის თავში აღწერილი პრობლემების აღმოფხვრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს;
- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში არასრულწლოვნის ყოფნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნა და არასრულწლოვნებთან პირადი კონტაქტის შესაძლებლობა;

- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ სრულწლოვნებს მოთავსებისას განემარტოთ ფსიქოლოგის კონსულტაციით სარგებლობის უფლება და პერიოდულად შეეთავაზოთ ფსიქოლოგთან კონსულტაცია;
- გაიზარდოს არასრულწლოვანთა სუფთა ჰაერზე გასეირნების დრო და შეეთავაზოთ არასრულწლოვნებზე მორგებული აქტივობები;
- შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც შეავსებს საქართველოს ესკორტის ექიმი, თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად დასაბრუნებელი პირი განაცხადებს ან ექიმს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების გზით, გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტები;
- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს;
- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, სადაც ასევე იქნება გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;
- სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციის გზით განახლდეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია;
- აღმოფხვრას ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა;
- დაწესებულებებში შეიქმნას დასამშვიდებელი ოთახები, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თერაპიული გარემო და პაციენტს ექნება ნებაყოფლობით განმარტოების შესაძლებლობა და დასამშვიდებელი სენსორული სტიმულაციების შესაძლებლობები;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112) შემოსული ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებისთვის შეიმუშაოს დარწმუნების გზით პაციენტის

ფსიქიატრიულ დახმარებაზე დაყოლიების, ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და პაციენტის უფლებების განმარტების შესახებ დეტალური ინსტრუქცია;

- შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმ პაციენტების დაუყოვნებლივ გასაწერად სტაციონარიდან, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;
- ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში, რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული (№ IV-300-12/ა) ფორმის შევსება;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა;
- შემუშავდეს ბიოფსიქოსოციალური მიდგომის ფსიქიატრიულ დახმარებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა;
- ბრძანებით განისაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, სტაციონირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, პაციენტს მიაწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების ბიოფსიქოსოციალურ კომპონენტებზე და თითოეულ კომპონენტზე მიიღოს პაციენტის გაცნობიერებული თანხმობა;
- სამინისტრომ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარების გზით გამოავლინოს და აღკვეთოს ინექციებისა და მედიკამენტების, ძალით, ნების საწინააღმდეგოდ გაკეთება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან სტაციონარის ხანმოკლე ვადით დატოვების შესაძლებლობა, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს სტაციონარში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება, მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს პაციენტის გასაგები ენით, ზეპირი და წერილობითი ინფორმირება სტაციონარის შინაგანაწესის და პაციენტის უფლებების თაობაზე;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის

მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები;

- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდგომ სტატუსის გადასინჯვის საკითხი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში;
- შემუშავდეს და დაინერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იმისთვის, რათა დაწესებულებებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები;
- სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტთა უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების ბიოფსიქოსოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და პრაქტიკაში განსახორციელებლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- შეიქმნას ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის ჰოსპიტალგარე სახელმწიფო ზედამხედველობის და ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმი, რომლის კომპეტენციაც იქნება ფსიქიატრიული სერვისების მომხმარებლებისგან, მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან კონფიდენციალური/ღია საჩივრების მიღება ფსიქიატრიული სერვისების ხარისხისა და უფლებების კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე და ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებლების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი;
- შემუშავდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკური წესები, სადაც გათვალისწინებული იქნება პაციენტთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების წესები;
- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა;
- უზრუნველყოს ქვეყანაში ანტიფსიქოზური მედიკამენტების მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები მედიკამენტების დეფიციტის თავიდან ასარიდებლად;
- უზრუნველყოს დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ ამოიცნონ „კლოზაპინის" გვერდითი ეფექტები, რომელმაც, შესაძლოა, ლეტალური შედეგი გამოიწვიოს;
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ სტაციონარებში პაციენტთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენა, შეიმუშაოს მათი აღმოფხვრის გეგმა და შესწავლის შედეგები აცნობოს სახალხო დამცველს;

- ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იყვნენ უზრუნველყოფილნი საჭირო სამედიცინო მომსახურებით და მკაფიოდ განისაზღვროს გეგმური სამედიცინო მომსახურების სრულად ანაზღაურების საკითხი. ამასთანავე, უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების, მათ შორის, სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდების სტანდარტის შემუშავება, მისი დანერგვის შემდეგ, ზედამხედველობა გაუწიოს ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ მის შესრულებას და შედეგების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს;
- უზრუნველყოს დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან;
- დაწესებულების პერსონალის მხრიდან ბენეფიციარებისთვის მათი ნების საწინააღმდეგოდ ინექციების გაკეთებისა და მედიკამენტების მიღების იძულების ფაქტების გამოსავლენად, ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში ჩაატაროს მონიტორინგი;
- ნორმატიულ დონეზე გაიწეროს და დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის პროცედურა;
- შემუშავდეს ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია;
- ნორმატიულად განისაზღვროს ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;
- დაიხუროს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრები და ბენეფიციარები გადაიყვანონ ალტერნატიული ზრუნვის ისეთ მომსახურებებში, სადაც ისინი თემში, ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში იქნებიან;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი განხორციელდეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპების შესაბამისად, დროში გაწერილი გეგმით, მკაფიო მარეგულირებელი ნორმატიული ბაზითა და შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფით;
- სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის

№52/ნ ბრძანების მიხედვით შეისწავლოს ბენეფიციარების ნების საწინააღმდეგოდ საცხოვრისებში მოთავსების შემთხვევები;

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში ბენეფიციარების უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით:
    - შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს თავშესაფრებისა და საცხოვრისებისათვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური პროცედურა;
    - დაავალდებულოს დაწესებულებები, ბენეფიციარებს მიაწოდონ ინფორმაცია მათი უფლებების და უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ;
    - გაუწიოს ზედამხედველობა სერვისის მიმწოდებლების მიერ ბენეფიციართა უფლებების და უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირებას;
- ბენეფიციარისთვის ამბულატორიული ფსიქიატრიული მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესით გათვალისწინებული N: IV-200-8/ა ფორმის შევსება და დაწესებულებებმა უზრუნველყონ მკურნალობის თაობაზე ინფორმაციის ბენეფიციარებისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება;
- სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელი შეიცვალოს ისე, რომ თავშესაფრებსა და საცხოვრისებში მოთავსებულ ბენეფიციარებს სრულად და დროულად მიუწვდებოდეთ ხელი უფასო სამედიცინო მომსახურებაზე;
- ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში მყოფი ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოს ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;
- გათვალისწინებული იქნას მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით;
- უზრუნველყოს საცხოვრისების გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტებით მომარაგება;
- ყველა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარისთვის უზრუნველყოს აგრანულოციტოზის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით ჰიპერგლიკემიის განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე, ლეიკოციტების კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების სამართავად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“:

- სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტით, ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადად განისაზღვროს სულ მცირე 10 დღე; შეისწავლოს და შესწავლის შედეგების საფუძველზე დაგეგმოს დაარქივების ვადის 30 დღით განსაზღვრის საკითხი.

4.თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

4.1. შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია საანგარიშო პერიოდში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დაცულობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვები, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები; უკანონო ადმინისტრაციული დაკავებები; პატიმრების, მათ შორის, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა, გათავისუფლების მექანიზმების და საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები.

პატიმრების გათავისუფლების მექანიზმების ხარვეზების ჭრილში, განსაკუთრებით პრობლემურია მსჯავრდებულის შეფასების კრიტერიუმების არასრულყოფილი ჩამონათვალი. ნორმატიული ბაზის დახვეწისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით ჩანაცვლების პროცესში, აუცილებელია უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებსაც, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება. გარდა ამისა, სასჯელის გადასინჯვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მხრივ არსებული საკანონმდებლო ხარვეზებიც აღმოიფხვრას. მათ შორის, აუცილებელია, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისთვის, პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა რამდენიმე წლით შემცირდეს.

პატიმრების გათავისუფლების მექანიზმების ხარვეზიანობა, სხვა საკითხებთან ერთად, ფართო სურათის გათვალისწინებით, უშუალოდ არის დაკავშირებული პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემასთანაც. კერძოდ, პატიმრების გათავისუფლების მექანიზმების ხარვეზიანობა, ასევე, ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის ხშირი გამოყენება, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობაზე, რომელიც საქართველოს პენიტენციური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. საქართველო, პატიმართა რაოდენობის მიხედვით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის მეორე[227] ადგილზეა.

სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაციები, რომლებსაც წლებია გასცემს. მაგალითად, ნორმატიულად არ განსაზღვრულა სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი; კვლავ არ შესულა ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და არ

[227] 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 9542 პატიმარი იმყოფებოდა, რაც გულისხმობს იმას, რომ 1000000 მოსახლეზე 261 პატიმარი მოდიოდა. ინფორმაცია საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ციხის პოპულაციის შესახებ ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3JZEKrw > [ბოლოს ნანახია: 23.03.2023].

განსაზღვრულა ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების ვალდებულება და სხვ.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემურია ე.წ. გარიდების მექანიზმის გამოყენება და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება. მექანიზმის გამოყენების შესახებ რეგულაციების ნორმატიულ დონეზე განუსაზღვრელობა პოლიციელებს მოქმედების ფართო დისკრეციას ანიჭებს.

4.2. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე,[228] რომელთა ფარგლებშიც გამოვლინდა, რომ საზღვრის კვეთასთან, საქართველოდან გასვლასთან, დაკავშირებით სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, საგამოძიებო უწყებების მიმართვის საფუძველზე, მესაზღვრე უარს ეუბნება პირს საზღვრის გადაკვეთაზე. ეს მავნე პრაქტიკა წლებია გრძელდება და ძირითადად იმ პირების მიმართ გამოიყენება, რომლებიც, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმეზე მოწმეები ან პოტენციური ბრალდებულები იყვნენ. ამგვარ შემთხვევებში კანონმდებლობა არც გამომძიებელს და არც პროკურორს არ ანიჭებს ასეთ უფლებამოსილებას, თუმცა ისინი თვითნებურად, მიმოსვლის თავისუფლების უფლების უხეში დარღვევით, მაინც მისდევენ ამ პრაქტიკას.

საგულისხმოა სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმე უკრაინის მოქალაქეებისთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვის შესახებ. მათი ადვოკატის განცხადებით, უკრაინის მოქალაქეები კანონიერად იმყოფებოდნენ საქართველოში. 2023 წლის 22 აპრილს, ისინი სარფის სასაზღვრო პუნქტის გავლით აპირებდნენ თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას, თუმცა საქართველოს მესაზღვრე-ოფიცრისა და ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი ეთქვათ საქართველოს საზღვრის კვეთაზე. საგულისხმოა, რომ მათ მიმართ საზღვრის კვეთის შეზღუდვის შესახებ სასამართლო განჩინება არ არსებობდა. წარმოდგენილი ინფორმაციით, უკრაინის მოქალაქეებს საზღვრის კვეთა დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში ჰქონდათ შეზღუდული.[229]

სახალხო დამცველის აპარატმა, ადვოკატის განცხადების საფუძველზე განხორციელებული რეაგირების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან გამოითხოვა.[230] სამინისტროს თანამშრომლის (გამომძიებლის) ახსნა-განმარტების თანახმად, უკრაინის მოქალაქეებს, შესაძლოა, სცოდნოდათ ინფორმაცია მისდამი დაქვემდებარებული განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ხოლო მათი საკონტაქტო მონაცემების და ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა, ამიტომ, საქმის ზედამხედველ პროკურორთან შეთანხმებით, პირები საზღვრის კვეთის კონტროლზე სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე აიყვანა.

---

[228] დეტალები ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[229] ადვოკატ მ. ზ-ს N4578/23 განცხადება.
[230] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 28 აპრილის N15-15/4201, 22 მაისის N15-15/4925, 6 ივლისის N15-15/6540, 31 ივლისის N15-15/7454, 7 აგვისტოს N15-15/7757, 5 დეკემბრის N15-15/11773 წერილები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, გამომძიებლის დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დაადგინა.[231] სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაციის მიღების მიზნით გენერალურ პროკურატურასაც მიმართა,[232] რომლის განმარტებითაც, რაიმე სახის აკრძალვა/შეზღუდვა გამოყენებული არ ყოფილა.[233] შესაბამისად, პროკურატურა უფლების უკანონო შეზღუდვაში მონაწილეობას არ აღიარებს. თუმცა, გამომძიებლის მიერ უკრაინის მოქალაქეებისთვის მიმოსვლის თავისუფლების კანონშეუსაბამოდ შეზღუდვის ფაქტის დადასტურების მიუხედავად, სამწუხაროა, რომ გამომძიებლის პასუხისმგებლობის საკითხი ამ დრომდე არ დამდგარა.

4.3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა

სახალხო დამცველი, 2021 წლის და 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშებში მიუთითებდა, რომ პრობლემური იყო სააპელაციო სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების საქმის განხილვის დასრულების შემდეგ,[234] განაჩენთან ერთად გასაჩივრების პრაქტიკა. ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წინადადებით მიმართა. სამწუხაროდ, პარლამენტს სახალხო დამცველის ეს წინადადება არც საანგარიშო პერიოდში გაუთვალისწინებია. კერძოდ, ცვლილება არ შესულა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და არ განსაზღვრულა სააპელაციო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე დაუყოვნებლივ მსჯელობის ვალდებულება პირის მიერ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში.

დამატებით, საგულისხმოა, რომ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა საანგარიშო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბრალდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების ძირითადი სახე კვლავ პატიმრობა ან გირაოა. აღკვეთის სხვა ღონისძიებები, წინა წლების მსგავსად, როგორც წესი, იშვიათად გამოიყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2023 წელს, აღკვეთის ღონისძიება, ჯამში 11830 პირს შეეფარდა.[235] მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი 37.9%-ს შეადგენს - 4479 შემთხვევა. საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში პატიმრობის პროცენტული წილი გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით იკლებს, თუმცა, კლება არც ჯამურად, და არც პროცენტულად, არსებითი არ არის.

---

[231] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 18 დეკემბრის NMIA 8 23 03719594 წერილი.
[232] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 დეკემბრის №15-15/12385 წერილი.
[233] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 29 იანვრის №13/5364 წერილი.
[234] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 83; ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 90.
[235] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 5 მარტის წერილი №3-19-24.

2020 წელს, აღკვეთის ღონისძიება ჯამში გამოიყენეს 9419 შემთხვევაში, მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი იყო 47.1% - 4471 შემთხვევა.[236] 2019 წლის საერთო მონაცემების პროცენტული მაჩვენებელი 2020 წლის მსგავსი იყო - აღკვეთის ღონისძიება ჯამში გამოიყენეს 11031 შემთხვევაში, მათგან პატიმრობის მაჩვენებელი 47.2% იყო - 5205 შემთხვევა.[237] თუმცა, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, ისევე, როგორც 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით და ასევე 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, შეინიშნება პატიმრობის გამოყენების პროცენტული წილის შემცირება. კერძოდ, 2022 წელს, აღკვეთის ღონისძიება, ჯამში გამოიყენეს 12551 პირის მიმართ, მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი 38.5%-ს შეადგენდა - 4833 შემთხვევა.[238] 2023 წელს, აღკვეთის ღონისძიება ჯამში გამოიყენეს 11830 პირის მიმართ, აქედან პატიმრობა შეეფარდა 4479 პირს - 37.86 %.[239]

რაც შეეხება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, საგულისხმოა, რომ 2023 წელს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გამოიყენეს 7351 პირის მიმართ, მათ შორის, არასაპატიმრო ღონისძიების სახით გირაო განესაზღვრა 7249 პირს. შესაბამისად, გირაოს გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 2023 წელს გამოყენებულ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით 98.6%-ს შეადგენდა. ტენდენცია წლების განმავლობაში ფაქტობრივად უცვლელია, თუმცა, საგულისხმოა, რომ წლიდან წლამდე პროცენტული წილი მცირედით იზრდება, მაგალითისათვის, 2022 წელს გირაოს ხვედრითმა წილმა არასაპატიმრო ღონისძიებების 98% შეადგინა, 2021 წელს - 97.2%, 2020 წელს - 96.7%, ხოლო 2019 წელს - 96.3%.

4.4. ადმინისტრაციული დაკავებები

ადმინისტრაციული დაკავებების ჭრილში, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ კვლავ პრობლემურია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომლებზეც საქართველოს სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს.[240] კერძოდ, პრობლემურია ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების უფლებამოსილების საკითხი. როდესაც პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე სადავოდ ხდის ადმინისტრაციულ დაკავებას, მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას და ამას ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში განიხილავს. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება ამ საქმის განმხილველმა სასამართლომ თავად სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან ერთად უნდა შეაფასოს, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდარღვევად ცნობას სამართალდარღვევის ოქმისა და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების

---

[236] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3WXv1VU > [ბოლოს ნანახია 19.03.2024].
[237] იქვე.
[238] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 27 იანვრის წერილი №3-47-23.
[239] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 5 მარტის წერილი №3-19-24.
[240] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, გვ. 103-104; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 81; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 88.

საფუძველზე, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებშიც[241] არაერთხელ გამახვილდა ყურადღება.

კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებთან მიმართებით დამატებით აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, ასევე პრობლემურია ე.წ. გარიდების მექანიზმის გამოყენება და მისი მოწესრიგება. ეს მექანიზმი პრაქტიკაში პოლიციელის მიერ პირისათვის გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვების მოთხოვნასა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას გულისხმობს. მექანიზმის გამოყენების შესახებ რეგულაციები[242] ნორმატიულ დონეზე განსაზღვრული არ არის, რაც პოლიციელებს მოქმედების ფართო დისკრეციას ანიჭებს. შესაბამისად, პოლიციელის მიერ პირის თავისუფლების უფლებაში ჩარევის შესაძლებლობის განჭვრეტადობისთვის, მნიშვნელოვანია ე.წ. გარიდების მექანიზმის გამოყენების საფუძვლების ნორმატიულ დონეზე მოწესრიგება.

საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად, ასევე საგულისხმოა საანგარიშო პერიოდში პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და ამ ფორმით გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის არასწორი პრაქტიკა. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკანონმდებლო ხარვეზის შედეგად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი სასამართლო საერთოდ არ ამოწმებს პირის ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხს და შესაბამისად, ის სასამართლო კონტროლს მიღმა რჩება.[243] გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში კვლავ იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს, პოლიციამ, პროტესტის გამოხატვის მიზნით კარვის გაშლის უფლება შეუზღუდა.[244]

---

[241] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 92; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, გვ. 145-146; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, გვ. 157-159; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, გვ. 103-106; საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2016, გვ. 463-464.

[242] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, „პოლიციელი უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება და აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული შეზღუდვა შესაძლებელია გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე". მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციით, ამ მუხლზე არ მიეთითება, გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ამ ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, თუმცა, ამ შემთხვევაშიც აუცილებელი და საჭირო იქნება ქვემდგომი ნორმატიული აქტით ამ საკითხის დეტალური დარეგულირება და საფუძვლების და პროცედურების მკაფიოდ გაწერა.

[243] მოცემულ პრობლემაზე, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის, „საპროტესტო აქციების მონაწილეთა უფლებების დარღვევის", თავში.

[244] მაგალითისათვის, საგულისხმოა ბექა გრიგორიადისის საქმე (ამ საქმეზე დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში).

4.5. პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა[245]

4.5.1. ვადიანი თავისუფლებაააღკვეთილი მსჯავრდებულები

2023 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა და ამ საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. მოქმედი პრაქტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო ვერ ადგენენ ერთიან, განჭვრეტად და მკაფიო საფუძვლებს იმისა, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა. პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ პრობლემურია მსჯავრდებულის შეფასების კრიტერიუმების არასრულყოფილი ჩამონათვალი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დაიხვეწოს ნორმატიული ბაზა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებს, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება.

საკანონმდებლო ბაზის ხარვეზიანობასთან დაკავშირებით, დამატებით, აღსანიშნავია, რომ, თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს მსჯავრდებულისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მისი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად, იგი ატარებს ზეპირ მოსმენას. თუმცა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, თუ როდის და რა შემთხვევებშია მიზანშეწონილი პატიმრისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება, რაც საბჭოს სუბიექტური ან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უქმნის. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვროს ის სავალდებულო კრიტერიუმები, რომლებსაც დაეყრდნობა ადგილობრივი საბჭო ზეპირი მოსმენების ჩატარებისას. ეს საკანონმდებლო ხარვეზი პრობლემური იყო წინა წლებშიც, პატიმრობის კოდექსის მოქმედების პირობებში და, სამწუხაროდ, ახალი პენიტენციური კოდექსის ამოქმედების შემდეგაც კვლავ სახეზეა.

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში გამოითხოვა[246] ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მიერ 2023 წლის ოქტომბერში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი. სამწუხაროდ, სრული დოკუმენტაცია აპარატისთვის არ მოუწოდებიათ, რის გამოც, სრულყოფილი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობა არ მოგვეცა. კერძოდ, აპარატს არ მიუღია დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები. შესაბამისად, აპარატმა შეისწავლა და გააანალიზა მოწოდებული, 2023 წლის ოქტომბრის სხდომებზე ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული ჯამში 134 გადაწყვეტილება, ასევე, საანგარიშო პერიოდში, მომართვის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა კონკრეტულ მსჯავრდებულთა საქმეებიც.[247]

---

[245] დეტალები ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[246] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 7 დეკემბრის №15-3/11913 წერილი.

[247] ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკისა და კონკრეტულ მსჯავრდებულთა საქმეების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში წლების განმავლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთების შაბლონურობა. კერძოდ, საბჭოები ფორმალურად მიუთითებდნენ იმ კრიტერიუმებზე, რომელთა მხედველობაში მიღებითაც იღებდნენ უარყოფით გადაწყვეტილებას. ამჟამად, გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა დადებითი ცვლილებები, კერძოდ, გადაწყვეტილებებში შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალი წარმოდგენილია განმარტებებით; როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გადაწყვეტილებები, ვრცლად საბუთდება.[248]

ამავე დროს, აპარატმა გამოკვეთა შემდეგი პრობლემური საკითხებიც: უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთება მსჯავრდებულის მიერ სოციალურ აქტივობებსა თუ მიზნობრივ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიუღებლობით, იმ პირობებში, როცა მსჯავრდებული გამოხატავს სოციალურ აქტივობებში ჩართვის სურვილს და გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რა გარემოებებმა შეუშალა ხელი, რომ სურვილის მიუხედავად, ჩართული ყოფილიყო.

აგრეთვე, მიზნობრივ სოციალურ აქტივობებზე ყურადღების გამახვილების შემთხვევებში, გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, მსჯავრდებულის ამ დაწესებულებაში ყოფნის დროს განხორციელდა თუ არა კონკრეტული აქტივობა, რომელიც მიზნობრივი იქნებოდა ამ მსჯავრდებულისთვის, მსჯავრდებულმა გამოხატა თუ არა მიზნობრივ სოციალურ აქტივობებში ჩართვის სურვილი და რა მიზეზით ვერ მიიღო მონაწილეობა; აპარატისთვის ბუნდოვანია უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთება, სადაც მსჯავრდებულს არაერთ აქტივობაში აქვს მონაწილეობა მიღებული, საბჭო კი აქცენტს მიზნობრივ აქტივობებში ჩართვის საჭიროებაზე აკეთებს და მსჯავრდებულს დადებითად არ უთვლის მის მიერ გავლილ სხვა აქტივობებს. სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, ლეგიტიმურია საბჭოს მოლოდინი, რომ შესაძლო დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად, მსჯავრდებული მასზე მორგებულ აქტივობაში უნდა იყოს ჩართული, თუმცა, გადაწყვეტილებებიდან არ იკვეთება, კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის ყოფნის დროს განხორციელდა თუ არა იმ სახის აქტივობა, რასაც საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ან მსჯავრდებულისთვის საჭიროდ მიიჩნევს. ხოლო, თუ მსჯავრდებულმა გამოხატა მიზნობრივ სოციალურ აქტივობებში ჩართულობის სურვილიც და მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მისი ჩართვა არ მოხერხდა, რის შესახებაც გადაწყვეტილებებში არ არის ფართო მსჯელობა, მსჯავრდებულის საუარესოდ ამის გამოყენება უარყოფითად უნდა შეფასდეს. გადაწყვეტილების დასაბუთება არ უნდა აღიქმებოდეს იმგვარად, თითქოს მსჯავრდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მაგრამ არ ჩაერთო მიზნობრივ აქტივობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, აპარატი მიიჩნევს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულისთვის გასაგები უნდა იყოს და არ უნდა უტოვებდეს უსამართლობის განცდას. საანგარიშო პერიოდში შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს პირველი და მესამე ადგილობრივი საბჭოები არაერთი უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას,

[248] აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების შეზღუდული რაოდენობა, სამწუხაროდ, არ იძლევა იმის გაგების შესაძლებლობას, აქვს თუ არა ამ დადებით ტენდენციებს ადგილი ყველა ადგილობრივი საბჭოს პრაქტიკაში.

ერთ-ერთ არგუმენტად იყენებენ მსჯავრდებულის ოჯახის, როგორც მხარდამჭერი, გვერდში მდგომი ქსელის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას და ამ საფუძვლით, ამ კრიტერიუმს მსჯავრდებულისთვის საუარესოდ აფასებენ, მაშინ როდესაც, მსჯავრდებულის დახასიათებაში საუბარია ოჯახთან მჭიდრო კავშირზე და გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, დამატებით რა გზებით სურს საბჭოს ვრცელი ინფორმაციის მიღება.

ასევე, აპარატმა საქმეების შესწავლის შედეგად გამოკვეთა მეორე ადგილობრივი საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძვლად ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაციისა და სოციალური მუშაკის დასკვნის არარსებობაზე მითითება, ისეთ შემთხვევებში, როცა დასკვნის მომზადების შესაძლებლობას კანონმდებლობა მხოლოდ ერთეულ პენიტენციურ დაწესებულებებში (№5, №16 და №11) მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის ითვალისწინებს.

სახალხო დამცველის შეფასებით, სასურველია, მსჯავრდებულთა ოჯახისა და სოციალური გარემოს შესახებ ვრცელი ინფორმაცია ყველა ადგილობრივი საბჭოსთვის იყოს ხელმისაწვდომი, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ასეთი დასკვნის მომზადების საკანონმდებლო რეგულაცია და მისი პრაქტიკული აღსრულების მექანიზმი არ არსებობს, მის არარსებობაზე მითითება, კანონმდებლობით გათვალისწინებული დაწესებულებების გარდა, სხვა დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებთან მიმართებით და უარყოფითად შეფასება, ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების სათანადო შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პრინციპსაც.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა საანგარიშო პერიოდშიც გაუარესებულია. კერძოდ, 2019 წელს პირობით ვადამდე 1279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, 2020 წელს - 830, 2021 წელს - 829,[249] ხოლო 2022 წელს - 635.[250] სტატისტიკური მაჩვენებელი საგრძნობლად არის გაუარესებული. კერძოდ, 2023 წელს პირობით ვადამდე მხოლოდ 434 პატიმარი გათავისუფლდა.[251]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუარესების ტენდენცია შეინიშნება სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკაშიც. კერძოდ, 2019 წელს სასჯელი 236 მსჯავრდებულს შეეცვალა, 2020 წელს - 545-ს, 2021 წელს კი 440.[252] 2022 წელსაც შენარჩუნდა გაუარესების ტენდენცია და ამ შეღავათით მხოლოდ 388 მსჯავრდებულმა

[249] < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 56.
[250] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის №381189/01 და 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილები.
[251] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2024 წლის 18 იანვრის №15195/01 წერილი.
[252] < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 56.

ისარგებლა.[253] რეგრესი გამოიკვეთა 2023 წელსაც - სასჯელი მხოლოდ 274 მსჯავრდებულს შეეცვალა.[254]

4.5.2. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები

სასჯელის გადასინჯვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის.[255] სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის წინადადება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადის რამდენიმე წლით შემცირებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მოსაზრებით, თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, გამორიცხავს პატიმრის რეაბილიტაციის შესაძლებლობას. შესაბამისად, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესრულების შემთხვევაში უნდა არსებობდეს ნებისმიერი განაჩენის გონივრულად გადასინჯვის შესაძლებლობა, რაც პატიმარს უსახავს მიზანს და უჩენს კარგად მოქცევის მოტივაციას.[256]

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მოქმედებს[257] „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა".[258] სახალხო დამცველი მიესალმება ამ პროგრამის ამოქმედებას და მსჯავრდებულთა დაინტერესებას (52 მსჯავრდებულიდან, რომლებსაც მოხდილი აქვთ 12 წელი და მეტი შეეძლოთ ჩართულიყვნენ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლების პროგრამაში, ჩართული იყო 50 მსჯავრდებული). ამასთანავე, პროგრამა სისტემურად უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის დაგეგმვას, მიღწეული შედეგის შეფასებასა და სასჯელის მიზნების მიღწევის კონტროლს, რაც, ერთი მხრივ, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირს შესაძლებლობას აძლევს გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან და სასჯელის მოხდა, გათავისუფლებულმა, გარკვეული ვადით განაგრძოს სათანადო ორგანოების

---

[253] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის №381189/01 და 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილები.

[254] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2024 წლის 18 იანვრის №15195/01 წერილი.

[255] უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[256]ევროპის საბჭო წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა, ამონარიდი 25-ე საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (2016) 10], 2016 წლის აპრილი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < https://rm.coe.int/16809534f2 > [ბოლოს ნანახია: 14.02.2024].

[257] „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №682 ბრძანება.

[258] პროგრამის მიზანია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე, უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში (ინტერვენციებში), რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რეაბილიტაციას და რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისთვის მზადებას.

ზედამხედველობით, მეორე მხრივ კი, ზრდის მსჯავრდებულის გათავისუფლებისა და მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკების შეფასების შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო ეტაპს, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა პირებმა დაასრულეს საანგარიშო პერიოდში, 2023 წელს. პროგრამის გავლის შემდეგ კი, საანგარიშო პერიოდში, საერთო სასამართლოები უფლებამოსილი იყვნენ განეხილათ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობები.

2023 წლის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 81 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირი.[259] პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა მხოლოდ 19-მა მსჯავრდებულმა. სასამართლოს არცერთი შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია.[260]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი სასამართლო განჩინებებიდან ირკვევა, რომ სასამართლოები, როგორც წესი, ცდილობენ დაასაბუთონ გადაწყვეტილებები და მსჯელობენ სხვადასხვა გარემოებასა და კრიტერიუმზე მითითებით. თუმცა, სამწუხაროდ, გადაწყვეტილებები არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას და მკაფიობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავენ სასამართლოები მსჯავრდებულის გათავისუფლების რეალურ პერსპექტივას. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებში ყურადღება არ ეთმობა იმას, დისციპლინური გადაცდომები თუ სასჯელის მოხდისას ჩადენილი ახალი დანაშაული რა ხანდაზმულობისაა და კონკრეტული კანონდარღვევის შემდეგ რამდენმა წელმა გაიარა, შეიცვალა თუ არა მსჯავრდებულის ქცევა რადიკალურად დადებითისკენ და როგორია დინამიკა. გარდა ამისა, გადაწყვეტილებებში არ არის საკმარისი აქცენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩადენილი დანაშაული, რისთვისაც განსაზღვრულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, მისი ჩადენის ხერხის ხასიათის მიუხედავად, არ გამორიცხავს პირის გათავისუფლების რეალურ პერსპექტივებს.

საქმეების შესწავლის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ საერთო სასამართლოებს არ აქვთ ერთიანი პრაქტიკა, განაჩენთა ერთობლიობის დროს, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირს, საშეღავათო მექანიზმის გამოყენების მიზნებისთვის, რომელი თარიღიდან უნდა დაეწყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულოდ მოსახდელი სასჯელის ვადის ათვლა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების მიერ საკითხის განსხვავებული შეფასების შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა იძლევა.[261]

---

[259] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 3 იანვრის №1213/01 და 2024 წლის 18 იანვრის №15180/01 წერილები.

[260] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 3 იანვრის №1213/01 წერილი.

[261] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების საკითხის შესწავლისას ასევე გამოიკვეთა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ გათავისუფლების კონკრეტული ვადის დადგენის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, შეწყალების გამოყენების შემთხვევაში.[262] შესაბამისად, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია პარლამენტმა განიხილოს მსჯავრდებულისთვის გათავისუფლების კონკრეტული ვადის დადგენის უფლებამოსილების საერთო სასამართლოებისთვის მინიჭების შესაძლებლობაც.[263]

აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვდა 16 უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, რომელთაც გავლილი აქვთ 2 წლიანი მოსამზადებელი პროგრამა.[264] მსჯავრდებულები, გარდა ამ ქვეთავში წარმოდგენილი სხვა პრობლემური საკითხებისა, აპელირებდნენ იმაზეც, რომ სასამართლო განხილვებისას სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლები, როგორც წესი, არ აფიქსირებენ პოზიციას მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხზე, მიუხედავად მოსამზადებელი პროგრამის წარმატებით გავლისა და პენიტენციური დაწესებულებისგან დადებითი დახასიათების ქონისა. პატიმრები წუხილს გამოხატავდნენ, რომ არც კანონმდებლობა განსაზღვარავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლების ამ უფლებამოსილებას ან ვალდებულებას მკაფიოდ.[265]

უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის, საზოგადოებაში დაბრუნების იმედთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმის არსებობა. სამწუხაროდ, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმი კვლავ არ არის დანერგილი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა საკანში მარტო მოთავსებულ პირთა მდგომარეობა,[266] რადგან მათ უკიდურესად შეზღუდული აქვთ სოციალიზაციის შესაძლებლობა. ის უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებიც კი, რომლებიც გათავისუფლების პროგრამაში არიან ჩართულები, ერთმანეთთან კომუნიკაციას მხოლოდ კურსის მიმდინარეობისას, კვირაში ერთხელ ან ორჯერ, თითო საათით ახერხებენ, რაც ადამიანური ინტერაქციისთვის სათანადო შესაძლებლობად ვერ მიიჩნევა.

---

[262] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 52, პუნ. 1, ქვპუნ. „ვ", საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის №556 ბრძანებულებით დამტკიცებული „შეწყალების წესი", მუხ. 6, პუნ. 2, ქვპუნ. „ა", „ბ".

[263] შესაძლებელია განხილულ იქნეს ე. წ. დამზღვევი მექანიზმი, რომლის თანახმად, თუ სასამართლო უვადო თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულს შეუცვლის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, და მსჯავრდებული მოსახდელ ვადაში მკვეთრად გააუარესებს ქცევას, პენიტენციურ სამსახურს ჰქონდეს სასამართლოსთვის დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება, საშეღავათო მექანიზმის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, მიზანშეწონილია, კანონმდებელმა განსაზღვროს მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იქნება სასამართლო უფლებამოსილი, მოაქციოს თავისუფლების აღკვეთის ვადა.

[264] შეხვედრები გაიმართა 2024 წლის 7 და 14 მარტს N8 დაწესებულებაში.

[265] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 285[1], ნაწ. 7.

[266] დამატებით, 3 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული გადაყვანილია ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

სახალხო დამცველი მიესალმება 2022 წელს №16 დაწესებულებაში ციფრული სწავლების დანერგვას.[267] 2024 წლის ბოლომდე სპეციალური პენიტენციური სამსახური გეგმავს ციფრული სწავლების ფორმის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები აწარმოოს №1, №2, №5 და №10 პენიტენციურ დაწესებულებებში. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ციფრული უნივერსიტეტი თანდათანობით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგება. ასევე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში №11 (არასრულწლოვანთა) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვნებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ პროფესიული[268] და უმაღლესი განათლების მიღების პროცესში, თუმცა სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ №2 და №8 დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებებში მოთავსებული არასრულწლოვნები.

4.6. საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო პირის მიმართ საექსტრადიციო ვადის გაგრძელება, პროკურატურის მიერ სამართლებრივი პროცედურების გონივრულ ვადებში გაუტარებლობის გამო.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ერთ-ერთი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პირი ექსტრადირების მიზნით მას შემდეგ დააკავეს, რაც მან მოიხადა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან. საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის განმავლობაში, პროკურატურის ორგანოებისათვის ცნობილი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ მისი ექსტრადირების მოთხოვნის შესახებ. მიუხედავად ამისა, პროკურატურის ორგანოებს პირის სასჯელის მოხდიდან გათავისუფლებამდე, მის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საკითხის განსახილველად არ გაუტარებიათ ქმედითი ღონისძიებები და მხოლოდ მას შემდეგ გაატარეს, რაც იგი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა. მის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობა თავდაპირველად 3 თვის ვადით განისაზღვრა, ხოლო შემდეგ კიდევ ორჯერ გაგრძელდა და პირი საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის მოხდისა და გათავისუფლების შემდეგ, პენიტენციურ დაწესებულებაში კიდევ 9 თვის განმავლობაში იმყოფებოდა.[269]

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელმოხდილი პირების მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება პრობლემური იყო გასული წლების განმავლობაშიც.[270] პრობლემის

---

[267] ციფრული სწავლება მსჯავრდებულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დისტანციურად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში, დაესწრონ ონლაინ ლექციებს და ინტერაქტიული კომუნიკაცია ჰქონდეთ ლექტორებთან. 2023 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ციფრულ სწავლებაში 10 მსჯავრდებული იყო ჩართული.

[268] წარმოდგენილი პროფესიული განათლება არ შედიოდა არასრულწლოვანთა ინტერესებში.

[269] საბოლოოდ პირის ექსტრადირება მომთხოვნ სახელმწიფოში მოხდა 2024 წლის 18 იანვარს (იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში).

[270] მაგალითისათვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 85.

მოგვარების მიზნით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტის მიერ წინადადებების გაზიარების შემთხვევაში, დაუშვებლად იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმისწარმოებისათვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.[271] დასახელებული პრობლემის ადვოკატირების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიმართ წინადადება გაიცა საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლისა[272] და 2022 წლის[273] საპარლამენტო ანგარიშებშიც. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის წინადადება არ შესრულებულა. ამიტომ, პრობლემის აღმოფხვრის დამატებითი ადვოკატირების მიზნით, 2024 წლის 12 იანვარს, სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა.[274]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებად განისაზღვრება;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა შემცირდეს რამდენიმე წლით;
- „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლს დაემატოს 12[1] პუნქტი, რომლითაც დაუშვებლად იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმის წარმოებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მკაფიო ვალდებულებად განისაზღვრება აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე დაუყოვნებლივ მსჯელობის ვალდებულება;

[271] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის №15-2/11520 წინადადება.
[272] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 91.
[273] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 96.
[274] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 12 იანვრის №1808 კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

- პენიტენციური კოდექსით განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ამავე დროს, ადგილობრივ საბჭოს შეუნარჩუნდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ჩაატაროს ზეპირი განხილვა;
- შეისწავლოს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების შესახებ განკარგულებით უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების თარიღის დადგენის შემთხვევაში, მის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების და განხილვის ისეთი წესი, რომლითაც, ერთი მხრივ, დაზუსტდება, ეს საკითხი უნდა განიხილონ საერთო სასამართლოებმა უვადო თავისუფლებააღკვეთით მსჯავრდებულებისთვის დადგენილი ზოგადი წესისა და პირობების შესაბამისად, თუ ადგილობრივმა საბჭოებმა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, არ გაუარესდება მსჯავრდებულის მდგომარეობა. ასევე, შესწავლის შედეგების საფუძველზე მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები;
- კანონმდებლობაში მკაფიოდ განისაზღვროს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა მიერ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების საკითხის განსახილველად, მოსახდელი სავალდებულო პერიოდის ათვლის დაწყების თარიღი, განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და საერთო სასამართლოებს მიეცეთ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ გათავისუფლების კონკრეტული ვადის დადგენის უფლებამოსილება, ასევე, განხილულ იქნეს ე.წ. დამზღვევი მექანიზმის[275] შემუშავების საჭიროება.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2023 წელს ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი;
- სამხრე კამერებით აღიჭურვოს სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე ყველა სამართალდამცავი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის

[275] ე.წ. დამზღვევი მექანიზმის ფარგლებში, თუ სასამართლო უვადო თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულს შეუცვლის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, და მსჯავრდებული მოსახდელ ვადაში მკვეთრად გააუარესებს ქცევას, პენიტენციურ სამსახურს ჰქონდეს სასამართლოსთვის დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება, საშეღავათო მექანიზმის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება;

- უზრუნველყოს ციფრული უნივერსიტეტის დანერგვა, სულ მცირე, №1, №2, №5 და №10 პენიტენციურ დაწესებულებებში;
- №2 და №8 დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით მომუშავე პერსონალის სამუშაო პირობების შესწავლა და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით მიიღოს ზომები აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
- მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე;
- 2024 წელს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგოს ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები, ასევე გაიზარდოს რესოციალიზაციის ღონისძიებებისა და მათში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა არანაკლებ 50%-ით;
- უცხოენოვანი მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მიზნით უზრუნველყოს 2024 წელს ყველა იმ პატიმრის აღრიცხვა, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ყველა მათგანს შეეთავაზოს ქართული ენის შესწავლა. ამასთანავე, უზრუნველყოს მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, სადაც ქართული ენის არცოდნა არ ქმნის არსებით ბარიერს მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას შესაბამისი ჯგუფებისთვის უცხო ენაზე აქტივობის ჩატარების ან თარგმანის უზრუნველყოფის საკითხი.

5. სამართლიანი სასამართლოს უფლება

5.1.შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში სასამართლოს სისტემაში, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ დონეზე, კვლავ შენარჩუნებულია ხარვეზები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

ევროპის კავშირში ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, 2022 წლის 17 ივნისს სწორედ სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით მიიღო საქართველომ ყველაზე მეტი წინაპირობა ორგანიზაციის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, ხოლო 2023 წლის 8 ნოემბერს, საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შესახებ 9 პირობით გაცემულ რეკომენდაციათა შორის ერთ-ერთი კვლავ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებას ეხებოდა.[276] ამ დოკუმენტში ევროკომისია სრულად ეყრდნობა ვენეციის კომისიის შეფასებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩატარებულა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი რეფორმა და მოუწოდებს ხელისუფლებას განახორციელოს შემდგომი უფრო ფართო, სასამართლო და საპროკურორო დაწესებულებების სრულ დამოუკიდებლობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობაზე მიმართული რეფორმები.[277]

ნიშანდობლივია, რომ 2023 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ დასკვნაში ვენეციის კომისიამ პირველად იმსჯელა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მიმართ ისეთი ექსტრაორდინალური მექანიზმის გამოყენების საჭიროებაზე, როგორიც კეთილსინდისიერების შემოწმების სისტემაა.[278] საქართველოსთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშშიც ასევე საუბარია მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმების სისტემის დანერგვაზე.[279]

სახალხო დამცველი მზადყოფნას გამოთქვამს, აქტიურად ჩაერთოს ნებისმიერ განხილვაში, რომელზეც ვენეციის კომისიის თუ ეუთო/ODIHR მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციები განიხილება. ამ გზაზე, ასევე უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობა სამუშაო პროცესში.

საყურადღებოა, რომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების მიმართულებით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტისადმი გაცემული წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი, კვლავ შეუსრულებელია,[280] მათ შორის, შემდეგი წინადადებებიც: საკანონმდებლო ცვლილების გზით, უზრუნველყოს მტკიცებულებების კანონიერების სასამართლო წესით ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება იმ

---

[276] ევროპული კომისია, 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაცია, 2023. გვ. 20. <https://shorturl.at/bjqvW > [ბოლოს ნანახია 30.01.2024].

[277]ევროპული კომისია, 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაცია, 2023. გვ. 20. <https://shorturl.at/bjqvW> [ბოლოს ნანახია 30.01.2024].

[278] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)033, 2023, პარა. 11 <https://shorturl.at/jzHIZ > [ბოლოს ნანახია 01.02.2024].

[279] ევროპული კომისია, 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაცია, 2023, 20-21; <https://shorturl.at/bjqvW > [ბოლოს ნანახია 30.01.2024].

[280] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 130-133.

შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს დანაშაულის პროვოკაციის რისკის საშიშროება; შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის წარმომადგენლის ჩანაცვლებას იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ წარმომადგენლის სასამართლოში დაკითხვის ინტერესი. ამასთანავე, საქართველოში კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება საბჭოთა დროს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს.

5.2.სასამართლო სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები

წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ 2023 წლის იმ ძირითად მოვლენებს, რომლებიც სასამართლო სისტემაში ინსტიტუციურ და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის კუთხით გამოწვევების არსებობას ადასტურებს.

სასამართლოში არსებულ კორუფციულ რისკებთან მიმართებით, ნიშანდობლივია, რომ საქართველოსთან დაკავშირებით 2023 წლის 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში, ევროკომისიამ საქართველოს ხელისუფლებას, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ქონებრივი დეკლარაციების შემოწმების ეფექტიანი მუდმივი და პერიოდული სისტემის შექმნისკენ მოუწოდა.[281] ამ ფონზე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ შემოსავლების დეკლარაციის გამოქვეყნების ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესში და მისი შემოსავლების გასაჯაროების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია,[282] საქართველოს კანონმდებლობა[283] მას ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნებას არ ავალდებულებს. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია, სასამართლო ხელისუფლების სისტემაში კორუფციული რისკების შემცირების ხელშესაწყობად, კანონმდებლობამ დაავალდებულოს დამოუკიდებელი ინსპექტორი გამოაქვეყნოს ქონებრივი დეკლარაციები.

აღსანიშნავია, რომ კორუფციული რისკების მხოლოდ თეორიულ დონეზე არსებობაც კი, აზიანებს მთლიანად მართლმსაჯულების ინტერესს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს ავტორიტეტისთვის არსებითი განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებაში არსებული აღქმებია.[284]

5.2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მოსაზრებით, არამოსამართლე წევრებმა უნდა უზრუნველყონ მართლმსაჯულების საბჭოს მთლიან შემადგენლობაში

---

[281] ევროპული კომისია, 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაცია, 2023. გვ. 21. <https://shorturl.at/bjqvW> [ბოლოს ნანახია 30.01.2024].

[282] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, შრომის ანაზღაურების გაუმჭვირვალობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, 2023, გვ. 27. < https://shorturl.at/jlsyG > [ბოლოს ნანახია 05.02.2024].

[283] „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №178.

[284] სამოსამართლო ქცევის ე.წ. ბანგალორის პრინციპების 3.2. პრინციპის თანახმად, „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადობაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა".

სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობა.[285] მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელი (ENCJ) იზიარებს ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ ყველაზე წარმატებული მართლმსაჯულების საბჭოების ის მოდელებია, რომელთა შემადგენლობაში არამოსამართლე წევრები იურიდიული, აკადემიური ან სამოქალაქო საზოგადოების რიგებიდან არჩეული და/ან დანიშნული წევრები არიან და მათ აქვთ საკმარისად ფართო უფლებამოსილება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად.[286]

ამის მიუხედავად, 2021 წლის ივნისის შემდეგ, თითქმის ორი წელი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ათი წევრის შემადგენლობით, პარლამენტის მიერ არჩეული 5 არამოსამართლე წევრის გარეშე ფუნქციონირებდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა, საბჭოს სიღრმისეულ რეფორმასთან ერთად, გათვალისწინებული იყო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებშიც.[287]

ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ასევე ითვალისწინებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შუალედური არჩევის პროცედურის დამკვიდრებას (Staggered Elections).[288] ამის საპირისპიროდ, ერთი წლის განმავლობაში, ერთი მოწვევის პარლამენტმა, სრულიად აითვისა პარლამენტისთვის გამოყოფილი არამოსამართლე წევრების კვოტა. ამის თავიდან არიდება, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში 2023 წლის ივნისში შესული ცვლილებებით, ვერ მოხერხდა, რადგან პარლამენტმა არასრულყოფილად შეასრულა ვენეციის კომისიის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია.[289] კერძოდ, ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად, პარლამენტს მხოლოდ რომელიმე 3-თვიან პერიოდში საბჭოს 4-ზე მეტი მოსამართლე წევრის არჩევა შეეზღუდა.[290] აღსანიშნავია, რომ რეგულაცია შეეხო მხოლოდ მოსამართლე წევრებს და არა პარლამენტის მიერ ასარჩევ საბჭოს არამოსამართლე წევრებს.

---

[285] ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №10 (2007) ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი მართლმსაჯულების საბჭოს როლის შესახებ საზოგადოების სამსახურში, 2007, გვ. 6. < http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/CCJE.pdf > [ბოლოს ნანახია 31.01.2024].

[286] სასამართლო საბჭოების ევროპული კავშირი, Standards VI: Non-judicial Members in Judicial Governance, ENCJ Report 2015-2016, 2016, < https://shorturl.at/eHJLZ > [ბოლოს ნანახია 31.01.2024].

[287] ევროკომისიამ 2022 წლის 17 ივნისს საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ რეკომენდაციას გაუწევს ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, მას შემდეგ, რაც საქართველო, მათ შორის, შეძლებს „განახორციელოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დარჩენილი წევრები".

[288] FOLLOW-UP OPINION TO FOUR PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD(2023)006, პარ 21.ასევე, OPINION ON THE DECEMBER 2021 AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2022)010 პარა. 56.

[289] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)033, 2023, პარა. 20-21 < https://shorturl.at/jzHIZ > [22.02.2024].

[290] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

5.2.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის წესი

დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი, სასამართლო რეფორმის ფარგლებში, 2017 წელს შეიქმნა და მისი მიზანია მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების ობიექტური და მიუკერძოებელი შესწავლა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის გამო კრიტიკულად აუცილებელია დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე ფართო საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი პირის არჩევა.

მოქმედი რეგულაციით, დამოუკიდებელი ინსპექტორი თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით აირჩევა.[291] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის კვორუმი სრული შემადგენლობის უმრავლესობიდან საბჭოს წევრთა 2/3-მდე უნდა გაიზარდოს.[292]

დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების გასაჯაროების თაობაზე (პერსონალურ მონაცემთა სტანდარტის დაცვით), რაც, სამწუხაროდ, სასამართლო ხელისუფლებაში გამჭვირვალობის გაზრდას ხელს არ უწყობს.[293]

5.2.3. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სხვა სასამართლოში თანხმობის გარეშე მივლინების წესი

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში 2021 წლის დეკემბრის ბოლოს დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებებით მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ცვლილებების შედეგად, მათ შორის, ორგანულ კანონს დაემატა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ახალი საფუძველი - აზრის გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით.

ამ პრობლემური საკანონმდებლო რეგულირების დახვეწას ემსახურებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში 2023 წლის ივნისში შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც შეზღუდვის გამონაკლისად დადგინდა მოსამართლის მიერ სასამართლო რეფორმის შესახებ ან/და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილების თაობაზე მეცნიერული ან ანალიტიკური მსჯელობა. ვენეციის კომისიის შეფასებით, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები არ არის საკმარისი და საჭიროებს მოსამართლეთათვის დამატებითი გარანტიების მიცემას. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ ამგვარ გარანტიებს ითვალისწინებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში 2023 წლის

[291] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 51[1] მუხლის მე-2 პუნქტი.
[292] დეტალურად იხ. სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 137-138.
[293] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 128.

სექტემბერში დარეგისტრირებული ცვლილებები[294] და მიესალმება ამ ცვლილებების შემოთავაზებული ფორმით მხარდაჭერას.[295]

დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული რეფორმის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად, ამ მიმართულებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ტემპიც უნდა განიხილებოდეს. მოსამართლეთა მიმართ გაჭიანურებული დისციპლინური სამართალწარმოება კვლავ სასამართლო სისტემის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამის მიზეზი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განხილვის ნელი ტემპია. კონკრეტულად, საბჭო არასაკმარისი სიხშირით ატარებს სხდომებს და, შესაბამისად, ინსპექტორის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი დასკვნები წლობით ელის განხილვას. კანონმდებლობით, საბჭოს 1 თვე აქვს განსაზღვრული დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილი დასკვნის განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.[296] შესაბამისად, საბჭოს მიერ დასკვნების განხილვის გაჭიანურების ამგვარი პრაქტიკა კანონმდებლობით დადგენილი ვადის არსებითი დარღვევაა.

სტატისტიკური ინფორმაცია შემდეგნაირად გამოიყურება:[297]

წელი	**საბჭოს სხდომების რაოდენობა**	**საბჭოს მიერ განხილული დასკვნების რაოდენობა**	**ინსპექტორის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი დასკვნების რაოდენობა**
2020	4	137[298]	117
2021	1	50	118
2022	2	114	146
2023	1	42	90

მონაცემთა ანალიზიდან გამომდინარე, საბჭოს საქმიანობა დისციპლინური წარმოების კუთხით, წლების განმავლობაში არ შეცვლილა. 2024 წლის იანვრის მონაცემებით, საბჭოს, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 2021 წელს მომზადებული დისციპლინური საქმეებიდან 76 დასკვნა ჯერ კიდევ არ განუხილავს.[299] სახალხო დამცველის შეფასებით,

[294] დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებები წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროისათვის პარლამენტს არ მიუღია.

[295] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)033, 2023, პარა. 31-33 <https://shorturl.at/jzHIZ > [ბოლოს ნანახია 01.02.2024].

[296] „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტი.

[297] მონაცემები აღებულია: დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 14. http://bit.ly/3Q2YufJ . დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 12. https://bit.ly/3tDWxi7 . დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13. https://bit.ly/3QmI5Uv. [01.02.2024]. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 4 აგვისტოს წერილი №890/2337-03-ო.

[298] დამოუკიდებელი ინსპექტორისგან განსხვავებული მონაცემები აქვს გამოქვეყნებული იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, < https://bit.ly/400vauC > [ბოლოს ნანახია 01.02.2024].

[299] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2023 წლის 4 აგვისტოს №890/2337-03-ო და 2024 წლის 23 იანვრის №16/40-03-ო წერილები.

ამგვარი მიდგომა საფრთხეს უქმნის სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

მოსამართლეთა თანხმობის გარეშე სხვა სასამართლოში მივლინების ახალი საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში 2021 წლის დეკემბრის შემდეგ შევიდა ძალაში, მნიშვნელოვნად ასუსტებს მოსამართლეთა ინდივიდუალური დაცვის გარანტიებს.[300] ცვლილებების შედეგად, გაუქმდა ის პოზიტიური საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც 2012 წლის შემდგომ მივლინების წესების რეგულირებას მოჰყვა.[301] მაგალითად, მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინების მაქსიმალური ვადა გაიზარდა 1-დან 4 წლამდე, გაუქმდა ტერიტორიულობის გათვალისწინების პრინციპი (რომლის თანახმადაც, კონკრეტულ სასამართლოში, მოსამართლეს თანხმობის გარეშე ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მყოფი სხვა სასამართლოდან მიავლენდნენ), შესაძლებელი გახდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოში მივლინება და სხვ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ 2022-2023 წლებში, საბჭოს 14 განკარგულების საფუძველზე, 8 მოსამართლე იმყოფებოდა მივლინებაში სხვა სასამართლოში მათივე თანხმობით. ყველა შემთხვევაში მოსამართლეთა მივლინების ან მივლინების გაგრძელების საფუძველი მივლენილ სასამართლოში მოსამართლეთა ნაკლებობა იყო.[302] მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების შემთხვევები არ გამოვლენილა, 2021 წლის დეკემბრის ზემოაღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მანკიერი პრაქტიკის აღდგენის წინაპირობა შექმნა.[303] ამრიგად, მნიშვნელოვანია, კანონმდებელმა გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის რეკომენდაცია და მოსამართლეთა თანხმობის გარეშე მათი სხვა სასამართლოში მივლინებისთვის მკაფიო და განჭვრეტადი კრიტერიუმები გაწეროს, რაც ინდივიდუალური მოსამართლის უფლებამოსილებაში ჩარევის საფრთხეს გამორიცხავს.[304]

5.3.საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

5.3.1.საქმეთა განხილვის ვადები საერთო სასამართლოებში

საპროცესო კანონმდებლობით საერთო სასამართლოები შებოჭილნი არიან განიხილონ სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის საქმეები კანონით დადგენილ ვადებში, თუმცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ეს კომპონენტი გასული წლების

---

[300] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 100-102. სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 111-112.

[301] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, პრეზიდენტისადმი მოწოდება „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე ვეტოს დადების თაობაზე, IDFI, 2022. < https://shorturl.at/oBCU1 > [ბოლოს ნანახია 21.02.2024].

[302] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №35/40-03-3 წერილი.

[303] საია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემაჯამებელი ანგარიში (2012-2014), 10-16, 2015. < https://shorturl.at/dfisF > [ბოლოს ნანახია 20.03.2024].

[304] FOLLOW-UP OPINION TO FOUR PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD(2023)006, პარ 41 და 52; EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)033, 2023, პარ. 25-28 <https://shorturl.at/jzHIZ > [ბოლოს ნანახია 01.02.2024].

მსგავსად, სასამართლოში დაუძლეველ პრობლემად რჩება. სახალხო დამცველი, წლებია, ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის საქმეების განხილვის გაჭიანურების საკითხზე.[305] გასული წლების მსგავსად, მოქალაქეებს საანგარიშო პერიოდშიც დაერღვათ მათი საქმის კანონით დადგენილ ვადაში განხილვის უფლება. კვლავ გამოვლინდა მხარისთვის განაჩენის გადაუცემლობის, საჩივრისა და საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გადაუგზავნელობის ან/და დაგვიანებით გადაგზავნის; ასევე, სააპელაციო სასამართლოებში ხანგრძლივი დროით სამართალწარმოების შემთხვევები. [306]

კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა: მსჯავრდებულისთვის განაჩენის კანონით დადგენილ ვადაში (გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5, ხოლო რთულ და მრავალტომიან საქმეებზე - არაუგვიანეს 14 დღისა) დასაბუთებული განაჩენის გადაუცემლობის შემთხვევა: განაჩენის გამოცხადებიდან 2 თვეზე მეტი დროის შემდეგაც, მსჯავრდებულს არ ჰქონდა მიღებული განაჩენის ასლი; მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე ბრალდების სისხლის სამართლის საქმე 6 თვის შემდეგ (არაგონივრულ ვადაში), გადაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში; სააპელაციო სასამართლოში განხილვის გაჭიანურებას მოწმობს აპარატის მიერ შესწავლილი საქმე, სადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლო მსჯავრდებულების სააპელაციო საჩივარს მისი დასაშვებად ცნობიდან 9 თვის განმავლობაში იხილავდა (როდესაც კანონით დადგენილი ვადაა 2 თვე სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში - 5 თვე). ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემული 9 თვიდან, ბოლო 6 თვე მსჯავრდებულები ელოდებოდნენ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, ვინაიდან მხოლოდ ეს ეტაპი იყო დარჩენილი. ამ საქმეებზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიშში.[307]

საგულისხმოა, რომ დასაბუთებული განაჩენის მიღების უფლება უშუალოდ უკავშირდება საქმის გონივრულ ვადაში განხილვისა და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებებს. დამატებით, განაჩენის ასლის კანონით დადგენილ ვადაში გადაუცემლობა საფრთხეს უქმნის გასაჩივრების უფლებით ეფექტიან სარგებლობას და იწვევს საქმის განხილვის არაგონივრული ვადით გაჭიანურებას.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მოთხოვნის[308] - მიუხედავად, ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოები არ აგროვებენ

---

[305] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: 2014 წლის ანგარიში, გვ. 405; 2015 წლის ანგარიში, გვ. 469; 2020 წლის ანგარიში, გვ. 146; 2021 წლის ანგარიში, გვ. 103; 2022 წლის ანგარიში, გვ. 114-115.

[306] სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში.

[307] სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში.

[308] „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი: 1. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე: ე) ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების

საქმისწარმოების ვადების დაცვასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს. შესაბამისად, არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თავიანთ სასამართლოებში რამდენი საქმე დასრულდა კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით და რამდენი დარღვევით.[309] სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, 2023 წლის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

	სულ განხილული საქმეების რაოდენობა (2023 წ.)	**კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2023 წ.)**	**კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2022 წ.)[310]**	**კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2021 წ.)[311]**
თბილისის სააპელაციო სასამართლო[312]	1805	20.4%	17,6%	31%
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო[313]	986	20,9%	16,8%	18,7%
უზენაესი სასამართლო[314]	1342	0,52%	1,04%	22.7%

წარმოდგენილი ცხრილის თანახმად, იკვეთება, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადების დაცვა კვლავ პრობლემურია და, ამ მხრივ, სააპელაციო

შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად.

[309] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 25 იანვრის წერილი №3/289 და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 24 იანვრის №36-2/10 წერილი.

[310] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 115.

[311] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თბილისი, 2022, 104.

[312] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 25 იანვრის წერილი №3/289.

[313] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 24 იანვრის №36/10 წერილი.

[314] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 5 მარტის წერილი №3-19-24.

სასამართლოებში სიტუაცია 2023 წლის განმავლობაში, გასულ წელთან მიმართებით, მცირედით გაუარესდა.

	სულ განხილული საქმეების რაოდენობა	კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2023 წ.)	კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2022 წ.)[315]	კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2021 წ.)[316]
თბილისის სააპელაციო სასამართლო[317]	2 214	16,39%	15,5%	56%[318]
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო[319]	714	33,1%	51.6%	35%[320]
უზენაესი სასამართლო[321]	1478	93,4%	95,6%	99,9%
უზენაესი სასამართლო (დასაშვებობის ეტაპი)[322]	1091	54,08%	54,6%	77%

[315] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 115-116.
[316] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 105.
[317] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 25 იანვრის წერილი №3/289.
[318] პროცენტული მაჩვენებელი გამოანგარიშებულია 2021 წლის პირველი 9 თვის მონაცემებისგან.
[319] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 24 იანვრის №36-2/10 წერილი.
[320] პროცენტული მაჩვენებელი გამოანგარიშებულია 2021 წლის პირველი 9 თვის მონაცემებისგან.
[321] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 5 მარტის წერილი №3-19-24.
[322] იქვე.

მოცემული ცხრილის მონაცემები მიუთითებს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვის თვალსაზრისით, საგრძნობი გაუმჯობესებაა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

5.3.2. საერთო სასამართლოებში თავმჯდომარეთა დატვირთულობა და არჩევის წესი

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე,[323] ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო საერთოდ არ ამუშავებს სტატისტიკურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენი საქმე აქვს თითოეულ მოსამართლეს წარმოებაში, წლის განმავლობაში რამდენი ახალი საქმე ეწერებათ მათ და რამდენი საქმის განხილვის დასრულებას ახერხებენ. წერილში ასევე მითითებულია, რომ „აღნიშნული ინფორმაციის მოცულობის გამო, მოთხოვნილი სახით მათი მოძიება და სათანადო დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი სამსახურის რესურსის გათვალისწინებით შეუძლებელია".[324] აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი პირდაპირ ავალებს სასამართლოების თავმჯდომარეებს იქონიონ საქმეთა ნაკადების მართვის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლების, საქმისწარმოების ვადების, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზების შესახებ).[325]

სასამართლოს თავმჯდომარეთა ინსტიტუტის ნაკლოვანებებზე, სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია, რომ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეები თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ფიქსირებული ვადით ინიშნებიან. სახალხო დამცველი, წლებია, ითხოვს სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის დემოკრატიული წესის შემოღებას, რომლის მიხედვითაც მოსამართლეები თავად აირჩევენ თავმჯდომარეებს, ნაცვლად საბჭოს მიერ პირის თანამდებობაზე გამწესებისა.[326]

5.3.3.საქმეთა განხილვის ვადები საკონსტიტუციო სასამართლოში

სახალხო დამცველი მიესალმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჯაროობისკენ გადადგმულ ნაბიჯს, რომლითაც გასული წლისგან განსხვავებით,[327] საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვაწოდა სასამართლოში საქმეთა განხილვის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.[328]

2023 წლის განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოში 44 კონსტიტუციური სარჩელი და 1 კონსტიტუციური წარდგინება (საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე)

---

[323] თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №8487305; 15.01.2024.
[324] იქვე.
[325] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.
[326] სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-104. სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118, სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 131.
[327]სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 119-120.
[328] წინამდებარე ქვეთავში მითითებული ინფორმაცია დაფუძნებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 13 თებერვლის №01/87 წერილზე.

დარეგისტრირდა. მათგან, სასამართლომ მხოლოდ კონსტიტუციურ წარდგინებაზე მიიღო დასკვნა, ხოლო 23 სარჩელთან დაკავშირებით - განჩინება და საოქმო ჩანაწერი.

გასული წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში სასამართლომ საერთო ჯამში 19 გადაწყვეტილება მიიღო. კვლავ არაერთი საქმე ელოდება, წლებია, გადაწყვეტილების გამოტანას, მიუხედავად იმისა, რომ მათი არსებითი განხილვა დამთავრებულია. ამ ეტაპზე ასეთი საქმეების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

სარჩელის რეგისტრაციის წელი	**საქმეთა რაოდენობა, რომელთა განხილვა დასრულებულია და ელოდებიან გადაწყვეტილების გამოტანას**
2015	5
2016	12
2017	7
2018	8
2019	7
2020	11
2021	14
2022	5
2023	

დღეის მდგომარეობით, განმწესრიგებელი სხდომა არ ჩატარებულა წარდგენილ 106 კონსტიტუციურ სარჩელზე და არსებითად განსახილველად მიღებულ 25 კონსტიტუციურ სარჩელზე.

ამ ფონზე, აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით არ არის მკაცრად დარეგულირებული საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებული ვადები. კონკრეტულად, არ არის განსაზღვრული სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა. სახალხო დამცველი, მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საპროცესო ვადების განსაზღვრა მნიშვნელოვანია ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, და საამისოდ პარლამენტმა უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები.

5.3.4. დაცვის უფლება

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა, რომ **გარესამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის შედეგად ბრალდებულს ერთმევა შესაძლებლობა მისი ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე დაიცვას ადვოკატმა, თუ არ აკმაყოფილებს უფასო იურიდიული დახმარების კრიტერიუმს და სახეზე არ არის დაცვის სავალდებულო შემთხვევა.** გარდა ამისა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება და **გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით ბრალდებულებისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა ადვოკატთან კომუნიკაციაზეც ვრცელდება.** კვლავ მოუგვარებელია **ბრალდებულისა და ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა** დისტანციური წესით ჩატარებული სასამართლო განხილვებისას. **საანგარიშო პერიოდში, ადგილი ჰქონდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან**

ადვოკატების დაყოვნებას, აქციების დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების, ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის დროული მოწოდების და მათთან დაუყოვნებლივ შეხვედრის შესაძლებლობის უზრუნველყოფის შეფერხებას.

წინამდებარე ქვეთავში განხილული საკითხების დეტალური ანალიზი, იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის სამართლიანი სასამართლოს უფლების თავში.[329]

5.3.5.სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის კრიტერიუმების ხარვეზი

იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არაა სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები[330] და პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ბრალდებულის მიმართ, გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით გამოყენებულია სატელეფონო საუბრის/მიმოწერის/ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვა[331], ბრალდებული, შესაძლოა, დაცვის უფლების გარეშე დარჩეს. ამ შეზღუდვის გამო, ბრალდებულებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, დაუკავშირდნენ სასურველ ადვოკატებს ან/და ახლობელ პირებს, რომ მათ შეარჩიონ ადვოკატი. ადვოკატის არყოლის პირობებში კი, შესაძლოა, ბრალდებულმა ვერ მოახერხოს მისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით სათანადოდ სარგებლობა და დაირღვეს მისი დაცვის უფლება.

არსებული საკანონმდებლო ხარვეზის შევსების, ბრალდებულთა დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და ბრალდებულებს (რომელთა მიმართ გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით შეზღუდულია სატელეფონო საუბრის/მიმოწერის/ხანმოკლე პაემნის უფლება, რის გამოც ვერ ახერხებს სასურველი ადვოკატის შერჩევასა და შეთანხმებას) მიეცეთ შესაძლებლობა, მათი ინტერესები ადვოკატმა დაიცვას სახელმწიფოს ხარჯზე. ამრიგად, ბრალდებულის მიერ დაცვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა გარანტირებული უნდა იყოს კანონმდებლობით, გარესამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის პირობებშიც კი.

ადვოკატის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთა განთავსების დროებით ცენტრში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, გარდა არასრულწლოვნებისა, ვერ სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით. „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, უფასო იურიდიულ დახმარებას იღებენ პირები სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით. იმ ფონზე, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები ამ ბაზაში არ არიან რეგისტრირებულები, მათი გადახდისუუნარობა ვერ დგინდება.

---

[329] სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

[330] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 46; მუხ. 42, ნაწ. 3. საქართველოს კანონის, „იურიდიული დახმარების შესახებ", მუხ. 5, პუნქტი 1.

[331] პენიტენციური კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილი, 116-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 119-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

შესაბამისად, ფაქტობრივად გადახდისუუნარო უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ კერძო ადვოკატზე, ასევე ვერ სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით, რაც ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობასთან ერთად, არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიხედვით, თუ პირს არ აქვს შესაძლებლობა თავად გადაიხადოს ადვოკატის მომსახურების საფასური, მიგრანტი პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასო იურიდიული დახმარება.[332]

5.3.6.ბრალდებულის ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის შეზღუდვა და დისტანციურ პროცესებზე ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაცია

ბრალდებულთა მიერ დაცვის უფლების სრულყოფილი სარგებლობის უზრუნველსაყოფად, სახალხო დამცველი არაერთი წელია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს მიიღოს შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც გაუქმდება ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა, როგორც პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილების, ისე სადისციპლინო სახდელის სახით.[333] მეტიც, ამ საკითხთან დაკავშირებით, აპარატმა 2022 წელს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა პარლამენტს.[334] საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა „პენიტენციური კოდექსი" მიიღო, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის ზემოაღნიშნული წინადადება კვლავ დამატებითი მსჯელობის საგნად დარჩა და ბრალდებულებს, რომელთა მიმართ ბრალდების მხარე იყენებს პირადი სახის კომუნიკაციის შეზღუდვას, კვლავ არ აქვთ ადვოკატთან სატელეფონო კავშირის განხორციელების შესაძლებლობა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ დაცვის უფლებით ეფექტიანი სარგებლობის პრობლემა კვლავ შენარჩუნებულია დისტანციური სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას. ამ ეტაპზე კვლავ არ არის შექმნილი შესაბამისი პროგრამის ფუნქციონალი, რომელიც ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური სესიის შექმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. საანგარიშო პერიოდში არ გამოცხადებულა ტენდერი შესაბამისი ტექნოლოგიების შესყიდვის მიზნით (რომელიც უზრუნველყოფს კლიენტისა და ადვოკატის კომუნიკაციის კონფიდენციალურობას). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტების შესყიდვა და არსებულ სისტემებზე ახალი მოდულების დაშენება, დაკავშირებულია საკმაოდ მაღალ ფინანსურ დანახარჯებთან.[335]

---

[332] ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-19 საერთო ანგარიშიდან, „დაკავებული არარეგულარული მიგრანტების სამართლებრივი დაცვის გარანტიები" CPT/Inf (2009) პარა. 81. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806cce8e> [ბოლოს ნანახია: 12.03.2024].

[333] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 132. სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118.

[334] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 18 თებერვლის №15-2/2008 წინადადება.

[335] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის №1204/3779-03-ო წერილი.

5.3.7.ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება

საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წელს პრეცედენტული გადაწყვეტილება გამოიტანა და გააუქმა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ჩხრეკის ჩამტარებელ გამომძიებლებს შეეძლოთ, მაგრამ არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[336] მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში გადაწყვეტილების აღსრულებისას რიგი პრობლემები იკვეთება, რაზეც სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს თავის საპარლამენტო თუ სპეციალურ ანგარიშებში.[337]

საანგარიშო პერიოდშიც, სახალხო დამცველის აპარატის მიერ სისხლის სამართლის საქმეების მასალების შესწავლის საფუძველზე, იკვეთება, რომ გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდების მხარეს არ უცდია, მოეპოვებინა პირადი ჩხრეკის ამსახველი იმგვარი ნეიტრალური მტკიცებულება, რაც ობიექტურ დამკვირვებელს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში.[338]

უნდა აღინიშნოს, რომ ნეიტრალური მტკიცებულება განსაკუთრებულ და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ნივთის ფლობასთან დაკავშირებით პოლიციელებისა და ბრალდებულის ჩვენებების/პოზიციის რადიკალურად განსხვავების პირობებში.

სახალხო დამცველი სამართალდამცავ ორგანოებს და საერთო სასამართლოთა მოსამართლეებს მოუწოდებს, მიიღონ ზომები, ჩხრეკისა და ამოღების პროცესში, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვებისას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის აღსასრულებლად.

5.4.მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა, პირველად გააანალიზა მსჯავრდებულთათვის საშიშროების რისკის განსაზღვრასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის პროცედურები და სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზები გამოავლინა. წარმოგიდგენთ ანალიზის ძირითად მიგნებებს, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშს ეფუძნება:[339]

- უმრავლეს შემთხვევაში მსჯავრდებულთა სარჩელების განხილვა დროში ხანგრძლივად ჭიანურდება და არ არის შემუშავებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პატიმართა სარჩელების გონივრულ ვადაში განხილვას

[336] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-104.
[337] იხ. სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის გვ. 123-125. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 151-153.
[338] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში.
[339] დეტალური ინფორმაცია იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის სამართლიანი სასამართლოს თავში.

- სასამართლო განხილვის გაჭიანურების გამო, რისკების ხელახალი გეგმური გადაფასების ვადა დგება და წინა სარჩელის განხილვა პრაქტიკულად აზრს კარგავს
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსჯავრდებულთა სარჩელების ბაჟისგან გათავისუფლების ვალდებულებას
- პატიმრებს აქვთ კვალიფიციური იურიდიული დახმარების პრობლემა, რის გამოც მათი სარჩელები ხშირ შემთხვევაში ხარვეზდება
- კანონმდებლობა ბლანკეტურად გამორიცხავს მსჯავრდებულისთვის საკუთარი თავის შესახებ საიდუმლო/ოპერატიული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას
- მოწმეები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იკითხებიან
- სასამართლო გადაწყვეტილებები ძირითადად დაუსაბუთებელია, მხოლოდ ნორმატიული აქტის დებულებებზე მითითებით შემოიფარგლება და არ შეიცავს საერთაშორისო სტანდარტებზე მითითებას პატიმრების უფლებებზე.

აღსანიშნავია, რომ პატიმართა მიმართ მოპყრობის საკითხზე საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებს საშიშროების რისკების კლასიფიკაციის და პერიოდული გადაფასების საჭიროებაზე და, ამავე დროს, ყურადღებას ამახვილებს თითოეული პატიმრის საჭიროების გათვალისწინების საკითხზე. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან საქართველოს საერთო სასამართლოების განხილული საქმეების შესწავლამ ცხადყო, რომ ერთეული შემთხვევის გარდა, გადაწყვეტილებები არ შეიცავს დასაბუთებას ამა თუ იმ საშიშროების რისკის მინიჭების თაობაზე, ხოლო პატიმართა რისკების საკითხზე ადმინისტრაციული სარჩელის სასამართლოში განხილვის ვადები ისეთი ხანგრძლივი დროით ჭიანურდება, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ილუზორულს ხდის.

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების გაზრდის მიზნით, აუცილებელია სასამართლო დაეყრდნოს პატიმართა უფლებების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებს და ამავე დროს მოუსმინოს და მოწმის სახით დაკითხოს რისკების შეფასების გუნდის წევრები, რასაც საერთო სასამართლოები მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების კატეგორიის საქმეების განხილვისას იშვიათად მიმართავენ. სახალხო დამცველის აპარატის შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში სწორედ მოწმეთა დაკითხვისას მიღებულმა ინფორმაციამ მოახდინა არსებითი გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილების ხარისხზე და სასამართლოს მისცა შესაძლებლობა მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება.[340]

სარჩელის სასამართლოში განხილვის ვადების გაჭიანურების საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ საქმეთა განხილვის პრაქტიკაში არსებული ვადები. მაგალითად, შესწავლილ საქმეებში წარმოებაში მიღებული სარჩელებიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოში კანონით დადგენილ 2 თვის ვადაში არცერთი საქმის განხილვა არ დასრულებულა. 5 თვემდე ვადაში განხილულია 10 საქმე, 5-7 თვემდე - 3 საქმე; 7-9 თვემდე

[340] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში.

- 5 საქმე; 9 თვიდან 1 წლამდე პერიოდი დასჭირდა 3 საქმის განხილვას, ხოლო 2 საქმეზე წარმოება 2 წელზე მეტი დროის განმავლობაში გრძელდებოდა.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში განხილვის ვადებს, განსახილველად ცნობილი საჩივრების განხილვას დასჭირდა თვენახევრიდან - 3-4-7 თვემდე პერიოდი, ხოლო სარჩელის პირველ ინსტანციაში შესვლიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, შესაბამისად, გასულია 7 თვიდან - 10 თვემდე, 1 წლამდე პერიოდი, ასევე, 1 წელი და 3 თვე, 1 წელი და 6 თვეც. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოში 3 საქმეზე თითო სხდომა ჩატარდა, 2 საქმეზე - 2 სხდომა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილვის 6-თვიანი ვადა დაცული იყო სამივე საკასაციო საჩივრის შემთხვევაში და 2 თვიდან 4 თვეზე მეტი პერიოდით შემოიფარგლებოდა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის პირველ ინსტანციაში შესვლიდან უზენაეს სასამართლოში განხილვის დასრულებამდე და საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გასული იყო: 1 წელი და 1 თვე, 1 წელსა და 6 თვეზე მეტი დრო და 1 წელსა და 8 თვემდე პერიოდი.

სასამართლოს გადატვირთულობის ზოგადი პრობლემის ფონზე პატიმართა რისკების შეფასების საკითხის გონივრულ დროში განხილვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელწმიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა ან პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების განმხილველი მოსამართლეების ვიწრო სპეციალიზაციის განხორციელების საკითხის განხილვის დაწყება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან.

დამატებით, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს ბაჟის გადახდის დაკისრების პრობლემურ საკითხზე. **აუცილებელია, პატიმრებს ფინანსების არარსებობის გამო არ შეეზღუდოთ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების კატეგორიის განსაზღვრა და განთავსება, რაც მათ უფლებრივ მდგომარეობაზე უშუალო და არსებით გავლენას ახდენს.** ამდენად, პატიმართა საშიშროების რისკების თაობაზე სარჩელების განხილვისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონმდებლობამ დამატებითი გარანტიის სახით, გაითვალისწინოს სასამართლოს ვალდებულება გაათავისუფლოს პატიმარი ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, თუ წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში თავისი ფინანსური ბრუნვის შესახებ, რაც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მისი ყოველთვიური შემოსავალი პირობითად 100 ლარზე ნაკლები იყო. გონივრული თანხის ოდენობა, ცხადია, შეიძლება გახდეს დამატებითი მსჯელობის საგანი.

ცალკე ყურადღების ღირსია პატიმრებისთვის კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიწოდების პრობლემა. პატიმართა სარჩელებზე სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენა, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, სწორედ ადვოკატის არაკვალიფიციურად გაწეული იურიდიული დახმარების გამო ხდება. მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი 25 პატიმრის საქმეებიდან, რომლებსაც ჰყავდათ ადვოკატები, 5 სარჩელზე არ დადგინდა ხარვეზი და წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 20 სარჩელზე დადგინდა

ხარვეზი და მოსარჩელეებს მის აღმოსაფხვრელად რამდენიმედღიანი ვადა განესაზღვრათ. გარდა ბაჟის გადახდის ქვითრის წარმოუდგენლობისა, ხარვეზის დადგენის მიზეზი გახდა: სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს არასწორად/არაზუსტად მითითება, სარჩელის დამტკიცებული ფორმის შევსების გარეშე, საჩივრის ფორმით წარდგენა, ფაქტობრივი გარემოებების არასრულად მითითება, სარჩელზე გასაჩივრებული აქტების დაურთველობა. ასევე, სასამართლო ადგენდა ხარვეზს ისეთ შემთხვევაშიც, როცა ადვოკატის ორდერი იყო წარდგენილი და არ იყო პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემული მინდობილობა/რწმუნებულება. უნდა ითქვას, რომ დახარვეზება აუცილებლად არ გულისხმობს არაკვალიფიციურად შევსებულ სასარჩელო დოკუმენტებს. იყო ისეთი შემთხვევებიც, სადაც მსჯავრდებულები და მათი ადვოკატები დამატებით დროს ითხოვდნენ პენიტენციური სამსახურიდან ან სხვა ორგანოდან დოკუმენტის მისაღებად და რიგ შემთხვევებში, ადვოკატების მხრიდან ხარვეზიანი სარჩელის შეტანა ვადის დაცვის ტაქტიკით იყო განპირობებული. თუმცა, დახარვეზების ყველა შემთხვევა ნაკლებად აიხსნება ტაქტიკით და, შესაძლოა, მიუთითებდეს კვალიფიკაციის ხარვეზებზე.

კიდევ ერთი ასპექტი, რაც პირადი საქმეების მასალების შესწავლას უკავშირდება, მდგომარეობს შემდეგში: საქმის ხანგრძლივი დროით გაჭიანურების გამო იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა, ერთი მხრივ, დაწესებულებას სჭირდებოდა პატიმრის საქმე და დროებით უკან გაითხოვა. შესაბამისად, პირადი საქმე დაწესებულებასა და სასამართლოს შორის რამდენჯერმე გადაიგზავნა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასეთ შემთხვევებში სასამართლოს წარედგინოს მსჯავრდებულის პირადი საქმის დამოწმებული ასლი. ამასთანავე, თუ განხილვის დროს პატიმრის ქცევაში დადებითი ან უარყოფითი ცვლილება შეიმჩნევა, ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოება გამოიკვეთება, პენიტენციურმა სამსახურმა აცნობოს სასამართლოს და დამატებით წარუდგინოს პირადი საქმიდან შესაბამისი ახალი მასალების დამოწმებული ასლები.

საგულისხმოა, რომ აპარატმა, ინდივიდუალური საქმისწარმოებისა და სისტემური მონიტორინგის ფარგლებში, ხსენებული საკითხების შესწავლის დროს გამოკვეთა მსჯავრდებულთა რისკების შეფასების პროცესში საიდუმლო ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის პრობლემაც. სასამართლოები გადაწყვეტილებებში უთითებენ, რომ მათ გამოითხოვეს და შეისწავლეს საიდუმლო ოპერატიული ინფორმაცია, თუმცა საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, **სასამართლო არ არის უფლებამოსილი საიდუმლო ინფორმაცია, მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, გააცნოს მხარეებს და სასამართლოს გადაწყვეტილებაში**[341] **ასახოს.**

შესაბამისად, მსჯავრდებულზე არსებული ოპერატიული ინფორმაცია („დანართი №2"-ში არსებული ინფორმაცია)[342] მსჯავრდებულისთვის ბლანკეტურად ხელმიუწვდომელია.

[341] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლ. 20[1]

[342] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის მაისის №396 ბრძანების დანართის თანახმად, „დანართი №2" მოიცავს ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება მსჯავრდებულის დამოკიდებულებას კრიმინალურ სუბკულტურასთან ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან/ორგანიზაციასთან, აგრესიის, ზეგავლენის მოხდენის/მცდელობის ფაქტებს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების, აზარტული თამაშებისადმი

ასეთი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლეს პრეცედენტულ სამართალთან.[343] გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა, რაც გამორიცხავს „დანართი №2"-ში დაფიქსირებულ ინფორმაციასთან მსჯავრდებულისთვის წვდომის ბლანკეტურ შეზღუდვას და თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში დაავალდებულებს საქმის განმხილველ მოსამართლეს იმსჯელოს: შესაძლებელია თუ არა საიდუმლო ინფორმაციის მთლიანად ან/და ნაწილობრივ განსაიდუმლოების გზით, მისი პატიმრისთვის გაცნობა. აუცილებელია, ისეთი ინფორმაციის მსჯავრდებულებისთვის გაცნობა, რაც არ ეხება მესამე პირებს, არ ამჟღავნებს კონფიდენტის ვინაობას და რაც უშუალოდ მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციას/მონაცემს მოიცავს და მისი პატიმრისთვის გაცნობა საფრთხეს არ შეუქმნის მართლმსაჯულების განხორციელებას, კონკრეტული პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებას.

რისკების შეფასების საკითხზე მსჯელობისას გვსურს დამატებით გამოვეხმაუროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლომ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და მსჯავრდებულის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.[344] მსჯავრდებულ ი.კ.-ს, რომლის ქცევა არ გაუარესებულა, დაუმძიმდა რისკი, რის მიზეზადაც მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან სავარაუდო ძალადობა დასახელდა. გადაწყვეტილების მიხედვით, პატიმრის ნებისმიერი ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, არსებობს დიდი რისკი, რომ მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან ადგილი ჰქონდეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას. ეს ყოველივე კი იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო ვალდებულია, ერთი მხრივ, პატიმარს მიანიჭოს რისკის ის სახე, რომელიც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე შეესაბამება მსჯავრდებულს, მეორე მხრივ კი, გაატაროს გონივრული ღონისძიებები იმისთვის, რათა მსჯავრდებული უსაფრთხოდ მოთავსდეს მისი რისკის შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გატარებული ღონისძიებებით, კონკრეტული დროის მონაკვეთში, შეუძლებელი იქნება მსჯავრდებულის უსაფრთხოების დაცვა, მაგალითად, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, კანონმდებლობა აძლევს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მსჯავრდებულის დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების შესაძლებლობას, ამგვარი საფრთხის აღმოფხვრამდე. თუმცა, ამ შემთხვევაში, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულს უნარჩუნდება მისი შედარებით დაბალი რისკისთვის გათვალისწინებული უფლებები. **ამრიგად, პატიმრის უსაფრთხოების მოტივით, მისთვის რისკის სახის დამძიმება და აქედან გამომდინარე - უფლებების შეზღუდვა, საკანონმდებლო დებულებების შესაბამის გადაწყვეტილებად ვერ ჩაითვლება.**

იმედს გამოვთქვამთ, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულის რისკების შეფასების გუნდი მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, ხოლო

დამოკიდებულებას, აკრძალული ნივთების და ნივთიერებების ფლობის ფაქტებს, მსჯავრდებულთა მასასთან დაპირისპირების გამომწვევი ქმედების ჩადენას და სხვ.

[343] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Muhammad and Muhammad v. Romania, განაცხადი №80982/12.

[344] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში.

სასამართლო გონივრულ ვადებში იმსჯელებს პატიმრების საჩივრებზე და საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის შემდეგ გამოიტანს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს.

5.5.დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა

წლიდან წლამდე სახალხო დამცველს არაერთი მოქალაქე მიმართავს, რომლებიც მიუთითებენ, რომ დაზარალდნენ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების გამო, თუმცა ჭიანურდება მათთვის დაზარალებულის სტატუსის ოფიციალურად მინიჭება. შედეგად, ისინი პრაქტიკულად არ ფლობენ მათი ინტერესების დარღვევის გამო მიმდინარე გამოძიებების შესახებ ინფორმაციას.

სახალხო დამცველის აპარატში, 2023 წლის განმავლობაში მოქალაქეთა მომართვიანობისა და გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, ამ საკითხის დამუშავებისას[345] გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- საქმისმწარმოებელი პროკურორის მიერ დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის **გასაჩივრების სტატისტიკა ზემდგომ პროკურორთან საკმაოდ დაბალია**
- **სასამართლოების განჩინებები,** რომლებითაც უარს ამბობენ დაზარალებულად ცნობის შესახებ საჩივრის დაკმაყოფილებაზე, **ხშირად დაუსაბუთებელია და არ პასუხობს მსხვერპლის/ადვოკატის საჩივარში დაფიქსირებულ ძირითად საკითხებს**
- სასამართლო **ბუნდოვნად იყენებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს** და უმეტესად არ განმარტავს, კონკრეტულად რატომ არ იკვეთება მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ცნობის საფუძველი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი სასამართლო განჩინებების გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ ხშირად სასამართლოები მიუთითებენ, რომ საქმეში არ იკვეთება დაზარალებულად ცნობის საფუძველი, ვინაიდან არ არის შეკრებილი საკმარისი მტკიცებულება. საქმის კონკრეტულ გარემოებებზე მიუთითებლობით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს იძენს, ვინაიდან პირისათვის გაუგებარი რჩება, რა სახის საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს, რა ტიპის მტკიცებულებები უნდა იქნეს მოპოვებული ან რა სახით უნდა დადასტურდეს ზიანის არსებობა, რომ სასამართლომ სტანდარტი დაკმაყოფილებულად ჩათვალოს და პირს მიენიჭოს დაზარალებულის სტატუსი, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, როგორც დაზარალებულად პირის ცნობის სახელმძღვანელო პრინციპს და ეს განმარტება სასამართლოებმა დაამკვიდრეს.[346]

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პროკურატურის პრაქტიკა, როდესაც პროკურატურა დაზარალებულ მხარეს საქმის მასალების ასლებს არ გადასცემს, იმ არგუმენტებზე

[345] ეს საკითხი დეტალურად განხილულია სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[346] დეტალური ინფორმაცია პირის დაზარალებულად ცნობის საკითხის ირგვლივ, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

მითითებით, რომ მასალები შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას და ეხება მესამე პირთა პირად ცხოვრებას. ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პროკურორმა არ გადასცა დაზარალებულს საქმის მასალების ასლები, თუმცა თანხმობა განაცხადა საქმის მასალების ადგილზე გაცნობაზე. **სახალხო დამცველის შეფასებით, რიგ შემთხვევაში, დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შეზღუდვა ან/და ასლების გადაცემაზე უარი არ პასუხობს დასაბუთებულობის მოთხოვნას, მათ შორის, როდესაც შეზღუდვა განმარტებულია თავად დაზარალებულის ინტერესის დაცვის მოტივით.**

სახალხო დამცველის აპარატი, ზოგადად, არ გამორიცხავს, რომ, კონკრეტულ ეტაპზე, საქმის მასალების ასლების სრულად გაცემის შეზღუდვას (მათ შორის, მასალებიდან მესამე პირთა პერსონალური ინფორმაციის დაფარვას), შესაძლოა, ლეგიტიმური მიზანი ჰქონდეს. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული და მსხვერპლისათვის დამაჯერებელი. დაზარალებულისთვის ვერ იქნება გასაგები, როგორ იცავს პროკურატურა მესამე პირების პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მასალების გადაუცემლობით, თუკი თანახმაა, იგივე მასალები სრულად გააცნოს პროკურატურის შენობაში. ან როგორ შეიძლება დაზარალებულმა მისი უფლებების გამამართლებელ/დასაბუთებულ კანონიერ შეზღუდვად მიიჩნიოს ის მოცემულობა, როდესაც პროკურატურა არ აძლევს მასალების ასლებს, ისევ მისივე - დაზარალებულების ინტერესების დაცვის მოტივით.[347]

დამატებით, შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე პირების ინტერესებისა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მოტივით დაზარალებულებს გააცნეს საგამოძიებო მასალები მხოლოდ ნაწილობრივ და არა სრულად (წვდომა მხოლოდ მათ მიმართ დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით მიეცათ). რა თქმა უნდა, დასახელებული საფუძვლები ლეგიტიმურ მიზნებია, თუმცა თუ დაზარალებულს მხოლოდ იმ ინფორმაციაზე ექნება წვდომა, რომელიც მის მიმართ დანაშაულის ფაქტს ასახავს, დაზარალებულის გამოძიების პროცესში ეფექტიანი ჩართულობა, შესაძლოა, ვერ იყოს უზრუნველყოფილი. დაზარალებულის კანონიერი ინტერესი შეიძლება იყოს ინფორმაციის ქონა, რა საგამოძიებო მოქმედებები ტარდება დანაშაულებრივი ქმედებების განმახორციელებელი პირების დადგენის მიზნით და რა სახის მტკიცებულებების მოპოვება გახდა შესაძლებელი.[348]

2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო დაზარალებულისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და საქმის მასალების ასლის სახით გაცნობის ბლანკეტური შეზღუდვა.[349] ხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი პრინციპების შესრულების მიზნებისათვის, სახალხო

[347] საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.
[348] საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.
[349] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

დამცველი გასული წლების მსგავსად,[350] განაგრძობს დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას და მოუწოდებს პროკურატურას უზრუნველყოს დაზარალებულის მაქსიმალური ჩართულობა და სისხლის სამართლის საქმის მასალებზე მისი წვდომა, რის შეზღუდვის შემთხვევაშიც, გადაწყვეტილება უნდა დაასაბუთოს კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით და არა - ჰიპოთეტურ რისკზე მითითებით.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგინდეს, რომ სასამართლოში საქმეთა კოლეგიური განხილვისას, კოლეგიის შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, საქმეთა განაწილების ელექტრონულმა პროგრამამ განსაზღვროს;
- საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებით, განსაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებული ვადები, რითაც დადგინდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა;
- საკანონმდებლო ცვლილების გზით, უზრუნველყოს მტკიცებულებების კანონიერების სასამართლო წესით ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს დანაშაულის პროვოკაციის რისკის საშიშროება;
- მიიღოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და განისაზღვროს საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი უწყების ვალდებულება, ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევების გარდა, სასამართლოს წარუდგინოს ნეიტრალური მტკიცებულებები, მათ შორის, ჩხრეკა-ამოღების პროცესის უწყვეტი ვიდეოკადრი ან/და ნეიტრალური მოწმის ჩვენება, რაც დაადასტურებს საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას;
- შეიცვალოს სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) თავმჯდომარეთა არჩევის წესი და კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეებს მიენიჭოთ თავმჯდომარეთა არჩევის უფლებამოსილება;
- შევიდეს ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში და გაუქმდეს 75^1 -ე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი;
- შევიდეს ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლში და მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს ერთი წელი;

[350] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 127-128. საქართველოს სახალხო დამცველის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში, 2020, გვ. 30-31.

- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და განისაზღვროს, რომ გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის შეზღუდვა არ ვრცელდება ბრალდებულის ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციაზე და ბრალდებულის მოთხოვნისას მის ადვოკატთან დაკავშირებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია, პენიტენციური დაწესებულების ხარჯით; იგივე უფლება შენარჩუნდეს პატიმრის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის პერიოდში;
- შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის წარმომადგენლის ჩანაცვლებას იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ წარმომადგენლის სასამართლოში დაკითხვის ინტერესი;
- უზრუნველყოს საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რომლითაც განისაზღვრება სპეციალური ვადები პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების გონივრულ ვადაში განხილვის და საქმისწარმოების გაჭიანურების თავიდან ასარიდებლად;
- შევიდეს ცვლილება კანონმდებლობაში, რომელიც გაითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, გაათავისუფლოს პატიმარი ადმინისტრაციულ სარჩელზე ბაჟის გადახდისგან, თუ პატიმარი წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში მისი ფინანსური ბრუნვის შესახებ (კონკრეტული თანხის ოდენობა და დროის პერიოდი განისაზღვროს გონივრული მისადაგების მიხედვით);
- შევიდეს ცვლილება კანონმდებლობაში, რომლის თანახმად, მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდში ასახულ საიდუმლო ოპერაციულ ინფორმაციაზე პატიმრის წვდომის ბლანკეტური შეზღუდვა გაუქმდება და სასამართლოს დაეკისრება ყოველ ინდივიდუალურ საქმეში ინფორმაციის მსჯავრდებულისთვის გაცნობის შესაძლებლობაზე მსჯელობის ვალდებულება;
- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, განსაზღვროს სისხლის სამართლის მასალების და საჩივრის ქვემდგომი ინსტანციიდან ზემდგომში გაგზავნის კონკრეტული ვადები;
- შევიდეს ცვლილება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლში და თანამდებობის პირთა ჩამონათვალს დაემატოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი;
- შეისწავლოს სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის საფუძველზე. შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მოამზადოს საკანონმდებლო ინიციატივა.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- პერსონალურ მონაცემთა სტანდარტების დაცვით გამოაქვეყნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები;
- „საქართველოს საერთო სასმართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილება შეიცვალოს იმგვარად, რომ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში კოლეგიური შემადგენლობის პირობებში საქმის განხილვისას, კოლეგიის სამივე წევრი შეირჩეს შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე;
- გაუმჯობესდეს ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურა დისტანციური სასამართლო პროცესებისთვის იმგვარად, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის შესაძლებელი იყოს კომუნიკაციის კონფიდენციალურობა;
- გაუქმდეს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები;
- უზრუნველყოს საკანონმდებლო ან/და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდით ან ვიწრო სპეციალიზაციის შემოღებით, მსჯავრდებულთა ადმინისტრაციული სარჩელების გონივრულ ვადაში განხილვის და საქმისწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს:

- ყოველწლიურად დაამუშაოს სტატისტიკური ინფორმაცია თითოეული მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობის, ყოველწლიურად მათთვის დაწერილი საქმეების რაოდენობისა და ყოველწლიურად მათ მიერ დასრულებული საქმეების რაოდენობის შესახებ;
- ყოველწლიურად დაამუშაონ სტატისტიკური მონაცემები საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმისწარმოების ვადების დაცვის თაობაზე, რათა ფლობდნენ ინფორმაციას, სასამართლოებში რამდენი საქმე განიხილება კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით და რამდენი დარღვევით.

საერთო სასამართლოებს:

- მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების კატეგორიის საქმის სრულყოფილი შეფასების მიზნით, მოწმის სახით დაკითხოს მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის წევრები.

6.პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

6.1.შესავალი

2023 წელი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის მხრივ, გარკვეული პროგრესით გამოირჩეოდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო საკანონმდებლო ცვლილებებით, კერძოდ, ახალი პენიტენციური კოდექსის მიღებით, აგრეთვე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით.[351] დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიღმა დარჩა ფარული მიყურადების მომწესრიგებელი ნორმები და ამ მიმართულებთ სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობა.[352]

მისასალმებელია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ნაწილში, პარლამენტმა პენიტენციურ კოდექსში გაითვალისწინა სახალხო დამცველის ზოგიერთი წინადადება[353] და შედეგად განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს მიეცათ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება; აგრეთვე, ყველა მსჯავრდებულს, წერილობითი თხოვნის საფუძველზე, მიეცა შესაძლებლობა შეცვალონ: ხანმოკლე პაემანი - სატელეფონო საუბრით ან ვიდეოპაემნით; ხანგრძლივი პაემანი - ხანმოკლე პაემნით, ვიდეოპაემნით ან სატელეფონო საუბრით; საოჯახო პაემანი - ხანმოკლე პაემნით, ვიდეოპაემნით ან სატელეფონო საუბრით;[354] პატიმრის მხრიდან დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორს დაეკისრა ფაქტის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერის დაარქივებისა და შენახვის ვალდებულება, როგორც პატიმრის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებისა; პენიტენციურ სამსახურს დაეკისრა ბრალდებულთათვის არანაკლებ 4 კვ.მ.-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება.[355]

სახალხო დამცველი, დამატებით, წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას,[356] რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2023 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედ პატიმრობის კოდექსში არსებული ჩანაწერების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პროკურორს შესაძლებლობას აძლევდა

---

[351] იგულისხმება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2023 წლის 15 დეკემბერს შესული №4031-XIIIმს-Xმპ ცვლილებები, რომლის მიზანი იყო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის №2/8/1444 გადაწყვეტილების აღსრულება.

[352] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 135-137. აგრეთვე, ფარული მიყურადების კანონმდებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის №1231 სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ გამოაქვს გადაწყვეტილება მიუხედავად იმისა, რომ არსებითი განხილვა 2018 წლის დასაწყისში დასრულდა. დეტალურად იხ. სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 112-115.

[353] იმ წინადადებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც არ გაუზიარებიათ, იხ. წინამდებარე თავის ქვეთავში: გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში.

[354] სახალხო დამცველის განცხადება ახალი პენიტენციური კოდექსის თაობაზე, 2023. < https://shorturl.at/itzIX > [26.02.2024].

[355] სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

[356] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის №2/8/1444 გადაწყვეტილება.

შაბლონურად დაესაბუთებინა ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა. ამასთანავე, კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებდა ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვისას დასაბუთების ვალდებულებას და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის სავალდებულო პერიოდული გადასინჯვის მექანიზმს. სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები და განისაზღვრა ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის ან/და ხანგრძლივი პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მისი გასაჩივრების და გადასინჯვის წესი.[357] სამწუხაროდ, პრობლემურად უნდა შეფასდეს ახალი კანონის ის ნაწილი, რომელიც პროკურორს/გამომძიებელს ნებას რთავს, 2-თვიანი ვადით იმდენჯერ შეუზღუდოს პატიმარს უფლებები, რამდენჯერაც იარსებებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. [358]

წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემდეგი საკითხები: გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში; პოლიციის თანამშრომელთა უკანონო ფოტოგადაღებისა და ვიდეომონიტორინგის ფაქტები.

6.2.გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში

სახალხო დამცველი მიესალმება ახალ პენიტენციურ კოდექსში შემოთავაზებულ სიახლეებს, რომლებიც წინამდებარე თავის შესავალში მოკლედ მიმოვიხილეთ.

ამ დადებითი ცვლილებების მიუხედავად, **საკანონმდებლო დონეზე გარე სამყაროსთან პატიმრების კონტაქტის უფლების რეალიზების კუთხით კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რჩება.** კერძოდ:

- არ გაუქმებულა დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის არ გაზრდილა პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა;
- გამოვლინდა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების შემთხვევა. წინა კოდექსისგან განსხვავებით, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ეზღუდება ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლება;[359]

---

[357] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[2] მუხლი.

[358] ამ საკანონმდებლო ცვლილების დეტალური განხილვა იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[359] სახალხო დამცველის განცხადება ახალი პენიტენციური კოდექსის თაობაზე, სახალხო დამცველის განცხადება, 2023. < https://shorturl.at/itzIX > [26.02.2024].

- არ გაუქმებულა დისციპლინური სახდელის სახით პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- არ არის განსაზღვრული პატიმრების დისციპლინური დარღვევის სახეები (ნაკლებად მძიმე დარღვევა, მძიმე დარღვევა და განსაკუთრებით მძიმე დარღვევა) და დარღვევის თითოეული სახის მიმართ შესაბამისი სახდელები (სახდელის სიმკაცრის გრადაცია);
- პროკურორებს/გამომძიებლებს კვლავ რჩებათ შესაძლებლობა, რომ ბრალდებულებს შეუზღუდონ სატელეფონო საუბრის უფლება, რაც, მათ შორის, ადვოკატთან კომუნიკაციის შემთხვევებზეც ვრცელდება;
- უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის არ გაზრდილა ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა;
- უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა არ შემცირებულა;
- ბრალდებულებს კვლავ არ აქვთ ვიდეოპაემნის უფლება; გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ბრალდებულს ჰქონდეს ეს უფლება და რა რისკს ქმნის ასეთი უფლების ქონა მაშინ, როდესაც აქვს, ერთი მხრივ, გარე სამყაროსთან კონტაქტის სხვა საშუალებები, როგორიცაა სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის[360] უფლება, ხოლო თვით ვიდეოპაემანი მიმდინარეობს რისკების გამომრიცხავი სპეციალური წესით.

  - **კვლავ შესაძლებელია, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს 9 თვეზე მეტი ხნით შეეზღუდოთ გარე სამყაროსთან კომუნიკაცია.[361]**

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებდა ბრალდებულისთვის პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო ზარის უფლების შეზღუდვის სამართლებრივ ურთიერთობას.[362] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლებიც დადებითად უნდა შეფასდეს შემდეგ გარემოებათა გამო: თუკი აქამდე არ არსებობდა მსგავს საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, ამჟამინდელი საკანონმდებლო ნორმებით ეს უკვე შესაძლებელი გახდა, ამდენად, საკითხის განმხილველ ორგანოდ მიუკერძოებელი და ნეიტრალური სუბიექტი - სასამართლო შეირჩა ამასთანავე, მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ უფლების შეზღუდვის ვადა არ არის განუსაზღვრელი, არამედ დადგენილია მაქსიმალური 2-თვიანი ვადა. მისი გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში,

[360] ბრალდებულები ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას მხოლოდ 2025 წლის 1 იანვრიდან შეძლებენ.

[361] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[362] საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის №2/8/1444 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პროკურორს/გამომძიებელს ხელახლა მოუწევს დასაბუთებული დადგენილების მიღება უფლებების შესაზღუდად. მიუხედავად ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯისა, პრობლემურად უნდა შეფასდეს ახალი კანონის ის ნაწილი, რომელიც პროკურორს/გამომძიებელს ნებას რთავს, 2-თვიანი ვადით იმდენჯერ შეუზღუდოს პატიმარს უფლებები, რამდენჯერაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი იარსებებს.[363]

კანონპროექტმა არ გაითვალისწინა დიფერენცირებული მოპყრობის შესაძლებლობა იმ ბრალდებულთა მიმართ, რომელთაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელად აქვთ განსაზღვრული ვადიანი ან უვადო თავისუფლების აღკვეთა და იმ ბრალდებულთა მიმართ, რომელთაც ამგვარი სასჯელი არ აქვთ. კონკრეტულად, პირველ შემთხვევაში, პროკურორს/გამომძიებელს, შეუძლია გამოსცეს დადგენილება და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის მაქსიმალური 2-თვიანი ვადა გაახანგრძლივოს იმდენჯერ, რამდენჯერაც ამის სამართლებრივ საფუძველს დაასაბუთებს და საერთო ჯამში გადააჭარბოს 9 თვეს. თუმცა, მეორე შემთხვევაში, გამომძიებელი/პროკურორი შემოფარგლულია 9-თვიანი მაქსიმალური ვადით, მიუხედავად იმისა, ამ ვადის ამოწურვის შემდგომ იარსებებს თუ არა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით შემოღებული რომელიმე საფუძველი, რადგან 9-თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დაუშვებელია გაგრძელდეს წინასწარი პატიმრობა და ბრალდებულმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს პენიტენციური დაწესებულება.

პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდებულს ისედაც ფრაგმენტულად აქვს შენარჩუნებული სოციალიზაციასთან დაკავშირებული უფლებები, მსგავსი განუსაზღვრელი ვადით გარე სამყაროსთან კავშირის შეზღუდვა გაუმართლებელია, მით უფრო იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სასამართლოებში საქმის განხილვა რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, თვეობით და ზოგჯერ წლობითაც გაგრძელდეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობა ცხადად განსაზღვრავდეს მსგავსი შეზღუდვის მაქსიმალურ ვადას, რათა გამოირიცხოს განსხვავებული მოპყრობა ბრალდებულის სტატუსის მატარებელ პირთა ორ ჯგუფის მიმართ. სახალხო დამცველის აპარატი კვლავაც აქტიურად დააკვირდება კანონმდებლობის აღსრულების პროცესს, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული პატიმრების უფლებები და მათ შორის, გარესამყაროსთან და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლება.

კანონმდებლობაში არსებული პრობლემური ჩანაწერების მიღმა, პრაქტიკაშიც, საანგარიშო პერიოდში გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით მნიშვნელოვანი ხელშემშლელი გარემოებები შენარჩუნდა, რასაც ქვემოთ დეტალურად მიმოვიხილავთ:

- **ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის პრობლემები;**

[363] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 165[2], ნაწ. 3.

საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში,[364] ხანმოკლე პაემნები მინის ბარიერის მიღმა, ტელეფონების მეშვეობით მიმდინარეობდა და პატიმრებს არ ეძლეოდათ თავიანთ ახლობლებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა.

- **სატელეფონო საუბარი არაკონფიდენციალურ გარემოში;**

პენიტენციურ სისტემაში, დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, კვლავ პრობლემად რჩება სატელეფონო საუბარი კონფიდენციალურ გარემოში. დაწესებულებების ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ტელეფონის აპარატები განთავსებულია ან სამორიგეოში, ან კაბინაში, რომელსაც არ აქვს ხმის იზოლაცია და პატიმრების საუბარი კაბინის გარეთაც ისმის.

- **საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახთან დაკავშირების სირთულე;**

სახალხო დამცველის რეკომენდაციის[365] მიუხედავად, არ გაუქმებულა საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისთვის საერთაშორისო ზარის განხორციელება არ არის შესაძლებელი ყოველდღიურად, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით. გარდა ამისა, პატიმრები ვერ ახორციელებენ საერთაშორისო ზარებს შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად.

- **ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურის არარსებობა;**

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად,[366] საანგარიშო პერიოდში, ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურა არ მოწყობილა იმ დაწესებულებებში, სადაც იმჟამად მოქმედი პატიმრობის კოდექსის თანახმად ვიდეოპაემნის განხორციელება დასაშვები იყო (№2, №3, №6, №12 და №18 დაწესებულებები).[367] ვინაიდან ახალი პენიტენციური კოდექსით ვიდეოპაემნის უფლება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებსაც მიენიჭათ, მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მოკლე ვადაში აღიჭურვოს ყველა პენიტენციური დაწესებულება ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურით, რათა პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ მათთვის კანონით[368] გარანტირებული უფლებით.

- **ვიდეოპაემნის მხოლოდ საქართველოს ფარგლებში განხორციელების შესაძლებლობა;**

---

[364] გარდა №11 (არასრულწლოვანთა) და №16 (დაბალი რისკის) დაწესებულებებისა.
[365] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 107-108.
[366] იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 86 და 90.
[367] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2023 წლის 26 იანვრის №21431/01 წერილის თანახმად, ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით, სარემონტო სამუშაოები 2022 წელს ჩატარდა №10 პენიტენციურ დაწესებულებაში და კანონმდებლობის გათვალისწინებით, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში (სადაც არ არის მოწყობილი ვიდეოპაემნები) ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (საჭიროების შემთხვევაში) სარემონტო სამუშაოები ჩატარდება 2023 წელს.
[368] პენიტენციური კოდექსის 123-ე მუხლი.

უცხოელი პატიმრები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე, საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულები, ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის გამო, ვერც ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობენ და ვერც ვიდეოპაემნით. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს ვიდეოპაემნების იმგვარად რეგულირების აუცილებლობაზე, რომლის საშუალებითაც ვიდეოზარის განსახორციელებლად საჭირო აღარ გახდება პატიმრის ოჯახის წევრის დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში გამოცხადება.[369]

- **პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევა;**

სახალხო დამცველს, ამ საანგარიშო პერიოდშიც არაერთმა მსჯავრდებულმა მომართა ამა თუ იმ პენიტენციური დაწესებულებიდან კორესპონდენციის გაგზავნის შეზღუდვის ფაქტებზე მითითებით. შესწავლილი საქმეებიდან გამოიკვეთა, რომ პატიმრების წერილები არ იგზავნებოდა ადრესატებთან, მეტიც, გამოვლინდა უცხო/დაუდგენელი პირის ხელში წერილის მოხვედრის ფაქტი. შესწავლის შედეგად, ერთ-ერთ საქმეზე, დადგა პენიტენციურ დაწესებულებათა თანამშრომლების დისციპლინური პასუხისმგებლობა.[370]

- **მსჯავრდებულების ოჯახის წევრებისგან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსება;**

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი საქმე,[371] რომლებშიც მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების (ახლო ნათესავები) საცხოვრებელი ადგილია აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ესა თუ ის მუნიციპალიტეტი და ვინაიდან განთავსებულნი იყვნენ №2 პენიტენციურ დაწესებულებაში (ქუთაისი),შესაბამისი ტიპის (რისკის) აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში ითხოვდნენ გადაყვანას. ტერიტორიული სიშორე, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით (მშობელთა ხანდაზმული ასაკი, მცირეწლოვანი შვილები, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის პრობლემები, მატერიალური მდგომარეობა და სხვ.), მნიშვნელოვანი გამოწვევაა. შედეგად, მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით. შესწავლილი საქმეების ანალიზიდანაც ჩანს, რომ ლეგიტიმურ საფუძველს მოკლებულია პენიტენციური სამსახურის გადაწყვეტილებები, ინდივიდუალურ შემთხვევებში, უსაფრთხოების ან გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით, მსჯავრდებულები განათავსონ მათი ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილებიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში. კერძოდ, უსაფრთხოების დაცვის კონტექსტში, საგულისხმოა, რომ №2 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, №10 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსების და

[369]იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 108.

[370] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[371] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

გადაადგილების პირობები. რაც შეეხება გადატვირთულობის თავიდან არიდების საკითხს, №8 პენიტენციური დაწესებულების შემთხვევაში ეს არგუმენტი უმეტესწილად მისაღებია, თუმცა №10 დაწესებულებაში გადატვირთულობის რისკი არ ყოფილა. №10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო 399 პატიმარი, მაშინ როდესაც, დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 ბრალდებული/მსჯავრდებული.[372]

- **ფოსტის მეშვეობით ამანათის მიღების უფლების შეზღუდვა.[373]**

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შევიდა ცვლილება და დაწესდა ამანათის მიღების ლიმიტი, კერძოდ, ამანათის მიღება პატიმრებს მხოლოდ თვეში ორჯერ შეეძლებათ. ასევე აიკრძალა საფოსტო ამანათის (გარდა ფოტოსურათებისა) მიღება. კანონმდებლობის თანახმად, პატიმრისთვის ამანათის შეგზავნის უფლება აქვს არა მხოლოდ ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს, არამედ ნებისმიერ პირს. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ ოჯახის წევრებისგან დამოუკიდებლად, მეგობარმა თუ ახლობელმა მოისურვონ პატიმრის დახმარება, ამანათის მიღების ლიმიტი კი ამოწურული იყოს, ან პატიმარი ელოდებოდეს ოჯახის წევრის ამანათს და იძულებული გახდეს, დაწესებული ლიმიტის გამო, უარი თქვას ამანათის მიღებაზე. შესაბამისად, გაუარესდა პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა, განსაკუთრებით კი იმ პატიმრებისა, რომლებიც ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების საცხოვრებელი სახლიდან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში იხდიან სასჯელს, რადგან ისინი ამანათს ხშირად ფოსტის მეშვეობით იღებდნენ. ახალმა რეგულაციებმა რთულ პირობებში ჩააყენა უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც, რომელთათვისაც ამანათის მიღების ერთადერთი გზა საფოსტო გზავნილი იყო.

ამასთანავე, გზავნილების შეზღუდვა შეეხო პატიმრებისთვის საკვების შეტანის შესაძლებლობასაც. მიუხედავად იმისა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არის მაღაზია, სადაც შესაძლებელია როგორც საკვები პროდუქტის, ისე პირველადი მოხმარების ნივთების შეძენა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომსახურე კომპანიის მიერ შეთავაზებული საკვები პროდუქტის საბაზრო ფასის გადახდის ფინანსური შესაძლებლობა ყველა პატიმარს არ აქვს. ხოლო დებულებაში შეტანილი ცვლილებების გამო, ოჯახი ან ახლობლები მათ საკვები პროდუქტით ვეღარ დაეხმარებიან.

სახალხო დამცველის აპარატი უარყოფითად აფასებს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეტანილ ცვლილებებს ამანათის მიღების წესის შეცვლისა და საფოსტო ამანათის აკრძალვის შესახებ, ვინაიდან, ის აუარესებს პატიმართა უფლებრივ მდგომარეობას და ფაქტობრივად, მათ ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების დახმარების გარეშე ტოვებს.

---

[372] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანების პირველი მუხლის „ზ[1]" ქვეპუნქტი.

[373] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

6.3.გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში

„ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ექიმი უფლებამოსილია უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით, რომლებიც მათ შორის, უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელოვან ასპექტებს.[374] პაციენტებს კვლავ თვითნებურად აქვთ შეზღუდული ტელეფონით სარგებლობის უფლება. მათ მხოლოდ ექიმისა და დამხმარე პერსონალის ნებართვისა და კეთილგანწყობის შემთხვევაში შეუძლიათ ისარგებლონ ტელეფონზე დარეკვის შესაძლებლობით.

დამატებით, პაციენტებს, კვლავ არ აქვთ სტაციონარიდან გაწერის გარეშე, სტაციონარის ხანმოკლე ვადით დატოვების შესაძლებლობა, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

კვლავ შენარჩუნებულია ამანათების მიღების პრობლემა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (ყოფილ. აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი). ამგვარი შეზღუდვა ვრცელდება სამოქალაქო განყოფილებაში ნებაყოფლობით მოთავსებული პაციენტების მიმართაც, რომელთაც ისედაც უნდა შეეძლოთ დაწესებულების ხანმოკლე დროით დატოვება და მათთვის სასურველ ადგილას, მათთვის სასურველი პროდუქტების შეძენა. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ჯანდაცვის სამინისტროს მიაწოდა ინფორმაცია შეფერხების აღმოფხვრის შესახებ,[375] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია.

სახალხო დამცველი მიესალმება ჯანდაცვის სამინისტროს ნაბიჯს, რომლის შედეგადაც, განახლდა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების პირობები. განახლებული პირობებით: დაწესებულებას მოეთხოვება პაციენტთან შეხვედრების სივრცის/ოთახის ქონა, სადაც დაცული უნდა იქნეს პაციენტის პრივატულობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპები.[376] თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავ არის ფსიქიატრიული დაწესებულებები,[377] სადაც პაციენტების მნახველების მისაღებად არ არის ხელმისაწვდომი

---

[374] ექიმს შეუძლია შეუზღუდოს ისეთი უფლებები, როგორიცაა: მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია თავისი დაავადების და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ; გაეცნოს მის შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას; უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე; მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში; მიიღოს და გაგზავნოს წერილი, გზავნილი შემოწმების გარეშე; სტაციონარის შინაგანაწესის თანახმად, ისარგებლოს ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვა უფლებები.

[375] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 22 თებერვლის წერილი №MOH 6 24 00212807.

[376] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 22 თებერვლის წერილი №MOH 6 24 00212807.

[377] ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი; ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი. შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ეროვნული ცენტრის

სათანადო ინფრასტრუქტურა. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშნელოვანია, რომ ყველა დაწესებულებაში მყოფ პაციენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პირისპირ და კონფიდენციალურ გარემოში შეხვდნენ ოჯახის წევრებს და მეგობრებს.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა თავშესაფრებისა და ალტერნატიული საცხოვრისების მონიტორინგის შედეგად პრობლემები გამოკვეთა ბენეფიციართა გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით. აღმოჩნდა, რომ მათ არ აქვთ, ან ჩამორთმეული აქვთ მობილური ტელეფონები, ხოლო დამხმარე პერსონალის სამუშაო ტელეფონის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ პერიოდულად ეძლევათ. დაწესებულებებში არიან ბენეფიციარები, რომლებიც ოჯახის წევრებს ვერ უკავშირდებიან, რადგან არ აქვთ მათი ტელეფონის ნომრები და მათ მოძიებაშიც არავინ ეხმარება. გარდა ამისა, ხელმისაწვდომი არ არის ინტერნეტი, რაც ხელს შეუწყობდა როგორც ბენეფიციარების გარე სამყაროსთან კონტაქტის გაუმჯობესებას, ისე მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას.[378]

6.4.გარე სამყაროსთან კონტაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთათვის გამოყოფილ დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი პირებისთვის ხელმისაწვდომია ტელეფონი და ინტერნეტი, ასევე შეუძლიათ მიიღონ მნახველი და ამანათი.[379] მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, მათ გარკვეული შეზღუდვები აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით. კერძოდ, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით სარგებლობა კვლავ დღეში ორჯერ, თითო საათით არის შესაძლებელი. სახალხო დამცველი, წლებია, გასცემს რეკომენდაციას, რომ იმ ფონზე, როდესაც ცენტრში მოთავსებულ პირებს არ შეეთავაზებათ ორგანიზებული აქტივობები და ისინი მოკლებულნი არიან ოჯახთან ხშირი კონტაქტის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ცენტრში დღის განმავლობაში კომპიუტერით სარგებლობის დრო.[380] ამასთანავე, ცენტრში ვიზიტორის მიღება შეიძლება სამშაბათს და პარასკევს - 10:00 – 13:00 საათამდე და მხოლოდ 20 წუთით, რაც შორი მანძილიდან და იშვიათად მოსულ მნახველთან შეხვედრისთვის გაუმართლებელი შეზღუდვაა.[381]

6.5.პოლიციის მიერ უკანონო ფოტოგადაღებისა და ვიდეომონიტორინგის ფაქტები[382]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, სადაც დადასტურდა პოლიციის თანამშრომლის მიერ მოქალაქის უკანონო ფოტოგადაღების

გენერალური დირექტორის 2024 წლის 6 თებერვლის №100039542400142456 და 24 იანვრის №1000395 5 24 00080960 წერილები.

[378] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

[379] ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 6 საათამდე ყველას აქვს შესაძლებლობა უფასოდ დარეკოს 4 წუთის ხანგრძლივობით, ნებისმიერ ქვეყანაში.

[380] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2020 წლის 6-16 ოქტომბრის კოსოვოში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2021) 23 პ.46. ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/1680a3ea32 > [ბოლოს ნანახია: 12.04.2024].

[381] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2021 წლის ლიეტუვაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2023)01 პარა. 147. ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/1680aa51af > [ბოლოს ნანახია: 12.04.2024].

[382] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

ფაქტი. პოლიციის მიერ, 2023 წლის 3 ივნისს, ბათუმში, ევროპის მოედანზე გამართულ საპროტესტო აქციაზე დაკავებული ერთ-ერთი პირი აცხადებდა, რომ მას პოლიციელმა უკანონოდ გადაუღო ფოტო. სახალხო დამცველის აპარატმა ამ ინფორმაციაზე რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.[383] სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დადასტურდა პოლიციის თანამშრომლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა - თვითნებურად ფოტოგადაღების ფაქტი.[384]

დამატებით, ერთ-ერთი საქმის შესწავლისას, როდესაც მოქალაქე პოლიციის მხრიდან უკანონო ფოტოგადაღების ფაქტზე მიუთითებდა, რეაგირებისთვის მივმართეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ინსპექტორის აპარატმა შემოწმების დროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილების ადმინისტრაციული შენობის გარე პერიმეტრზე გამოავლინა კანონდარღვევით მიმდინარე ვიდეომონიტორინგი (ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობდა შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე).[385] ამ საქმეზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო.[386]

მოქალაქეთა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისა და პატივისცემის მიზნით, უმნიშვნელოვანესია, ერთი მხრივ, აღიკვეთოს უკანონო ფოტოგადაღების ფაქტები, ხოლო, მეორე მხრივ, საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ინფორმირება ვიდეომონიტორინგის შესახებ.

6.6.ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გაცნობის წესი[387]

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ასეთი საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალებისა და განადგურების შესახებ ინფორმაციის წერილობით მიწოდების ვალდებულებას იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა ასეთი საგამოძიებო მოქმედება, ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.[388] თუმცა, სახალხო დამცველის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ნორმების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ცალსახად არ დგინდება, რა იგულისხმება წერილობითი გაცნობის უფლებაში. კერძოდ, აუცილებელია თუ არა მოქალაქეს გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება, თუ საკმარისია, წერილობით დოკუმენტს უშუალოდ პროკურატურაში გაეცნოს

- ამავე დროს, იგულისხმება თუ არა, რომ მოქალაქეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გაეცნოს მის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მასალებს (მაგ., ე.წ. კრებსები), თუ წერილობით მხოლოდ ის უნდა

[383] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 14 ივნისის №15-15/5647 წერილი.
[384] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 6 ოქტომბრის №MIA 8 23 02923156 და 28 ოქტომბრის №MIA 2 23 03159897 წერილები.
[385] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მერვე პუნქტი.
[386] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის 27 მარტის №PDPS 2 23 00002068 წერილი.
[387] აღნიშნულ ქვეთავში მოცემული ინფორმაცია დეტალურად იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[388] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^9, ნაწ. 3.

ეცნობოს, რომ მის მიმართ დროის კონკრეტულ მონაკვეთში კონკრეტული ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდებოდა

- ასევე ბუნდოვანია ის საკითხი, უნდა გაეცნოს თუ არა მოქალაქეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ის ინფორმაცია, რომელიც არ არის კონკრეტული გამოძიებისთვის საინტერესო და სავალდებულოა მისი განადგურება. კერძოდ, არ არის ცხადი, ასეთი ინფორმაცია უნდა განადგურდეს თუ არა მას შემდეგ, რაც მასალებს გაეცნობა მოქალაქე. თუ საკმარისია მოქალაქეს ეცნობოს მხოლოდ ის, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ასევე მოპოვებულ იქნა გამოძიებისთვის არარელევანტური შინაარსის ინფორმაცია, რომელიც უკვე განადგურდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ განხილული ნორმის შესრულების მიზნით, გენერალურმა პროკურორმა დაამტკიცა 2022 წლის 4 ნოემბრის №211-გ ბრძანება, რომლითაც პროკურორებს დაევალათ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადაში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და ამ მასალის განადგურების შესახებ წერილობით შეტყობინება იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. ზემოაღნიშნული ბრძანების შესწავლის მიზნით, აპარატმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, წარმოედგინათ მითითებული ბრძანება. თუმცა, გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 ნოემბრის №211-გ ბრძანება აპარატისთვის არ მოუწოდებიათ, შიდა უწყებრივ დანიშნულებაზე მითითებით.[389] ამის გამო სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სუბიექტისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებების რეალიზების საკითხი. დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ წერილობით აცნობა 1352 პირს.[390]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და განისაზღვროს ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის ან/და ხანგრძლივი პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ დადგენილების გახანგრძლივების მაქსიმალური 9 თვიანი ზედა ზღვარი;
- დაიწყოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების რეფორმის გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი, რომლის შედეგადაც გადაიხედება:
    - იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა გამოსაძიებლადაც დაშვებულია ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება;

[389] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 მარტის №13/18306 წერილი.
[390] იქვე.

    - ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა ჩატარების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი;
    - ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი.
- შევიდეს ცვლილებები პენიტენციურ კოდექსში და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს, მათ შორის, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, გაეზარდოთ პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა;
- შევიდეს ცვლილებები პენიტენციურ კოდექსში და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და მსჯავრდებულებს, რომელთა ოჯახის წევრებიც საზღვარგარეთ ცხოვრების გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის საშუალება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და ბრალდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა ოჯახიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, უცხოელი პატიმრებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, შეიქმნას საერთაშორისო ზარების განხორციელების შესაძლებლობა შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად;
- გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით;
- გადაიხედოს ვიდეოპაემნის ჩატარების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით, შესაძლებელი გახდეს ვიდეოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება, ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომელიც გაამარტივებს ვიდეოპაემნების ჩატარებას;
- №2, №3, №6, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღიჭურვოს ვიდეოპაემნის ორგანიზებისთვის აუცილებელი ინფრასტუქტურით;

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების პერიოდში პატიმარს მიეცეს სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა:
  ა) სისტემური შემოწმების გზით გამოავლინოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტები;
  ბ) გამოვლენილი დარღვევების შესახებ აწარმოოს სტატისტიკა;
  გ) დაეკისროთ პასუხისმგებლობა პატიმრების მიმოწერის უფლების შელახვაში დამნაშავე პირებს;
- დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრების სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურ გარემოში მიმდინარეობას;
- ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც:
  ა) დადასტურებული იქნება ბეჭდით; და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია:
  ბ) წერილის ავტორის სახელი და გვარი;
  გ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი;
  დ) წერილის ჩაბარების თარიღი;
  ე) წერილის ადრესატი;
  ვ) ფურცლების რაოდენობა.
  ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს.
- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე ყველა იმ პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ასეთი შესაძლებლობა არ არის;
- უზრუნველყოს პატიმართა განთავსება ოჯახებთან ტერიტორიულად ახლოს მდებარე დაწესებულებებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა;
- მიიღოს ზომები, რათა ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოეწყოს პაციენტის და მასთან მისული პირის შეხვედრისთვის კონფიდენციალური სივრცე;
- გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობის მიზნით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში, ასევე, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, უზრუნველყოს პაციენტების/ბენეფიციარების მხრიდან ტელეფონებით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში კომპიუტერების რაოდენობის გაზრდით უზრუნველყოს დღის განმავლობაში ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობა;
- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი პირებისთვის უზრუნველყოს სამუშაო საათებში მნახველების შეუზღუდავად მიღების შესაძლებლობა და გაზარდოს შეხვედრის დრო მინიმუმ ერთ საათამდე.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- გასაჯაროვდეს გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 ნოემბრის №211-გ ბრძანების ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფარული საგამოძიებო მოქმედების ადრესატისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გაცნობის პროცედურას ან დარეგულირდეს ხსენებული პროცედურა ახალი საჯარო ნორმატიული აქტით.

7. გამოხატვის თავისუფლება

7.1.შესავალი

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე", 2023 წელს გამოქვეყნებული მონაცემების[391] მიხედვით, პრესის თავისუფლების მაჩვენებლით[392] საქართველომ 89-ე ადგილიდან 77-ზე გადაინაცვლა. თუმცა, საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 2019-2020 წლების ინდექსით, 180 ქვეყანას შორის საქართველო მე-60 ადგილს იკავებდა.[393] უფლებადამცველი ორგანიზაციის, Freedom House-ის ანგარიშის მიხედვით კი, საქართველოს დამოუკიდებელი მედიის მაჩვენებელი შემცირდა.[394]

2022-2023 წლებში, **საკანონმდებლო მიდგომა მედიის რეგულირების მოდელის** თვალსაზრისით, რამდენჯერმე შეიცვალა. 2022 წლის ბოლოს, სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ დარღვევებზე რეაგირება მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს ნაცვლად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაექვემდებარა.[395] თუმცა 2023 წლის ივნისში სიძულვილის ენა კვლავ თვითრეგულირების სფეროში დაბრუნდა.[396] საკანონმდებლო ორგანომ მოკლე დროში კვლავ შეიტანა ცვლილება კანონში[397] და მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილების ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გასაჩივრების შესაძლებლობა დაადგინა. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგ სახალხო დამცველი განაგრძობს კომისიის საქმიანობაზე ზედამხედველობას, იმის შესაფასებლად, ხომ არ შეზღუდავს იგი გამოხატვის თავისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად** მიიღო[398] სახალხო დამცველის 2022 წლის სარჩელი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის[399] იმ ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც არასათანადოდ მიიჩნევს მაუწყებლის მიერ

---

[391] იხ. ბმული: <https://rsf.org/en/country/georgia>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[392] 59.30 ქულიდან 61.69-მდე გაიზარდა.

[393] იხ. წლების მიხედვით მონაცემები: <https://civil.ge/ka/archives/414523>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[394] 3.50-დან 3.25-მდე დაიწია, იხ. ბმული: <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[395] იხ. საქართველოს კანონში, „მაუწყებლობის შესახებ", შესული ცვლილებები, 22.12.2023, ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5649707?publication=1#DOCUMENT:1>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024]. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, 149, 154.

[396] იხ. საქართველოს კანონში, „მაუწყებლობის შესახებ", შესული ცვლილებები, 30.06.2023, ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5847958?publication=0#DOCUMENT:1>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[397] იხ. საქართველოს კანონში, „მაუწყებლობის შესახებ", შესული ცვლილებები, 19.10.2023, ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5945583?publication=0#DOCUMENT:1>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[398] იხ. სარჩელი სრულად: <http://bit.ly/40JBG8v>, ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2022, გვ. 371; იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 14 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი №1/7/1753.

[399] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

წინასაარჩევნო პერიოდის მიღმა წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსებას და ადგენს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მისი გავრცელებისთვის.

7.2.ჟურნალისტების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები

საანგარიშო წელს, სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, ევროპის საბჭოს ექსპერტმა, ჟურნალისტების დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა მოამზადა. დოკუმენტში ასევე გაანალიზებულია საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკის შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან.[400]

კვლევის შედეგები არაერთი მიმართულებით ავლენს გამოწვევებს, რომლებიც ხელს უშლის ჟურნალისტების უსაფრთხო გარემოში საქმიანობას და რომლებიც უშუალოდ ეხმიანება წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილ პრობლემებს.[401] ამის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი იზიარებს მიმოხილვის მიგნებებს და აუცილებლად მიიჩნევს **საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ დონეზე. მედიის თავისუფლებისა და უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანი იქნება პროცესებში მედიის წარმომადგენლების ჩართულობა.**

ექსპერტის მომზადებული დოკუმენტი შემდეგ 4 მიმართულებას მიმოიხილავს: **ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა; სამართალდამცავი ორგანოს შესაძლებლობები ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით; ჟურნალისტების უსაფრთხოება შეკრებების დროს; მედიის შესაძლებლობები და ცოდნა უსაფრთხოების საკითხების თაობაზე მისი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.** თითოეულ თემასთან დაკავშირებით დოკუმენტი გვთავაზობს როგორც საქართველოს გამოცდილებას,

---

[400] ევროპის საბჭომ პროექტის, „მედიის თავისუფლების, ინტერნეტ-მმართველობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება საქართველოში", ფარგლებში, მოამზადა დოკუმენტი „ჟურნალისტების დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა", კვლევის ავტორი ექსპერტი პიტერ ნურლანდერი, 2023; მომზადებული დოკუმენტის განხილვის მიზნით მრგვალი მაგიდაც ჩატარდა იხ. ბმული: <https://shorturl.at/prFRU> [4/03/2024].
კვლევა იხ. სრულად: < https://rm.coe.int/georgia-tp-review-of-soj-june2023-eng-2779-4462-8232-3/1680ac9348 > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[401] საქართველოს სახალხო დამცველი არაერთი წელია უთითებს მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების თაობაზე სრულყოფილი სტატისტიკის საჭიროებაზე, ასევე, ჟურნალისტების უსაფრთხოების კუთხით არსებულ პრობლემებზე, გამოძიების ფარგლებში არსებულ გამოწვევებზე; შეკრებების დროს ჟურნალისტების დაცვის სტანდარტებზე, მათ შორის, „მაიდენტიფიცირებელი ნიშნის" მოთხოვნის პრობლემაზე, შეკრებების დროს ჟურნალისტების საქმიანობასთან, პოლიციისა და ჟურნალისტების თანამშრომლობასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო სტანდარტების შემუშავებისა და შესაბამისი ფორმატის შექმნის საჭიროებაზე. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები ბმულზე: <https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi > [ბოლოს ნანახია 29/04/2024]; 2018 წლის ანგარიში, გვ: 155-156; 2019 წლის ანგარიში, გვ: 224, 234; 2020 წლის ანგარიში, გვ: 233-239; 2021 წლის ანგარიში, გვ: 172-177; 2022 წლის ანგარიში, გვ: 149-152. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)", გვ: 32-34, 63-64, იხ. ბმული: <https://shorturl.at/fgmv8>, [4/03/2024].

ისე საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვას. ამდენად, თავად ეს დოკუმენტი კარგი შესაძლებლობაა გამოწვევების დასაძლევად საუკეთესო მექანიზმების შესაქმნელად.[402]

მიმოხილვის მიგნებების გათვალისწინებით, რამდენიმე საკითხი უნდა აღინიშნოს. კერძოდ, კვლევაში საგანგებოდ არის მითითებული მაღალი დონის არჩეული **პოლიტიკოსების მიერ, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე,** მედიის წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და სიძულვილის დაგმობის საჭიროებაზე, ასევე, იმაზე, რომ თავადაც **თავი უნდა შეიკავონ** მედიის საწინააღმდეგო რიტორიკისგან.[403]

კვლევის თანახმად,[404] მიუხედავად იმისა, რომ **ბოლო წლებში გაიზარდა ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და ძალადობის მუქარის შემთხვევები, არის სერიოზული ხარვეზები ამ დანაშაულების გამოძიებისა და დევნის კუთხით.** იმ საქმეებშიც კი, რომლებშიც ხდება სასჯელის შეფარდება, ხშირად გამოყენებულია მსუბუქი სასჯელი. უნდა ჩატარდეს **მოკვლევა ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ხარისხთან** დაკავშირებით და შემუშავდეს კონკრეტული და დეტალური ინსტრუქციები ყველა სამართალდამცავი ორგანოსთვის ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის შემთხვევების გამოსაძიებლად.

გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით, მთავარი სამართლებრივი ინსტრუმენტია **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი.** კვლევა სრულად აანალიზებს[405] მის ნაკლოვანებებს და ჟურნალისტების მიმართ ძალადობის საქმეების უკეთ გამოძიებისა და დევნის გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტი საჭიროდ მიიჩნევს მის ახლებურად ჩამოყალიბებას. მუხლმა უნდა მოიცვას ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ძალადობის ან მუქარის ყველა შემთხვევა, რომლებიც დაკავშირებულია ჟურნალისტურ საქმიანობასთან. ასევე, საჭიროა გაიზარდოს სასჯელი, რათა აისახოს არა მხოლოდ მსხვერპლის ფიზიკური/მატერიალური, არამედ დემოკრატიისთვის მიყენებული ზიანიც. ეს იქნება მკაცრი სიგნალი საზოგადოებისთვის, რომ ჟურნალისტზე თავდასხმა დემოკრატიულ სტანდარტებთან შეუთავსებელია.

ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ძალადობის პრობლემის მასშტაბების აღსაქმელად და სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებელია სტატისტიკის წარმოება.[406] ყოვლისმომცველ სტატისტიკას ამ დროისათვის, საქართველო არ აწარმოებს. **სტატისტიკა უნდა მოიცავდეს** სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს, ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ ძალადობის ან მუქარის ყველა შემთხვევის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ჟურნალისტურ საქმიანობასთან.

---

[402] იხ. კვლევა სრულად: < https://rm.coe.int/georgia-tp-review-of-soj-june2023-eng-2779-4462-8232-3/1680ac9348 >, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].
[403] იქვე, 39.
[404] იქვე, 6.
[405] იქვე, 16-18.
[406] იქვე, 18.

კვლევაში ცალკე თავი[407] ეთმობა მედიის წარმომადგენლების **უსაფრთხოებას შეკრებების დროს,** ვინაიდან, ყველაზე თვალსაჩინო ინციდენტები, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ჟურნალისტებს, დემონსტრაციების დროს მოხდა. კვლევის თანახმად, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, გაუმართლებელია საკანონმდებლო მოთხოვნა ჟურნალისტების მიერ **საიდენტიფიკაციო ნიშნების** ტარების თაობაზე; ამდენად, ავტორი რეკომენდაციას იძლევა, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანით გაუქმდეს მოთხოვნა ჟურნალისტების მიმართ, საიდენტიფიციკაციო ნიშნების ტარების შესახებ.[408]

ასევე, გამოიკვეთა, რომ მედიასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის **ეფექტიანი კომუნიკაციის ნაკლებობა** არის უზარმაზარი ნაკლი, როგორც ზოგადად უსაფრთხოების საკითხებში, ისე დემონსტრაციების დროს ჟურნალისტების დაცვის თვალსაზრისით.

დოკუმენტი ასევე გვთავაზობს შეფასებას **ტერმინის, „ჟურნალისტი",** თაობაზე. ვინაიდან, ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავს მის განმარტებას, კვლევის თანახმად, ასეთი განმარტების შემთხვევაში, ის უნდა იყოს ფუნქციური და სტატუსის მინიჭება არ უნდა განისაზღვრებოდეს ფორმალური აკრედიტაციით ან დასაქმების ადგილით; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ცნებამ უნდა მოიცვას **ყველა, ვინც რეგულარულად ან პროფესიულად არის ჩართული საზოგადოებისთვის ინფორმაციის მოგროვებასა და გავრცელებაში მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით**.[409]

7.3.მედიის წარმომადგენელთა დაცულობა საანგარიშო წელს

2023 წელს სახალხო დამცველმა მედიის წარმომადგენელთა უსაფრთხოებისა და დაცულობის გამოწვევები შემდეგ შემთხვევებში დააფიქსირა:

საანგარიშო წელს, **2-9 მარტის პერიოდში,** საქართველოს პარლამენტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, შეკრების მონაწილეების მიმართ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად, ჟურნალისტების და მედიის სხვა წარმომადგენლების დაშავებისა თუ მათი საქმიანობის ხელშეშლის შესახებ, არაერთი

[407] იქვე, 32-33.
[408] იქვე, 44.
[409] იქვე, 23, 40.

ინფორმაცია გავრცელდა.[410] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით,[411] სამსახურში დაწყებულია გამოძიება ამ პერიოდში, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ძალადობის შესაძლო გადამეტების ფაქტებზე.[412] საქმეების ფარგლებში, საერთო ჯამში, გამოიკითხა/გაესაუბრნენ მედიასაშუალებების 18 წარმომადგენელს, რომელთაგან 8 პირმა მიუთითა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი ფიზიკური ძალადობის თაობაზე. გამოძიება გრძელდება.

გარდა ამისა, რამდენიმე შემთხვევასთან დაკავშირებით, რომლებიც მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის უკანონო ხელშეშლის სავარაუდო ფაქტებს ეხებოდა, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სახალხო დამცველის აპარატის მიმართვების საპასუხოდ გვაცნობა,[413] რომ გამოძიება არ დაწყებულა რამდენიმე ინციდენტთან დაკავშირებით,[414] ვინაიდან არ გამოკვეთილა დანაშაულის ნიშნები; ორ შემთხვევასთან[415] დაკავშირებით კი, სამსახურს ჯერჯერობით არ მიუღია გადაწყვეტილება.[416]

---

[410] კერძოდ, 2023 წლის 2 მარტს, „On.ge"-ის რედაქტორი, „ნეტგაზეთის" ჟურნალისტი მ.გ. და „ფორმულას" ფოტოჟურნალისტი ვ.ქ. პარლამენტის ეზოდან ფიზიკური ძალის გამოყენებით გააძევეს; მათი განმარტებით, პარლამენტში საქმიანობის საშვები ჰქონდათ, იხ. ბმულები: <https://formulanews.ge/News/86932 >; <bit.ly/3LqBK8K>;
2 მარტს, საქართველოს პარლამენტთან გამართული შეკრების მიმდინარეობისას, სამართალდამცავებმა მედიის ორი წარმომადგენელი - გამოცემა „პუბლიკას" დირექტორი და „ტაბულას" ჟურნალისტი დააკავეს; <https://formulanews.ge/News/86144 >; <bit.ly/400MNtq>[ბოლოს ნანახია 4/03/2024].
2 მარტს დაშავდა აგრეთვე „ტვ პირველის" ოპერატორი ნ.კ. იხ. ბმული: <bit.ly/3n0EkIs >;
მედიის წარმომადგენლები დაშავდნენ და ხელი შეეშალათ საქმიანობაში 7-9 მარტს, პარლამენტთან მიმდინარე შეკრებების მონაწილეების მიმართ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად, იხ. ბმულები: <bit.ly/3lhdo6u>, <bit.ly/3kZ77wk>, <bit.ly/3YQY2DA>, <bit.ly/3J0Zc9H>, <bit.ly/3JB8GtX>, <bit.ly/3J22QA4>

[411] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 27.03.2023, №3 23 00004870 წერილი.

[412] სისხლის სამართლის №199080323001 და №199030323002 საქმეები.

[413] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 17.05.2023, №1 23 00008487, 21.12.2023, №5 23 00023493, №3 23 00013492 28.07.2023 წერილები.

[414] 2023 წლის 5 მაისს, გავრცელდა ინფორმაცია „ტვ მონიტორინგის" ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში შესაძლო ხელშეშლის შესახებ <bit.ly/428Pme3>; 2023 წლის 24 ნოემბერს, ონლაინ მედია „მაუწყებლის" ჟურნალისტის, გ.ა.-ის განმარტებით უკანონოდ შეეშალა ხელი პროფესიულ საქმიანობაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მიმდინარე აქციის გაშუქებისას, <https://www.facebook.com/mautskebeli.ge/videos/1338590096778385/>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024], (მასალები გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას).

[415] „მთავარი არხის" ჟურნალისტის, ბ.ყ.-ს მიმართ შესაძლო მუქარისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევა, კასპში, პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", შეხვედრის გაშუქებისას „მთავარი არხის" ჟურნალისტისთვის, გ.ა., პროფესიულ საქმიანობაში შესაძლო ხელშეშლის ფაქტი <https://rb.gy/gfdlc>, [4/03/2024].

[416] უწყების განმარტებით, ჟურნალისტი ბ.ყ. გასაუბრებაზე არ გამოცხადებულა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, 15.01.2024, №3 24 00000503 წერილი; ხოლო ჟურნალისტმა გ.ა.-მ უარი განაცხადა სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდებაზე და განმარტა, რომ სურვილის შემთხვევაში, მოგვიანებით თავად დაუკავშირდებოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, №3 23 00013492 28.07.2023 წერილი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის განმავლობაში ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე გამოძიება 16 სისხლის სამართლის საქმეზე[417] დაიწყო, გამოძიება 1 საქმეზე[418] შეწყდა, სისხლისსამართლებრივი დევნა 7 საქმეზე წარიმართა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან ასევე გვეცნობა,[419] რომ 2022 წლის განმავლობაში მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით მიმდინარე 7 სისხლის სამართლის საქმიდან[420] 5 საქმეზე[421] მიმდინარეობს გამოძიება და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ამასთანავე, დაზარალებულად ან/და ბრალდებულად ცნობილი არავინ არის.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საგამოძიებო უწყებების სათანადო რეაგირებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ინდივიდუალურ შემთხვევებში კანონის უზენაესობის აღსრულებისთვის, ისე, ზოგადად მედიის წარმომადგენლებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

7.4.პარლამენტში აკრედიტაციის წესი

გარდა მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა, საანგარიშო წელს აქტუალური იყო გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის დამაბრკოლებელი საკითხებიც.

---

[417] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 18.01.2024 N 0 24 00000771 წერილით გამოძიება დაიწყო: ჟურნალისტ ნ.ბ.-ის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199250323001 საქმე); დაიწყო ჟურნალისტ ნ.ქ.-ის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N1990323001 საქმე); "ტვ პირველის" ჟურნალისტ ნ.გ.-ს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199150323003 საქმე); ჟურნალისტ თ.ყ.-ის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199150323001 საქმე); 7-8 მარტს, პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართული საპროტესტო აქციის დროს განვითარებული მოვლენების დროს; ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის ფაქტზე (N19908323001 საქმე); ჟურნალისტ მ.ა-ის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობით უაკნონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199010523001 საქმე); შპს "საინფორმაციო ცენტრების ქსელის რედაქტორ/ჟურნალისტის, გ.მ.-ის ძალადობის მუქარით, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199060723001 საქმე); "მთავარი არხის" ჟურნალისტ ე.გ.-ს და ოპერატორ ნ.გ.-ს მიმართ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტზე (N199201223002 საქმე); "ტვ პირველის" და "ფორმულას" თანამშრომლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N1992200923002 საქმე); ჟურნალისტების, გ.ბ.-ის და ს.ჩ.-ს პროფესოიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199040923001 საქმე); ჟურნალისტ ნ.ჭ,-ის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199040923001 საქმე); ჟურნალისტ ნ.ჭ,-ის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199061023001 საქმე); "ტვ პირველის" ჟურნალისტ ნ.კ.-ს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199201222001 საქმე); "ტელეკომპანია პირველის" ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე (N199190622001 საქმე).

[418] დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო (ნ.ქ.-ს საქმე).

[419] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის SIS 1 24 00002996, 20/02/2024 წერილი.

[420] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის SIS 2 23 00002457, 17/02/2023 წერილი, №199050722006; №199140722003; №199140422002; №199110522002; №199180322001; №199240622002; №199201222001; №199301222001 საქმეები.

[421] №199050722006; №199140722003; №199301222001; №199140422002 და №199110522002 საქმეები.

2023 წელს საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის წესი დამტკიცდა.[422] წესი ითვალისწინებს აკრედიტებული ჟურნალისტის ვალდებულებას, „საქართველოს პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის მიერ ინტერვიუს ჩაწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შეწყვიტოს ინტერვიუ".[423]

ამ წესით დადგენილი ნორმები „ტელეკომპანია პირველმა" სასამართლოში გაასაჩივრა და მისი ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვა,[424] ხოლო სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა.[425] სახალხო დამცველის განმარტებით, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად **„აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში"** ჟურნალისტებისთვის დაწესებული ვალდებულება, შეწყვიტოს ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის მიერ ინტერვიუს ჩაწერაზე უარის თქმის შემთხვევაში. ასევე, სასამართლომ უნდა შეაფასოს სადავო მზღუდავი ღონისძიებების **პროპორციულობის საკითხიც.**

ამგვარი შეფასებების გასაკეთებლად კი, მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში შექმნილი ზოგადი კონტექსტის გათვალისწინება. ცალკეული პოლიტიკოსები, მათ შორის, პარლამენტის წევრები, არ სტუმრობენ კონკრეტულ მედიასაშუალებებს, რომელთა სარედაქციო პოლიტიკასაც არ ეთანხმებიან. ამდენად, ჟურნალისტებს მათთვის სასურველი შეკითხვების დასმისა და მიღებული ინფორმაციის აუდიტორიისთვის მიწოდების შესაძლებლობა, გარკვეულ შემთხვევაში, მხოლოდ პარლამენტის ტერიტორიაზე შეუძლიათ. ჟურნალისტებისთვის მსგავსი შესაძლებლობის შენარჩუნება კრიტიკულად აუცილებელია, რათა შეასრულონ **„საზოგადოებრივი დარაჯის როლი",** რაც მედიის ფუნქციაა.

7.5.გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის ხელშეწყობა

ხელისუფლება ვალდებულია, გაუმართლებლად არ შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, თუმცა, ამავე დროს, მან უნდა გადადგას პოზიტიური ნაბიჯები უფლებით

---

[422] „საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის №1/31/23 ბრძანება, იხ. სრულად ბმულზე: <https://shorturl.at/wHPZ3>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[423] წესის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი, აღნიშნული და სხვა სახის ვალდებულებების დარღვევის შედეგად კი, მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით, საპარლამენტო ჟურნალისტს შეიძლება შეუჩერდეს აკრედიტაცია 1 თვით, ხოლო დარღვევის გამეორების შემთხვევაში - 6 თვით, რაც შეეხება სპეციალური აკრედიტაციის მქონე ჟურნალისტს, მას შეიძლება შეეზღუდოს აკრედიტაციის გაცემა იდენტური ვადებით. გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ჟურნალისტი, რომელსაც განსაზღვრულ პერიოდში აკრედიტაცია შეჩერებული აქვს, სხვა ჟურნალისტით ჩანაცვლდეს.

[424] ამ წესის ამოქმედების შემდეგ, მალევე, სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს „ტელეკომპანია პირველის", „მთავარი არხის" და „ფორმულას" ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა, რომელთაც აკრედიტაცია სწორედ ამ ვალდებულების დარღვევის გამო შეუჩერდათ. აკრედიტაციის წესის დარღვევა დაედო საფუძვლად ონლაინ გამოცემა „პუბლიკას" ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის შეჩერებასაც.

[425] სახალხო დამცველის 2023 წლის 7 ივნისის №04-2/5436 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, რომელიც საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტს, მე-13 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს ეხება.

სათანადო სარგებლობისთვის. ამისთვის, სახელმწიფომ, მათ შორის, უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა დაცულობა მესამე პირების იმგვარი ქმედებებისგან, რამაც შეიძლება დააზიანოს გამოხატვის თავისუფლების რეალიზება.[426]

2023 წლის 15 იანვარს, ყვარელში, ლევან ბერძენიშვილს მოქალაქეთა ჯგუფმა არ მისცა ლექციის ჩატარების შესაძლებლობა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ გარემოებებისა შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ინციდენტის მართვისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა არ შეასრულეს თავიანთი **პოზიტიური ვალდებულება - ხელი შეეწყოთ ლევან ბერძენიშვილის მხრიდან გამოხატვის თავისუფლებით სრულფასოვანი სარგებლობისთვის.**[427]

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საანგარიშო წელს მომხდარი კიდევ ერთი ინციდენტი, კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მოქალაქეთა ჯგუფმა ქვები და საღებავები ისროლეს ერთ-ერთი სასტუმროსა და იქ მყოფი პირების მიმართულებით.[428] სასტუმროში *„გირჩი - მეტი თავისუფლების"*-ის წარმომადგენლები ბანაკს მართავდნენ, ღონისძიების ფარგლებში ლექციის ჩატარებაც იგეგმებოდა; სასტუმროში იმყოფებოდნენ ასევე, დამსვენებლები და არასრულწლოვნები. გავრცელებული ინფორმაციით, ჯგუფის ქმედებების შედეგად, დაზიანდა ავტომანქანა. როგორც ადგილზე მყოფი პირები უთითებდნენ, სამართალდამცავებმა ვერ მოახერხეს ძალადობრივი ქმედებების აღკვეთა, ასევე, სასტუმროში მყოფი პირები განმარტავდნენ, რომ შეტყობინებიდან დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში, ადგილზე საპატრულო ეკიპაჟი არ მისულა. თავს დაესხნენ ასევე, ბანაკისკენ მიმავალ *„გირჩი - მეტი თავისუფლების"*-ის ლიდერ ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს.[429] ზემოთ განხილული საქმის მსგავსად, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ჰქონდა პოზიტიური ვალდებულება, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის ხელშეწყობის მიზნით, აქტიური ზომები მიეღო.

სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მომავალში, მესამე პირთა მხრიდან მოქალაქეების გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაში ხელშეშლის შემთხვევაში, სამართალდამცავებმა საკუთარი ინიციატივით უზრუნველყონ ყველა აუცილებელი ღონისძიების გატარება უფლებით სრულფასოვნად სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

---

[426] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარა. 7; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Özgür Gündem v. Turkey, პარა. 43.

[427] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველმა №04-2/6363, 3.07.2023 წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

[428] იხ. ბმული: <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/40766-vitareba-ukontroloa-borjomshi-mobilizebulma-jgupis-tsevrebma-sastumros-qvebi >; <https://formulanews.ge/News/92557>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[429] ამ საქმეზე სახალხო დამცველის შეფასება იხ. წინამდებარე საპარლამენტო ანგარიშის თავში, „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა."

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს:

- ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი ძალადობის გამოსაძიებლად, ყველა სამართალდამცველი უწყებისთვის შემუშავდეს კონკრეტული და დეტალური სახელმძღვანელო მითითებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა მედიის წარმომადგენლებთან ერთად და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები შეკრებების, მანიფესტაციების და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების მედიაგაშუქების შესახებ;
- შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების წინ (მაგ.: არჩევნები, საპროტესტო აქციები ან დიდი სპორტული ღონისძიებები) ჩატარდეს შეხვედრები ჟურნალისტებსა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს შორის, რათა განიხილონ უსაფრთხოების საკითხები და ერთობლივად შეთანხმდნენ უსაფრთხოების პროტოკოლებზე;

8. ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ასევე, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს.[430] ღია მმართველობა და გამჭვირვალობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევის პრევენციისა და არსებული დარღვევების დროულად გამოსავლენად.[431] ამავე დროს, საზოგადოების წინაშე საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და ეფექტიანი აღსრულება.

ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება საჯარო ინფორმაციის გაცემის წესთან დაკავშირებული მოძველებული კანონმდებლობა[432] და უფლების დაცვაზე ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტის არარსებობაა. დღემდე არ არის სავალდებულოდ აღიარებული „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ" ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენცია, რომლის მე-8 მუხლი ითვალისწინებს, რომ განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის გაუცემლობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ან სასამართლოში ან დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში და ეს პროცედურა უნდა იყოს სწრაფი და იაფი. არაერთი კვლევა ადასტურებს,[433] რომ სასამართლოში დავების განხილვის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების მიზნებისთვის საზედამხედველო ორგანოდ მხოლოდ სასამართლოს არსებობა ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის დროულ მიღებას და არ პასუხობს „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ" ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ სტანდარტს.

2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადაში გაცემაზე უარის თქმის 100-ზე მეტი შემთხვევის თაობაზე. აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ფარგლებში, უმეტესად მოგვმართავდნენ უფლებადამცველი ორგანიზაციები და ჟურნალისტები. საჩივრების უმრავლესობა შეეხება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით წარგენილ განცხადებებზე საჯარო

---

[430] საქართველოს კონსტიტუცია (786-რს, 24/08/1995), მუხლი 17, მუხლი 18.

[431] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

[432] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი III.

[433] იხ. დემოკრატიის ინდექსი - საქართველოს მიერ მომზადებული კვლევა „საქმეთა გაჭიანურების პრობლემა საქართველოს საერთო სასამართლოებში", 19-25 <https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpn0PDUK.pdf >[18.03.2024].
იხ. „მედიის წვდომა საჯარო ინფორმაციაზე - კანონმდებლობა v. რეალობა" <https://shorturl.at/BPS37> 37-39, [18.03.2024].

დაწესებულებების მხრიდან თვეების განმავლობაში გამოვლენილ უმოქმედობას. 2023 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, სამინისტროებმა და სამინისტროების დაქვემდებარებულმა საჯარო დაწესებულებებმა უგულებელყვეს ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) განცხადებები/საჩივრები საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.[434] უპასუხოდ დარჩა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს" განცხადებებიც.[435] ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (IDFI) და სხვა უფლებადამცველმა პირებმა[436] საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით საჯარო დაწესებულებებში წარდგენილ განცხადებების ნაწილზე პასუხი მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც განსახილველ საკითხზე სახალხო დამცველის აპარატმა ადრესატ უწყებებს შესაბამისი კორესპონდენციით მიმართა და მოითხოვა განმარტება საჯარო დაწესებულებების ქმედების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან, არაერთ შემთხვევაში, დაუსაბუთებლად შეიზღუდა უფლებადამცველი ორგანიზაციების წვდომა საჯარო ინფორმაციაზე. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადებების უპასუხოდ დატოვებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველს საჩივრებით მიმართეს ონლაინ გამოცემა „პუბლიკას", „მთის ამბების" და „საქართველოს ამბების" ჟურნალისტებმაც.[437] სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ ა(ა)იპ „ქვემო ქართლის მედიას" არ მიაწოდა საჯარო ინფორმაცია.[438]

საჯარო ინფორმაციის დროული ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საკითხია. დროულობა განსაკუთრებით აქტუალურია უფლებადამცველების, მათ შორის, ჟურნალისტებისთვის, რადგან დაგვიანებით გაცემულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, საზოგადოებისთვის დაკარგოს თავდაპირველი ღირებულება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით შესწავლილი საქმეებიდან აღსანიშნავია გარემოს დაცვის საკითხებზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის დაუსაბუთებელი შეზღუდვის შემთხვევები.[439] უფლებადამცველების და მედიის წარმომადგენლებისთვის, როგორც საზოგადოებრივი მეთვალყურის ფუნქციის განმახორციელებელი პირებისთვის, ინფორმაციის შეგროვება მათი საქმიანობის

[434] განცხ. 991/24, N984/24 და განცხ. №11600/23 უფლებადამცველმა ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაცია ვერ მიიღო ვერცერთი სამინისტროდან/მინისტრის აპარატიდან (12 საჯარო დაწესებულება) და 77 სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებიდან. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/ge/sharp_decline_in_access_to_public_information>[ბოლოს ნანახია 04.03.2024].
[435] განცხადებები №11600/23 და №12957/23.
[436] განცხადებები №11600/23, №194/24, №15475/24, №6495/23.
[437] განცხადებები №12107/23, №15475/23, №189/23, №194/23 და №662/24.
[438] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია №04-5/9055 11.09.2023 წ., რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხი №01-3823262388 19.09.2023 წ.
[439] განცხადებები №5383/23 და №12107/23.

განუყოფელი ნაწილია. არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მათი „საზოგადოებრივი მეთვალყურის" ფუნქციის შესრულების ხელშეშლაა, ვინაიდან მათი მუშაობა ხელს უწყობს ცალკეულ საკითხებზე ინფორმირებული საჯარო დებატების გამართვას. ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები საფრთხეს უქმნის მედიასაქმიანობის ეფექტიანობასაც. [440]

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გამოწვევები კიდევ ერთხელ მიუთითებს ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმის დაწყებასა და ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტის შექმნის გადაუდებელ აუცილებლობაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილებები საჯარო ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო სტანდარტის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, გაითვალისწინოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი და დამოუკიდებელი საზედამხედველო მექანიზმის შექმნა.

[440] იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ, § 37; შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ, § 68. Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina, § 86, TÁRSASÁG A SZABADSÁGJOGOKÉRT v. HUNGARY.

9.შეკრების თავისუფლება

9.1.შესავალი

2023 წელი სხვადასხვა მასშტაბის, შინაარსისა და ფორმის მრავალი შეკრებით გამოირჩეოდა. რადიკალური ჯგუფების შეკრებების ფონზე, აქტუალური იყო მშვიდობიანი შეკრების სარგებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები, შეკრების ფორმისა და შინაარსის შეზღუდვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები, შეკრების დაშლის მიზნით განხორციელებული არაპროპორციული და, ზოგიერთ შემთხვევაში, არალეგიტიმური ღონისძიებები. კვლავ გამოიყენებოდა შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა. საერთო ჯამში საანგარიშო პერიოდში შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული რიგი გამოწვევები უცვლელი რჩებოდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში შეკრების თავისუფლებით სარგებლობა კიდევ უფრო გართულებული.

აღსანიშნავია, რომ კვლავ სახეზეა ყველა ის პრობლემა, რომელიც არის ასახული სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიშში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)"[441]. ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც სპეციალურ ანგარიშში იყო ყურადღება გამახვილებული, ეხებოდა სპონტანური შეკრებების გამართვის არასათანადო რეგულირებას, რომელთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა.[442] 2023 წლის 14 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციის 21-ე მუხლთან (შეკრების თავისუფლება) მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო „შეკრება მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს შეკრების/მანიფესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულებას, როდესაც ამ ვადაში გაფრთხილება, შეკრების/მანიფესტაციის სპონტანურობის გათვალისწინებით, შეუძლებელია.[443] აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შეცვალა წარსულში დადგენილი[444] პრაქტიკა[445] და განმარტა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული შეკრების თავისუფლება იცავს როგორც წინასწარ ორგანიზებული, ისე სპონტანური შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის შესაძლებლობას. ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ

---

[441] ანგარიში ხელმისაწვდომია:<https://shorturl.at/FVW14> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[442] იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის 26 ივლისის №1635 კონსტიტუციური სარჩელი, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/7jx970> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[443] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის №3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, III, 1.

[444] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება და 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი.

[445] საკონსტიტუციო სასამართლოს მე-4 სქოლიოში მითითებული გადაწყვეტილებებით დადგენილი პრაქტიკით, შეკრების თავისუფლება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას სპონტანური საპროტესტო მანიფესტაციის, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეუფერხებლად ჩატარების უფლებას არც იმ შემთხვევაში მოიაზრებდა, როდესაც აქციის მონაწილეები იკავებდნენ ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილს, კეტავდნენ მას ან აფერხებდნენ მოძრაობას.

სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების თაობაზე შესაბამისი ორგანოების წინასწარი ინფორმირების/გაფრთხილების ვალდებულება დროის იმ მომენტიდან, როდესაც ამის შესაძლებლობა სპონტანური შეკრების ორგანიზატორებს ობიექტურად ექნებათ. სახალხო დამცველი მიიჩნევს რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების პრინციპების ფონზე კანონის დონეზე უნდა აისახოს სხვადასხვა სახის (მათ შორის, სპონტანური) შეკრებების განმარტებასთან და გამართვის წესთან დაკავშირებული საკითხები. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ხასიათის ცვლილება განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტების განუხრელი დაცვით.

9.2.2023 წლის 7-9 მარტის აქციები

2023 წლის 7-9 მარტს, საქართველოს პარლამენტის წინ, ე.წ. „უცხოელი აგენტების" კანონპროექტების მიღების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების დროს დააკავეს 100-ზე მეტი ადამიანი[446] და გამოიყენეს სპეციალური საშუალებები. საკითხის შესაფასებლად თუ რამდენად ლეგიტიმურად და პროპორციულად განხორციელდა შეკრების უფლებაში ჩარევა, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია აქციებზე ძალის გამოყენების, აქციის შეწყვეტის საფუძვლების, გამოყენებული სპეციალური საშუალებების და იმ კონკრეტული გარემოებების შესახებ, რომლებმაც განაპირობა ამგვარი საშუალებების გამოყენება. ასევე მოვითხოვეთ ინფორმაცია სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე გაფრთხილების გაკეთებასა და აქციის მონაწილეებთან მოლაპარაკებების წარმოების თაობაზე.[447]

სამინისტროს არ მოუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ შეკრების მონაწილეთა რა რაოდენობა მიმართავდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს და რა გარემოებებით იყო განპირობებული ძალის გამოყენება შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების მიმართაც. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საპასუხოდ,[448] მიუთითა, რომ 2023 წლის 7 და 8 მარტს, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიასა და რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო აქციები არაერთხელ გასცდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით დაშვებულ ნორმებს და გადაიზარდა მასობრივად ძალადობრივ, არამშვიდობიან ქმედებებში. შსს განმარტავს, რომ ფლობდნენ ინფორმაციას, რომ აქციის მონაწილეების გარკვეული ნაწილი მზად იყო საკანონმდებლო შენობის ბლოკირების მოსაწყობად. სამინისტროს გადაწყვეტილებას, გამოეყვანა დამატებითი საპოლიციო ძალები, მოჰყვა რამდენიმე ქუჩის გადაკეტვა. მოგვიანებით,

[446] შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 7-9 მარტის აქციებზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს 146 (ასორმოცდაექვსი) პირი, მათ შორის 2 (ორი) არასრულწლოვანი, ხოლო სისხლის სამართლის წესით - 1 (ერთი) პირი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი 2023 წლის 31 ოქტომბრის MIA 1 23 03192240.

[447] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 მარტის №04-2/2774 წერილი.

[448] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 6 ივლისის MIA 5 23 01937186 წერილი.

პოლიციის თანამშრომლები ჩანაცვლდნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებით, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სპეციალური დამცავი საშუალებებით.

სამინისტროს ინფორმაციით, 7 მარტს, საღამოს საათებში, პოლიციის მხრიდან „წიწაკის სპრეისა" და „წყლის ჭავლის" გამოყენებას საფუძვლად დაედო პარლამენტის შესასვლელებთან შეკრებილი მოქალაქეების სიტყვიერი აგრესია, პოლიციის თანამშრომლებისთვის საგნების სროლა. შემდგომში, რუსთაველის გამზირის მხრიდან, პარლამენტის ცენტრალურ შესასვლელთან არსებული ჯებირების მიზანმიმართული დაზიანების, პარლამენტში შეღწევის მცდელობისა და პოლიციელებისთვის ბლაგვი საგნების სროლის საფუძველზე, სამინისტრომ მიიჩნია, რომ აქცია მთლიანად გასცდა მშვიდობიანი შეკრების ფორმას და მიიღო ძალადობრივი ხასიათი.

სახალხო დამცველის შეფასებით, სამინისტროს არგუმენტაცია არ არის საკმარისად დასაბუთებული, რადგან 7 მარტს, საღამოს საათებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გაფრთხილების თაობაზე განცხადებების გაკეთების დროისთვის, აქციას ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი და არ არსებობდა მისი მთლიანად შეწყვეტისა და მისი ყველა მონაწილის წინააღმდეგ ძალის გამოყენების საფუძველი. სახალხო დამცველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ძალადობის იზოლირებული ინციდენტები არ არის საკმარისი მთლიანი შეკრების ძალადობრივად მიჩნევისთვის,[449] მსგავს შემთხვევებში, ნებისმიერი სახის ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ინდივიდების ძალადობრივ ქმედებებზე ინდივიდუალური, აუცილებელი და პროპორციული რეაგირების განხორციელებას და ამგვარი იზოლირებული ინციდენტების გამო, მთლიანი შეკრება-მანიფესტაცია არ შეიძლება მიიჩნეოდეს ძალადობრივად.

რაც შეეხება 8 მარტს განვითარებულ მოვლენებს, საღამოს საათებში იძულების ღონისძიებებისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას საფუძვლად დაედო შეკრების მონაწილეთა გარკვეული ჯგუფის ძალადობრივი ქმედებები საქართველოს პარლამენტის უკანა შესასვლელთან. ამ ქმედებებზე შესაბამისი რეაგირების შემდეგ, ძალის გამოყენება გაგრძელდა პარლამენტის წინ მდგომი აქციის მონაწილეების მიმართ, რომლებიც მშვიდობიანად განაგრძობდნენ შეკრებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციით, სიტუაციის განმუხტვის არაერთი მცდელობის მიუხედავად, შეკრების მონაწილეებმა პოლიციელების მიმართულებით დაიწყეს ქვების, სხვადასხვა მსხვრევადი საგნებისა და პიროტექნიკის სროლა. სახალხო დამცველის შეფასებით, ამ შემთხვევაში, პარლამენტის წინ მყოფი შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ ძალის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ[450] ძალის გამოყენების გაუმართლებელი შემთხვევები იქცა სწორედ სიტუაციის ესკალაციის ძირითად მიზეზად.

---

[449] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარა.15,19.

[450] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)", გვ. 45, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/FVW14>[ბოლოს ნანახია 04.03.2024].

აქციების მიმდინარეობისას, ძალის გამოყენების შემდეგ, არაერთხელ დაიძაბა სიტუაცია. სამართალდამცავები სპეციალურ საშუალებებს იყენებდნენ მაშინაც, როცა ამგვარი აუცილებლობა არ იკვეთებოდა. მედიასაშუალებებით გავრცელებული კადრებით[451] დასტურდება, რომ პოლიციის თანამშრომლები სპეციალურ საშუალებებს იყენებდნენ მაშინაც კი, როცა შეკრების მონაწილეები სამართალდამცავებს მშვიდობიანად უახლოვდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავებმა რამდენჯერმე გამოიყენეს სპეციალური საშუალებები, მათ შორის, დამიზნებით სახის არეში ზემოქმედების მიზნით.

9.3.ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა მშვიდობიანი შეკრების მიმდინარეობისას

უკვე წლებია, სხვადასხვა მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის საფუძვლით დაკავებები. მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაკავებებს, ხშირ შემთხვევაში არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მთლიანი შეკრების მიმდინარეობაზეც. მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა გასულ წელსაც გამოიყენებოდა.[452] დაკავების საფუძველი უმეტესად მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების გამონათქვამების შინაარსს ან/და ფორმას უკავშირდება. რიგ შემთხვევებში, დაკავების ერთადერთი მიზეზი პოლიტიკური შინაარსის გამოხატვა იყო.[453]

გასულ წელს სახალხო დამცველის აპარატისთვის ასევე გახდა ცნობილი მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთათვის საპროტესტო პლაკატების წართმევისა და დახევის ფაქტები.[454] სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენასთან ერთად, სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე მიმართა[455] საგამოძიებო უწყებებს შეკითხვით, დაიწყო თუ არა გამოძიება ზემოხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით. საპასუხოდ,[456] გვეცნობა, რომ

[451] ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/yg5ejl> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[452] მაგალითად, 2023 წლის 2,3,7,8 მარტს, 2-3 ივნისს, თბილისსა და ბათუმში, 31 ივლისს ბათუმის პორტთან მიმდინარე აქციებზე დაკავების ფაქტები.

[453] აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 2-3 ივნისს, თბილისში, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციებზე უფლებადამცველების დაკავების საქმეებზე სახალხო დამცველმა სასამართლოში სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები წარადგინა, სადაც უთითებდა, რომ ხელისუფლების კრიტიკა დაუშვებელია იყოს უფლებაში ჩარევის საფუძველი. სამწუხაროდ, სასამართლომ არ გაიზიარა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მითითებული სტანდარტები და დაკავებულები სამართალდამრღვევებად ცნო.

[454] 2023 წლის 29 მაისიდან - 3 ივნისის ჩათვლით, შეკრების მიმდინარეობისას სამოქალაქო აქტივისტთა მოძრაობა „ჯიუტის" წევრებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა საპროტესტო პლაკატების წართმევისა და დახევის ფაქტებს.

[455] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 28 ივნისის №04-2/6200 წერილი, 25 დეკემბრის №04-7/12448 წერილი.

[456] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 21 ივლისის №13/50432 და 2024 წლის 8 იანვრის №13/213 წერილები.

მიმდინარეობს სახალხო დამცველის მიმართვაში მითითებული გარემოებების შესწავლა.[457]

9.4.დროებითი კონსტრუქციების გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

გამოხატვის ფორმები მოიცავს, მათ შორის, იურტების, კარვებისა და სხვა სახის კონსტრუქციების აღმართვის შესაძლებლობას.[458] ეს საკითხი, წლებია, განსჯისა და განხილვის საგანია, რადგან, მიუხედავად საკანონდებლო გარანტიებისა, ხშირია უფლების ამ კომპონენტის შეზღუდვა.[459] ამ საკითხთან დაკავშირებით, 2023 წელს საგულისხმო იყო პარლამენტის მხრიდან კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მკვეთრად ზღუდავდა შეკრება/მანიფესტაციების მონაწილეთა მხრიდან დროებითი კონსტუქციების (მათ შორის, კარვის) აღმართვის შესაძლებლობას.[460] ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა და განმარტა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ პასუხობდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ეწინააღმდეგებოდა შეკრების თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტებს.[461] უარყოფითი დასკვნა მოამზადა ეუთო/ოდირის ინსტიტუტმაც, მასში პირდაპირ არის მითითებული, რომ კანონპროექტი არ უნდა იქნეს მიღებული.[462] კანონპროექტს, რომელიც პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო, ვეტო დაადო საქართველოს პრეზიდენტმა და ამ ეტაპზე კანონის მიღების პროცესი შეჩერებულია.[463] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, საქართველოს

---

[457] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავისუფლების და უსაფრთხოების თავი.

[458] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 18-20.

[459] 2023 წლის 1 ივნისს ბექა გრიგორიადსს არ მიეცა საშუალება პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოლივერ უორდროპის სკვერში, საჯარო სივრცეში გაეშალა კარავი და იგი ამ საფუძვლით დააკავეს, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აღმართვის შეზღუდული შესაძლებლობა მიეცათ აგრეთვე 2023 წლის 23 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მიმდინარე აქციაზე მყოფ პირებს.

[460] კანონპროექტის მიხედვით, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ მოაწყონ დროებითი კონსტრუქცია, თუ მისი მოწყობა: ა) საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ან სხვა პირებს; ბ) ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას; გ) იწვევს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას; დ) შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას არ უკავშირდება; ე) თუ მისი მოწყობის გარეშე არსებითად არ ფერხდება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება, კანონპროექტი ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/CGOS8> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[461] ვრცლად იხ. სახალხო დამცველის განცხადება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/AKRU9> , [ბოლოს ნანახია 12.01.2024].

[462] იხ. ეუთო/ოდირის მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე სასწრაფო დასკვნა, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://shorturl.at/dozCN> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[463] საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://shorturl.at/cCH13> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

პარლამენტმა, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უარი თქვას კანონის მიღებაზე.

9.5.რადიკალური ჯგუფების მიერ ორგანიზებული კონტრშეკრებები და აქციები

საქართველოს კანონმდებლობა ერთდროულ შეკრებებს მხოლოდ ფრაგმენტულად არეგულირებს. კანონში არ არის განსაზღვრული სხვადასხვა სახის სპეციფიკური შეკრების მომწესრიგებელი ნორმები. ერთდროულად მიმდინარე (სინქრონულ) შეკრებებს განეკუთვნება იმგვარი შეკრებები, რომლებიც დაგეგმილია ერთსა და იმავე დროს და ადგილას. მისი განსაკუთრებული ფორმაა კონტრშეკრებები, რომლის მონაწილეებიც გამოხატავენ პროტესტს სხვა შეკრებაზე გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.[464] ეს არის საზოგადოების შესაძლებლობა, გამოთქვას და მოისმინოს განსხვავებული შეხედულებები საკამათო საკითხებზე. ასეთ შემთხვევებში, მშვიდობიანი შეკრებების გამართვის მიზნებისთვის დროისა და ადგილის დამთხვევა კონტრშეკრების მიერ გადასაცემი გზავნილის არსებითი ნაწილი ხდება, რა დროსაც სამიზნე აუდიტორიისთვის შესაძლებელი უნდა იყოს შეტყობინების მიწოდება (ე.წ. Sight and Sound პრინციპი).

ამასთანავე, კონტრშეკრებების მონაწილეებს, სახელმწიფოს ხელშეწყობით, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ოპონენტებისგან ფიზიკური ანგარიშსწორების შიშის გარეშე გამართონ დემონსტრაცია; ასეთ შიშს შეუძლია შეაკავოს გაერთიანებები ან საერთო იდეების და ინტერესების მხარდამჭერი სხვა ჯგუფები საზოგადოებაზე გავლენის მქონე ძალიან საკამათო საკითხებზე თავიანთი აზრის ღიად გამოხატვისაგან. დემოკრატიაში კონტრდემონსტრაცია არ შეიძლება გადაიზარდოს დემონსტრაციის უფლების განხორციელების შეფერხებაში.[465] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ, მართალია, ტერმინი „მშვიდობიანი შეკრება" იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მოიცვას ქმედებები, რომლებიც, შესაძლოა, ვინმეს აღიზიანებდეს ან შეურაცხყოფდეს, ანდა, დროებით აფერხებდეს ან ხელს უშლიდეს მესამე პირთა აქტივობებს, მაგრამ, როდესაც შეკრების მიზანია კონკრეტული პირების არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან მათი განზრახი დაშინება თუ შევიწროება, შეკრების მონაწილეთა ამგვარი გამოხატვა სცდება დაცული სფეროს ფარგლებს და მისი მიზანი კონკრეტული პირებისა თუ ჯგუფების ანგარიშსწორებაა.[466] როდესაც შეკრება (მანიფესტაცია) დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მიზნით საგანგებოდ იკრიბება, არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ხდება, არამედ კონსტიტუციით დაცული სფეროდანაც გამოდის.[467]

---

[464] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020, 10.

[465] იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, (Identoba and Others v. Georgia), განაცხადი 73235/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, პუნქტი 95.

[466]ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 25.

[467] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება II, 101.

კონტრშეკრებების დაპირისპირების შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2023 წლის 30 ივნისს, კასპში, პოლიტიკური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების საწინააღმდეგო აქციის მოწყობისას, როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს, პარტიის შეკრებაზე დამსწრე პირებსა და ჟურნალისტებს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.[468] სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო ინციდენტის შესწავლა და მიმართა საგამოძიებო ორგანოებს.[469] შსს-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო სხვისი ნივთის დაზიანებისა და შესაძლო ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე.[470] გენერალურმა პროკურატურამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის და გამოძიება გრძელდება.[471]

კონტრშეკრებების გამართვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით პრობლემური იყო 2023 წლის 8 ივლისის პრაიდის ღონისძიების საპირისპიროდ, რადიკალური ჯგუფების მიერ პრაიდის ღონისძიების ჩაშლის მიზნით შეკრება. სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევებში შეფასდეს კონტრდემონსტრანტების მიერ სიძულვილის ენის, განსაკუთრებით კი, ჰომოფობიური მნიშვნელობის მქონე განცხადებების გამოყენება, ასევე, შესაბამისი ქმედებები.[472] ამ საკითხის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, არის თუ არა დაცული უფლების კონსტიტუციური ფარგლები.[473]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- მოწესრიგდეს სხვადასხვა სახის შეკრების (მათ შორის, სპონტანური და ერთდროული შეკრებები) გამართვის წესთან დაკავშირებული საკითხები;

- ვითარების ესკალაციისა და უფლებაში ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან ასარიდებლად, საკანონმდებლო დონეზე დაინერგოს შეკრების მონაწილეებთან დიალოგისა და მოლაპარაკების წარმოების მექანიზმი.

---

[468] ინფორმაცია გავრცელდა არაერთი მედია საშუალებებით: <https://rb.gy/uv1zc>, <https://rb.gy/2z82h> , [ბოლოს ნანახია 04.03.2024].
[469] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 20 ივლისის №04-7/7144 და №04-7/7146 წერილები.
[470] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 4 აგვისტოს MIA 3 23 02268807 წერილი.
[471] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 29 იანვრის №13/5374 წერილი.
[472] ბერკმანი რუსეთის წინააღმდეგ (Berkman v. Russia), განაცხადი 46712/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 56.
[473] ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. წინამდებარე ანგარიშის თანასწორობის თავი.

10. უფლებადამცველები

უფლებადამცველების - იმ ადამიანების როლი, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად მოქმედებენ ადამიანის უფლებათა დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის, უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებაში.[474]

სახალხო დამცველის უშუალო ვალდებულებაა დაიცვას და ხელი შეუწყოს უფლებადამცველთა საქმიანობას, რასაც სახალხო დამცველი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს. სამწუხაროა, რომ 2023 წელს უფლებადამცველთა მიმართ მიმდინარეობდა დისკრედიტაციის კამპანია, მათ ეზღუდებოდათ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, და ის დემოკრატიული სივრცე, რომელიც უფლებადამცველთა თავისუფალი საქმიანობისთვის უმნიშვნელოვანესია.

2023 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო საქართველოს პარლამენტში ე.წ. „უცხოური აგენტების" კანონპროექტების ინიცირება, რომელიც არაერთი ადგილობრივი, საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა.[475] მართალია, პარლამენტში შეწყდა კანონპროექტის განხილვა, თუმცა, 2023 წლის განმავლობაში მაღალი რანგის პოლიტიკოსების მხრიდან მაინც იყო უფლებადამცველებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობები.[476] გაკეთებული განცხადებები უკავშირდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან აფილირების მცდელობებს, საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ ბუნდოვანებასა და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების საწინააღმდეგო მოქმედებებში დადანაშაულებას. ასევე, უფლებადამცველთა ნაწილი პოლიტიკოსების კრიტიკისა და ბრალდებების სამიზნე გამოხატული პოზიციების გამოც გახდა.[477] ადგილი ჰქონდა უფლებადამცველის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარის ფაქტებსაც, ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან.[478] ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა და ანგარიშსწორება მის მიერ გამოხატული აზრის გამო, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულია ისეთი იდეებიც, რომლებიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს.[479] სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავს, რომ უფლებადამცველთა წინააღმდეგ გაკეთებული მადისკრედიტებელი განცხადებები უფლებადამცველთა საქმიანობისთვის

---

474 იხ. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის, ადამიანის უფლებათა დამცველების თაობაზე ევროპის საბჭოს და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია: < https://bit.ly/36GAaY4 > <https://bit.ly/37CVhvW > < https://bit.ly/2GzVbsT > [04.03.2024].

475 დეტალურად იხ. 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 166.

476 იხ. მაგალითად, < https://shorturl.at/uzOX9 > < https://shorturl.at/afFL4 > < https://shorturl.at/qrzDS > [04.03.2024].

477 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/tuEJ1 > [04.03.2024].

478 სამოქალაქო აქტივისტის, ნატა ფერაძის მიმართ ძალადობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული სიტყვიერი მუქარისა და მის საცხოვრებელთან მიახლოების ფაქტები, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/CFKS3 > [04.03.2024].

479 გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ (Gachechiladze v. Georgia) განაცხადი: 2591/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, პუნქტი 49.

დამაშინებელ გარემოს ქმნის. სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, განუხრელად უნდა დაიცვან უფლებადამცველთა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მათ შორის, თავი შეიკავონ უფლებადამცველთა დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას.[480]

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის საქმიანობაში დაბრკოლებების შექმნა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სამინისტროების, სამინისტროებს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებებისა თუ ცალკეული სხვა უწყებების მხრიდან უპასუხოდ რჩებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ მედიის წარმომადგენლების განცხადებები/საჩივრები,[481] რაც მათი საქმიანობის, როგორც „საზოგადოებრივი დარაჯის" ფუნქციის შესრულებას მნიშვნელოვნად აფერხებდა.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, უფლებადამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, განსაზღვროს უფლებადამცველთა ცნება და აწარმოოს სტატისტიკა მათ მიმართ ჩადენილი ყველა იმ დანაშაულებრივი ქმედების თაობაზე, რომელიც მათ საქმიანობას უკავშირდება.

თანამდებობის პირებს:

- კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, დაიცვან უფლებადამცველთა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მათ შორის, თავი შეიკავონ უფლებადამცველთა დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას. ამასთანავე, უზრუნველყონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების არსებითი ჩართულობა.

[480] იხ. მაგალითად, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2021, 260; 2021 წლის ანგარიში, თბილისი, 2022,197; 2022 წლის ანგარიში, თბილისი, 2023, 168.

[481] დეტ. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის ინფორმაციის თავისუფლების თავი.

11 . საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში, უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეებზე სარჩელის წარდგენიდან, სააღსრულებო წარმოების დასრულებამდე პროცესის გაუმართლებლად გაჭიანურების პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება. ამ საკითხს აქტუალობა არც საანგარიშო წელს დაუკარგავს. პრობლემად რჩება საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების, მათ შორის, სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეების განსახილველად კანონით დადგენილი ვადების გაჭიანურების საკითხი.[482] ასევე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[483] 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე, ამავე უწყებაში შევიდა უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვასთან დაკავშირებული 610 საქმე, ამასთანავე, 2024 წლის იანვრის ბოლოს მონაცემებით, ჯამში 1861 ასეთი მიმდინარე სააღსრულებო საქმეა წარმოებაში. წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება წინა წლის იმავე მაჩვენებლისგან[484], რაც ამ მიმართულებით, მესაკუთრეთა საკუთრების უფლების სრულფასოვნად და დროულად რეალიზებისთვის შესაბამისი ზომების მიღების საჭიროებაზე მიუთითებს. მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" დადგენილებით, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის (გამოსახლების) საქმეთა ნაკადის სამართლიანად მართვის მიზნით მესაკუთრეთა უფლებების დაკმაყოფილების გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან ასაცილებლად, წინადადებების წარდგენა დაავალა.

11.1 .კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული მოსახლეობის საკუთრების უფლება

საქართველოს სახალხო დამცველი არაერთი წელია ყურადღებას ამახვილებს შიდა ვალად აღიარებული კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოსახლეობის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების საკითხზე. საანგარიშო პერიოდში დაზარალებულების მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილმა

---

[482] დემოკრატიის ინდექსი – საქართველო დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის მიერ 2023 წელს მომზადებული კვლევა „საქმეთა გაჭიანურების პრობლემა საქართველოს საერთო სასამართლოებში'', რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მასშტაბურობა ძირითადად განპირობებულია ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა გაჭიანურებით პირველი ინსტანციის სასამართლოებში. კანონმდებლობით დადგენილი ვადები უმეტესწილად ირღვევა".' ხელმისაწვდომია: < https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpn0PDUK.pdf > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[483] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2024 წლის 22 იანვრის №3637 წერილი.

[484] უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვასთან დაკავშირებული 1920 მიმდინარე სააღსრულებო საქმე.

განცხადებებმა[485] ცხადყო, რომ რეგიონებში ეს საკითხი კვლავ პრობლემური და გადაუჭრელია.

2015-2017 წლების საპარლამენტო ანგარიშებში,[486] საქართველოს სახალხო დამცველი ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს მთავრობას, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების ერთიანი წესის შემუშავებისა და დაზარალებული მოსახლეობის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდებდა. 2018 წელს, თბილისში ამ პრობლემის მოსაგვარებლად პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით, კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებული პირების უძრავი ქონებით დაკმაყოფილების პროცესში, რიგითობის განსაზღვრისას დაზარალებულ პირთათვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა და ტერიტორიულობის პრინციპი განისაზღვრა. კომპეტენტური ორგანოების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა თბილისის მუნიციპალიტეტში შედეგი გამოიღო და იმ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართ სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულება ამ დრომდე არ შეუსრულებია, საანგარიშო წელს 283-ით შემცირდა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციით,[487] 2023 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე წლის დასაწყისამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უძრავი ქონებით უზრუნველყო ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრი/მათი უფლებამონაცვლე 283 პირი. ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართ სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულება შეუსრულებელი ჰქონდა, 2019 წლის მონაცემებით 3892-ს შეადგენდა,[488] 2024 წლის მონაცემებით კი, ეს რიცხვი 1192-ს უტოლდება.[489]

ამ მიმართულებით რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოს სხვა რეგიონებში. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[490] ბოლო 8

---

[485] გ. გ.-ს 2023 წლის 22 ნოემბრის №14042 განცხადება; დ. ლ.-ს 2023 წლის 22 დეკემბრის №15183 განცხადება.

[486] „საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ'', გვ. 557.
„საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ'', გვ. 821-823.
„საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ'', გვ. 178.

[487] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 5 თებერვლის №61-0124036812 წერილი.

[488] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 11 თებერვლის №08-02/14791 წერილი.

[489] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 12 თებერვლის №08-02/10484 წერილი.

[490] ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 იანვრის №ა12-1224026119 წერილი;
ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 იანვრის №42-4224025110 წერილი;
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 24 იანვრის №36-3624024202 წერილი;
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 24 იანვრის №62-622402429 წერილი;
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 იანვრის №34-3424023279 წერილი;

წლის განმავლობაში, მათ ტერიტორიაზე, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა წინაშე აღიარებული ვალდებულების შესრულების მიზნით, არ განხორციელებულა არანაირი ქმედითი ღონისძიება, მათ შორის, არ შემდგარა კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასა და ფინანსთა სამინისტროსთან. მცირედი განსხვავებაა ბათუმის მუნიციპალიტეტში. მოწოდებული ინფორმაციით,[491] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებით დამტკიცდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსი'' განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების ღონისძიებისა და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესი'', რომელიც სხვა სოციალურ და ინფრასტრუქტურულ ხელშემწყობ ღონისძიებებთან ერთად, ითვალისწინებს კოოპერატიულ ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას. თუმცა, ამ სამართლებრივი აქტით გაწერილი ზოგადი დებულებები ვერ ჩაითვლება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ეფექტიან მექანიზმად. შესაბამისად, უცვლელი დარჩა საქართველოს რეგიონებში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ იმ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულება ამ დრომდე არ შეუსრულებია. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა მონაცემთა ბაზის 2019 წლის მონაცემებით,[492] საქართველოს რეგიონებში ირიცხებოდა 2801 კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირი და ეს მონაცემები უცვლელია.[493]

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები უკვე რამდენიმე ათეული წელია უშედეგოდ ელიან სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ აღიარებული ვალდებულების შესრულებას. მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში შემუშავდეს საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების შესაბამისი წესი, მათ შორის, განისაზღვროს პირველ რიგში დასაკმაყოფილებელ პირთა

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 22 იანვრის №26-262402279 წერილი;
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 18 იანვრის №01-3824018371 წერილი;
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 30 იანვრის №114-11424030515 წერილი;
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 30 იანვრის №44-4424031361 წერილი;
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 9 თებერვლის №56-562404013 წერილი.

[491] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 თებერვლის №14-1424047443 წერილი.

[492] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 11 თებერვლის №08-02/14791 წერილი.

[493] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 12 თებერვლის №08-02/10484 წერილი; ახალციხე- 24 კოოპ. წევრი, ახალგორი - 30 კოოპ. წევრი, ახალქალაქი - 50 კოოპ. წევრი, ბათუმი - 547 კოოპ. წევრი, ფოთი - 27 კოოპ. წევრი, მცხეთა - 46 კოოპ. წევრი, ოზურგეთი - 53 კოოპ. წევრი, დედოფლისწყარო - 40 კოოპ. წევრი, ქობულეთი - 58 კოოპ. წევრი, ქუთაისი - 729 კოოპ. წევრი, რუსთავი - 103 კოოპ. წევრი, სენაკი - 51 კოოპ. წევრი, ჭიათურა - 24 კოოპ. წევრი, ხაშური - 82 კოოპ. წევრი, სამტრედია - 87 კოოპ. წევრი, ზუგდიდი - 149 კოოპ. წევრი, თელავი - 295 კოოპ. წევრი, გარდაბანი - 35 კოოპ. წევრი, გორი - 371 კოოპ. წევრი.

რიგითობა და შეიქმნას დაზარალებული მოსახლეობის წინაშე აღიარებული ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მექანიზმი.

11.2. საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში[494]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა, რომ **კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამო, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიერ მოპოვებული/ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების - სატრანსპორტო საშუალების ავტოსადგომზე შენახვის ხარჯების გადახდა, საქმეში მათი სტატუსის მიუხედავად, სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს ეკისრებათ.** კერძოდ, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მონაწილეს (მსჯავრდებულს, ბრალდებულს, გამართლებულს, დაზარალებულსა და მოწმეს), თუ პროცესის მონაწილე მესაკუთრე ან/და კანონიერი მფლობელია, სატრანსპორტო საშუალების დანაშაულთან კავშირისა და დაცულ სადგომზე მისი შენახვის პერიოდის მიუხედავად, და არ განასხვავებს, სატრანსპორტო საშუალება, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, მოპოვებულია ბრალდების მხარის მიერ გამოძიებისა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ დაცვის მხარის მიერ არის წარდგენილი,[495] როგორც ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიჯნავს.

სახალხო დამცველის შეფასებით, **მესაკუთრისთვის/კანონიერი მფლობელისთვის ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების შენახვის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, მათ შორის, ამავე კოდექსის დანაწესს, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს, ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებით, ეკისრება მხოლოდ მისი ან მისი ადვოკატის მიერ წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯების ანაზღაურება.[496] ხოლო დაზარალებულსა და მოწმეს კანონმდებლობა საერთოდ არ ავალდებულებს, აანაზღაუროს საპროცესო ხარჯები.**

კანონმდებლობის საფუძველზე: (1) თუ სატრანსპორტო საშუალება გამოძიების მიერ ამოღებულია როგორც ნივთიერი მტკიცებულება და წარმოადგენს დანაშაულის საგანს ან/და იარაღს, დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ საგანს ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ სატრანსპორტო საშუალებას, ამგვარი სატრანსპორტო საშუალება სასამართლომ უნდა ჩამოართვას მსჯავრდებულს; (2) თუ სატრანსპორტო საშუალება არ

---

[494] ეს საკითხი დეტალურად იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[495] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ.7[1], პუნქტ. 3.

[496] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 91, ნაწ. 2.

არის დანაშაულის საგანი ან იარაღი, მსჯავრდებულს უბრუნდება ამოღებული სატრანსპორტო საშუალება.

სწორედ, ამ მეორე შემთხვევაში, ხარჯები „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ეკისრება მსჯავრდებულს, რაც საპროცესო კანონმდებლობას არ შეესაბამება. გარდა ამისა, ყურადსაღებია, რომ მსჯავრდებულის შემთხვევაში, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება, შესაძლოა, ინახებოდეს მსჯავრდებული პირის მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდამდე[497] და ამ პერიოდის განმავლობაშიც ერიცხებოდეს სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯები.

იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს ეზღუდება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მისთვის დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯების დამატებით დაკისრება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, რომლის თანახმად, საპროცესო ხარჯების ანაზღაურება, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლით რეგულირებული ხარჯებისა და წესისა, **ეკისრება სახელმწიფოს, როგორც გამოძიებასა და მართლმსაჯულების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს.**

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება და სასამართლო განხილვა შესაძლებელია გრძელდებოდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თვეებისა და წლების მანძილზე, შესაბამისი დანაშაულისთვის დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.[498] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერებულია მის დაკავებამდე ან სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებამდე,[499] რაც ასევე, შესაძლოა, გაგრძელდეს განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, შენახვის ხარჯები, შესაძლოა, მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებდეს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს და არღვევდეს პირის საკუთრების უფლებას.[500]

ამდენად, ამოღებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს ობიექტურად, ისედაც ეზღუდება საკუთრების უფლება გამოძიების ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, თუმცა, დამატებით, დაცულ სადგომზე მისი შენახვის ხარჯების მესაკუთრისათვის/კანონიერი მფლობელისათვის დაკისრება, მაშინ, როდესაც ამ სატრანსპორტო საშუალების ამოღება და შესაბამისი ვადით დაცულ სადგომზე

[497] თუ სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ვერ აძლევს მინდობილობას სხვა პირს სხვადასხვა გარემოების გამო.
[498] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 103.
[499] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 3.
[500] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქტ. 2.

დაყოვნება მთლიანად გამოძიების ინტერესს წარმოადგენს, გაუმართლებელ მატერიალურ ზარალს აყენებს მას და ეწინააღმდეგება საპროცესო ხარჯების განაწილების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ წესს.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად, საქართველოს კანონის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ", საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანისა და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა.[501]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონის 7^1 მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში და სისხლისსამართლებრივი პროცესის მონაწილეებს არ დაეკისროთ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული/ამოღებული სატრანსპორტო საშუალების ხარჯების ანაზღაურება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შეიმუშაოს საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების წესი, მათ შორის, განსაზღვროს პირველ რიგში დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობა და დაზარალებული მოსახლეობის წინაშე აღიარებული ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მექანიზმი.

[501] სახალხო დამცველის 2024 წლის 11 მარტის N15-2/2465 წინადადება.

12.რწმენისა და რელიგიის თავისუფლება

12.1. შესავალი

წინამდებარე თავი ეთმობა 2023 წლის განმავლობაში რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების მიმოხილვას, მათ შორის, სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებით კანონმდებლობაში არსებულ დისკრიმინაციულ ნორმებს, რელიგიური ნიშნით ჩადენილ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, სალოცავი დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხს.

სახალხო დამცველი მიესალმება „პაციენტის უფლებების შესახებ" კანონში შესულ ცვლილებებს, რომელიც, ადამიანის სისხლის ან მისი კომპონენტის ტრანსფუზიის პროცედურის გაწევისას, წერილობითი ინფორმირებული თანხმობის აუცილებლობას ადგენს.[502]

სამწუხაროდ, დანარჩენი რეკომენდაციები/წინადადებები არ შესრულებულა. შესაბამისად, კვლავ უცვლელი ფორმით მოქმედებენ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები. საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისათვის ასევე არ შემუშავებულა სახელმძღვანელო მითითებები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება; გამოწვევად რჩება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების საკითხიც. სამწუხაროდ, დღემდე არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რომლის შედეგადაც სახელმწიფო საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა აღიწერებოდა და შეფასდებოდა.

სახალხო დამცველი არაერთი წელია პარლამენტის მიმართ გასცემს წინადადებას, რომლითაც მოუწოდებს საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს შრომის კოდექსში გაწეროს ალტერნატიული საკანონმდებლო დათქმა, რათა არამართლმადიდებელ მოსახლეობას, მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული დასვენებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს.[503] აღსანიშნავია, რომ „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშში პარლამენტისადმი მიმართული წინადადებების გათვალისწინების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის" 2023 წლის 29 მაისის შეხვედრაზე, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ პარლამენტი იზიარებს ზემოაღნიშნულ წინადადებას და მიმდინარეობს მუშაობა არამართლმადიდებელი მოსახლეობისთვის, მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, უქმე დღეებით სარგებლობის უფლების მისანიჭებლად საკანონმდებლო ცვლილებებზე. ამ საკითხზე ინფორმაციის მოძიების მიზნით, სახალხო დამცველის

[502] „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის „კ[1]" ქვეპუნქტი.
[503] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 185; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 2022, თბილისი, 2023, 170; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 224.

აპარატის მიერ პარლამენტში გაგზავნილი წერილის რეაგირების გარეშე დატოვების გამო,[504] ჩვენთვის, 2024 წლის მარტის მდგომარეობით, უცნობია, თუ რა კონკრეტული ღონისძიებები განხორციელდა დასახელებული წინადადების შესასრულებლად.

რელიგიის თავისუფლების კონტექსტში, საყურადღებოა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ 2023 წელს მიღებული გადაწყვეტილება ქობულეთის პანსიონატის საქმეზე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს - საქართველოს ხელისუფლების მიერ მომჩივანთა მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების უფლება) და მე-9 მუხლებით (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.[505] სასამართლომ განმარტა, რომ ხალხის მასის დისკრიმინაციულმა ქმედებებმა, როგორიც იყო სიძულვილის ენა, მუქარა და დამამცირებელი მოპყრობა, პოლიციის უმოქმედობასთან ერთად, მომჩივნებს აღუძრა შიშისა და დაუცველობის განცდა, რის გამოც მათ ვერ შეძლეს მუსლიმური პანსიონატის გახსნა. ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ვალდებული იყო გადაედგა ყველა გონივრული ნაბიჯი რელიგიური მოტივის გამოსაკვეთად და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისგან მომჩივნების დასაცავად. თუმცა, გამოძიების ფარგლებში ძალისხმევის შეზღუდულად და დაგვიანებით გაწევის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა ორგანოებმა არ შეასრულეს განვითარებულ მოვლენებში რელიგიური მოტივის როლის განსაზღვრისა და შესაბამისი რეაგირების ვალდებულება, რის შედეგადაც აშკარად რელიგიურად მოტივირებული ძალადობა სამართლებრივი შედეგების მიღმა დარჩა. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნების მიმართ ადგილი ჰქონდა, მათ შორის, მათი რწმენისა და რელიგიის თავისუფლების უფლების შელახვას.[506] ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სახალხო დამცველის გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში ვრცლად არის მიმოხილული.[507]

12.2. თავდაცვის კოდექსი

საქართველოს პარლამენტმა საანგარიშო პერიოდში ახალი თავდაცვის კოდექსი მიიღო. რელიგიის თავისუფლების ჭრილში, კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ სასულიერო პირებს აღარ გადაუვადდებათ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევა,[508] როგორც ეს მანამდე იყო გათვალისწინებული და ამის ნაცვლად გაიწვევიან არასამხედრო, შრომით სამსახურში.[509] ამავე დროს, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ

[504] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 25 სექტემბრის წერილი №12-5/9628.

[505] ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობები და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", (Application № 24225/19).

[506] იქვე, პარა. 99-100.

[507] სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 432-434. სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 420-421.

[508] ჩანაწერი ამოქმედდება 2025 წლის 1-ლი იანვრიდან.

[509] „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი. შედარებისთვის იხ. ამავე კანონის მე-4 მუხლი 2023 წლის 21 სექტემბრამდე არსებული რედაქცია.

ეკლესიას შორის" კონსტიტუციური შეთანხმებით, ე.წ. კონკორდატით გათვალისწინებულია, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირები თავისუფლდებიან სამხედრო ვალდებულებისაგან.[510] თავდაცვის სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციით, მართლმადიდებელ მღვდლებს არასდროს უსარგებლიათ კონსტიტუციური შეთანხმების ამ დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმით სარგებლობდნენ, რაც ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გადავადებას გულისხმობდა.[511] სახალხო დამცველი პრაქტიკაში დააკვირდება, რამდენად თანასწორად იმოქმედებს აღნიშნული ცვლილება, რელიგიური ორგანიზაციის განურჩევლად.

12.2.1. აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერი

თავდაცვის კოდექსი სხვა მრავალ საკითხთან ერთად არეგულირებს სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემას, რომელშიც მობილიზაციას დაქვემდებარებული ყველა პირის შესახებ პერსონალური მონაცემები შეიტანება.[512] ელექტრონული სისტემის წარმოება თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში არსებული სსიპ-ის უფლებამოსილების ნაწილია.[513] კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში უნდა იყოს შეტანილი. ერთ-ერთი ასეთი მონაცემი მობილიზაციას დაქვემდებარებულ პირთა აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციაა.[514]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციით დაცული რწმენისა და რელიგიის თავისუფლება სახელმწიფოს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას, არ აიძულოს ინდივიდი განაცხადოს თავისი აღმსარებლობის შესახებ ინფორმაცია ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომლის შედეგადაც დადგინდება, რომ იგი რომელიმე აღმსარებლობის მიმდევარია.[515] ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ განმარტა, რომ ოფიციალურ დოკუმენტში აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერის არსებობა, რომლის შევსება, შესაძლოა, ნებაყოფლობითიც კი იყოს, შეუსაბამოა კონვენციით დაცულ რწმენისა და აღმსარებლობის უფლებასთან.[516] შესაბამისად, აღმსარებლობის შესახებ მონაცემთა დამუშავების დროს სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია დაასაბუთოს ჩარევის შესაბამისობა ეროვნულ თუ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან.

---

[510] იხ. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[511] ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს მიაწოდა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გრიგოლ გიორგაძემ, 2023 წლის 17 იანვარს, თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე.

[512] ასეთი პირები ძირითადად არიან 18-დან 60 წლამდე საქართველოს მამაკაცი მოქალაქეები, რომელთა ჯამური რაოდენობა საქსტატის 2023 წლის მონაცემებით, 1 მილიონ 20 ათასს აჭარბებს.

[513] თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტები.

[514] თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 პუნქტის „კ" ქვეპუნქტი.

[515] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის №19516/06 გადაწყვეტილება საქმეზე, Alexandridis v. Greece, § 38.

[516] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება №21924/05 საქმეზე IŞIK v. TURKEY, §51-53.

თავდაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე,[517] წარმოადგინა შესაძლო ლეგიტიმური მიზნების შესახებ ინფორმაცია, რომლითაც ხელმძღვანელობდა ზემოაღნიშნული ცვლილებების შემუშავებისას.[518] სამინისტროს განმარტებით, სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში პირის აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის შეტანა ხდება შემდეგი მიზნებით:

- ქვედანაყოფის მეთაურს მიეცეს შესაძლებლობა უზრუნველყოს განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევარი მოსამსახურეებისათვის სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში თანაბარი პირობების შექმნა და შესაძლებლობების წარმოჩენის მხარდაჭერა;

აღნიშნული ლეგიტიმური მიზანი ბუნდოვანია და არ გვაძლევს კონკრეტული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. გაუგებარია, თუ რა იგულისხმება განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევარი მოსამსახურეებისთვის „თანაბარი პირობების შექმნაში" და „მხარდაჭერაში".

- სარეზერვო მომზადების პერიოდში გათვალისწინებული იქნეს, აღმსარებლობიდან გამომდინარე, საკვების მიღებასთან დაკავშირებული სპეციფიკა;

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებულია სამხედრო მოსამსახურეებისთვის საკვების მიწოდებისას მათი რწმენისა თუ რელიგიური აღმსარებლობის თავისებურებები გაითვალისწინოს, აღნიშნული ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება აღმსარებლობის შესახებ რეესტრის წარმოების საკმარისი საფუძველი. კერძოდ, სამინისტროს ამ მიზნის მიღწევა სხვა, ნაკლებად მზღუდავი საშუალების გამოყენებითაც შეუძლია. მაგალითად, უწყებას შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი შეზღუდვების შესახებ. ამ გზით უფლების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი დადგინდება, რადგან რელიგიურის გარდა, სამხედროს, შესაძლოა, ჰქონდეს სხვა შეხედულებებიც - მაგალითად, იყოს ვეგეტარიანელი. ეს უკანასკნელი კი, ბუნებრივია, აისახება მისი კვების სპეციფიკაზე.

- საომარი მოქმედებების დროს სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში, მისი რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისად ჩატარდეს დაკრძალვისა და პატივის მიგების ღონისძიებები;

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი დაკრძალვისა და პატივის მიგების რელიგიური ნაწილის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ოჯახთან ერთად.[519] სამხედრო პატივით დაკრძალვის ღონისძიების ორგანიზებისათვის შექმნილი დამკრძალავი ჯგუფი გარდაცვლილის ოჯახთან შეთანხმებით, მასთან კოორდინირებულად მოქმედებს.[520]

- სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე ხელი შეეწყოს რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებას კანონმდებლობის შესაბამისად;

---

[517] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 4 აგვისტოს №12-5/765 წერილი.
[518] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2023 წლის 16 აგვისტოს №MOD 6 23 00959851 წერილი.
[519] „სამხედრო ცერემონიალებისა და სარიტუალო ღონისძიებების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის №14 ბრძანების დანართის მეორე მუხლი.
[520] იქვე.

სამინისტროს მიერ დასახელებული მიზნის მიღწევა უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალებითაც შეიძლება. სამხედრო მოსამსახურეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიმართონ მათ ხელმძღვანელობას, თუ ექნებათ სურვილი ჩაატარონ რომელიმე რელიგიური რიტუალი და მოითხოვონ შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა.

- არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის რეზერვში ჩარიცხული პირები არ გამოიძახონ სამობილიზაციო რეზერვში.

თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მიხედვით, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში მიეთითება პირის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის შესახებ ინფორმაცია.[521] ამდენად, სამინისტროს მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, უზრუნველყოფილია თავად თავდაცვის კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე და სამინისტრო ისედაც ფლობს ინფორმაციას პირთა მიერ ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სახალხო დამცველის მოსაზრებით, თავდაცვის კოდექსის ჩანაწერი, რომელიც სამხედრო სამობილიზაციო რეზერვს დაქვემდებარებულ პირთა აღმსარებლობის შესახებ სამობილიზაციო ბაზაში ჩანაწერის არსებობის ნორმატიულ საფუძველს ქმნის, ბადებს კითხვებს, თუ რამდენად საკმარისი და პროპორციულია სახელმწიფოს მიერ მოხმობილი არგუმენტები პირთა რწმენისა და რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად.

12.2.2. გასაჩივრების მექანიზმი

თავდაცვის კოდექსის ჭრილში, საინტერესოა კიდევ ერთი ცვლილება, რომლითაც შეიცვალა კოდექსის მიდგომა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევასა თუ არასამხედრო ალტერნატიულ სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული აქტების გასაჩივრების საკითხზე. თუ ცვლილების შეტანამდე აღნიშნული ამ მოქმედება მათი გასაჩივრებისას ავტომატურად ჩერდებოდა, ცვლილების შემდგომ გასაჩივრება ავტომატურად არ აჩერებს ამ აქტების მოქმედებას და მას მხოლოდ საგამონაკლისო ხასიათი შესაძლოა ჰქონდეს.[522] **ასევე დადგინდა აქტების გასაჩივრებისა და სასამართლოს მიერ მათი განხილვის მოკლე ვადები.** ამ დავებს უზენაესი სასამართლო აღარ განიხილავს. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრების ეს წესები ასევე შეეხება ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში გაწვევაზე უარის თქმასაც და ამ თვალსაზრისით რელიგიის თავისუფლებაზეც ექნება გავლენა. ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში გაწვევის უფლებით სარგებლობენ როგორც სასულიერო პირები, ასევე პირები, რომლებიც რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურის გავლაზე.

საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სამხედრო კომისარიატების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტომატური შეჩერება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანი გარანტიაა ინდივიდებისთვის და იცავს მათ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან, მანამ სასამართლო

[521] თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.
[522] იხ. თავდაცვის კოდექსის 57-ე მუხლის მე-10 ნაწილი და 67-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეა.[523] მნიშვნელოვანია ამ გარანტიას ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობაც. რაც შეეხება კანონმდებლობაში შეტანილ სიახლეს, სახალხო დამცველი პრაქტიკაში დააკვირდება, რამდენად დაიცავენ სასამართლოები დავების განხილვის ახალ ვადებს და რა გავლენა ექნება სასამართლო პრაქტიკას რელიგიის თავისუფლებაზე.

12.3. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში შენარჩუნდა იეჰოვას მოწმეთა მიმართ შეურაცხყოფისა და ძალადობის მწვავე ფაქტების შემცირების ტენდენცია.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა იეჰოვას მოწმეების მიმართ აგრესიის გამოხატვისა და თავდასხმის ორი შემთხვევა. ერთ-ერთი განცხადების თანახმად, თბილისში, „გალერია თბილისის" მიმდებარე ტერიტორიაზე სტენდთან მდგომ იეჰოვას მოწმეებს უცნობი პირი დაესხა თავს. გარდა თავდასხმის ფაქტისა, იეჰოვას მოწმეები მიუთითებდნენ, რომ გამოკითხვის პროცესში, პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ, გამოკითხვის ოქმში მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი აღენიშნათ, რამდენადაც ფიზიკური ძალადობის მითითების შემთხვევაში, საქმეზე სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება მოუწევდათ. საქმეს სპეციალური საგამოძიებო სამსახური სსსკ-ის 156-ე მუხლის საფუძველზე შეისწავლის. 2024 წლის იანვრის მდგომარეობით, იეჰოვას მოწმეები დაზარალებულად არ უცნიათ და არც კონკრეტული პირის მიმართ წაუყენებიათ ბრალი. მეორე შემთხვევა შეეხებოდა გორში, წმინდაწყლის დასახლებაში სტენდთან მდგომი იეჰოვას მოწმეების ცემის ფაქტს. იეჰოვას მოწმეებს აგრესიულად განწყობილმა კაცმა ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდა, რის შემდეგაც რელიგიური ნივთები გზაზე გადაყარა და ერთ-ერთ წევრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება სსსკ-ის 156-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო. იეჰოვას მოწმეებს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭათ, ხოლო ბრალდებულის სახით დაკავებულ პირს ბრალი წარედგინა - მრწამსის გამო და რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით განხორციელებული დევნისთვის.[524]

12.4. სამშენებლო ნებართვების მოპოვების პრობლემა

საანგარიშო პერიოდში, 2022 წლის 16 მარტს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხმა, სოფელ კალინინოში სალოცავის მშენებლობის ნებართვის მისაღებად მიმართა. მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურმა განცხადება დაახარვეზა, იმ მიზეზით, რომ დოკუმენტაცია არ ყოფილა სრულყოფილად წარმოდგენილი, ამასთანავე, არ ჰქონდათ სსიპ რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს პოზიცია.[525]

---

[523] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, „დიაგილევი რუსეთის წინააღმდეგ" (საჩივრის ნომერი: 49972/16), პარა. 77.

[524] 2023 წლის 13 ოქტომბერს, სისხლის სამართლის საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაიგზავნა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 28 დეკემბრის წერილი SIS 7 23 00024232; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244.

[525] საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში - ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2024 წლის 23 იანვრის წერილი №01/75.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სალოცავი შენობა-ნაგებობის ასაშენებლად სამშენებლო ნებართვის მიღების წინაპირობად სააგენტოს პოზიციის წარდგენის ვალდებულებას,[526] ადმინისტრაციული ორგანო კი ვალდებულია, მხოლოდ ის საბუთი/ინფორმაცია მოსთხოვოს განმცხადებელს, რაც კანონმდებლობით არის პირდაპირ განსაზღვრული. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელია კანონით გაუთვალისწინებელი საბუთის ან ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.[527] შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, კანონთან შეუსაბამოა სალოცავის მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი განცხადების დახარვეზება იმის გამო, რომ განცხადებას არ ახლდა სსიპ რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს პოზიცია. [528]

დასანანია, რომ კვლავ გადაუჭრელია ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი. 2017 წელს დაწყებულ დავაზე უზენაესმა სასამართლომ 2023 წლის 25 მაისს საქმე ისევ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა განსახილველად.[529] საყურადღებოა, რომ ბათუმის მერის გადაწყვეტილების კანონიერება სახალხო დამცველმა 2017 წელს შეისწავლა და დაადგინა, რომ გადაწყვეტილება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე იყო მიღებული. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ბათუმის მერიას და მშენებლობის ნებართვაზე უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, ახალი დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.[530]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება თავდაცვის კოდექსში და გაუქმდეს თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერი;
- საქართველოს შრომის კოდექსში გაიწეროს ალტერნატიული საკანონმდებლო დათქმა, რომელიც არამართლმადიდებელ მოსახლეობას მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული დასვენების შესაძლებლობას მისცემს;
- სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავდეს რესტიტუციის შესახებ კანონი,

---

[526] იხ. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255.

[527] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

[528] ამ პრობლემაზე, არასამთავრობო სექტორი ჯერ კიდევ 2017 წელს ამახვილებდა ყურადღებას, რასაც თბილისის სააპელაციო სასამართლოც იზიარებს. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), სასამართლო: რელიგიურ მშენებლობაზე სააგენტოს რეკომენდაციის მოთხოვნა უკანონოა, 2017. < https://shorturl.at/bHMR3 > [14.02.2024].

[529] აღსანიშნავია, რომ ბათუმის ახალი მეჩეთის საქმეზე 2017 წელს დაწყებული დავა უზენაესმა სასამართლომ 2023 წლის 25 მაისს საქმე ისევ სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა განსახილველად. იხ. ბათუმის ახალი მეჩეთის საქმე, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023, < https://shorturl.at/qORV5 > [06.02.2024].

[530] სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 150.

რომელიც საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისათვის ჩამორთმეული ქონების ისტორიული მესაკუთრისათვის დაბრუნების წესს, კრიტერიუმებს, პასუხისმგებელ უწყებებსა და ვადებს განსაზღვრავს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- აღრიცხოს საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისათვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას:

- რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის სამშენებლო ნებართვის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დროს აღმოფხვრას განმცხადებლისთვის სსიპ რელიგიის საკითხთა სააგენტოს პოზიციის წარდგენის მოთხოვნის უკანონო პრაქტიკა.

13.თანასწორობის უფლება

13.1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი თითქმის ათეული წელია ქვეყანაში თანასწორობის მექანიზმს წარმოადგენს და თანასწორობის კუთხით არსებულ ვითარებას ყოველწლიურად აფასებს სპეციალური თუ საპარლამენტო ანგარიშის ფარგლებში.

მთლიანობაში 2023 წელს სახელმწიფოს, თანასწორობის პოლიტიკის და დაუცველი ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რაიმე არსებითი ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს, არ გაუმჯობესებულა არც პოლიტიკის დოკუმენტები, არც საკანონმდებლო რეგულირება და პოლიტიკოსებს თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არც ამ საანგარიშო პერიოდში გაუწევიათ არსებითი ძალისხმევა თანასწორუფლებიანობის დასამკვიდრებლად.

თანასწორობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული გამოწვევების დასაძლევად, კიდევ ერთხელ დადასტურდა თუ რამდენად მნიშვნელოვანია კომპლექსური და მრავალშრიანი ღონისძიებების გატარება ცნობიერების ასამაღლებლად.

13.2.ქალთა თანასწორუფლებიანობა

გასულ წლებში ქალთა უფლებების გაძლიერებისკენ, როგორც საკანონმდებლო გარანტიების შექმნის, ისე ცნობიერების ამაღლების კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა 2023 წელმა დაადასტურა რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორუფლებიანობის მიღწევა კვლავ სერიოზული გამოწვევაა. საანგარიშო პერიოდში ქალები კვლავ მომართავდნენ სახალხო დამცველის აპარატს სექსუალური შევიწროების ფაქტების შესახებ. საყურადღებოა, რომ მიმდინარე საანგარიშო წელს სახალხო დამცველის აპარატმა პირველად შეისწავლა აკადემიურ სივრცეში სექსუალური შევიწროების საქმეები. ამასთანავე, კვლავ პრობლემური იყო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსიზმი და სქესის ნიშნით ექსპლიციტურად დამამცირებელი ენის გამოყენება. სახალხო დამცველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოსთვის უმნიშვნელოვანესია, საჯარო სივრცე თავისუფალი იყოს მტრული გარემოსგან და არ ისახავდეს მიზნად ქალების დამცირებას, შეურაცხყოფას და მათ მიმართ მუქარას.

ქალთა თანასწორუფლებიანობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სპორტსმენი ქალების წინაშე არსებული გამოწვევებიც, რაზეც სახალხო დამცველმა გასულ წლებში დაიწყო მუშაობა.[531] ამ მხრივ, მისასალმებელია, რომ 2023 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია[532] და შედეგად, შესაძლებელი გახდა ქალი ფეხბურთელების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა, რაც თანასწორუფლებიანობის მიღწევის პროცესში მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია.

[531] დამატებით იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში გვ. 6-7.
[532] დამატებით იხ. < https://rb.gy/8xa2mo > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

13.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

ბოლო წლებში საკანონმდებლო დონეზე გადადგმული არაერთი დადებითი ნაბიჯის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის, უსინათლო პირთათვის, ამ დრომდე სერიოზულ გამოწვევად რჩება წვდომა ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, საბანკო თუ სხვა მომსახურებებზე. პრობლემურია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ინკლუზიური და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული განათლების უზრუნველყოფაც. ამ დრომდე არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს არსებულ შენობა/ნაგებობებსა და ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის დროულ უზრუნველყოფას. საგულისხმოა ისიც, რომ უკვე დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით („მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“) განსაზღვრული სტანდარტები პრაქტიკაში ეფექტიანად არ სრულდება.

მნიშვნელოვანია შეფასების სამედიცინო მოდელის დროულად ჩანაცვლება ბიოფსიქოსოციალური მოდელით, რის შესახებაც სახალხო დამცველმა, გასულ წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ზოგადი წინადადებით მიმართა.[533]

13.4. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა წინაშე არსებული სისტემური გამოწვევები

განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები სათანადოდ ვერ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ პრობლემებს, რის შედეგადაც, არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები კვლავ მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგანან. განსაკუთრებით აქტუალურად იკვეთება პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში, *უფროსი, წამყვანი* და *მენტორი* მასწავლებლის სტატუსის მოპოვების სირთულე.[534] ეს საკითხი კომპლექსური ხასიათისაა და არაერთი მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორისაა: სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე, უფროსი თაობის მიერ ენის შესწავლის სირთულე და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მეთოდებისა და წამახალისებელი აქტივობების სიმწირე, უფროსი თაობის ადამიანებში ქართული ენის შესწავლის ნაკლები მოტივაცია, სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების არასაკმარისი გეოგრაფიული არეალი და სხვ. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებს პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა დაგვიანებით

[533] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/41lDuQA > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[534] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე №5852/23.

მიეცათ, რამაც ამ სკოლის/სექტორების მასწავლებლები, ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოუწოდა[535], სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენის მიზნით და მათზე საპასუხოდ, განიხილოს პროფესიული განვითარების სქემა და შესაბამის უწყებებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, დაგეგმოს აქტივობები, რომლებიც დროულად და ეფექტიანად უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებისთვის სტატუსების ცვლის შესაძლებლობას; ასევე, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, გააფართოოს პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში და დანერგოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფროსი თაობის საჭიროებებზე მორგებული სწავლების კომპონენტები.

13.5.ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა

გასული წლების მსგავსად, ლგბტ+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა ისევ გამოწვევად რჩება. ლგბტ+ თემის წევრები კვლავ ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლები არიან და ეს საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებით, სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებით და სხვა სახის დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით არის გამოწვეული.

ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი პირები, თავიანთი მოქმედებებითა და განცხადებებით, ხელს უწყობენ ჰომოფობიური განწყობების გავრცელებას, დისკრიმინაციის წახალისებას და, ამავე დროს, ჩადიან ქმედებებს, რომლებიც, ხშირად, ლგბტ+ ადამიანების უფლებების მძიმე დარღვევაში გამოიხატება.

აღნიშნულ გამოწვევებზე საქართველოს სახალხო დამცველმა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისათვის, იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ წარდგენილ კომუნიკაციაშიც მიუთითა. მასში განხილულია: ჰომოფობიური ხასიათის განცხადებები, 2023 წლის 8 ივლისს პრაიდ ფესტივალის ძალადობრივი ჩაშლა, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე (მათ შორის, 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებზე) მიმდინარე გამოძიებისა და სამართალწარმოების ხარვეზები, სტატისტიკის წარმოება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე და ლგბტ+ თემის უგულებელყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის ახალ ეროვნულ სტრატეგიაში.[536] ლგბტ+ პირთა და მათი მხარდამჭერების მიერ

[535] 2024 წლის 17 იანვრის ზოგადი წინადადება არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების წინაშე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/e61hgo> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[536] დამატებით იხ. <https://rb.gy/s4rzmj > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა არსებითად არის გართულებული. ეს დაკავშირებულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან როგორც საჯარო სივრცეში, ასევე დახურული ღონისძიების ფარგლებში, კერძო საკუთრების ტერიტორიაზე, ამ უფლებების რეალიზებისთვის ძალადობრივი ქმედებებით ხელშეშლასთან, რასაც ადასტურებს 2023 წლის 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის" ფესტივალის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

სახალხო დამცველის შეფასებით, 8 ივლისს განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლგბტ+ თემის დაცვა, ამ მასშტაბის ძალადობის და დისკრიმინაციის მხოლოდ საპოლიციო ძალების გამოყენებით შეჩერება შეუძლებელია და ხშირად - არასაკმარისიც. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა კომპლექსური, დროში გაწერილი და სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების გატარება, სხვადასხვა უწყების და ფართო საზოგადოების ჩართულობით.

13.6. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

შრომით ურთიერთობაში სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეები იმ დავების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის შესახებაც მოქალაქეები ყველაზე ხშირად მოგვმართავენ. წინა წლების მსგავსად, 2023 წელს განმცხადებლები დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად ძირითადად განსხვავებულ მოსაზრებასა და პროფკავშირულ საქმიანობაზე მიუთითებდნენ. ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განმცხადებლები მათი შრომითი უფლებების შეზღუდვას სახალხო დამცველის აპარატისთვის გარკვეული ინფორმაციის მოწოდებას უკავშირებდნენ.

მიმდინარე წელს სახალხო დამცველის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სხვადასხვა სექტორში დასაქმებული პირების საპროტესტო გამოსვლები თუ გაფიცვები. სახალხო დამცველმა მოუწოდა დამსაქმებლებს, დასაქმებულების მხრიდან შრომის არსებით პირობებთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოთქმის შემთხვევებში, მათთან აქტიური კომუნიკაცია იქონიონ, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა კონსენსუსის მისაღწევად და თავი შეიკავონ ღირსების შემლახავი და დისკრიმინაციული ქმედებებისგან. მით უმეტეს, არ მიმართონ ისეთ რადიკალურ ღონისძიებებს, როგორიც დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტაა.[537]

დამატებით, ყურადსაღებია, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადება წარუდგინა შრომის ინსპექციის საბჭოს[538] და ასევე, 2023 წელსაც იმსჯელა პლატფორმაზე დასაქმებული პირების დისკრიმინაციის შემთხვევებზე.[539]

---

[537] დამატებით იხ. < https://cutt.ly/twFAQ4jr > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[538] სახალხო დამცველის 2023 წლის 4 სექტემბრის ზოგადი წინადადება სსიპ შრომის ინსპექციის მრჩეველთა საბჭოს, ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/hJNP2 > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[539] სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის რეკომენდაცია შპს „გლოვო აფფ ჯორჯიას" , ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/b6i7gc > [ბოლოს ნანახია 29.03.2024]; სახალხო დამცველის 2023 წლის 4 ივლისის რეკომენდაცია შპს „ვოლტ ჯორჯიას" , ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/fgkzL > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

13.7. დისკრიმინაციული მოპყრობა სერვისისა და მომსახურების სფეროში

მიმდინარე საანგარიშო წელს სერვისისა და მომსახურების მიღების სფეროში უთანასწორობა არაერთი მიმართულებით გამოიკვეთა. კერძოდ, სახალხო დამცველმა სამედიცინო[540] და საგანანმანათლებლო სფეროში დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები გამოავლინა.[541]

ამასთანავე, საანგარიშო წლის დასაწყისში, სახალხო დამცველმა, სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების მიღებაზე საქართველოს მოქალაქეების წვდომის შეზღუდვის ფაქტთან დაკავშირებით 30-მდე შეტყობინება მიიღო.

პრობლემები იკვეთება ასევე მსჯავრდებულთა მხრიდან უმაღლესი განათლების მიღების საფასურის დაფინანსების მიმართულებითაც. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, მართალია, მოქმედებს სოციალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მსჯავრდებულ სტუდენტებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლესი განათლების მიღების საფასური უფინანსდებათ, თუმცა ეს პროგრამა მხოლოდ ციფრული სწავლების ფორმატში ჩართულ სტუდენტ მსჯავრდებულებზე ვრცელდება და კორესპონდენციული სწავლების ფორმით მოსარგებლე მსჯავრდებულ სტუდენტებს პროგრამის მიღმა ტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია ახალი პენიტენციური კოდექსი, რომელიც არსებითად აუმჯობესებს მსჯავრდებულთა წვდომას განათლების უფლებაზე, იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით[542], კორესპონდენციულ სწავლებაში ჩართული მსჯავრდებული სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიღების სწავლის საფასურის დაფინანსების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა არ იგეგმება.

13.8.დისკრიმინაციის წახალისება

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჰომო/ტრანსფობიური განცხადებების გაკეთება, სიძულვილის ენის გამოყენება და მედიაში დისკრიმინაციის წახალისება, კვლავ არსებითი გამოწვევაა. საზოგადოებაში მყარად არის გამჯდარი სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველი დამოკიდებულებები ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ლგბტ+ თემის წევრების მიმართ. შესაბამისად, სექსისტური, ჰომო/ტრანსფობიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის წამახალისებელი საჯარო გამოხატვა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს უარყოფით დამოკიდებულებებს დაუცველი

[540] სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის რეკომენდაცია „ლ.ჯ. და კომპანიას" სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3THFnel > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].
[541] სახალხო დამცველის 2023 წლის 7 სექტემბრის რეკომენდაცია შპს „საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს (სეუს)", განსხვავებული მოსაზრების გამოხატვის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/41HiwS5 > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].
[542] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 9 ოქტომბრის №11389 კორესპონდენცია; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 21 დეკემბრის №14400 კორესპონდენცია.

ჯგუფების მიმართ, რის წინააღმდეგაც ბრძოლა საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა.

შესაბამისად, სახალხო დამცველი, განსაკუთრებით საჯარო პირებს, დამსაქმებლებს, და ჟურნალისტებს/მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს, არ დაუშვან დისკრიმინაციული გამონათქვამების გავრცელება და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ საკუთარ როლს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და სტიგმის დაძლევასა და ქვეყანაში თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობაში.

ამავე პერიოდში პრობლემური იყო საჯარო/პოლიტიკურ/საზოგადოებრივ სფეროში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური შინაარსის და დისკრიმინაციის გამაძლიერებელი განცხადებები/გამონათქვამები.[543] სახალხო დამცველი გმობს საზოგადოებრივად და სოციალურად აქტიურ ქალთა მიმართ სექსისტურ დამოკიდებულებასა და დისკრიმინაციის წამახალისებელ გამონათქვამებს, რაც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, აკნინებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და აძლიერებს ქალის როლთან დაკავშირებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ არასწორ და დამამცირებელ სტერეოტიპებს. მაშინ, როცა საქართველოში ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება, ასეთი ქმედებები მტრულ გარემოს ქმნის ქალი პოლიტიკოსებისთვის და, ზოგადად, ამძიმებს პოლიტიკურ გარემოს.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის „ო" ქვეპუნქტის თანახმად, „საქართველოს პარლამენტის წევრისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება". თუმცა საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს ეფექტიან და ქმედით მექანიზმებს პარლამენტის წევრების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს თანათავმჯდომარეები არჩეულები არ არიან. შესაბამისად, საბჭოს ფორმატით ეს საკითხები ვერ განიხილება.[544]

13.9. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

გასული წლის მსგავსად, აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში კვლავ იკვეთება გამოწვევები სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიმართულებით. ამისი

---

[543]ირაკლი ბერაია თეონა აქუბარდიას: *„მისწაირებთან და ვიღაც-ვიღაცებთან სელფების გადაღებისა და გაფეისბუქების საშუალება, აეროპორტის ლაუნჯებში შესვლის, იქ გასკდომისა და გამოთრობის საშუალება და გაშხლართვის. ვინც მას იცნობს, ძალიან კარგად მიხვდება, მე რაზე ვსაუბრობ. და შესაბამისად, მოვუწოდებ ამ ადამიანს, მისი გრძელი და ყველგან ნამყოფი ენით, ჩემი და ჩემი კომიტეტის სახელის ხსენებისგან თავი შეიკავოს".* 2023 წლის 31 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=zyb7RiCYptM

[544] სახალხო დამცველი ამ პრობლემაზე წინა წლებშიც, მათ შორის, 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც მიუთითებდა. იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022 წელი, გვ. 152-153. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/41DVAmU > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

მიზეზია, ერთი მხრივ, მოწყვლადი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის კუთხით სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებების არასათანადო შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფებისა და მათი ლიდერების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე არაეფექტიანი რეაგირება. სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ განცხადებებში განმცხადებლები კვლავ მიუთითებდნენ სამართალდამცავთა მიმართ ნდობის ნაკლებობაზე, ასევე, მათი მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინოლოგიისა და ჰომოფობიური დამოკიდებულებებისა თუ განწყობების გამოხატვის პრაქტიკაზე.

აღნიშნული გამოწვევები ნათლად გამოვლინდა მიხეილ მშვილდაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ჭრილში.[545] 2023 წლის 27 ივნისს მიხეილ მშვილდაძეს თავს დაესხა მისთვის უცნობი პირი, რომელმაც დაარტყა არაერთხელ, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი. ფაქტზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო, რომელიც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პროკურატურამ, რომელმაც საქმეზე კვალიფიკაცია არ შეცვალა, **სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა სავარაუდო დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი.** სახალხო დამცველის პოზიციით, ცემა და ძალადობა, რომელიც მოტივირებულია კონკრეტული პირის მხრიდან გამოხატული აზრისა თუ შეხედულების მიუღებლობითა და სიძულვილით, დაკვალიფიცირებული უნდა იყოს სპეციალური მუხლით, კერძოდ, ფიზიკური ძალადობით განხორციელებულ დევნად, გამოხატული აზრის გამო.[546] სწორედ ამგვარი ქმედება კრიმინალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რომელიც არამხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის, არამედ, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.

იდენტური პრობლემა შეიძლება დასახელდეს ზურაბ გირჩი ჯაფარიძის მიმართ 2023 წლის 17 ივნისს განხორციელებული ძალადობის შემთხვევაზეც[547]. ზურაბ გირჩი ჯაფარიძეც, აგრეთვე, სავარაუდოდ, ძალადობის მსხვერპლი გახდა მისი გამოხატული პოზიციისა და პოლიტიკური მოსაზრებების, აფილირების გამო. მოცემულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, საფუძველი არსებობდა გამოძიების სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით გაგრძელების, გამოხატული აზრის გამო დევნის ფაქტზე. როდესაც გამოძიებისათვის ცნობილი გახდა ზურაბ გირჩი ჯაფარიძეზე განხორციელებული თავდასხმის სავარაუდოდ გამოხატული მოტივი, ეს სისხლის სამართლის საქმეც შემდგომი გამოძიებისათვის, სისხლისსამართლებრივი განსჯადობის შესაბამისად, გენერალურ პროკურატურას სპეციალური საგამოძიებო

[545] სისხლის სამართლის საქმის მასალები სრულად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა
[546] სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[547] სისხლის სამართლის საქმის მასალები სრულად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა.

სამსახურისათვის უნდა გადაეცა და გამოძიება სპეციალური კვალიფიკაციით გაგრძელებულიყო.

კიდევ ერთი საქმე ეხება სამოქალაქო აქტივისტს, სამირა ბაირამოვას. 2023 წლის 4 ოქტომბერს მის საცხოვრებელი ბინის კარზე უცნობმა პირებმა ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო - ჯვარი და რუსეთის დროშა დახატეს.[548] ამ შემთხვევას სპეციალური საგამოძიებო სამსახური სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე იძიებს.[549] სამირა ბაირამოვა დაზარალებულად ჯერ კიდევ არ უცნიათ, არც კონკრეტული პირის მიმართ წარუდგენიათ ბრალი ამ ეტაპისთვის.[550]

ზემოაღნიშნული რამდენიმე საქმის ფარგლებში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, გამოძიების მიერ შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა ერთ-ერთი გამოწვევა იყო. იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის გამოძიებისას შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთასა და სწორ კვალიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების აღსასრულებლად, არამედ, მომავალში მსგავსი დანაშაულების თავიდან ასარიდებლად, სამართალდამცავი უწყებების მიმართ უნდობლობის დასაძლევად და სტატისტიკური მონაცემების სწორად დასამუშავებლად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ძალისხმევა.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განისაზღვროს სასჯელის მინიმალური ვადა, რომელიც სასჯელის ნაწილში შეესაბამება ამავე კოდექსის 53[1] მუხლით დადგენილ სტანდარტს და არ დატოვებს 6 თვით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას;

- უზრუნველყოს ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში რეალური შესრულება ქმედითი მექანიზმის ფარგლებში და პარლამენტის წევრების მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი ენის გამოყენების შემთხვევაში, გაატაროს ეთიკის კოდექსით დადგენილი დისციპლინური სანქციები.

[548] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3RYZ6F9 > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].
[549] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 28 დეკემბრის წერილი SIS 7 23 00024232
[550] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შენობა/ნაგებობებზე და ინფრასტრუქტურაზე ფიზიკური წვდომის უზრუნველსაყოფად, დროულად შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, ხოლო ინფორმაციასა და საკომუნიკაციო საშუალებებზე შესაბამისი სტანდარტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ინტენსიური და განგრძობადი გადამზადება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საკითხებზე.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- უზრუნველყოს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომელთა განგრძობადი გადამზადება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- შეიმუშაოს ცვლილებების პროექტი, რომელიც შესაძლებელს გახდის „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" 2022 წლის 6 სექტემბრის ბრძანებით №864-№100/ნ გათვალისწინებული სოციალური პროგრამის მოქმედების კორესპონდენციულ სწავლებაში ჩართულ სტუდენტ მსჯავრდებულებზე გავრცელებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- არაქართულენოვანი სკოლის/სექტორის მასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემის გადასახედად და მათი სპეციფიკური საჭიროებების გამოსავლენად, რელევანტურ სსიპ-ებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რაც არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებს მისცემს სტატუსების დროულად და ეფექტიანად შეცვლის შესაძლებლობას;
- უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაცია და გააფართოოს ამ პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში და დანერგოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფროსი თაობის საჭიროებებზე მორგებული სწავლების კომპონენტები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშესაწყობად, სკოლის მასწავლებლებს მიაწოდონ ინფორმაცია/გადაამზადონ სწავლების მიდგომებისა და სტრატეგიების ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ.

14. გენდერული თანასწორობა

14.1. შესავალი

საქართველოს ძალისხმევას, გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით, გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და პოლიტიკის დონეზე, თუმცა ამ მიმართულებით კვლავ არაერთი გამოწვევა რჩება. უთანასწორო გარემო ხელს უშლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა თანაბარ მონაწილეობას. საყურადღებოა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა, გადაწყვეტილების მიღებისა და სამშვიდობო პროცესში მათი ჩართულობა და გაძლიერება.

საანგარიშო პერიოდში, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კუთხით, დადებითი ნაბიჯები გადაიდგა, მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით აღმოიფხვრა არსებული ბარიერი და თავშესაფრის თუ კრიზისული ცენტრის სერვისი მსხვერპლს რეალურ საჭიროებებზე დაყრდნობით მიეწოდება. ასევე, გადაიხედა ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების კრიტერიუმები და ძალადობის მსხვერპლთათვის გაიზარდა ელექტრონულ ზედამხედველობაზე წვდომის შესაძლებლობა. თუმცა კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან სრულყოფილად შესაბამისობის საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება. დაგვიანებით დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების" დოკუმენტი. სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა 2024-2026 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის გენდერული თანასწორობის ქვეთავი იმეორებს თემატური ეროვნული სამოქმედო გეგმების[551] ამოცანებსა და აქტივობებს.[552] არაერთი გამოწვევა რჩება ძალადობის თავიდან აცილების, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით, შედეგად, ქალთა მკვლელობის/მკვლელობის მცდელობების შემთხვევების სიმრავლე კვლავ საგანგაშოა.

პრობლემად რჩება ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა და გოგოების სათანადოდ დაცვა. გამოწვევაა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლების ეფექტიანი განხორციელება და სერვისებზე წვდომა.

14.2.ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული გენდერული სტერეოტიპები, დამოკიდებულებები გენდერული როლების მიმართ და უთანასწორო გარემო. 2023 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ეროვნული კვლევის[553] თანახმად, ქალების 59.9%-ს და კაცების 74.7%-ს

---

[551] ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა; ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

[552] აღსანიშნავია, რომ თემატური სამოქმედო გეგმების ვადა 2024 წელს იწურება და საჭიროა დროულად შემუშავდეს 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმები.

[553] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022, მისაწვდომია: < https://shorturl.at/agUY4 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

კვლავ მიაჩნია, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შინამეურმეურნეობის გაძღოლაა.[554] ამგვარი დამოკიდებულებები ქალებისთვის კიდევ უფრო ამძიმებს შინ შრომისა და არათანაბარი ზრუნვის ტვირთს.

2023 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის[555] მიხედვით, საქართველომ, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მაჩვენებლით, მნიშვნელოვანი რეგრესი განიცადა და 57-ე ადგილიდან 91-ე ადგილზე გადაინაცვლა. პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების მიხედვით კი, საქართველო 26 ქალით[556] პარლამენტში, 121-ე ადგილიდან 128-ე ადგილზე გადავიდა. ამასთანავე, საქართველოში მინისტრების პოზიციაზე ქალები მხოლოდ 16.67%-ს შეადგენენ.

2023 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად,[557] ქალ პოლიტიკოსთა ნახევარზე მეტს (54%) განუცდია ამა თუ იმ ტიპის ძალადობა პოზიციაზე ყოფნის პერიოდში, ან საარჩევნო კამპანიის განმავლობაში. ასევე, გამოკითხულ პოლიტიკოსთა ნახევარზე მეტს (56%) პირადად გამოუცდია დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე. ამის პარალელურად, 2023 წელს დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა მინიმალურად ითვალისწინებს ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას, პოლიტიკაში გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას და რეალურ შედეგზე ორიენტირებული არ არის.[558] დამატებით, ქალი პოლიტიკოსების მიმართ საჯარო პირების მხრიდან კვლავ ისმის მიზოგინური და სექსისტური განცხადებები.

2023 წლის მონაცემებით, მაღალია აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელე ქალების რაოდენობა.[559] თუმცა, კვლავ დაბალია თავდაცვის სამინისტროში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებულ ქალთა რიცხვი, სადაც უმაღლესი თანამდებობის პირთა 16.7%-ია ქალი, ხოლო I-II რანგის საჯარო მოხელეთა 31.9% ქალია. კიდევ უფრო დაბალია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებული ქალების პროცენტული წილი, სადაც

---

[554] კვლევის რესპონდენტების თქმით, ქალებისგან ისეთი გენდერული როლების შესრულებას მოელიან, რომელიც ოჯახსა და ქორწინებას ანიჭებს უპირატესობას და საკუთარი საჭიროებებისა და სურვილების უკანა პლანზე გადაწევის ხარჯზე სხვებზე ზრუნვას ითვალისწინებს. ქალისგან კაცისადმი დაქვემდებარებასა და მის შემწყნარებლობას მოელიან. ამის საპირისპიროდ, კაცებისგან მოელიან, რომ იყვნენ ძლიერები, აგრესიულები და დომინანტურები და, ასევე, იყვნენ ოჯახის მარჩენლები და ლიდერები.

[555] ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/fyJY4 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

[556] მონაცემები ასახულია 2023 წლის 1-ლი დეკემბრის მდგომარეობით.

[557] კვლევა ჩაატარეს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და CRRC-საქართველომ, მისაწვდომია: <https://shorturl.at/rzOX5 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

[558] აღნიშნული სამოქმედო გეგმის მხოლოდ აქტივობა 21.2.3 (საარჩევნო სუბიექტების/ქალი კანდიდატების გადამზადება) და აქტივობა 21.2.4 (თავდაცვის ძალებში სამეთაურო პოზიციებზე ქალ სამხედრო მოსამსახურეთა დაწინაურების ხელშეწყობა, შესაბამისი პოლიტიკის უზრუნველყოფით) ეხება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას.

[559] აქვე, აღსანიშნავია, რომ მონაცემები თანამდებობების მიხედვით განსხვავდება. მაგალითისათვის, III-IV რანგის საჯარო მოხელეების 63.8% ქალია, ხოლო I-II რანგის საჯარო მოხელეების 49.8% - ქალი. მაშინ როდესაც, უმაღლესი თანამდებობის პირების 40.9%-ია ქალი. საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი № გ177; 12.03.2024.

I-II რანგის საჯარო მოხელეთა 9.8% ქალია, ხოლო უმაღლესი თანამდებობის პირებიდან არცერთი არ არის ქალი.

უკიდურესად დაბალია სოფლად მცხოვრებ ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოწოდებული ინფორმაციით, სოფლის კრებებზე ნაკლებად საუბრობენ ქალთა საჭიროებებზე. პრობლემად სახელდება ქალების მიერ წამოჭრილი საკითხების მოგვარება.[560]

აღსანიშნავია, რომ გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის თანახმად, 2023 წელს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლით, საქართველო 72-ე ადგილიდან 68-ე ადგილზე დაწინაურდა. საგულისხმოა, რომ ამავე მონაცემების მიხედვით, საქართველოში გოგოები და ბიჭები საბაზო განათლებას თანაბრად იღებენ, ხოლო უმაღლეს განათლებას 11.85%-ით მეტი ქალი იღებს, ვიდრე კაცი. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციებში დასაქმებული ტოპ მენეჯერების მხოლოდ 16.5%-ია ქალი.[561] ამის საპირისპიროდ, მაღალია ქალების დასაქმების წილი პროფესიულ და ტექნიკურ პოზიციებზე, სადაც დასაქმებულების 61.7% ქალია, ხოლო 38.3% - კაცი.[562]

2023 წელს კვლავ მაღალია საგრანტო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში", მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესულ პროექტებში ქალ მეწარმეთა პროცენტული წილი (49.9%). ასევე მისასალმებელია, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები.[563] თუმცა, სოფლად მცხოვრები ქალები კვლავ პრობლემურ საკითხად ასახელებენ ინფორმაციის

---

[560] 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფელ განმუხურში მცხოვრები ქალების მოწოდებული ინფორმაციით, მათი მოთხოვნა სოფელში საბავშვო ბაღის აშენების შესახებ, მრავალი წლის შემდეგ დაკმაყოფილდა, თუმცა სხვა საკითხები, რომლებიც მათ წამოჭრეს, მაგალითად, გარე განათების დამონტაჟება, დღემდე პრობლემურია. სოფელ ეწერფენდში მცხოვრები ქალების თქმით, არაერთხელ დაუყენებიათ ბუნებრივი აირის, გზის ინფრასტრუქტურისა თუ სასმელი წყლის პრობლემები, თუმცა უშედეგოდ. სოფელ კოკში ქალების მიერ წამოჭრილი საკითხები (მაგალითად, გზა, საბავშვო ბაღი, მიუსაფარი ძაღლები) ნაწილობრივ სრულდება. სოფლებში: ტყაია, შამგონა, კოდისწყარო, სარიბარი და ყარაფილა პრობლემად სახელდება ქალების საჭიროებების უგულებელყოფა. ხოლო სოფლებში: საციხური, აბანო, კოდა, ახალუბანი, კარბი, ხვითი და ბოჟამი, ქალები მხოლოდ საერთო კრებებში მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული გენდერული ნორმების და როლების გათვალისწინებით, საბავშვო ბაღებზე, სასმელ წყალზე, ბუნებრივ აირსა და გარე განათებაზე წვდომის შეზღუდვა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

[561] 2023 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსი, მისაწვდომია: <https://shorturl.at/fyJY4 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

[562] 2023 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსი, მისაწვდომია: <https://shorturl.at/fyJY4>ბოლოს ნანახია: 18.03.2024.

[563] 2023 წელს ჩატარდა 8 საინფორმაციო შეხვედრა ქალ მეწარმეებთან. სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო სხვადასხვა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ახორციელებს ქალ მეწარმეთა ხელშემწყობ აქტივობებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი №19/12103; 29.12.2023 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი №10394/01; 29.12.2023.

ნაკლებობას არსებული პროგრამების შესახებ,[564] ასევე, ქალების გადამზადებისა[565] და დასაქმების საჭიროებას.[566] ამასთანავე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად,[567] ქალი მეწარმეები ბიზნესის დაწყებისას მთავარ გამოწვევად საწყის ფინანსურ რესურსზე წვდომას და შინასამეურნეო ვალდებულებებს ასახელებენ.

მისასალმებელია, რომ 2023 წლის 1-ლი იანვრიდან საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის დეკრეტული შვებულება ანაზღაურებადი გახდა.[568] თუმცა ეს საკითხი კვლავ პრობლემურია კერძო სექტორსა და სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს იქ დასაქმებულ ქალებს. ამასთანავე, წინა წლებთან შედარებით, არსებითად გაზრდილია კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო დეკრეტული შვებულების აღების მაჩვენებელი.[569] თუმცა, მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, ამ მიმართულებით საჭიროა ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობის გაგრძელება.

საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ,[570] გაზრდილია მარტოხელა მშობლის სტატისტიკური მაჩვენებელი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მარტოხელა მშობლის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება დასახვეწია.[571]

14.3 .ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

სამწუხაროდ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და განგრძობითი, უკანონო და აგრესიული ქმედებები, ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებს რისკის ქვეშ აყენებს. აღნიშნული მძიმე ზეგავლენას ახდენს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ, განსაკუთრებით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

---

[564] სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრები სოფლებში: ნაშამგუ, ღოღეთი, ხვითი, ბოჟამი, ახალუბანი, ციცაგიანთკარი, ქვემო ხვითი.

[565] გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის თანახმად, გამოკითხულ მეწარმე ქალთა მხოლოდ 9%-ს აქვს გავლილი ტრენინგები მეწარმეობის ან მცირე ბიზნესის მენეჯმენტის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრების მიხედვით, პროექტის წერის ტრენინგის ჩატარების პრობლემა დაასახელეს სოფლებში: ეწერფერდი, კოკი, განმუხური, საციხური, აბანო და კოდა, ღოღეთი, ხვითი, ბოჟამი, ახალუბანი, ციცაგიანთკარი, ქვემო ხვითი, კოშკა, ქარძმანი.

[566] 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრისას, სოფელ ჭალეში ითხოვეს სამკერვალოს ან თიხის ქარხნის გახსნა.

[567] მისაწვდომია: ანგარიში „ქალ მეწარმეთა გამოკითხვა საქართველოში" https://shorturl.at/CILOQ ბოლოს ნანახია: 18.03.2024.

[568] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 იანვრის №33 დადგენილება; მისაწვდომია: https://shorturl.at/hyBMQ ბოლოს ნანახია: 18.03.2024.

[569] საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემით, 2023 წელს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით ისარგებლა სამინისტროებში დასაქმებულმა 16-მა კაცმა, ხოლო სხვა საჯარო სამსახურებში დასაქმებულმა 53-მა კაცმა. შედარებისთვის, 2022 წელს საჯარო სამსახურში ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით ისარგებლა 5-მა კაცმა.

[570] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№1651-VIIIმს-Xმპ) 09.06.2022 მისაწვდომია: < https://shorturl.at/suVX5 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

[571] სტატუსის მინიჭების სტატისტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სტატუსის მინიჭებისას, უმრავლეს შემთხვევაში საფუძველი არ არის მითითებული. ასევე, მარტოხელა დედის სტატისტიკურ მონაცემში შეყვანილია ისეთი საქმეები, სადაც მარტოხელა დედის სტატუსი მინიჭებულია სააქტო ჩანაწერში დედის მონაცემის არარსებობის გამო.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რიგით მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“,[572] ითვალისწინებს ქალთა, მათ შორის, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებისა თუ მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ სხვა მიმდინარე და დაგეგმილ პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრის[573] ფარგლებში, საკითხების, დაახლოებით, 50% ქალთა ორგანიზაციების მიერ იყო დასმული,[574] საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ, მეტიც, მათი ჩართულობა ყველა დონეზე პრობლემად რჩება.

2023 წელს ჟენევის საერთაშირისო მოლაპარაკებების სამი რაუნდი ჩატარდა, სადაც საქართველოს დელეგაციაში ქალთა ჩართულობის კვლავ დაბალი მაჩვენებელია.[575]

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით ქვეყანაში პროექტები ხორციელდება. თუმცა, აღნიშნულ პროექტებში ასევე დაბალია ქალთა ჩართულობა,[576] რაც, შესაძლოა, ზემოხსენებული პროგრამების შესახებ ინფორმაციისა და წვდომის ნაკლებობით აიხსნას.[577]

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას, თუმცა რიგ მუნიციპალიტეტებში პროფესიული საჯარო კოლეჯის სტუდენტების გადასაადგილებლად,

[572] ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/aqGY0 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

[573] შეხვედრების მიზანი იყო როგორც IPRM - შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, მათ შორის, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება.

[574] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი 25/12/2023; №2257.

[575] ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა განისაზღვრება თემატურად, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების კურატორი ან/და ხელმძღვანელი პირებით. შესაბამისად, უწყებათშორის დელეგაციაში მონაწილე ქალების რაოდენობა უშუალოდაა დამოკიდებული კონკრეტული რაუნდისას, ამ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ პირებზე.

[576] 2023 წელს ააიპ ,,მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან 22 განაცხადი დაფინანსდა, რომელთა ბენეფიციარების 43%-ს ქალები შეადგენენ. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან სახელმწიფო პროგრამის, „დანერგე მომავალი“, ფარგლებში 2023 წელს ხელშეკრულება გაუფორმდა 1 ბენეფიციარ ქალს; „აგროდაზღვევის პროგრამით“ ისარგებლა 93 ბენეფიციარმა ქალმა; „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამით“ - 12 ბენეფიციარმა ქალმა; „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამით“ ისარგებლა 1 ბენეფიციარმა ქალმა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი №10394/01; 29.12.2023. ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში გამარჯვებულ ბენეფიციართა მხოლოდ 31,6%-ია ქალი. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წერილი №IDP 1 24 00049090; 16.01.2024.

[577] სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებულ შეხვედრებზე ქალებმა აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია და წვდომა პროექტებზე, ასევე, მაღალია პროექტებზე უარის თქმის მაჩვენებელი.

ტრანსპორტი და სამგზავრო ხარჯები არ არის გათვალისწინებული, რის გამოც ხშირად ქალები და გოგოები უარს ამბობენ განათლების მიღებაზე.[578]

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის წვდომა ფსიქოლოგის მომსახურებაზე. უმეტეს სოფლებში მოსახლეობისთვის მიუწვდომელია მედიკამენტები, ვინაიდან არ არსებობს ქსელური აფთიაქები[579] და ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება ამბულატორიების გამართულობისა თუ მიუწვდომლობის პრობლემა.[580]

14.4.სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

სამწუხაროდ, ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისას[581] გამოიკვეთა სამშობიარო სახლების სიმცირისა და მისაწვდომობის პრობლემა, რამაც შეიძლება საფრთხეს შეუქმნას რიგ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალებისა და ჩვილების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[582]

---

578 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შიდა ქართლის რეგიონში საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ჩატარებული შეხვედრების შედეგად ცნობილი გახდა, რომ პროფესიული სასწავლებლები მდებარეობს გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, შესაბამისად, ქალებისთვის და გოგოებისთვის, ტრანსპორტისა და ფინანსური სახსრების არარსებობის გამო, მიუწვდომელია სასწავლებელი. ასევე არ არის გამოყოფილი არც ტრანსპორტი და არც ფინანსური შეღავათები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

579 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრები: სოფელი ჭალე, ფოცხო-ეწერი, რიყე, კოკი, ეწერფერდი, განმუხური, ქვემო ხვითი, კარბი, ახალუბანი, ბოჟამი, კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა

580 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრები: ფოცხო-ეწერი, ტყაია, ბოჟამო, ხვითი, ღოლეთი, სახიცური, ციცაგიანთკარი. ასევე სახალხო დამცველის ანგარიში „სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგები - ინფრასტრუქტურის შეფასება , ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/eJS29 > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

581 შეხვედრები განხორციელდა სოფლად მცხოვრებ, დევნილ, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებთან.

582 ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის გარდა, ტერიტორიული მიუწვდომლობის გამო სერვისების მისაღებად ქალებს დიდი მანძილის გავლა უწევთ, რაც ტრანსპორტის გარდა სხვა დამატებით ხარჯებს უკავშირდება. ზემოაღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ეხება სამშობიარო და გინეკოლოგის სერვისზე მისაწვდომობის პრობლემას, ასევე დასტურდება სახალხო დამცველის აპარატის მიერ რეგიონებში ქალებთან გამართულ შეხვედრებზე. აღნიშნულის პასუხად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილით MOH 2 24 00345716; 26.03.2024 გვეცნობა, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კუთხით პერინატალური სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებები, ისეა განლაგებული, რომ ფარავენ მაღალმთიან რეგიონებსაც და შესაბამისად, ქვეყნის საჭიროებაზეა მორგებული.

მიუხედავად საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციისა,[583] კვლავ პრობლემურია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული წესი,[584] რომელიც არ ითვალისწინებს ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების მისაღებად მე-13 კვირის შემდეგ მიმართვის საგამონაკლისო შესაძლებლობას, რაც ცალსახად ზღუდავს ორსულთა წვდომას მომსახურებაზე.[585] ასევე, ქალებში დაბალია ინფორმირებულობა ანტენატალური უფასო სერვისების რაოდენობის შესახებ და აღნიშნულ სერვისზე წვდომა.[586]

მისასალმებელია, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მიზნით პაპილომა ვირუსის (HPV) საწინააღმდეგო ვაქცინაციის უფასოდ მიღების ასაკობრივი ჯგუფი გაფართოვდა და ვაქცინით სარგებლობა კაცებსაც შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, რეგიონებში კვლავ დაბალია ინფორმირებულობა ვაქცინასთან დაკავშირებით. ქალების ნაწილს ასევე არ აქვს ინფორმაცია და წვდომა სკრინინგ პროგრამებზე.

სახალხო დამცველი დააკვირდება 2023 წლის 26 ოქტომბრის „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ბრძანების[587] შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს და აღნიშნულ საკითხს მონიტორინგს გაუწევს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ შემუშავებულ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის გაიდლაინთან,[588] სერვისზე წვდომის კუთხით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლებასთან მიმართებით.[589]

ამასთანავე, პატიმრობაში მყოფი ქალებისთვის მიუწვდომელია ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის უფასო სერვისი და საჭიროების შემთხვევაში ქალები თავად იძიებენ სერვისის

---

583 აღნიშნულ თემაზე 2022 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში (გვ 207) გაცემულია რეკომენდაცია.

584 2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით განსაზღვრული დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული წესი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/forv5> [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

585 სოფელ ჩხაკაურაში მცხოვრებმა ქალმა ვერ ისარგებლა 8 უფასო ანტენატალური სერვისით,, ვინაიდან 13 კვირას გადაცილებული იყო როდესაც შეიტყო ორსულობის შესახებ.

586 საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მხრიდან გამოკითხული ქალების ნაწილის თქმით, მათ არ ჰქონიათ ინფორმაცია 8 უფასო ანტენატალური ვიზიტის შესახებ და ხშირ შემთხვევაში, თავადვე ფარავდნენ კონსულტაციების საფასურს.

587 აბორტამდე 5-დღიან მოსაფიქრებელ პერიოდთან ერთად, სავალდებულო ხდება ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან კონსულტაციის გავლა. ამასთან, აბორტისწინა კონსულტაციის და განსაზღვრული 5-დღიანი მოსაფიქრებელი ვადის ამოწურვის შემდეგ, პროცედურამდე ჩატარებული რადიოლოგიური კვლევის შედეგები და სურათი უნდა განთავსდეს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/sILU5 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

588 *WHO. (2022). Abortion Care Guideline. Geneva* , ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/hFJY4 > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

589 ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტი: ,,მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაცია უნდა იყოს მისაწვდომი ქალებისთვის, არჩევანის გაკეთება უნდა ხდებოდეს ნებაყოფლობით". ,,კონსულტაციების უნდა ჩატარდეს ნებაყოფლობით, არ უნდა ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი", ,,როგორც სამედიცინო, ასევე ქირურგიული აბორტისთვის: რეკომენდაცია არ გამოიყენოთ ულტრაბგერითი სკანირება, როგორც აბორტის სერვისის მიწოდების წინაპირობა", ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/hFJY4> [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

გამცემ კლინიკას და ხარჯებსაც საკუთარი სახსრებით ანაზღაურებენ.[590] კვლავ ვლინდება სტერეოტიპული შეხედულებები კონტრაცეპტივების შესახებ, კონტრაცეპტივებისა და ორსულობის ტესტის ყიდვას განსაკუთრებით ერიდებიან ქორწინებაში არმყოფი ქალები. გამოწვევად სახელდება კონტრაცეპტივების მაღალი ფასიც.[591]

აღსანიშნავია, რომ ლგბტ+ ჯგუფი განიცდის ფიზიკურ, ინფორმაციულ, ფინანსურ ბარიერებს. ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სენსიტიურ, მხარდამჭერ და მათ საჭიროებებზე მორგებულ ჯანდაცვის სერვისებზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, მათი ჯანმრთელობის მაჩვენებელზე, უარყოფითად აისახება.[592]

14.5.ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

ქვეყანაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კუთხით გადადგმული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის[593] მიუხედავად, აღნიშნული საკითხი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და კვლავ დგას საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ცვლილებების აუცილებლობა.

წინა წლების მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულყოფილად არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. 2023 წელს სამუშაო ჯგუფმა[594] შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტის პროექტი სისხლის სამართლის კოდექსის 137-139-ე მუხლებში ცვლილებების შესატანად, თუმცა სახელმწიფოს კანონპროექტის დასამტკიცებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. ასევე, კანონი კვლავ არ ითვალისწინებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მათ შორის, სქესობრივი დანაშაულის შედეგად დაზარალებულის დაკითხვის დისტანციურად ჩატარების ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესაძლებლობას.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ შესულა შესაბამისი ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესში. ასევე, კომპენსაციის

---

[590] აღსანიშნავია, რომ სხვა გინეკოლოგიური/რეპროდუქციული სერვისის მიღება პატიმარი ქალებისთვის უფასოა. საქართველოს სახალხო დამცველის №5 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში, ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/rxAKW > [ბოლოს ნანახია: 18.03.2024].

[591] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციით, ქალებისთვის მიუწვდომელია კონტრაცეპტივები, რეგიონში მცხოვრები ქალები და იქ მომუშავე გინეკოლოგები დადებითად აფასებენ წარსულში საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებულ პროექტს, რომლის ფარგლებშიც, ქალები კონტრაცეპტივებს უფასოდ იღებდნენ.

[592] ლგბტ+ ჯგუფის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (საჭიროებების კვლევა) (2023).

[593] მაგალითისათვის, გადაიხედა რისკის შეფასების დოკუმენტი; გაუქმდა მსხვერპლის სტატუსი, როგორც სერვისის მიღების აუცილებელი წინაპირობა.

[594] სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ პარლამენტის, სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლები.

მიმღები პირების რაოდენობის გაზრდის მიზნით,[595] აუცილებელია საზოგადოების მეტად ინფორმირება ამგვარი შესაძლებლობის შესახებ.

კვლავ არ დამტკიცებულა სოციალური მუშაკებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მუშაობისთვის სპეციალური სახელმძღვანელო წესები.[596] წლების შემდეგ, დაგვიანებით დამტკიცდა[597] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების" დოკუმენტი, რომელიც ზოგადად ეხება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ადრეული გამოვლენისა და აღკვეთის პროცესში უწყებების უფლებამოსილებებს და მათი კოორდინაციის საკითხს. აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის პრევენციისთვის სახელმწიფო უწყებების მიერ გადასადგმელ კოორდინირებულ ნაბიჯებს.[598]

---

[595] დადგენილების მიხედვით, სახელმწიფო ზიანს კვლავ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ანაზღაურებს, როდესაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში ამოღებული თანხა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ოდენობის 40%-ზე ნაკლებს შეადგენს. ასევე, კვლავ არ არსებობს სპეციალური წესი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მისი შერაცხადობისა თუ გარდაცვალების გამო. დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სააგენტოში შევიდა 14 განცხადება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით. საიდანაც 10 დაკმაყოფილდა, 3 შემთხვევაში მიმდინარეობს წარმოება და 1 შემთხვევა თავად განმცხადებელმა გაიხმო. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი №SCA 2 24 00060715; 18.01.2024.

[596] ამ თემაზე 2020 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის (გვ. 210) გაცემულია რეკომენდაცია. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე განხორციელებული ძალადობისას სოციალური მუშაკის რეაგირების სამუშაო ინსტრუმენტები. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი №SCA 2 24 00060715; 18.01.2024.

[597] აღსანიშნავია, რომ დამტკიცებული ვერსია მეტწილად განხვავდება მანამდე საქართველოს მთავრობის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის გაზიარებული სამუშაო ვერსიისგან და ამოღებულია რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა დეტალური ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეზე უწყებების მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებების შესახებ.

[598] მაგალითისთვის, დოკუმენტი არ ითვალისწინებს უწყებების მიერ განსახორციელებელ კონკრეტულ პასუხიმგებლობებსა და ღონისძიებებს. ასევე, კოორდინაციის გასაუმჯობესებლად გადასადგმელ კონკრეტულ ნაბიჯებს.



დადებითად უნდა შეფასდეს ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების გაზრდის მიზნით რისკის შეფასების დოკუმენტის გადახედვა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მორგება, რის შედეგადაც გაზრდილია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე GPS მონიტორინგის გამოყენების მაჩვენებელი.[599] თუმცა საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა არასათანადო საფუძვლით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ზოგიერთ საქმეში რისკის შეფასებაზე უარის თქმა.[600] პრობლემად გამოიკვეთა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რიგი საქმეების არასათანადო/არასრულყოფილი გამოძიებაც, რის გამოც, საქმის საპროცესო ზედამხედველ პროკურორს უწევდა მითითებების გაცემა.[601]

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამებში მოძალადეთა ჩართულობის გასაზრდელად.[602]

---

[599] 2023 წელს ელექტრონული ზედამხედველობა დაწესდა 104 პირის მიმართ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 5 24 00461751; 15.02.2024 შედარებისთვის, 2022 წელს ელექტრონული ზედამხედველობა დაწესდა 16 შემთხვევაზე, ხოლო 2021 წელს - 15 შემთხვევაზე.

[600] საქართველოს კანონმდებლობა რისკის შეფასების დოკუმენტის შესავსებად რაიმე სახის სამართლებრივ საფუძველს არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, შესწავლილი საქმეების შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკაში რისკის შეფასების დოკუმენტის შესავსებად სამართლებრივ საფუძველს ითხოვენ და ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვის შემდგომ წყვეტენ, შეავსონ თუ არა რისკის შეფასების დოკუმენტი და, შესაბამისად, გამოსცენ თუ არა შემაკავებელი ორდერი.

[601] სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში პროკურორებს მითითებების გაცემა დასჭირდათ ისეთ ბაზისურ საკითხებზე, როგორიცაა საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად შესწავლა, მათ შორის, საქმესთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირის გამოკითხვა, საჭირო ექსპერტიზების დანიშვნა, მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან არიდება. საქმეები №9947/23, №12949/23, №8723/23, №14140/23, №7140/23, №12977/23, №12280/23, №10390/23.

[602] 2023 წელს 1 იანვრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, აღსასრულებლად შევიდა სააღსრულებო საქმე 302 პირზე, რომლებსაც შეფარდებული ჰქონდათ არასაპატიმრო სასჯელი ოჯახში ძალადობის გამო, ხოლო ძალადობრივი ქცევის კორექციის კურსი გაიარა 185-მა ბენეფიციარმა. ჩატარებული კვლევის თანახმად, მოძალადეები, რომელთაც მიეწოდებოდათ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსი, მეტწილად ავლენდნენ მიმღებლურ დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ, ასევე, უმრავლესობა არ ემხრობოდა გენდერულ ძალადობას, აღნიშნავდნენ, რომ მსხვერპლებმა არ უნდა მოითმინონ ძალადობა და იმოქმედონ მათ შესაჩერებლად. სსიპ დანაშაულის

ასევე, არ შემუშავებულა ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამა იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც დამცავი ორდერია გამოცემული.[603]

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით,[604] 2023 წელს 24 ქალის მკვლელობის ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც 16 შემთხვევაში მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ იყო ჩადენილი. ხოლო მკვლელობის მცდელობის 27 ფაქტიდან 20 ოჯახის წევრმა ჩაიდინა.[605]

მისასალმებელია, რომ 2023 წლიდან ძალადობის მსხვერპლები სახელმწიფო სერვისს სპეციალური სტატუსის მინიჭების გარეშე იღებენ. ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების უმრავლესობაში სერვისით მოსარგებლე პირები თავს მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობენ. თუმცა თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების სერვისი არაერთი გამოწვევით ხასიათდება. წინა წლების მსგავსად, განსაკუთრებით პრობლემურია ბენეფიციართა სოციალური რეაბილიტაცია, ასევე, ზოგიერთი თავშესაფრის ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი ბენეფიციართა უსაფრთხოების მიზნით.

რეგიონში მდებარე კრიზისულ ცენტრებში მიმართვიანობა დაბალია და კვლავ დგას, როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსებით აღჭურვის საჭიროება.[606]

სექსუალური ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად,[607] სექსუალური ძალადობის საქმეებზე გამოძიება, მეტწილად, დროულად, სათანადო კვალიფიკაციით იწყება და საგამოძიებო პროცესი არ ჭიანურდება.[608] თუმცა კვლავ პრობლემად იკვეთება გაუპატიურების ჩადენის ხერხების შეზღუდულად განმარტება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება იმ საქმეებზე, სადაც დანაშაული ჩადენილია ფიზიკური ძალადობის, სიცოცხლის მოსპობის/ქონების განადგურების მუქარით ან შეზღუდული გაგებით დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წერილი №2/5339; 22.01.2024.

[603] ამ თემაზე 2021-2022 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში გაცემულია რეკომენდაცია (2021 წ. - გვ. 157; 2022 წ. - გვ. 206).

[604] საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობების 24 ფაქტიდან 9 შემთხვევაში გენდერის ნიშანი გამოიკვეთა, ხოლო მკვლელობის მცდელობის 27 შემთხვევიდან გენდერის ნიშანი 14 შემთხვევაში გამოკვეთეს. საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/4150; 24.01.2024.

[605] დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის სიცოცხლის უფლების თავში.

[606] ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში.

[607] ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (2021-2022).

[608] ეს ეხება მხოლოდ ისეთ საქმეებს, რომლებმაც სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის ეტაპებს მიაღწიეს. ანალიზის მიღმა რჩება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროულობის შეფასება, რომლებმაც სასამართლო განხილვის ეტაპს ვერ მიაღწია.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სტადიას კი, მეტწილად, ის საქმეები აღწევს, სადაც დაზარალებული მოძალადეს ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევდა.

პროგრესი შეინიშნება სექსუალური ძალადობის საქმეებზე გენდერული მოტივის გამოკვეთის კუთხით. თუმცა აღნიშნული მაინც გამოწვევად რჩება და ამასთან ერთად, მართლმსაჯულების პროცესზე კვლავ ახდენს გავლენას გენდერული სტერეოტიპები. გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე კვლავ ხდება დაზარალებულების პირადი ცხოვრების, მათ შორის, სქესობრივი ცხოვრების ისეთი დეტალების გამოკვლევა, რომელიც დანაშაულთან კავშირში არ არის და გავლენას არ უნდა ახდენდეს სექსუალური ძალადობის ფაქტის დადგენაზე.

სახალხო დამცველის აპარატის კვლევის ფარგლებში დადებითად გამოიკვეთა სექსუალური ძალადობის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის საკითხი.[609] თუმცა, მსგავსი ტიპის დანაშაულებზე, საჭიროა მათი ჩართულობის გაზრდა.[610]

კვლავ პრობლემურია, რომ კანონმდებლობის[611] მიხედვით, ორსულობის 12 კვირის შემდეგ, ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ შეიძლება.[612] მაშინ როდესაც სახალხო დამცველის მიერ კვლევის ფარგლებში შესწავლილი სექსუალური ძალადობის საქმეების დიდი ნაწილი სასამართლოებმა 6 თვემდე ან 9 თვემდე ვადაში განიხილეს, რაც შეუძლებელს ხდის ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას.

14.6.ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა ორსულობის და მშობიარობის რიცხვი მიმდინარე სანგარიშო წელს გასულ წელთან შედარებით შემცირებულია, მაჩვენებელი კვლავ მაღალია. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2023 წელს 679

---

[609] 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა სურვილი გამოთქვა კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად შეეფასებინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაში არსებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური და მათი მუშაობა. თუმცა ამის შესაძლებლობა სახალხო დამცველის აპარატს არ მისცემია.

[610] 2021-2022 სსკ-ის 137-139-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების საქმეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინატორები - 34, ხოლო გენერალური პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები 82 სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთნენ, სადაც დაზარალებული იყო სრულწლოვანი ქალი. მაშინ, როდესაც ამ პერიოდში რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი 572-ს შეადგენს, ხოლო დაზარალებულად 177 სრულწლოვანი ქალი ცნეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 0 23 02821160; 27.09.2023; საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/53544, 03.08.2023.

[611] „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანებით დამტკიცებული №5 დანართი.

[612] ეს წესი საქართველოს სახალხო დამცველმა 2023 წლის 6 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. მისაწვდომია: https://shorturl.at/duxPS ბოლოს ნანახია: 18.03.2024.

არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა,[613] არასრულწლოვან მშობლად კი - 409 პირი დაარეგისტრირეს.[614]

ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკასთან ერთად კვლავ გამოწვევად რჩება არასრულწლოვანი გოგოების ნიშნობა, რომელიც უმეტესად მშობელთა შორის გარიგების გზით ხდება. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების მიხედვით, ნიშნობა არსებითად ლახავს ბავშვის მთელ რიგ უფლებებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის ნიშნობის ან ქორწინების მიზნით შემდგარი გარიგების კრიმინალიზაცია.[615] სახალხო დამცველი მიესალმება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ინიციატივით ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის შექმნას და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ბავშვთა ნიშნობის საკითხზე, ექსპერტის მიერ მომზადებული, საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივის განხილვას.

შესწავლილი ბავშვთა ქორწინების/ნიშნობის შემთხვევების მიხედვით, კვლავ პრობლემურია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანანმანათლებლო დაწესებულებასა და ზრუნვის სააგენტოს[616] შორის კოორდინაცია და რეფერირების მექანიზმის გამართული მუშაობა. პასუხისმგებელ უწყებებს ამ დრომდე არ გააჩნიათ ბავშვთა ქორწინების/ნიშნობის შემთხვევებზე მუშაობის სახელმძღვანელო წესები.[617]ასევე, კვლავ არ არსებობს ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციისთვის. შედეგად, არაერთ საქმეში იკვეთება არასათანადო რეაგირება და არსებული დაცვის და დახმარების მექანიზმის არაეფექტიანად გამოყენება.[618]

---

[613] შედარებისთვის, 2022 წელს 815 არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა, არასრულწლოვან მშობლად კი - 433 პირი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი MOH 3 23 00102285; 31.01.2023; სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს წერილი №HA 4 23 01386068; 25/12/2023.

[614] სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, არასრულწლოვან მშობლად 401 გოგო და 8 ბიჭი დარეგისტრირდა. სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს წერილი №01/8904; 15.01.2024.

[615] ბავშვობის ასაკში ნიშნობა დანაშაულია, რომლის დროსაც სრულწლოვანი პირები გარიგებას დებენ ბავშვის იმ პირადი და ოჯახური ცხოვრების ნაწილზე, რომელზეც მას ნებელობა მხოლოდ 18 წლის ასაკიდან წარმოეშობა. ნიშნობის დროს ბავშვი გარიგების ობიექტია, ამავე დროს, ბავშვი იმყოფება ნების დამთრგუნველ გარემოებაში, ნიშნობა ბავშვზე ახდენს უარყოფით ფსიქოლოგიურ გავლენას, ზღუდავს ბავშვის თავისუფალ ქცევას, გავლენას ახდენს ბავშვის განათლების უფლებაზე და სხვ.

[616] აღსანიშნავია, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ 2023 წელს შეისწავლა ბავშვთა ქორწინების 313 საქმე. წერილი SCA 9 24 00109114, 30.01.2024.

[617] ამ თემაზე 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში (გვ. 206-207) გაცემულია რეკომენდაციები. მნიშვნელოვანია, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების მიზნით სახელმძღვანელო წესების შესამუშავებლად, მიმდინარეობს მუშაობა ზრუნვის სააგენტოსთან, ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნულის დროულად განხორციელება. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი MES 4 24 0000290697; 11/03/2024; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი MOH 5 24 00253252; 01/03/2024.

[618] **საქმე №12443/23 -** 14 წლის გოგოსთან სათანადო კომუნიკაცია ვერ დამყარდა, შესაბამისად, მისი ნდობა ვერ მოიპოვეს, ამასთანავე, არც დაცვის და დახმარების მექანიზმები გამოუყენებიათ ეფექტიანად (დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავთ), შედეგად, 14 წლის გოგო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილ 152 შესაძლო დანაშაულზე დაიწყო გამოძიება[619], პროკურატურის მონაცემებით, არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაზარალებულად ცნეს 73 ბავშვი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა 84 პირის მიმართ დაიწყო.[620] ბავშვთა ქორწინებასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მკაცრი პოლიტიკის გატარების აუცილებლობა მთელი სიცხადით გამოჩნდა მიმდინარე საანგარიშო წელს 14 წლის გოგოს მკვლელობის ფაქტით, რომელსაც წინ სხვადასხვა ფორმის გენდერული ნიშნით ძალადობა უძღოდა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით შემცირდა ქორწინების/ნიშნობის მიზეზით სწავლის შეწყვეტის აღრიცხული მაჩვენებელი და 2023 წელს ქორწინების მოტივით 38-მა არასრულწლოვანმა მიატოვა სკოლა.[621] ბავშვობის ასაკში ქორწინების გამო გოგოები ხშირად წყვეტენ განათლების მიღებას. შესაბამისად, შემცირების მიუხედავად, მონაცემები მაინც საგანგაშოა.

სახელმწიფომ 28 წლის კაცის ოჯახში, არაკეთილსაიმედო გარემოში დატოვა; **საქმე №12970/23** - არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი 27 წლის პირისგან იყო ორსულად. სააგენტოს ინფორმაციით, შსს-მ გამოძიება **მესამედ** მიმართვის შემდგომ დაიწყო. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით კი, პოლიციელების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენაზე გამოძიება არ მიმდინარეობს. გარდა ამისა, ფაქტის არასათანადო შეფასების/შესწავლის გამო, არასრულწლოვანმა სამედიცინო სერვისი ორსულობის 25-ე კვირაზე მიიღო. ასევე, გამოძიების ფარგლებში არ შეფასებულა არასრულწლოვნის დაგვიანებით, ორსულობის 25-ე კვირაზე სამედიცინო დაწესებულებაში მისვლის ფაქტი. **საქმე №481/23 -** არსებული ინფორმაციით, 12 წლის გოგო იძულებით დანიშნეს. საქმეზე გამოძიება დაიწყო, თუმცა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა და გამოძიება მას შემდეგ განახლდა, რაც საქმეში სახალხო დამცველის აპარატი ჩაერთო. **საქმე №2476/23** - ქორწინების იძულების ფაქტზე გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა, თუმცა, მოგვიანებით, განახლდა, კონკრეტული პირი ბრალდებულად ცნეს, ხოლო არასრულწლოვანი ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში განათავსეს. **საქმე №13507/23 -** შესაძლო ქორწინების იძულების საქმე შსს-მ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეისწავლა, თუმცა დანაშაული ვერ გამოიკვეთა. გარკვეული დროის შემდგომ არასრულწლოვანი იმ პირზე დაქორწინდა, ვის მიმართაც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ქორწინების იძულების საკითხი შეისწავლეს და გამოძიება ქორწინების იძულების ფაქტზე დაიწყო. **საქმე №12701/23 -** 14 წლის გოგოს ბავშვობის ასაკში ქორწინების თაობაზე, დაგვიანებით, არასრულწლოვნის მშობიარობის შემდეგ შეატყობინეს სამართალდამცავ უწყებას. თუმცა, შესაძლო დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე გამოძიება სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის შემდგომ დაიწყო. საქმეში, ასევე პრობლემური იყო სააგენტოს მხრიდან თარჯიმნის და ფსიქოლოგის ჩართულობა. პრობლემა გამოიკვეთა უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის მხრივაც.

[619] ასევე, გამოძიების ფარგლებში 67 შემაკავებელი ორდერი გამოიცა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 5 24 00419569, 12/02/2024.

[620] საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/4356, 24/01/2024.

[621] 2023 წელს დაოჯახების მიზეზით მოსწავლის სტატუსი შეუწყდა 12 გოგოს და 1 ბიჭს, ხოლო მოსწავლის სტატუსი შეუჩერდა 25 გოგოს. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან სწავლის შეწყვეტის მხოლოდ 4 ფაქტის შესახებ გვეცნობა. (რეგიონები: იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი). ხოლო მათი შემდგომი წერილით დაოჯახების მიზეზით სწავლის შეწყვეტის 13 ფაქტზე გვეცნობა. (რეგიონები: თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი). განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი, MES 8 24 0000020177; 12/01/2024; MES 8 24 0000307494, 14.03.2024. შედარებისთვის, 2022 წელს 47-მა გოგომ და 1-მა ბიჭმა შეწყვიტეს განათლების მიღება დაოჯახების მიზეზით.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილი საკანონმდებლო პაკეტი სექსუალური ძალადობის კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან მისასადაგებლად;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მათ შორის, სქესობრივი დანაშაულის შედეგად დაზარალებულად ცნობილი პირის დაკითხვის დისტანციურად ჩატარება ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანა;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა ოჯახური დანაშაულის მსჯავრდებულებს დაავალოს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლა;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანით, კრიმინალიზებული გახდეს არასრულწლოვანის ნიშნობა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- გადაიხედოს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტი და:
  - აისახოს პასუხისმგებელი უწყებები და მათი მოვალეობები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად;
  - დეტალურად გაიწეროს პასუხისმგებელი უწყებების ვალდებულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეფერირებისა და კოორდინირებული მუშაობის პროცესში;
- დაიხვეწოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. კერძოდ:
  - შემუშავდეს კომპენსაციის გაცემის სპეციალური წესი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შერაცხადობის ან გარდაცვალების გამო წყდება;
  - სახელმწიფომ ზიანი აანაზღაუროს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში ამოღებული თანხა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განსაზღვრული ოდენობის 40%-ზე მეტს შეადგენს;

- გადაიხედოს დეკრეტული შვებულების ანაზღაურების კანონმდებლობა და ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით სარგებლობა შესაძლებელი გახდეს სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯში დასაქმებული მასწავლებლებისთვისაც;
- შემუშავდეს ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და მისი თანმდევი დანაშაულების თავიდან ასარიდებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს:

- გაიზარდოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა სექსუალური ძალადობის დანაშაულების დაზარალებულებთან. დაზარალებულის ნების გათვალისწინებით, მოხდეს მათი ჩართვა გამოძიების საწყისი ეტაპიდან. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ კოორდინატორის მონაწილეობა დაზარალებულის სასამართლოში დაკითხვის დროს. ამ მიზნის მისაღწევად, უწყებებმა განიხილონ საკანონმდებლო ცვლილების საჭიროება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ასევე, კოორდინატორების რაოდენობრივად გაზრდის საკითხი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს:

- გაიზარდოს სოფლად მცხოვრებ ქალებთან, როგორც დამწყებ, ისე გამოცდილ მეწარმეებთან, მეწარმეობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრეინინგების რაოდენობა, მათ შორის, გეოგრაფიული დაფარვის გზით.

სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს:

- გადაიხედოს და დაიხვეწოს მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების სტატისტიკური მონაცემის შეგროვება.

შერიგებასა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- რეგულარულად გამართოს შეხვედრები საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში და დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ ქალებთან მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გადაიხედოს სამშობიარო სახლებსა და გინეკოლოგის სერვისზე წვდომა გეოგრაფიული დაფარვის თვალსაზრისით და საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში გაიზარდოს მათი რაოდენობა;
- რეგულარულად აწარმოოს რეგიონებში ცნობიერების ამაღლების შეხვედრები პაპილომა ვირუსის აცრისა და სკრინინგ პროგრამების შესახებ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ქალებისთვის სხვა გინეკოლოგიური/რეპროდუქციული სერვისის მსგავსად, აბორტის სერვისის მიწოდება გახდეს უფასო.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ბენეფიციართა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თავშესაფრების ტერიტორია გაიმიჯნოს სხვა დაწესებულებისგან;
- სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში გაძლიერდეს დაზარალებულთა სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტი და სისტემატურად იგეგმებოდეს საგანმანათლებლო/სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებაა და ის დაცულია კანონით.[622] ამასთანავე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ნაწილია.[623]

კულტურულ მემკვიდრეობას, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს კულტურულ ფასეულობას წარმოადგენს, ქვეყნის საერთო **სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მდგრადი პროგრესის მძლავრი რესურსიც გააჩნია.** ამდენად, მნიშვნელოვანია როგორც ამ რესურსის გამოვლენა, ისე დაცვა და მომავალ თაობაზე გათვლილი განვითარება. თანამედროვე სამყაროში კულტურული მემკვიდრეობის მართვის კონცეფცია სამ კომპონენტს ეფუძნება: სოციალური კომპონენტი, ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების კომპონენტი და ცოდნის და განათლების კომპონენტი **(„21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია").**[624] კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებაში დაინტერესებული ინდივიდებისა და საზოგადოების უფლებებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებს სრულად ეძღვნება „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ" ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია (ე.წ. ფაროს კონვენცია).[625]

ქვეყნის მდგრად განვითარებაში კულტურული მემკვიდრეობის წვლილზე უთითებს **კულტურის ეროვნული სტრატეგიაც („კულტურის სტრატეგია 2025").**[626] სტრატეგია ეხება ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა კულტურის მართვის პრინციპები, ცნობიერების ამაღლება/განათლება, კულტურისა და სხვადასხვა სფეროს ურთიერთმიმართება და სხვ. სტრატეგიის თანახმად, კულტურის მართვის პრინციპების დანერგვის შედეგად, კულტურის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კვლევებს და მისი შემუშავების ღია და გამჭვირვალე პროცესში ჩართული უნდა იყვნენ პროფესიული წრეები და ფართო საზოგადოება.[627] ამასთანავე, დოკუმენტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით არაერთ ამოცანას განსაზღვრავს,[628] რომელთა განხორციელების

---

[622] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 20, პუნ. 4.

[623] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 5, პუნ. 6.

[624] Recommendation of the Committee of Ministers to member States on the European Cultural Heritage Strategy for the 21st century, CM/Rec(2017)1, იხ. ბმული: <https://shorturl.at/lmnop > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[625] იხ. „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ" ევროპის საბჭოს ჩარჩო (ე.წ. ფაროს) კონვენცია: <https://shorturl.at/auZ07> იხ. არაოფიციალური თარგმანი: <https://shorturl.at/movzS>, კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2011 წლიდან <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=199> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[626] საქართველოს მთავრობის 2016 წლის პირველი ივლისის №303 დადგენილების დამტკიცებული „კულტურის სტრატეგია 2025", გვ. 3, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3328805?publication=0>, <https://shorturl.at/isJM8> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[627] იქვე, გვ. 32-დან.

[628] იქვე, გვ. 28-32. ამოცანებს შორისაა მაგ., კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციის სისტემის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი განსაზღვრებების

კოორდინაციაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად - სპეციალურად შექმნილი „სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფი".

სამწუხაროდ, სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების მონიტორინგის ანგარიშები, ასევე, შუალედური (2020 წლის) ანგარიში სტრატეგიის შესრულებით მიღწეული შედეგების თაობაზე, საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი.

სტრატეგიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში **კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის** შემუშავებაა საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დარგში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ყველა შესაბამისი თემის ადეკვატურად ასახვის მიზნით.[629] კულტურული მემკვიდრეობის სათანადო და ეფექტიან დაცვაზე ორიენტირებული საკანონმდებლო რეგულაციების შექმნის აუცილებლობაზე სახალხო დამცველი არაერთი წელია უთითებს.[630] სამწუხაროდ, არც საანგარიშო წელს წარედგინა საქართველოს პარლამენტს ხსენებული კოდექსის პროექტი. **მნიშვნელოვანია, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, თუ რა ეტაპზეა კოდექსის შემუშავება და რა გარემოებები აბრკოლებს მისი პროექტის საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენას.**

კულტურული მემკვიდრეობის მართვის **გამჭვირვალობისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის** მიზნით, პრობლემურია, რომ არ არსებობს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი,[631] რაც ართულებს სხვადასხვა საკითხზე საჯარო ინფორმაციის მოძიებას. ინფორმაციულად მწირია და განახლებას საჭიროებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდიც. მაგალითად, 2016-2017 წლების შემდგომ, სააგენტოს არცერთი ანგარიში არ არის ხელმისაწვდომი.[632]

ბოლო წლებია მწვავედ დგას **გელათის სამონასტრო კომპლექსის დაცვასთან** დაკავშირებული საკითხები. 2023 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები საანგარიშო წელს საქართველოს საპატრიარქომ გადაიბარა, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა „გელათის

გათვალისწინება; კულტურული მემკვიდრეობის გაციფრულება, კატალოგების შექმნა/განვითარება; თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილი ექსპერტიზის, სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიის ჩამოყალიბება; მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვა (რესტავრაცია, კონსერვაცია, რეაბილიტაცია) საერთაშორისო სტანდარტებსა და შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოებისა და მისი მოვლა-პატრონობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ერთიანი ინსტრუქციების, გზამკვლევების და პროგრამების შემუშავების და გავრცელების გზით და სხვ.

[629] გვ. 28.

[630] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები, 2020, 330; 2021, 248.

[631] ვებგვერდი კვლავ განახლების რეჟიმშია < http://culture.gov.ge/ > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[632] იხ. ბმული: <https://www.heritagesites.ge/ka/files/65> [ბოლოს ნანახია 29.03.2024]; ვებგვერდი არ შეიცავს ისეთ საბაზო ინფორმაციასაც კი, როგორიცაა ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და მათი ხელმძღვანელების შესახებ მონაცემები და სხვ.

რეაბილიტაციის კომიტეტი". შექმნილია ასევე ინტერნეტ საიტი, სადაც განახლებადი ინფორმაცია და დოკუმენტაცია თავსდება.[633] საგულისხმოა, რომ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, გელათის სამონასტრო კომპლექსში სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილების საპატრიარქოსთვის გადაცემის შემდგომ, სააგენტოში არ შესულა მიმართვა გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარზე, წმ. ნიკოლოზის და წმ. გიორგის ეკლესიებზე სამუშაოების ნებართვის გაცემის თაობაზე, შესაბამისად, ამ ეტაპამდე ხსენებულ ტაძრებზე სააგენტოს ნებართვა არ გაუცია.[634] ასევე უნდა აღინიშოს, რომ ძეგლზე ჩატარებული სამუშაოები, მათ შორის, კვლევითი, საჭიროებს ნებართვას. საქართველოს სახალხო დამცველი მანდატის ფარგლებში მიადევნებს თვალს სამუშაოების წარმართვის პროცესს და იმედოვნებს, რომ ეს სამუშაოები თანხვედრაში იქნება ამ სფეროში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.

რეკომენდაციები

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს:

- უზრუნველყონ კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის პროექტის შემუშავება, პროცესის გამჭვირვალობა და პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა;
- უზრუნველყონ ადმინისტრაციული ორგანოების ოფიციალური ვებგვერდების შექმნა/განახლება და ონლაინ პლატფორმებზე უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა;
- უზრუნველყონ კულტურის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმების და მათი შესრულების მონიტორინგის ანგარიშების, ასევე, სტრატეგიის შესრულებით მიღწეული შედეგების თაობაზე შუალედური (2020 წლის) ანგარიშის საჯაროდ განთავსება.

[633] იხ. ბმული: <https://gelatirehabilitation.ge/ka/> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].
[634] საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის 21 თებერვლის № 00005829 წერილი.

16.გარემოს დაცვის უფლება

16.1.შოვის ტრაგედია

საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ აქტიურად ზედამხედველობს გარემოს დაცვის უფლების რეალიზაციის საკითხებს.

საანგარიშო წელი საზოგადოებას ტრაგიკული სტიქიური უბედურებითა და მისი უმძიმესი შედეგებით დაამახსოვრდა. 3 აგვისტოს **შოვის ტრაგედიას** 33 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და განადგურდა ცნობილი კურორტი. შოვში მომხდარი სტიქიური მოვლენის ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.[635] მომხდარმა ტრაგედიამ, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არაერთი მწვავე კითხვა წარმოშვა. მათ შორის, სტიქიის თავიდან აცილების შესაძლებლობასთან, დროულ პრევენციულ ნაბიჯებთან, ასევე, შემდგომ დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

ამ ტრაგედიამ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გააჩინა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ ყოველწლიურ ბიულეტენებთან დაკავშირებით, რომლებშიც ასახულია სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და მომდევნო წლის პროგნოზები. თუმცა ამ ეტაპისთვის, გარემოს დაცვის სააგენტოს ეს ბიულეტენები საჯაროდ არ ქვეყნდება.

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა,[636] გარემოს სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი გულისხმობს, რომ <u>ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.[637]</u> ამასთანავე, გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ორჰუსის კონვენციის[638] მოთხოვნაცაა. კონვეცია ასევე მიუთითებს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოცულობის თანდათანობით ზრდის მნიშვნელობაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებას ინფორმაციის უფრო ადვილად მოპოვებაში.[639]

გარემოს მდგომარეობის შესახებ **ინფორმაციის ღიაობისა და ხელმისაწვდომობის** ზემოაღნიშნული სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტები სტიქიური

---

[635] იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაშია სისხლის სამართლის №059030823001 საქმე, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 და 240-ე მუხლის მე-2 ნაწილებით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 28 სექტემბრის №MIA52302833838 და 2023 წლის 17 ნოემბრის №MIA42303387742 წერილები.

[636] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, პ. I.

[637] „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 5 პუნქ. 2, ქვეპ. „მ".

[638] „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენცია.

[639] იქვე, მე-5 მუხ. მე-3 პ.

გეოლოგიური პროცესების თაობაზე, ყოველწლიურად საჯაროდ ქვეყნდებოდეს ელექტრონულად და დაინტერესებულ პირებს ადვილად მიუწვდებოდეთ ხელი მათზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ გარემოს დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ონლაინ გამოცემა „მთის ამბებს" რაჭაში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით მოთხოვნილი სხვადასხვა ინფორმაცია, მხოლოდ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ, სასამართლო დავის ფარგლებში მიაწოდა.[640]

შოვის ტრაგედიიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.[641] საქმის ფარგლებში აპარატმა არაერთი საკითხი და დოკუმენტაცია მოიკვლია[642] და კვლავაც განაგრძობს შესწავლას.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 3 აგვისტოს **მოვლენების საბოლოო შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას,** რადგან, როგორც ტრაგედიამდე, ისე ტრაგედიის შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებულ კითხვებს, სწორედ გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ პრიორიტეტულად იზრუნოს **სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და პროგნოზის ამსახველ დოკუმენტებში გამოვლენილი საფრთხეების სიღრმისეულად შესწავლაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით დაგეგმოს, თუ რა ღონისძიებებია გასატარებელი რისკების სრულყოფილად გამოსავლენად და მათ თავიდან ასარიდებლად, გააძლიეროს რეგიონებში მონიტორინგის სისტემები, მათ შორის, ადგილზე სპეციალისტების ჩართულობით მონიტორინგის პროცესში, პრიორიტეტულად გასწიოს ყველა ძალისხმევა კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნულ სისტემაში ადრეული შეტყობინებისა და განგაშის სისტემების სრულფასოვან და მოკლე დროში ინტეგრირებაზე.**

16.1.1.სტიქიამდე არსებული ვითარება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს პირველადი შეფასების დოკუმენტის[643] თანახმად, 2023 წლის 3 აგვისტოს, მდ. ბუბისწყლის ხეობაში, სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (მყინვარის ინტენსიური დნობა, ნალექების

---

[640] საქმე №12107/23.

[641] იხ. სახალხო დამცველის საჯარო გამოხმაურება ბმულზე: <https://shorturl.at/exLN2>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[642] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილები №04-9/141, №04-9/136, №04-11/11627, №04-11/11169, №04-9/10202, №04-11/8293, №04-9/8272, №04-9/8254, №15-5/11743, №15-5/10557, №15-5/9361, №15-5/8136, ადრესატი უწყებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112", საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ონის მუნიციპალიტეტის მერია.

[643] იხ. დოკუმენტი ბმულზე: <https://shorturl.at/vEOT5>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

მოსვლა წვიმის სახით, სათავეებში კლდეზვავის ჩამოშლა, მეწყრულ-ეროზიული პროცესები და ღვარცოფის გავლა) თანხვედრამ, გამოიწვია ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება.[644] მდ. ბუბისწყლის ხეობაში სტიქიური პროცესების გააქტიურება, რელიეფის მაღალენერგეტიკულ პოტენციალთან ერთად, გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, მკაცრი კლიმატური პირობებით, ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებით, სეისმური პირობებით და სხვ. მყისიერად განვითარებული, კომპლექსური ხასიათის სტიქიური მოვლენის ფორმირება მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული.[645]

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული განმარტებით,[646] 2023 წლის 3 აგვისტოს განვითარებული კასკადური მოვლენის პროგნოზირება და შესაბამისი ადრეული გაფრთხილების მომზადება/გავრცელება, საქართველოშიც და მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც, პრაქტიკულად შეუძლებელია, ქვეყანაში დანერგილი ადრეული შეტყობინების სისტემა ასევე ვერ უზრუნველყოფს გაფრთხილებების გაცემას 3 აგვისტოს განვითარებული კასკადური ხასიათის მოვლენებზე. უწყების განმარტებით, ამ ტიპის მოვლენების მიმართ რისკების შესარბილებლად გამოიყენება განგაშის სისტემები, რომლებიც მხოლოდ სტიქიის დაწყების შემდგომ რეაგირებენ და რისკის ქვეშ მყოფ ობიექტებზე ავტომატურად, ხმოვან სიგნალებს გამოსცემენ. თუმცა, როგორც სააგენტომ გვაცნობა, ასეთი სისტემის დაყენების შესახებ გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში მიიღება, როცა დეტალური კვლევებით დგინდება არახელსაყრელი მყინვარული პროცესების ხშირი განმეორებადობა და ამგვარი სისტემის დაყენებით მოსალოდნელი მაღალი ეფექტიანობა.[647] ამავე წერილში სააგენტო განმარტავს, რომ მდ. ბუბისწყლის ხეობაში მსგავსი სისტემის დაყენების საკითხი არ განხილულა, რამდენადაც ისტორიულად წარსულში არახელსაყრელ გლაციალურ და გეოდინამიკურ პროცესებს ადგილი არ ჰქონია, 3 აგვისტოს განვითარებული სტიქიური მოვლენის მსგავსი პროცესები ისტორიულ წყაროებში არ არის აღრიცხული, მხოლოდ თვითმხილველების ცნობით არსებობს ინფორმაცია, რომ მდინარის აუზში ჰქონდა ადგილი ცალკეულ წყალმოვარდნებს, მაგრამ **მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მით უმეტეს, ადამიანთა მსხვერპლი, არ გამოუწვევია. შესაბამისად, ხეობაში მიზნობრივი ხასიათის კვლევა ჰიდრომეტეოროლოგიის და გეოლოგიის სფეროში არ ჩატარებულა.**

---

[644] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, „2023 წლის 3 აგვისტოს მდ. ბუბისწყლის ხეობაში (მდ. ჭანჭახის აუზი) განვითარებული სტიქიური მოვლენების პირველადი შეფასება".

[645] იქვე, გვ: 9-10.

[646] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 6.09.2023, №#21/7494 წერილი.

[647] იქვე, მაგ., 2014 წელს დევდორაკის მყინვარზე განვითარებული პროცესების შემდეგ, უცხოელმა ექსპერტებმა ჩაატარეს დეტალური კვლევები და დადგინდა მდ. დევდორაკზე განგაშის სისტემის დაყენების მიზანშეწონილობის საკითხი.

მდ. ბუბისწყალი მდ. ჭანჭახის მარჯვენა შენაკადია, რომელიც სათავეს იღებს მყინვარ ბუბას ძირიდან და უერთდება მდ. ჭანჭახს კურორტ შოვთან.[648] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განმარტებით, მდ. ბუბისწყლის ხეობასთან დაკავშირებით, არანაირი მომართვა, არც გეოლოგიური და არც ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების საფრთხეების შესწავლის მოთხოვნით, გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ შესულა.

ადგილობრივი მოსახლეობა კურორტ შოვში არსებულ საფრთხეებზე გასულ წლებშიც უთითებდა და მდგომარეობით დაინტერესებას მოითხოვდა.[649] კერძოდ, 2020 წლის ივლისში, მდ. ბუბადან გადმოვარდნილმა წყალმა და ტალახმა კოტეჯების ტერიტორია და იქ მდებარე საცხოვრებელი და სასადილო ოთახები მთლიანად დატბორა, კურორტის გზა ჩაკეტა და დაანგრია კოტეჯები.[650] მდ. ბუბა 2017 წლის 7 ივლისსაც გადმოვიდა კალაპოტიდან, კოტეჯების ტერიტორია ნაწილობრივ დატბორა და ინფრასტრუქტურა დააზიანა. ამასთან დაკავშირებით ვიდეო თავად ონის მუნიციპალიტეტის მერიამაც გაავრცელა.[651]

სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა, სხვადასხვა წელს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით (მდინარე ბუბას კალაპოტიდან გადმოსვლა, კურორტ შოვში კოტეჯების დატბორვა და ინფრასტრუქტურის დაზიანება-განადგურება), დაგეგმა და გაატარა თუ არა ღონისძიებები ონის მუნიციპალიტეტის მერიამ, შოვში არსებული რისკების შესასწავლად და შედეგების მიხედვით რაიმე ტიპის პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად. მათ შორის, მიმართა თუ არა მუნიციპალიტეტმა რომელიმე წელს კომპეტენტურ უწყებ(ებ)ას, შესაბამისი რისკების შესწავლისა და მონიტორინგის დაწესების მოთხოვნით. ონის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული ინფორმაციიდან[652] ირკვევა, რომ რეაგირება ძირითადად უკავშირდებოდა განვითარებული მოვლენების შედეგებთან გამკლავებას, რაც ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზებას გულისხმობდა.[653] ონის მუნიციპალიტეტის წერილში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ,

---

[648] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, „2023 წლის 3 აგვისტოს მდ. ბუბისწყლის ხეობაში (მდ. ჭანჭახის აუზი) განვითარებული სტიქიური მოვლენების პირველადი შეფასება“, გვ. 1.

[649] მაგ., იხ. სოციალური ქსელით გავრცელებულ ინფორმაცია ბმულზე: <https://shorturl.at/fvHLY>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[650] იხ. ბმული: <https://shorturl.at/fmxDM >, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[651] იხ. ბმული: <https://shorturl.at/uDLS2> , [ბოლოს ნანახია 4/03/2024]. .

[652] ონის მუნიციპალიტეტის მერიის №78-78240228, 22/01/2024 წერილი.

[653] 2017 წელს, სოფელ გლოლაში მომხდარი სტიქიის (მდ. ბუბას მოდიდება) შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერიამ სახელმწიფოს წინაშე შუამდგომლობის მიზნით, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის საჭირო თანხების გამოყოფის თაობაზე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მიმართა. გამოყოფილი თანხით განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული უბნების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. 2020 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული უბნების სალიკვიდაციოდ თანხების გამოყოფის თაობაზე, რომელმაც 10 400 000 ლარი შეადგინა, მიმართეს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, შეკეთდა სასოფლო გზების დაზიანებული მონაკვეთები, რეაბილიტაცია ასევე ჩაუტარდა დაზიანებულ სახიდე გადასასვლელებს და სხვ. ასევე ჩატარდა ნაპირსამაგრების და სანიაღვრე სისტემების სამუშაოები, გაიწმინდა მდინარეების კალაპოტები. აღადგინეს დაზიანებული წყალსადენის სისტემები.

მიმართა თუ არა მუნიციპალიტეტმა ამ მოვლენების შემდეგ კომპეტენტურ უწყებებს, რისკების შესწავლისა და მონიტორინგის დაწესების თაობაზე, რაც, ასევე იყო სახალხო დამცველის აპარატის ინტერესის საგანი.[654] მეორე მხრივ, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გვაცნობა, რომ მდ. ბუბისწყლის ხეობასთან დაკავშირებით, გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების საფრთხეების შესწავლის მოთხოვნა გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ შესულა.[655]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გამოუგზავნა ბიულეტენები 2020, 2021, 2022 წლებში სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და მომდევნო წლის პროგნოზის შესახებ.[656] 2020 წელთან დაკავშირებით მომზადებული ბიულეტენი გეოლოგიური პროცესების საშიშროების რისკის ზონაში მოქცეულ ობიექტებს შორის ასახელებს კურორტ შოვის მიმდებარე ტერიტორიას და მდ. ჭანჭახის ხეობას**,** გეოლოგიური პროცესის დინამიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მითითებულია ეროზიული პროცესები, რომლებიც აქტიურდება სეზონურად, საშიშროების რისკი შეფასებულია როგორც „მაღალი".[657] შემდეგი წლის ბიულეტენში საუბარია, რომ რისკის ზონაში ექცევა სოფ. გლოლა, მდ. ჭანჭახის მარცხენა შენაკადის, მდ. ბდღვიორას ხეობა, ღვარცოფული პროცესები საშიშროებას უქმნის ცენტრალურ საავტომობილო გზას და კურორტ შოვის ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, საშიშროების რისკი - მაღალი, საჭიროა ხეობაში გეოდინამიკურ პროცესების მუდმივი მონიტორინგის წარმოება,[658] 2022 წლის ბიულეტენში, ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით, მეორდება წინა წლის შეფასება.[659]

როგორც აპარატისთვის ცნობილია, ყოველწლიურ საინფორმაციო გეოლოგიურ ბიულეტენებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო სამთავრობო უწყებებს (სამინისტროებს) და მუნიციპალიტეტის მერიებს აწვდის. ასევე, ყოველწლიურად, სააგენტოს

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხელოვნურსაფარიან სტადიონს სოფელ პატარა ღებში. სახელმწიფოს მხრიდან ჩატარდა ქუთაისი-ალპანა-მამისონის სახელმწიფო გზის 117 კმ-დან 140 კმ-მდე დაზიანებული გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აღდგა და აშენდა ხიდები, განხორციელდა მდინარის კალაპოტების ფორმირება და მოეწყო ნაპირსამაგრები. ამ სამუშაოებზე დაიხარჯა დაახლოებით 50 000 000 ლარი. განხორციელდა სოფელ გლოლაში მდებარე მდინარე ჭანჭახისა და ბდღვიორას კალაპოტების წმენდა-ფორმირება და მოეწყო ნაპირდამცავი ნაგებობა.

[654] ონის მუნიციპალიტეტის მერიის 22.01.2024, №78-78240228 წერილი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 14.11.2023, №04-11/11169 წერილი.

[655] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 6.09.2023, №21/7494 წერილი.

[656] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენები: „საქართველოში 2020 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და 2021 წლისთვის პროგნოზის შესახებ" (2021); „საქართველოში 2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და 2022 წლისთვის პროგნოზის შესახებ" (2022); „საქართველოში 2022 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და 2023 წლისთვის პროგნოზის შესახებ" (2023).

[657] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენი „საქართველოში 2020 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და 2021 წლისთვის პროგნოზის შესახებ" (2021); გვ. 277.

[658] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენი „საქართველოში 2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და 2022 წლისთვის პროგნოზის შესახებ" (2022); გვ. 243.

[659] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენი „საქართველოში 2022 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და 2023 წლისთვის პროგნოზის შესახებ" (2023). გვ. 223.

სპეციალისტები ადგილზე გასვლით, შეხვედრების ფარგლებში შედეგებს აცნობენ ქვეყნის სამხარეო ადმინისტრაციების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს.[660]

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ზემოთ განხილული ინფორმაციის, განმარტებების, საჯარო წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ **სხვადასხვა წელს მომხდარი წყალმოვარდნების საპასუხოდ ძირითადად იგეგმებოდა დამდგარი ინფრასტრუქტურული ზიანის გამოსწორების ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს შორის პრაქტიკულად არ არსებობდა კოორდინაცია დამატებითი კვლევებისა და გაძლიერებული მონიტორინგის დაწესების მიმართულებით. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მითითებით, მდ. ბუბისწყლის ხეობაში მიზნობრივი ხასიათის კვლევა ჰიდრომეტეოროლოგიის და გეოლოგიის სფეროში არ ჩატარებულა. ადგილობრივი მოსახლეობა, გასულ წლებში, საუბრობდა მდ. ბუბადან მომდინარე საფრთხეებზე, კონკრეტული სტიქიური მოვლენების მაგალითზე. ასევე, ყოველწლიურ ბიულეტენში კურორტ შოვის მიმდებარე ტერიტორია და მდ. ჭანჭახის ხეობა გეოლოგიური პროცესების მაღალი საშიშროების რისკის ზონად არის შეფასებული, სხვა წლის ბიულეტენებში კი, როგორც უკვე აღინიშნა, მითითებულია გეოლოგიური პროცესების მაღალი საშიშროება ცენტრალური საავტომობილო გზისა და კურორტ შოვის ინფრასტრუქტურული ობიექტებისთვის. ამდენად, მნიშვნელოვანი იყო მთლიანად კურორტ შოვის, როგორც მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორიის, სრულფასოვანი და ყოველმხრივი გამოკვლევა.**

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მნიშვნელოვანი იქნება საბოლოოდ დადგინდეს, იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ თუ არა სახელმწიფო, ადგილობრივ ორგანოებს კონკრეტულად ამ შემთხვევაში რეალური და გადაუდებელი საფრთხის შესახებ და მიიღეს თუ არა გონივრული ზომები საფრთხის ასაცილებლად.

16.1.2.სამაშველო/სალიკვიდაციო სამუშაოები

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველმა შოვში მომხდარი ტრაგედიის შესწავლის დროს ყურადღება გაამახვილა, სამაშველო/სალიკვიდაციო სამუშაოები იყო. ერთი მხრივ, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, ხოლო, მეორე მხრივ, ზიანის შემდგომი სამაშველო/სალიკვიდაციო სამუშაოების ეფექტიანობა უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და ასევე, ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცულობას ქვეყანაში.

მოქმედი კანონმდებლობით, სამოქალაქო უსაფრთხოების[661] ეროვნული სისტემის წამყვანი ორგანო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი

---

[660] ამის შესახებ სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში უთითებს სააგენტო, №21/3939, 9.12.2020 წერილი.

[661] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო უსაფრთხოება ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, აგრეთვე ამავე კანონით განსაზღვრული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად საგანგებო სიტუაციისგან ადამიანის

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურია.[662] თუმცა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა მხოლოდ ამ უწყებით არ შემოიფარგლება და იგი აერთიანებს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სახელმწიფო რწმუნებულების (ეროვნული სისტემის სუბიექტების) ერთიან ქსელს, რომელიც სტრატეგიულ (პოლიტიკურ), ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე, სათანადო რესურსების გამოყენებით ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ ღონისძიებებს **ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების დასაცავად.**[663]

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტები საგანგებო სიტუაციების მართვისა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების დასაგეგმად შეიმუშავებენ საგანგებო მართვის გეგმებს.[664] **არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ვერ მიიღო ინფორმაცია, არსებობდა თუ არა საგანგებო სიტუაციების მართვისა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების გეგმა რაჭის რეგიონის ან/და ონის მუნიციპალიტეტისათვის.**[665] აქვე, **ონის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, 2023 წელს არ არსებობდა მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი,**[666] რომელიც არის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის, მოსალოდნელი შედეგების, მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ საგანგებო სიტუაციის პრევენციისათვის განხორციელებული საქმიანობის შეფასებისა და მის მიერ საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების მიზნით ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დასაგეგმად წინასწარ შემუშავებული დოკუმენტი.[667] ამდენად, უცნობია, რამდენად მომზადებულები შეხვდნენ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტები შოვში განვითარებულ სტიქიურ უბედურებას.

საქმის შესწავლის ფარგლებში, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა მოგვაწოდა ინფორმაცია 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში განვითარებული მოვლენების თაობაზე შეტყობინების მიღების მომენტიდან განხორციელებული მოქმედებების შესახებ.[668] წერილებიდან ირკვევა, რომ სტიქიის ზონაში პირველი მორეაგირე ჯგუფი 2023

სიცოცხლის/ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონების დაცვისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაა.

[662] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

[663] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[664] ამ გეგმის მომზადების წესები განსაზღვრულია „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილებით.

[665] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 აგვისტოს № 04-9/8272, 2024 წლის 4 იანვრის № 04-9/136 წერილები.

[666] ონის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 7 თებერვლის № 78-782403830 წერილი.

[667] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ხ" ქვეპუნქტი.

[668] სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 28 სექტემბრის № MIA 6 23 02839950; 2023 წლის 23 ოქტომბრის № MIA 2 23 03092189 და 2024 წლის 15 იანვრის № MIA 7 24 00115964 წერილები.

წლის 3 აგვისტოს, შეტყობინების მიღებისთანავე[669], 15 საათსა და 12 წუთზე გაემგზავრა შემთხვევის ადგილზე.[670] შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პარალელურ რეჟიმში დაიწყო სწრაფი მორეაგირე ჯგუფებისა და ავიაციის მობილიზება.

მოწოდებული ინფორმაციით, განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე არსებული ავიაციის მობილიზება,[671] რომლებიც თბილისსა და ქუთაისში იყო დისლოცირებული. თუმცა, შექმნილი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ქუთაისიდან ვერტმფრენი დანიშნულების ადგილას ვერ გაფრინდა. სამაშველო/სამძებრო სამუშაოებისათვის ღამის საათებში ავიაცია არ გამოუყენებიათ და ვერტმფრენმა მუშაობა 4 აგვისტოს, დილის 6 საათიდან განაახლა. ასევე განგვემარტა, რომ **„მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ბალანსზე არსებული ვერტმფრენები აღჭურვილია ღამის ხედვის საშუალებებით, კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული რელიეფის, მეტეოროლოგიური პირობებისა და *იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სტიქიას გადარჩენილი ადამიანები, საპოლიციო ძალებთან ერთად იმყოფებოდნენ უსაფრთხო ადგილას,* ფრენის ღამით განხორციელება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან საფრთხე შესაძლოა დამუქრებოდა გადარჩენილ ადამიანებს და ძებნა-შველის ღონისძიებაში ჩართული პირების სიცოცხლეს“.**[672]

როგორც აპარატს ეცნობა, 2023 წლის 3-4 აგვისტოს, მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა ძებნა-შველის სამუშაოები. უშუალოდ სტიქიის ზონაში მუშაობდა ცოცხალი ძალა შესაბამისი სამძებრო სპეცტექნიკითა და სითბური დრონებით (ჯამში 5).

---

[669] სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა, „112“-მა შეტყობინება მიიღო 2023 წლის 3 აგვისტოს 15:07 საათზე, ზარის ხანგრძლივობა შეადგენდა დაახლოებით 2 წუთს, რომელიც უფლებამოსილ სუბიექტებს 15:10 საათზე გადაეცა.

[670]პირველი ჯგუფი 15:40 წუთზე მივიდა ადგილზე. ხოლო, ამბროლაურიდან წასულმა ჯგუფმა, ვეღარ შეძლო იმავე მარშრუტით გადაადგილება, რადგან მეწყერმა წაიღო სოფელ გლოლასთან არსებული ხიდი, რომლის საშუალებითაც პირველი ჯგუფი მივიდა სტიქიის ზონამდე. ამის გამო, ამბროლაურიდან წასულ სამაშველო ჯგუფს მოუწია შემოვლითი გზით სარგებლობა და სტიქიის ადგილზე 16:05 წუთზე მივიდა. შემდგომ, სტიქიის ზონაში შევიდნენ ონისა და ამბროლაურის დამატებითი სამაშველო ჯგუფები. 3 აგვისტოს სტიქიის ზონაში მობილიზებული იყო და სამაშველო ღონისძიებებში ჩაერთო სამსახურის 400 მეხანძრე-მაშველი შესაბამისი აღჭურვილობით, კინოლოგთა ჯგუფი და პოლიციის 100-ზე მეტი თანამშრომელი. ასევე, სამსახურის სხვა თანამშრომლები, ლოჯისტიკური, ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებითა და სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

[671] პირველი ვერტმფრენი სტიქიის ზონაში თბილისიდან გაფრინდა 16:54 წუთზე. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განმარტებით, რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ის სტიქიის დაწყებიდან დაახლოებით სამ საათში ჩაერთო სამაშველო ღონისძიებაში (ვერტმფრენის სამაშველო ღონისძიებებში ჩართვას წინ უძღვის აუცილებელი ღონისძიებები - საჭირო ძალებისა და აღჭურვილობის განსაზღვრა, მობილიზება, შესაბამისი აღჭურვილობით დატვირთვა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, შეადგენდა ერთნახევარ ტონა ტვირთს. აქვე, გასათვალისწინებელია რთული მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე ფრენის ხანგრძლივობაც). მალევე გაემგზავრა მეორე ვერტმფრენიც. ორივე სამაშველო ვერტმფრენმა, ძებნა-შველის ღონისძიებების ფარგლებში, 3 აგვისტოს, დაღამებამდე 5 შემოფრენა და უშუალოდ დამეწყრილ ტერიტორიაზე მოყოლილი 70 ადამიანის ევაკუაცია განახორციელა.

[672] სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 28 სექტემბრის № MIA 6 23 02839950 წერილი.

ვერტმფრენით შემოფრენებს, დრონებისა და მეხანძრე-მაშველების მიერ ტერიტორიის მონიტორინგს, არ გამოუვლენია მეწყერის მასაში მოყოლილი არცერთი ადამიანი, რომელიც საჭიროებდა დახმარებას.

სამძებრო/სამაშველო სამუშაოებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სითბური დრონების გამოყენება, რომლის ჩანაწერებიც აპარატმა გამოითხოვა. მოწოდებული ინფორმაციით,[673] დრონებით მონიტორინგი მიმდინარეობდა ლაივ რეჟიმში, ხოლო საჭირო/საყურადღებო კადრების აღმოჩენისას ხდებოდა ჩანაწერის ფიქსაცია. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კუთვნილი საფრენი აპარატების (დრონების) ჩანაწერები შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი საპოლიციო დანაყოფის მიერ ამოღებულია სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად. ამდენად, გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი რამდენად სწორად დაიგეგმა და ჩატარდა სამაშველო/სალიკვიდაციო სამუშაოები.

16.2.მყინვარული ხეობების შესწავლა, ადრეული გაფრთხილების/განგაშის სისტემები

მომხდარმა სტიქიამ საზოგადოებაში წამოჭრა საკითხი, რამდენად არის ქვეყანაში მყინვარული ხეობები გამოკვლეული და რა რისკების წინაშე დგას ეს ხეობები. ასევე, რა ვითარებაა ქვეყანაში გაფრთხილებისა და განგაშის სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით.

კლიმატის ცვლილებები და მისი შედეგები მთელი მსოფლიოსთვის გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოში კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი ხილული შედეგია მყინვარების უკანდახევა. კლიმატის ცვლილების პროგნოზების თანახმად, მყინვარების უკანდახევის პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.[674] ამ გამოწვევების გათვალისწინებით, რისკის შემცველი ზონების გამოვლენა, დეტალური შეფასება და მონიტორინგი აუცილებელია.

როგორც ირკვევა, მყინვარული ხეობები აქამდე დეტალურად არ ყოფილა შესწავლილი. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განმარტებით, კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული გლაციალური და გეოდინამიკური კასკადური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის გამო, შესაძლო რისკების აცილების/შერბილების მიზნით, 2024 წლიდან იგეგმება 20-მდე მყინვარული ხეობის (მათ შორისაა შოვიც) დეტალური შესწავლა.; ეს მყინვარული აუზები პოტენციურად საფრთხეს უქმნის დასახლებულ პუნქტებსა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურას. შესწავლის შედეგად განისაზღვრება რისკების შემარბილებელი ღონისძიებები.[675]

რაც შეეხება **ადრეული გაფრთხილებისა და განგაშის სისტემების დანერგვას,** კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნულ სისტემაში ადრეული შეტყობინებისა და

[673] სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 28 სექტემბრის № MIA 6 23 02839950; 2023 წლის 23 ოქტომბრის № MIA 2 23 03092189 და 2024 წლის 15 იანვრის № MIA 7 24 00115964 წერილები.
[674] 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (დოკუმენტი მოამზადა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ), გვ. 36; იხ. ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].
[675] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/7494, 6.09.2023 წერილი.

განგაშის სისტემების ინტეგრირება საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკის ერთ-ერთი გაცხადებული ძირითადი პრიორიტეტი იყო ჯერ კიდევ 2017-2020 წლების პოლიტიკის დოკუმენტით.[676] სამწუხაროდ, დოკუმენტები ამ დრომდე არ განახლებულა. ამასთანავე, როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ[677] გვაცნობა, 2017 წელს, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს გაუქმების შემდეგ, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შეფასების ერთიანი ანალიტიკური დოკუმენტი არ მომზადებულა. საბჭოს გაუქმებამ გავლენა იქონია განახლებული დოკუმენტების მომზადებაზეც. უწყების განმარტებით, საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უმოკლეს ვადებში მომზადდება.

მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემის გაუმართაობაზეა საუბარი საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაში (2022-2026).[678] დოკუმენტში ვრცლად არის განხილული ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, რომელთა გადაჭრით, შესაძლებელი გახდება ამინდის და ჰიდროლოგიური უფრო ზუსტი და წერტილოვანი პროგნოზების მომზადება, რაც აუცილებელია ადრეული შეტყობინების სისტემისთვის.[679] აქვე, აღნიშნულია, რომ გავრცელებული გაფრთხილების ადრესატები არიან სამთავრობო უწყებები და ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ადრეული გაფრთხილებების უშუალოდ საფრთხის ქვეშ მყოფ მოსახლეობამდე ოპერატიულად დაყვანის მექანიზმი, სტიქიურ მოვლენებთან მიმართებით სრულყოფილად არ ხდება რისკების შეფასება და შესწავლაზე დაფუძნებული დაგეგმვა და განხორციელება; ასევე, სრულად არ არის გამოვლენილი ყველა მაღალი რისკის შემცველი ლოკაცია.

როგორც სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გვაცნობა,[680] 2019 წლიდან მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტიცაა ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა და მისი დასრულება 2025 წელს იგეგმება. პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, თუმცა არაერთი ღონისძიება ჯერ ისევ არ დასრულებულა. დღეისათვის არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემა მუდმივ სრულყოფას და განვითარებას საჭიროებს.

16.3.ტყის საფარი და არსებული გამოწვევები

ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვას გარემოს დაცვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამდენად, სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით

[676] საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1, 3.5 პ.
[677] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 12.02.2024, №7 24 00003615 წერილი.
[678] იხ. ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047> [ბოლოს ნანახია 29.03.2024], გვ. 112, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].
[679] იქვე, გვ: 113-114.
[680] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/7494, 6.09.2023 წერილი.

გატარებული/დაგეგმილი ღონისძიებები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინტერესის საგანია.

სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა 2020-2023 წლების განმავლობაში ხე-ტყესთან დაკავშირებით გამოვლენილი სამართალდარღვევებითა და გარემოსათვის მიყენებული ზიანით. როგორც ირკვევა, წლების განმავლობაში, სხვადასხვა ტიპის სამართალდარღვევის 13 000-ზე მეტი შემთხვევის, შესახებ გახდა ცნობილი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის.[681] დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა,[682] რომ გამოვლენილ **სამართალდარღვევებს შორისაა ხე-ტყის უკანონო ჭრა,[683] ასევე, ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირება,[684] უკანონო სახერხების მოწყობა,[685] სახერხების ფუნქციონირება შესაბამისი რეგლამენტის დარღვევით.[686] საგანგაშოა, რომ** ამ ოთხი წლის განმავლობაში გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა **8,9 მლნ ლარს გადააჭარბა.[687]**

მრავალი წლის განმავლობაში სოციალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად საშეშე მერქნის მოპოვებამ არაერთი გამოწვევა წარმოშვა, რაც ასევე უკავშირდება ზემოაღნიშნული სამართალდარღვევების ჩადენასაც. ე.წ. სოციალური ჭრის სისტემამ განაპირობა უკანონო ჭრების, ტრანსპორტირების, რეალიზაციის პრაქტიკის ჩამოყალიბება. ამას ხელს უწყობდა ზედამხედველობის კუთხით არსებული პრობლემებიც.[688] საერთო ჯამში, მრავალი წლის განმავლობაში უსისტემო ჭრამ დააზიანა ეკოსისტემა და შეაფერხა ტყის მდგრადი განვითარება. ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოში ტყის სრული ინვენტარიზაცია რამდენიმე ათწლეული არ იყო ჩატარებული.[689]

საქართველოში ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შესახებ ანგარიშის[690] თანახმად, კვლევებით დგინდება, რომ საქართველოს ტყის ფართობების დიდი ნაწილი დეგრადირებულია, რაც ძირითადად საშეშე ხე-ტყის მზარდი მოპოვებით და უსისტემო ჭრის შედეგად ხე-ტყის ხარისხის შემცირებით არის გამოწვეული. ამასთანავე,

---

[681] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 15/01/2024, DES 7 24 00002027 წერილით მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები
[682] იქვე.
[683] იქვე, 2020:1 424; 2021:1 695; 2022:1 585; 2023:1 265.
[684] იქვე, 2020:1 245; 2021: 1 389; 2022:1 294; 2023:899.
[685] იქვე, 2020: 85; 2021:88; 2022:87; 2023:73.
[686] იქვე, 2020:284; 2021:520; 2022:704; 2023:623.
[687] იქვე, 8 923 368 ლარი.
[688] მაგ., დასახელებული საკითხების შესახებ ვრცელი ინფორმაცია იხ. საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადებულ დოკუმენტში - „სოციალური ჭრის რეფორმის რეგულირების გავლენის შეფასება", 2018; დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/pryX7>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].
[689] იქვე, გვ. 27.
[690] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 22.12.2023, №10207/01 წერილის თანახმად, 2019-2021 წლებში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა ტყის ეროვნული აღრიცხვის საველე სამუშაოები, 2022-2023 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საველე სამუშაოების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება. ტყის ეროვნული აღრიცხვის სამუშაოები განხორციელდა რეგიონების მიხედვით და მოიცვა მთლიანი საქართველო. იხ. საქართველოში ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შესახებ ანგარიში, 2023, ბმულზე: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53933>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

საქართველოს ტყეების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებზე განახლებული ინფორმაციის სიმწირე კვლავ ქვეყნის სატყეო სექტორის გამოწვევად რჩება.[691]

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საქართველოს ტყის კოდექსით განსხვავებულად მოწესრიგდა არაერთი საკითხი. მათ შორის, განისაზღვრა, რომ უნდა გაუქმდეს ე.წ. სოციალური ჭრის არსებული სისტემა, კერძოდ, ფიზიკური პირის ინდივიდუალური სოციალური ინტერესების გათვალისწინებით საშეშე მერქნის მოპოვების უფლების ხე-ტყის დამზადების ბილეთის საფუძველზე გაცემა დასაშვები გახდა მხოლოდ 2023 წლის 1 იანვრამდე.[692] თუმცა, სამწუხაროდ, 2022 წელს განხორციელებული ცვლილებით კანონის ამოქმედების ხსენებულმა ვადამ 2026 წლის 1 იანვრამდე გადაიწია. ამის მიზეზად მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად დამატებითი ვადის საჭიროება დასახელდა.[693] იმისათვის, რომ აიკრძალოს სოციალური მიზნებისთვის მოქალაქეების მხრიდან მერქნული რესურსის მოპოვება აუცილებელია, ტყის მართვის ორგანოებს შეეძლოთ მოსახლეობისთვის ალტერნატიული მომსახურების შეთავაზება.[694] ამ ალტერნატივის სახით, კოდექსის ეფექტიანი აღსრულებისთვის ხელის შესაწყობად, მოსახლეობისა და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გასამარტივებლად და სატყეო მეურნეობის განვითარების მიზნით, ასევე, **სოციალური ჭრის სისტემის ეტაპობრივად გასაუქმებლად**, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში საქმიანი ეზოები ეწყობა. ამჟამად, უკვე მოწყობილია 42 საქმიანი ეზო და დამატებით მიმდინარეობს 17 საქმიანი ეზოს მოწყობა. ქვეყნის მასშტაბით საქმიანი ეზოების მოწყობის სამუშაოები 2025 წლის ბოლომდე დასრულდება.[695]

როგორც სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს, გამოწვევები განგრძობითი და სისტემურია, წლების განმავლობაში სამართალდარღვევების რაოდენობაში რადიკალური დადებითი ცვლილებები არ იკვეთება. საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში გაატარონ სოციალური სისტემის ჩანაცვლებისთვის საჭირო ღონისძიებები, ხოლო საქართველოს პარლამენტმა იმსჯელოს ზემოთ მითითებული ვადის (2026 წლის 1 იანვარი) შეცვლის შესაძლებლობაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ განახლებული სისტემის ამოქმედებამდე, საზედამხედველო ორგანოებმა გასწიონ მაქსიმალურად ეფექტიანი და პროაქტიული კონტროლი სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

[691] იქვე, გვ. 12.
[692] ცვლილებამდე მოქმედი საქართველოს ტყის კოდექსის 93-ე მუხლის მე-9 ნაწილი.
[693] იხ. „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი ბმულზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/312019>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].
[694] იქვე.
[695] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 22.12.2023, №10207/01 წერილი.

16.4.ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგავლენა

გასული წლების მსგავსად, მოქალაქეებმა საანგარიშო წელსაც მომართეს სახალხო დამცველის აპარატს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მათი ინტერესების უგულებელყოფის თაობაზე.

2021 წელს სახალხო დამცველმა ანგარიშში ვრცლად ისაუბრა საავტომობილო გზების მშენებლობისას წარმოქმნილ გამოწვევებზე,[696] მათ შორის, მშენებლობა-ექსპლუატაციის შედეგად მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების საკუთრების დაზიანებისა და საცხოვრებელი გარემოს გაუარესების თაობაზე. მოქალაქეების პრეტენზიები ხშირად უკავშირდებოდა იმას, რომ მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის მიუხედავად, მათი საკუთრება არ ექვემდებარება კომპენსირებას, ან შეთავაზებულ კომპენსაციებს არ ეთანხმებიან, ან მიაჩნიათ, რომ მათი ოჯახები უსამართლოდ არ დაექვემდებარნენ განსახლებას. პროექტების განხორციელებისას მოქალაქეების ინტერესების უგულებელყოფასთან დაკავშირებით, 2023 წელს აპარატში შემოსული რამდენიმე განცხადება[697], საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას პროექტს ეხებოდა.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, კონტრაქტორი ვალდებული იყო, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობისა და სამშენებლო პირობების დასადგენად, გვირაბის 250 მეტრიან დერეფანში არსებული ყველა შენობის წინასწარი კვლევა ჩაეტარებინა.[698]

ერთ-ერთი საქმის შესწავლის ფარგლებში,[699] საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განგვიმარტა, რომ განმცხადებლების საკუთრებაზე ზეგავლენის შესაფასებლად ექსპერტიზის ბიუროსთვის არ მიუმართავს, რადგან პროექტის ფარგლებში არ დგინდებოდა სამშენებლო სამუშაოების ზემოქმედება.[700] ეს შეფასება გაკეთდა იმაზე დაყრდნობით, რომ მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, სამუშაოებისას წარმოქმნილ ვიბრაციას არ უნდა გამოეწვია საცხოვრებელი სახლების დაზიანება. საგულისხმოა, რომ თავად უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ვიბრაციის კვლევის შედეგებით,

---

[696] გვ. 203-დან, იხ. ბმული: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[697] №1228/23 (ზესტაფონში, უზნაძის ქ. №93-ში მცხოვრები 30 მოქალაქის ერთობლივი განცხადება); №7375/23 (ზესტაფონში, უზნაძის ქ. №87-ში მცხოვრები მოქალაქე შ.მ.-ის განცხადება); №7376/23 (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა საქარაში მცხოვრები 3 მოქალაქის ერთობლივი განცხადება).

[698] საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 14.07.2023, №2-08/11244 წერილი, გზშ-ს 808-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტი. უწყების განმარტებით, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამუშაოების დაწყებამდე აღიწერა შესაბამისი შენობა-ნაგებობები და დაფიქსირდა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მათი მდგომარეობა.

[699] №7376/23 (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარაში მცხოვრები 3 მოქალაქის ერთობლივი განცხადება).

[700] განმცხადებლების განმარტებით, სამუშაოებმა მათი საცხოვრებელი სახლები მნიშვნელოვნად დააზიანა, პრაქტიკულად დაანგრია.

გადაჭარბება ასევე, არ ფიქსირდებოდა ქვემოთ განხილულ საქმეშიც,[701] თუმცა იქ, დეპარტამენტმა, ზემოქმედების შესაფასებლად მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ეს კი, ზემოქმედების შესაფასებლად ბიუროსთვის მიმართვის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიანიშნებს.[702] უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს მოქალაქეებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ზემოქმედების დადგენას უკავშირდება შემდგომი ღონისძიებები, მათი უფლებების აღდგენის თვალსაზრისით.

საქმეების[703] შესწავლით ირკვევა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში, ბუნდოვანია, თუ რა ზეგავლენა მოახდინეს სამუშაოებმა განმცხადებლების საკუთრებაზე. ეს ბუნდოვანება კი გამოწვეული იყო არაეფექტიანი კომუნიკაციით[704] საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის, ამასთანავე, გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია მათი პოზიციებიც ზეგავლენის საკითხის შეფასების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.[705]

ვინაიდან, ექსპერტიზის ჩამტარებელი უთითებს კონკრეტული მასალების[706] საჭიროებაზე შეფასებისა და ანალიზის გასაკეთებლად, აუცილებელია, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გაითვალისწინოს ეს, როგორც ამ კონკრეტულ საქმეებში, ისე სამომავლოდ, სხვა შემთხვევებშიც და გასწიოს ყოველმხრივი ძალისხმევა ამ მასალების მოსაპოვებლად და ბიუროსთვის გადასაცემად.

---

[701] საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის №2-08/3346, 10/03/2023 წერილი.

[702] №1228/23 საქმე.

[703] № 1228/23 (ზესტაფონში, უზნაძის ქ. №93-ში მცხოვრები 30 მოქალაქის ერთობლივი განცხადება); №7375/23 (ზესტაფონში, უზნაძის ქ. №87-ში მცხოვრები მოქალაქე შ.მ.-ის განცხადება).

[704] №1228/23 საქმის შესწავლის ფარგლებში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 20.07.2023, №50004669123, 9.10.2023, №5006440423 წერილებით გვეცნობა, რომ დასკვნის მოსამზადებლად წარდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილი სახით იყო, ამასთანავე, მოგვიანებით საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ფაილების გახსნა ბიურომ ვერ მოახერხა; ბიურომ დამატებით გამოითხოვა მასალები, ხოლო საგზაო დეპარტამენტმა ელექტრონული ბმულების საშუალებით მიაწოდა მასალა, რომელთა საშუალებითაც ფაილების გადმოწერა ვერ მოხერხდა. დეპარტამენტის განმარტებით, მათთვის უცნობი იყო მასალებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

[705] საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ექსპერტიზის მიერ დასახელებული მასალები (შენობების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის რეესტრი) მხოლოდ დამატებითი მტკიცებულება იყო და მისი არარსებობის შემთხვევაშიც, მონიტორინგის შედეგები იძლეოდა შეფასების საშუალებას, №2-08/13946, 24.08.2023 წერილი; ხოლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მითითებით, აღნიშნულზე დაყრდნობით ანალიზის გაკეთება შეუძლებელი იყო, 6.10.2023, №5006440423 წერილი.

[706] მშენებლობის კონცეპტუალური პროექტი; ავტომაგისტრალის მოცემულ ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყებამდე შენობების ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო (დათვალიერების აქტით); სამუშაოების მიმდინარეობისას ვიბრაციებზე მონიტორინგის შედეგები (მონიტორინგი უნდა იყოს მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში მუდმივი და ყოველდღიური) და კვლევის ჩამტარებელი კომპანიის მიერ გაკეთებული ვიბრაციის შედეგების ანალიზი (დასკვნის სახით), ბიუროს 6.10.2023, №5006440423 წერილი.

16.5.ცხოველებთან დაკავშირებული გამოწვევები

უსახლკარო ცხოველების პრობლემა მოქალაქეების ერთ-ერთი მთავარი წუხილია დედაქალაქსა და რეგიონებში.[707] პრობლემების სიმწვავეზე მიუთითებს, როგორც სტატისტიკური მონაცემები დედაქალაქის შესახებ, ისე ქვეყნის მასშტაბით მომხდარი არაერთი მძიმე შემთხვევა. მაგალითად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ცოფის 3 შემთხვევა დადასტურდა და ამის გამო კარანტინი გამოცხადდა;[708] ცოფი დაუდასტურდა მარტვილში ძაღლს, რომელმაც 20-ზე მეტი ადამიანი დაკბინა და იქაც ვეტერინარული კარანტინის გამოცხადება გახდა აუცილებელი;[709] ხონის მუნიციპალიტეტში ძაღლს, რომელმაც 3 არასრულწლოვანი დაკბინა, ცოფის ვირუსი დაუდასტურდა;[710] ცოფი დაუდასტურდა ასევე, ძაღლს, რომელმაც კახეთის გზატკეცილზე მოზარდი გაკაწრა.[711] 2 ბავშვი დაკბინა ძაღლმა გურიაში, რომელთაგან ერთ-ერთს სასწრაფო სამედიცინო ჩარევა დასჭირდა სიცოცხლისათვის შეუთავსებელი მდგომარეობის გამო.[712] გარდა ამისა, ცნობილი გახდა ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევებიც, მათ შორის, ბაღდათში მომხდარი მძიმე ძალადობის შედეგად დაიღუპა მიუსაფარი ძაღლი,[713] ძაღლისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტი მოხდა 2024 წლის დასაწყისში, მარნეულშიც.[714]

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მონაცემებით,[715] რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საქმიანობს, 2023 წლის განმავლობაში, სააგენტოში ცხოველებთან (ძაღლი/კატა) დაკავშირებით 67 500-ზე[716] მეტი შეტყობინება შევიდა, რაც გაზრდილი ციფრია წინა წლებთან შედარებით.[717] წინა წელთან შედარებით გაზრდილია თავშესაფარში გადაყვანილი ძაღლების რაოდენობაც,[718] რომელთაგან ბუნებრივ არეალში დაბრუნდა თითქმის ნახევარი,[719] ნაწილი მიმკედლებელთან გადავიდა, გაჩუქდა, უმცირესი ნაწილი (115) პატრონს დაუბრუნდა. საგულისხმოა, რომ 2 000-ზე მეტმა ცხოველმა

---

[707] მაგ., ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC — საქართველოს მიერ 2023 წლის 11 დეკემბერს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, უსახლკარო ცხოველების, ნიშანდობლივ, ძაღლების საკითხი ადგილობრივი დონის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. 2020 წლის შემდეგ უსახლკარო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემის სიმწვავე საგრძნობლად არის გაზრდილი. ეს საკითხი მოსახლეობის უმრავლესობას (68 პროცენტი) აწუხებს, განსაკუთრებით, თბილისსა და პატარა ქალაქებში. იხ. ბმული: < https://shorturl.at/oBOT4> 6, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[708] იხ. ბმული: < https://bit.ly/3x9pfco >, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[709] იხ. ბმული: < https://bit.ly/3PCCd8P >, [ხელმისაწვდომია 4/03/2024].

[710] იხ. ბმული: <https://bit.ly/3Q5dbzN >, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[711] იხ. ბმული: < https://bit.ly/4cz5NWN >, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[712] იხ. ბმული: <https://formulanews.ge/News/103373>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[713] იხ. ბმული: < https://shorturl.at/cjHLZ>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[714] იხ. ბმული: <https://formulanews.ge/News/104350>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[715] სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 23.01.2024, №73-01240234119 წერილი.

[716] 67 623 შეტყობინება, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 23.01.2024, №73-01240234119 წერილი

[717] 2021 წელს: 58 314 შეტყობინება; 2022 წელს: 65 922 შეტყობინება.

[718] 9 425 ძაღლი, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 23.01.2024, №73-01240234119 წერილი

[719] 9 425 ძაღლიდან 4 696 ძაღლი ბუნებრივ არეალში დაბრუნდა, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 23.01.2024, №73-01240234119 წერილი

დაასრულა სიცოცხლე ევთანაზიით/ბუნებრივი სიკვდილით.[720] 2023 წელს შედარებით გაზრდილია ძაღლის/კატის სტერილიზაციისა და კასტრაციის მაჩვენებელი და 6 500-ს გადააჭარბა.[721]

მხოლოდ ზემოაღნიშნული მონაცემები, ჩვენს გარშემო არსებული რეალობა და კონკრეტული მაგალითებიც ცხადყოფს, თუ რამდენად მძიმეა გამოწვევები და ყველასთვის საფრთხის შემცველია ვითარება, რაც სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

საანგარიშო წელს ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლითაც სანქცია ძაღლის უსაბელოდ, ან ალიკაპის გარეშე ყოლისთვის (ბულვარში, პარკში ან სკვერში) შედარებით გამკაცრდა, გაუქმდა გაფრთხილება და გაიზარდა ჯარიმა ნაცვლად 20 ლარისა 150 ლარამდე, სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისთვის დადგენილი 50 ლარიანი ჯარიმა კი - 300 ლარამდე, გამკაცრდა გარდა ამისა, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ან სხვა ცხოველების მეთვალყურეობის ქვეშ, ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნისთვის დადგენილი სანქციები.[722]

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მონაცემებით, 2023 წლის განმავლობაში[723] ძაღლის/კატის ყოლის წესების დარღვევის 371 ფაქტი გამოვლინდა,[724] ასევე, ცხოველის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის წესის დარღვევის 28 შემთხვევა აღირიცხა.[725]

სახალხო დამცველის შეფასებით, ცალკეული სანქციების გამკაცრება საკმარისი ვერ იქნება ქვეყანაში არსებული და ზემოთ განხილული მასშტაბური გამოწვევების აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ ანგარიშის მზადების პერიოდისთვის პარლამენტს არ მიუღია ახალი **სათანადო საკანონმდებლო რეგულაციები,** რომლითაც მოწესრიგდებოდა ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის წესები, პასუხისმგებლობის საკითხები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, როგორც ადამიანებისთვის, ისე თავად ცხოველებისთვის. სათანადო საკანონმდებლო ბაზისა და ერთიანი მიდგომის არარსებობაზე სააგენტოც მიუთითებს.[726] სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია ამ მიმართულებით სისტემური მიდგომის შემუშავება/დანერგვა, ვინაიდან, დროებით ღონისძიებებს არ შეუძლია პრობლემების

---

[720] 361 ევთანაზიის და 1 978 ბუნებრივი სიკვდილის ფაქტი, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 23.01.2024, №73-01240234119 წერილი

[721] სულ 6 529, 2022 წელს: 5 633, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 23.01.2024, №73-01240234119 წერილი.

[722] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლი, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები (20-50 ლარის ნაცვლად 50-100 ლარით განისაზღვრა ჯარიმები).

[723] იხ. 2023 წლის სტატისტიკური მონაცემები ბმულზე: <http://ama.gov.ge/page/300>, [4/03/2024].

[724] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლი.

[725] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

[726] სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 23.01.2024, №73-01240234119 წერილი.

გრძელვადიანად აღმოფხვრა. შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შექმნამდე, აუცილებელია აქტიური კასტრაცია/სტერილიზაციის პროცესის წარმართვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვინაიდან, ეს ცხოველების პოპულაციის მართვის ერთადერთი აპრობირებული, ჰუმანური და ეფექტიანი მეთოდია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს ერთ-ერთი საქმის[727] შესწავლის ფარგლებში, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ განგვიმარტა, რომ ცხოველისგან მომდინარე საფრთხეს და აგრესიის აშკარად გამოხატვას, კონკრეტულ მისამართზე, აფასებს სააგენტოს ოპერატიული რეაგირების ჯგუფი. აგრესია ძირითადად გამოიხატება ცხოველის მიერ ადამიანის დაკბენის მცდელობით, ოპერატიული ჯგუფის ან მესამე პირის მიმართ. ამასთანავე, მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში არ არსებობს აგრესიის დამდგენი ერთიანი რეგლამენტირებული მეთოდოლოგია. მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შესაბამისი წესი[728], განსაზღვრავს ცხოველებისგან ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულო დაჭერას (შემდგომ პროცედურების უზრუნველსაყოფად) დაქვემდებარებულ შემთხვევებს, მათ შორის, მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც ცხოველი ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელია და აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების შემცველია.[729] ამდენად, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად ეს საკითხი ასევე უნდა იქნას მოწესრიგებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით.

16.6.აკუსტიკური ხმაურის კონტროლი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა ვრცლად ისაუბრა აკუსტიკური ხმაურის ზედამხედველობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, რომლებიც უპირველესად, არაეფექტიან საკანონმდებლო რეგულაციებს უკავშირდებოდა.[730] ამდენად, სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო წელს აკუსტიკური ხმაურის ნორმების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრებას,[731] რაც სახალხო დამცველის რეკომენდაციაც იყო.

---

[727] №6894/22 განცხადება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 17 აგვისტოს № 04-14/8392, 2023 წლის 16 მაისის № 04-7/4731 წერილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 3 თებერვლის № 04-14/1146, 19 აპრილის № 04-7/3864 წერილი, 16 მაისის № 04-7/4730 წერილი სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს.

[728] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

[729] მათ შორის: ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი, აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე ცხოველები; უმეთვალყურეო ცხოველები, რომლებმაც ადამიანი ან ცხოველი დაკბინეს/დაკაწრეს/დადორბლეს და სხვ.

[730] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2022, გვ. 218-დან.

[731] იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77[1] მუხლში შესული ცვლილებები ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5962411?publication=0#DOCUMENT:1>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024], ცვლილება ძალაში შევიდა 2023 წლის 14 დეკემბრიდან.

კერძოდ, ნაცვლად გაფრთხილებისა, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ფიზიკური და კერძო პირებისთვის პასუხისმგებლობის სახედ ფულადი ჯარიმა დადგინდა;[732] რადიკალურად გაიზარდა ფულადი ჯარიმის ოდენობა განმეორებითი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში - ფიზიკური პირებისთვის, ნაცვლად 150-300 ლარისა, 500-1000 ლარით, ხოლო იურიდიული პირებისთვის, 500-1000 ლარის ნაცვლად, ჯარიმა 5 000-10 000 ლარით განისაზღვრა.

გაზრდილ საჯარიმო სანქციებთან და ოქმით გაფრთხილებასთან დაკავშირებით ახალი რეგულაციების ამოქმედებიდან დაახლოებით ერთ თვეში, ინსპექციამ უკვე გამოავლინა იურიდიული პირების/ინდ.მეწარმეების მხრიდან დარღვევები.[733] ცხადია, ეს ცვლილებები სირთულეებს იწვევს კერძო სექტორისთვის, თუმცა სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ შესაბამისი ობიექტები გაატარებენ პრევენციულ ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილონ სამართალდარღვევის ჩადენა, ასევე, მძიმე ფინანსური ტვირთი.

საანგარიშო წელს სახალხო დამცველს მოქალაქეებმა სხვადასხვა გასართობი ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხმაურზე საჩივრებით მომართეს.[734] როგორც ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან ირკვევა, მაგალითად, თბილისში, ათონელის ქუჩაზე ერთ-ერთი ბარის მიერ აკუსტიკური ხმაურის დონის გადაჭარბების ფაქტი 12-ჯერ გამოვლინდა.[735] ასევე, გვეცნობა, რომ 2023 წლის პერიოდში, ათონელის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე განთავსებული კაფე-ბარების მიმართ სულ შედგენილია 100-ზე მეტი საჯარიმო ოქმი. კიდევ ერთი საჩივარი უკავშირდებოდა თბილისში, დ. აბაშიძის ქუჩაზე მდებარე გასართობ ობიექტებს, ღამის საათების განმავლობაში წარმოშობილ ისეთ ხმაურს, როგორიცაა ახალგაზრდების ხმაურიანი შეკრებები, ხმამაღალი საუბარი და ა.შ.

ამასთანავე, 2023 წლის პერიოდში, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების სავარაუდო გადამეტებაზე მერიის ცხელი ხაზის საშუალებით 5500-ზე მეტი საჩივარი შევიდა,[736]

---

[732] ფიზიკური პირი დაჯარიმდება 150 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე – 1 500 ლარის ოდენობით.

[733] შედგა 15 ოქმი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 77[1] მუხლის I ნაწილით (1500 ლარი); 77[1] მუხლის II ნაწილით (5 000 ლარი) - 5 ოქმი; 77[1] მუხლის მე-3 ნაწილით (10 000 ლარი) - 7 ოქმი.

[734] ობიექტები განთავსებულია თბილისში, ათონელის ქუჩაზე, დ. აბაშიძის ქუჩაზე.

[735] 2022 წლის 1 იანვრიდან 11/08/2023 პერიოდში.

[736] 5836 საჩივარი; შესული შეტყობინებებიდან 521 შემთხვევაში გამოვლინდა სამართალდარღვევა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, 15/01/2024, №17-01240151358 წერილი. რეგლამენტი ასევე, არ ვრცელდება საავტომობილო ინფრასტრუქტურასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და სპორტის საჯარო ღონისძიებებზე, რომელთა რაოდენობა შეადგენს შემოსული ზარების დიდ ნაწილს - 3528 ცხელი ხაზი, რომელზედაც მომჩივნებს დისტანციურად ეცნობათ და მიეწოდათ კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

როგორც გვეცნობა, საჩივრების უმეტესი ნაწილი უკავშირდებოდა ტურისტულ ადგილებს, სადაც მრავლად არის კაფე-ბარები, რესტორნები და ღამის კლუბები.[737]

სახალხო დამცველის შეფასებით მნიშვნელოვანია სახელმწიფომ განაგრძლოს ეფექტური რეაგირება კანონდამრღვევთა მიმართ, თუმცა ამავე დროს, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია წესების დაცვის აუცილებლობა თავად კერძო სუბიექტებმაც გაითვალისწინონ და გაატარონ პრევენციული ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილონ სამართალდარღვევის ჩადენა, ასევე, მძიმე ფინანსური ტვირთი.

16.7.უფლება სუფთა ჰაერზე

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ქვეყანაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც არაერთი წელია, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს.

სუფთა ჰაერზე უფლების სრულფასოვანი რეალიზაციის ხელშემშლელი ერთ-ერთი გამოწვევაა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაბინძურების სრულფასოვანი სურათის წარმოსაჩენად და შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად. ქსელი კვლავ არ არის სრულფასოვანი და მისი გაფართოების მიზნით მუშაობა გრძელდება.[738] 2024 წლიდან ასევე იგეგმება მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემის დანერგვა.[739] სახალხო დამცველი მომავალშიც მიადევნებს თვალს ამ პროცესსა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს მონიტორინგის ქსელის სრულყოფის მიმართულებით.

საანგარიშო წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი დამაბინძურებელი სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებებიდან გაფრქვევის ზღვრული ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით.[740] ამის საფუძველზე, საქართველოში ავტომობილის პირველადი ან დროებითი რეგისტრაცია განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს მინიმუმ ევრო 5b სტანდარტს, რაც დიდწილად 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების რეგისტრაციის

[737] უწყების განმარტებით, გამოირჩევა შემდეგი ლოკაციები: შარდენის მიმდებარე ტერიტორია, ახალი აღმაშენებელი, ორბელიანის მოედანი, შ. დადიანის ქუჩა, ახვლედიანის ქუჩა და სხვ. შესული შეტყობინებებიდან 521 შემთხვევაში გამოვლინდა სამართალდარღვევა.

[738] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 23.01.2024, №21/427 წერილის თანახმად,, 2024 წელს დაიწყება მუშაობა 9 ახალი სადგურისა და ერთი გრავიმეტრული ხელსაწყოს შესყიდვისთვის ხლი სადგურების განთავსება დაგეგმილია 2025 წლის განმავლობაში.

[739] იქვე; 2023 წელს დასრულდა პროექტი ჰაერის დაბინძურების მოდელირებისა და პროგნოზირების მიმართულებით ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით, მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტები და ჩატარდა ტრენინგები პრაქტიკული ცოდნის გასაუმჯობესებლად.

[740] 2023 წლის 28 ივნისის №228 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებებიდან გაფრქვევის (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ".

შეზღუდვას გულისხმობს.[741] ავტომობილების ემისიის სტანდარტის შემოღება ხელს შეუწყობს გრძელვადიან პერსპექტივაში ავტოპარკის გაუმჯობესებასა და გაახალგაზრდავებას.[742]

ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლს სპეციალური აპარატურის საშუალებით. 2023 წლის 4 სექტემბრიდან თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში დაიწყო ხილული, ჭარბი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გზებზე კონტროლი. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დაბინძურების ერთ-ერთი უმსხვილესი წყაროს, ავტოტრანსპორტის ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი სხვა დასახლებებშიც უნდა შეიქმნას, ამ ჩამონათვალის პერიოდული გადახედვის თაობაზე განმარტებით ბარათშიც არის მითითებული.[743]

ცვლილება შევიდა შესაბამის დადგენილებაშიც, რის შედეგადაც 3 წლით აიკრძალა ე.წ. „კატალიზატორების" ექსპორტი, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მასობრივი ხასიათი მიიღო 2020 წლამდე რეგისტრირებული ავტომობილებიდან კატალიზატორების ამოღებამ და რეალიზაციამ ექსპორტის გზით, რაც ზრდიდა ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებას.[744]

საანგარიშო წელს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო „სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონი, რაც სახალხო დამცველის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ მისი ეფექტიანი აღსრულება ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამრეწველო საქმიანობის შედეგად ემისიების პრევენციას/შემცირებას/კონტროლს. კანონით ინტეგრირებული სანებართვო სისტემა მომავალში დაგეგმილი საქმიანობებისთვის ამოქმედდება 2026 წლის პირველი სექტემბრიდან, ხოლო არსებული საქმიანობებისთვის - 2029 წლიდან 2031 წლამდე, ეტაპობრივად, სექტორების მიხედვით.[745]

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ცენტრალური ზონისთვის (რომელიც მოიცავს რუსთავს) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების

---

[741] რეგულაცია მსუბუქი ავტომობილებისთვის და მიკროავტობუსებისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, ხოლო ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილებისთვის ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

[742] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 24.01. 2024, №406/01 წერილი.

[743] იხ. განმარტებითი ბარათი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/316836>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

[744]საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 24.01.2024, №406/01 წერილით მოწოდებული ინფორმაციით ცვლილება შევიდა „საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №259 დადგენილებაში კატალიზატორების ექსპორტის აკრძალვის შესახებ, იმის გამო, რომ კატალიზატორები შეიცავენ ძვირფას მეტალებს (პლატინა, პალადიუმი, როდიუმი და სხვ.) და აქვს მაღალი ღირებულება, მასობრივი ხასიათი მიიღო 2020 წლამდე რეგისტრირებული ავტომობილებიდან კატალიზატორების ამოღებამ და რეალიზაციამ ექსპორტის გზით, რაც ზრდის ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებას.

[745] შეფასება იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, 2022, გვ: 224-225.

გეგმა.[746] მომზადდა საბაზო კვლევა თბილისის აგლომერაციისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შესამუშავებლად, მოგვიანებით კი, სამოქმედო გეგმის პროექტის სამუშაო ვერსია, რომლის განხილვაც აქტიურად მიმდინარეობს. დაიწყო შავი ზღვის ზონის ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შემუშავებაც. პირველ ეტაპზე დაგეგმილია საბაზო კვლევის ჩატარება, რომლის საფუძველზეც შემუშავდება სამოქმედო გეგმის პროექტი. 2024 წლიდან ასევე დაიგეგმება დასავლეთის ზონის (რომელიც მოიცავს ქუთაისს) ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შემუშავება.

სახალხო დამცველი მიესალმება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობისა და მონიტორინგის ქსელის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს და მომავალშიც აქტიურად განაგრძობს ამ საკითხის ზედამხედველობას.

16.8.გარემოზე ზემოქმედების სისტემა

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე არაერთი წელია თვალს ადევნებს **გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის** დასახვეწად გადადგმულ ნაბიჯებს,[747] ვინაიდან, ხარისხიან, კვალიფიციურ და სრულფასოვან გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ერთ-ერთი საკვანძო როლი აკისრია გარემოს დაცვის უფლების სათანადო რეალიზაციაში. სახალხო დამცველი მიესალმება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელოების განახლებას[748] და იმედოვნებს, რომ მათი პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას და მასში საზოგადოების სრულფასოვან მონაწილეობას.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- ცხოველთა პოპულაციის ეფექტიანად და ჰუმანურად სამართავად, 2024 წელს მიიღოს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" კანონი და განისაზღვროს ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის ერთიანი წესები, ვალდებულებების დარღვევისთვის დადგინდეს მკაცრი პასუხისმგებლობა, შეიქმნას ზედამხედველობის და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმები;
- გადახედოს საქართველოს ტყის კოდექსის 93-ე მუხლის მე-9 ნაწილით დადგენილ ვადას და იმსჯელოს მისი შემცირების შესაძლებლობაზე.

რეკომენდაციები

[746] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს №1431 განკარგულება.
[747] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2022, გვ. 216.
[748] იხ. ბმულები: <გარემოს ეროვნული სააგენტო | Nea>; <გარემოს ეროვნული სააგენტო | Nea>, [ბოლოს ნანახია 4/03/2024].

საქართველოს მთავრობას:

- 2024 წელს შემუშავდეს და დამტკიცდეს საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების განახლებული ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს:

- უზრუნველყოს უკვე მომზადებული და მომავალში შემუშავებული სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და პროგნოზის შესახებ ბიულეტენების ვებგვერდზე გამოქვეყნება;
- 2024 წლის განმავლობაში დაგეგმონ სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და პროგნოზის ამსახველ დოკუმენტებში გამოვლენილი საფრთხეების შესწავლის, რისკების სრულყოფილად გამოვლენისა და თავიდან არიდებისათვის საჭირო ღონისძიებები.

17.ჯანმრთელობის უფლება

ჯანმრთელობის უფლება, როგორც ფუნდამენტური და უნივერსალური უფლება, არის ქვაკუთხედი, რომელზეც ინდივიდი და საზოგადოება აშენებს თავის მისწრაფებებს, მდგრადობას და ღირსეული ცხოვრების არსს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) განმარტებით, ჯანმრთელობა[749] არის არა მხოლოდ დაავადების არარსებობა, არამედ სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა. ასეთი ყოვლისმომცველი კეთილდღეობის მიღწევისადმი სწრაფვა წარმოშობს გამოწვევებს, რომლებიც განსაზღვრავენ ჯანმრთელობის შედეგებს.

სახალხო დამცველი, ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშესაწყობად, საანგარიშო პერიოდშიც მანდატის ფარგლებში განაგრძობდა უფლებამოსილების შესრულებას. მათ შორის, აქტიურად იყო ჩართული 2023 წელს აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მკურნალობის და წამლით უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პაციენტთა უფლებების კუთხით, 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შესაბამის უწყებას დაევალა შეიმუშაოს საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმები/სტანდარტი, რომლითაც დადგინდება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად დროულად და სრულყოფილად წარდგენის ვალდებულება.[750] სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს ამ რეკომენდაციის დროული შესრულების მნიშვნელობაზე, რადგან ის უკავშირდება პაციენტთა უფლებების ეფექტიანად დაცვის საკითხს და იმედოვნებს, რომ მომდევნო წლის ანგარიშში აღარ მოუწევს ამ პრობლემაზე საუბარი.

17.1.პაციენტის უფლებები

ჯანმრთელობის დაცვის უფლება[751] მოიაზრებს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური მდგომარეობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტს, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლებსა და არსებულ რესურსზე; მაგრამ სახელმწიფოსგან ის მოითხოვს ისეთი სისტემის შექმნას, რომელშიც ჯანდაცვა იქნება ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ყველასთვის, მაქსიმალურად უმოკლეს დროში.
პაციენტის უსაფრთხოება და ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების მიწოდება ფუნდამენტურია ჯანდაცვის სისტემის გასაძლიერებლად და სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. პაციენტის უსაფრთხოება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია, როგორც გლობალური ჯანმრთელობის

[749] Constitution of the World Health Organization. In: World Health Organization: Basic documents. 45th ed. Geneva: World Health Organization; 2005 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <bit.ly/3SbSmT9> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].
[750] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 6 ნოემბრის დადგენილება „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე".
[751] The Right to Health | ESCR-Net ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <bit.ly/3u35emO> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

პრიორიტეტი. ჯანმოს მსოფლიო ასამბლეაზე, 2021 წელს, დამტკიცდა პაციენტის უსაფრთხოების გლობალური სამოქმედო გეგმა 2021-2030 წლებისთვის.[752] 2023 წელს მსოფლიო მე-5 მინისტერიალზე მიიღეს მონტროს ქარტია პაციენტის უსაფრთხოების შესახებ „ნაკლები ზიანი, უკეთესი მოვლა - გადაწყვეტილებებიდან - განხორციელებამდე".[753] საქართველომ, როგორც ქარტიის ხელმომწერმა ქვეყანამ, შეიმუშავა პაციენტის უსაფრთხოების პროგრამა[754], ასევე შეიქმნა პაციენტის უსაფრთხოების საბჭო, რომლის ამოცანაა მაღალი სანდოობის ჯანდაცვის სისტემებისა და ჯანდაცვის ორგანიზაციების ჩამოყალიბება, კლინიკური პროცესის უსაფრთხოება, პროფესიული განათლების ხელშეწყობა და ჯანდაცვის სფეროში პაციენტის და მათი ოჯახების ჩართულობის გაძლიერება. [755]

მსგავსი პროგრამების და მექანიზმების შექმნა მნიშვნელოვანია, თუმცა უფლების ეფექტიანად დასაცავად, პროგრამების დამტკიცება არ არის საკმარისი და ამ შემთხვევაში მთავარია მათი განხორციელების რეალურად დაწყება.

17.2.პირველადი ჯანდაცვა

პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების საჭიროება პრევენციული, სამკურნალო, ხანგრძლივი მართვის, პალიატიური მოვლის სერვისების მიწოდების პოტენციალის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა პანდემიის პირობებში.[756] საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის მიზნით, აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის ქსელი იყოს მაქსიმალურად ფართო, მომსახურების პაკეტი სრულყოფილი და დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მოტივაცია და პროფესიული უნარ-ჩვევები ძლიერი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2019[757] და 2022[758] წლებში „სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობაზე განხორციელებულმა მონიტორინგმა, სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა გამოკვეთა. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კი, მოძველებული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მოთხოვნების მინიმალური სტანდარტების დაცვა იყო. 2023 წელს, სახალხო დამცველი, მის მიერ წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხს აკვირდებოდა.

---

[752] Global Patient Safety Action Plan ინფორმაცია ხელმისაწვდომია:<https://lnnk.in/bPjN> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[753] The Montreux Charter on Patient Safety galvanizes action to address avoidable harm in health care ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://lnnk.in/iJgX> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[754] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №69/ნ „საქართველოს 2024-2025 წლების პაციენტის უსაფრთხოების პროგრამის დამტკიცების შესახებ".

[755] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://lnnk.in/e3io[ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[756] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 215. ინფორმაცია ხელმისაწვდომია:: <bit.ly/47LwEv5> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[757]ინფორმაცია ხელმისაწვდომია:< https://bit.ly/3k6rfMv> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[758] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Ecx9SY >[ბოლოს ნანახია 04.03.2024].

მისასალმებელია, რომ სახელმწიფომ გასულ წელს დაიწყო მუშაობა პრობლემების ეტაპობრივად გადაწყვეტაზე და სერვისების გაუჯობესებაზე.[759]

სახალხო დამცველი ასევე დადებითად აფასებს ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანას - პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას მაღალი ხარისხის, ინდივიდზე ორიენტირებული, ინტეგრირებული მომსახურების უზრუნველყოფით.[760] ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გასწიოს სათანადო ძალისხმევა მოსახლეობის ნდობის გასაზრდელად პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიმართ და მათ მიერ სერვისების მოხმარების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად.

17.3.სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის პრევენცია და კონტროლი

მსოფლიოში ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტების სხვადასხვა ვირუსული და ბაქტერიული პათოგენებით ინფიცირების პრობლემა. ის, უმრავლეს შემთხვევებში, სანიტარიისა და ინფექციის პრევენციასა და კონტროლთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების უგულებელყოფით არის გამოწვეული.[761]

სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის კონტროლი და მისი თავიდან არიდება უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ცალკეული პაციენტების კეთილდღეობისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემისათვის. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია[762] აკონტროლოს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულება და სამედიცინო მომსახურების ხარისხი[763], რომელიც, მათ შორის, მოიაზრებს სანიტარიულ, ინფექციის კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებსაც.[764] აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება უსაფრთხო და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფის ფუნდამენტური ასპექტია.

საკითხის აქტუალობის და ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან უშუალო კავშირის გათვალისწინებით, 2023 წელს, პირველად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 9

---

[759]2023 წლის საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით, დაიწყო 24 სოფლის ამბულატორიის რეაბილიტაცია, აშენდა 7 ახალი სოფლის ამბულატორია და მიმდინარეობს 14 ახალი სოფლის ამბულატორიის მშენებლობა. დამატებით, 290 სოფლის ამბულატორიაში მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობა, წყალმომარაგება, გათბობის სისტემა, კარ-ფანჯარა და სხვ. 515 სოფლის ამბულატორიაში, გადაიჭრა გათბობასთან დაკავშირებული საკითხები (საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი, 12/01/2024 წერილი 1000395 1 24 00031762).

[760] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მაისის დადგენილება №230 „საქართველოს 2022 – 2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ".

[761]Nosocomial infections: Epidemiology, prevention, control and surveillance ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3ETKU9o> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[762] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28.

[763] იხ., იქვე, მუხლი 28, პუნქტი 2.

[764] „....extends to the underlying determinants of health, for example safe and potable water and sanitation.. Quality is a key component of universal health coverage (UHC). Quality health services should be: safe: avoiding injuries to people for whom the care is intended" ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/jJOP9 >[ბოლოს ნანახია 18.03.2024].

სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების გავრცელების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების მონიტორინგი ჩაატარა, რომლის დეტალური შედეგებიც ასახულია სპეციალურ ანგარიშში.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ არცერთ შემოწმებულ სამედიცინო დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა ხელის ჰიგიენის ღონისძიებების დაცვის სისტემური მონიტორინგი. შემოწმებული დაწესებულებებიდან. 5 დაწესებულებაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად გამოიკვეთა მაღალი და ძალიან მაღალი რისკის ზონებში ვენტილაციის სისტემების გაუმართაობა, რომელიც საიზოლაციო სათავსოებიდან ინფექციის ჰაერით გავრცელების რისკს ზრდის. სამედიცინო დაწესებულებებში სასტერილიზაციო სივრცე უმეტესწილად არ ყოფილა სათანადოდ მოწყობილი, გამოვლინდა ვენტილაციის და კონდიცირების სისტემების გაუმართაობა, „სუფთა“ და „ჭუჭყიანი“ სივრცეების ზონირების პრინციპების დაცვის დარღვევები და ზონებს შორის გადაადგილებისას პერსონალის მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების მოთხოვნების დაუცველობა. ასევე, ხუთ დაწესებულებაში გამოვლინდა ინსტრუმენტების სტერილიზაციის წინარე დამუშავების პროცესის უხეში დარღვევები. გასტერილებული ინსტრუმენტების მდგომარეობა ასევე არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს, ეს კი, გავლენას ახდენს მრავალჯერადი გამოყენების ქირურგიული და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების/მასალების სტერილიზაციის ხარისხზე; ასევე, უგულებელყოფილი იყო სამედიცინო თეთრეულის რეცხვის, დამუშავების, შენახვის და გამოყენების მოთხოვნები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 4 დაწესებულებაში გამოვლინდა სამედიცინო ინფრასტრუქტურის ზედაპირების მთლიანობის და ნარჩენების მართვის პროცესის დარღვევის ფაქტები. გარდა ამისა, სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ სამედიცინო დაწესებულების უმრავლესობაში არსებული სასწავლო მოდულები და პროგრამები ვერ ითვალისწინებენ კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების საჭიროებებს, არის ზედაპირული და ფორმალური ხასიათის.

ამავე საკითხთან კავშირშია და დადებითად შეიძლება შეფასდეს 2023 წელს ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს[765] შექმნა და რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება ანტიმიკრობული რეზისტენტობის მიმართულებით.[766] თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ინფექციის პრევენცია და კონტროლი მოიაზრებს მრავალმხრივი, სტრუქტურირებული და ორგანიზებული ღონისძიებების ერთობლიობას, პოზიტიური ვალდებულების[767] ფარგლებში, აუცილებელია სახელმწიფომ რიგი ღონისძიებები განახორციელოს არა

[765]საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 23 ივნისის №MOH 2 23 00000223 ბრძანება „ინფექციური კონტროლისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“.

[766] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 21 დეკემბრის №96/ნ ბრძანება „ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2024-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

[767] სახელმწიფოს ვალდებულება, ადამიანის უფლებების დასაცავად აქტიურად იმოქმედოს.

მხოლოდ ანტიმიკრობული რეზისტენტობის, არამედ ინფექციის პრევენციისა და კონტროლის მიმართულებითაც.

17.4.თამბაქოს კონტროლი

საქართველოს სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2017 წელს მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში მიუთითებდა თამბაქოს მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის და ამ მიმართულებით არსებული საფრთხეების ეფექტიანი კონტროლის მნიშვნელობაზე.[768] სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში სხვა საკითხებთან ერთად საუბარია არასრულწლოვანთათვის მიმზიდველი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის არასასურველ შედეგებზე. ამ კუთხით უარყოფითად უნდა შეფასდეს 2023 წლის დეკემბერში „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად, თამბაქოს ნაწარმის რეალიზატორებს 2025 წლის 1 აპრილამდე მიეცათ შესაძლებლობა ამოყიდონ თამბაქოს ის ნაწარმი, რომელიც არასტანდარტიზებული შეფუთვით საქართველოს ბაზარზე 2024 წლის 31 ივლისამდე განთავსდება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის შემოღება თამბაქოს მწარმოებლებისთვის მოულოდნელ სიახლეს არ წარმოადგენს და ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიზანი მხოლოდ თამბაქოს მწარმოებლების ფინანსური დანაკარგების შემცირებას ემსახურება,[769] თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობაში ამგვარ ცვლილებებს საქართველოს სახალხო დამცველი გაუმართლებლად მიიჩნევს. ამავე დროს, კვლავ მნიშვნელოვანია ელექტრონული და გასახურებელი თამბაქოს მოხმარების მავნებლობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება, ვინაიდან, საზოგადოების ნაწილისთვის ის დახურულ დაწესებულებაში მოხმარებისთვის დასაშვებ პროდუქტად აღიქმება.

17.5.აღკვეთის სინდრომის მართვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლი (წამების აკრძალვა) სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ დაკავებულ პირებს, ნარკოტიკული ნივთიერების დეტოქსიკაციის პროცესის დროს, გაუწიოს სათანადო სამედიცინო მომსახურება.[770] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნარკოტიკული ნივთიერების დეტოქსიკაციის პროცესი იმგვარ ძლიერ ფიზიკურ და გონებრივ ტანჯვას და სტრესს იწვევს, რომ კონვენციის მე-3 მუხლში ექცევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ

[768] იხ. დეტალური ინფორმაცია, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ" <https://ombudsman.ge/res/docs/2019041112524031329.pdf >[ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[769] იხ. განმარტებითი ბარათი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/342076> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[770] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, Dybeku v. Albania, პარა. 41; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, Poghosyan v. Georgia, პარა. 47-49; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Wenner v. Germany (Application no. 62303/13), პარა. 78-80.

სახელმწიფოს ვალდებულებაა დაასაბუთოს, რომ ამ დროს დაკავებულ პირს ადეკვატური სამედიცინო მომსახურეობა გაეწია.[771]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის[772] მე-16 მუხლით უზრუნველყოფილია ჩანაცვლებით თერაპიაზე ხელმისაწვდომობა. საანგარიშო პერიოდში ჩანაცვლებითი თერაპიით უზრუნველყოფილები იყვნენ ის დაკავებული პირები, რომლებიც დაკავებამდე ჩართულები იყვნენ პროგრამაში. ამასთანავე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[773] 2023 წელს დაკავებულ პირებს, რომელთაც დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნისას განუვითარდათ აღკვეთის სინდრომი და არ სარგებლობდნენ ჩანაცვლებითი თერაპიით, მათი თანხმობის საფუძველზე, რთავდნენ ამ პროგრამაში. რაც შეეხება იმ დაკავებულებს, რომლებიც დაკავებამდე ჩართულები არ ყოფილან პროგრამაში და არც დაკავების შემდეგ უთხოვიათ მასში ჩართვა, მათ, გასული წლის მსგავსად,[774] სიმპტომური მკურნალობა უტარდებოდათ დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების მიწოდებით.

სახალხო დამცველმა საკუთარ ანგარიშებში არაერთხელ აღნიშნა,[775] რომ მნიშვნელოვანია შეიქმნას დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის მართვის ერთიანი სახელმძღვანელო, რომელშიც გათვალისწინებული იქნება იზოლატორში გასაწევი დახმარების მოცულობა და მკაფიოდ მიეთითება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სტაციონარში. 2023 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[776] შემუშავებული იყო და უახლოეს პერიოდში უნდა დამტკიცებულიყო დოკუმენტი დროებითი მოთავსების იზოლატორში ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულ დაკავებულ პირთა სიმპტომური მკურნალობისა და მართვის შესახებ,[777] ხოლო 2023 წლის იანვარ-თებერვალში დაიწყო სამედიცინო

---

[771] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Wenner v. Germany (Application no. 62303/13), პარა. 78-80.

[772] დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით.

[773] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი პოზიცია „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის № 3600-XIIIმს-Xმპ დადგენილებით გაზიარებულ რეკომენდაციებზე.

[774] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 233, [ბოლოს ნანახია 11.10.2024].

[775] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 233; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ. 222; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, გვ. 95.

[776] 2023 წლის 27 თებერვლის MIA 7 23 00564408 პასუხი.

[777] დოკუმენტი შემუშავდა ევროპის საბჭოს პროექტის - „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში'' - ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს იზოლატორში მოთავსებული, ნივთიერებებზე დამოკიდებული პირის მიმართ ადგილზე განისაზღვროს და განხორციელდეს ეფექტიანი მკურნალობა, ხოლო საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, გადაყვანილი

პერსონალის გადამზადება ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტების დროს გამოვლინდა, რომ სამედიცინო პერსონალის უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია ზემოაღნიშნული დოკუმენტის შესახებ და არ ჰქონდათ გავლილი ტრენინგები, აღკვეთის სინდრომი კი, წინა წლების მსგავსად იმართებოდა. 2024 წლის მარტის მდგომარეობით, აღკვეთის სინდრომის მართვის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავებულია, თუმცა ჯერ კიდევ განხილვის ეტაპზეა.[778]

რეკომენდაციები:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად ერთიანი სახელმძღვანელოს დამტკიცება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სამედიცინო დაწესებულებაში; ამ დოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- განიხილოს სახალხო დამცველის მიერ ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების გავრცელების პრევენციისა და კონტროლის მონიტორინგის ანგარიშის მიგნებები და შედეგები აცნობოს საზოგადოებას;

- უზრუნველყოს რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გატარებული და დაგეგმილი სამუშაოების, მათ შორის, სარეაბილიტაციო ობიექტების, რეაბილიტაციის პრიორიტეტიზაციის, რიგითობის და თარიღების თაობაზე ინფორმაციის დამუშავება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

იქნას სამოქალაქო სექტორის სტაციონარში, სადაც, შესაბამისი კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის მქონე ჯანდაცვის პროფესიონალები მას მიაწვდიან ადეკვატურ მკურნალობას.

[778] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 1 მარტის წერილი MIA 1 24 00639688.

18.შრომის უფლება

შრომის უფლების რეალიზაციის კუთხით, ქვეყანაში ერთ-ერთ პრობლემად რჩება კონსტრუქციული დიალოგის კულტურის დეფიციტი შრომითი ურთიერთობის მხარეებს შორის, რასაც, გასულ წელს, დასაქმებულთა გაფიცვის ბევრი შემთხვევა მოჰყვა.[779] შრომის პირობების გასაუმჯობესებლად მუშაკებმა პროტესტის უკიდურეს ფორმებსაც კი მიმართეს.[780] საქართველოს სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები შეხვდნენ გაფიცულ დასაქმებულთა ნაწილს.[781] მუშაკები ყველაზე მწვავე პრობლემად გაწეული შრომისთვის შეუსაბამოდ დაბალ ანაზღაურებას ასახელებდნენ. საქართველოს სახალხო დამცველმა დამსაქმებლებს საჯაროდ მოუწოდა უზრუნველყონ დასაქმებულთა სათანადო და სამართლიანი ანაზღაურება, რათა მუშაკებს და მათ ოჯახებს მიეცეთ ღირსეული ცხოვრების საშუალება.[782]

მისასალმებელია სამედიცინო სფეროში დასაქმებული პირების საათობრივი ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დაწესება[783], თუმცა ქვეყანაში შრომის ღირსეული ანაზღაურების უფლების სათანადოდ უზრუნველსაყოფად კონკრეტულ სექტორში მინიმალური ანაზღაურების შემოღება საკმარისად ვერ ჩაითვლება. პრობლემად რჩება ციფრულ პლატფორმაზე დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებებით სარგებლობის საკითხი. ასევე, მოქმედი შრომის კანონმდებლობით კერძო დამსაქმებელს დღემდე არ აქვს

---

[779] სასწრაფოს ექიმების და მძღოლების გაფიცვა, 2023 წლის იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/twF56> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].
სასწრაფოს ექიმების პროტესტი, 2023 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/dtCPW> [ბოლოს ნანახია 04.03.2024], „ვოლტის" კურიერების გაფიცვა, 2023 წლის თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/fvXY0>[ბოლოს ნანახია 04.03.2024], „ბოლტის" მძღოლების გაფიცვა, ხელმისაწვდომია:<https://shorturl.at/hqLUW> [ბოლოს ნანახია04.03.2024], ტელეკომპანია „ფორმულას" ოპერატორების გაფიცვა, ხელმისაწვდომია <https://shorturl.at/vELX0> [ბოლოს ნანახია 04.03.2024], „საირმე მინერალ ვოთერსის" თანამშრომლების გაფიცვა 2023 წლის თებერვალი-მარტი, ხელმისაწვდომია <https://rb.gy/7lmmzz>[ბოლოს ნანახია 04.03.2024], ჭიათურის მაღაროელების გაფიცვა, ხელმისაწვდომია <https://rb.gy/ecejv8>[ბოლოს ნანახია 04.03.2024], რიკოთის მაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებული პირების გაფიცვა, 2023 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/z1dgy9> [ბოლოს ნანახია 04.03.2024], ჭიათურაში მდებარე დარკვეთის მაღაროში დასაქმებული პირების გაფიცვა 2023 წლის დეკემბერი, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/57ez0k>[ბოლოს ნანახია 04.03.2024], დასუფთავების თანამშრომლების გაფიცვა, 2023 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/njv1a8> [ბოლოს ნანახია 04.03.2024], თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის თანამშრომლების გაფიცვა, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/nozR5> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[780] ჭიათურის მაღაროში დასაქმებულმა პირმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა, ხელმისაწვდომია:<https://shorturl.at/cEJ01> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[781] სახალხო დამცველის შეხვედრა ჭიათურის მაღაროში დასაქმებულ პირებთან, ხელმისაწვდომია<https://shorturl.at/cEJ01>, [ბოლოს ნანახია 04.03.2024].
სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების შეხვედრა „საირმე ჯორჯიან ვოთერსის" გაფიცულ თანამშრომლებთან, ხელმისაწვდომია <https://shorturl.at/yR157>[ბოლოს ნანახია 04.03.2024], სახალხო დამცველის შეხვედრა „ვოლტის" კურიერებთან https://shorturl.at/cnET1, სახალხო დამცველის აპარატის შეხვედრა ტელეკომპანია „ფორმულას" ოპერატორებთან.

[782] სახალხო დამცველის განცხადება <https://shorturl.at/owEK9>[ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[783] „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 თებერვლის №36 დადგენილება.

მშობლისთვის ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლისთვის შვებულების ანაზღაურების ვალდებულება.[784]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განსხვავებული მოსაზრებების ან/და პროფესიული კავშირების კუთვნილების ნიშნით, დასაქმებულთა დისკრიმინაციის არაერთი ფაქტი გამოავლინა და მათი შრომითი უფლების აღდგენის მიზნით დამსაქმებლებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა.[785] საქართველოს სახალხო დამცველმა დამსაქმებლებს მოუწოდა უზრუნველეყოთ დასაქმებულთა უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო, ასევე, არ შეევიწროებინათ და უკანონოდ არ გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან ის დასაქმებულები, რომლებიც აპროტესტებდნენ შრომით პირობებს, ჰქონდათ განსხვავებული მოსაზრებები ან/და სარგებლობდნენ გაფიცვის უფლებით.[786] ასევე, სახალხო დამცველმა სსიპ შრომის ინსპექტორთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს წინადადებებით მიმართა, შეიმუშაოს კოლექტიური შრომითი უფლებების სათანადო დაცვისა და პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისკენ მიმართული რეკომენდაციები.[787]

18.1.საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი შრომის უფლების დარღვევის ფაქტები

პრობლემად რჩება პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირთა შრომის უფლებების დაცვა. კურიერებისთვის პლატფორმის კომპანიების მიერ მინიჭებული „პარტნიორის" სტატუსის მიუხედავად, სახალხო დამცველი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ შემუშავებული სტანდარტებით და პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირებს, კომპანიასთან შრომით ურთიერთობაში მყოფ პირებად მიიჩნევს. სახალხო დამცველმა ამგვარ შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაცია „ბოლტის" (Bolt Food) კურიერების მიმართ, პირველად 2021 წელს დაადგინა.[788] საანგარიშო პერიოდში კი დამატებით ორი გადაწყვეტილება მიიღო.[789] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2023 წელს შესწავლილი საჩივრებიდან ირკვევა, რომ დამსაქმებლები შრომით ხელშეკრულებაში არ უთითებენ კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი არსებითი პირობების შესახებ, როგორიცაა: შესასრულებელი სამუშაოს სახე, სამუშაო დრო, დასვენების დრო, ანაზღაურებადი შვებულებით

[784] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 6 მაისის №1698 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/rvTW1 > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[785] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავი - დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში.

[786] განცხადება ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/dquJ3 > [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[787] სახალხო დამცველის 2023 წლის 4 სექტემბრის ზოგადი წინადადება სსიპ შრომის ინსპექციის მრჩეველთა საბჭოს, ხელმისაწვდომია < https://shorturl.at/hJNP2> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[788] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 14 ივნისის რეკომენდაცია „ბოლტს", ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3YiNxJ6> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[789] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის რეკომენდაცია „გლოვოს", ხელმისაწვდომია: . <https://bit.ly/41n1A1M>[ბოლოს ნანახია 04.03.2024], სახალხო დამცველის 2023 წლის 4 ივლისის რეკომენდაცია შპს „ვოლტ ჯორჯიას", ხელმისაწვდომია <https://shorturl.at/fgkzL> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

სარგებლობის და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, არ აღრიცხავენ ნამუშევარ საათებს და შრომის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების[790] გვერდის ავლით, ერთ წელზე ნაკლები ვადით დებენ შრომით ხელშეკრულებებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა, 2023 წელს, ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების (მათ შორის, კერძო დაწესებულებების) მონიტორინგისას, იქ დასაქმებულ პირთა შრომითი უფლების დარღვევის ფაქტები გამოავლინეს. მუშაკები განმარტავდნენ, რომ არ აღირიცხებოდა მათი სამუშაო საათები, არ ჰქონდათ განსაზღვრული დასვენების დრო და სათანადოდ ვერ სარგებლობდნენ შრომითი უფლებებით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში არსებული სამუშაო პირობების შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესამოწმებლად, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს მიმართა.[791] 2023 წლის სექტემბერში ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის 7-ვე დაწესებულებაში ჩატარებული არაგეგმიური ინსპექტირებით გამოვლინდა დასაქმებულ პირთა (174 დასაქმებული, აქედან 88% ქალი) შრომითი პირობების დარღვევის ფაქტები და დაწესებულებების მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმები.[792]

2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის №2 დაწესებულების სასადილოში[793] დასაქმებული ორი მსჯავრდებულის საჩივარი შეისწავლა და შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები გამოავლინა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულები დასაქმებულთა მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში დასაქმებული მსჯავრდებულების *(ყველა მსჯავრდებული, რომელიც დასაქმებულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ კერძო საწარმოებში)* შრომითი უფლებების დაცვის მდგომარეობის შესამოწმებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული საწარმოს სრული ინსპექტირებისკენ მოუწოდა.[794] სახალხო დამცველი განმარტავს, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში, განსაკუთრებით, როდესაც დასაქმებულ პირებს შეზღუდული აქვთ დაწესებულების დატოვების შესაძლებლობა, განსაკუთრებით მაღალია შრომის უფლებების დარღვევის რისკი და ამის თავიდან ასარიდებლად, შრომის ინსპექციის მხრიდან, მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის დაწესებულებების აქტიური მონიტორინგი.

ასევე გამოიკვეთა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაფუძნებული კულტურის და სპორტის დაწესებულებები საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლების უგულებელყოფით, ერთსა და იმავე პედაგოგებთან/მწვრთნელებთან საშუალოდ 15 წელია 10 თვის ვადით დებენ შრომით ხელშეკრულებებს. შესაბამისად, წლების განმავლობაში 918 დასაქმებული (მათ შორის, 780

[790] საქართველოს ორგანული კანონი - შრომის კოდექსი, მუხლი 12, ნაწ. 3.
[791] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილი №04-3/699, 18.07.2023.
[792] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 25.09.2023 წ. წერილი №LIO 9 23 01009392.
[793] დამსაქმებელი შპს „ილი ჯგუფი" (ს/კ205265808).
[794] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება №04-5/1771 19.02.2024 წ, ხელმისაწვდომია <https://urlis.net/8j304f3h>[ბოლოს ნანახია 04.03.2024].

ქალი დასაქმებული) დაუსაბუთებლად ვერ სარგებლობს ანაზღაურებადი შვებულების უფლებით. ამავე დროს, პედაგოგები და მწვრთნელები იმყოფებიან რისკის ქვეშ, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძლით შეუწყდეთ შრომითი ურთიერთობა.

ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის და სამუშაო ადგილიდან დაუსაბუთებელი და უკანონო გათავისუფლების შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ არღვევს დასაქმებულთა კონსტიტუციით გარანტირებულ შრომის უფლებას, უშუალო გავლენას ახდენს კულტურის და სპორტის დაწესებულებებში დასაქმებულ ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასაქმებულთა 85% ქალია). შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაფუძნებული კულტურის და სპორტის დაწესებულებების პედაგოგებთან/მწვრთნელებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები უნდა მოვიდეს საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში.

რეკომენდაციები

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს:

- პრიორიტეტულად ჩაუტარდეს სრული ინსპექტირება დახურული ტიპის დაწესებულებებში მოქმედ კერძო საწარმოებს.

19.სოციალური უზრუნველყოფის უფლება

1948 წელს ინკლუზიური სოციალური დაცვის სისტემები ადამიანის უფლებად განისაზღვრა (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში)[795] და მას შემდეგ ეკონომიკურ წინსვლაში თანაბარი მონაწილეობის გასაზრდელად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევა. სოციალურ დაცვად განისაზღვრება ყველა ის პროგრამა და ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავს სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრას ან გარკვეული შოკებისგან დაცვას ინდივიდის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.[796] სახელმწიფოებს აკისრიათ სამართლებრივი ვალდებულება, შექმნან სოციალური დაცვის სისტემები და ეს ვალდებულება უშუალოდ გამომდინარეობს სოციალური უზრუნველყოფის უფლებიდან.[797]

19.1.მიზნობრივი სოციალური დახმარება

2023 წლის მარტის მონაცემებით, სოციალური შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 676 641-ს შეადგენდა, რაც დღემდე, პროგრამის მოქმედების პერიოდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[798]

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს სოციალური დაცვის სისტემის სხვადასხვა გამოწვევაზე[799] და აღნიშნავს, რომ მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველსაყოფად, შინამეურნეობების კვლევაზე დაყრდნობით, აუცილებელია „მიზნობრივი სოციალური პროგრამის" ეფექტიანობის პერიოდული შეფასება და შედეგების მიხედვით შესაბამისი ზომების მიღება. მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველსაყოფად, საჭიროა პერიოდულად გადაიხედოს, რამდენად სწორად ფასდება ოჯახები და ამ გაანალიზების შედეგად, საჭიროებისამებრ განახლდეს მეთოდოლოგია.[800] გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი მეთოდოლოგია 2014 წელს დამტკიცდა[801] და მასში ძირითადი მახასიათებლები არ შეცვლილა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს დამტკიცდა შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი სატესტო მეთოდოლოგია,[802] ასევე

---

[795] Universal Declaration of Human Rights (UDHR) ინფორმაცია article 22, 25 ხელმისაწვდომია: <https://is.gd/tzpM3u> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[796] Thematic Brief Social Protection – the United Nations ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://is.gd/V8FKPa> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[797] International Covenant on Economic, Social and Cultural Rights article 9 ინფორმაცია ხელმისაწვდომია:<https://is.gd/fyS9V3> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[798] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://is.gd/Tk4BTr> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[799] „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2020, გვ. 238.

[800] „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2022, თბილისი, 2023, 300; „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2019, თბილისი, 2020, 288.

[801] ამოქმედდა 2015 წლიდან.

[802] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №MOH 9 22 00000131.

გაანალიზდა მიღებული შედეგები და მომზადდა რეკომენდაციები. სატესტო მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს რიგ ცვლილებებს[803], შინამეურნეობის სამომხმარებლო ინდექსისა და საჭიროების ინდექსის ცვლადებთან მიმართებით, რაც, უწყების განმარტებით, მეტად უზრუნველყოფს მოწყვლადი ოჯახების გამოვლენას და ჩართვას პროგრამაში. მნიშვნელოვანია, რომ არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დროულად განახლდეს მოქმედი მეთოდოლოგიის დოკუმენტი იმგვარად, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს შეცდომები და შესაძლებელი გახდეს საჭიროების მქონე, მოწყვლადი ოჯახების გამოვლენა.

19.2.საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმება

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა[804] 2022 წელს ამოქმედდა და უკვე 2 წელია, გრძელდება.[805] საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 2022 წელს 29 323 ბენეფიციარმა ისარგებლა, ხოლო 2023 წელს - 39 999 ბენეფიციარმა.[806] მისი მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული მოქალაქეები.[807] პროგრამის მიზანია მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობა და ამავე დროს, სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი პირებისთვის სხვადასხვა ღონისძიების შეთავაზებას,[808] ამ შეთავაზებებიდან ერთ-ერთის არჩევის შემთხვევაში, პროგრამის ბენეფიციარები 4 წლის განმავლობაში ინარჩუნებენ

[803]კეთილდღეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ისეთი ახალი მახასიათებლები, როგორიცაა შინამეურნეობის საზღვარგარეთ მყოფი წევრები, პირუტყვის ინდექსი (ცხვარი, თხა და ღორი), ინდივიდუალური ცხელი წყლის სისტემა, შინამეურნეობის დასაქმებული წევრების რაოდენობა, ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა (მიუხედავად მზღვეველისა). ხოლო მახასიათებლები, როგორიცაა ფუტკრის სკების რაოდენობა, ფრინველების რაოდენობა, პენსია და სხვა სახელმწიფო გასაცემლები/სოციალური დახმარებები, ოჯახისგან დამოუკიდებლად (ცალკე) მცხოვრები სრულწლოვანი შვილ(ებ)ი, ოჯახის უფროსის ვინაობა (კაცი/ქალი), დამხმარე ნაგებობები (სარდაფი, ავტოფარეხი, მარანი, სახელოსნო და სხვ.), საცხოვრისის მდებარეობა მაღალმთიან რეგიონში, იატაკის მასალა (პარკეტი), აღარ მონაწილეობენ კეთილდღეობის შეფასებაში (სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი, 24 იანვარი 2024 SSA 2 24 00082355).

[804] პროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 120 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე მყოფი (ქალი – 60 წელი, მამაკაცი – 65 წელი) წევრები, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი ან/და რეგისტრირებულნი თვითდასაქმებული სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზის მიხედვით.

[805] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №17 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ".

[806] სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს 2024 წლის 13 თებერვლის წერილი SESA 2 24 00171924.

[807]120 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე მყოფი (ქალი – 60 წელი, მამაკაცი – 65 წელი) წევრი, რომელიც არ არის დასაქმებული ან/და რეგისტრირებული თვითდასაქმებული სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზის მიხედვით.

[808]დასაქმება საზოგადოებრივ სამუშაოებზე, დასაქმება ღია შრომის ბაზარზე და არაფორმალური დასაქმების ფორმალიზება.

ყველა იმ სარგებელს, რასაც სახელმწიფო სოციალურად დაუცველ პირებს სთავაზობს.[809] თუმცა პროგრამის შინაარსიდან ბუნდოვანია, რა ეტაპზე უნდა დაიწყოს ბენეფიციარმა ღია დასაქმების ბაზარზე სამსახურის ძიება, ახლა თუ 4 წლის შემდეგ. ასევე, მნიშვნელოვანია შეფასება, რამდენად ეხმარება პროგრამა და პროგრამის ფარგლებში დასაქმების შედეგად მიღებული გამოცდილება სოციალურად დაუცველ პირებს შრომის ბაზარზე დამკვიდრებაში.

19.3.სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა

2022 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა უფასო სასადილოების მონიტორინგი ჩაატარა, რომლის შედეგებიც აისახა სპეციალურ ანგარიშში[810] და გაიცა რეკომენდაციები ყველა მუნიციპალიტეტისთვის. რეკომენდაციების შესრულების გადასამოწმებლად, სახალხო დამცველმა გასულ წელს მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა შეისწავლა.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სპეციალურ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი არ გაუზიარებიათ. რეკომენდაციის გაუზიარებლობის მიზეზად ფინანსური რესურსის სიმცირე სახელდება, მუნიციპალიტეტების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მათ ტერიტორიაზე არსებული ე. წ. უფასო სასადილოები გამართულად ასრულებენ თავიანთ ფუნქციას. რამდენიმე მუნიციპალიტეტი სასადილოების შენობის რეაბილიტაციის პროცესში სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინების მზადყოფნას გამოთქვამს.[811]

სახალხო დამცველის აპარატმა, ასევე გამოითხოვა ინფორმაცია[812] სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსაგან 2023 წელს სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მომსახურება/სასადილოში ჩატარებული ინსპექტირების, მონიტორინგის და ზედამხედველობის შედეგების თაობაზე. შედეგად, გვეცნობა, რომ 2023 წელს, სამ ბიზნესოპერატორთან გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობები გამოსწორებულია და ისინი განაგრძობენ საქმიანობას.

2022 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა უფასო სასადილოს სერვისის მართვის და მიწოდების ერთიანი სტანდარტის არარსებობა. ეს პრობლემა კვლავ გადაუჭრელია, ქვეყნის მასშტაბით სტანდარტულად არ არის დადგენილი გასაცემი საკვების ოდენობა და კალორაჟი, ფიზიკური გარემოს მოწყობის, უსაფრთხოების დაცვისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის კუთხით სავალდებულო მოთხოვნები. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის

---

[809] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 თებერვალი, №80 დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[810] ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://shorturl.at/hjxK2> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[811] მაგალითად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის ინფორმაციით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა საპროექტო დოკუმენტაცია შენობის რეაბილიტაციისა და ყველა ბენეფიციარზე ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №74-742329164, 18/10/2023.

[812] სახალხო დამცველის აპარატის წერილი №04-10/11984, 11/12/2023.

შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა უფასო სასადილოების მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცება. გასული წლის მსგავსად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად მიგვაჩნია უფასო სასადილოების სისტემატიზებული მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა. კერძოდ, მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში სასადილოს მონიტორინგს ატარებს მერიის შიდა აუდიტი, რომელიც ფინანსური მონიტორინგით შემოიფარგლება და სერვისის მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, ანგარიში და რეკომენდაციები არ მზადდება. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე მუნიციპალიტეტი, სადაც სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი ამზადებს ანგარიშებს.[813]

გამოწვევად რჩება საკვების შინ მიტანის სერვისის არარსებობა იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთაც, ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სასადილოში მისვლა არ შეუძლიათ. მუნიციპალიტეტების ნაწილს არ აქვს გამოკვლეული ასეთი საჭიროება, ხოლო ნაწილს არ აქვს ეს სერვისი სისტემატიზებული და კონკრეტული კრიტერიუმები გაწერილი, რა შემთხვევებში მიაქვთ საკვები ადგილზე ბენეფიციარისათვის.

პრობლემურია ისიც, რომ მოსარგებლეთა სიებში ერთი ოჯახის ყველა წევრი არ არის შეყვანილი.[814] განსხვავებული მდგომარეობაა თბილისის მასშტაბით მოქმედ სასადილოებში, სადაც ძირითად და დამატებით სიებში რეგისტრირებული ოჯახებიდან, ოჯახის ყველა წევრია რეგისტრირებული და იღებს კუთვნილ ულუფას. მუნიციპალიტეტების ნაწილი საჭიროების მიხედვით რთავს ოჯახებს სერვისში, ხოლო ნაწილში (ძირითადად, თბილისის მუნიციპალიტეტი) უფასო სასადილოთი მოსარგებლეთა სიების ფორმირებისას ყურადღება მახვილდება არა საჭიროებაზე, არამედ განცხადების წარდგენის რიგითობაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- დროულად უზრუნველყოს შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დამტკიცება და მის დასანერგად აუცილებელი სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების მიღება.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს:

- 2024 წელს, საკუთარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეისწავლონ მცხოვრებთა საჭიროებები, შეაგროვონ სტატისტიკური მონაცემები და ამის

[813] მაგალითად, ზუგდიდის და რუსთავის მუნიციპალიტეტები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი №24-2423292183, 19/10/2023; რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის წერილი №38-3823292374, 19/10/2023.

[814] გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია ოჯახის ყველა წევრის ძირითად სიაში ჩარიცხვის შესახებ .

გათვალისწინებით, საჭიროების შესაბამისად, საკვებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, იზრუნონ მუნიციპალიტეტში სახსრების მობილიზებისათვის.

20.სათანადო საცხოვრებლის უფლება

20.1.შესავალი

სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზების კუთხით, ქვეყანაში სისტემური ხასიათის გამოწვევები, წლებია, გადაუჭრელია.[815] საანგარიშო პერიოდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის სამართლებრივი თუ პრაქტიკული სირთულეები, რასაც უსახლკარო პირები სათანადო საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით აწყდებიან. სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის ხელშემწყობი ჩარჩო კანონმდებლობისა და უსახლკარო პირის საკანონმდებლო განმარტების არარსებობასთან ერთად, სახელმწიფოს ასევე არ აქვს უსახლკარო პირთა სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ქვეყანაში შეუსწავლელია უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები და მისი მასშტაბები, არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა. შესაბამისად, არ არსებობს უსახლკარობის პრევენციის მიზნით შემუშავებული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც კვლევის კონკრეტულ შედეგებზე იქნებოდა დაფუძნებული. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში ვერ მოხვდა სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

გამოწვევად რჩება სოციალური საცხოვრისების მდგომარეობა და იქ არსებული არასათანადო გარემო. ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური საცხოვრებლის მოწყობის მინიმალური სტანდარტები. ასევე, მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის უსახლკარო პირის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო და არაერთგვაროვანი განმარტება. ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა,[816] რომლის არსებითად მიღების საკითხი სასამართლოს ამ დრომდე არ გადაუწყვეტია.[817] მუნიციპალიტეტების ნაწილს მხოლოდ პირთა თავშესაფრის მოწყობის ან/და ქირის უზრუნველყოფის პროგრამები აქვს. აღსანიშნავია, რომ გრძელვადიანი განსახლების მიზნებისთვის საბინაო ფონდისა თუ სოციალური საცხოვრისის უქონლობის, ან/და მისი გადატვირთულობიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის პროგრამები სისტემურად ვერ გადაჭრიან პრობლემებს და გრძელვადიან პერსპექტივაში, ვერც უსახლკარობას აღმოფხვრიან.

ამ გამოწვევების ფონზე, მნიშვნელოვანია სათანადო საცხოვრებლის უფლების საერთაშორისო მექანიზმების გაძლიერება. მაგალითად, მნიშვნელოვანია საქართველომ აიღოს ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლის დაცვის და შესრულების ვალდებულება, რომელიც საცხოვრებელ ადგილზე უფლებას განამტკიცებს.[818]

---

[815] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2019, 2020, 2021 და 2022 წლის ანგარიში, თავი: სათანადო საცხოვრებლის უფლება. ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/aG245 > [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[816] იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის 29 ივლისის კონსტიტუციური სარჩელი, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხვათა წინააღმდეგ". ხელმისაწვდომია:< https://shorturl.at/dqstT > [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[817] სარჩელზე განმწესრიგებელი სხდომა 2023 წლის 29 მაისს გაიმართა.

[818] ეს საკითხი ვრცლად არის მიმოხილული საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში. ამდენად, მას დამატებით აღარ შევეხებით.

20.2.მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა

20.2.1.ვითარება მუნიციპალიტეტებში მდებარე სოციალურ საცხოვრისებში და განხორციელებული ვიზიტები

2023 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა რწმუნებულებთან ერთად 5 მუნიციპალიტეტში 10 სოციალური საცხოვრისი მოინახულა.[819] წინა წლებში გაკეთებული შეფასებების მსგავსად, სოციალური საცხოვრისების გარემო მკვეთრად არადამაკმაყოფილებელი და ღირსების შემლახავია, საცხოვრისების ნაწილი ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებლის ადეკვატურობის საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტებს და, რიგ შემთხვევებში, იქ ცხოვრება სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.[820] მუნიციპალიტეტებისგან დამოუკიდებლად შექმნილი სოციალური საცხოვრისების უმეტესობა არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებშია განთავსებული.[821]ოზურგეთის, ქუთაისის, გორისა და თბილისის სოციალური საცხოვრისების არასათანადო საცხოვრებელი პირობები ასევეა აღწერილი სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშებში.[822]

განსაკუთრებით კრიტიკულია ვითარება გორის მუნიციპალიტეტში, ყოფილი ნარკოლოგიურის შენობაში განთავსებულ საცხოვრისში. საცხოვრისში კვლავ უკიდურესად მწვავე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებია, გაყვანილი არ არის კანალიზაციის და დრენაჟის სისტემები, საერთო ჯამში კი, შენობა საცხოვრებლად უვარგისია. საყურადღებოა ისიც, რომ შენობის მე-2 სართულზე ფუნქციონირებს დაწესებულება, რომელიც ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამის (ე.წ. მეტადონის პროგრამა) ბენეფიციარებს სერვისს აწვდის. საცხოვრისის მცხოვრებთა განმარტებით, დაბინძურებულ გარე და შიდა პერიმეტრთან და უსაფრთხო გარემოს არარსებობასთან ერთად, ეს ფაქტორი უარყოფით გავლენას ახდენს მათზე, განსკუთრებით კი - ბავშვებზე. ვითარების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი 2022 წლიდან მოუწოდებს გორის მუნიციპალიტეტის მერიას, უზრუნველყოს საცხოვრისში მცხოვრები პირების დაჩქარებული განსახლება და მათი ღირსების შესაბამისი და მინიმალური სტანდარტების დამაკმაყოფილებელი ალტერნატიული საცხოვრებლით დაკმაყოფილება. საპასუხოდ, საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი სოციალურ საცხოვრისში სანიტარიული კვანძების სარეაბილიტაციო და აბანოს მშენებლობის სამუშაოებზე. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ განმარტა, რომ

---

[819] თბილისის მუნიციპალიტეტი (3 საცხოვრისი), გორის მუნიციპალიტეტი (2 საცხოვრისი), ქუთაისის მუნიციპალიტეტი (2 საცხოვრისი), ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (2 საცხოვრისი), ბათუმის მუნიციპალიტეტი (2 საცხოვრისი).

[820] სოციალურ საცხოვრისებში არსებულ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით იხ. „საცხოვრისის სერვისის განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში" სპეციალური ანგარიში, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3mepgq9 > [ბოლოს ნანახია 04.03.2024წ.].

[821] ქუთაისში, ნიკეას დასახლებაში სოციალური საცხოვრისის შენობა ყოფილი კავშირგაბმულობის დაწესებულება იყო, ოზურგეთის სოციალური საცხოვრისი ყოფილი სამშობიაროს შენობაშია განთავსებული, გორის საცხოვრისი - ყოფილი ნარკოლოგიური კლინიკის შენობაა, რუსთავის საცხოვრისი - ყოფილი პროფესიული სასწავლებელია, ხოლო ორხევის - ყოფილი საწყობი.

[822] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2021 და 2022 წლის ანგარიშები.

ალტერნატიული სივრცის მოძიებამდე, პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად, შენობის მიმდებარედ სანიტარიული კვანძების მოწყობისა და შენობაში არსებული სველი წერტილების რეაბილიტაციის გადაწყვეტილება მიიღეს.[823] რაც შეეხება მცხოვრებთა სხვა საცხოვრებლით უზრუნველყოფას, მერიაში აღნიშნეს, რომ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ჩართულობით, მთავრობასთან ერთად აქტიურად მუშაობენ საკითხის მოსაგვარებლად. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ გორის სოციალურ საცხოვრისში მყოფი პირების განსახლება და მათი ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

არასათანადო პირობებია ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩის №18, ყოფილი სამხატვრო აკადემიის შენობაში განთავსებულ საცხოვრისში. აქ არ არის კანალიზაცია, სველი წერტილები და ბუნებრივი აირი. საცხოვრებელ ოთახებში ჩამოდის წვიმა, ფანჯრების უმეტესობა ჩამტვრეულია. ქ. ქუთაისის მერიის განმარტებით, შენობაში მცხოვრებ პირებს სათანადო საცხოვრებლით მას შემდეგ უზრუნველყოფენ, როდესაც საცხოვრისის მშენებლობა დაიგეგმება.[824] გარემონტდა 2023 წლის იანვრის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული, ქუთაისში, ნიკეას №40 გ-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის სახურავი. თუმცა საცხოვრისში არსებული მწვავე პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება - შენობა ამორტიზებულია, ობიექტს არ გააჩნია საცხოვრებლისთვის აუცილებელი პირობები, გაუმართავია სადრენაჟო სისტემა. ოზურგეთისა და სოფელ მერიის საცხოვრისების ძირითადი პრობლემაა გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, წვიმისგან დატბორილი სარდაფები, დაზიანებული ფასადების გამო ნესტიანი საცხოვრებელი ოთახები, სადაც ასთმით დაავადებული მცირეწლოვანი ბავშვები, შშმ პირები და ომის ვეტერანები ცხოვრობენ.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში, ე. წ. „ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე ძირითად გამოწვევად კვლავ ინფრასტრუქტურული პრობლემები რჩება. დღემდე არ არის გაყვანილი საკანალიზაციო სისტემა, გზა, ხოლო ელექტროგაყვანილობა კუსტარულად არის დამონტაჟებული. როგორც გვეცნობა, ე. წ. „ოცნების ქალაქში" მცხოვრები ბენეფიციარებისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით, ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში, მრავალბინიანი (582 საცხოვრებელი ბინა (გასაღების ქვეშ) საცხოვრებელი კომპლექსი შენდება (დასრულების ფაზაშია). შესაბამისმა სამუშაო ჯგუფმა აგრეთვე იმსჯელა რიგითობის განსაზღვრაზე, რომლის დაცვითაც დაკმაყოფილდა პროგრამაში მონაწილე ოჯახები. დამატებით, მოწოდებული ინფორმაციით, „ოცნების ქალაქში" მცხოვრები ბენეფიციარებისთვის სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის მეორე ეტაპზე დაგეგმილია ცხრა 13 სართულიანი შენობის მშენებლობა, ჯამურად - 1077 საცხოვრებელი (გასაღების ქვეშ) ბინა.[825]

დადებითად უნდა შეფასდეს, თბილისში, ორხევში, მუხაძის ქ. №12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის არასათანადო პირობებისა და შენობის ავარიულობიდან

[823] გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 3 ნოემბრის №20-2023307117 წერილი.
[824] ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 თებერვლის №44-4424033187 წერილი.
[825] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 22 თებერვლის №01-01-10/2217 წერილი.

გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება საცხოვრისში მცხოვრები ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე.[826] ასევე, აღსანიშნავია, რომ მერია გეგმავს, ორხევში მცხოვრებ ბენეფიციარებს საცხოვრებელი ფართების სარგებლობის უფლებით გადასცეს.

20.2.2.მუნიციპალიტეტებში უსახლკარობის აღმოსაფხვრელი პროგრამები

სათანადო საცხოვრებლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროგრამები მუნიციპალიტეტებში განსხვავებული და ფრაგმენტულია. ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სისტემური მიდგომა უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილ სოციალურ დახმარებასთან/პროგრამებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატმა ყველა იმ მუნიციპალიტეტიდან[827] გამოითხოვა ინფორმაცია, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრებლით დაკმაყოფილების წესი. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ გააჩნია სოციალური საცხოვრისი ან არსებულ საცხოვრისებში ადგილები მთლიანად შევსებულია. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში უსახლკარობისთვის განკუთვნილი პროგრამა მოიცავს ერთი საბიუჯეტო წლით ბინის ქირით უზრუნველყოფას, რომელიც, მართალია, სათანადო საცხოვრებლის საჭიროებებს მყისიერად აკმაყოფილებს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში უსახლკარობის აღმოფხვრა არ შეუძლია. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რომელიც უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, პირებს, რომლებსაც აქვთ მიწის ნაკვეთი, ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს უშენებს.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში უსახლკარო პირად რეგისტრაცია ძალიან დიდ დროს საჭიროებს,[828] რაც კიდევ უფრო ართულებს უსახლკარო პირების თავშესაფრით დროულ დაკმაყოფილებას.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად, მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჩარჩო კანონმდებლობა, მათ შორის საერთაშორისო

[826] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 იანვრის №24.16.27 განკარგულების თანახმად, ქირის უზრუნველყოფის თანხა ოჯახზე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარით განისაზღვრა.

[827] ხონის, ხარაგაულის, ჩოხატაურის, სენაკის, სამტრედიის, საგარეჯოს, რუსთავის, ოზურგეთის, მესტიის, მარტვილის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის, ვანის, დუშეთის, დმანისის, გორის, ბოლნისის, ბათუმის, ამბროლაურის, ადიგენის, თბილისის და ქუთაისის მუნიციპალიტეტები.

[828] ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მუნიციპალიტეტი, 2023 წელს უსახლკარო სტატუსის მინიჭების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში შემოსულია 1139 ოჯახის განაცხადი. ხოლო, სამსახურში ამჟამად მიმდინარეობს განხილვა და კომისიას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება 678 ოჯახის (განაცხადის თარიღი 2022 წელი) თაობაზე; 2023 წელს გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის 7 სხდომა.

სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კანონმდებლობით განისაზღვროს უსახლკარო პირის ცნება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები.

გორის, ქუთაისის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიებს:

- სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ადამიანები უზრუნველყონ ადამიანის ღირსეული ცხოვრების შესაბამისი ალტერნატიული საცხოვრებლით.

21.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

21.1.შესავალი

სახელმწიფოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად გატარებული გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ რჩება მთელი რიგი გამოწვევები.

კვლავ იკვეთება ხარვეზები ინკლუზიური განათლების მიწოდების პროცესში, სწავლების ყველა საფეხურზე. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში რესურსსკოლების მონიტორინგმა აჩვენა, რომ სათანადოდ არ რეალიზდება შშმ/სსსმ მოსწავლეების უფლებები. კერძოდ, პრობლემურია როგორც სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა, ისე პანსიონური მომსახურების სათანადო მიწოდება.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების მდგომარეობის კვლევის თანახმად, სასწავლებლების ინფრასტრუქტურა, საუნივერსიტეტო სივრცეები, ვებგვერდები, სასწავლო რესურსები და ელექტრონული სწავლების პორტალები არ არის სრულყოფილად მისაწვდომი სხვადასხვა სახის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე სტუდენტისთვის.[829]

კვლავ გამოწვევაა შშმ პირთა შრომის უფლების რეალიზება, მათი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და ღია შრომის ბაზარზე დასაქმება.

პრობლემად რჩება შშმ პირთა ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებსა და სხვადასხვა სერვისზე წვდომა.[830] ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მიღებული რეგულირების მიუხედავად, პრობლემურია შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთა უწყვეტი გადამზადება,[831] ასევე, მისაწვდომობის აუდიტის წარმოება. განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ძალაში შესვლამდე აშენებულ ობიექტებზე ყველა სახის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა წვდომა.[832] საანგარიშო პერიოდში კვლავ არ დამტკიცებულა

---

[829] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2020 და 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშებში. 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის გვ. 295. დოკუმენტი მისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[830] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2020, 2020 და 2022 წლების საპარლამენტო ანგარიშებში. 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის გვ. 258. დოკუმენტი მისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf >[ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[831] მაგალითად, 2021 წლის შემდეგ ქ. თბილისის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში დასაქმებული თანამშრომლები არ გადამზადებულან უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებზე. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის კორესპონდენცია 60-01240443621-13.02.2024. ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს კორესპონდენცია 64-01240451158-14.02.2024.

[832] აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ყველა შემთხვევაში არ ტარდება ექსპერტიზა, რომლითაც დადგინდებოდა, რამდენად შესაძლებელია გარკვეული ობიექტის ადაპტირება. შენობის ადაპტირების შეუძლებლობა ობიექტური ტექნიკური მიზეზების გამო უნდა დასტურდებოდეს სათანადო საექსპერტო დასკვნით. ასევე, ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მოქმედების ალტერნატიული საშუალებები.

მისაწვდომობის ეროვნული გეგმა.[833] მისასალმებელია საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მედიამომსახურების პროგრესირებადად მისაწვდომობისთვის გარკვეული აქტივობების გაწერა[834], თუმცა მნიშვნელოვანია მიდევნება მათ დროულად შესრულებაზე. ამასთანავე, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში უნივერსალური მომსახურებების დასანერგად საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს მომზადება და მის აღსრულებაზე ზედამხედველობა.

პრობლემურია შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა. მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვისა და რეფერალური მომსახურების პროგრამები არ არის მორგებული ამ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. მოქალაქეთა ნაწილს სხვადასხვა სახის ბარიერები ექმნება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრისთვის აუცილებელი გამოკვლევების ჩატარების დროს. გარდა ამისა, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი არ არის ცალკეული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები.

სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები ასევე არ განხორციელებულა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დასაცავად. შეფერხებით მიმდინარეობს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი.

ქმედუნარიანობის რეფორმის პრაქტიკაში აღსრულება არ შეესაბამება შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნებს.

მწირია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობაზე ორიენტირებული მომსახურებები. პრობლემურია მათი გეოგრაფიული დაფარვა. კვლავ არ არის დანერგილი ზრდასრულ შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეაბილიტაციის პროგრამა.[835] მათ შორის, 18 წლის და უფროსი ასაკის აუტიზმის მქონე პირებისთვის საჭირო სერვისები.

დადებითად უნდა შეფასდეს 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებები. ამასთანავე, **საანგარიშო პერიოდში**

---

[833] საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმაში (აქტივობა 22.2.9) გაიწერა მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება. პასუხისმგებლად განისაზღვრა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პარტნიორები არიან პარლამენტი და მუნიციპალიტეტები. ვადად განსაზღვრულია 2025 წელი.

[834] მათ შორისაა აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მისაწვდომობის შესახებ ონლაინპორტალის ფუნქციონირებისათვის საჭირო ზომების მიღება.

[835] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ. 394. დოკუმენტი მისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

გამოვლინდა დეინსტიტუციონალიზაციის ისეთი პრაქტიკული მაგალითიც, რომელიც შეუსაბამოა პროცესის არსისთვის.

შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს შორის რჩება ამ პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მათზე ეფექტიანი რეაგირება.

პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა/შშმ პირთა ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა. კვლავ რჩება პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებში მოქმედი საბჭოების ფუნქციონირების მიმართულებით.

21.2.ინკლუზიური განათლება

შშმ პირთა განათლების მიმართულებით კვლავ იკვეთება დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებს მათთვის ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიწოდებას.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას, თუ რამდენი შშმ ბავშვია ჩართული სკოლამდელ განათლებაში.[836] საანგარიშო პერიოდში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები სკოლამდელი განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების გამოსავლენად,[837] თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება ყველა მუნიციპალიტეტში სამიზნე ჯგუფის სათანადოდ გამოვლენა და შესაბამის სერვისებში რეფერირება.[838] მნიშვნელოვანია, აქტიურ რეჟიმში გაგრძელდეს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სკოლამდელი აღზრდის პერსონალის

[836] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 5 24 0000017871-11.01.2024.

[837] 2022-2023 წელს, პროექტის, „უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდასაჭერად", ფარგლებში, ოთხ მუნიციპალიტეტში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგების ციკლში - ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება. მონაწილე მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ბავშვთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ასევე, მონიტორინგის ინსტრუმენტი სტრატეგიის განსახორციელებლად. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 5 24 0000017871-11.01.2024.

[838] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში. გვ 258. დოკუმენტი მისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

ცნობიერების ამაღლება,[839] ასევე, დაინერგოს ადრეული განათლების კურიკულუმი და ამ აქტივობებმა მოიცვას საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტი.[840]

21.3. ზოგადი განათლება

საქართველოს მასშტაბით მოქმედი 2,296 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან, სსსმ/შშმ მოსწავლეები ირიცხებიან მხოლოდ 1,615 სკოლაში. დასახელებულ დაწესებულებებში სწავლობს 12,919 სსსმ/შშმ მოსწავლე, ხოლო, რესურსსკოლებში - 456 სსსმ/შშმ მოსწავლე.[841] სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების გამოსავლენად და მათი რაოდენობის შესამცირებლად, აუცილებელია გადამკვეთი უწყებებისა და სამსახურების მჭიდრო თანამშრომლობა,[842] ასევე, სასკოლო სივრცეში მხარდამჭერი სერვისების განვითარება.[843] პრობლემად რჩება ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები", ძალაში შესვლამდე აშენებული სკოლების ადაპტირება.[844] გამოწვევას წარმოადგენს შშმ ბავშვების მიერ სწავლის შეწყვეტის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენის გზით დეტალური სტატისტიკის წარმოება და მიდევნება.

---

[839] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში. გვ. 261. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf აღსანიშნავია, რომ 2022-2023 სასწავლო წლებში სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტებისთვის ჩატარდა გარკვეული ტრენინგები. ,,ადრეული ინკლუზიური განათლება" გაიარა სხვადასხვა მუნიციპალიტეტისა და თბილისის ბაგა-ბაღების 629 სპეციალისტმა. 64 მუნიციპალიტეტის ბაღების მართვის ერთეულისთვის და მერიების წარმომადგენლებისთვის ასევე ჩატარდა ტრენინგები, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო ადრეული ინკლუზიური განათლების დანერგვა ადგილობრივ დონეზე. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 5 24 0000017871-11.01.2024.

[840] 2023 წლის განმავლობაში 20 სამიზნე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ადრეული განათლების კურიკულუმის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც ამავე მუნიციპალიტეტების სკოლამდელი დაწესებულებების საგანმანათლებლო პერსონალს ჩაუტარდა ადრეული ინკლუზიური განათლების ტრენინგი.

[841] 2024 წლის 11 იანვრის მდგომარეობით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 5 24 0000017871-11.01.2024.

[842] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2020, 2021 და 2022 წლების საპარლამენტო ანგარიშებში. 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის გვ. 258. დოკუმენტი მისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

[843] მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურების სააგენტოს აქტიური ჩართულობა და სხვადასხვა მექანიზმის გამოყენება. მაგალითად, სოციალური პაკეტის განსაზღვრისას ბავშვის სკოლაში რეგისტრაციის ინფორმაციის გადამოწმება. ასევე აუცილებელია მუნიციპალურ დონეზე დამატებითი მომსახურებების დანერგვა.

[844] 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სრულად ადაპტირებულია 443 საჯარო სკოლის შენობა, ხოლო, ნაწილობრივ - 1551 საჯარო სკოლის შენობა. კიდევ 200 სკოლაში დასასრულებელი ან განსახორციელებელია მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო პროცედურები. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 5 24 0000017871-11.01.2024.

რესურსსკოლებში არსებული მდგომარეობა

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა მონიტორინგმა[845] ცხადყო, რომ ზოგიერთ რესურსსკოლაში, შენობის რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული ცვლილებების გამო, დაბრკოლებას წარმოადგენს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა.[846] ასევე გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული და სანიტარიულ-ჰიგიენური პრობლემები.[847] რამდენიმე დაწესებულება არათუ აკმაყოფილებს უნივერსალური დიზაინის სტანდარტებს, არამედ, საფრთხის შემცველია მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.[848] გამოწვევას წარმოადგენს როგორც სპეციალისტთა არასაკმარისი რაოდენობა,[849] ისე არსებული პერსონალის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით.[850] აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოება არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტს.[851] ასევე, საგაკვეთილო პროცესში არ გამოიყენება მრავალფეროვანი მასალები. რესურსოთახებში მუშაობა არ მიმდინარეობს

---

[845] მონიტორინგი ჩატარდა 2023 წლის მაის-ივნისში, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების, სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის ჩართულობით. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა თბილისსა და რეგიონებში არსებული ყველა რესურსსკოლა.

[846]მონიტორინგის დროს ორი რესურსსკოლა გადასული იყო სხვა სკოლის შენობაში. კერძოდ, თბილისის №202 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა თბილისის №126 საჯარო სკოლაში. პანსიონური ნაწილი კი განაწილებული იყო ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის სივრცეში. №198 საჯარო სკოლა დროებით №210 საჯარო სკოლის შენობაში იყო განთავსებული. ორივე შემთხვევაში სწავლა მეორე ცვლაში მიმდინარეობდა. №198 სკოლაში დღის მეორე ნახევარში სწავლება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგ., დაგვიანების გამო პირველი გაკვეთილი სრულყოფილად არ ტარდება. მოსწავლეები დილის საათებში იღებენ თერაპიულ მომსახურებას (ქცევითი თერაპია, მეტყველების თერაპია) სარეაბილიტაციო ცენტრებში, რის გამოც უჭირთ საგაკვეთილო პროცესზე კონცენტრირება. ამავე სკოლის დროებითი სასწავლო სივრცე მიუწვდომელია შშმ ბავშვებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის №126 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია ავლენდა სტიგმის შემცველ დამოკიდებულებას №202 სკოლის პერსონალისა და მოსწავლეებისადმი და მათ არ აძლევდა სასწავლო დაწესებულების ცენტრალური შესასვლელით სარგებლობის საშუალებას.

[847] სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს გარკვეული სკოლების სველი წერტილები და ამავე ადგილებში იგრძნობა სპეციფიკური სუნი. პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა სველი წერტილების ცხელი წყლითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფაც.

[848] მაგ. თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლების ეზოში მრავლად იყო მოძველებული და საფრთხის შემცველი ნივთები. მათ შორის, №203 სკოლის ეზოში მიმოფანტული იყო რკინის ნივთები. იქვე განთავსებული იყო ძველი ავტომანქანაც. აღსანიშნავიან რომ ამ გზის გავლა როგორც სასწავლო სივრცემდე, ისე სასადილომდე მისაღწევად, ყოველდღე უწევდათ მოსწავლეებს. მიუწვდომელი გარემოს გამო, ეტლით მოსარგებლე მოსწავლე მოკლებულია სასადილომდე მისვლისა და სხვა თანატოლებთან ერთად კვების შესაძლებლობას. ზოგიერთ სკოლას საერთოდ არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

[849] მოსწავლეთა რაოდენობასთან მიმართებით, განსაკუთრებით არასაკმარისია სპეციალური მასწავლებლებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა.

[850] არსებული ტრენინგ-მოდულები ნაკლებად ითვალისწინებს რესურსსკოლების სპეციფიკას. საჭიროა ისინი მეტად იყოს ორიენტირებული პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე. მაგალითად, პერსონალს არ აქვს ინფორმაცია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებზე, შიდა ინსტრუქციებზე. ასევე, მასწავლებლებს უჭირთ დამოუკიდებლად სასწავლო რესურსების მომზადება და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საკლასო აქტივობების დაგეგმვა.

[851] ისინი უმეტესად არ არის: სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული.

მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.[852] პრობლემურია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგიც.[853]

უმაღლესი განათლება

2023 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა სრული ზოგადი განათლების 39 შშმ/სსსმ კურსდამთავრებულმა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში არ გამოუკვლევიათ ის დამაბრკოლებელი ფაქტორები, რომლებიც შშმ პირებს ხელს უშლით ზოგადი საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლის უმაღლეს საფეხურზე გაგრძელებაში.[854] სახალხო დამცველის აპარატის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებულმა მონიტორინგმა[855] ცხადყო, რომ უმაღლესი სასწავლებლების ინფრასტრუქტურა, საუნივერსიტეტო სივრცეები, ვებგვერდები, სასწავლო რესურსები და ელექტრონული სწავლების პორტალები არ არის სრულყოფილად მისაწვდომი ყველა სახის შეზღუდვის მქონე სტუდენტისთვის.[856] ამასთანავე, ინკლუზიური განათლების პროცესი არ არის წინასწარ დაგეგმილი, კოორდინირებული და საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება რეაქტიულ ხასიათს ატარებს.[857] არაორგანიზებულია გონივრული მისადაგების პრინციპით შშმ სტუდენტებზე დავალებებისა და საგამოცდო ფორმატების მორგების პროცესი.[858] უნივერსიტეტებში არ არის საკმარისი მხარდამჭერი სერვისები, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსი სტუდენტთა დამოუკიდებლობის ხელშეწყობისა თუ სასწავლო მასალებზე სრულყოფილი წვდომისთვის.[859] შშმ სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართულები ექსტრაკურიკულურ და სამეცნიერო აქტივობებში. სტიგმის შემცველი დამოკიდებულებების გამო, ისინი ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

---

[852] ზოგიერთ სკოლაში ფუნქციონირებს ერთი რესურსოთახი, რომელსაც, უმეტესად რამდენიმე სპეციალისტი ინაწილებს. დასახელებულ სკოლებში ჩარიცხულ მოსწავლეთა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტთა რაოდენობის გათვალისწინებით, ეს არ არის საკმარისი. გამოიკვეთა რესურსოთახის არასათანადოდ მოწყობის ფაქტებიც.

[853] სკოლების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი დასკვნები უმეტესად არის ზოგადი და არ მოიცავს შესამოწმებელი მიმართულებების სიღრმისეულ ანალიზს. მონიტორინგის პროცესში სათანადოდ არ არის შეფასებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მუშაობისა და საგაკვეთილო პროცესებში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხი. ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ წარდგენილ ანგარიშებს სამინისტროს მხრიდან არ მოჰყვება შესაბამისი უკუკავშირი.

[854]ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში. გვ. 295. დოკუმენტი მისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[855] ჩატარდა 2023 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში და მოიცვა 11 უნივერსიტეტი. მონიტორინგში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ ინკლუზიური განათლებისა და მისაწვდომობის ექსპერტები და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

[856] განსაკუთრებით აღსანიშნავია უსინათლო სტუდენტების წინაშე არსებული ბარიერები ინფორმაციაზე წვდომის ჭრილში.

[857] უნივერსიტეტებში, ძირითადად, არ არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინაციას გაუწევს შშმ პირებისთვის სასწავლო პროცესის ორგანიზებას.

[858] გადაწყვეტილებები მიიღება ლექტორისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, რაც ხშირად არ ემყარება საფუძვლიან არგუმენტაციას.

[859] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2020, 2021 და 2022 წლების საპარლამენტო ანგარიშებში. 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 259. დოკუმენტი მისაწვდომია:< https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

დამალვას ამჯობინებენ.[860] აკადემიური პერსონალი არ არის ინფორმირებული ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ეთიკური ტერმინოლოგიის, შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკის, თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების, სასწავლო რესურსების მოდიფიციკაციის,[861] ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტებთან კომუნიკაციის საკითხებზე.

21.4.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების მიუხედავად,[862] გამოწვევას **წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** პირთა კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და მათი ღია შრომის ბაზარზე დასაქმება. დამაბრკოლებელ გარემოებად რჩება ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციაზე, შრომის ბაზრის მართვის სისტემაზე წვდომის ნაკლებობა და დამსაქმებლებში დაბალი მოტივაცია. ამასთანავე, დამსაქმებელთა არასაკმარისი ინფორმირებულობა გონივრული მისადაგების ზომების პრაქტიკაში გამოყენების, მათ შორის, სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდამჭერი სერვისების/დამხმარე ტექნოლოგიების დანერგვაზე.[863]

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, დასაქმების ხელშეწყობის სერვისებსა და პროგრამებში სულ ჩართული იყო 39,343 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 3,221 შშმ პირი.[864] დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სულ დასაქმებულია 11,022 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 285 შშმ პირი. ცალკეულ ქვეპროგრამებში ჩართულ და რეალურად დასაქმებულ პირთა რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა კვლავ

---

[860] თავის მხრივ, უნივერსიტეტებს უჭირთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენა, რაც ხილული არ არის. მათ შორისაა: დასწავლის უნარის დარღვევა (დისლექსია, დისკალკულია და ა.შ.), სენსორული შეზღუდვა ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა.

[861] უმეტესად ეს უკავშირდება უსინათლო სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის მოდიფიკაციას. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ლექტორებს არ აქვთ ინფორმაცია უსინათლო პირებისთვის მისაწვდომი ფორმატების შესახებ. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია ტექნიკურ საგნებთან დაკავშირებით, როდესაც სასწავლო მასალა მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას, ექსელის ფაილებს, ცხრილებს. ლექტორები ვერ ახერხებენ ამ სახის ინფორმაციის გაზიარებას უსინათლო სტუდენტებისთვის.

[862] მაგ., დაცული სამუშაო ადგილის სუბსიდირების კომპონენტის შშმ/სსსმ პირთათვის მისაწვდომი სამუშაო გარემოს შექმნის ფარგლებში სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შშმ/სსსმ პირთა დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ასევე, საერთაშორისო პროექტის, „ინკლუზიური მცირე და საშუალო საწარმოები + აღმოსავლეთი“ („i-SME+East'') ფარგლებში შემუშავდა სახელმძღვანელო (Action Guidelines), რომელიც არის საშუალება მცირე და საშუალო ბიზნესთან თანამშრომლობისთვის. სახელმძღვანელოში მოცემულია კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები მათთვის, ვინც მუშაობს შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის 13 დეკემბრის SESA 3 23 01334645 კორესპონდენცია.

[863] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2021 და 2022 წლების საპარლამენტო ანგარიშებში. 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ. 260. დოკუმენტი მისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[864] 2023 წლის დასაწყისიდან საზოგადოებრივ სამუშაოზე ჩართული იყო 34521 სოციალურად დაუცველი პირი, მათ შორის, 2 993 შშმ პირი. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის 13 დეკემბრის SESA 3 23 01334645 კორესპონდენცია.

მიანიშნებს დასაქმების სფეროში არსებულ ხარვეზებზე. ამავე პერიოდის ცალკეული კომპონენტების მონაცემები[865] შემდეგნაირად გამოიყურება:



რაც შეეხება საჯარო სექტორს, 2023 წელს დაიწყო შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ელექტრონული სასწავლო მოდულის შემუშავება ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებისათვის.[866] მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით აქტიურად გაგრძელდეს პერსონალის გაძლიერება. ამასთანავე, 2023 წლის მდგომარეობით, საჯარო მოხელის თანამდებობაზე დასაქმებულია 69 შშმ პირი. მენეჯერულ თანამდებობაზე დასაქმებულია 22, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით - 71 შშმ პირი.[867] აღსანიშნავია, რომ ბიურო არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას დასაქმებულ შშმ პირთა შესახებ, მათ შორის, იმის თაობაზე, თუ რომელ პოზიციებზე საქმდებიან ისინი. ეს, გარკვეულწილად აფერხებს ხარვეზებისა თუ ტენდენციების გამოვლენას, რაც საჭიროა შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად.

21.5.ჯანმრთელობის უფლება

შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების რეალიზება სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ზომების მიღებას მოითხოვს, როგორც მათი ჯანდაცვის საჭიროებების, ისე იმ ბარიერების გამო, რასაც ისინი ამ და სხვა უფლებებით სარგებლობის პროცესში ყოველდღიურად აწყდებიან. ჯანდაცვის მომსახურების სრულ სპექტრზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დამატებითი ზომების მიღების საჭიროებაზე მიუთითებს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიაც.

[865] 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის 13 დეკემბრის SESA 3 23 01334645 კორესპონდენცია.
[866] საჯარო სამსახურის ბიუროს 2023 წლის 8 დეკემბრის №g8012 კორესპონდენცია.
[867] საჯარო სამსახურის ბიუროს 2014 წლის 12 მარტის №g176 კორესპონდენცია.

თუმცა 2023 წელს შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების რეალიზების გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფოს პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს.[868]

კვლავ გადაულახავი დაბრკოლებაა სამედიცინო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა, ასევე, არაადაპტირებული სამედიცინო ინვენტარი. შშმ პირებთან კომუნიკაციის დამყარების და შესაბამისი ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, არ გადამზადებულან სამედიცინო საქმიანობაში ჩართული კადრები, რაც არა მარტო ღირსეული და კონფიდენციალური სერვისის მიღებას გამორიცხავს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მიზეზიც ხდება.

საანგარიშო პერიოდში არ მიუღიათ ზომები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად, რაც ამ პროგრამას შშმ პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მეტად მორგებულს გახდიდა. შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს ასევე არ ითვალისწინებს რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა. ხშირად შშმ პირთათვის გაურკვეველია ამ პროგრამით დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის ან/და დაფინანსებაზე უარის თქმის საფუძვლები.[869]

პრობლემად გამოიკვეთა ეპილეფსიის (მათ შორის, დრავე/ორფანული ეპილეფსიის) სამკურნალო მედიკამენტების მისაწვდომობა.[870] მედიკამენტების ნაწილი[871] არ არის რეგისტრირებული საქართველოში. აუცილებელი მედიკამენტების საზღვარგარეთიდან გამოწერა დაკავშირებულია ფინანსურ სახსრებთან, რომლებიც ოჯახებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ. ამასთანავე, პრობლემურია მედიკამენტების შესაბამისი რეცეპტის გარეშე საზღვარგარეთ შეძენაც, შემდგომი გამოგზავნის მიზნით. გარდა ამისა, სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტები, რომლებიც საქართველოში შემოდის, პერიოდულად დეფიციტშია[872] და მარაგი დროულად არ ივსება.[873] ეპილეფსიის სათანადო მართვისთვის აუცილებელი მედიკამენტების მიუწვდომლობა მკვეთრად ზღუდავს

[868] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს საპასუხო კორესპონდენცია MOH 6 24 00205517 (20.02.2024).

[869] საქმე №4643/23, მოქალაქეს, რომელსაც აქვს მობილობის შეზღუდვა და სჭირდებოდა ფიზიკური რეაბილიტაციაც, პროცედურები კარგად არ აუხსნეს და ვერ შეძლო დოკუმენტების შეგროვება.

[870] საქმე №3395/21 - ა/ო „დრავე/ორფანული ეპილეფსიების ასოციაცია - საქართველოს" განცხადება, 2024 წლის 21 თებერვალს გამართული შეხვედრა ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელძღვანელთან, ეპილეფსიასთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგის ქართული განყოფილების წარმომადგენელთან, ეპილეფსიის მქონე ბავშვთა მშობლებთან.

[871] მათ შორის, პირველი რიგის საჭიროების ინტრავენური მედიკამენტები, როგორებიცაა ფენიტოინი, ვიგაბატრინი, ეთოსუქსიმიდი, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი, ასევე, დიაკომიტი, ფრიზიუმი, სუქსილები, ოსფოლოტი, რივოტრილის წვეთები. ფსიქოტროპული მედიკამენტების ჯგუფიდან: კლობაზამი, ბუკალური მიდაზოლამი ან რექტალური დიაზეპამი.

[872] მაგალითად, ტოპირამატი, ოქსკარბაზეპინი, ლორაფენი (ლორაზეპამი), ტოპამაქსი.,

[873] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს № 01/11069 კორესპონდენციით (26 ივლისი, 2021 წ.) გვეცნობა, რომ შემდგომი მუშაობის პროცესში შესაძლებლობის ფარგლებში განხილული იქნება საჭირო მედიკამენტების დამატების საკითხი. საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

ეპილეფსიის მქონე პირთა მდგომარეობის მართვის შესაძლებლობას და საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანრმთელობას.

ცნობილია, რომ შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასების მოქმედი სამედიცინო მოდელი, არ იძლევა შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ხოლო ამ შეფასების შედეგად დანიშნული სოციალური პაკეტის ოდენობა არ არის საკმარისი შშმ პირთა საბაზო, მათ შორის, სამედიცინო და ზრუნვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.[874] დამატებით, მოქალაქეთა ნაწილს ბარიერები ექმნება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის დროს. ხშირად საკამათო ხდება ამ პროცედურისთვის ფინანსური ანაზღაურება. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თუმცა სადავო თემაა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზის გავლის დროს გადასახდელი თანხის ანაზღაურება, მათ შორის, არამაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებზეც.[875]

21.6.ფსიქიკური ჯანმრთელობა

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით არც საანგარიშო პერიოდში განხორციელებულა. სფეროს დაფინანსების ნაკლებობა მათ შორის, უკავშირდება საწოლფონდის, სათემო სერვისების, საცხოვრისებისა და თავშესაფრების, ასევე, კვალიფიციური კადრების დეფიციტს და აფერხებს ზრუნვის ალტერნატიული მოდელის დანერგვას. სტაციონარულ ფსიქიატრიულ მომსახურებაში არსებული მწირი საწოლფონდის რესურსს კიდევ უფრო ამცირებს პაციენტთა რიცხვის დინამიკაში ზრდა პენიტენციური სისტემიდან გადმოყვანილი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების გამო.[876] ამ ფონზე უარყოფითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2021 წელს ევექსის ქსელის მულტიპროფილურ საავადმყოფოებში მოქმედი სტაციონარული ფსიქიატრიული განყოფილების[877] დახურვის შემდგომ არ ყოფილა მიღებული კონკრეტული ზომები ისედაც დეფიციტური საწოლების ჩასანაცვლებლად.[878]

---

[874] საქმე №14648/23; საქმე №858/24.

[875] მიმართვიანობა აპარატისადმი სტატუსის დადგენის პროცედურებთან დაკავშირებით. საინფორმაციო შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაცია. პასუხი ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან არ მიგვიღია.

[876] თემატური მოკვლევის ანგარიში „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა და გამოწვევები საქართველოში". საქართველოს პარლამენტი, 2023 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია <https://parliament.ge/supervision/thematic-inquiry > ბოლოს ნანახია [12.03.2024].

[877] ივ. ბოკერიას ცენტრი (სტაციონარი) ქ. თბილისი).

[878] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ. 294. დოკუმენტი მისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf >[ბოლოს ნანახია 29.03.2024].

საწოლფონდის გადატვირთვის გამო, სერვისის მიღმა დარჩენილი პირები ცდილობენ, ამბულატორიული მკურნალობით გაიუმჯობესონ მდგომარეობა.[879] თუმცა თემზე დაფუძნებული ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისები არათანაბრადაა გეოგრაფიულად განაწილებული და სრულად ვერ ფარავს შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა პირს. განსაკურებით ცენტრიდან მოშორებულ რაიონებში პრობლემურია როგორც სერვისის მისაწვდომობა, ისე ხარისხი. ამბულატორიულ ფსიქიატრიულ სერვისებში ჩართვას ასევე აბრკოლებს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ საზოგადოებაში არსებული ძლიერი სტიგმა და სტერეოტიპული დამოკიდებულება, ისევე როგორც სუსტი რეფერირების მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ დღემდე არ დამტკიცებულა ამბულატორიული სერვისების სტანდარტები და სათანადოდ არ კონტროლდება მიწოდებული სერვისების ხარისხი.[880]

კვლავ მინიმალურია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა რეაბილიტაციაზე მიმართული სერვისების დაფინანსება. წლებია არ იზრდება ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების რაოდენობა.[881] პრევენციის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და აღდგენის ჯაჭვი გაუმართავია. საქართველოში არ არის განვითარებული რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა რესოციალიზაციას, დასაქმებასა და სოციალურ ინტეგრაციას.[882]

2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა[883] კვლავ შეფერხებით სრულდება.[884] არადამაკმაყოფილებელია

---

[879] თემატური მოკვლევის ანგარიში „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა და გამოწვევები საქართველოში". საქართველოს პარლამენტი, 2023 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია < https://parliament.ge/supervision/thematic-inquiry > ბოლოს ნანახია [12.03.2024].

[880] სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ფოკუს ჯგუფის შეხვედრები (4 შეხვედრა) ფსიქიატრიული სფეროს სპეციალისტებთან და სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (2023 წლის აგვისტო-ოქტომბერი) და ვორქშოფი ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისების მონიტორინგის შესახებ (ვორქშოფს უძღვებოდა უცხოელი ექსპერტი დანიუს პურასი და მონაწილეობდნენ სფეროში მომუშავე ექსპერტები: ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოც. მუშაკები, ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისის მიმწოდებლები, და სერვისის მომხმარებლები).

[881] მოქმედებს 3 ცენტრი (თბილისი, თელავი, ქუთაისი), სადაც ჯამში 2023 წელს მხოლოდ 57 პირი იყო ჩართული.

[882] თემატური მოკვლევის ანგარიში „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა და გამოწვევები საქართველოში". საქართველოს პარლამენტი, 2023 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია < https://parliament.ge/supervision/thematic-inquiry > ბოლოს ნანახია [12.03.2024].

[883] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის №23 დადგენილება „საქართველოს 2022 – 2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ". დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3Etv9WE > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

[884] 2022 წელს შეუსრულებელ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც სრულად არც 2023 წელს შესრულებულა, რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ. 259. მისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი აქტივობები.[885]

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებები

ქმედუნარიანობის რეფორმა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერის მოდელის დანერგვა, შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის განხორციელების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. თუმცა, არსებული სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში რეფორმის განხორციელების პრაქტიკა შეუსაბამოა კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნებთან და არღვევს მათი კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

მხარდაჭერა არ გულისხმობს პირის ხელმძღვანელობას და მისთვის მიმართულების მიცემას, მხარდაჭერა პირის სურვილებისა და პრეფერენციების გამოვლენა და მათი პატივისცემაა. აღნიშნული კონცეფცია საქართველოში არასათანადოდაა განვითარებული.[886] გამოწვევებია რეფორმის ადმინისტრირების, უწყებათაშორისი კოორდინაციის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის მიმართულებით. პრობლემები თვალსაჩინოა ანგარიშგების არსებული ინსტრუმენტებისა და ზედამხედველობისა და მონიტორინგის ჩატარების პროცესშიც.[887] მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ძალისხმევა, გააუმჯობესოს მონიტორინგის პროცესი,[888] სათანადოდ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა რეფორმის აღსრულების არცერთი კრიტიკული მიმართულებით. მათ შორის, არ შექმნილა მხარდამჭერ პირთა

---

[885] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №528 დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6053557?publication=0&fbclid=IwAR3nS-PmU_JDq7HCktlez5lBdPB010yisNB8GhZc3VMZxd_RtL4R4dbJiI > აქტივობა 20.11.1 - საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის დაგეგმვა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის და ცოდნის დონის ასამაღლებლად და ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებული სტიგმის შესამცირებლად. შესრულების ინდიკატორი: საკომუნიკაციო გეგმა შემუშავებულია, კამპანიები განხორციელებულია. აქტივობები: 27.7.1 და 27.7.2 - შშმ პირთა შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით გათვალისწინებული სულ 7 შეხვედრა 2 წელიწადში.

[886] Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, Gerard Quinn* January 3, 2024.

[887] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების პროცესში", 2023. ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2023071916192514202.pdf > [13.02.2024].

[888] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საპასუხო კორესპონდენცია SCA 3 24 00055398 (17.01.2024) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია MOH 2 24 00083429 (24.01.2024). შემუშავდა შშმ პირებზე განხორციელებული ძალადობისას სოციალური მუშაკის რეაგირების სამუშაო ინსტრუმენტი. მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრების შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებები 2023 წლის დასაწყისში გაიზარდა 7 ერთეულით. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების საჭიროებისთვის, 2023 წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით ტაქსის მომსახურების შესყიდვის მიზნით, გაფორმდა ჯამში 34 ერთეული ხელშეკრულება.

სახელმწიფო სერვისი; არ გაძლიერებულა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ფინანსური და ადამიანური რესურსებით;[889] არ ხდება მხარდამჭერთა მომზადება და მხარდაჭერის მიმღებ პირთა ცნობიერების ამაღლება. კვლავ აქტუალურია სოციალურ მუშაკთა გადატვირთულობა და თითოეულ სოციალურ მუშაკზე განაწილებულ საქმეთა დიდი რაოდენობა.[890] არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა მხარდაჭერის პროცესზე მონიტორინგის მიმართულებით, რაც პროცესს მხარდაჭერის მიმღებ პირებზე ორიენტირებულს გახდიდა და დარღვევების რეალურად გამოვლენის საშუალებას მოგვცემდა.[891]

ქმედუნარიანობის რეფორმის ადმინისტრირების კუთხით არსებული გამოწვევების მიუხედავად, ქმედუნარიანობის საკითხი არ ხვდება შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის განხორციელების მიზნით შექმნილი კომიტეტის მუშაობის დღის წესრიგში. ეს საკითხი გათვალისწინებული არ არის არც 2022 წელს დამტკიცებულ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ახალ სტრატეგიასა და 2024-2026 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში.

21.7.დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

შშმ პირთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის უფლების რეალიზება, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა. შშმ პირთა მიზნობრივი პროგრამები ცენტრალურ დონეზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში ხორციელდება, რომლის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება.[892] ასევე გამოიკვეთა პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რიცხოვნობის მატებაც.[893] მიუხედავად ამისა, 2023 წელს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. პრობლემად რჩება პროგრამით

---

[889] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის 2021 (გვ. 295) და 2022 (გვ. 260) წლების საპარლამენტო ანგარიშებში. დოკუმენტები მისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> და <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[890] არ განხორციელებულა შესაბამისი მოკვლევა, სოციალური მუშაკების იმ აუცილებელი რაოდენობის დასადგენად, რაც შესაძლებელს გახდიდა საქმეთა ისე გადანაწილებას, რომ დაცული ყოფილიყო სოციალური მუშაკების შრომითი უფლებები და მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის ეფექტიანი სერვისი.

[891] წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია სოციალური მუშაკის პოზიციაზე შტატგარეშედ ასაყვანი პირების რაოდენობა, თუმცა, ქვეყანაში სერტიფიცირებული და უმაღლესი განათლებით სოციალური მუშაკების სიმცირიდან გამომდინარე, არსებული ვაკანსიების ათვისება სრულად ვერ ხერხდება.

[892] 2022 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 52,110.0 ლარს („საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი); 2023 წელს ბიუჯეტი გაიზარდა 66,550. 0 ათას ლარამდე („სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი).

[893] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 13 თებერვლის NSCA 5 24 00171265 წერილით მიღებული ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა შესახებ.

გათვალისწინებული მომსახურებების მიღების მომლოდინეთა რიგები[894] და სერვისების გეოგრაფიული დაფარვა. ამასთანავე, 2023 წლის პროგრამაში შესული ცვლილების[895] საფუძველზე, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს აღარ წარმოადგენენ შშმ ბავშვები. სამიზნე ჯგუფის ცვლილების საფუძვლად[896] მუნიციპალურ ორგანოებში პერსონალური ასისტენტის სერვისის ამოქმედების ვალდებულება სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად,[897] მუნიციპალიტეტებს პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიწოდების ვადად განსაზღვრული აქვთ 2025 წლის 1 იანვარი. გამომდინარე იქიდან, რომ სხვა ქვეპროგრამები ამ სერვისს ვერ ჩაანაცვლებს, შშმ ბავშვები ხსენებულ დრომდე პერსონალური ასისტენტის გარეშე რჩებიან, რაც უარყოფითად აისახება მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის გადამწყვეტია სარეაბილიტაციო სერვისების უწყვეტობა. ამ მიმართულებით სახელმწიფოს შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების კოორდინირებული მუშაობის კარგ მაგალითად უნდა ჩაითვალოს სარეაბილიტაციო ცენტრის, „კარავი", გახსნა.[898] თუმცა, ამ კონკრეტული პოზიტიური გამოცდილების მიუხედავად, ქვეყანაში აუტიზმის მქონე ბავშვთა დღეს მოქმედი სერვისები არ მოიცავს შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა ბავშვს. მუნიციპალიტეტების მიერ მიწოდებული სერვისი ფრაგმენტულია და პრობლემას წარმოადგენს სერვისის ტერიტორიული დაფარვა. ამასთანავე, გამოწვევად იკვეთება 18 წლის და უფროსი ასაკის აუტიზმის მქონე პირებისთვის როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე საჭირო მომსახურებების არარსებობა.

სრულწლოვანი შშმ პირებისთვის რეაბილიტაციის მომსახურების უწყვეტობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ცენტრალურ დონეზე დაინერგოს შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ზრდასრულ შშმ პირთა რეაბილიტაციის პროგრამა, შემუშავდეს სერვისის სტანდარტები. დღეს არსებული

---

[894] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 13 თებერვლის NSCA 5 24 00171265 წერილის თანახმად, მომლოდინეთა რეესტრი ფიქსირდება ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის, ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრების ქვეპროგრამებში.

[895] „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 სექტემბრის №362 დადგენილებით ცვლილება შევიდა ამ ქვეპროგრამის (დანართი №1.6) მე-2 მუხლში და სამიზნე ჯგუფად განისაზღვრნენ 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირები, რომელთაც ესაჭიროებათ პერსონალური ასისტენტის მომსახურება. ამ ცვლილებამდე სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ შშმ ბავშვებიც. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 სექტემბრის №362 დადგენილების პირველი მუხლის „ბ'' ქვეპუნქტი. მისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3SHnU3O.

[896] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 13 თებერვლის NMOH 7 24 00169483 კორესპონდენცია.

[897] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-5 მუხლის „ბ'' ქვეპუნქტი, მისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/49fqZPF.

[898] ცენტრის ბენეფიციართა შორის აუტიზმის სპექტრის მქონე ის ბავშვებიც არიან, რომლებიც სსიპ ილიას სახელობის უნივერსიტეტის „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის" თერაპიული მომსახურების შეწყვეტის შედეგად სარეაბილიტაციო სერვისის გარეშე დარჩნენ.

ქვეპროგრამები ვერ პასუხობენ იმ გამოწვევებს, რასაც ზრდასრული შშმ პირები აწყდებიან.[899]

დეინსტიტუციონალიზაცია

საანგარიშო პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.[900]

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ინსტიტუციების დახურვის შემდეგ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ ზრდასრულ შშმ პირთა დიდი ზომის ინსტიტუციების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი დაიწყო. საანგარიშო პერიოდში, მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში 18 შშმ პირია გადაყვანილი. თუმცა ამ ეტაპზე პანსიონატებში კვლავ რჩება ბენეფიციარების მნიშვნელოვანი ნაწილი.[901] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს და მას გაეწიოს ეფექტიანი მონიტორინგი.[902]

თემში, ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში, რამდენიმე საოჯახო ტიპის სახლში დიდი ზომის დაწესებულებებიდან შშმ პირთა გადაყვანის პროცესი დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ხარვეზებით წარიმართა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 18 წლის და მეტი ასაკის ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში[903] განხორციელებული დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ნაწილი. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 2023 წელს ჩატარებული მონიტორინგით გამოვლინდა, რომ სენაკში არსებული ალტერნატიული საცხოვრისები, განსხვავებით დუშეთის საოჯახო ტიპის სახლებისაგან, არ არის თავსებადი დეინსტიტუციონალიზაციის

---

[899] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2024 წლის 20 თებერვლის NMOH 6 24 00205517 წერილში მიუთითებს იმ ქვეპროგრამებსა და საკანონმდებლო ნორმებზე, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ზრდასრულმა შშმ პირებმა, თუმცა, ისინი სრულად არ მოიცავს ზრდასრულთა რეაბილიტაციას და პრობლემად რჩება მათი განხორციელების ხარისხიც.

[900] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახალხო დამცველის აპარატისთვის სრულად არ მოუწოდებია ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ.

[901] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 2 თებერვლის NSCA 2 24 00126884 წერილის თანახმად, მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში ირიცხება 34 შშმ პირი, ძევრის შშმ პირთა პანსიონატში - 65, ხოლო დუშეთის შშმ პირთა პანსიონატში - 43 პირი.

[902]ამავე წერილის თანახმად, 2024 წლის 1-ლი იანვრიდან, სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს დაემატა 10 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომლებიც დაკისრებულ უფლებამოსილებებს განახორციელებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

[903] „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილების №1.4. დანართის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

პოლიტიკასთან და არ ემსახურება ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.[904]

21.8.შშმ პირთა მიმართ ძალადობა

შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს შორისაა ამ პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მათზე ეფექტიანი რეაგირება. საკანონმდებლო რეგულაციების ხარვეზების გარდა პრობლემურია მსხვერპლთა ნაკლები ინფორმირებულობა საკუთარი უფლებების შესახებ, უწყებებისადმი მათი დაბალი მიმართვიანობა, ძალადობის ფაქტების გამოვლენის პრობლემა და მართლმსაჯულების მისაწვდომობა, შშმ პირთა საკითხებზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაცია, უწყებათაშორის კოორდინაციის ნაკლებობა.

მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაუქმება[905], რომელიც კრძალავდა შშმ პირის გამოკითხვას ან მოწმედ დაკითხვას მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. კანონის ხსენებული ჩანაწერი უარყოფითად იყო შეფასებული გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის მიერ.[906] აქვე დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლო ფორმების (12 ფორმა) ადაპტირებაზე მუშაობის დაწყება და პროცესში შშმ თემის ჩართულობის უზრუნველყოფა.[907]

შშმ პირთათვის, მართლმსაჯულების მისაწვდომობის კუთხით, პრაქტიკაში პრობლემურია როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების შენობების ფიზიკური, ისე შესაბამისი სერვისების მისაწვდომობა, რაც აბრკოლებს ამ პირთა მიმართვიანობას, მათ შორის ძალადობის საქმეებზე. გამოწვევაა ასევე საქმისწარმოების პროცესში სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებების არასაკმარისი გათვალისწინება, პერსონალის მხრიდან შშმ პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა; სტიგმა და სტერეოტიპები, რაც ხელს უშლის შშმ პირებს სრულფასოვნად ჩაერთონ საგამოძიებო და სხვა ქმედებებში, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად, მათ შორის, მოწმის სახით. შშმ პირს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისი შესაძლებლობის შეზღუდვის გათვალისწინებით და მისთვის გასაგები ფორმატით.[908]

საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 73 სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 76 შშმ პირი. მათგან მოწმისა და დაზარალებულის

---

[904] დეტალები ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში.

[905]ინფორმაცია მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/4bNAfMx > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[906] CRPD, დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს პირველად ანგარიშზე, 2023 წლის 18 აპრილი, პარ. 28(ა), დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/4bqsDiL. > [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[907] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N26/29-03-ო წერილი.

[908]გამოწვევად რჩება შშმ პირთა სათანადო კომუნიკაციის ცოდნისა და უნარების ნაკლებობა და სურდო თარჯიმნის რესურსის პრობლემა.

კოორდინატორი ჩაერთო მხოლოდ 17 საქმეში.[909] ამავე სტატისტიკის მიხედვით, კვლავ ტენდენციად რჩება შშმ პირზე ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობა.[910]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა აწარმოებს სეგრეგირებულ სტატისტიკას შეზღუდვის ფორმის, სქესის, შშმ სტატუსის, ეთნიკური წარმომავლობის, დანაშაულის ჩადენის ტერიტორიის მიხედვით. ცალკეა გამოყოფილი როგორც ოჯახური ძალადობის[911], ისე ინსტიტუციებში ძალადობის ფაქტები[912]. სტატისტიკა წარმოებს როგორც ბრალდებულთა მონაცემების, ისე დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით. პროკურატურა ასევე აღრიცხავს წინასწარი შეცნობით დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულს, მათ შორის, სხვადასხვა ნიშნით, ან ნიშანთა ერთობლიობით.[913] ყოველივე ეს დადებითი პრაქტიკის მაგალითია. ამასთან ერთად, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება კვლავ გამოწვევაა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში, „112", შშმ პირების მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ შეტყობინების თაობაზე.[914]

სახალხო დამცველის აპარატში, საქმისწარმოების პროცესში, გამოიკვეთა უშუალოდ გამოძიების მიმდინარეობისას არსებული გამოწვევები. მათ შორის, პრაქტიკაში ნაკლებია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციის („გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტიანი ჩართულობის შესახებ") გამოყენების მაგალითები. ამის გამო, შშმ პირები, განსაკუთრებით კი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის ან ინტელექტუალური ნიშნით შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ადამიანები, ხშირად რჩებიან გამოკითხვის გარეშე და რიგ შემთხვევებში საქმე არ მიდის გამოძიების ეტაპამდე. შესაბამისად, უფლებადარღვევის უკეთ გამოსავლენად, მიზანშეწონილია ანალოგიური რეკომენდაცია გავრცელდეს შშმ პირებთან პირველადი კომუნიკაციის ეტაპზეც. ამასთანავე, მისი გამოყენებისთვის აუცილებელი არ უნდა იყოს შშმ პირის სტატუსის არსებობა.

21.9.შშმ პირთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

2023 წელს კვლავ გამოწვევად რჩება სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა/შშმ პირთა ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობის

---

[909] ინფორმაცია მოიცავს 2023 წლის პირველი 9 თვის მონაცემებს. ,,შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ანალიზი'', საქართველოს პროკურატურა, გვ. 27; დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3Sqb4H0.> [ბოლოს ნანახია 29.03.2024].

[910] 43 დაზარალებული, იქვე, გვ. 9.

[911]43 დაზარალებული. ამ საკითხში საქართველოს პროკურატურის მიერ გამოწვევადაა აღიარებული სრულწლოვანი შშმ პირების კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა საქმეში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებში. „შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ანალიზი'', საქართველოს პროკურატურა, გვ. 27; დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3Sqb4H0, > [ბოლოს ნანახია 29.03.2024], 33.

[912]საქართველოს პროკურატურის მონაცემებით, ინსტიტუციებში ძალადობაზე 5 შშმ პირია ცნობილი დაზარალებულად, იქვე, გვ. 24; ხოლო სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მონაცემებით, ასეთი 3 შემთხვევა გამოვლინდა, უწყების 2024 წლის №1 თებერვლის NSCA 7 24 00118905 წერილი.

[913]ამ მოტივით ჩადენილ 13 ბრალდებას შორის 4 ჩადენილია შეზღუდული შესაძლებლობის (მათ შორის, 1 ეთნიკურ წარმომავლობასთან ერთად) ნიშნით. იქვე, გვ. 22.

[914] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 18 იანვრის NMIA 9 24 00163477.

უზრუნველყოფა. მათ შორის, შშმ პირთა ჩართულობა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული, ადმინისტრაციული ორგანოების შშმ პირთა უფლებების შესახებ სამოქმედო გეგმების შემუშავების დროს.

სახალხო დამცველისთვის მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ იზრდება იმ უწყებათა/ტერიტორიულ ორგანოთა რიცხვი, რომლებმაც ეს დოკუმენტი დაამტკიცეს. სამთავრობო უწყებების შემთხვევაში ყოველწლიური გეგმების შემუშავებაში შშმ პირთა/ორგანიზაციების მონაწილეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ორმა უწყებამ გეგმები შშმ პირთა ჩართვის გარეშე მიიღო.[915] აქვე, დადებითად უნდა აღინიშნოს ისეთი შემთხვევები, როცა უწყებებმა დოკუმენტი ჯერ კიდევ მიღებამდე წარუდგინეს შშმ თემს ან უწყებასთან მომუშავე საბჭოებს და გაითვალისწინეს მათი შენიშვნები. ამასთანავე, გამართეს შეხვედრები სხვადასხვა ფოკუს ჯგუფთან. ტერიტორიულ ორგანოთა შემთხვევაში, სამოქმედო გეგმების ნაწილი იდენტურია, მოიცავს მხოლოდ რამდენიმე ამოცანას, რომელთა შესრულების ვადა ან/და ინდიკატორი არ არის განსაზღვრული.[916]

საანგარიშო პერიოდში კვლავ რჩება პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებში მოქმედი საბჭოების ფუნქციონირების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტშია შექმნილი შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭო და მის საქმიანობაში მეტნაკლებად ჩართულები არიან შშმ პირები და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, პრობლემად რჩება სათათბირო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირების საკითხი.[917]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის საკითხის შესწავლის[918] შედეგად გაირკვა, რომ 64 მუნიციპალიტეტიდან სხდომები გაიმართა მხოლოდ 36 მუნიციპალიტეტში. მართალია, საბჭოების დებულებათა უმეტესობის მიხედვით, წლის განმავლობაში გაწერილია 3-4 სხდომის ჩატარება, თუმცა პრაქტიკაში გამართული შეხვედრების რაოდენობა ერთიდან ორ სხდომამდე მერყეობს. ამ ფონზე,

[915] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქსტატის 2024 წლის 8 იანვრის №7-2 წერილის თანახმად: „საქსტატის ფუნქციების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში არ იყო საჭიროება შშმ პირთა/მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობის".; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 18 იანვრის NPDPS02400000526 წერილის თანახმად კი, გეგმა შეიმუშავა ამავე სამსახურმა, შშმ პირთა/ორგანიზაციათა ჩართულობის გარეშე.

[916] სამოქმედო გეგმა არ დაუმტკიცებია ჭიათურის მუნიციპალიტეტს. რამდენიმე ტერიტორიულმა ორგანომ (ადიგენის, ფოთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტები) აპარატს აცნობა გეგმის დამტკიცების შესახებ, თუმცა დოკუმენტი არ გამოუგზავნია.

[917] ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია მოცემულია სახალხო დამცველის ბოლო წლების ყველა საპარლამენტო ანგარიშში. სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში ამ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაცია იხ. გვ. 261. დოკუმენტი მისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

[918] გამოთხოვილი და დამუშავებულია 64 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაცია.

დადებითად უნდა შეფასდეს რამდენიმე მუნიციპალიტეტის[919] მიერ სხდომების ჩატარების პრაქტიკა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობას კვლავ არ დაუმტკიცებია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულების ხელშემწყობი ერთიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნულ სტრატეგიაში (2022-2030 წლები) სრულად ვერ აისახება შშმ პირთა უფლებების დაცვის ყველა მიმართულება.[920]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ზედამხედველობა გაუწიოს ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უწყებრივი ადაპტირების/უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი განხორციელების პროცესს;
- არსებული გამოწვევების დასაძლევად, ქმედუნარიანობის რეფორმის აღსრულებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები შევიდეს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის აღსრულების მიზნით შექმნილ კომიტეტის მუშაობის დღის წესრიგში;
- შემუშავდეს და დაინერგოს შშმ პირთა უფლებების დაცვის წლიური სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ გეგმების დამტკიცებას და აქტივობების შესრულებაზე ზედამხედველობას, არამედ პროცესში შშმ პირთა და ორგანიზაციათა ჩართულობის ხელშეწყობას, განსაკუთრებით, ტერიტორიულ ორგანოებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყოს სკოლამდელი განათლების დაწესებულების აღმზრდელების/აღმზრდელ-პედაგოგების/სპეციალისტების გადამზადებას ადრეულ ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აღმზრდელების/პედაგოგების,

[919] ონი - 5 სხდომა, დმანისი - 5 სხდომა, ბაღდათი - 4 სხდომა, ახმეტა - 4 სხდომა, სამტრედია - 3 სხდომა, სენაკი - 3 სხდომა, სიღნაღი - 3 სხდომა, ქედა - 3 სხდომა, წყალტუბო - 3 სხდომა, ბათუმი - 3 სხდომა.

[920] ამ საკითხზე ინფორმაციის მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 17 იანვრის NGOV62400001418 წერილით სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა ინფორმაცია მხოლოდ პასუხისმგებელი უწყებების სამოქმედო გეგმების შესახებ ანგარიშის მომზადებასა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლმენტო ანგარიშში, გვ. 259. მისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf-

ინკლუზიური განათლების პერსონალისა და მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ადრეული ინკლუზიური განათლების მოდულში გადამზადებას;

- სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით, დახვეწოს სკოლის მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების გამოვლენის მექანიზმები და ყოველწლიურად განაახლოს სტატისტიკა;
- განახორციელოს შშმ ბავშვების მიერ ზოგადი განათლების ფარგლებში სწავლის შეწყვეტის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა, შემთხვევათა მიდევნება, არსებული მაჩვენებლის შესამცირებლად პრევენციული ზომების მიღება და მონაცემთა ანალიზი;
- მიიღოს ზომები სკოლების რეაბილიტაციის პროცესის დროულად დასასრულებლად, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად;
- მონიტორინგის პროცესის დახვეწისა და ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოს სკოლების (მათ შორის, რესურსსკოლების) მიერ ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებული შიდა მონიტორინგის დასკვნებზე უკუკავშირის მიწოდება;
- საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშაოს უმაღლესი განათლების საფეხურზე მაკოორდინირებელი ერთეული, რომელიც კოორდინაციას, ზედამხედველობას და კონსულტაციას გაუწევს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ინკლუზიური განათლების მიმართულებით;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში შშმ პირთა მიმართ სტიგმის შემცველი დამოკიდებულების შემცირებას. ასევე, აკადემიური პერსონალის სათანადოდ ინფორმირებას შშმ პირებთან მიმართებით ეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენების, შშმ სტუდენტებთან მუშაობის სპეციფიკის, თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგიების სწავლა-სწავლების პროცესში ინტეგრირების, სასწავლო რესურსების მოდიფიკაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტებთან სათანადო კომუნიკაციის საკითხებზე.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს:

- ხელი შეუწყოს დამსაქმებელთა მზაობის გაზრდას სამუშაო ადგილებზე შშმ პირთა ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისების დანერგვის უზრუნველსაყოფად და მათ მოტივირებაზე ორიენტირებული, დროებითი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებას.

საჯარო სამსახურის ბიუროს:

- შეიმუშაოს ინსტრუმენტი საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ დეტალური მონაცემების შესაგროვებლად და გასაანალიზებლად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;

- მოახდინოს საჯარო სამსახურის ბიუროს სერვისების/რესურსების ადაპტირება შშმ პირთათვის მათი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და ხელი შეუწყოს საჯარო სექტორის დამსაქმებელთათვის მხარდაჭერითი მომსახურებების განვითარებას (მათ შორის, საკონსულტაციო) ინკლუზიური სამუშაო გარემოს ფორმირების მიზნით (მათ შორის, შშმ პირებთან კომუნიკაციის მეთოდებზე, გონივრული მისადაგების ზომების გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებზე, თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგიების დანერგვაზე და სხვ.).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს ეპილეფსიის მქონე ბავშვთა/პირთა მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების მისაწვდომობა, მათ შორის:
    - სპეციალისტებისა და ეპილეფსიის მქონე პირებისა და ბავშვთა მშობლების ჩართულობით განისაზღვროს დასარეგისტრირებელ და დეფიციტურ მედიკამენტთა სია;
    - მიიღოს შესაბამისი ზომები მედიკამენტების დეფიციტის აღმოსაფხვრელად და საჭირო მედიკამენტების საქართველოში მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- შეიმუშაოს შშმ პირის სტატუსის დადგენის პროცესში ფასიანი და უფასო გამოკვლევების მკაფიო და შშმ პირთათვის მისაწვდომი ჩამონათვალი და უზრუნველყოს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის პროცესზე მონიტორინგი;
- გამოიკვლიოს სამედიცინო დაწესებულებებისა და სერვისების შშმ პირთა მისაწვდომობის საჭიროებები;
- უზრუნველყოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების, კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა და რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის რევიზია, მათი შშმ პირთა საჭიროებებზე მორგების მიზნით;
- უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობაში ჩართული პირების მნიშვნელოვანი ნაწილის გადამზადება შშმ პირებთან კომუნიკაციის საკითხებში, მათთვის ღირსებაზე დამყარებული კონფიდენციალური სერვისის მისაწოდებლად;
- მიიღოს ქმედითი ზომები ფსიქიატრიული სტაციონარული საწოლების რაოდენობის გასაზრდელად;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს ექსპერტებისა და წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობით უზრუნველყოს სათემო ფსიქიატრიული ამბულატორიული სერვისების შესაბამისი კომპონენტების მომსახურების სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება;
- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა რეაბილიტაციის სერვისების იმგვარი ცვლილება, რაც შესაძლებელს გახდის როგორც

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების, ისე მომსახურებაში ჩართული ბენეფიციარების რიცხვის არსებით ზრდას;

- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დროული განხორციელება, მათ შორის, 2023 წელს განსახორციელებელ და შეუსრულებელ აქტივობებზე მიდევნება და მათი დროული შესრულება;
- გადადგას ქმედითი ნაბიჯები ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ სტიგმის დასაძლევად და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, მათ შორის, სამედიცინო პერსონალში;
- მუნიციპალურ ორგანოებში პერსონალური ასისტენტის სერვისის სავალდებულოდ ამოქმედებამდე, უზრუნველყოს შშმ ბავშვების სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პერსონალური ასისტენტის მომსახურებაში ჩართვა;
- გადადგას ქმედითი ნაბიჯები 18 წლის და უფროსი ასაკის აუტიზმის მქონე პირებისთვის როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე სერვისების დასანერგად;
- მომლოდინეთა რიგების შესამცირებლად და გეოგრაფიული დაფარვის გასაზრდელად, გადადგას ქმედითი ნაბიჯები სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების გასაფართოებლად;
- უზრუნველყოს 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ვადაში შესრულება;
- უზრუნველყოს სენაკის ალტერნატიული საცხოვრისის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, საწყის ეტაპზევე, უზრუნველყოს შშმ პირებთან, ფსიქოსოციალური საჭიროების და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებთან კომუნიკაციის ან ჩართულობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება/გამოყენება და თანამშრომელთა გადამზადება. აგრეთვე უზრუნველყოს, რომ ამ რეკომენდაციების გამოყენება აუცილებლად არ იყოს დაკავშირებული შშმ პირის სტატუსთან;
- სისხლის სამართლის საქმეებში შშმ პირთა და მათი საჭიროებების დროულად გამოსავლენად, უზრუნველყოს თანამშრომელთა, მათ შორის, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის (112-ის), კვალიფიკაციის ამაღლება.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- გააძლიეროს მონიტორინგი და შეიმუშაოს ეფექტიანი მეთოდოლოგია, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციებში, ისე ოჯახებში ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს როგორც უწყების შენობების ფიზიკური გარემოს, ისე სერვისების მისაწვდომობა და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ფიზიკური, ისე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- შშმ პირთა საჭიროებების და სურვილის გათვალისწინებით, გაიზარდოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა შშმ პირთა მიმართ ძალადობის საქმეებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული შშმ პირთა უფლებების შესახებ სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში უზრუნველყოს შშმ პირთა/შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების არსებითი ჩართულობა.

22.ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

22.1.შესავალი

2023 წელს, ბავშვის უფლებების დაცვა კვლავაც არაერთ მნიშვნელოვან გამოწვევასთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვების სოციალური უფლებების დაცვის საკითხი, რადგან ქვეყანაში მოქმედი პროგრამები[921], წინა წლების მსგავსად, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ბავშვებისა და მათი ოჯახების გრძელვადიან მხარდაჭერასა და გაძლიერებას, შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრების მისაღწევად. აქვე, კვლავ მაღალი იყო მოსწავლეთა სწავლის მიტოვების, სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი. წინა წლის მსგავსად, ამის უმთავრესი საფუძველი იყო ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრება.

საანგარიშო პერიოდში, არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის სისტემის გამოწვევებს შორის, კვლავ საყურადღებოა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა, მათ შორის, თავად ბავშვებისა თუ ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება ბავშვთა უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთანავე, პრობლემურია ბავშვების მიმართ ძალადობის დროული გამოვლენა, ეფექტიანი, კოორდინირებული და ბავშვზე მორგებული რეაგირება. ამგვარი კომპლექსური რეაგირების არარსებობამ, შესაძლოა, ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანოს, რაც დასტურდება 2023 წელს, აითაჯის მკვლელობით.[922]

როგორც წინა წლებში, არაერთ გამოწვევას უკავშირდება ბავშვების სარეაბილიტაციო სერვისებითა და სათანადო რაოდენობის მხარდამჭერი პროფესიების სპეციალისტებით უზრუნველყოფა, რაც მწვავედ აისახება მათ კეთილდღეობაზე. ბავშვების მოწყვლადობისა და საჭიროებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ინდივიდუალური, დროული და შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩენად, აუცილებელია გაიზარდოს კვალიფიციური სოციალური მუშაკების რაოდენობა, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში, ისე მუნიციპალიტეტებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით, რეგიონებში. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში, 2022 წელთან შედარებით, შემცირდა დასაქმებულ სპეციალისტთა რაოდენობა და 2023 წლის ბოლოს, მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული იყო 255 სოციალური მუშაკი და 19 ფსიქოლოგი.[923]

---

[921] სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერის კომპონენტები, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულადი დახმარება და მუნიციპალური პროგრამები.

[922] იხ. საპარლამენტო ანგარიშის შემდგომი ქვეთავი - „ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება“.

[923] 2022 წლის ბოლო მონაცემებით, უწყებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული იყო 273 სოციალური მუშაკი და 21 ფსიქოლოგი. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი“, თბილისი, 2023, გვ. 262; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024]; 2023 წლის მდგომარეობით კი, უწყებიდან მიღებული ინფორმაციით, სააგენტოში სოციალური მუშაკის 283 საშტატო ერთეულია გათვალისწინებული, ფაქტობრივად კი, დასაქმებულია 255 სოციალური მუშაკი,

22.2.განათლების უფლება

22.2.1.სკოლამდელი აღზრდა და განათლება

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, 2022 წლის რაოდენობრივ მონაცემთან შედარებით, 40 ერთეულით გაიზარდა და სულ ფუნქციონირებდა 1 708 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება, სადაც 141 324 აღსაზრდელი ირიცხებოდა.[924]

დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მისაწვდომობის თვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის ინიცირებული 330 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობისა და 555 უკვე არსებული ბაღის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა დაწესებულებების რაოდენობა, კვლავ ვერ აკმაყოფილებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სრულ კონტინგენტს. თავს იჩენს როგორც ინფრასტრუქტურულ-ფიზიკური, ისე გეოგრაფიული მისაწვდომობის პრობლემები, განსაკუთრებით, რეგიონებში და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის.[925] რაც შეეხება ხარისხიან ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე მისაწვდომობას, ეს საკითხი მწვავედ დგას მილევად რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში. ამასთანავე, კვლავაც საგულისხმოა გამოწვევები ადამიანური რესურსების გაძლიერების კუთხით, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აპარატის მოკვლევის შედეგების თანახმად, საანგარიშო პერიოდშიც მწვავედ დგას შესაბამისი კადრების მოძიების, ასევე, უკვე დასაქმებული კადრების გადამზადების საჭიროება ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ნებისმიერი ფორმის შესაძლო ძალადობისგან ბავშვების დაცვა, რეფერირების პროცედურები, ქცევის პოზიტიური მართვა და სხვ. ამავე დროს, ყოველივეს გათვალისწინებით, საბავშვო ბაღები კვლავ გადატვირთულია.[926]

აქედან შრომითი ხელშეკრულებით - 15 სოციალური მუშაკი. რაც შეეხება ფსიქოლოგებს, 20 საშტატო ერთეულია გათვალისწინებული, ფაქტობრივად დასაქმებულია - 19, აქედან შრომითი ხელშეკრულებით - 5 სპეციალისტი. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია: №SCA 7 24 00237741, 28/02/2023.

[924] სკოლამდელი აღზრდისა და დაწესებულებების რაოდენობა წლების მიხედვით: 2021/2022 – 1 648; 2022/2023 – 1 668; 2023/2024 – 1 708; იხ <https://bit.ly/3vRjWxl> [ბოლოს ნანახია: 29/01/2024].

[925] განსახილველ საკითხთან მიმართებით, აღსანიშნავია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სტატისტიკა. კერძოდ, მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული 2-6 წლის ბავშვების შემდეგი რაოდენობა არ დადის საჯარო საბავშვო ბაღებში: ახალქალაქი - 52%, ახალციხე - 22%, ბოლნისი - 61%, გარდაბანი - 37%, ლაგოდეხი, 46%, მარნეული - 62%, ნინოწმინდა - 35%, საგარეჯო - 59%. სამინისტროს ცნობით, მთლიანობაში, ქვეყნის მასშტაბით საჯარო საბავშვო ბაღებში არ დადის რეგისტრირებული ბავშვების დაახლოებით 29%. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია: № MES 1 24 0000210043, 26/02/2024. ასევე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისთვის ადრეული და სკოლამდელი განათლების მისაწვდომობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. საპარლამენტო ანგარიშის შემდეგ თავში - „ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია“.

[926] ასევე, იხ. საპარლამენტო ანგარიშის შემდგომი ქვეთავი - „ინკლუზიური განათლება“.

22.2.2.ზოგადი განათლება

2023-2024 სასწავლო წელს საქართველოში 210 კერძო და 2086 საჯარო სკოლა ფუნქციონირებდა, რომელთაგან 10 ეწეოდა პანსიონურ მომსახურებას. მოსწავლეთა საერთო რაოდენობამ კი, საანგარიშო პერიოდში, კერძო და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯამურად 634 679 შეადგინა.[927]

მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების სტატისტიკასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით,[928] 2023 წელს, გარკვეულწილად, შეიცვალა და დაიხვეწა სტატუსის შეჩერების მიმართვების სტატისტიკის ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს, მოსწავლის სტატუსის შეჩერების რისკები რელევანტური აქტორების ჩართულობით გაანალიზდეს. ასევე, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა დახვეწა სწავლის მიტოვების არსებული ინდიკატორები, რაც, სამინისტროს ცნობით, იძლევა მოსწავლის სტატუსის შეჩერების რეალური მიზეზების დადგენის შესაძლებლობას.[929] გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციის გაცვლისთვის საჭირო მექანიზმების შესამუშავებლად, ქვეყანაში ფაქტობრივად მყოფ სტატუს შეჩერებულ მოსწავლეთა ნუსხის დასაზუსტებლად.[930]

მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წელს *სტატუსი შეუჩერდა, დონის დაძლევით ამოირიცხა და ამოირიცხა, ჯამში 13401* მოსწავლე, ასევე, აქედან 27 მოსწავლე გარიცხეს სკოლიდან. 13401 მოსწავლიდან 2 812 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ამასთანავე, 1598-ის შემთხვევაში, სტატუსის შეჩერების საფუძველი იყო პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება.[931]

---

[927] განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია: №MES 1 24 0000296986, 12/03/2024.

[928] იქვე.

[929] იქვე. ასევე, აღსანიშნავია მოსწავლის სტატუსის შეჩერების თავიდან ასარიდებლად გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, ამავე სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის გზამკვლევი „სკოლაში მოსწავლეების მიერ საგაკვეთილო პროცესის გაცდენების შემცირებაზე სამუშაოდ". იგი მიზნად ისახავს გაცდენებისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების რისკის შემცირებაზე სამუშაოდ, სოციალური მუშაკებისათვის რეკომენდაციების გაცემას და ასევე, მოიცავს პრევენციისა და რეაგირების ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას.

[930] განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია: №MES 1 24 0000210043, 26/02/2024.

[931] სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, მოსწავლის სტატუსი შეუჩერდა 10430 მოსწავლეს, აქედან 1598 მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების საფუძვლით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო 2647 მოსწავლე. დამატებით, სკოლებიდან ამოირიცხა 2944 მოსწავლე, აქედან 233 მოსწავლე დონის დაძლევის საფუძვლით; სკოლებიდან ამორიცხულ ბავშვებს შორის, ჯამში უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო - 165. გარდა ამისა, მოწოდებული ინფორმაციით, 27 მოსწავლე გარიცხეს სკოლიდან, რომელთაგან 14 იყო გოგო, ხოლო 13 ბიჭი. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია: MES 8 24 0000307494, 13/03/2024. ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ, 264-265; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

სწავლის მიტოვებისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი, ყველაზე მაღალია თბილისში, აჭარაში, იმერეთსა და კახეთში.[932]

ცხრილი № 1 - მოსწავლის სტატუსის შეჩერების/დონის დაძლევით ამორიცხვის/ამორიცხვის და მოსწავლეთა გარიცხვის სტატისტიკა[933]



ცხრილი № 2 - მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საფუძვლები[934]



2022 წელს", ბიბლიოთეკა, 2023, №3, 264-265, [ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42v2rAr> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

სამინისტროს ინფორმაციით, როდესაც 45 სასწავლო დღის განმავლობაში მოსწავლე ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას, მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას, არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით,[935] სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან[936] რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, სკოლამ უნდა განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

მიუხედავად, სწავლის შეჩერების/მიტოვების რეალური საფუძვლების გამოკვეთისა და აღრიცხვისა, სტატისტიკის წარმოების კუთხით სახალხო დამცველის რეკომენდაციისა და იმისა, რომ მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა ამ საკითხის დასახვეწად, სტატისტიკა კვლავ მნიშვნელოვან დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევების ისეთი საფუძვლები, როგორიცაა „მშობლის განცხადება", „გაცდენების ზღვრული რაოდენობა" ან „სხვა", ბავშვის საგანმანათლებლო პროცესიდან ჩამოშორების თუ დროებით ჩამოშორების მიზეზების თაობაზე რეალურ ინფორმაციას არ იძლევა.[937]

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას, დადებითად უნდა შეფასდეს 800 სკოლის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები[938], თუმცა საანგარიშო წელს სახალხო დამცველის აპარატის მოკვლევის შედეგებმა ასევე ცხადყო ამ პროცესის გაჭიანურების კუთხით არსებული ცალკეული გამოწვევები.[939]

ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მწვავედ დგას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უფასო კვების საკითხი, რასაც

---

[935]ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

[936] ასეთის არსებობის შემთხვევაში.

[937] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ. 277; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

938 2022-2023 წლებში განხორციელდა ჯამში 71 საჯარო სკოლის მშენებლობა/სრული რეაბილიტაცია, ხოლო 200 საჯარო სკოლაში - ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთანავე, მიმდინარეობს 150 საჯარო სკოლის მშენებლობა/რეაბილიტაცია, 2024 წლის დასაწყისში კი დაგეგმილია 75 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების დაწყება. ინფორმაცია მისაწვდომია ბმულზე - https://bit.ly/482rc7l [ბოლოს ნანახია: 18/03/2024].

[939]ეს უკავშირდება კომპანიების მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. საქმისწარმოების ფარგლებში განხილული საქმეები: №6330/23 და №4397/23.

ასევე ადასტურებს გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევის შედეგები.[940] ამ მიმართულებით, მისასალმებელია 2023 წელს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ „სასკოლო კვების პროგრამის" დამტკიცება, რომლის ფარგლებშიც, მუნიციპალურ დონეზე მოიკვლევენ და შეაფასებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსებსა და საჭიროებებს, სკოლაში უფასო კვების სამომავლო კონცეფციის განსასაზღვრად.[941] თუმცა, არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, პროცესი, საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით, დროულად და ეფექტიანად წარიმართოს.

22.3.ბავშვთა დაცვა ძალადობისგან

აღსანიშნავია, რომ კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების აღრიცხვის და შესაბამისი დეტალური სტატისტიკის წარმოების მექანიზმის დახვეწის აუცილებლობა. კერძოდ, ამჟამად, პრობლემურია იმის დადგენა, ბავშვზე ძალადობის ზუსტად რამდენი შემთხვევის შესახებ მოხდა მიმართვა და რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება. ეს შეუძლებელს ხდის ბავშვის მიმართ ძალადობის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ზუსტ შეფასებას, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მიმდინარე გამოწვევების გამოვლენა, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად მექანიზმების დროული შემუშავება და ეფექტიანი პოლიტიკის განსაზღვრა.[942]

22.3.1.ოჯახში ძალადობა

2023 წელს ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის საქმეებზე 640 არასრულწლოვანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. ამასთანავე, გასული წლების მსგავსად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა უმრავლესობა, 404 არასრულწლოვანი იყო 7-დან 15 წლამდე ასაკის.[943]

ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმის დანერგვა და შემთხვევათა დროული გამოვლენა, ბავშვებისთვის სათანადო ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისების მიწოდება, წინა წლების მსგავსად, კვლავ არაერთ გამოწვევას უკავშირდება. ეს საკითხი, სახელმწიფო უწყებებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანი ჩართულობის პრობლემებთან ერთად, მათ შორის, მიემართება თავად ბავშვების, მათი

---

[940] *„სასკოლო საათებში კვება მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ვინაიდან ბავშვების ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%) იკვებება ყოველდღიურად სკოლის საათების განმავლობაში და ბავშვების ერთ მესამედზე მეტი (34.9%) არასდროს იკვებება სკოლის საათების განმავლობაში. სკოლის საათებში საკვების არმიღება ბევრად უფრო ხშირია მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში (44.9%), ვიდრე ბავშვებში, ვისთანაც არ აღინიშნება მატერიალური და სოციალური დანაკლისი (28.4%). მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში, რომლებიც საერთოდ არ იღებენ საკვებს სკოლის საათებში, ყველაზე ხშირად ნახსენები მიზეზი არის ფინანსური პრობლემა -37.7%, ხოლო სკოლის დროს საკვების არმიღების იგივე მიზეზი მატერიალური და სოციალური დანაკლისის არმქონე ბავშვების 3.3 პროცენტს აქვს".* გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქსტატის ანგარიში „ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში 2023", გვ. 7. იხ. <https://uni.cf/4bcvYBU> [ბოლოს ნანახია 04/02/2024].

[941] ზოგადი განათლების მიმდინარე რეფორმა. გვ. 15. იხ. <https://bit.ly/3HFugeX> [ბოლოს ნანახია: 04/02/2024];

[942] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული საპასუხო კორესპონდენცია: MIA 1 24 00237413, 26/01/2024.

[943] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია: №13/5033 – 26/01/2024.

ოჯახის წევრების, ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალ დონეს ძალადობის ფორმებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ.

მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს თანახმად, 2023 წელს 112 ბავშვიდან, უმრავლესობა, (შემთხვევათა 83%) ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევდა და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსდა, სწორედ, ძალადობისა და უგულებელყოფის გამო.[944]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილულ საქმეთა შესწავლის შედეგების თანახმად, ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფორმებს შორის კვლავ აქტუალურია უგულებელყოფის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები. შესწავლილი საქმეებიდან იკვეთება, რომ ბავშვის მიმართ მშობლის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობა და მანიპულირება გამოწვევად რჩება, ბავშვის ორივე მშობელთან ცხოვრების უფლების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესშიც, სადაც სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩართულობა არასაკმარისად ქმედითია და კვლავაც, აუცილებელია, პოზიტიური მშობლობის მექანიზმის და ქცევის კორექციის პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა.

22.3.2.სექსუალური ძალადობა

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების პრევენცია, შემთხვევათა დროულად გამოვლენა, ეფექტიანი რეაგირება და ბავშვებისთვის, მათი ოჯახებისთვის სარეაბილიტაციო, მხარდამჭერი სერვისების მისაწვდომობა, პრობლემა იყო 2023 წელსაც. გაცემული წინადადებების მიუხედავად, ეროვნული კანონმდებლობა და არსებული მტკიცებულებათა სტანდარტიც, ასევე, კვლავ არ შეესაბამება საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილ ვალდებულებებს.[945] კერძოდ, ბავშვთა მიმართ გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების დანაშაულების კვალიფიკაციისას წინაპირობად კვლავ რჩება ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეო მდგომარეობის გამოყენება. ხოლო, ნების დამთრგუნველი გარემოებები, ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენება დამოუკიდებლად არ იძლევა გაუპატიურების ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების შემადგენლობას. ამასთანავე, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ქვედა ასაკობრივ ზღვარს, როდესაც არ მოხდება ბავშვის თანხმობის შეფასება და არასრულწლოვანი ავტომატურად მიიჩნევა ასაკის გამო უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირად.

[944] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 0 24 00154746, 08/02/2024.

[945] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ. 276; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

ცხრილი N3[946]



კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე, ძალადობაგანცდილ ბავშვებზე ორიენტირებული სერვისების სიმცირე, მათი გეოგრაფიული მისაწვდომობის არარსებობა და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების ნაკლებობა. „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი", რომელიც ერთ სივრცეში უზრუნველყოფს ბავშვის მონაწილეობით ყველა საგამოძიებო, საპროცესო მოქმედებების ჩატარებას და ამავე დროს, სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებასაც, ამჯერადაც მხოლოდ თბილისშია ხელმისაწვდომი, მიუხედავად იმისა, რომ წლებია, მსგავსი ცენტრის გახსნა დასავლეთ საქართველოშიც იგეგმება. ამასთანავე, სამართლებრივი რეგულირების ბუნდოვანებისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით,[947] გაცემული წინადადების მიუხედავად, ბავშვის პროტოკოლით გამოკითხვის ვიდეო-აუდიოჩანაწერი არ დაიშვება მტკიცებულებად და სავალდებულოა გამოკითხვის ბეჭდური ოქმის შედგენა.[948] ეს კიდევ უფრო აფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის ეფექტიან გამოყენებასა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებას.

[946] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია: №13/5033 – 26/01/2024; საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული კორესპონდენციები: №3-1465-22 – 17/02/2023; №3-02-22 – 16/02/2022; №3-1116-23 – 05/03/2024; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენციები: MIA 7 22 00811864 – 29/03/2022; MIA 9 23 00465392 – 17/02/2023.

[947] ინფორმაცია მოკვლეულ იქნა „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის" სპეციალისტებთან გასაუბრების შედეგად.

[948] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ. 276; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

22.4.ბავშვთა სიღარიბე

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ბავშვის შესაძლო უფლებადარღვევის შესწავლილი საქმეებიდან, 15%, სწორედ, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სიღარიბესა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხებოდა.

ცხრილი N4[949]



აღსანიშნავია, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 5,2%-ით გაიზარდა, გარდა ამისა, იმ ოჯახების რიცხვი, სადაც ერთი არასრულწლოვანი მაინც ირიცხებოდა, 25,805 იყო, ხოლო ბაზაში პირველად დარეგისტრირდა 45,401 ოჯახი.[950] ამასთანავე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ქვეპროგრამის ფარგლებში, ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის კომპონენტში ჩაერთო წლამდე ასაკის 2052 ბავშვი, ხოლო ბავშვიანი ოჯახების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კომპონენტში - 5053 ოჯახი.[951] აქვე, შესწავლილი საქმეები ცხადყობს, რომ ცენტრალური პროგრამების გარდა, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახები მუნიციპალურ დონეზეც არიან ჩართულები სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში.

ყოველივე ამის მიუხედავად, აპარატის შესწავლის შედეგების თანახმად, წინა წლების მსგავსად, ქვეყანაში მოქმედი მიზნობრივი სოციალური დაცვის ცენტრალური და მუნიციპალური პროგრამები ჯეროვნად ვერ პასუხობს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებს. გარდა ამისა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, გამოწვევად რჩება ბავშვების მშობლების, მათზე მზრუნველი პირების უნარ-ჩვევების განვითარებისა და ოჯახების

[949] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია №SSA 3 23 01407391, 29/12/2023. ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ. 270; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

[950] იქვე.

[951] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 0 24 00154746, 08/02/2024.

დამოუკიდებელი ცხოვრების მიღწევისთვის სათანადო მექანიზმების დანერგვა და სოციალური მუშაობის ეფექტიანი წარმართვა.[952]

22.5.სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ფუნქციონირებს 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, მათ შორის, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის 4 სახლი, ასევე, თბილისის ბავშვთა სახლი[953], ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი", საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი.[954]

2023 წლის ბოლო მონაცემებით, სახელმწიფო ზრუნვაში 1721 ბავშვი იზრდებოდა, აქედან მინდობით აღზრდის 652 ოჯახში - 1355 არასრულწლოვანი. ჯამში, სახელმწიფო ზრუნვაში 112 არასრულწლოვანი განთავსდა, ხოლო ბიოლოგიურ ოჯახში მინდობით აღზრდის ქვეპროგრამიდან - 34 და მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან - 18 ბავშვი დაბრუნდა, სულ კი, რეინტეგრაციის ქვეპროგრამით სარგებლობდა 478 ბავშვი.[955]

სახელმწიფოს სტატისტიკით, ბავშვის მშობლისგან განცალკევება ძირითადად, მშობლის მხრიდან ბავშვის მიმართ ძალადობას და უგულებელყოფას (83%), ბავშვის ქცევის სირთულეს (15,4%), მშობლისგან მიტოვებას (1.2%), ბავშვის ან მშობლის ჯანმრთელობის პრობლემებს (0.4%) უკავშირდება.[956]

ცხრილი N5[957]

---

[952] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ. 276-278; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

[953]2022 წელს განხორციელდა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაცია და აღსაზრდელებისთვის ფუნქციონირებს 3 სახლი.

[954] იქვე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში განთავსებული იყო 9 აღსაზრდელი, თუმცა, მათთვის ჯერაც არ განსაზღვრულა ზრუნვის შემდგომი, ოჯახთან მიახლოებული ფორმები და ეს პროცესი გაჭიანურებულია. ასევე, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დეინსტიტუციონალიზაციისა, წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის სააღმზრდელო დაწესებულებაში კვლავ რჩებოდა ერთი არასრულწლოვანი.

[955]სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 0 24 00154746, 08/02/2024.

[956] იქვე.

[957] იქვე.



სტატისტიკის მიუხედავად, სახალხო დამცველის სისტემური შეფასების[958] შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვების ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევების საფუძველს ასევე წარმოადგენდა ოჯახის, როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისების სიმწირე და არაეფექტიანობა. თუმცა, სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად,[959] სახელმწიფოს, ამ მიმართულებით, კვლავ არ გადაუდგამს ხელშესახები ნაბიჯები და არსებული სერვისებითა თუ სპეციალისტების ჩართულობით, სრულყოფილად კვლავაც ვერ ხორციელდება მშობლების იმგვარად გაძლიერება, რომ გარემოებები, რომელთა გამოსწორებასაც ისინი მხარდაჭერის გარეშე ვერ ახერხებენ, არ გახდეს ბავშვის ოჯახისგან განცალკევების საფუძველი.

22.5.1.მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

2023 წელს 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლში 261 აღსაზრდელი ირიცხებოდა.[960] საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულმა კვლევამ[961] აჩვენა, რომ გამოწვევას წარმოადგენს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებების ეფექტიანი დაცვა, მათთვის უსაფრთხო, ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა, სადაც მისაწვდომი იქნებოდა მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისები.

კვლევის შედეგად, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გამოვლინდა ბავშვის უფლებათა დაცვის მრავალი საგანგაშო პრობლემა, მათ შორის, ბავშვების ფიზიკური და

[958] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება". 2023 წელი, გვ. 37-40. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/BCEY3 > [ბოლოს ნანახია: 02/03/2024].

[959] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ. 276-278; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

[960] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 0 24 00154746, 08/02/2024.

[961] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის".

ფსიქოემოციური საფრთხეები, ძალადობისგან დაცვის გამოწვევები და ბავშვების საჭიროებათა უგულებელყოფის გარემოებები. კვლავ პრობლემურია ბავშვებზე, მათ შორის, რთული ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებზე ორიენტირებული მხარდამჭერი, სარეაბილიტაციო სერვისების სიმწირე და მათი გეოგრაფიული მისაწვდომობა.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთანავე, მწვავედ დგას ბავშვის უფლებების, დაცვის მექანიზმებისა და ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის საკითხებზე ბავშვთან მომუშავე სპეციალისტების, აღმზრდელების ინფორმირების, მათი უწყვეტი გადამზადების საჭიროება.

22.5.2.დედათა და ბავშვთა სახელმწიფო თავშესაფრების ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციონირებდა 7 დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, სადაც განთავსებული იყო 39 დედა, მათგან ექვსი არასრულწლოვანი და 34 ბავშვი. 2023 წელს თავშესაფრებში ჩაირიცხა სულ 75 პირი.[962]

სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფო ქვეპროგრამის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად, კვლავ რჩება მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სიმწირე, მათ შორის, ბენეფიციართა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების, კვების, პირადი მოხმარების ნივთებით უზრუნველყოფის კუთხით. სერვისში ჩარიცხული დედების მომზადება ცხოვრების შემდგომი ეტაპისთვის, მათ შორის, მათი განათლებისა და გადამზადების საფუძველზე, დასაქმება და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა, რაც დამხმარე რესურსების დეფიციტს უკავშირდება. შესაბამისად, თავშესაფრები ვერ პასუხობს იმ მიზანს, რასაც ბავშვის ოჯახისგან განცალკევების თავიდან არიდება და ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება წარმოადგენს.

დამატებით, დაწესებულებებში კვლავ პრობლემურია ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილება და უკვე წარმოშობილი კონფლიქტების ეფექტიანი მართვა.

22.6.ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები

საანგარიშო პერიოდში, მიუსაფარ ბავშვთა უფლებების ეფექტიანი დაცვის საკითხი კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებთან იყო დაკავშირებული.

2023 წლის მონაცემებით, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში“[963], მომსახურება გაეწია ჯამში 261 არასრულწლოვანს,

[962] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 0 24 00154746, 08/02/2024.
[963] ქვეყანაში მოქმედებს 4 დღის ცენტრი და 4 სადღეღამისო თავშესაფარი.

რომელთაგან დღის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 168 ბავშვმა, სადღეღამისო თავშესაფრით კი - 93-მა. ამასთანავე, ქვეპროგრამით მომსახურების სერვისში ჩაირიცხა 65 არასრულწლოვანი, აქედან პროგრამით მოსარგებლე 15 ბავშვი განთავსდა სახელმწიფო ზრუნვაში, კერძოდ, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.[964] თუმცა, გასული წლების მსგავსად, საგანგაშოდ პრობლემურია მხარდამჭერი სერვისების სიმწირე და შემთხვევების გამოვლენასთან დაკავშირებული სირთულეები.

ცხრილი N6[965]



მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის სერვისის მიწოდების ფარგლებში, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებს შორისაა ბავშვებისა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ძალადობის ფაქტების თავიდან აცილება, საჭირო რესურსებისა და მხარდამჭერი სერვისების არსებობა, მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შესაბამის სერვისებში ჩართვისა და მათი რეაბილიტაციის, არასრულწლოვანთა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების დაძლევის, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის შესაბამისი, მიზნობრივი მხარდამჭერი სერვისების მიწოდების კუთხით.[966]

ამ სისტემური გამოწვევების გამო, რომლებიც სახალხო დამცველის მიერ გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად,[967] არ გადაჭრილა, 2023 წელს მიუსაფარ

[964] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია: NSCA 8 24 00165535, 12/02/2024.

[965] იქვე; ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი", თბილისი, 2023, გვ. 275; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024];

[966] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის".

[967] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები იხ. საპარლამენტო ანგარიშებში: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი", გვ. 344; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/ryDSX> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024];

ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ცენტრალური ქვეპროგრამის ფარგლებში დღის ცენტრებისა და თავშესაფრების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. თბილისში, ამჟამად, ფუნქციონირებს ორი დღის ცენტრი და ორი თავშესაფარი, თითო-თითო დღის ცენტრი და თავშესაფარი რუსთავსა და ქუთაისში, ხოლო ბათუმში, არათუ გაიხსნა თავშესაფარი, რომლის საჭიროებაც წლებია, არსებობს, არამედ, ქვეპროგრამის ფარგლებში, დღის ცენტრიც აღარ ფუნქციონირებს.[968]

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს არსებული სერვისების გაძლიერების, დამატებითი მხარდამჭერი პროგრამების დანერგვის, რელევანტური სახელწიფო უწყებების დროული, ეფექტიანი, კოორდინირებული და საკითხის გრძელვადიან გადაწყვეტაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

22.7.კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

2023 წელს 664 ბავშვის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, 544 ბავშვი იქნა განრიდებული, 6 ბავშვის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სისხლის სამართლის 5 საქმეზე შეწყდა გამოძიება.[969]

სახალხო დამცველის კვლევის[970] შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით, უმეტესწილად, შეესაბამება ადამიანის, ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობასა და სტანდარტებს. თუმცა გამოწვევად რჩება ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა, მონაცემთა შეგროვება და ერთიანი ანალიზი, ხოლო შემდგომ, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პოლიტიკის განსაზღვრა და კოორდინირებული მოქმედებების განხორციელება.

ცხრილი N2[971]

„საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი“, გვ. 372; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/euxI3> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024]; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი“, გვ. 281; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/gsAG6> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024]; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი“, გვ. 277; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42VzHA1> [ბოლოს ნანახია: 28/02/2024].

[968] ამ საკითხზე გაცემული რეკომენდაციები, იქვე; ასევე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია: №SCA 8 24 00165535, 12/02/2024.

[969] საქართველოს გენერალური პროკურატურის საპასუხო კორესპონდენცია №13/8846 – 12/02/2024.

[970] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა“.

[971] საქართველოს გენერალური პროკურატურის საპასუხო კორესპონდენცია №13/5033 – 26/01/2024.



მწვავე პრობლემები იკვეთება ადამიანური რესურსების, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების ნაკლებობის კუთხით, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ეფექტიან აღსრულებას. ამასთანავე, არ ხდება ბავშვების სათანადოდ, მათთვის გასაგები ენით ინფორმირება საკუთარ უფლებებზე, მთლიანად მართლმსაჯულების პროცესის ეტაპებზე და ელემენტებზე. ამ პროცესზე კიდევ უფრო უარყოფითად აისახება ბავშვების მოწმის სტატუსით გამოკითხვისას ადვოკატის მონაწილეობის საკითხი, რომელსაც ამჟამად სავალდებულო ხასიათი არ აქვს. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველადი მოწმის სახით გამოკითხვის შემდგომ, მათ შორის, სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების აღიარების საფუძველზე, ხდება ბავშვისთვის ბრალის წაყენება და მხოლოდ ამის შემდეგ, ადვოკატის სავალდებულო ჩართვა. პრობლემურია ასევე, მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე ბავშვებთან შესაბამისი სპეციალისტების, მათ შორის, სოციალური მუშაკის, თარჯიმნის, ფსიქოლოგის ჩართვა და მათი ეფექტიანი ინტერვენცია პროცესში.

გამოწვევაა ბავშვთან მომუშავე პროფესიონალთა კვალიფიკაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია და მათი განგრძობადი განათლების უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველის მოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებების დარღვევის, შესაძლო, შემთხვევები, მათ შორის, სავარაუდო უხეში მოპყრობის, ძალადობის, დისკრიმინაციის, სტერეოტიპული დამოკიდებულებების, პიროვნული გაკიცხვის, არასათანადო ფორმით ინფორმაციის მიწოდების, დაცვის უფლების დარღვევის, მოზარდებისგან ინფორმაციის კანონსაწინააღმდეგო ფორმით მიღების კუთხით.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შეიცვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-15 მუხლის რედაქცია და გამოსაკითხ არასრულწლოვან პირს მიენიჭოს შეზღუდვების გარეშე, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილში ასახულ პირთა წრეს დაემატოს არასრულწლოვანი მოწმე და გამოსაკითხი პირი;
- სოციალური მუშაობის შესახებ კანონის ეფექტიანად აღსასრულებლად და სოციალურ მუშაკთა დეფიციტის დასაძლევად, პროფესიული თემის ჩართულობით, დროულად განიხილოს სოციალურ მუშაკთა პროფესიული სერტიფიცირების ვადის გაგრძელების მიზნობრიობა, შედეგად კი, ამ კუთხით, კანონში გარდამავალი დებულების განსაზღვრის საკითხი.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- განისაზღვროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება, კოორდინაციის ერთიანი მექანიზმი და მართლმსაჯულების სისტემაში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი სისტემა;
- დამტკიცდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც, მათ შორის, გაიწერება ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულებისა და ბავშვზე მორგებული გარემოს ერთიანი კონცეფცია და მისი დანერგვის სამოქმედო გეგმა;
- გადაიხედოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის სტანდარტის შესახებ კანონქვემდებარე აქტები, რათა თითოეული უწყებისათვის ინდივიდუალურად განისაზღვროს სპეციალიზაციის ბავშვების საჭიროებებზე მორგებული მოდულები, სპეციალიზაციისთვის პროფესიონალთა შერჩევის, სპეციალიზაციის მინიჭებისა და ჩამორთმევის კრიტერიუმები და განგრძობითი განათლების სავალდებულო კომპონენტი;
- „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი“ ამოქმედდეს დასავლეთ საქართველოში და განისაზღვროს ცენტრის ეტაპობრივად გაძლიერების სამოქმედო გეგმა;
- ბავშვთა მონაწილეობით, ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, დაიგეგმოს ბავშვთა უფლებების შესახებ კოორდინირებული, ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ბავშვთა რეზიდენტული და მხარდამჭერი დაწესებულებების მომსახურების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა დამატებითი, მისაწვდომი და მიზნობრივი სერვისების საჭიროებების შესახებ, მათ შორის,

ფსიქიკური ჯანმრთელობის, ადიქციის დაძლევისა და სარეაბილიტაციო პროგრამების კუთხით. ხოლო, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, შემუშავდეს კონკრეტული, დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა აუცილებელი სერვისების დასანერგად.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ბავშვთა რეზიდენტული და მხარდამჭერი მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან კოორდინაციით შემუშავდეს ბავშვზე მზრუნველი პირების/აღმზრდელების პერიოდული და აუცილებელი გადამზადების ტრენინგ მოდული, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, დაფარავს პოზიტიური აღზრდის მეთოდებისა და რთული ქცევის მართვის საკითხებს;
- სააგენტოში დასაქმებული ყველა სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი სიღრმისეულად გადამზადდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემატიკაზე და დაინერგოს მათი უწყვეტი გადამზადების სისტემა;
- შემუშავდეს სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები და მხარდამჭერი სერვისების მიმღები ბავშვების საჭიროებებზე მორგებული ბეჭდური, აუდიო და ვიზუალური მასალები, რათა თითოეულ ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე ჰქონდეს წვდომა მისი უფლებების შესახებ ინფორმაციაზე და მასთან დაკავშირებულ მიმდინარე პროცესებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- საუკეთესო პრაქტიკისა და არსებული რესურსების გადაუდებელი შეფასების საფუძველზე, ხარისხობრივი სტანდარტების დანერგვითა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, დროულად ამოქმედდეს უფასო, ჯანსაღი სასკოლო კვების პროგრამა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, „112“, მიერ სავარაუდო ძალადობის შესახებ შეტყობინებათა სტატისტიკის წარმოებისას, არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის დანაშაულები გამოიყოს და ცალკე აღირიცხოს ძალადობის ფორმების მიხედვით;
- გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკის წარმოებისას, ცალკე აღირიცხოს ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეები, მათ შორის, ის შემთხვევები, სადაც მუხლის დისპოზიცია დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებს არასრულწლოვანთან ერთად სხვა პირების მიმართაც, დაჯგუფდეს მსხვერპლის სტატუსის მიხედვით და არ მოექცეს ერთ კლასიფიკაციაში;
- სამართალდამცავებისადმი ნდობის ასამაღლებლად და საჭიროებების შემთხვევაში, მიმართვიანობის ხელშესაწყობად, განხორციელდეს ბავშვების

ფართო ჯგუფზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ბავშვებს მათზე მორგებული ფორმით მიეწოდებათ ინფორმაცია სამართალდამცავი უწყების როლის, უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ;

- გადაიხედოს როგორც საპატრულო პოლიციის, ისე ბავშვებთან შემხებლობაში მყოფი სხვა თანამშრომლებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რამდენად ეხმიანება პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებზე დაფუძნებით, სპეციალიზებულ პირებს მიაწოდოს პრაქტიკული ინფორმაცია ბავშვებთან, მათ შორის, მოწყვლად ჯგუფებთან, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ, ძალადობა გამოვლილ, 14 წლამდე ასაკის დელიკვენტური ქცევის მქონე ბავშვებთან ტრავმა-ინფორმირებული კომუნიკაციის სტრატეგიებზე, ქცევის წესებსა და დეესკალაციის ტექნიკებზე.

ადგილობრივ თვითმართველობებს:

- საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სკოლამდელი ასაკის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მშენებლობა/რეაბილიტაცია, საჭიროების შემთხვევაში კი, ბავშვების შესაბამისი უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, პრიორიტეტულად გაითვალისწინონ მილევად და მაღალმთიან რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, ასევე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში;
- მუნიციპალურ დონეზე, შემუშავდეს და დაინერგოს ბავშვებზე ორიენტირებული, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების ადრეული გამოვლენის, მათი საჭიროებების გამოკვეთისა და ადგილობრივი პროგრამების შეთავაზების კუთხით განხორციელებული მუშაობის შეფასების ერთგვაროვანი დოკუმენტი.

23.ხანდაზმულთა უფლებები

23.1.შესავალი

არსებული პროგნოზით, 2050 წლისთვის, მსოფლიოში 65+ ასაკის ადამიანების რაოდენობა 1,6 მილიარდს მიაღწევს.[972] ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდასთან ერთად ყოველდღიურად იზრდება ხანდაზმულთა უფლებების დაცვის საკითხის მნიშვნელობაც. გამოწვევების საპასუხოდ, დისკუსია ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების ახალი კონვენციის აუცილებლობისა და მისი ნორმატიული ელემენტების შესახებ, ცამეტ წელზე მეტია მიმდინარეობს. სახალხო დამცველი მხარს უჭერს ხანდაზმულთათვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავებას და ამ მიზნით, აქტიურად მონაწილეობს გაეროს ღია სამუშაო ჯგუფში დაბერების შესახებ (UN OEWGA).[973]

2023 წლის სამუშაო ჯგუფის მე-13 სესიაზე[974] მიღებული გადაწყვეტილებით,[975] შემდგომ, სამუშაო ჯგუფის მეთოთხმეტე სესიაზე განსახილველად, თანამონაწილეებს

[972] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/dEMOQ >[ბოლოს ნანახია 17/01/2024].

[973] სამუშაო ჯგუფი არის სპეციალური საერთაშორისო ფორუმი ხანდაზმულთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ. იგი 2010 წლის დეკემბერში დააარსა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციაში განსაზღვრა OEWGA-ს ამოცანები. კერძოდ, სამუშაო ჯგუფმა, გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს წინადადება, რომელიც შეიცავს საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტში ხანდაზმულთა უფლებებისა და ღირსების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით შესატან ძირითად ელემენტებს.

[974] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/blCS3> [ბოლოს ნანახია 31/01/2024].

[975] გაეროს გენერალური ასამბლეის 77/190 რეზოლუციის შესაბამისად.

მოეთხოვებათ შემოთავაზებული მთავრობათაშორისი მოლაპარაკების რეკომენდაციების წარდგენა, რომლებიც განსახილველად წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

აღსანიშნავია, რომ დღემდე, ევროპის საბჭოს სოციალური ქარტიის, საქართველოს მიერ არარატიფიცირებულ მუხლებს შორისაა ხანდაზმულ პირთა სოციალური უზრუნველყოფის უფლება,[976] რომლის მიზანიცაა ხანდაზმული პირებისთვის მაქსიმალურად დიდი ხნით, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დარჩენის შესაძლებლობის მისაცემად, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების მიერ შესაბამისი ზომების მიღება.[977] ამ ნორმის აღიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ხანდაზმულთა უფლებებზე ორიენტირებული საკანონმდებლო რეგულაციების მიღებას.

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში ხანდაზმულთა პროცენტული წილი ყოველწლიურად იზრდება.[978] ამასთანავე, მაღალია ხანდაზმულთა შორის სოციალურად დაუცველთა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა მაჩვენებელი.[979] ამის გამო, ქვეყანაში ხანდაზმულები მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა საქართველოს ეროვნულ ბანკს წინადადებით[980] მიმართა, რომლის მიზანიც იყო კორონავირუსის გავრცელების გამო შექმნილი საგანგებო მდგომარეობისას საბანკო სესხებზე საშეღავათო პერიოდით სარგებლობის გამო, ხანდაზმული პირებისთვის გაძვირებული სესხის, სესხის ხელშეკრულების ვადის ხანგრძლივობის გაზრდის და პენსიონერებისთვის შეთავაზებული ოვერდრაფტის ცლილებამდელი[981] შეუსაბამოდ მაღალი პროცენტების პრობლემების მოგვარება. ეროვნული ბანკის განმარტებით, ფინანსურ ორგანიზაციებს გადახდის ძველ გრაფიკზე დაბრუნების შესაძლებლობისა და სესხით მოსარგებლეების გადახდის გრაფიკის თაობაზე ინფორმირების შესახებ წერილობითი მითითება მიეცათ. ასევე, რადგან მომხმარებლები წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებულები საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდგომი ცვლილებების შესახებ, მათი მხრიდან მოთხოვნის

[976] ევროპის სოციალური ქარტია, მუხლი 23.

[977] ეს ზომები შეიძლება იყოს ღირსეული ცხოვრებისა და საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ადეკვატურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ასევე, ხანდაზმულთათვის სხვადასხვა სერვისის, ინფორმაციის მიწოდება და მათი გამოყენების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. აგრეთვე, საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

[978] საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლისთვის 65 და უფროსი ასაკის ადამიანები მოსახლეობის 15.6%-ს შეადგენს. ამავე მონაცემების შესაბამისად, 2022 წელს 65 და უფროსი ასაკის ადამიანები მოსახლეობის 15.5%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს - 15.2%-ს.

[979] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის სტატისტიკის - მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა განაწილება ასაკობრივ ჯგუფში, მიხედვით, 288 717 65+ ასაკის პირია რეგისტრირებული. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/afS45> [ბოლოს ნანახია 18/01/2024].

[980] სახალხო დამცველის 2024 წლის 8 იანვრის № 04-10/297 წინადადება.

[981] 2023 წლის 1 იანვრიდან საპენსიო სესხის მაქსიმალური 26% განისაზღვრა.

შემთხვევაში, კომერციულმა ბანკებმა უნდა უზრუნველყონ საშეღავათო პერიოდით სარგებლობამდე მოქმედი გრაფიკის მიხედვით გადახდების მიღება.[982]

საანგარიშო პერიოდში, ერთ-ერთი საქმის ფარგლებში, დადგინდა, რომ საჯარო სექტორში, არასაჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პოზიციაზე დასაქმებული პირებისთვის, მათ შორის, კულტურულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დამლაგებლის შტატგარეშე თანამშრომლის პოზიციაზე დასაქმების გამო,[983] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო პირებს უწყვეტს სახელმწიფო პენსიას. სახალხო დამცველის შეფასებით, ეს ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რასთან დაკავშირებითაც, რეკომენდაციით[984] მიმართა სააგენტოს, თუმცა, სამწუხაროდ, სააგენტომ არ გაიზიარა რეკომენდაცია.

დადებითად უნდა შეფასდეს ხანდაზმულთა უფლებების ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის[985] პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა. მნიშვნელოვანია, რომ გარდა ხანდაზმულთა სოციალური კეთილდღეობისა, მათ შორის, აისახა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხანდაზმულთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, ხანდაზმულებზე ორიენტირებული დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების დანერგვის, ხანდაზმული პირების უფლებებზე ორიენტირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის გზით. გათვალისწინებულია ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი გამოვლენის, რეაგირებისა და პრევენციის საკითხებიც. მნიშნელოვანია, რომ ამ დოკუმენტის თანახმად, 2017 წლის შემდეგ[986] პირველად, ხანდაზმული პირების უფლებების ეფექტიანი დაცვისათვის დაბერების საკითხზე 2024-2025 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა შემუშავდება. ამის საჭიროებაზე სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს.[987]

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა შესაბამის უწყებებს დაავალა[988] სახალხო დამცველის 2022 წლის წლიურ ანგარიშში ასახული, ხანდაზმულთა

---

[982] საქართველოს ეროვნული ბანკის 2024 წლის 29 იანვრის № 2-18/220 წერილი.

[983] სახალხო დამცველმა, ლ.დ-ს № 14479/23 განცხადების შესწავლის შედეგად, კანონშეუსაბამოდ მიიჩნია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება ასაკობრივი პენსიის მიმღები პირისთვის კულტურულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დამლაგებლის შტატგარეშე თანამშრომლის პოზიციაზე დასაქმების გამო, სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ. სახალხო დამცველის შეფასებით, ეს არ არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი საქმიანობა და, კანონის შესაბამისად, განმცხადებელს არ ეზღუდებოდა სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება.

[984] სახალხო დამცველის 2023 წლის 20 დეკემბრის № 04-10/12253 რეკომენდაცია.

[985] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №528 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ".

[986] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის №490 დადგენილება „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე".

[987] სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 403.

[988] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის №3600-XIIIმს-Xმპ დადგენილება „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე".

უფლებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების[989] შესრულება, რაც ხანდაზმულთა უფლებრივ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

23.2.ხანდაზმულთა სადღეღამისო მოვლის დაწესებულებების მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

სახალხო დამცველის აპარატმა, 2023 წელს, პირველად ჩაატარა მონიტორინგი კერძო დაფინანსებაზე არსებულ ხანდაზმულთა რამდენიმე დაწესებულებაში.[990] აღსანიშნავია, რომ კერძო ხანდაზმულთა დაწესებულებები სახელმწიფო ზედამხედველობის მიღმაა დარჩენილი. არ არსებობს მათი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი და არც სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტების[991] შესრულებაა მათთვის სავალდებულო, რაც ასეთ დაწესებულებებში ხანდაზმულთა ზრუნვის თვითნებურად, არსებული რესურსების ფარგლებში წარმართვას განაპირობებს. ამასთანავე, არც დაწესებულებების ხელმძღვანელებს აქვთ ინფორმაცია ქვეყანაში დანერგილი ზრუნვის მინიმალური სტანდარტების შესახებ.

შემოწმებული სამი კერძო დაწესებულების მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის არარსებობის პირობებში, ასეთი ტიპის დაწესებულებებში კიდევ უფრო მაღალია უფლებების დარღვევის რისკი. ხანდაზმულები, თავიანთი ფიზიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოემოციური მდგომარეობის, ასევე, დაწესებულების პერსონალზე დამოკიდებულების გამო, ხშირად, არ საუბრობენ პრობლემებზე და არ მიმართავენ შესაბამის ზომებს თავიანთი უფლებების დასაცავად.

განსაკუთრებით პრობლემურია, რომ ქვეყანაში ამ დრომდე არ გროვდება ინფორმაცია ასეთ დაწესებულებებზე, არ არსებობს ასეთი დაწესებულებების ერთიანი მონაცემები, მათი ტიპების, მომსახურებების და იქ განთავსებულ ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ.

2023 წელს, ბოლნისში, ქარელში, გორსა და თბილისში[992] მდებარე ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები[993], კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აუცილებელია, ყველა სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების მქონე ხანდაზმულთა დაწესებულების ფუნქციონირებისთვის შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო ზრუნვის სტანდარტები და მათ შესრულებაზე ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმი.

---

[989] სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 282-283.

[990] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/akOYZ >[ბოლოს ნანახია 14/03/2024]

[991] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის №01-54/ნ ბრძანება „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ".

[992] ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი; ქარელში მდებარე - ა(ა)იპ სათემო ორგანიზაცია „სალბუნი"; გორში მდებარე კერძო დაწესებულება ა(ა)იპ „შენი თბილი კერა"; თბილისში მდებარე კერძო დაწესებულება - ა(ა)იპ „თბილი კერა".

[993] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/akOYZ >[ბოლოს ნანახია 14/03/2024]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად,[994] 2024 წლის საპარლამენტო საგაზაფხულო სესიაზე დაინიცირდება „ხანგძლივი ზრუნვის და სააღმზრდელო მომსახურებების სერტიფიცირების შესახებ" კანონპროექტი, რომლის მოქმედებაც მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, გავრცელდება ყველა ტიპის ხანდაზმულთა ხანგძლივი მოვლის დაწესებულებაზე. მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო აქტი ვრცელდებოდეს არა მხოლოდ სერტიფიცირების ეტაპზე, არამედ მოიცავდეს შემდგომი ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების მექანიზმებსაც, ამასთანავე, პასუხობდეს დაწესებულებებში მცხოვრები ხანდაზმულების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და უზრუნველყოფდეს ხანდაზმულთა უფლებების დაცვის მყარ გარანტიებს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი თვალყურს მიადევნებს კანონის მიღების პროცესს.

23.3.ხანდაზმულთა მიმართ ოჯახში ძალადობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების, როგორც გამოყენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების, სტატისტიკის[995] მიხედვით, 2023 წლის განმავლობაში, 61+ ასაკის 312 მამრობითი და 821 მდედრობითი მსხვერპლია გამოვლენილი, ამასთანავე, 19 მდედრობითი 61+ ასაკის მსხვერპლია გამოვლენილი სქესის ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკით.[996] რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულებს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით,[997] საანგარიშო პერიოდში, ოჯახში ძალადობისა და ოჯახში ჩადენილ[998] სისხლის სამართლის დანაშაულებზე 680 ქალი და 242 კაცი დაზარალებული ხანდაზმულია გამოვლენილი. [999]

საანგარიშო პერიოდში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში, ხანდაზმულთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მხოლოდ 23 შეტყობინება შევიდა,[1000] ეს მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა

---

[994] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 იანვრის №180 განკარგულება, „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე", კანონპროექტი №38.

[995] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/knA07> [ბოლოს ნანახია 31/01/2024].

[996] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/efxT2> [ბოლოს ნანახია 02/02/2024].

[997] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 5 მარტის №13/14923 წერილი.

[998] სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 და 11^1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

[999] უწყების განმარტებით, სტატისტიკური ინფორმაცია აღირიცხება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით და არ წარმოადგენს პირების უნიკალურ რაოდენობას. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ აღნიშნული მონაცემები, სრულად ვერ ასახავდეს ქვეყანაში, ხანდაზმულთა მიმართ, ოჯახის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ მონაცემებს.

[1000] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 23 იანვრის SCA 0 24 00076149 წერილი.

სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხანდაზმულების რაოდენობა 1133-ია.

გამოწვევას წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულ პირებზე მორგებული დაცვისა და დახმარების ფსიქოსოციალური სერვისებისა და ცალკე, მიზნობრივი პროგრამების არარსებობა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე. მნიშვნელოვანია ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. ამასთანავე, სააგენტო ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულებს მხოლოდ „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებულ მომსახურებას სთავაზობს,[1001] რაც, ძირითადად, მსხვერპლის ძალადობის მსხვერპლთა ან სათემო დაწესებულებებში მოთავსებით შემოიფარგლება, და რაც სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებითაც დასტურდება.[1002]

ოჯახში ძალადობის,[1003] როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი ძალადობის გამოსავლენად, ეფექტიანი გამოძიებისა და პრევენციისათვის, უმნიშვნელოვანესია, რომ კომპეტენტური უწყებების კოორდინირებული მუშაობით, გაანალიზდეს ხანდაზმულთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტები და ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. ასევე, დადგინდეს მყისიერი გამოწვევები და დაიგეგმოს, შემუშავდეს და ამოქმედდეს ძალადობის გამოვლენის, რეაგირებისა და პრევენციის ეფექტიანი მექანიზმები.

23.4.ხანდაზმულთა კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ

წლებია[1004] გამოწვევად რჩება ადგილობრივ თვითმმართველობებში ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული სერვისებისა და პროგრამების სიმცირე. კანონმდებლობის[1005] თანახმად, მუნიციპალიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებს სოციალურ მუშაობას.[1006]

[1001] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 23 იანვრის SCA 0 24 00076149 წერილი.

[1002] №11765/23; №11775/23; №12467/23; №13311/23; №5724/23; №4937/23 საქმეების შესწავლის ფარგლებში, სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციით, ხანდაზმულებს შეეთავაზათ თავშესაფარში გადაყვანა.

[1003] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის გენდერული თანასწორობის თავი, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ქვეთავი.

[1004] სახალხო დამცველის 2020 და 2021 წლების წლიური ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ.

[1005] „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის 1. ა ქვეპუნქტი.

[1006] რაც, მათ შორის, გულისხმობს ხანდაზმული პირების აქტიურ გამოვლენას, საჭიროებების განსაზღვრას და შეფასებას, გამოწვევების გამოკვეთას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდებას.

მუნიციპალიტეტების ინფორმაციით, ხანდაზმულთა მხარდამჭერი უმნიშვნელოვანესი სერვისი - შინმოვლა 2023 წელს მხოლოდ 22 მუნიციპალიტეტში[1007] იყო ხელმისაწვდომი, დანარჩენ თვითმმართველ ერთეულებში ხანდაზმულთა პროგრამები შემოიფარგლებოდა ერთჯერადი დახმარების გაცემით, რომელიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა ასაკის მოსახლეობისთვისაა გათვალისწინებული.

მართალია, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია იმ მუნიციპალიტეტების რიცხვი, რომლებიც ხანდაზმულებს შინ მოვლის სერვისს სთავაზობენ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ მუნიციპალიტეტს არ აქვს ეს სერვისი.

აღსანიშნავია, რომ ხშირად, ხანგრძლივი მოვლის სათემო დაწესებულებებში, ხანდაზმულთა გადაყვანა დროში გაჭიანურებული პროცესია[1008], შინ მოვლის სერვისის არარსებობა კი, აუარესებს თვითმოვლის უნარის არმქონე ხანდაზმულის მდგომარეობას. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ხანდაზმულს სურს ოჯახურ გარემოში დარჩენა და არ დგას დაწესებულებაში გადაყვანის საჭიროება, ასეთ დროს, ხანდაზმულის ფსიქოემოციური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მისი ფიზიკური კეთილდღეობისთვის, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს წვდომა შინ მოვლის სერვისზე.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ მუნიციპალური პროგრამებისგან დამოუკიდებლად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას" 2023 წლიდან შინ მოვლის სერვისი დაემატა[1009], თუმცა ამ ეტაპისთვის, პროგრამა ჯერ კიდევ არ

[1007] 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი - ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/bdNZ1> [ბოლოს ნანახია 04/03/2024], 2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 იანვრის №106-10624026142 წერილი; 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 28 დეკემბრის №24-242336212 წერილი; 4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 იანვრის №46-462402549 წერილი; 5. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 იანვრის №92-922402541 წერილი; 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის №25 იანვრის №01-142402563 წერილი; 7. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 18 იანვრის №52-522401861 წერილი; 8. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 18 იანვრის №40-402401810 წერილი; 9. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 12 იანვრის №42-422401273 წერილი; 10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 იანვრის №62-622401099 წერილი; 11. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 9 იანვრის №44-4424009561 წერილი; 12. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 9 იანვრის №76-762400991 წერილი; 13. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 დეკემბრის №74-742336314 წერილი; 14. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 28 დეკემბრის №94-942336264 წერილი; 15. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 28 დეკემბრის №132-1322336235 წერილი; 16. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 28 დეკემბრის №68-682336242 წერილი; 17. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 27 დეკემბრის №108-1082336177 წერილი; 18. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 27 დეკემბრის №134-1342336155 წერილი; 19. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 27 დეკემბრის №66-6623361160 წერილი 20. გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 27 დეკემბრის №20-2023361139 წერილი 21. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 3 იანვრის №02-382400322 წერილი; 22. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 8 იანვრის №72-722403985 წერილი.

[1008] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 22 თებერვლის №SCA 5 24 00213583 წერილის თანახმად, 2023 წელს ხანდაზმულის მიმართვიდან ჩარიცხვის ყველაზე ხანგრძლივი დრო იყო 3 თვე.

[1009] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ"; ინფორმაცია

ამოქმედებულა.[1010] ბენეფიციარების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია პროგრამის დროული ამოქმედება.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჯანსაღი და აქტიური დაბერების კონცეფციის მუნიციპალურ დონეზე დანერგვის საკითხიც. საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ რამდენიმე[1011] თვითმმართველ ერთეულში, ძირითადად, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მოქმედებდა ხანდაზმულთა ფსიქოსოციალური საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი სერვისები - დღის ცენტრები, კლუბები და სხვ. შესაბამისად, საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, ხანდაზმულები არ არიან ჩართულები ჯანსაღი და აქტიური დაბერების ხელშემწყობ აქტივობებში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტების განმარტება, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში ხანდაზმულთა დახმარების შესახებ,[1012] ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტების ცნობიერება ხანდაზმულთა ფსიქოსოციალური საჭიროებების მიმართ დაბალია და არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას ჯანსაღი და აქტიური დაბერების მხარდამჭერი სერვისების აუცილებლობის შესახებ.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/lC467 >[ბოლოს ნანახია 31.01.2024] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №558 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/dOX89 >[ბოლოს ნანახია 31/01/2024].

[1010] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 24 იანვრის MOH 9 24 00082337 წერილი.

[1011] 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი - ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/bdNZ1>[ბოლოს ნანახია 04/03/2024], 2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 იანვრის №106-10624026142 წერილი; 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 28 დეკემბრის №24-242336212 წერილი; 4. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 იანვრის №70-702402580 წერილი; 5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 იანვრის №46-462402549 წერილი; 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 იანვრის №01-142402563 წერილი; 7. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 18 იანვრის №52-522401861 წერილი; 8. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 12 იანვრის №42-422401273 წერილი; 9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 იანვრის №62-622401099 წერილი; 10. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 9 იანვრის №44-4424009561 წერილი; 11. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 დეკემბრის №74-742336314 წერილი; 12. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 28 დეკემბრის №94-942336264 წერილი; 13. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 27 დეკემბრის №108-1082336177 წერილი; 14. გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 27 დეკემბრის №20-2023361139 წერილი; 15. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/DEKQ3> [ბოლოს ნანახია 04/03/2024].

[1012] პროგრამები არ წარმოადგენს ხანდაზმულთა მიზნობრივ პროგრამებს და მოიცავს მხოლოდ სოციალურად დაუცველი და/ან ჯანმრთელობის დაცვის სერვისების საჭიროების მქონე მოსახლეობის დახმარებას საჭიროებისამებრ.

- 1996 წლის ევროპული სოციალური ქარტიის 23-ე მუხლის რატიფიცირების მიზნით, განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- მუნიციპალიტეტებმა, სადაც არ ფუნქციონირებს შინ მოვლისა და აქტიური დაბერების ხელშემწყობი სერვისები/პროგრამები, შეისწავლონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხანდაზმულთა საჭიროებები და ამის გათვალისწინებით, დანერგონ ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული, მათ შორის, შინ მოვლის და აქტიური დაბერების ხელშემწყობი სერვისები.

24.ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

24.1.შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია 2023 წელს ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული რიგი გამოწვევები, რომლებიც, სამწუხაროდ, წლებია, აქტუალურია. მიგნებები, რომლებსაც წარმოგიდგენთ, ერთი მხრივ, ეყრდნობა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესაბამისი საჯარო დაწესებულებებისგან 2023 წლის მდგომარეობით მიღებული ინფორმაციის ანალიზს, მეორე მხრივ კი, სამი რეგიონის (ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში) 11 მუნიციპალიტეტში[1013] ჩატარებულ შეხვედრებს.

[1013] მარნეულის მუნიციპალიტეტი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დმანისის მუნიციპალიტეტი, წალკის მუნიციპალიტეტი, რუსთავის მუნიციპალიტეტი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

ინფორმაციის ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ ენობრივი და ინფორმაციული ბარიერები ის უმთავრესი საკითხებია, რომლებიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, წლებია, აბრკოლებს არაერთი მიმართულებით.

2023 წელს სახელმწიფო ენის სწავლების გასაუმჯობესებლად არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, რაც, მათ შორის, ბილინგვური განათლების სპეციალისტების გადამზადებასა და ზოგადი განათლების დაწესებულებებში საგაკვეთილო პროცესებში მათ უშუალო ჩართულობაში გამოიხატება. ასევე, 2023 წელს, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების დაწესებულებების რიცხვი, სადაც ბილინგვური განათლების პროგრამა მოქმედებს, თუმცა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სრული სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ენის სწავლება გაძლიერდეს როგორც სკოლამდელი განათლების, ისე ზოგადი განათლების ეტაპზე. აუცილებელია გაიზარდოს ბილინგვური განათლების დანერგვის გეოგრაფიული არეალი, შემუშავდეს საჭირო ორენოვანი სახელმძღვანელოები და სხვ.

ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია მეტი პოპულარიზაცია გაეწიოს სახელმწიფო ენის სწავლების იმ პროგრამას, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი და რომელსაც სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა უზრუნველყოფს. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირება ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებთან და სხვა საჯარო სერვისებთან, ისე ხელმისაწვდომ მედიაპროდუქტებთან დაკავშირებით.

ეროვნული უმცირესობების სრულყოფილი სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვანია მათი კულტურის დაცვა და პოპულარიზაცია. თუმცა, სამწუხაროდ, სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რიცხვი კვლავ დაბალია.

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურის ძეგლების მდგომარეობა, რომლებიც მრავალი წელია გამაგრებით და სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებენ.[1014] მათი რეაბილიტაცია არც 2023 წელს მოხერხდა.[1015] ასევე, საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად გრძელვადიანი გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

24.2.ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

24.2.1.საკონსულტაციო მექანიზმები

საგულისხმოა, რომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია, რომლის წევრი, სხვა არაერთ ქვეყანასთან ერთად, საქართველოცაა, წევრ სახელმწიფოებს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეროვნული

[1014] ასეთებია მუღნის „სურბ გევორგი“ (ეკლესია), შამხორეცოც „კარმირ ავეტარანი“ (ეკლესია), თანდოიან „სურბ ასტვაწაწინი“ (ბაზილიკა), „სურბ ნშანი“ (სურბ ნიკოღაიოსი“) (ეკლესია), ერევანოც „სურბ მინასი“ (ბაზილიკა), ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული დრამატული თეატრი.
[1015] საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის 16 თებერვლის წერილი №00005441.

უმცირესობების წარმომადგენლების ეფექტიანი მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნას ავალდებულებს. ეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებსა და უმრავლესობას შორის რეალური თანასწორობის წახალისებას გულისხმობს.[1016]

აუცილებელია საკონსულტაციო მექანიზმს ნათლად განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსი და მდგრადი ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდეს. საკონსულტაციო ორგანოსთან თანამშრომლობის, კონსულტაციის ვალდებულება კანონმდებლობაში უნდა იყოს გაწერილი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი ჩართულობა კი, რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს.[1017] საკონსულტაციო ორგანოები სამთავრობო ორგანოებსა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის დიალოგის მთავარ არხად უნდა ჩამოყალიბდეს.[1018]

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ საქართველოში მოქმედი საკონსულტაციო მექანიზმების ფარგლებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არის სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი წუხილი და ინტერესები.

მაგალითისათვის, მისასალმებელია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სხვადასხვა დოკუმენტის, მათ შორის, 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის/დინამიკის საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან განხილვა.[1019]

რეგიონულ დონეზე ასევე მნიშვნელოვანია ქვემო ქართლისა და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებთან ჩამოყალიბებული საკონსულტაციო (სათათბირო) საბჭოების საქმიანობა. ამ საბჭოების შემადგენლობაში შედიან რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები. დამატებით, საგულისხმოა, რომ ქვემო ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან ჩამოყალიბებული საბჭოს შემადგენლობაში, მუდმივმოქმედ წევრებთან[1020] ერთად, ასევე შედიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დადებითად უნდა აღინიშნოს გარკვეულ შემთხვევებში საბჭოების სხდომებზე გამოკვეთილ საკითხებთან მიმართებით, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მხრიდან ადვოკატირებისა და საჭირო ზომების მიღების პრაქტიკა.[1021]

[1016] ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) განმარტებითი ბარათი, სტრასბურგი, 1995, პარა. 80.

[1017] ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტი, საქართველოზე მესამე მონიტორინგის ანგარიში, 2019, პარა. 133.

[1018] ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი, 1999, პარა. 12.

[1019] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2024 წლის 30 იანვრის წერილი GOV № 139.

[1020] სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, ქვემო ქართლის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის მერი.

[1021] მაგალითისათვის, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ასეთი საკითხები იყო ინფრასტრუქტურული პრობლემები, შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების მოწყობა, სკვერების რეაბილიტაცია და ა.შ. (კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2024 წლის 1 თებერვლის წერილი №01/123).

მართალია, ზემოაღნიშნული დადებითი გამოცდილებები მნიშვნელოვანია, მაგრამ საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, მოქმედი საკონსულტაციო მექანიზმები ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. საკონსულტაციო ორგანოებთან თანამშრომლობის, კონსულტაციის ვალდებულება კანონმდებლობაში გაწერილი არ არის. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკონსულტაციო ორგანოების ჩართულობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს და სხვ. შესაბამისად, საკონსულტაციო მექანიზმების საქმიანობას საქართველოში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოსთან ინსტიტუციონალიზებული დიალოგის ფორმა არ აქვს, და, შესაბამისად, მექანიზმების გასაძლიერებლად საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერებისკენ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტიც, საქართველოს მეცხრე და მეათე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შეფასების საფუძველზე გამოცემულ დასკვნაში.[1022]

24.2.2.ეროვნული უმცირესობების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა

გასული წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობა არ აწარმოებს სტატისტიკას საჯარო სამსახურში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ.[1023] მართალია, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საჯარო მოხელეების ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების გარკვეული პრაქტიკა არსებობს, თუმცა ცენტრალურ დონეზე ამგვარი მონაცემები არ გროვდება. ქვეყნის მასშტაბით საჯარო მოხელეთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მონაცემების შეგროვების ერთიანი პრაქტიკის დანერგვა და სანდო სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აუცილებელია ეროვნული უმცირესობების ჩართულობის ხარისხის შესასწავლად.[1024]

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის გარდა) ეროვნული უმცირესობები კვლავ ძალიან იშვიათად, ან/და ძირითადად არ არიან წარმოდგენილნი. ამის შესახებ აღნიშნულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ, საქართველოს მეხუთე პერიოდული ანგარიშის შეფასების საფუძველზე გაცემულ დასკვნაშიც.[1025]

გასული წლების მსგავსად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თვითმმართველობებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის მაჩვენებელი კვლავ დაბალია. ეროვნული უმცირესობების პროპორციული წარმომადგენლობის

[1022] UN Human Rights Committee, Concluding observations on the combined ninth and tenth periodic reportl of Georgia, 13 December 2022, para. 12.

[1023] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 2 თებერვლის წერილი № GOV 0 24 00002989.

[1024] „ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში“, პი ემ სი კვლევითი ცენტრი, 2022, 5, ხელმისაწვდომია:< https://rb.gy/z7syu8 > [ბოლოს ნანახია 15.02.2024].

[1025] UN Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 13 September 2022, para. 51.

დაცულობის თვალსაზრისით გამონაკლისია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი.[1026] სამწუხაროდ, უარყოფითი ტენდენციები კვლავ ვლინდება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ არაერთ მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ახალციხის,[1027] ბოლნისისა[1028] და დმანისის[1029] მუნიციპალიტეტებში.[1030]

რაც შეეხება ეროვნული უმცირესობების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკას, 2023 წელს ეროვნული უმცირესობების დასაქმების კონკრეტული პროგრამები არ განხორციელებულა.[1031] ქვეყანაში მოქმედებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა.[1032] პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია ქვეპროგრამა, რომელიც სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზეა ორიენტირებული.[1033] ამ ქვეპროგრამის ბენეფიციარებად, მათ შორის, განსაზღვრულნი არიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები.[1034] თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების საჭიროებებზე აქცენტი არ კეთდება. ამ საჭიროებებში, მათ შორის, მოიაზრება ენობრივი ბარიერის კუთხით არსებული გამოწვევების აღმოფხვრა, რაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას.

მართალია, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, ქართული ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში აძლევს ეროვნული

[1026] ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების 93% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 22 იანვრის წერილი №122-1222402233).

[1027] ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 11%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 5 თებერვლის წერილი №12-122403632), მაშინ, როცა ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 35.2%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.

[1028] ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 15%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 თებერვლის წერილი №106-10624033127), მაშინ, როცა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 69.1%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.

[1029] დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 23%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 იანვრის წერილი №108-1082402928), მაშინ, როცა დმანისის მუნიციპალიტეტის 66.9%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.

[1030] ეს მონაცემები ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დოკუმენტს, „საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები", და სახალხო დამცველის აპარატის მიერ მუნიციპალიტეტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოთხოვილ ინფორმაციას. სამწუხაროდ, 2014 წლის შემდეგ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ამ კუთხით განახლებული ოფიციალური მონაცემები ხელმიუწვდომელია.

[1031] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 2 თებერვლის წერილი № GOV 0 24 00002989.

[1032] „დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №17 დადგენილება; „დასაქმების ხელშეწყობის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 იანვრის №27 დადგენილება.

[1033] 2023 წელს ამ ქვეპროგრამას ეწოდებოდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება", ხოლო 2024 წელს ეწოდება „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა".

[1034] „დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №17 დადგენილება, დანართი №2.3, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.რ" ქვეპუნქტი.

უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროგრამა ვერ უზრუნველყოფს პროფესიის სახელმწიფო ენაზე დაუფლების შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას. ამ მიმართულებით დადებით მაგალითად უნდა ჩაითვალოს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროექტი[1035], რომლის ფარგლებშიც მომზადდა და განხორციელდა „დარგობრივი ენის პრაქტიკული კურსი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით."[1036] ეროვნული უმცირესობების დასაქმების ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გაძლიერდეს როგორც სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ისე დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ ინფორმირების კუთხით გადადგმული ნაბიჯები.[1037] მართალია, 2023 წელს ამ სერვისების შესახებ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით გარკვეული აქტივობები განხორციელდა, თუმცა, არასაკმარისი რაოდენობით და თან, გეოგრაფიული არეალიც შეზღუდულია.

ამასთანავე, ასევე საგულისხმოა, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ე.წ. 1+4 პროგრამის) ბენეფიციარებისთვის საჯარო სამსახურებში გათვალისწინებულია სტაჟირება. თუმცა, სამწუხაროდ, 1+4 სტაჟირების პროგრამის ეფექტიანობა შეზღუდულია, ვინაიდან სტაჟირების მოთხოვნები მიმღები დაწესებულებების მიმართ მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული. მონაწილეებისთვის ასევე არ არის განსაზღვრული სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები. დანერგილი არ არის შეფასების ინსტრუმენტები. თუმცა, ამ ნაწილში დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს სტაჟირების პრეტენდენტებისთვის სტაჟირების დაწყებამდე პირველად დაიგეგმა და განხორციელდა სპეციალური პროგრამა/ტრენინგი მათი ცოდნისა და უნარების გასაღრმავებლად.[1038]

24.3.წვდომა საჯარო სერვისებზე

სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, საჯარო სერვისებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა წვდომა კვლავ დაკავშირებულია ისეთ დაბრკოლებებთან, როგორებიცაა: ენობრივი ბარიერი, მომსახურების გამწევ დაწესებულებებში მათი მშობლიური ენის მცოდნე პირების არასაკმარისი რაოდენობა და ფინანსური ბარიერი. კვლავ უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ეროვნული ჯგუფებისთვის გასაგებ ენაზე სახელმწიფო პროგრამებისა და საჯარო სერვისების შესახებ სათანადო ინფორმირება. ასევე პრობლემურია ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალური პროგრამების თაობაზეც,

---

[1035] UNESCO-ს დაფინანსებული პროექტი „ეთნიკური უმცირესობების ქალებისთვის დასაქმებასა და უნარების გაუმჯობესებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა" (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 2 თებერვლის წერილი № GOV 0 24 00002989).

[1036] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 2 თებერვლის წერილი № GOV 0 24 00002989.

[1037] დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს განსახორციელებელ ღონისძიებებში მითითებულია „დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება ქართულ და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ენაზე, დაბეჭდვა და გავრცელება" („დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №17 დადგენილება, დანართი № 1.7, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი).

[1038] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2024 წლის 30 იანვრის წერილი GOV № 139.

თუმცა კი, ეს პროგრამები სწორედ ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

ეროვნული უმცირესობებით ყველაზე კომპაქტურად დასახლებული 6 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ დმანისისა[1039] და ახალქალაქის[1040] ვებგვერდები ითარგმნება ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე.

24.4.განათლების უფლება

24.4.1.ადრეული და სკოლამდელი განათლება

სახალხო დამცველი, წლებია, აღნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობათა სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებელი საფუძველია ბილინგვური განათლება.

მისასალმებელია, რომ, 2022 წელთან შედარებით, 14-ით გაიზარდა იმ სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვი, სადაც ბილინგვური სწავლების მოდელია დანერგილი. კერძოდ, ქვეპროგრამაში, „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში",[1041] სულ ჩართული იყო 37 არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულება. მათგან 14 სკოლამდელი დაწესებულება ქვეპროგრამაში 2023-2024 სასწავლო წლიდან ჩაერთო.[1042]

2023 წელს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარებულმა შეხვედრებმა ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში არაერთი გამოწვევა გამოავლინა. არაერთგვაროვანია სკოლამდელი დაწესებულებების პრაქტიკა, რაც, მათ შორის, შესაბამისი კადრების დეფიციტითაც არის გამოწვეული.

ადრეული და სკოლამდელი განათლების კონტექსტში ასევე პრობლემურია შესაბამისი დაწესებულებების ტერიტორიული მისაწვდომობა. ამაზე მიანიშნებს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების ნაწილში ბაღების არარსებობა. მაგალითად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ არცერთ თემში, გარდა დაბა თამარისისა, არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი.[1043] მარნეულის მუნიციპალიტეტში ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ

[1039] ვებგვერდი ითარგმნება აზერბაიჯანულ ენაზე (დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 იანვრის წერილი №108-1082402928).

[1040] ვებგვერდი ითარგმნება სომხურ ენაზე.

[1041] ქვეპროგრამის მიზანია ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით და ამ გზით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი სკოლამდელი დაწესებულების ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეების შეიარაღება თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისათვის საჭირო ცოდნითა და უნარებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი № 1 23 0000119028).

[1042] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 26 თებერვლის წერილი № MES 1 24 0000210043.

[1043] საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2024 წლის 23 იანვრის № 01/75 წერილი.

სოფლებში მხოლოდ 6 საბავშვო ბაღია, ასევე, მარნეულის 3 საბავშვო ბაღი შერეული ჯგუფებით და 13 სასკოლო მზაობის ცენტრი და 1 შშმ პირთა ჯგუფი.[1044]

რაც შეეხება კახეთის რეგიონს, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში მხოლოდ 20 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იორმუღანლოს თემის მაგალითი, რომელიც რვა სოფლისგან შედგება, საბავშვო ბაღი კი მხოლოდ ერთ სოფელშია ხელმისაწვდომი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების დაწესებულებები ხელმიუწვდომელია 20-ზე მეტ დასახლებაში. სამწუხაროდ, 2023 წელს ამ მუნიციპალიტეტში დამატებით მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი აშენდა. მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი შენდება ახალქალაქის მუნიციპალიტეტშიც.[1045]

24.4.2.ზოგადი განათლება

მისასალმებელია, რომ 2023 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სასწავლო დაწესებულებების რიცხვი, სადაც დანერგილია ბილინგვური სწავლება. კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის პროგრამაში ჩართულია 184 საჯარო სკოლა,[1046] მაშინ, როცა 2022-2023 სასწავლო წელს ამ პროგრამაში ჩართული იყო 41 სკოლა.[1047] თუმცა, საგულისხმოა, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ჯამში 295 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია.[1048] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ ზოგადი განათლების დაწესებულებებში ჩატარებულმა შეხვედრებმა ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში არაერთი გამოწვევა გამოავლინა. არაერთგვაროვანია სკოლების პრაქტიკა, რაც, მათ შორის, შესაბამისი კადრების დეფიციტით არის გამოწვეული.

სკოლებში სხვადასხვა რაოდენობის ბილინგვური განათლების სპეციალისტია[1049] დასაქმებული. ისინი დარგის მასწავლებელთან ერთად ორენოვან გაკვეთილს ატარებენ. არის არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები, სადაც ბილინგვური განათლების სპეციალისტი ჯერჯერობით არ მიუვლენიათ. სკოლების მიხედვით ასევე განსხვავებულია

[1044] იქვე.

[1045] ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის 2024 წლის 25 იანვრის წერილი №18/3.

[1046] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 26 თებერვლის წერილი № MES 1 24 0000210043.

[1047] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №1230000119028).

[1048] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 26 თებერვლის წერილი № MES 1 24 0000210043.

[1049] ბილინგვური განათლების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები მოიაზრებს შემდეგს: შესაბამისი საგნის სტანდარტის რევიზიის პროცესში მონაწილეობა (ბილინგვური პერსპექტივიდან); სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგნობრივი რესურსების შექმნა; თითოეული სასწავლო ერთეულისთვის საგნობრივი ცნებების, საკითხების, დავალებების, აქტივობების, სავარჯიშოების, დამხმარე რესურსების (ტექსტები, ვიდეოები, ილუსტრაციები და სხვ.) და შეფასების ინსტრუმენტების განსაზღვრა (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილი № MES 1 24 0000081209).

კონსულტანტი მასწავლებლების დასაქმების პრაქტიკაც. გამოწვევაა წვდომა მასწავლებლის ორენოვან სახელმძღვანელოებზე, ორენოვანი დამხმარე რესურსების შემუშავება და სხვ.

არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში ქართული ენის სწავლების ხელშესაწყობად, ბილინგვური განათლების სპეციალისტების საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსულტანტი მასწავლებლების[1050] როლიც. კონსულტანტი მასწავლებლის როლი, მისი ფუნქციების გათვალისწინებით, გამოიხატება ქართულენოვანი არაფორმალური აქტივობების განხორციელებაშიც და სხვ. 2023 წელს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მივლენილი იყო[1051] ჯამში 146 კონსულტანტი მასწავლებელი. წინა წლების მსგავსად, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მივლენილი მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებელთა დინამიკა თანაფარდობაში არ არის ამ რეგიონების არაქართულენოვან სკოლებთან/სექტორებთან. მაგალითად, საგულისხმოა, რომ 2023 წელს, კახეთის რეგიონის მხოლოდ 3 სკოლაში იყვნენ მივლენილები კონსულტანტი მასწავლებლები, თუმცა რეგიონში 13 არაქართულენოვანი სკოლაა/სექტორია.[1052] რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, ამ რეგიონში კონსულტანტი მასწავლებლები მხოლოდ 34 სკოლაში იყვნენ მივლენილნი, მაშინ, როცა რეგიონში 108 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია.[1053] ქვემო ქართლში კონსულტანტი მასწავლებლები 89 სკოლაში იყვნენ მივლენილნი, მაშინ როცა რეგიონში 135 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია.[1054]უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში ბილინგვური განათლების სპეციალისტების დეფიციტის ფონზე (მაგალითად, არის სკოლები, სადაც მუშაობს მხოლოდ 1 ბილინგვური განათლების სპეციალისტი), კონსულტანტი მასწავლებლების საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გამოწვევაა კონსულტანტი მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების სიმწირე.

[1050]კონსულტანტ-მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები მოიაზრებს შემდეგს: ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი; ხელი შეუწყოს არაფორმალურ სწავლებას (სკოლაში საგნობრივი წრის შექმნა, დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და ღონისძიებების ორგანიზება), დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მასწავლებლებს და იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე და სხვ. (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილი № MES 1 24 0000081209).

[1051] კონსულტანტ-მასწავლებლების მივლენა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „არაქართულენოვანი სკოლების მხარდამჭერი" ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება. ქვეპროგრამის მიზანია ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა; ასევე, არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით და სკოლის ბაზაზე არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილი № MES 1 24 0000081209).

[1052] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 26 თებერვლის წერილი № MES 1 24 0000210043.

[1053] იქვე.

[1054] იქვე.

საგულისხმოა, რომ ამჯერად ბილინგვური განათლების მიდგომა დაწყებით საფეხურზე 4 საგანში გამოიყენება (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, სახვითი ხელოვნება, „მე და საზოგადოება"). მისასალმებელია, რომ 2023 წელს დაიბეჭდა და დარიგდა „მე და საზოგადოებასა" და მათემატიკაში შექმნილი მოსწავლის სამუშაო რესურსები. ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს ბუნებისმეტყველებაში ბილინგვური სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის მომზადების, დაბეჭდვისა და 170 სკოლაში დარიგების ფაქტი.[1055] თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ბილინგვური სახელმძღვანელოები, მათ შორის, მასწავლებელთა ორენოვანი დამხმარე სახელმძღვანელოები, ოთხივე საგანში ხელმისაწვდომი იყოს ბილინგვური განათლების პროგრამაში ჩართული ყველა სკოლისთვის. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ ზოგადი განათლების დაწესებულებებში ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში, ბილინგვური განათლების სპეციალისტებმა კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს შემუშავებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. მასწავლებლები სახელმძღვანელოების გამარტივების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ.

ზოგადი განათლების კონტექსტში, დამატებით საგულისხმოა, რომ 2023 წელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი ქართული ენის კურსის ფარგლებში, ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის 9 მუნიციპალიტეტში ჯამში გადამზადდა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის 640 მასწავლებელი.[1056] სამწუხაროდ, ქართული ენის კურსის ფარგლებში, 2023 წელს, წინა წლების მსგავსად, არ გადამზადებულან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები.

არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში დასაქმებული პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ასევე საგულისხმოა უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების სირთულე, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს მათი პრაქტიკოსი მასწავლებლების კატეგორიიდან ამორიცხვა და მასწავლებლის სტატუსის ჩამორთმევა.[1057] 2019 წლის მაისში მასწავლებელთა სტატუსის შენარჩუნებისა და თვითშეფასების კითხვარის კომპონენტები შეიცვალა. განხორციელებული ცვლილებები მასწავლებელთა მხოლოდ სამ კატეგორიას - უფროსის, წამყვანისა და მენტორის სტატუსს მოიაზრებს. პრაქტიკოსი სტატუსის მქონე პედაგოგები კი, პროფესიული განვითარების გარეშე სისტემაში დარჩენას ვეღარ შეძლებენ და მასწავლებლის სტატუსი ჩამოერთმევათ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სპეციფიკური საჭიროებების გამოსავლენად და მათზე საპასუხოდ, განიხილონ პროფესიული განვითარების სქემა და დაგეგმონ ისეთი

[1055] იქვე.

[1056] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილი № MES 1 24 0000081209).

[1057] დეტალები ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2024 წლის 17 იანვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიმართ გაცემულ ზოგად წინადადებაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2024011714551994760.pdf > [ბოლოს ნანახია 15.02.2024].

აქტივობები, რომლებიც დროულად და ეფექტიანად უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებისთვის სტატუსების შეცვლის შესაძლებლობას.[1058]

ზოგადი განათლების კონტექსტში დამატებით აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით წარმართვის საკითხი. აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები საქართველოს აზერბაიჯანისგან გადმოცემა საჩუქრად, ხოლო სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები - სომხეთისგან.

სკოლების საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მნიშვნელობასთან ერთად, ასევე საგულისხმოა, რომ სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები ზოგიერთ შემთხვევაში მოძველებულია, რამდენიმე წლის წინ არის გამოშვებული. აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, მართალია, მოძველებული არ არის, თუმცა, როგორც ამ საგნის პედაგოგები აღნიშნავენ, სწავლებისას პრობლემურია აზერბაიჯანის განსხვავებული განათლების სისტემის გათვალისწინებით. კერძოდ, პირველი კლასის სახელმძღვანელო ანბანით არ იწყება, რადგან, საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანში მოსწავლეები პირველ კლასამდე წინარე მოსამზადებელ პერიოდს გადიან. რაც შეეხება რუსული ენისა და ლიტერატურის წიგნებს, ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია ამ საგნის წლების წინ, 2007 წლამდე, მოსკოვში გამოშვებული წიგნებით სწავლების პრაქტიკა.

24.4.3.მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის მშობლიური ენის სწავლება

მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა 2015 წლიდან ისწავლება, მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნა და შესაბამისი ენების პედაგოგების მომზადება, გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემური პრობლემაა.

24.4.4.სახელმწიფო ენის სწავლება

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოს მეხუთე პერიოდული ანგარიშის შეფასების საფუძველზე გამოცემულ დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, მითითებულია ქართული ენის სწავლების გაძლიერების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით უმცირესობათა იმ ჯგუფებში, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ენის შესწავლაზე ან ცხოვრობენ მოშორებულ სოფლებში.[1059]

საგულისხმოა, რომ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს ქართული ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამას. ენის სწავლა

[1058] ეს საკითხი დეტალურად იხ. წინამდებარე ანგარიშის თანასწორობის უფლების თავში.
[1059] UN Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 13 September 2022, para. 51.

ხელმისაწვდომია როგორც ოთხ რეგიონში მდებარე 12 რეგიონულ ცენტრში,[1060] ისე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მობილური ჯგუფების საშუალებით[1061] ან დისტანციურ რეჟიმში.[1062]

მისასალმებელია, რომ, 2022 წელთან შედარებით, 2023 წელს მობილური ჯგუფი 9 მუნიციპალიტეტის[1063] 28 სოფელში დაემატა. ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში, სადაც, 2022 წლის მდგომარეობით, სწავლება მობილური ჯგუფების საშუალებით შეუძლებელი იყო,[1064] გაჩნდა ეს შესაძლებლობა. თუმცა, საგულისხმოა, რომ მობილური ჯგუფების გეოგრაფიული არეალი ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებს სრულად არ მოიცავს. 2023 წელს მობილური ჯგუფების საშუალებით სახელმწიფო ენა არ ისწავლებოდა თელავისა[1065] და თეთრიწყაროს[1066] მუნიციპალიტეტებში, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, მობილური ჯგუფები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მხოლოდ რამდენიმე სოფელში იყო მივლენილი.

მართალია, მობილური ჯგუფები ბენეფიციართა მოთხოვნით იქმნება, მაგრამ საამისოდ, მათი მოქმედების გეოგრაფიული არეალის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია საზოგადოებას სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აქტიურად და ინტენსიურად მიეწოდებოდეს. ის, რომ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებისა და სოფლების ნაწილში მოსახლეობას მობილური ჯგუფების საშუალებით სახელმწიფო ენის შესწავლის სურვილი არ გამოუთქვამს, შესაძლოა, სწორედ არასაკმარისი ინფორმირებულობით აიხსნებოდეს. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, მართალია, გარკვეულ აქტივობებს ახორციელებს, თუმცა, 2023 წლის მონაცემები

[1060] რეგიონული ცენტრები მდებარეობს ახალქალაქში, ბოლნისში, გარდაბანში, ლამბალოში, დმანისში, წალკაში, მარნეულში, ნინოწმინდაში, ლაგოდეხში, ახმეტაში, ახალციხესა და ქუთაისში.

[1061] ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც სასწავლო ცენტრები მოშორებულია ბენეფიციართა განსახლების არეალს და მათი მხრიდან არის მოთხოვნა, სკოლა ქმნის მობილურ ჯგუფებს. მობილური ჯგუფის ჩამოყალიბებისთვის ბენეფიციართა აუცილებელი მინიმალური რაოდენობაა 5 მსმენელი. ზოგიერთ შემთხვევაში, გარემოებების გათვალისწინებით, მობილური ჯგუფი, შესაძლოა, გაფორმდეს მინიმუმ 3 მსმენელის პირობებში (სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2024 წლის 30 იანვრის წერილი № MES 6 24 0000090989).

[1062] სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2024 წლის 30 იანვრის წერილი № MES 6 24 0000090989.

[1063] ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში, ახალციხის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის 1 სოფელში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში, დმანისის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 1 სოფელში, მარნეულის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 1 სოფელში, წალკის მუნიციპალიტეტის 3 სოფელში.

[1064] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 292.

[1065] თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 38 721 ადამიანია, მათი 12.8% აზერბაიჯანელია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, გვ. 149-150).

[1066] თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 21 127 ადამიანია, მათი 7.3% აზერბაიჯანელია, ხოლო ასევე 7.3% - სომეხი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, გვ. 333-334).

უჩვენებს, რომ მწირია როგორც ამ აქტივობების რიცხვი, ისე მათი განხორციელების გეოგრაფიული არეალი.[1067]

ამ მიმართულებით, დამატებით საგულისხმოა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირების მიზნით 2023 წელს განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული შეხვედრები.[1068] შეხვედრების ფარგლებში მოსახლეობას, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფო ენის სწავლების ამჟამინდელი მიდგომებისა და ახალი პროგრამების შესახებ მიეწოდა ინფორმაცია. თუმცა, სამწუხაროა, რომ კამპანიის ფარგლებში მხოლოდ 18 შეხვედრა გაიმართა[1069] და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების უმრავლესობა არ მოუცავს.

ყოველივე ამასთან ერთად, დამატებით ნიშანდობლივია, რომ, როგორც 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში განხორციელებული ვიზიტებიდან ირკვევა, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებისა და სოფლების მოსახლეობის ნაწილი სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობისა და შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას არ ფლობს. მოსახლეობის ნაწილმა იცის სკოლის რეგიონული ცენტრების შესახებ, თუმცა სახელმწიფო ენის მობილური ჯგუფების საშუალებით სწავლის შესაძლებლობის თაობაზე მათთვის უცნობია.

24.4.5.უმაღლესი განათლება

2023 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, სწავლის გაგრძელების უფლება სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და ოსური ენის ტესტის საფუძველზე ჯამში 1628 აბიტურიენტმა მოიპოვა. მათგან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სომხურენოვანი ტესტით ჩაირიცხა 451 აბიტურიენტი, აზერბაიჯანულენოვანი ტესტით - 1173, ხოლო ოსური ენის ტესტით - 4. 1628 აბიტურიენტიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტი მხოლოდ 12%-მა მოიპოვა. ეს მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით შემცირებულია.[1070] სტატისტიკური მონაცემები კვლავ ადასტურებს, რომ, სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, ეროვნული

[1067] სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით აქტივობები განხორციელდა მხოლოდ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში და კულტურის სახლში, ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ სოფელში. სკოლამ ასევე მიიღო მონაწილეობა „ახალციხელობის" დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელსაც 500-მდე პირი ესწრებოდა (სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2024 წლის 30 იანვრის წერილი № MES 6 24 0000090989).

[1068] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 2 თებერვლის წერილი № GOV02400002989.

[1069] იქვე.

[1070] 2022 წელს 1202 აბიტურიენტიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტი მხოლოდ 16.3%-მა მოიპოვა (საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 292).

უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების დიდი ნაწილი დაფინანსების გარეშე რჩება.

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გაზარდოს სტუდენტების დაფინანსების თანხები. სამწუხაროდ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების, ასევე, ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტისთვის გამოყოფილი თანხა არ გაზრდილა.[1071] 2022 წლის მსგავსად, 2023 წელსაც, ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე სტუდენტების დასაფინანსებლად დამატებითი თანხის გამოყოფის ნაცვლად, იყო აფხაზური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის გათვალისწინებული დაფინანსების განაწილების შესაძლებლობა.[1072]

უმაღლესი განათლების კონტექსტში, მისასალმებელია, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ზოგადი უნარების ტესტების საფუძველზე, ასევე, ოსური და აფხაზური ენის ტესტის საფუძველზე, აბიტურიენტთა მიღების ვადა 2030-2031 სასწავლო წლის ჩათვლით გაგრძელდა.[1073]

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩატარებული შეხვედრებიდან ირკვევა, მოსახლეობის ნაწილს პროგრამაზე ჩარიცხვის გზებთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი და სავალდებულო არ არის აბიტურიენტებს დამთავრებული ჰქონდეთ აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი სკოლა/სექტორი,[1074] საზოგადოების ნაწილს ამ საკითხთან დაკავშირებითა არასწორი ინფორმაცია აქვს. ისინი ფიქრობენ, რომ ქართულენოვან სკოლაში/სექტორში სწავლის შემთხვევაში, აბიტურიენტები ამ პროგრამაზე ჩარიცხვას ვერ შეძლებენ.[1075] ეს, როგორც აზერბაიჯანულენოვან, ისე სომხურენოვან თემში, ამ პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული მუშაობის გააქტიურების საჭიროებაზე მიუთითებს.

24.5.მედიის ხელმისაწვდომობა

2023 წელს, წინა წლების მსგავსად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვების, „მოამბე 21:00 საათზე", სინქრონულ თარგმანს აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე, რომლის ნახვაც ტელევიზორის მეშვეობით

[1071] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 2 თებერვლის წერილი № GOV 0 24 00002989.

[1072] იქვე.

[1073] „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 90-ე მუხლის 2^2 პუნქტი („უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონი, გამოქვეყნების თარიღი - 17.07.2023).

[1074] „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1^2 პუნქტი.

[1075] ამაზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიშში, „ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა", 2022, გვ. 55.

არის შესაძლებელი.[1076] გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ყოველდღიურად ოთხ საინფორმაციო გამოშვებას ამზადებს, რომლებიც პირველი არხის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი.[1077] ამასთან ერთად, ეს საინფორმაციო გამოშვებები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ტელევიზიებს უსასყიდლოდ გადაეცემა.[1078]

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეროვნული უმცირესობებისთვის წარმოებული პროდუქტის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, მისი პოპულარიზაცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლისგან გვეცნობა, 2022 წლის განმავლობაში ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფელში ტარდებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან კარდაკარის პრინციპით, და ეს შეხვედრები 2023 წელსაც გაგრძელდა. შეხვედრების ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია იმ პროდუქტების შესახებ, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს ეთნიკური უმცირესობებისთვის.[1079] მართალია, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეს საქმიანობა მისასალმებელია, თუმცა პრაქტიკაში გამოკვეთილი საკითხები, ისევე როგორც თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატისტიკა საზოგადოების ინფორმირების მიზნით გადადგმული ნაბიჯების გაძლიერების საჭიროებაზე მიუთითებს.

მედიის ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის, მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისათვის, რადგან მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. შესაბამისად, ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ზუსტი მედიაპროდუქტის ხელმისაწვდომობა და ამ პროდუქტის თაობაზე ცნობადობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ პროცესებში აქტიური და ეფექტიანი ჩართულობისათვის კრიტიკულად აუცილებელია. მნიშვნელოვანია, ამ კუთხით გაწეული საქმიანობა იყოს განგრძობადი და სისტემური.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გამოვლინდა, რომ მოსახლეობის ნაწილისთვის ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ ან მთლიანად უცნობია ან სრულად არ არის ცნობილი. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების პოპულარიზაცია, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ამომწურავი

[1076] საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 21:00 საათიანი „მოამბის" აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სინქრონული თარგმანი და, შესაბამისად, ამ საინფორმაციო გამოშვების პირდაპირ ეთერში ყურება სეტ-ტოპ ბოქსების, ასევე, ენის შეცვლის ფუნქციის მქონე ტელევიზორის მეშვეობით არის შესაძლებელი (საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის 5 თებერვლის წერილი №65/07).

[1077] ასევე, სხვადასხვა პლატფორმაზე სოციალური ქსელებით (საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის 5 თებერვლის წერილი №65/07).

[1078] საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე წარმოებული ყველა პროდუქტი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ტელევიზიებისთვის უსასყიდლოდ არის ხელმისაწვდომი.

[1079] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის 5 თებერვლის წერილი №65/07.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის რა ტიპის სატელევიზიო პროდუქტი გადაეცემათ რეგიონულ მაუწყებლებს უსასყიდლოდ, ასევე, რისი ნახვა შეუძლიათ ტელევიზორის ან ვებგვერდის საშუალებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის პოპულარიზაციის გაძლიერების აუცილებლობაზე მეტყველებს თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატისტიკაც, რომლის თანახმადაც, 2023 წელს პირველი არხის ონლაინ პლატფორმაზე აზერბაიჯანულენოვანი გვერდის ვიზიტორების რაოდენობა იყო 57 032, ხოლო სომხურენოვანი ვიზიტორების რაოდენობა - 72 196,[1080] რაც, ყოველდღიურად, აზერბაიჯანული ენის შემთხვევაში დაახლოებით 156 ნახვას უტოლდება, ხოლო სომხური ენის შემთხვევაში - დაახლოებით 197 ნახვას. 2022 წელთან შედარებით, აზერბაიჯანულენოვანი გვერდის ვიზიტორების ყოველდღიურმა მაჩვენებელმა 62%-ით იკლო, ხოლო სომხურენოვანი გვერდის ვიზიტორების ყოველდღიურმა მაჩვენებელმა - 50%-ით.[1081] სამწუხაროდ, 2021 წელთან შედარებით, გაუმჯობესება არც 2022 წელს შეინიშნებოდა,[1082] რაც, ამ მხრივ, ბოლო წლების უარყოფით ტენდენციაზე მიუთითებს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- 2024-2025 სასწავლო წლისთვის გაიზარდოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების, ასევე ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სამუშაოს მაძიებლების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად განახორციელოს მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობები;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში უზრუნველყოს დასაქმების ხელშეწყობის სერვისების პოპულარიზაცია;
- აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობებისთვის;
- მიიღოს სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან კონსულტაციის ვალდებულება ისეთი

[1080] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის 5 თებერვლის წერილი №65/07.

[1081] 2022 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის პირველ ოქტომბრამდე „მოამბის" სინქრონული თარგმანის ნახვა ონლაინ პლატფორმებზე აზერბაიჯანულ ენაზე შეადგენდა დაახლოებით 115 000-ს, ხოლო სომხურ ენაზე - 108 000-ს, რაც ყოველდღიურად აზერბაიჯანული ენის შემთხვევაში, დღიურად უტოლდება დაახლოებით 420 ნახვას, ხოლო სომხური ენის შემთხვევაში - დაახლოებით 394 ნახვას (საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 294).

[1082] საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ონლაინ პლატფორმების სტატისტიკის თანახმად, 2021 წელს სინქრონულად თარგმნილი „მოამბის" ყოველდღიური ნახვის მაჩვენებელი 500-1500-ს უტოლდებოდა.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც, შესაძლოა, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასა და სამოქალაქო ინტეგრაციაზე ახდენდეს გავლენას;
- შემუშავდეს გრძელვადიანი გეგმა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში გააფართოოს სკოლამდელი ბილინგვური პროგრამების დაფარვის არეალი;
- იმ სკოლებში, სადაც სწავლა მიმდინარეობს ეროვნული უმცირესობების ენაზე: დაინერგოს მულტილინგვური სწავლების მოდელი; შემუშავდეს მულტილინგვური სწავლებისთვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოები; მომზადდნენ/გადამზადდნენ ორენოვანი პედაგოგები;
- საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად, დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება;
- უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე, პედაგოგთა გადამზადება;
- მულტილინგვური პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, განახორციელოს სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები ქვეყნის ფარგლებს შიგნით;
- ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეუწყოს, მათ შორის, ტექნიკურად და ლოჯისტიკურად დაუჭიროს მხარი კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების ფარგლებში განხორციელებულ სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

რეკომენდაცია საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას;
- უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია და შეუდგეს ამ ძეგლების კონსერვაციას ან/და რესტავრაციას.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაცია და გააფართოოს ამ პროგრამის განხორციელების, მათ შორის, მობილური ჯგუფების საქმიანობის გეოგრაფიული არეალი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- ცენტრის საქმიანობის გეოგრაფიული არეალისა და ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი პროგრამების ფარგლებში გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა გაიზარდოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში.

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში გააძლიეროს ეროვნული უმცირესობების ენებზე მთავარი საინფორმაციო და ანალიტიკური გამოშვებების პოპულარიზაცია აუდიტორიის გასაზრდელად;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული მედიაპროდუქტების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტების) ხელმისაწვდომობას ტრანსლაციის ყველა არსებული საშუალებით, აგრეთვე უზრუნველყოს ამ საქმიანობის პოპულარიზაცია.

საჯარო სამსახურის ბიუროს:

- აწარმოოს სტატისტიკა საჯარო სამსახურში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ, სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიაში გაითვალისწინოს თვითიდენტიფიკაციის, ნებაყოფლობითობის და ანონიმურობის პრინციპები.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს:

- მკაფიოდ განსაზღვროს მიმღები დაწესებულებების მიმართ 1+4 სტაჟირების პროგრამის მოთხოვნები, ასევე, პროგრამის მონაწილეებისათვის სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები, დაინერგოს შეფასების ინსტრუმენტები და ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს:

- უზრუნველყოს სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამების ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში.

საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების ხარისხის და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, უზრუნველყონ პედაგოგთა, მათ შორის, არაქართულენოვან პედაგოგთა გადამზადება, სასწავლო რესურსების შექმნა და მიწოდება;
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის მისაწვდომობა ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე;
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ნორმატიული აქტების (მათ შორის, სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების) მისაწვდომობა მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე.

25.იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

2023 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაშია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილებები,[1083] რომელიც დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხს სრულიად ახლებურად აწესრიგებს და რადიკალურად ცვლის მანამდე არსებულ სურათს, რადგან ამ დროიდან დაბადებული დევნილების მიმართ სახელმწიფო გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულებას იხსნის.[1084]

[1083] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლი.

[1084] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დევნილი მშობელი/მშობლები გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფამდე გარდაიცვალა/გარდაიცვალნენ. ასევე, პირი, რომელიც 2023 წლის 1 იანვრამდე არასრულწლოვანია, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისას გათვალისწინებული იქნება

განხორციელებული ცვლილებები ცხადყოფს, რომ შეიცვალა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პოლიტიკა. ცვლილებების ერთ-ერთი მიზანი,[1085] განსასახლებელი დევნილი ოჯახების ზუსტი ან/და საორიენტაციო რაოდენობის დადგენაა. მნიშვნელოვანია არა მარტო დადგინდეს იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც უნდა განსახლდნენ, არამედ დაიგეგმოს მათი გრძელვადიანი განსახლების პროცესიც, შემოიფარგლოს გარკვეული ვადით და უზრუნველყოფილი იქნეს მისი დაგეგმილ ვადაში განხორციელება.

2023 წლის ბოლოს მონაცემებით, საქართველოში 295 872 იძულებით გადაადგილებული პირი და 95 308 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული. მათგან, 54 862 ოჯახი გრძელვადიანად არის განსახლებული, ხოლო 51 845 ოჯახს გრძელვადიანი განსახლების სხვადასხვა პროგრამის[1086] ფარგლებში შევსებული აქვს განაცხადი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით (შესაძლებელია ერთსა და იმავე ოჯახს რამდენიმე განსახლების პროგრამაში ჰქონდეს განაცხადი რეგისტრირებული). 603 ოჯახზე გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება, პირველივე შესაძლებლობისთანავე საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.[1087]

სახელმწიფო 2025 წლის ბოლომდე გეგმავს დევნილთა მასშტაბურ განსახლებას. კერძოდ, თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავსა და ბორჯომში დევნილი ოჯახების განსახლება დაგეგმილია ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში და ამ მიზნით დაწყებულია სამშენებლო სამუშაოებიც. ამის გათვალისწინებით, 2023 წელს საცხოვრებლით დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა,[1088] 2022 წელთან შედარებით, შემცირებულია.[1089]

25.1.დევნილთა განსახლება

სახელმწიფო იძულებით გადაადგილებულ პირებს მოკლევადიან (ქირის პროგრამა) და გრძელვადიან საცხოვრებლით უზრუნველყოფას სთავაზობს. საანგარიშო პერიოდში გრძელვადიანი განსახლების სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში სულ 2 278 ოჯახი

მისი აღმავალი შტოს ოჯახის წევრებთან ერთად და მას აღარ ექნება საცხოვრებლით უზრუნველყოფის ინდივიდუალურად მოთხოვნის უფლება.

[1085] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის 16 დეკემბერს შესული ცვლილების განმარტებითი ბარათი. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/314384> [ბოლოს ნანახია 04.03.2024].

[1086] [1086]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 12 იანვრის № IDP 7 24 00032599 წერილი და 2024 წლის 6 მარტის № IDP 8 24 00273836 წერილები; 35 347 ოჯახს ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში განსახლების მოთხოვნით, 16 441 ე.წ. სოფლად სახლის შესყიდვის პროგრამით სარგებლობის მოთხოვნით და 57 ოჯახს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერაში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში გრძელვადიანი განსახლების მოთხოვნით.

[1087]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 12 იანვრის № IDP 7 24 00032599 წერილი; 2021 წელს 3 130, ხოლო, 2022 წელს 3 530 დევნილი ოჯახი განსახლდა.

[1088] 2 278 დევნილი ოჯახი, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 30 იანვრის IDP 4 24 00108961 წერილი.

[1089] 2022 წელს 3 500 დევნილი ოჯახი განსახლდა. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 298.

განსახლდა,[1090] ხოლო ქირით უზრუნველყოფილია 695 ოჯახი.[1091] ქირისათვის გამოყოფილი მაქსიმალური თანხა 2017 წლიდან 300 ლარს შეადგენს. ხშირ შემთხვევაში დევნილი ოჯახები უთითებენ, რომ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში ვერ ახერხებენ საცხოვრებლის მოძიებას. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო 2025 წლის ბოლოსთვის გეგმავს დევნილთა მასშტაბურ განსახლებას და ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი 2024 წელს არ წარიმართება,[1092] ქირისათვის დადგენილი 300 ლარიანი ლიმიტი, შესაძლოა, დიდ პრობლემად იქცეს დევნილებისათვის. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია გადაიხედოს დადგენილი ლიმიტი და, შესაბამისად, მოხდეს ამ მიმართულებით ბიუჯეტში თანხების მობილიზებაც. მით უმეტეს, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტში, მოწყვლადი ოჯახების საცხოვრებლის დაქირავების ლიმიტი უფრო მაღალია, ვიდრე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო აწესებს. მაგალითად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ქირის საკომპენსაციო თანხა 500 ლარს შეადგენს.[1093] ამავე ოდენობის თანხა გამოიყოფა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შემთხვევაშიც.[1094]

2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დევნილთა 60-მდე შესწავლილი განცხადება/საჩივრების უმეტესობა, გრძელვადიანი განსახლების პროცესში შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტებს შეეხებოდა. შესწავლილი საქმეებიდან ცალკეულ (9 საქმე) შემთხვევებში დადგინდა მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა, და გადაწყვეტილებების საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის გარეშე მიღება.

გრძელვადიანი განსახლების ეტაპზე, წლებია, გამოწვევად რჩება ე. წ. სოფლად სახლის პროგრამაში განსახლების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება. ამ პროგრამის ფარგლებში საცხოვრებლით უზრუნველყოფილთა შორის არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებმაც განსახლება 2020-2022 წლებში მოითხოვეს. აღნიშნული ცხადყოფს, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით მიმართვიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ზოგჯერ 3 წელიც არის საჭირო, რაც, შესაძლოა, დაბრკოლება იყოს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ოჯახს უკვე მოძიებული აქვს შესასყიდი საცხოვრებელი ფართი. 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, მითითებული განსახლების

[1090] ქუთაისში ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში 512 ოჯახი; თბილისში 56 ოჯახი; გორში, ძევერას მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებულ ინდივიდუალურ სახლებში 12 ოჯახი განსახლდა; 1 581 ოჯახს კერძო საცხოვრებლის შესყიდვის პროგრამის ფარგლებში ეთქვა თანხმობა საცხოვრებლის შესყიდვაზე; 117 ოჯახს ადმინისტრაციული დაპირების ფარგლებში შეუსყიდეს საცხოვრებელი ფართი.

[1091] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 10 იანვრის № IDP 8 24 00021745.

[1092] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 10 იანვრის № IDP 5 24 00021751 წერილი.

[1093] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 იანვრის №128-1282402389 წერილი.

[1094] „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-101 დადგენილება, მე-6 მუხლი, მე-4 პუნქტი.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ოჯახების რაოდენობა იყო 16 441. შესაბამისად, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია განაცხადები დროულად განიხილებოდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო 2025 წლისათვის საქართველოს რამდენიმე ქალაქში ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში დევნილთა განსახლებას გეგმავს. ამ მიზნით 2023 წლის ბოლოს განაცხადების მიღებაც დაიწყო. გაცხადებული პოლიტიკის მიხედვით, ოჯახები ამ შენობებში 2025 წლისათვის უნდა განასახლონ. სააგენტოს პასუხიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ ქალაქში მშენებლობა დაწყებულია, შენობების ნაწილი აშენებულია, თუმცა მშენებლობის საბოლოოდ დასრულების ვადად 2026 წლის თებერვალი[1095] და აპრილია[1096] მითითებული, ხოლო ზოგიერთ მუნიციპალიტეტში[1097] ჯერაც არ გაცემულა მშენებლობის ნებართვა და, შესაბამისად, არც სამშენებლო სამუშაოებია დაწყებული.[1098] მნიშვნელოვანია, ყველა სამართლებრივი ბერკეტის გამოყენება მშენებლობის გაცხადებულ ვადებში დასასრულებლად, ამასთანავე, მნიშვნელოვანი იქნება დევნილი ოჯახების პერიოდული ინფორმირება მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე.

25.2.სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება

2023 წლის ბოლოს მონაცემებით,[1099] სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ 29 ობიექტში, ჯერ კიდევ ცხოვრობს 506 ოჯახი. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ე. წ. ნგრევადი ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობა. კერძოდ, 2023 წელს 4 ე. წ. ნგრევადი და 17 სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის მნიშვნელობის ობიექტი დაიხურა, ჯამში ასეთ ობიექტებში მცხოვრები 259 ოჯახის განსახლების თაობაზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება.[1100]

საქართველოს სახალხო დამცველი, წლებია, საპარლამენტო ანგარიშებში ე. წ. ნგრევად შენობებში მცხოვრები ოჯახების უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მაღალია ე. წ. ნგრევადი შენობების რაოდენობა, ასეთი ობიექტებიდან დევნილთა განსახლების მაჩვენებელი უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში იკლებს.[1101] ამასთანავე, ხარვეზიანია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ ობიექტებში ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახების აღწერის პროცესიც, რაზეც

[1095] ქუთაისი და რუსთავი.

[1096] თბილისი.

[1097] ზუგდიდი.

[1098] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 30 იანვრის №IDP 4 24 00108961 წერილი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 ოქტომბრის №6727605 ბრძანება; 2023 წლის 13 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №270603/2.

[1099]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 14 თებერვლის № IDP 5 24 00177317 წერილი..

[1100] 6 ობიექტში მცხოვრებ ოჯახებზე გაიცა ადმინისტრაციული დაპირებები, ხოლო, 15 ობიექტში მცხოვრები ოჯახი განსახლდნენ უსაფრთხო გარემოში.

[1101] 2022 წელს 272 ასეთი ოჯახი განსახლდა. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 300.

საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებშიც საუბრობდა.[1102] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლისთვის აქვს დაგეგმილი ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების გამოთავისუფლება, მიუხედავად მათი ნგრევადობისა.[1103] თუმცა, მნიშვნელოვანია, ამ დრომდეც მყისიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, დროულად მოხდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ შენობებში მცხოვრებ დევნილთა უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ასევე, აუცილებელია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იდენტიფიცირებული ხარვეზების მხედველობაში მიღება და ე.წ. ნგრევად ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერა სრულყოფილად ჩატარება

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- არსებული საბაზრო ფასების გათვალიწინების საფუძველზე, მომატების მიზნით გადაიხედოს დევნილთათვის საცხოვრებლის სახლის დაქირავებისათვის დაწესებული ლიმიტი.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება - კვარტალში ერთხელ შესაბამის ვებგვერდზე ინფორმაციის განახლებით ან სხვა ფორმებით, თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავსა და ბორჯომში მიმდინარე მშენებლობის შესახებ;
- მყისიერი საჭიროების შემთხვევაში, 2025 წლამდე განახორციელოს ე.წ. ნგრევადი ობიექტებში მცხოვრებ დევნილთა უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

26.ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

2023 წელს, შოვსა და შემდეგ გურიაში განვითარებულმა გეოლოგიურმა პროცესებმა, საცხოვრებლების და ინფრასტრუქტურის დაზიანების გარდა, სამწუხაროდ, არაერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ასევე, სამწუხაროდ, ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება სტიქიების შედეგად დაზარალებული და პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროების წინაშე მყოფი ოჯახების რაოდენობაც. ქვეყნის მასშტაბით განვითარებული გეოლოგიური პროცესები მოითხოვს სისტემურ ანალიზს, შეფასებასა და შემდგომ რეაგირებას, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გატარებას არათანმიმდევრული ხასიათი აქვს, რაც არსებული გამოწვევების საპასუხოდ

[1102] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 300-302.
[1103] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 30 იანვრის IDP 4 24 00108961 წერილი.

არასაკმარისია. თავის მხრივ, დროული პრევენციული ღონისძიებების არარსებობის პირობებში, ოჯახების განსახლების აუცილებლობის რისკიც იზრდება. 2023 წლის ბოლოს მონაცემებით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 9 326 ეკომიგრანტი ოჯახიდან საცხოვრებლით 3 088 ოჯახია უზრუნველყოფილი.[1104]

გამოწვევად რჩება განსახლებისთვის გამოყოფილი თანხების სიმცირეც. ასევე, ჯერ კიდევ არ დასრულებულა 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი.[1105] აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებული 1062 ოჯახიდან 420[1106] ოჯახს უძრავი ქონება ჯერ კიდევ არ აქვს საკუთრებაში გადაცემული.

26.1. ეკომიგრანტთა განსახლება

საანგარიშო წელს 376[1107] ეკომიგრანტ ოჯახს შეუსყიდეს საცხოვრებელი სახლი.[1108] საცხოვრებლით უზრუნველყოფილთა შორის არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებმაც განსახლება 2016-2022 წლებში მოითხოვეს. აღნიშნული ცხადყოფს, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით მიმართვიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ზოგჯერ 6 წელიც არაა საკმარისი, რაც არაგონივრულად დიდი დროა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება სტიქიის შედეგად დაზარალებულ და გეოლოგიური პროცესების გამო სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრებ ოჯახებს. 2023 წელს კვლავ დაბალი იყო სააგენტოს მხრიდან ქირით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა. კერძოდ, საანგარიშო წელს მხოლოდ 14-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა მიმართა სააგენტოს და ისარგებლა ქირის დაფინანსებით. მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი, შესაძლოა, დაზარალებული ოჯახების არაინფორმირებულობა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ეკომიგრანტი ოჯახების ინფორმირების მიზნით თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან,[1109] ქირით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა იმდენად მცირეა, საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, სააგენტომ უფრო მეტი ძალისხმევა გასწიოს ეკომიგრანტი ოჯახებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად. სააგენტოსთან ერთად ქირით უზრუნველყოფის შესაძლებლობა გათვალისწინებულია ზოგიერთი ადგილობრივი

[1104]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 12 იანვრის № IDP 1 24 00036427 წერილი.

[1105] საკუთრებაში გადაცემის პროცესი 2016 წელს დაიწყო.

[1106]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 12 იანვრის № IDP 1 24 00036427 წერილი.

[1107] 286 საცხოვრებელი სახლი შეიძინა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, ხოლო 90 საცხოვრებელი სახლი აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

[1108] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 12 იანვრის № IDP 1 24 00036427 წერილი და აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის № 05/7341 წერილი.

[1109] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 7 თებერვლის № IDP5 24 00145141 წერილი.

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტშიც,[1110] რაც დადებითად უნდა შეფასდეს. საფრთხის ქვეშ მყოფი ოჯახისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უსაფრთხო ადგილას დროული გაყვანა, რაც გრძელვადიანი განსახლების პროცესის გაჭიანურების პირობებში, განსაკუთრებით აქტუალურია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას განსახლების მიმართულებით გამოყოფილი თანხების საკითხზეც ამახვილებს ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული ეკომიგრანტი ოჯახების განსახლებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო განასახლებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში საანგარიშო წელს საცხოვრებლის შესასყიდად დადგენილი ლიმიტი 40 000 ლარი იყო, რაც 2024 წლიდან 50 000 ლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ლიმიტს, 2021 წლიდან 30 000 ლარს შეადგენს და არც 2024 წლისთვის გაზრდილა. ინფლაციისა და უძრავი ქონების გაზრდილი საბაზრო ღირებულების[1111] პირობებში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომაც გადახედოს განსახლებისათვის გამოყოფილ ფინანსურ ლიმიტს. აქვე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეკომიგრანტების შემთხვევაში, ერთადერთი მოქმედი განსახლების პროგრამა მათ მიერ მოძიებული საცხოვრებლის შესყიდვის დაფინანსებაა და სხვა ალტერნატივა არ არსებობს (გამონაკლისია ერთეული მუნიციპალიტეტები,[1112] რომლებიც უზრუნველყოფენ ეკომიგრანტებს საცხოვრებლით, რაც ეკომიგრანტებისათვის განსახლების ალტერნატიულ პროგრამად ვერ ჩაითვლება).

26.2. ეკომიგრაციის პრევენცია

2023 წელსაც, გასული წლების მსგავსად, დაბალი იყო მუნიციპალიტეტების მხრიდან პრევენციულ ღონისძიებებზე ზრუნვა. ჯერ კიდევ მცირეა იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებსაც გეოლოგიური პროცესების პრევენცია პრიორიტეტულ ამოცანად აქვს დასახული.[1113] ზოგიერთ შემთხვევებში მუნიციპალიტეტები[1114] აფინანსებენ სალიკვიდაციო ღონისძიებებს, რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანია, თუმცა არ არის სტიქიის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისაკენ მიმართული. ასეთ შემთხვევაში, სტიქიის განმეორების რისკი კვლავ რჩება და სალიკვიდაციო ღონისძიება საბოლოო ჯამში, შესაძლოა, არაეფექტიანიც კი აღმოჩნდეს.

[1110] ლაგოდეხის, თერჯოლის, ბაღდათის, ხელვაჩაურის, ხულოს, ბათუმის, ქობულეთის, ახალციხის, ცაგერის, ხობისა და თბილისის მუნიციპალიტეტები.

[1111] სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემები. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=7 > [ბოლოს ნანახია 18.03.2024 წ.].

[1112] მაგალითად, თერჯოლის მუნიციპალიტეტი.

[1113] მესტიის, ხელვაჩაურის, ხულოს, ლენტეხის, ვანის მუნიციპალიტეტები.

[1114] ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 დეკემბრის №110-1102336323 და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 22 იანვრის №28-282402290 წერილები.

პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობას მუნიციპალიტეტები შესაბამისი ფინანსების არარსებობით ხსნიან.[1115] რაც, შესაძლოა, გამოწვეული იყოს რამდენიმე გარემოებით: გეოლოგიურად აქტიური ადგილების/პროცესების თაობაზე სრულყოფილი მონაცემების არარსებობა[1116]; პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად საჭირო საორიენტაციო ხარჯების თაობაზე მონაცემების არქონა[1117]; ეკომიგრაციის პრევენციისათვის ნაკლები პრიორიტეტის მინიჭება. გახშირებული გეოლოგიური პროცესებისა და გაზრდილი დაზარალებული ოჯახების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლოა, დღის წესრიგში იდგეს ქვეყნის მასშტაბით გეოლოგიური პროცესების სამართავად/პრევენციისთვის სისტემური ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების საჭიროება. კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე გახშირებული სტიქიური მოვლენების გამო, კვლევების უფრო მეტი დეტალიზაციის აუცილებლობას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოც ხედავს. უწყება უახლოესი 3-5 წლის განმავლობაში დამატებით 3 რეგიონული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი გეოლოგიური განყოფილების შექმნას გეგმავს.[1118] საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად აფასებს რეგიონული განყოფილებების გახსნის დაგეგმვას, თუმცა აქვე, მნიშვნელოვნად მიაჩნია კლიმატის გლობალური ცვლილებებისა და გახშირებული სტიქიური მოვლენების ფონზე უწყებათაშორისი თანამშრომლობით სისტემურად დაიწყოს გეოლოგიური პროცესების სამართავად/პრევენციისათვის ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. მათ შორის, განისაზღვროს უწყება/ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ბიულეტენებსა თუ ინდივიდუალურ დასკვნებში გაცემული რეკომენდაციების აღსრულების საკითხს.

ზემოხსენებულ პრობლემებთან ერთად, კვლავაც აქტუალურია გასულ საპარლამენტო ანგარიშებში აღნიშნული გამოწვევები. მათ შორისაა პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოების თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობა რეკომენდაციის გამცემი ორგანოსათვის. მუნიციპალიტეტების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, თავად სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ, ადრესატ მუნიციპალიტეტებს მიუთითონ ინფორმირების საჭიროებაზე.

[1115] თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 22 იანვრის №28-282402290, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 იანვრის №22-222401058, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 დეკემბრის №96-962336312 და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 30 იანვრის №40-4024030124 წერილები.

[1116] თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 22 იანვრის №28-282402290, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის №66-662401673 და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 17 იანვრის №12-1224017118 წერილები.

[1117]ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 იანვრის №22-222401058, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 იანვრის №128-1282402389, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 28 დეკემბრის № 98-98233627, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 დეკემბრის №110-1102336323, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 იანვრის №80-802402642 , ხობის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 იანვრის №50-502402936, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 30 იანვრის №40-4024030124 და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 5 თებერვლის № 24-2424036196 წერილები.

[1118] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 12 თებერვლის № 21/1296 წერილი.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- არსებული საბაზრო ფასების მხედველობაში მიღების საფუძველზე გაიზარდოს ეკომიგრანტთა საცხოვრებლის სახლის შესყიდვისათვის დაწესებული ლიმიტი.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- ქირით უზრუნველყოფის პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მონაწილეობით, აწარმოოს საინფორმაციო კამპანია;
- 2023 წელს დასრულდეს 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს:

- გეოლოგიური დასკვნის ადრესატებს მიეთითოთ პრევენციული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მათთვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროებაზე.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერებს:

- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიეწოდოთ ინფორმაცია გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

27.თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

27.1.შესავალი

მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება იძულებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობა. 2023 წლის მონაცემებით, 110 მილიონზე მეტი ასეთი პირია, რომელთაგან 43 მილიონამდე საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელია.[1119] მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად, საქართველოში გასულ საანგარიშო წელთან შედარებით, მცირედი კლება შეინიშნება.[1120] 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოში 1 395 საერთაშორისო დაცვის მქონე პირი ცხოვრობს. 450-ს

[1119] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://www.unhcr.org/refugee-statistics/ > [ბოლოს ნანახია 08.02.2024].
[1120] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, 307.

მინიჭებული აქვს ლტოლვილის, ხოლო 945-ს - ჰუმანიტარული სტატუსი.[1121] თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა კი 1 060-ს შეადგენს,[1122] მათგან საერთაშორისო დაცვა 19 პირმა სახელმწიფო საზღვარზე მოითხოვა. საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უმრავლესობა უკრაინის, რუსეთის, ერაყისა და სირიის მოქალაქეები არიან.[1123]

2023 წელს განახევრდა განხილული საქმეების რაოდენობა.[1124] საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის საშუალო ვადა 10 თვეა.[1125] 654 განხილული საქმიდან, საერთაშორისო დაცვაზე უარი 472 პირს ეთქვა. 166-ს მიენიჭა ჰუმანიტარული სტატუსი, ხოლო, 16-ს - ლტოლვილის სტატუსი. უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველი ძირითადად იყო შესაბამისი მიზეზების არქონა - 454 პირის შემთხვევაში, უსაფრთხოება - 17 პირის შემთხვევაში, ხოლო 1 შემთხვევაში - პირის სხვა ქვეყნის მიერ ლტოლვილად აღიარება. იმ პირთა შორის, რომლებსაც საერთაშორისო დაცვაზე უარი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არგუმენტით ეთქვათ, ერიტრეას 6, უკრაინის 2, ერაყის 2 და სირიის 2 მოქალაქეა.

საანგარიშო წელს შეიცვალა თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში განთავსების წესები[1126] და პრიორიტეტი მეტად მოწყვლად თავშესაფრის მაძიებლებს ენიჭებათ. 2023 წელს შემუშავდა იმიგრანტთა ინტეგრაციის „ერთიანი მიდგომების დოკუმენტის" სამუშაო ვერსიაც, თუმცა საბოლოოდ დამტკიცებული არ არის. არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა ინტეგრაციის პროგრამების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირების თვალსაზრისით. კერძოდ, სოციალურ ქსელში არ ახლდება ინფორმაცია საინტეგრაციო პროგრამებსა და აქტივობებზე,[1127] ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებგვერდზე ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი,[1128] რაც, შესაძლოა, დაბრკოლება იყოს დაინტერესებული პირებისათვის.

27.2.სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი

საანგარიშო წელს სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგის[1129] ფარგლებში, საზღვრის კვეთის პროცესზე დაკვირვებასთან ერთად, საზღვრებზე ასევე იყო გამახვილებული ყურადღება თავშესაფრის საკითხებსა და დასაქმებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე და პირობებზე. ძირითად შემთხვევებში სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის

[1121] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 25 იანვრის № MIA 9 24 00229573 წერილი.

[1122] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://info.police.ge/page?id=768&parent_id=258 > [ბოლოს ნანახია 08.02.2024].

[1123] უკრაინის მოქალაქე - 474; რუსეთის მოქალაქე - 156; ერაყის მოქალაქე - 265; სირიის მოქალაქე - 107.

[1124] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 308.

[1125] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 25 იანვრის № MIA 9 24 00229573 წერილი.

[1126] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 17 აგვისტო №62 ბრძანება „თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესის დამტკიცების შესახებ".

[1127] ინფორმაცია ხელმისაწვდომია:< https://www.facebook.com/IntegrationCenterGeorgia/ >[ბოლოს ნანახია 08.02.2024].

[1128] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://idp.moh.gov.ge/mainlist.php?lang=1&uid=20230108180412683592299 8> [ბოლოს ნანახია 08.02.2024].

[1129] მონიტორინგი ჩატარდა „სარფის", „ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის", „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის", „ვალეს", „სამების", „წითელი ხიდის", „გუგუთისა" და „სადახლოს" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილებებში.

განყოფილებების ინფრასტრუქტურული მხარე მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია,[1130] თუმცა გამშვები პუნქტები არ არის აღჭურვილი სპეციალური გასაუბრების ოთახებით. გასაუბრება უმეტესად მიმდინარეობს ხელმძღვანელი პირის ან ცვლის უფროსის სამუშაო ოთახში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი კონფიდენციალური გარემო. პრობლემურია ენობრივი ბარიერის არსებობა. ცალკეულ შემთხვევებში, საზღვარზე დასაქმებულ პირებს უცხოელებთან „Google Translate" პროგრამის გამოყენებით უწევთ ურთიერთობა.

გასული წლების მსგავსად, საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, გამოწვევად რჩება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი" ქვეპუნქტის გამოყენება, როდესაც უცხოელს, საქართველოში შემოსვლაზე უარი, შესაძლოა, „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების" საფუძვლით ეთქვას. აღნიშნული ჩანაწერი არ მიუთითებს რომელიმე სხვა საკანონდებლო ნორმაზე, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში პრობლემურად აფასებდა[1131] და აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ნორმა მითითებითია და ცალკე არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, მისი გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს კანონით განსაზღვრული კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უცხოელი პირი საზღვრის გადმოკვეთის შეზღუდვას დაექვემდებარება. მითითებული პრობლემა საანგარიშო წელსაც აქტუალური იყო და საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი განცხადება/საჩივარი მიიღო, სადაც განმცხადებლებს სწორედ ზემოხსენებული საფუძვლით ეთქვათ უარი საქართველოში შემოსვლაზე.

გამოწვევად რჩება სრულფასოვანი მონაცემთა ბაზების არარსებობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წელს საქართველოში 4 138 882 უცხო ქვეყნის მოქალაქე შემოვიდა, ხოლო 22 904 უცხოელს შეეზღუდა საქართველოში შემოსვლა, თუმცა სამინისტროს არ გააჩნია მონაცემები უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების შესახებ,[1132] მათ შორის, არ არსებობს მონაცემები, რამდენ უცხოელს შეეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არც იმ უცხოელების სტატისტიკას აწარმოებს, რომლებიც, უკან გაბრუნებამდე, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში სპეციალური შეჩერების/დაკავების ოთახებში ერთ დღეზე მეტი ვადით უწევთ მოთავსება. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ამ სახის სტატისტიკის წარმოება მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, რამდენად ხშირია უცხოელთა მსგავს სივრცეში მოთავსების პრაქტიკა და რამდენად ინტენსიურია ჩარევა.

არც 2023 წელს შემუშავებულა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო საზღვრის კვეთის დროს ინსპექტირების ჩატარებისას უცხოელთან ინტერვიუს წარმართვას

[1130] არსებობს გამონაკლისიც, მაგალითად „სამება", სადაც საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს ახალი სასაზღვრო-სამიგრაციო განყოფილების მშენებლობა.

[1131] მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 331; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 422-423.

[1132] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 2 თებერვლის № MIA 8 24 00320624 წერილი.

დაარეგულირებდა.[1133] საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამგვარი დოკუმენტის არსებობას, რომელიც ერთიანი სტანდარტების დაცვით გაითვალისწინებს ინტერვიუს ჩატარების ტექნიკას და მხედველობაში მიიღებს ასაკობრივ, გენდერულ, შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს.

27.3.ინტეგრაცია

2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია, სხვა საკითხებთან ერთად, აყალიბებს სახელმწიფოს ხედვას უცხოელთა ინტეგრაციასთან დაკავშირებით. იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ „ერთიანი მიდგომის დოკუმენტი" ჯერ კიდევ 2021 წელს უნდა შემუშავებულიყო, თუმცა სამუშაო ვერსია მხოლოდ საანგარიშო წელს შეიქმნა და დამტკიცებული არ არის.

ინტეგრაციის სერვისების მიმართულებით კვლავ მოქმედებს შემდეგი პროგრამები: ქართული ენის კურსები, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო განათლების კურსი, საკონსულტაციო სერვისი და რეფერირება, სამედიცინო დახმარების ან/და მედიკამენტების დაფინანსება გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე პირთათვის. საანგარიშო წელს 107 მსმენელი ჰყავდა ქართული ენის კურსებს, 37 - სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსს, ხოლო სამედიცინო საჭიროების დაფინანსებით 24-მა პირმა ისარგებლა. მნიშვნელოვანია, რომ კურსების დისტანციურად გავლის შემთხვევაში, ბენეფიციარებს უფინანსდებათ ინტერნეტის საფასური, ხოლო გადაადგილების საჭიროების შემთხვევაში - მგზავრობის საფასური.[1134] საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, ცალკეული ბენეფიციარები კვლავ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ქართული ენის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.[1135]

მისასალმებელია, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს სოციალურ გასაცემლებს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის. მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია დაფინანსება მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის, მკურნალობის მწვავე გადაუდებელ შემთხვევაში.[1136] ასევე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია მუდმივი ბინადრობის ნებართვის, ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსის მქონე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ „სამედიცინო დახმარებისა" და „მედიკამენტებით უზრუნველყოფის" პროგრამებში.[1137]

ინტეგრაციის ერთ-ერთი კომპონენტი დასაქმებაა. სამწუხაროა, რომ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა მომხმარებლებს worknet.gov.ge-ზე რეგისტრაციის შესაძლებლობას მხოლოდ ქართულ

[1133] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 2 თებერვლის № MIA 8 24 00320624 წერილი.
[1134] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 17 იანვრის № IDP 1 24 00054652 წერილი.
[1135] მაგალითად, ამბობდნენ, რომ მასწავლებელი მათთვის საკმარისად გასაგებად არ ხსნიდა გაკვეთილს.
[1136] ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 12 თებერვლის №86-86240439 წერილი.
[1137] ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 22 იანვრის №44-4424022782 წერილი.

ენაზე აძლევს. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, დაგეგმილია პროგრამის განახლება და სამუშაოს მაძიებლებს სულ მცირე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე შეეძლებათ რეგისტრაცია. საქართველოს სახალხო დამცველს, უცხოელთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვნად მიაჩნია რეგისტრაციის ენების გაფართოება, რათა იგი ფართო ჯგუფებისათვის იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო არ აწარმოებს სტატისტიკას, სულ რამდენი უცხოელია სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებული, მათ შორის რამდენია ლტოლვილის ან ჰუმანიტარულის სტატუსის, თავშესაფრის მაძიებელი ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი. სააგენტოს არც ამ პროგრამის მეშვეობით დასაქმებულ უცხოელ პირთა შესახებ აქვს სტატისტიკური მონაცემები.[1138] უცხოელთა ინტეგრაციის ხარისხის შესაფასებლად, საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია მსგავსი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და ენობრივი ბარიერის საკითხები კვლავაც აქტუალურია სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შემთხვევაშიც. უწყება, რომელიც ძირითადი საინტეგრაციო პროგრამების განმახორციელებელია, სოციალურ ქსელში არ აახლებს საინტეგრაციო პროგრამებსა და აქტივობებზე ინფორმაციას,[1139] ხოლო ვებგვერდზე ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი.[1140] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ დონორული მხარდაჭერით იგეგმება საკომუნიკაციო ვებ-პლატფორმის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციარებისათვის სრულყოფილი და განახლებული ინფორმაციის მიწოდებას.[1141]

უცხოელთათვის გათვალისწინებული სერვისებით სარგებლობა შესაბამისი დოკუმენტის ქონის პირობებშია შესაძლებელი. საქართველოს სახალხო დამცველი გასულ საპარლამენტო ანგარიშში საუბრობდა ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის საფუძველზე არ გაძევებას დაქვემდებარებული პირებისათვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემის საკანონმდებლო ხარვეზებზე.[1142] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მუშაობდა საკითხის მოწესრიგებაზე, პრობლემა კვლავაც აქტუალურია და ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელებულა.[1143]

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

[1138] სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს 2024 წლის 29 იანვრის № SESA 7 24 00100602 წერილი.

[1139] ინფორმაცია ხელმისაწვდომია:< https://www.facebook.com/IntegrationCenterGeorgia/ >[ბოლოს ნანახია 18.03.2024 წ.].

[1140] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://idp.moh.gov.ge/mainlist.php?lang=1&uid=20230108180412683592299 8> [ბოლოს ნანახია 18.03.2024 წ.].

[1141] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 17 იანვრის № IDP 1 24 00054652 წერილი.

[1142] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 312-313.

[1143] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 29 თებერვლის № MIA 5 24 00615255წერილი.

- პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, დაამუშაოს საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ სტატისტიკური მონაცემები და მიუთითოს ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი;
- აწარმოოს სტატისტიკა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში უკან გაბრუნებამდე, სპეციალური შეჩერების/დაკავების ოთახებში ერთ დღეზე მეტი ვადით მოთავსებული უცხოელების რაოდენობისა და მათი მოთავსების ხანგრძლივობის შესახებ.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს:

- გაფართოვდეს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაზე, worknet.gov.ge რეგისტრაციის ენები;
- დაამუშაოს სტატისტიკური მონაცემები შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაზე, worknet.gov.ge რეგისტრირებული/დასაქმებული/დასაქმების შეთავაზების მქონე პირების მოქალაქეობისა და საქართველოში მათი სტატუსის (ჰუმანიტარული სტატუსის/ლტოლვილის სტატუსის/თავშესაფრის მაძიებლის/საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის) მიხედვით.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- ინფორმაცია ინტეგრაციის პროგრამების თაობაზე, გაავრცელოს სოციალური ქსელისა და ვებგვერდის საშუალებით, ბენეფიციარებისათვის გასაგებ ენაზე.

28.ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

28.1.შესავალი

თავდაცვის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის მიზანი, პრევენციული ვიზიტების გზით, წვევამდელთა და ნებისმიერი რანგის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმებაა. წინამდებარე თავი შემდეგი საკითხების მიმოხილვას ეთმობა: სამხედრო მოსამსახურეთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვა; მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები; სამხედრო მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

2023 წელს, მონიტორინგის ფარგლებში, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 6 სამხედრო ნაწილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 6 გასამხედროებული ქვედანაყოფი. მონიტორინგის

წევრებმა შეისწავლეს სამხედრო ნაწილებში არსებული მატერიალური პირობები, დოკუმენტაცია და ჩაატარეს ინდივიდუალური გასაუბრებები სამხედრო მოსამსახურეებთან.

სახალხო დამცველი მიესალმება ახალი თავდაცვის კოდექსის შემუშავებას, რომლის თანახმად, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა 2025 წლის 1 იანვრიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში და იმედოვნებს, რომ თითოეული ვადიანი სამხედრო მოსამსახურისთვის, რომელიც წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს 2025 წლის 1 იანვრამდე გაივლის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობები.

28.2.საქართველოს თავდაცვის ძალები

28.2.1. არასათანადო მოპყრობისგან დაცვა

საანგარიშო პერიოდში, სამხედრო ნაწილებში განხორციელებული ვიზიტების დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ მიუღია ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურის მიმართ, ზემდგომი ან სხვა სამხედრო მოსამსახურის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ. თუმცა, გასული წლების მსგავსად,[1144] კვლავ სისტემური პრობლემაა სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა, როგორიცაა ბუქნები, აზიდვები, სირბილი, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ სამხედრო ნაწილში დარჩენის იძულება და ა.შ. უფრო ხშირია არაფორმალური სასჯელის სახით სამხედრო ნაწილში 24 საათით დატოვების შემთხვევები ისეთ გადაცდომებზე, როგორიცაა საგუშაგოზე ჩამოჯდომა, ჩაძინება, ხმამაღლა საუბარი.

არაფორმალური სასჯელების გამოყენების შემთხვევები უმეტესად ხდება თავდაცვის ძალების საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, პირველადი სამხედრო მოსამზადებელი კურსის, ე.წ. „კარანტინის" გავლის პერიოდში, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად - „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის პრინციპით". ამ ცენტრში ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიმართ არაფორმალური სასჯელების გამოყენებას სისტემატური ხასიათი აქვს, რადგან ყველანაირ დისციპლინურ გადაცდომაზე უწევთ აზიდვების და ბუქნების გაკეთება, ასევე სირბილი მოკიდებული ზურგჩანთით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, მის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება უნდა განიხილებოდეს მხოლოდ დისციპლინური წარმოების ფარგლებში და გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში, მას შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული დისციპლინური სახდელი.[1145] ამასთანავე,

[1144]საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თბილისი 2022, 316; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, თბილისი 2023, 316.

[1145]ევროპის საბჭო: მინისტრთა კომიტეტი, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)4 წევრ სახელმწიფოებს, შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების შესახებ, მე-19 პუნქტი, 2010 წლის 24 თებერვალი, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ImETRw > [ბოლოს ნანახია: 26.02.2024].

დისციპლინური წარმოების დაწყებისთანავე, უნდა მოხდეს სამხედრო მოსამსახურის სათანადო ინფორმირება და მას უნდა ჰქონდეს დისციპლინურ საქმისწარმოებაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.[1146] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი გაცემულ რეკომენდაციაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურეების კოლექტიური და არაფორმალური დასჯის პრაქტიკა, მათ შორის, არასამუშაო საათებში სამხედრო ნაწილის დატოვების უფლების არაგონივრული შეზღუდვა და იძულებითი შრომა.[1147]

წინა წლების მსგავსად,[1148] სამხედრო მოსამსახურეები კვლავ არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარ უფლებებსა და გასაჩივრების პროცედურებზე. პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას არაერთმა ვადიანმა სამხედრო მოსამსახურემ აღნიშნა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაფორმალური და კოლექტიური დასჯის ფაქტებს, თუმცა გასაჩივრების მექანიზმი არასდროს გამოუყენებიათ, ამისი მთავარი მიზეზი კი, საკუთარი უფლებების და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის არქონაა. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი არაერთი წელია რეკომენდაციით მიმართავს[1149] თავდაცვის სამინისტროს და მოუწოდებს, რომ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე, რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე, ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედრო მოსამსახურეებს და გამოეკრას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტრო ბოლო ორი წელია გვპასუხობს, რომ ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე ბროშურის შექმნაზე მიმდინარეობს მუშაობა.

სახალხო დამცველის შეფასებით, არაფორმალური დასჯის მიზნით, სამხედრო მოსამსახურის სამხედრო ნაწილში დარჩენის დავალდებულება, უკანონო ქმედებაა და იწვევს სამხედრო მოსამსახურეების თავისუფალი მიმოსვლის უფლების უკანონო შეზღუდვას.[1150] ასევე, სამხედრო მოსამსახურეებისთვის არაფორმალური, ინდივიდუალური და კოლექტიური დასჯის სახით დამატებითი ფიზიკური აქტივობების შესრულების დავალდებულება არის უკანონო პრაქტიკა, რომელიც ქმნის არასათანადო მოპყრობის რისკებს, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევებში სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური შესაძლებლობების, მისი სუბიექტური აღქმის, ფიზიკური აქტივობის სირთულის და ფორმის გათვალისწინებით, ასეთი სასჯელის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს იმაზე მეტი სტრესი და ტანჯვა, ვიდრე ეს

[1146] იქვე. 21-ე პუნქტი.
[1147] იქვე, მე-16 და მე-18 პუნქტები.
[1148] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თბილისი 2022, 318.
საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, თბილისი 2023, 317.
[1149] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თბილისი 2022, 324.
საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, თბილისი 2023, 321.
[1150] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14.

დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან და მიაღწიოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მინიმალურ ზღვარს.[1151]

28.2.2.საცხოვრებელი და სამუშაო პირობები

ინფრასტრუქტურული პრობლემები

სახალხო დამცველი მიესალმება გასულ წელს თავდაცვის ძალებში რიგი ინფრასტრუქტურული გამოწვევების აღმოფხვრას. მაგალითად, თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-6 საარტილერიო და ამავე სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადებში დასრულდა საცხოვრებელი/სამუშაო შენობების ძირითადი ნაწილის სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები. ასევე, სახალხო დამცველის წარმომადგენლების ვიზიტის დროს, მე-3 ქვეით ბრიგადაში, სამწყობრო მოედანსა და სარბენ ბილიკებზე მიმდინარეობდა ასფალტის საფარის დაგება. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[1152] 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 20 (საცხოვრებელი ყაზარმა/ყაზარმა/სასტუმრო) შენობა-ნაგებობის სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სამხედრო ნაწილებში კვლავ გამოწვევად რჩება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სათანადო საცხოვრებელი და სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა.

კერძოდ, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილიის მარნეულის საავიაციო რგოლში მყოფი ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო პირობებზე. შენობის კედლები, სადაც განთავსებულია საცხოვრებელი და საკლასო ოთახები, რამდენიმე ადგილას გაბზარულია და მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. ასევე, სველ წერტილებში საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემა გამოსულია მწყობრიდან. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს განხორციელებული პრევენციული ვიზიტის დროსაც ანალოგიური ინფრასტრუქტურული გამოწვევები იყო.[1153] თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[1154] შენობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, რაც გათვალისწინებულია 2024 წლის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმაში.

თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონში, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები აღნიშნავდნენ, რომ საყარაულო შენობაში, სადაც ძირითადი დროის გატარება უწევთ, საპირფარეშო

[1151] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: CHEMBER v. RUSSIA (7188/03) პარა. 49. ასევე: Lyalyakin v. Russia.

[1152] საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან 2023 წლის 18 იანვრის MOD 0 24 00060761 პასუხი.

[1153]საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, თბილისი 2023, 318.

[1154] თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის 2024 წლის 9 თებერვლის № MOD 72400165708 წერილი.

დაზიანებულია. ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი კარადებით, ინდივიდუალური ტუმბოებით და სკამებით.

კვლავ აქტუალურია გამოწვევები სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით. ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არ გაუვლიათ არც თეორიული, და არც პრაქტიკული სწავლება/მომზადება, არც პირველადი სამხედრო მომზადების კურსის გავლის პერიოდში და არც კონკრეტულ ქვედანაყოფებში ჩარიცხვის შემდეგ. ასევე არ გაცნობიან ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმას და უმეტეს მათგანს არ ჰქონია ინფორმაცია ამ გეგმის არსებობაზე. არსებული სტანდარტის თანახმად კი,[1155] ყოველი სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია იცოდეს და შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების წესები. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, თითოეულმა სამხედრო მოსამსახურემ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები სახანძრო-სამაშველო ჯგუფის გამოსაძახებლად და არსებული საშუალებებით ხანძრის ჩასაქრობად, შეიარაღების, საბრძოლო მასალების, ტექნიკისა და სხვა ქონების გადასარჩენად. ყველა ქვედანაყოფში უნდა შემუშავდეს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმა, რომელიც მტკიცდება ქვედანაყოფის მეთაურის მიერ. გეგმას უნდა გაეცნოს ქვედანაყოფის მთელი პირადი შემადგენლობა.

28.2.3. კვება და სასმელი წყალი

საანგარიშო პერიოდში გამოკითხულ სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა[1156] კმაყოფილი იყო საკვების ხარისხით, ულუფის ოდენობით და საკვების დამატების შესაძლებლობით. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საკვების მომზადებისას არ არსებობს რელიგიური და ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნა, საკვები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ალტერნატივა ყოველთვის არის.

თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონში გამოკითხული ყველა სამხედრო მოსამსახურე უკმაყოფილო იყო კვებით. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ულუფა არ იყო საკმარისი და არც კერძის დამატების შესაძლებლობა ჰქონდათ. მათივე განმარტებით, საყარაულო შენობაში, განწესში მყოფი მოსამსახურეებისთვის საკვები მოსამსახურეთა რაოდენობის შესაბამისად, ცალკე ულუფებად არ მოაქვთ და არ ჰყოფნით.

რაც შეეხება სასმელ წყალს, თავდაცვის ძალების ყველა ზემოაღნიშნულ სამხედრო ნაწილს სასმელი წყალი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებოდა. თუმცა წყლის დისპენსერებთან არ იყო განთავსებული ერთჯერადი ჭიქები და სამხედრო მოსამსახურეებს უწევდათ საერთო ჭიქით ესარგებლათ, რაც სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით გაუმართლებელია.

[1155] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს № 519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 113-ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა.

[1156] გარდა თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონისა.

28.2.4. სამედიცინო მომსახურება

საქართველოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხულ პირად შემადგენლობას პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტს/ლაზარეთს შეუძლია მიმართოს.[1157] იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამედიცინო პუნქტის/ლაზარეთის სამედიცინო დახმარების მანქანით, ე.წ. „ამბულანსით" გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებაში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო მოსამსახურეები არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. ვიზიტების დროს სამხედრო ნაწილების სამედიცინო პუნქტების/ლაზარეთების ნაწილში საპროცედურო ოთახებში არ იყო დამონტაჟებული ხელსაბანი და სამედიცინო პერსონალს ხელსაბანის გამოსაყენებლად სველ წერტილში უწევდა გასვლა.[1158]

გასულ წელს განხორციელებული ვიზიტების დროს, კვლავ პრობლემა იყო სამედიცინო პუნქტების შტატების სრულად დაკომპლექტება. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად,[1159] თავდაცვის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან თავსებადი გახდა სამედიცინო სფეროში გაწეული საქმიანობა, მათ შორის, სამოქალაქო შტატზე დასაქმებული ექიმებისთვისაც, ამასთანავე, გამარტივდა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების პროფესიულ საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღების პროცედურები, გაიზარდა სახელფასო წოდებრივი სარგოები. ამავე პასუხის თანახმად, სამედიცინო პუნქტების და ლაზარეთების 82% დაკომპლექტებული იყო სამედიცინო პერსონალით.

თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[1160] სამედიცინო პერსონალისთვის უზრუნველყოფილია სწავლებების ჩატარება სამხედრო ჰოსპიტალში, ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწავლო სატრენინგო ცენტრის ბაზაზე მოთხოვნის შესაბამისად, ყველა მოსამზადებელ კურსზე გამოყოფილია კვოტები თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პერსონალის პარამედიკოსებად მოსამზადებლად (კურსის საფასურის გადახდის გარეშე) შესაბამისი სერტიფიცირებით. მიუხედავად სწავლებების ჩატარების

[1157] სამედიცინო ნაწილები/ლაზარეთი უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების მედიკამენტებით, ასევე არის ტკივილგამაყუჩებელი და გაციების საწინააღმდეგო მედიკამენტების მარაგი.
[1158] ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი მომზადების ცენტრი, თავდაცვის ძალების ჯარების უზრუნველყოფის სარდლობა, ლოჯისტიკის ცენტრი (აღმ.) დაცვის ბატალიონი, საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური ოპერაციების რეინჯერთა ბატალიონი.
[1159] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2023 წლის 18 იანვრის MOD 0 24 00060761 პასუხი.
[1160] საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან 2023 წლის 18 იანვრის MOD 0 24 00060761 პასუხი.

შესაძლებლობისა, განხორციელებული ვიზიტებით დადგინდა, რომ სამედიცინო პერსონალს პროფესიული ტრენინგები 2023 წელს არ გაუვლია.

28.2.5.ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეებისთვის ყოველთვიური ანაზღაურების გაზრდის შესახებ და იმედს იტოვებს, რომ მსგავსი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.[1161]

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პრევენციული ვიზიტებით ირკვევა, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯები 50 პროცენტით კვლავ არ უნაზღაურდებათ, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.[1162]

გასულ წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავდაცვის ძალების სამხედრო ნაწილებში განხორციელებული პრევენციული ვიზიტების შედეგად გაირკვა, რომ კვლავ უცვლელია თავდაცვის ძალებში ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემები, რაზეც სახალხო დამცველი არაერთი წელია საუბრობს.[1163] წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ნაწილი არ ფლობს ქართულ ენას (ძირითადად ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები). ენის არცოდნის გამო ვერ იღებენ სრულფასოვან სამხედრო განათლებას[1164] და სათანადოდ ვერ იგებენ საკუთარი უფლება/მოვალეობების არსს. ასევე, უჭირთ კომუნიკაცია სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან და შეზღუდულად ურთიერთობენ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საჭიროების/სურვილის შემთხვევაში არ აქვთ თავიანთ უშუალო მეთაურთან თუ სხვა ხელმძღვანელ პირებთან კონფიდენციალურად გასაუბრების შესაძლებლობა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საწყისი საბრძოლო მომზადების გავლის პერიოდში გათვალისწინებული ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა არ არის ეფექტიანი და საკმარისი ქართულად დამოუკიდებლად მეტყველებისთვის,

რეკომენდაციები

საქართველოს თავდაცვის მინისტრს:

- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო

[1161] თავდაცვის ძალების წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური ანაზღაურება 2023 წელს 100 ლარიდან 200 ლარამდე, ხოლო 2024 წელს 200 ლარიდან 400 ლარამდე გაიზარდა.

[1162] თავდაცვის კოდექსი, მუხლი 32-სამხედრო მოსამსახურის უფლება და პრივილეგია.

[1163] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, თბილისი, 2021, გვ. 419.

[1164] თავდაცვის კოდექსი, მუხლი 111 - სამხედრო განათლების მიზანია საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება.

მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება, ასევე, კოლექტიური დასჯის პრაქტიკა და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;

- უზრუნველყოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირება შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე; ამ მიზნით, სამხედრო ნაწილის იურისტის უფლება-მოვალეობებში მკაფიოდ გაიწეროს და დაევალოს, არანაკლებ თვეში ერთხელ ჩაატაროს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სამხედრო მოსამსახურეებთან; ასევე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე) შექმნილი ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედრო მოსამსახურეებს და გამოეკრას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში;
- თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები, აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; ყველა სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოს ინდივიდუალური ინვენტარით;
- თავდაცვის ძალების სტრუქტურაში შემავალი სამხედრო ნაწილების მეთაურებს (შესაბამისი თანამდებობის პირებს) დაევალოთ, უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოების კურსის გავლა არსებული სტანდარტის[1165] მოთხოვნათა შესაბამისად;
- 2024 წელს თავდაცვის ძალებში შეივსოს სამედიცინო ნაწილებსა და ლაზარეთებში არსებული ყველა ვაკანტური ადგილი, ამასთანავე, გაგრძელდეს მუშაობა სამედიცინო პერსონალის დასაინტერესებლად და მოსაზიდად;

- 2024 წელს, კალენდარული წლის ბოლომდე, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს სამხედრო ნაწილებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 50%;
- სამხედრო ნაწილებში არსებული სამედიცინო პუნქტების/ლაზარეთების საპროცედურო ოთახებში მოეწყოს ხელსაბანი;
- თავდაცვის ძალებში ჩარიცხულ პირად შემადგენლობაზე გავრცელდეს კანონმდებლობით[1166] დადგენილი შეღავათები ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯების გადახდისას;
- დაჩქარებული წესით, ხელშეკრულებით დაიქირაოს თარჯიმნები, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 3 ნოემბრის №1954 განკარგულების შესაბამისად.

[1165] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს №519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 113.
[1166] თავდაცვის კოდექსი, მუხლი 32 - სამხედრო მოსამსახურის უფლება და პრივილეგია.

29.ადამიანის უფლებათა სწავლება

29.1.შესავალი

2023 წელს განათლების მიმართულებით მთავარ გამოწვევად პოლიტიკის დოკუმენტებში ადამიანის უფლებათა საკითხების ფრაგმენტული ინტეგრირება რჩება.[1167] ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ადამიანის უფლებათა სწავლების გაფართოებისკენ მიმართული აქტივობები მხოლოდ ზოგადი განათლების სისტემას მიემართება.[1168]

ეს მიდგომა გაურკვეველს ტოვებს სახელმწიფოს ხედვას ფორმალური განათლების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა სწავლების თაობაზე. ამ თვალსაზრისით ზოგად

[1167] შეად. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2022, 335.

[1168] „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №528 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მიზანი 13, პრიორიტეტები 13.1.1.-13.1.6.

განათლებაში სტაბილური პროგრესია, ხოლო პროფესიულ და სკოლამდელ საფეხურზე ადამიანის უფლებათა სწავლების სათანადო ინტეგრირება მზარდი გამოწვევაა.

გასული წლის მსგავსად, დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან სახალხო დამცველის აპარატის მიერ ნომინირებული ადამიანის უფლებათა ექსპერტების ჩართვა სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში. აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა პროცესში ჩართულ 84 დაინტერესებულ რეცენზენტს ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ ტრენინგი ჩაუტარეს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე, ბავშვთა უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, დისკრიმინაციის აკრძალვის არსსა და მნიშვნელობაზე.

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის 1324 საგანმანათლებლო შეხვედრა ჩაატარეს. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მანდატის ფარგლებში, ბავშვის უფლებებს დაეთმო 360, გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებს 299, ხოლო თანასწორობის უფლებას 71 შეხვედრა. განსაკუთრებული აქტიურობით მიმდინარეობდა რეგიონებში მოსახლეობასა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან რეგიონული წარმომადგენლების შეხვედრები, სადაც 1051 საგანმანათლებლო და საინფორმაციო შეხვედრა შედგა, მათ შორის, მოწყვლად ჯგუფებთან.

29.2. ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა

2023 წელს დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგია, რომელიც ადამიანის უფლებათა სწავლებას სტრატეგიულ პრიორიტეტად არ გამოყოფს.[1169] თუმცა, სამოქმედო გეგმის თანახმად, ზოგადი განათლების სისტემის ყველა საფეხურზე ადამიანის უფლებათა სწავლებისკენ მიმართული აქტივობები განათლების ხელმისაწვდომობის ფარგლებშია მოცემული.[1170] ამავე დროს, დოკუმენტი არაფორმალური განათლების აქტივობების მეშვეობით ითვალისწინებს თანასწორობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებას.[1171] თუმცა, სამოქმედო გეგმაში ყურადღება არ მახვილდება ფორმალური განათლების სხვა საფეხურებზე ადამიანის უფლებათა სწავლების ინტეგრირებასა და განვითარებაზე.[1172]

[1169] „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)" დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 23 მარტის 2663-XIმს-Xმპ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი.

[1170] „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №528 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მიზანი 13, პრიორიტეტები 13.1.1.-13.1.6.

[1171] იქვე, პრიორიტეტი 3.

[1172] იქვე, მიზანი 13.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტს კვლავ არ მიუღია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტები.[1173]

29.3. სკოლამდელი განათლება

29.3.1. ადამიანის უფლებები აღმზრდელის საგანმანათლებლო პროგრამებში

2023 წელს სახალხო დამცველმა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში ადამიანის უფლებათა/ბავშვის უფლებათა შესახებ ცოდნის ინტეგრირების დონე შეაფასა.[1174]

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თანახმად, ბავშვის განათლებაში ჩართული პირები აუცილებელია ფლობდნენ ინფორმაციას ბავშვის უფლებების თაობაზე.[1175] მეტიც, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნა პროფესიული განათლების პროგრამებზეც უნდა დანერგოს და უზრუნველყოს ამ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის უფლებრივ საკითხებზე სისტემური ტრენინგების ჩატარება.[1176]

ამ სტანდარტების საფუძველზე ჩარჩო დოკუმენტის შეფასებამ ცხადყო, რომ იგი არ მოიცავს მოდულს, რომლითაც პროფესიული სტუდენტები ადამიანის უფლებების, ბავშვის უფლებების ან დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ მიიღებენ შინაარსობრივ ცოდნას.[1177] ამ პროგრამის განმახორციელებელი საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციით, უმრავლეს შემთხვევაში, პროგრამის წარმართვაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებს არ გაუვლიათ ტრენინგები

[1173]ნორმატიული აქტები არ შეუმუშავებიათ დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა დაიწყო აქტების პროექტების შემუშავებაზე მუშაობა.

[1174]„აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის 192/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი; საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 05 სექტემბრის 17-1/8855 წინადადება.

[1175] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 7 (2005): Implementing Child Rights in Early Childhood, 20 September 2006, CRC/C/GC/7/Rev.1, პარ. 41, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/t20m9t > [ბოლოს ნანახია 30/12/2023; UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, პარ. 18, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/4q2fy4 > [ბოლოს ნანახია 30/12/2023].

[1176] Recommendation CM/Rec(2010)7 of the Committee of Ministers to Member States on the Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education Adopted on 11 May 2010 პარ. 9, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/exb7vp > [ბოლოს ნანახია 30/12/2023];

[1177] „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის 192/ნ პირველი მუხლით დამტკიცებული დოკუმენტის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

ადამიანის უფლებათა საკითხებში.[1178] მათთვის ადამიანის უფლებათა საკითხებზე ტრენინგების ჩატარება ასევე არ არის სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილი.[1179]

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ „...აღმზრდელის დამხმარე როლის მიუხედავად, მისი განათლების პროგრამაში ადამიანის უფლებათა შესახებ, ბავშვის უფლებების თაობაზე განსაკუთრებით აქცენტირებული მოდულის ინტეგრირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია".[1180] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის წინადადება ამ მიმართულებით, სამინისტრომ გაიზიარა და ჩარჩო დოკუმენტში შესაბამისი ცვლილების შეტანას გეგმავს.[1181]

29.3.2. ადამიანის უფლებათა განგრძობადი ტრენინგები საგანმანათლებლო პერსონალისთვის

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერსონალისთვის უფლებრივ საკითხებში სისტემური ტრენინგების ჩატარება აუცილებელია.[1182] საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში პერსონალისთვის ადამიანის უფლებათა შესახებ ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა შეისწავლა.[1183]

აღმოჩნდა, რომ 2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა უფლებრივ თემატიკაზე ტრენინგები მხოლოდ 21 მუნიციპალიტეტში დასაქმებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პერსონალს ჩაუტარდა.[1184] ამავე დროს, მუნიციპალიტეტებს ჯერაც არ შეუქმნიათ შინაარსობრივი, ან მეთოდოლოგიური რესურსი ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის.[1185]

ამდენად, ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად, ნათელია, რომ საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება არსებითი გამოწვევაა.[1186]

29.4. ზოგადი განათლება

29.4.1. VIII კლასში საგნის, „მოქალაქეობა", სწავლება

[1178] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 5 სექტემბრის 17-1/8855 წინადადება, 2.

[1179] საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 9 იანვრის 219/24 წერილი.

[1180] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 5 სექტემბრის 17-1/8855 წინადადება, 4.

[1181] საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 25 ოქტომბრის 12922/23 წერილი.

[1182] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 7 (2005): Implementing Child Rights in Early Childhood, 20 September 2006, CRC/C/GC/7/Rev.1, პარა. 33, 41.

[1183] „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[1184] მუნიციპალიტეტების წერილები: 354/24, 580/24, 544/24, 512/24, 427/24, 415/24, 283/24, 602/24, 599/24, 647/24, 663/24, 1069/24, 1109/24, 1173/24, 1449/24.

[1185] იქვე; ასევე იხ. წერილები 1291/24, 1110/24, 671/24 685/24 802/24 809/24 926/24 936/24, 979/24, 1050/24, 1054/24, 1222/24, 597/24, 594/24, 622/24, 579/24, 548/24, 438/24, 339/24, 340/24, 310/24, 293/24, 277/24, 1637/24, 1629/24.

[1186] ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს მიმართ ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან. 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

სახალხო დამცველმა, VIII კლასის მოსწავლეთათვის საგნის, „მოქალაქეობა“, სწავლებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი საათობრივი დატვირთვის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობა შეაფასა.[1187] სხვა კლასის მოსწავლეებისგან განსხვავებით, მერვე კლასის ორივე სემესტრში ამ საგნის სწავლებას ყოველკვირეულად მხოლოდ ერთი საათი ეთმობა.[1188]

„მოქალაქეობას“ სწავლების ევროპული გამოცდილებისა და ქართული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცელი მიიჩნევს, რომ მერვე კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ყოველკვირეული საათობრივი ბადე არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს ამ საგნის სწავლების მიზნების მიღწევას.[1189] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა სწავლების უწყვეტობა უმნიშვნელოვანესია და ეს პრინციპი საგნის სათანადო საათობრივი დატვირთვით სწავლებაზეც ვრცელდება.[1190]

საგულისხმოა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების თანახმად, საათობრივი ბადის დადგენა მთლიანად სკოლის უფლებამოსილება გახდა, სახელმწიფო მხოლოდ სარეკომენდაციო ბადეს ადგენს.[1191] სკოლებს ეს უფლებამოსილება ამ ცვლილებებამდეც ჰქონდათ, მაგრამ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ბადეს მიჰყვებოდნენ.[1192] ამდენად, მნიშვნელოვანია, მერვე კლასში საგნის, „მოქალაქეობა“, სწავლებისთვის გაიზარდოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სარეკომენდაციო საათობრივი დატვირთვა.

29.4.2. სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების რეცენზირების პროცესი

სახალხო დამცველის აპარატსა და განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში 2019 წლიდან ჩამოყალიბებული თანამშრომლობა 2023 წელსაც გაგრძელდა.[1193]

[1187] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 11 აგვისტოს 17-1/7976 წინადადება.

[1188] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 56-ე მუხლის 2^1 პუნქტი [2023 წლის 17 მარტის მდგომარეობით]; 2023 წლის 17 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებებით ეს მოცემულობა არ შეცვლილა. იხ. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი [2023 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით].

[1189] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 11 აგვისტოს 17-1/7976 წინადადება, გვ. 5.

[1190] შეად. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019, გვ. 314.

[1191] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის მერვე პუნქტი [2023 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით].

[1192] იქვე, 56-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი ქვეპუნქტი [2023 წლის 17 მარტის მდგომარეობით]; 2023 წლის 7 აგვისტოს 4191-23 ოქმის დანართი; 2023 წლის 7 აგვისტოს 4189-23 ოქმი.

[1193] საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 26 იანვრის 765/23 წერილი.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 7 თებერვლის 17-1/1286 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის პირველი ნოემბრის 17-1/10739 წინადადება.

რეცენზირების პროცესის ცალკეული მიმართულებით გამოკვეთილი დადებითი ტენდენციების მიუხედავად, გამოწვევად რჩება რეცენზენტთა დაბალი ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა შესახებ ტრენინგებზე.[1194] რეცენზენტებს უფლებრივ თემატიკაზე ერთი ტრენინგი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ჩაუტარეს.[1195] სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სახელმწიფოს კვლავ არ შეუმუშავებია რეცენზენტთათვის სავალდებულოდ გასავლელი ტრენინგ-პროგრამა.[1196] ამ კონტექსტში კვლავ პრობლემურია რეცენზენტთა შერჩევის კრიტერიუმებში ადამიანის უფლებებთან თავსებადი ღირებულებების მოთხოვნის არარსებობაც.[1197]

შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში განმცხადებელთა საჩივრების განსახილველად, მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, სააპელაციო კომისია იქმნება.[1198] საჩივრის განხილვის ფარგლებში, კომისია უფლებამოსილია გასაჩივრებული კრიტერიუმის თაობაზე გასცეს ახალი რეკომენდაცია, შეცვალოს რეცენზენტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შინაარსი, ან უცვლელად დატოვოს ისინი.[1199]

გასული წლების მსგავსად, სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს ამ ორგანოს დაკომპლექტებისა და საქმიანობის პრობლემურ პრაქტიკაზე.[1200] კომისიის წევრები საანგარიშო პერიოდშიც სამინისტროს ადმინისტრაციული თანამდებობის პირები და სკოლის დირექტორები იყვნენ.[1201] ამავე დროს, კომისიის გადაწყვეტილებები კვლავ დაუსაბუთებლად, ფაქტებისა და სამართლებრივი ინტერპრეტაციის შესახებ ყოველგვარი მსჯელობის გარეშე მიიღება.[1202] ამგვარი პრაქტიკა საფრთხეს უქმნის სასკოლო სივრცეში

[1194] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი.

[1195] იქვე.

[1196] იქვე; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2022, 338.

[1197] საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი.

[1198] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ქ" ქვეპუნქტი.

[1199] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის №582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 25 მაისის MES 3 23 0000602131 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მეორე პუნქტის 'ბ.ა'-'ბ.გ' ქვეპუნქტები.

[1200] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2022, 339.

[1201] „ფიზიკური ან იურიდიული პირის/პირთა (რომელიც/რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს/წარუდგენენ გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) საჩივრების მიღებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ" 2023 წლის 18 მაისის MES 1 23 0000563070 ბრძანება.

[1202] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის პირველი ნოემბრის 17-1/10739 წინადადება გვ. 10; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2022, 339.

ადამიანის უფლებებთან თავსებადი სავალდებულო სასწავლო მასალის დანერგვას და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.[1203]

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში, საჩივრის განხილვისას ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე რეცენზენტები ყველა შემთხვევაში იყვნენ მიწვეულები სააპელაციო კომისიის სხდომაზე,[1204] თუმცა, მათი პოზიციები კვლავ არ ასახულა სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებაში.[1205] ამ ჭრილში, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას კომისიის შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა ექსპერტის ყოფნის მნიშვნელობაზე, რადგან სხდომაზე მოწვეულ რეცენზენტებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ აქვთ.[1206] სამინისტროს პოზიციის თანახმად, სახალხო დამცველის წინადადებები მომდევნო გრიფირების პროცესის დაგეგმვისას განიხილება.[1207]

29.4.3. სასკოლო სახელმძღვანელოების შეთანხმების რეგულირების საკითხი

გრიფირებული მასალების პარალელურად, ან მათ ნაცვლად, სკოლა ვალდებულია სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით ასწავლოს.[1208] 2023 წელს დამტკიცებული სახელმძღვანელოების სამინისტროსთან შეთანხმების წესი[1209] გამოკვეთილად არ მიუთითებს, რომ შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის ერთი წევრი, მასწავლებელთან, დარგის მეცნიერთან, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტთან და ფსიქოლოგთან ერთად, ადამიანის უფლებათა ექსპერტიც იქნება.[1210] საგულისხმოა, რომ წესი რეცენზირების მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩოს მსგავსად, ჯგუფის ერთ-ერთ წევრად „სხვა სპეციალისტს" ადგენს.[1211] შეთანხმების წესი უშვებს საგნობრივი ჯგუფის „სხვა სპეციალისტის" გარეშე დაკომპლექტების შესაძლებლობას.[1212]

აუცილებელია, რომ სახელმძღვანელოს შეთანხმების შინაარსობრივი კრიტერიუმების დამტკიცებისას, სამინისტრომ, რეცენზირების რეგულირების მსგავსად, უზრუნველყოს

[1203] იქვე.
[1204] საქართველოს განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი.
[1205] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის პირველი ნოემბრის 17-1/10739 წინადადება, გვ. 10;
[1206] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მესამე პუნქტი.
[1207] საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 24 ნოემბრის 14169/23 წერილი.
[1208] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.
[1209] „სახელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 17 ნოემბრის MES 0 23 0001573130 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი.
[1210] იქვე, მეორე მუხლის „ი" ქვეპუნქტი.
[1211] იქვე.
[1212] „სახელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 17 ნოემბრის MES 0 23 0001573130 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

მასში ადამიანის უფლებათა კრიტერიუმების ინტეგრირება.[1213] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების რეალიზებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ყველა შესათანხმებელი სახელმძღვანელო შეფასდეს ადამიანის უფლებებთან მიმართებით.

ამავე დროს, წესის თანახმად, საგნობრივი ჯგუფი სახელმძღვანელოს შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს.[1214] ამდენად, საგნობრივი ჯგუფის წევრთა შერჩევისას აუცილებელია კანდიდატის ღირებულებათა, ადამიანის უფლებებთან თავსებადობის გათვალისწინება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ჯგუფის წევრებს საქმიანობის დაწყებამდე უტარდებოდეთ საჭიროებაზე დაფუძნებული სავალდებულო ტრენინგი ადამიანის უფლებებში.[1215]

29.5. უმაღლესი განათლება

2023 წელს სახალხო დამცველმა მასწავლებლის განათლების, მასწავლებლის მომზადების და მედიცინის პროგრამების დარგობრივ მახასიათებლებში ადამიანის უფლებათა ინტეგრირების დონე შეაფასა. შერჩეული პროგრამები რეგულირებადია და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები აკრედიტაციისას აუცილებლად გასათვალისწინებელი.[1216]

29.5.1. მასწავლებლის განათლების პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები

მასწავლებლის განათლებისა და მომზადების პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ დოკუმენტებში ადამიანის უფლებათა კომპონენტი არ არის ინტეგრირებული.[1217] გაეროსა და ევროპის საბჭოს ფარგლებში განვითარებული სტანდარტები ცალსახად მოითხოვს მასწავლებლისთვის ადამიანის

[1213] ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 16 იანვრის MES 6 23 0000032029 ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართი, რეცენზენტთა ფუნქციური დატვირთვა, კრიტერიუმი 7.1.-7.3, 7.5-7.6.

[1214] იქვე, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1215] შეად. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის პირველი ნოემბრის 17-1/10739 წინადადება, გვ. 6.

[1216] „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის 65/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-18 მუხლი; „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[1217]„მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის №8 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი; „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 ივლისის №622/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის MES 4 20 0001231866 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი.

უფლებათა შესახებ ცოდნის განგრძობად მიწოდებას.[1218] ეს მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებათა და განათლების უფლების მიზნების რეალიზებისთვის.[1219]

სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს მასწავლებლის განათლების პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების განახლებას იმგვარად, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნა და სასწავლო აქტივობების მათ საფუძველზე დაგეგმვა, სწავლის შედეგებად განისაზღვროს.

29.5.2. მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დარგობრივი ცოდნის ნაწილში ადამიანის უფლებები ფრაგმენტულადაა ინტეგრირებული.[1220] დოკუმენტის ამ კომპონენტში მოცემულია მხოლოდ შშმ პირთა უფლებები და პაციენტთა უფლებები.[1221] მეტიც, დარგობრივი ცოდნის ერთ-ერთ შედეგად მითითებულია დისკრიმინაციული ტერმინი - „უნარშეზღუდული".[1222]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამედიცინო პროფესია ინტენსიურად მიემართება ადამიანის უფლებათა საკმაოდ ფართო სპექტრს.[1223] ამდენად, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კრიტიკულად აუცილებელია ამ პროგრამის სტუდენტებისთვის ადამიანის უფლებათა შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება და გარანტირება დარგობრივი მახასიათებლის მეშვეობით.[1224]

[1218] Recommendation CM/Rec(2010)7 of the Committee of Ministers to Member States on the Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education Adopted on 11 May 2010, პარა. 9, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/exb7vp > [ბოლოს ნანახია 30/12/2023]; UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, პარა. 18, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/4q2fy4> [ბოლოს ნანახია 30/12/2023].

[1219] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, პარა. 18, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/4q2fy4 > [ბოლოს ნანახია 30/12/2023].

[1220] „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №225 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის MES 4 22 0001465694 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი, გვ. 10, 11, 16.

[1221] იქვე, გვ. 11.

[1222] იქვე, გვ. 15; ასევე იხ. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის - სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში 2017, გვ. 6-7; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

[1223] იხ. Right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, adopted on 19 July 2019, A/74/174 para. 30, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3BUzMHP > [ბოლოს ნანახია 29/12/2023]; CESCR, General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health, Adopted on 11 August 2000 para. 13 (d), ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Olswfj > [ბოლოს ნანახია 29/12/2023]; შეად. „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის VIII თავი; „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი 48-ე, 49-ე მუხლები.

[1224] იხ. Right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, adopted on 19 July 2019, A/74/174 para. 30, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3BUzMHP < [ბოლოს ნანახია 29/12/2023].

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლიდან დისკრიმინაციული ტერმინი ჩანაცვლდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირით.[1225] ამავე დროს, სახალხო დამცველის შეფასებით, აუცილებელია, რომ დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ შშმ პირთა უფლებებსა და პაციენტთა უფლებებს დაემატოს ბავშვთა უფლებები ადამიანის უფლებათა სამართლის ზოგად საწყისებთან ერთად.[1226]

რეკომენდაციები

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში, საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სააპელაციო კომისიის ერთ-ერთ წევრად, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით, განისაზღვროს ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე ექსპერტი;
- სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში, უზრუნველყოს საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთება, რაც, მათ შორის, მოიაზრებს კომისიის მიერ სხდომაზე მოწვეული პირის, ან პირების პოზიციის გადაწყვეტილებაში აღწერასა და მათზე დასკვნების დასაბუთებასაც;
- სასკოლო სახელმძღვანელოს შეთანხმების პროცესში უზრუნველყოს:
  - სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივ კრიტერიუმებში ადამიანის უფლებებთან მასალის თავსებადობის შესაფასებლად ინდიკატორების გაწერა;
  - შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის „სხვა სპეციალისტი"-სთვის ადამიანის უფლებათა ჭრილში მასალის შემოწმების ფუნქციის დაკისრება;
  - ადამიანის უფლებათა საკითხებზე განგრძობადი, სავალდებულო ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და ჩატარება შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრისთვის.

სსიპ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- შევიდეს ცვლილება „„მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის №8 ბრძანებითა და „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 ივლისის №622/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის MES 4 20 0001231866 ბრძანების დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებლებში და განისაზღვროს შემდეგი: პროგრამის დასრულების შემდეგ, პირმა იცის ადამიანის უფლებათა

[1225] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მიღებული 2006 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს მიმართ ძალაშია 2014 წლის 13 მარტიდან, მუხლი 1.
[1226] შეად. „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის VIII თავი; „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი, 48-ე, 49-ე მუხლები.

ზოგადი არსი და სტანდარტები. მას შეუძლია საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებით;

- შევიდეს ცვლილება „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №225 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის MES 4 22 0001465694 ბრძანებით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელში, კერძოდ:
    - ტერმინი „უნარშეზღუდული"ჩანაცვლდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირით;
    - დარგობრივი ცოდნის კომპონენტს დაემატოს ბავშვის უფლებების სტანდარტები და ადამიანის უფლებათა სამართალი.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტების მერიებმა და საკრებულოებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები;
- ყველა მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა შესახებ თემატური ტრენინგების ჩატარება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო პერსონალისთვის;
- ყველა მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი რესურსების შემუშავება-გავრცელებას.

30.2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობა

30.1.ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე თავში განხილულია სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახელმწიფო უწყებების მიმართ გაცემული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობა. სახალხო დამცველი საჯარო უწყებებს ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით აწვდის კონკრეტულ რეკომენდაციებს, ხოლო პრეზიდენტსა და პარლამენტს - წინადადებებს. ეს რეკომენდაციები და წინადადებები შემუშავებულია ადამიანის უფლებათა კონკრეტულ სფეროებზე ზედამხედველობის შედეგად[1227] და მიზნად ისახავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას. სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულება, გარდა იმისა, რომ დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე, ხელს შეუწყობს ქვეყნის ინტეგრაციას ევროპის კავშირში, რომლისკენაც შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ყველა კონსტიტუციური ორგანოს ვალდებულებაა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის საფუძველზე.[1228]

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობების ორგანოებს ჯამში 281 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს 63 წინადადებით მიმართა.[1229] 281 რეკომენდაციიდან 263 სახელმწიფო ორგანოებს მიემართებოდა,[1230] 17 მხოლოდ მუნიციპალურ ორგანოებს, ხოლო 1 რეკომენდაცია საჯარო უწყებათა ყველა თანამდებობის პირის მიმართ გაიცა.

სახელმწიფო ორგანოების მიმართ გაცემული 263 რეკომენდაციის შესრულების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:

	რაოდენობრივი მაჩვენებელი	**პროცენტული მაჩვენებელი**	**პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება გასულ წელთან შედარებით**
სრულად შესრულდა	29	11%	1% (კლება)
ნაწილობრივ შესრულდა	52	19,8%	3,4% (კლება)

[1227] საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველის მანდატია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა.
[1228] ევროკომისია საქართველოში ადმინისტრაციულ ორგანოთა ანგარიშვალდებულობის შეფასებისას დაეყრდნო გასული წლის საპარლამენტო ანგარიშის წინამდებარე თავში მოცემულ სტატისტიკურ ინფორმაციას. ევროპული კომისია, 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაცია, 2023. გვ. 19. < https://shorturl.at/bjqvW > [21.03.2024].
[1229] საქართველოს პარლამენტს მიემართებოდა 62 წინადადება, ხოლო პრეზიდენტს - 1.
[1230] მათ შორის, 1 რეკომენდაცია გაიცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, ხოლო 1 რეკომენდაცია ფსიქიატრიული დაწესებულებების დირექტორების მიმართ.

არ შესრულდა	138	52,5%	2,2% (კლება)
უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა	17	6,5%	3,6% (ზრდა)
ობიექტური მიზეზით შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა[1231]	27	10,3%	3,5% (ზრდა)

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის სტატისტიკური მაჩვენებელი 2020 წლიდან დღემდე შემდეგნაირად გამოიყურება:

[1231] ასეთი კატეგორიის რეკომენდაციები ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეფასდა, ეს ცალკეულ შემთხვევებში გამოწვეული იყო რეკომენდაციის რელევანტურობის დაკარგვის, სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის უქონლობის ან სხვა საფუძვლით.



ზემოთ მითითებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაციების შესრულების ზოგადი მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მეტიც, გრძელდება სრულად შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებლის კლების ტენდენცია - წელს ეს მაჩვენებელი 1%-ით შემცირდა და 11% შეადგინა. 3,4%-ით შემცირებულია ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებლებიც. თუმცა, დადებითად აღსანიშნავია, რომ შენარჩუნდა იმ რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია, რომელიც არ შესრულდა და 2023 წლის ანგარიშის მონაცემებისთვის შეადგინა 52,5%.

სახელმწიფო უწყებათა მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა უფლებრივი კუთხით, შემდეგნაირად გამოიყურება:

უფლებათა კატეგორია	**სრულად შესრულდა**	**ნაწილობრივ შესრულდა**	**არ შესრულდა**	**ვერ შეფასდა**[1232]	**გაცემული რეკომენდაციების ჯამი**
წამების აკრძალვა და	8%	13%	61%	18%	135

[1232] ეს შეიძლება ყოფილიყო ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ან ობიექტური გარემოებებით.

სიცოცხლის უფლება[1233]					
სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები[1234]	16%	32%	34%	18%	46
ეთნიკური და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები[1235]	15%	55%	15%	15%	26
შშმ პირთა უფლებები	0	63%	26%	11%	19
თანასწორობის უფლება[1236]	14%	36%	43%	7%	14

[1233] ამ კატეგორიაში შედის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა საპარლამენტო ანგარიშის შემდეგ თავებში: ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში; თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება; სიცოცხლის უფლება და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება.

[1234] ამ კატეგორიაში შედის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა საპარლამენტო ანგარიშის შემდეგ თავებში: გამოხატვის თავისუფლება; გარემოს დაცვის უფლება; ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა; თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა; ინფორმაციის თავისუფლება; იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; საკუთრების უფლება; სოციალური უზრუნველყოფის უფლება; უფლებადამცველები; შრომის უფლება; ხანდაზმულთა უფლებები და ჯანმრთელობის უფლება; სათანადო საცხოვრებლის უფლება და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა.

[1235] ამ კატეგორიაში შედის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა საპარლამენტო ანგარიშის შემდეგ თავებში: ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია და რწმენისა და რელიგიის თავისუფლება.

[1236] ამ კატეგორიაში შედის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა საპარლამენტო ანგარიშის შემდეგ თავებში: თანასწორობის უფლება და გენდერული თანასწორობა.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა	0	50%	25%	25%	12
სამართლიანი სასამართლოს უფლება	33%	0	67%	0	6
ადამიანის უფლებათა სწავლება	0	0	100%	0	5

რაც შეეხება 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიმართ გაცემული წინადადებების შესრულების მდგომარეობას, პრეზიდენტის მიმართ გაცემული 1 წინადადება სრულად შესრულდა, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს მიმართ გაცემული 63 წინადადებიდან 47 არ შესრულდა, 4 ნაწილობრივ, ხოლო 12 - სრულად შესრულდა.

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა იმ სახელმწიფო უწყებების მხრიდან, რომელთა მიმართ სახალხო დამცველმა ყველაზე მეტი რეკომენდაცია გასცა

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშით საქართველოს სახალხო დამცველმა ყველაზე მეტი რეკომენდაციით შემდეგ სახელმწიფო უწყებებს მიმართა:[1237]

	სახელმწიფო უწყება	**რეკომენდაციების რაოდენობა**
1.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (ჯანდაცვის) მინისტრი	70
2.	საქართველოს იუსტიციის მინისტრი	56
3.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	39

[1237] ამ სტატისტიკაში მოიაზრებიან უწყების კონტროლქვეშ არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც.

4.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი	30
5.	საქართველოს მთავრობა	25

ცხრილში ჩამოთვლილ საჯარო უწყებებს შორის რეკომენდაციების შესრულების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს იუსტიციის მინისტრს, ხოლო ყველაზე მაღალი - განათლების მინისტრს. კერძოდ, 2023 წლის განმავლობაში, იუსტიციის მინისტრმა გაცემული რეკომენდაციების დაახლოებით 14% შეასრულა სრულად ან ნაწილობრივ, ხოლო განათლების მინისტრმა შეასრულა გაცემული რეკომენდაციების 57%. დანარჩენი 3 უწყების მიმართ გაცემული რეკომენდაციების ნაწილობრივ ან სრულად შესრულებული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: შინაგან საქმეთა მინისტრი - 31%; საქართველოს მთავრობა - 28%; ხოლო ჯანდაცვის მინისტრი - 24%.

ზემოაღნიშნული სახელმწიფო უწყებების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება



30.2.სახელმწიფო უწყებების მონაცემები დეტალურად

30.2.1.საქართველოს მთავრობა

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაიცა 25 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 6

არ შესრულდა: 18

30.2.2.საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 39 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 9

ნაწილობრივ შესრულდა: 4

არ შესრულდა: 18

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 3

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 5

30.2.3.საქართველოს იუსტიციის მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 56 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 7

არ შესრულდა: 30

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 6

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 12

30.2.4.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი[1238]

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 70 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 5

ნაწილობრივ შესრულდა: 12

არ შესრულდა: 45

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 6

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 2

30.2.5.საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი[1239]

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 30 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 3

ნაწილობრივ შესრულდა: 14

არ შესრულდა: 10

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 3

[1238] ამ ქვეთავში დამატებით გაერთიანებულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლქვეშ არსებული შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

1. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;
2. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;
3. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური;
4. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო;
5. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო.

[1239] ამ ქვეთავში დამატებით გაერთიანებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონტროლქვეშ არსებული - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

30.2.6.საქართველოს თავდაცვის მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 9 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 2

არ შესრულდა: 2

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 4

30.2.7.საქართველოს გენერალური პროკურორი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში გენერალური პროკურორის მიმართ გაიცა 3 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 1

არ შესრულდა: 1

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 1

30.2.8.საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში სამსახურის მიმართ გაიცა 3 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 1

არ შესრულდა: 1

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 1

30.2.9.საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 1 რეკომენდაცია, რომელიც ნაწილობრივ შესრულდა. კონკრეტულად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ეს რეკომენდაცია შეასრულა, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრომ არა.

30.2.10.საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 1 რეკომენდაცია, რომელიც არ შესრულდა.

30.2.11.საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 1 რეკომენდაცია, რომელიც არ შესრულდა.

30.2.12.საქართველოს განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრები

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრების მიმართ გაიცა 1 რეკომენდაცია, რომელიც არ შესრულებულა.

30.2.13.საქართველოს იუსტიციის მინისტრი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 1 ერთობლივი რეკომენდაცია, რომელიც არ შესრულებულა.

30.2.14.საქართველოს მთავრობა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 2 ერთობლივი რეკომენდაცია, რომლებიც სრულად შესრულდა.

30.2.15.საქართველოს იუსტიციის მინისტრი და სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 1 ერთობლივი რეკომენდაცია, რომელიც უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა.

30.2.16,საქართველოს გენერალურ პროკურორი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 5 ერთობლივი რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 2

არ შესრულდა: 2

30.2.17.საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაიცა 6 რეკომენდაცია, რომელთაგანაც არცერთი არ შესრულებულა.

30.2.18.საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაცემულია 2 რეკომენდაცია, რომელთაგანაც 1 - სრულად, ხოლო 1 ნაწილობრივ შესრულდა.

30.2.19.გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 1 ერთობლივი რეკომენდაცია, რომლებიც სრულად შესრულდა.

30.2.20.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 1 რეკომენდაცია, რომელიც სრულად შესრულდა.

30.2.21.ფსიქიატრიული დაწესებულებების დირექტორები

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში ფსიქიატრიული დაწესებულებების დირექტორების მიმართ გაიცა 2 რეკომენდაცია, რომელთაგანაც ერთი ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო ერთი არ შესრულდა.

30.2.22.სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში ბიუროს მიმართ გაიცა 2 რეკომენდაცია, აქედან ერთი შესრულდა და ერთი არ შესრულდა.

30.2.23.სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 1 რეკომენდაცია, რომელიც ნაწილობრივ შესრულდა.

30.3.წლების განმავლობაში პარლამენტის დადგენილებით გაცემული განმეორებადი რეკომენდაციები/დავალებები

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე მიღებული დადგენილებით, აფასებს სახალხო დამცველის ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად დავალებებს აძლევს სახელმწიფო უწყებებს. პარლამენტის მიერ დავალებების მიცემა საპარლამენტო

ზედამხედველობის ქვეშ აქცევს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. ამ მიზნით უწყებების მიერ პარლამენტის დავალებების შესრულების მონიტორინგს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მიერ გაცემული დავალებები პარლამენტის მიმართ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი საჯარო უწყებებისა და თანამდებობის პირებისთვის შესასრულებლად სავალდებულოა, **სამწუხაროდ, წლიდან წლამდე არაერთი დავალება რჩება ადრესატი უწყებების მხრიდან შეუსრულებელი.**

ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს რომ სახალხო დამცველი უკვე არაერთი წელია სპეციალური ანგარიშების სახით საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას პარლამენტის დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.[1240] საყურადღებოა, რომ პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების შეფასებისას სახალხო დამცველისა და პარლამენტის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია ერთმანეთისგან განსხვავებულია. შედეგად, განსხვავდება სახალხო დამცველის და პარლამენტის მიერ კონკრეტული დავალებების შესრულების შეფასებაც. გამომდინარე აქედან, სახალხო დამცველის პოზიციით, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს საქართველოს პარლამენტისა და სახალხო დამცველის აპარატებს შორის კოორდინაცია, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნას დამატებითი სამუშაო ფორმატები, რათა შემუშავდეს ერთობლივი მეთოდოლოგია, რაც ხელს შეუწყობს დადგენილების აღსრულებაზე ზედამხედველობის მონიტორინგის გაძლიერებას.

სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს გააცნობიერონ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მნიშვნელობა, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს გააძლიეროს საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული მის ხელთ არსებული ყველა მაკონტროლებელი მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა.

საილუსტრაციოდ, ქვემოთ წარმოგიდგენთ გასული 3 წლის განმავლობაში[1241] სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფო უწყებების მიმართ საპარლამენტო ანგარიშებით გაცემული რეკომენდაციების სიას, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულად გაიზიარა პარლამენტმა და გასული სამი წლის პარლამენტის დადგენილებებით სავალდებულოდ შესასრულებელ დავალებებად გადასცა უწყებებს იმავე შინაარსით, **თუმცა წლების მანძილზე კვლავ შეუსრულებელია:**

[1240] ანგარიშები ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://www.ombudsman.ge/geo/220505041838angarishebi [22.03.2024].

[1241] ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში გამონაკლისია მხოლოდ ის რეკომენდაციები, რომლებიც შშმ პირთა უფლებათა შესახებ საპარლამენტო ანგარიშის თავიდან გაიცა. ეს რეკომენდაციები მხოლოდ გასული 2 წლის საპარლამენტო ანგარიშშია ასახული.

საქართველოს მთავრობას:

საპარლამენტო ანგარიშის თავი	სახალხო დამცველის რეკომენდაცია	პარლამენტის დავალება
ინფორმაციის თავისუფლება	მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილებები საჯარო ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო სტანდარტის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, გაითვალისწინოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი და დამოუკიდებელი საზედამხედველო მექანიზმის შექმნა	განაგრძოს მუშაობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტსა და თანამდევ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებზე
ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია	ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო უწყებებში დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად, შემუშავდეს ახალი დასაქმების პროგრამები	საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით შეიმუშაოს ახალი დასაქმების პროგრამები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად[1242]
ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია	აღმასრულებელი ხელისუფლებების დონეზე, შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობებისთვის	ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან ეროვნული უმცირესობებისთვის საკონსულტაციო მექანიზმების საქართველოს პარლამენტში შექმნის საკითხზე[1243]
გენდერული თანასწორობა	შემუშავდეს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც	შეიმუშაოს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი, და ეს პროგრამები

[1242] პარლამენტმა ამ დავალებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.
[1243] პარლამენტმა ამ დავალებით მიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს.

	გამოცემულია დამცავი ორდერი, ხოლო სავალდებულო გახდეს მსჯავრდებულებისთვის	მსჯავრდებულებისთვის სავალდებულო გახადოს
შშმ პირთა უფლებები	დამტკიცდეს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და სტანდარტი შშმ პირთა ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებგვერდებზე, მობილურ აპლიკაციებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ორივე დოკუმენტი შემუშავდეს შშმ პირთა/შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობით	დაამტკიცოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და სტანდარტი შშმ პირთათვის ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებების, ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ან ჩართოს ისინი სხვა, თემატურად დაკავშირებულ დოკუმენტში; უზრუნველყოს ამ დოკუმენტების შემუშავების პროცესში შშმ პირთა/შშმ პირთა უფლებების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა

<u>საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:</u>

საპარლამენტო ანგარიშის თავი	**რეკომენდაცია**	**დავალება**
ადამიანის უფლებათა სწავლება	შემუშავდეს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, შესაბამისი საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით	პოლიტიკის დოკუმენტებში ასახოს ადამიანის უფლებათა სწავლების კომპონენტები
ადამიანის უფლებათა სწავლება	სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების სააპელაციო კომისიის ერთ-ერთ წევრად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სრული უფლებამოსილებით,	გადახედოს სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების არსებულ პროცედურას და გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოს ყველა

	განისაზღვროს ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტი	ეტაპზე ადამიანის უფლებათა ექსპერტის ჩართულობა
ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია	საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად, დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება	განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები საქართველოს სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით წარმართვის უზრუნველსაყოფად
ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია	უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე, პედაგოგთა გადამზადება	უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე მასწავლებელთა გადამზადება
ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია	როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, გააძლიეროს სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები ქვეყნის ფარგლებს შიგნით	თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას

<u>საქართველოს იუსტიციის მინისტრს:</u>

საპარლამენტო ანგარიშის თავი	**რეკომენდაცია**	**დავალება**
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, კედლები და იატაკი მოპირკეთდეს რბილი მასალით	დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში შექმნას კიდევ უფრო უსაფრთხო გარემო, მათ შორის, კედლები და იატაკი რბილი მასალით მოაპირკეთოს
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	№17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის" ტიპის საცხოვრებლები	№17 პენიტენციურ დაწესებულებაში გააუქმოს ე. წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	პენიტენციურ დაწესებულებებში, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით	მაქსიმალურად ინტენსიურად გააგრძელოს მუშაობა პენიტენციურ დაწესებულებებში თითოეული ბრალდებულის 4 კვ.მ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველსაყოფად
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს	პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განსაზღვროს

	ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება: - შეაფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სტაციონარული მკურნალობა; - შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება	ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ	საჭიროების შემთხვევაში ყველა უცხოენოვანი პატიმარი უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და მარეგულირებელი ნორმების შესახებ
თავისუფლება და უსაფრთხოება	მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე	მსჯავრდებულთა სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	№2, №3, №6, №10, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად	№2, №3, №6, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღჭურვოს ვიდეოპაემნის

	აღიჭურვოს ვიდეოპაემნის ორგანიზებისთვის აუცილებელი ინფრასტუქტურით	ორგანიზებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი	დაადგინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა რაოდენობისა და პატიმართა რაოდენობის თანაფარდობის სტანდარტი და ამ სტანდარტის შესაბამისად დაგეგმოს ღონისძიებები პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის გადასაჭრელად
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სიღრმისეული კვლევის გზით შეისწავლოს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ინტეგრაციის საჭიროება
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან	პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი	შეიმუშაოს და დანერგოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება

დასჯის აკრძალვა და გამოძიება		ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები

<u>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი:</u>

საპარლამენტო ანგარიშის თავი	**რეკომენდაცია**	**დავალება**
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	თავშესაფრების დახურვამდე და სრულ დეინსტიტუციონალიზაციამდე, თავშესაფრებსა და საცხოვრისებში: - ნორმატიულ დონეზე გაიწეროს და დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი; - შემუშავდეს ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია; - ნორმატიულად განისაზღვროს ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება	ნორმატიულ დონეზე განსაზღვროს და დანერგოს გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის" მე-15 და მე-16 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან არიდებისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, სადაც ასევე იქნება გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური	ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, რომლითაც განისაზღვრება აგრეთვე ძალადობის

	დახმარების გაწევის ვალდებულება	მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტთა უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების ბიოფსიქოსოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და პრაქტიკაში დასანერგად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას	უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტის უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პერსონალის მიერ პაციენტისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის ბიოფსიქოსოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და მისი პრაქტიკაში დანერგვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	სამინისტრომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩაატაროს მონიტორინგი და გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტები, მათ შორის, ინექციებისა და მედიკამენტების, ძალით, ნების საწინააღმდეგოდ გაკეთება და აცნობოს საგამოძიებო ორგანოს	მონიტორინგის გზით გამოავლინოს და აღკვეთოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტების მიმართ დაწესებულებების პერსონალის ძალადობის (მათ შორის, ინექციების ძალით გაკეთებისა და მედიკამენტების ნების საწინააღმდეგოდ მიცემის) ფაქტები და ამის შესახებ აცნობოს საგამოძიებო ორგანოს
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების	შემუშავდეს და დაინერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული	შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული

შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იმისთვის, რათა დაწესებულებებმა მინიმუმადე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები და შესაბამისად, საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება	შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი დაწესებულებების მიერ სიტუაციის ესკალაციის რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად, რათა საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა, ასევე, ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდგომ სტატუსის გადასინჯვის საკითხი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში	მონიტორინგის შედეგად შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერებისა და დასაბუთებულობის, აგრეთვე ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდეგ მათი სტატუსის გადასინჯვის საკითხი
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციის გზით განახლდეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციით განაახლოს „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაუყოვნებლივ გაიწერონ სტაციონარიდან ეს პაციენტები,	შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების მათი რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს სტაციონარიდან იმ პაციენტების

	რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი	დაუყოვნებლივ გასაწერად საჭირო ყველა ზომა, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა, სადაც გასაგები ფორმით აღიწერება სრული, ზუსტი და დეტალური ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების არსისა და პაციენტთა უფლებების შესახებ; ამასთანავე, ბრძანებით განისაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, გადასცეს პაციენტს ინფორმირებული თანხმობის ასლი, ისევე როგორც ინფორმაცია, ვის მიმართოს, თუ არ სურს სტაციონარში დარჩენა	შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცოს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა, რომელშიც გასაგები ფორმით იქნება მოცემული სრული, ზუსტი და დეტალური ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების არსისა და პაციენტის უფლებების შესახებ, ამასთანავე, ბრძანებით განსაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, გადასცეს პაციენტს ინფორმირებული თანხმობის ასლი, აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვის უნდა მიმართოს მან, თუ არ სურს სტაციონარში დარჩენა
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში, რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ	შეიტანოს ცვლილება „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ

	ბრძანებით დამტკიცებული (№IV-300-12/ა) ფორმის შევსება	ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესში“, რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს ამ წესის მე-13 დანართით გათვალისწინებული №IV-300-12/ა ფორმის შევსება
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	შეისწავლოს, მიეწოდებათ თუ არა პაციენტებს მკურნალობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად, მათთვის გასაგებ ენაზე	შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, პაციენტის სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს მისთვის სტაციონარის შინაგანაწესისა და პაციენტის უფლებების თაობაზე ინფორმაციის ზეპირად და წერილობით, გასაგები ენით მიწოდება
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები	შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური

		ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან	მიიღოს ყველა ზომა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული პირობების „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებით" დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის სისტემური მონიტორინგის გზით გასაკონტროლებლად
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა	„ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მიერ ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა
გენდერული თანასწორობა	მშობიარობის შემდგომი ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები ჩართოს დედათა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში	მშობიარობისშემდგომი ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები ჩართოს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში
შშმ პირთა უფლებები	მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გააძლიეროს ფინანსური და ადამიანური რესურსებით მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და ხარისხიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის განსახორციელებლად	მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გააძლიეროს ფინანსური და ადამიანური რესურსებით მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და ხარისხიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის განსახორციელებლად
შშმ პირთა უფლებები	ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის ორგანიზებულად წარმართვისთვის შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია; განავითაროს სათემო სერვისები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა	შეიმუშაოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრის სტანდარტი და თავშესაფრების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში უზრუნველყოს აღნიშნულ პირთა ამ სტანდარტის შესაბამის საცხოვრისებში განთავსება

	საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი	
შშმ პირთა უფლებები	უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის დამტკიცება და დანერგვა; (ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის ორგანიზებულად წარმართვისთვის შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია)	ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის ორგანიზებულად წარმართვისთვის შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია; განავითაროს სათემო სერვისები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი
სათანადო საცხოვრებლის უფლება	შემუშავდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები	შეიმუშაოს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები
სიცოცხლის უფლება	შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანილი ყველა გარდაცვლილი პაციენტის შემთხვევა, დაადგინოს, რა გახდა გარდაცვალების მიზეზი და რამდენად დროულად მოათავსეს პაციენტი შესაბამის დაწესებულებაში. მიღებული შედეგების საფუძველზე, გაატაროს ღონისძიებები, პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად	შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანის შემდეგ გარდაცვლილი ყველა პაციენტის შემთხვევა, დაადგინოს მათი გარდაცვალების მიზეზი, შესაბამის დაწესებულებაში მოთავსების დროულობა და შესწავლის შედეგების საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებები პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს	შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია. ეს ინსტრუქცია უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და მისთვის ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს
წამებისა და სხვა სასტიკი,	შეისწავლოს და აღმოფხვრას „აკად. ნანეიშვილის სახელობის	შეისწავლოს და აღმოფხვრას შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის

არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა" და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში" პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა	სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა" და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში" პაციენტთა სხვა პაციენტებისგან ხანგრძლივად განცალკევების პრაქტიკა
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს პაციენტის გასაგები ენით, ზეპირი და წერილობითი ინფორმირება სტაციონარის შინაგანაწესის და პაციენტის უფლებების თაობაზე	შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, პაციენტის სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს მისთვის სტაციონარის შინაგანაწესისა და პაციენტის უფლებების თაობაზე ინფორმაციის ზეპირად და წერილობით, გასაგები ენით მიწოდება
სიცოცხლის უფლება	სამინისტროს შესაბამისმა ერთეულმა შექმნას რეესტრი და აწარმოოს სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პირების შესახებ, გარდაცვალების მიზეზისა და ადგილის მითითებით	უზრუნველყოს, რომ სამინისტროს შესაბამისმა უწყებამ გააუმჯობესოს საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილ პირთა (მათ შორის, მათი გარდაცვალების მიზეზისა და ადგილის) შესახებ სტატისტიკის წარმოება

<u>საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:</u>

საპარლამენტო ანგარიშის თავი	**რეკომენდაცია**	**დავალება**
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან	შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №625-ე ბრძანებასა და №9 დანართით დამტკიცებული	შეიტანოს ცვლილება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ

დასჯის აკრძალვა და გამოძიება	ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოიყენეს თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით	შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №625 ბრძანებით დამტკიცებულ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესში", კერძოდ, ამ წესის №9 დანართით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმას დაამატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა პირის დაკავება; გასწია თუ არა პირმა წინააღმდეგობა; გამოიყენეს თუ არა პირის მიმართ იძულების ზომა და, თუ გამოიყენეს, – რა ფორმით
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება	განაგრძოს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის, დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში გამართვა

<u>საქართველოს თავდაცვის მინისტრს:</u>

საპარლამენტო ანგარიშის თავი	**რეკომენდაცია**	**დავალება**
ადამიანის უფლებები	თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების	განაგრძოს ვადიანი სამხედრო მოსამსახურის მიერ

თავდაცვის სფეროში	სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს	დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენებისა და ჯგუფური დასჯის პრაქტიკის მონიტორინგი და ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა

<u>სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:</u>

საპარლამენტო ანგარიშის თავი	**რეკომენდაცია**	**დავალება**
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა	„მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, აჭარის რეგიონში გაიხსნას 24-საათიანი მომსახურების თავშესაფარი	სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გახსნას 24-საათიანი მომსახურების გამწევი თავშესაფარი

დანართი - სახალხო დამცველის და აპარატის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული ვიზიტები

საქართველოს სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში არაერთ ღონისძიებაში, ვიზიტებსა თუ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა. კერძოდ, განხორციელდა 64 ვიზიტი რეგიონებში; 13 ვიზიტი საოკუპაციო ხაზის მიმდებარე 13 სოფელში, ადგილობრივ მოსახლეობასთან; 10 ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან, მათ შორის, შეხვედრა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებსა და მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილთან; 12 ვიზიტი - სოციალურ საცხოვრისებში, შშმ პირთა პანსიონატებში, ბათუმში მდებარე ე.წ. ოცნების ქალაქში, ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში, თელავში, ე.წ. სამხედრო დასახლებაში, ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა პანსიონსა და დედათა და ბავშვთა თავშესაფარსა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრში; 3 ვიზიტი სხვადასხვა ფსიქიატრიულ ცენტრში/განყოფილებაში, 2 ვიზიტი ხანდაზმულთა პანსიონატსა და თავშესაფარში; სახალხო დამცველმა გამართა 23 შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციების/საზოგადოების წარმომადგენლებთან; 24 შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატთან; 10 საერთაშორისო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც გაიმართა 25 შეხვედრა; ; 16 სამთავრობო შეხვედრა; 7 შეხვედრა სხვადასხვა აქციისა და გაფიცვის მონაწილეებთან; შეხვედრები მოქალაქეებთან/სხვადასხვა ჯგუფებთან და სხვ.

2023 წელს, **სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში** როგორც მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე, ისე პროაქტიულად - საჯარო სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, დაკავებული/დაპატიმრებული პირების მონახულების მიზნით, 581 ვიზიტი განახორციელეს და მოინახულეს 1703 დაკავებული/დაპატიმრებული პირი.[1244] აქედან, 541 ვიზიტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც მოინახულეს 1587 პატიმარი; 16 ვიზიტი - შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც მოინახულეს 58 დაკავებული; 20 ვიზიტი - აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, სადაც მოინახულეს 43 პაციენტი. დაპატიმრებულ პირებთან შეხვედრის მიზნით, 4 ვიზიტი განხორციელდა სამედიცინო ცენტრ „ვივამედში", სადაც მოინახულეს 15 პაციენტი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში კი განხორციელდა 20 პრევენციული ვიზიტი 8 პენიტენციურ დაწესებულებაში, 80 პრევენციული ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს 70 ორგანოში (დეპარტამენტები, სამმართველოები და დროებითი მოთავსების იზოლატორები), 7 პრევენციული ვიზიტი 3 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, 4 ვიზიტი ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა 2 თავშესაფარში/საცხოვრისში, 6 ვიზიტი 6 სამხედრო ნაწილში, 1 ვიზიტი შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში, 5

[1244] სტატისტიკაში მოცემულ პირთა ოდენობაში იგულისხმება შეხვედრების ჯამური რაოდენობა და მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთ პატიმართან ხორციელდება რამდენიმე ვიზიტი სხვადასხვა დროს.

ვიზიტი შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტში, 3 პრევენციული ვიზიტი საქართველოს შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში. დამატებით, ჩატარდა დაბრუნების ოპერაციის 2 ფრენის მონიტორინგი.

უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, განხორციელდა ტრენინგ-ციკლი თემაზე „ბავშვი და პოლიცია". სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ეწვივნენ გურიის, იმერეთის, აჭარის, სამეგრელოს, რაჭის, ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და თბილისის საჯარო სკოლებს. ჯამში, 2023 წელს, თემაზე, „ბავშვი და პოლიცია", ტრენინგები ჩატარდა 100 სკოლაში და მათში მონაწილეობა მიიღო 2975 ბავშვმა, ასევე გაიმართა ტრენინგი ერთ კოლეჯში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 სტუდენტმა. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა 3 უნივერსიტეტის სტუდენტებთან (თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი).

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მიმართულებით, მონიტორინგის ვიზიტები განხორციელდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში მდებარე 9 სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში; ვიზიტები განხორციელდა ხანდაზმულთა სადღეღამისო 4 დაწესებულებაში,[1245] სადაც მოინახულეს ჯამში 56 ხანდაზმული პირი. მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით ჩატარდა შსს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის 2 მონიტორინგი, ასევე - სახელმწიფო საზღვრის და საერთაშორისო ავიაფრენების მონიტორინგები: 8-ჯერ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილებაში და 4-ჯერ - საერთაშორისო აეროპორტებში.

შრომის და გარემოს დაცვის უფლებებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა რეგიონში სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებთან ჩატარდა 8 საინფორმაციო შეხვედრა. გაიმართა 3 საინფორმაციო შეხვედრა მესტიასა და ამბროლაურში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, ასევე - ბათუმში, სადაც შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მერიის წარმომადგენლები.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელდა 1 ვიზიტი ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში, 10 ვიზიტი - 5 ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, 12 ვიზიტი - 6 ძალადობის კრიზისულ ცენტრში.

ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 94 საინფორმაციო შეხვედრა რეგიონებში მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მერის წარმომადგენელთან, გუბერნატორებთან, სოფლად მცხოვრებ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გაიმართა 5 საინფორმაციო შეხვედრა მოლდოვის, უზბეკეთის, ალბანეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებთან

[1245] ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი; ქარელში მდებარე - ა(ა)იპ სათემო ორგანიზაცია „სალბუნი" 9; გორში მდებარე კერძო დაწესებულება ა(ა)იპ „შენი თბილი კერა" და თბილისში მდებარე კერძო დაწესებულება - ა(ა)იპ „თბილი კერა".

ფემიციდის თემაზე (სახალხო დამცველის აპარატის პრაქტიკის გაზიარების მიზნით). ჩატარდა სკოლის მოსწავლეებთან 6 ტრენინგი ადრეულ ასაკში ქორწინების და გენდერული თანასწორობის შესახებ და 1 ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე. 9 მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან ჩატარდა 9 სემინარი ძალადობის თემაზე; 1 ტრენინგი - სკოლის სახელმძღვანელოების ავტორებთან გენდერულ თანასწორობაზე და ქალთა უფლებებზე; 1 ტრენინგი - თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემაზე.

ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, ვიზიტები განხორციელდა შემდეგ დაწესებულებებში: 30 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში, მუსლიმურ კონფესიას დაქვემდებარებულ ორ დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებაში, მიუსაფარ ბავშვთა ოთხ დღის ცენტრსა და სამ თავშესაფარში, დედათა და ბავშვთა ორ თავშესაფარში და №2, №8 პენიტენციურ დაწესებულებებში, ორი ვიზიტი №5 დაწესებულებაში და ერთი ვიზიტი №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

ბავშვის უფლებების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა 20 საინფორმაციო შეხვედრა 18 სკოლაში სკოლის მოსწავლეებთან და დამატებით ცალკე შეხვედრები მშობლებთან და პედაგოგებთან. ასევე, სახალხო დამცველის აპარატის ოფისში ერთი შეხვედრა შედგა პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებთან და ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელებთან და აღმზრდელებთან.

შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, 2023 წელს განხორციელდა 27 გეგმური მონიტორინგი: 9 ვიზიტი 7 რესურს-სკოლაში თბილისსა და რეგიონებში, 11 ვიზიტი 11 უნივერსიტეტში ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მიზნით, 7 გეგმური ვიზიტი ქუტირის ფსიქიატრიულ დაწესებულებასა და სენაკის სათემო სერვისში. დამატებით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 14 არაგეგმური ვიზიტი. კერძოდ, 2 ვიზიტი განხორციელდა თბილისის №48 საჯარო სკოლაში და 1 ვიზიტი №87 საჯარო სკოლაში. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესზე ზედამხედველობის ფარგლებში, 2 ვიზიტი განხორციელდა დუშეთის ახლადგახსნილი შშმ პირთა საოჯახო ტიპის სახლში, 2 ვიზიტი - მარტყოფის და 1 ვიზიტი - დუშეთის შშმ პირთა პანსიონატებში. ასევე, 2 ვიზიტი განხორციელდა სათემო ორგანიზაციაში „ბარბარე 21". შშმ პატიმრის უფლებების ადგილზე შესწავლის მიზნით, 2 ვიზიტი განხორციელდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 დაწესებულებაში. არაგეგმური ვიზიტი განხორციელდა შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრშიც" და 1 არაგეგმური მონიტორინგი უკრაინელი ბავშვების (უკრაინის სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი) ამჟამინდელი განთავსების ადგილზე.

2023 წელს, შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის მიზნით, შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტმა ჩაატარა 16 საინფორმაციო შეხვედრა 12 მუნიციპალიტეტში: გურჯაანი, ლაგოდეხი, ბორჯომი (2), ხაშური, გორი, ქარელი, ყვარელი, ახმეტა, პანკისის ხეობა, ოზურგეთი (2), ბათუმი (3) და ქობულეთი. შეხვედრები გაიმართა შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და რესურსცენტრების წარმომადგენლები, შშმ თემი და შშმ ბავშვთა მშობლები.

ეროვნული უმცირესობების დაცვის მიმართულებით, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა 3 რეგიონის (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) 11 მუნიციპალიტეტში გამართეს შეხვედრები 16 საჯარო სკოლის ადმინისტრაციასა და დასაქმებულ პედაგოგებთან, 7 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებთან.

ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით გაიმართა 39 საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა აღმზრდელების საგანმანათლებლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა ინტეგრირების, სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის, სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ადამიანის უფლებათა სათანადო სწავლების და ამ მიმართულებებით სახალხო დამცველის პრაქტიკის შესახებ. საინფორმაციო შეხვედრებსა და საგანმანათლებლო სემინარებს მოსწავლეები, საჯარო სკოლის პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულების პერსონალი, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ლექტორები და სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები დაესწრნენ. შეხვედრები თბილისთან ერთად სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარასა და კახეთში გაიმართა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, 2023 წელს საქართველოს მასშტაბით, ჯამში 72 საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი ჩატარდა და თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ცოდნა აუმაღლდა 1633 ადამიანს. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 699 თანამშრომელს, საგანმანათლებლო სფეროს 581 წარმომადგენელს, ლგბტ+ თემის 32 წევრს, 106 ახალგაზრდას, სამოქალაქო საზოგადოების 61 და კერძო კომპანიების 154 წარმომადგენელს შეხვდნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები.

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატის **რეგიონული სამმართველოს მონაწილეობით გაიმართა** ჯამურად 1197 შეხვედრა, აქედან: 986 შეხვედრა გამართა მხოლოდ რეგიონულმა სამმართველომ, 64 შეხვედრა სახალხო დამცველთან ერთად, 147 შეხვედრაში კი მონაწილეობდა რეგიონული სამმართველო აპარატის სხვა დეპარტამენტებთან ერთად.